

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი



გიორგი ღვებუაძე

„დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი
საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი
განვითარება ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის
სამართლის სისტემების ზეგავლენით“

ხელმძღვანელი: *მერაბ ტურავა*,
სამართლის დოქტორი, პროფესორი

თანახელმძღვანელი: *კლაუს კრესი*,
სამართლის დოქტორი, პროფესორი

ნაშრომი წარმოდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი 2017წ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შემოკლებანი.....11

შესავალი..... 15

I. დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის ცნება.....20

II. საერთაშორისო დანაშაულის ცნება.....24

1. საერთაშორისო დანაშაულის განსაკუთრებული თავისებურება („სავიზიტო ბარათი“).....25

2. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა „ეთნიკური წმენდისათვის“.....27

III. ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განვითარება – „ისტორიიდან სამართლამდე“.....29

1. საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძვლები.....29

2. სისხლის სამართლის საერთაშორისო ხასიათის პირველი დროებითი სასამართლო.....30

3. საერთაშორისო სისხლის სამართლის პროლოგი.....31

3.1. ვერსალის ხელშეკრულება.....32

3.2. ლაიფციგის პროცესი.....33

4. ნიურნბერგის პროცესი.....33

4.1. 1943 წლის მოსკოვის დეკლარაცია.....34

4.2. 1945 წლის ლონდონის შეთანხმება.....35

4.3. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნება ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდებაში.....35

4.4. ნიურნბერგის განაჩენი.....39

5. ტოკიოს პროცესი.....40

5.1. კაიროსა და პოტსდამის დეკლარაცია.....40

5.2. ტოკიოს ტრიბუნალის დაფუძნება.....41

5.3. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნება ტოკიოს ტრიბუნალის წესდებაში.....41

5.4. ტოკიოს განაჩენი.....42

6. პოსტ-ნიურნბერგის ეტაპი.....42

7. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახეების განმასხვავებელი ნიშნები.....44

8. საერთაშორისო თანამეგობრობის პირდაპირი რეაქცია ჰოლოკოსტის მოვლენებზე – გენოციდის კონვენცია.....	44
9. ნიურნბერგის პრინციპების ფორმულირება.....	45
10. ნიურნბერგისა და ტოკიოს სამართლის მნიშვნელობა.....	45
11. „სიჩუმის პერიოდი“.....	46
IV. ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უახლესი მოდელი.....	47
1. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის „რენესანსი“ – დროებითი ტრიბუნალები.....	47
1.1. ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის დროებითი საერთაშორისო ტრიბუნალი.....	47
1.1.1. „ეთნიკური წმენდა“ იუგოსლავიაში.....	47
1.1.2. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა „ეთნიკური წმენდისათვის“ იუგოსლავიაში.....	51
1.2. რუანდის სისხლის სამართლის დროებითი საერთაშორისო ტრიბუნალი.....	52
1.2.1. „ეთნიკური წმენდა“ რუანდაში.....	52
1.2.2. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა „ეთნიკური წმენდისათვის“ რუანდაში.....	52
1.3. სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების მექანიზმი.....	53
1.4. დროებითი ტრიბუნალების სამართლის მნიშვნელობა.....	53
2. ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ჰიბრიდული მართლმსაჯულება.....	54
2.1. რეტროაქტიული მოდელი.....	55
2.2. დროებითი ტრიბუნალების მსგავსი მოდელი.....	56
2.3. მოსამზადებელი მოდელი.....	58
2.4. სუბსიდიური მოდელი.....	59
2.5. სპეციალური მოდელი.....	61
2.6. ჰიბრიდული მართლმსაჯულების პროდუქტი.....	64
V. ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნების პერმანენტული მოდელი.....	65
1. არსებული მდგომარეობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში.....	65
2. სიტუაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.....	67
3. სიტუაცია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში.....	68

4. სიტუაცია სუდანში.....	69
5. რომის სტატუტის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართლის მნიშვნელობა – პრეცედენტული სამართლის რეკონსტრუქცია.....	70
VI. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული ცნება (სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების პოზიტიური სამართალი).....	72
1. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნება დროებით ტრიბუნალებში.....	72
2. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში.....	73
2.1. რომის სტატუტის 25-ე მუხლი.....	73
2.2. რომის სტატუტის 28-ე მუხლი.....	77
3. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ბირთვი.....	79
VII. დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინის ცნება და სახეები.....	80
VIII. დროებითი ტრიბუნალების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინა.....	83
1. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის შექმნის აუცილებლობა ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალში.....	84
2. (თანა)ამსრულებლობის კონცეფცია.....	85
3. <i>Prosecutor v. Tadic</i> -ის საქმე.....	86
4. (თანა)ამსრულებლობის კონცეფციის დაფუძნება პრეცედენტულ სამართალში.....	88
4.1. (თანა)ამსრულებლობის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ელემენტები.....	89
4.1.1. (თანა)ამსრულებლობის ობიექტური ელემენტები.....	90
4.1.1.1. მონაწილეთა სიმრავლე.....	90
4.1.1.2. საერთო გეგმის, მიზნის არსებობა.....	91
4.1.1.3. ბრალდებულის მონაწილეობა საერთო გეგმაში.....	91
4.1.2. (თანა)ამსრულებლობის სამი კატეგორია – სუბიექტური ელემენტები.....	92
4.1.2.1. ძირითადი (თანა)ამსრულებლობა.....	92
4.1.2.2. სისტემური (თანა)ამსრულებლობა.....	94
4.1.2.3. გავრცობილი (თანა)ამსრულებლობა.....	95
4.2. <i>ტადიჩის</i> პასუხისმგებლობა.....	97

5. JCE – თანაამსრულებლობის თუ თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის ფორმა?.....	98
6. საერთო გეგმის გენერალური განზრახვა, როგორც „პირდაპირი გასასვლელი ინდივიდებზე“	100
7. განსხვავება (თანა)ამსრულებლობასა და თანამონაწილეობას შორის... 101	
7.1. <i>Prosecutor v. Kvočka</i> -ს საქმე.....	101
7.2. ძირითადი და დამატებითი პასუხისმგებლობის ურთიერთგამიჯვნის პრინციპული კრიტერიუმები	102
7.3. პასუხისმგებლობა თანამონაწილეობისათვის – როდის გამოირიცხება ამსრულებლობა	103
7.4. დანაშაულებრივი სისტემის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები – პასუხისმგებლობა ომარსკას ბანაკის წევრობისათვის	105
8. ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის „მაჟორული“ საქმეები (თანა)ამსრულებლობის კონცეფციის გამოყენებით	105
8.1. <i>Prosecutor v. Milosevic</i> -ის საქმე.....	106
8.2. <i>Prosecutor v. Krajisnik</i> -ის საქმე	107
9. (თანა)ამსრულებლობის დოქტრინის ფართო ბუნების შეზღუდვის მცდელობა.....	109
10. (თანა)ამსრულებლობაში არაპირდაპირი მონაწილეობის ელემენტი.....	111
11. (თანა)ამსრულებლობის კონცეფციის იმპლემენტაცია რუანდის ტრიბუნალში	111
11.1. (თანა)ამსრულებლობის დოქტრინის პირველი შეჭრა რუანდის ტრიბუნალის პრეცედენტულ სამართალში	112
11.2. <i>Prosecutor v. E. and G. Ntakirutimana</i> -ს საქმე.....	112
12. (თანა)ამსრულებლობის დოქტრინის ანალიზი.....	114
13. შეჯამება.....	119
IX. ამსრულებლობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში.....	121
1. ამსრულებლობის ცნება და სახეები რომის სტატუტში.....	121
2. თანაამსრულებლობის დოქტრინა.....	123
2.1. <i>Prosecutor v. Lubanga</i> -ს საქმე.....	123
2.2. თანაამსრულებლობის კონცეფცია	124
2.3. თანაამსრულებლობის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ელემენტები.....	125
2.3.1. დანაშაულზე კონტროლის ცნება.....	125
2.3.2. თანაამსრულებლობის მატერიალური ელემენტები.....	126

2.3.2.1. ორ ან მეტ პირს შორის საერთო გეგმის ან შეთანხმების არსებობა.....	127
2.3.2.2. თანაამსრულებლის კოორდინირებული არსებითი კონტრიბუცია.....	127
2.3.3. თანაამსრულებლობის მენტალური ელემენტები.....	128
3. არაპირდაპირი ამსრულებლობის დოქტრინა.....	128
3.1. <i>Prosecutor v. Katanga and Chui</i> -ს საქმე.....	128
3.2. <i>Prosecutor v. Al Bashir</i> -ის საქმე.....	129
3.3. არაპირდაპირი ამსრულებლობის კონცეფცია.....	131
3.4. არაპირდაპირი ამსრულებლობის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ელემენტები.....	132
3.4.1. არაპირდაპირი ამსრულებლობის მატერიალური ელემენტები.....	132
3.4.1.1. ორგანიზაციაზე კონტროლი.....	133
3.4.1.2. ორგანიზებული და იერარქიული ძალაუფლების აპარატის არსებობა.....	133
3.4.1.3. დანაშაულის ასრულება, უზრუნველყოფილი ბრძანებაზე „ავტომატური“ თანხმობის მეშვეობით.....	134
3.4.2. არაპირდაპირი ამსრულებლობის მენტალური ელემენტები.....	134
4. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა.....	135
4.1. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის ცნება.....	136
4.2. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ელემენტები.....	137
5. ამსრულებლობის მენტალური ელემენტები.....	138
5.1. <i>Prosecutor v. Bemba</i> -ს საქმე.....	138
5.2. ამსრულებლობისთვის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მენტალური ელემენტები (განზრახვის გაფართოებული ცნება).....	139
5.3. რომის სტატუტის 30-ე მუხლის მენტალური ელემენტის მოთხოვნა.....	139
5.4. ბრალდებულის შეგნებულობა, რომ საერთო გეგმის ასრულებას „შეიძლება შედეგად მოჰყვეს“ ან „შედეგად მოჰყვეს“ დანაშაულის მატერიალური ელემენტების რეალიზაცია.....	143
5.5. ბრალდებულის მხრიდან იმ ფაქტობრივი გარემოებების შეგნება, რომლებიც მას საშუალებას აძლევს სხვასთან ერთად, ან სხვა პირის მეშვეობით ჰქონდეს დანაშაულზე კონტროლი.....	147
6. ამსრულებლობის დოქტრინის ანალიზი.....	148

6.1. სასამართლოს შიგნით მიმდინარე დისკუსია – ფულფორდისა და უინგაერტის განსხვავებული აზრი ამსრულებლობის დოქტრინაზე.....	148
6.2. თანამსრულებლობა.....	150
6.3. თანამსრულებლობის განსხვავება JCE-ისგან.....	153
6.4. არაპირდაპირი ამსრულებლობა.....	154
6.4.1. როქსინის ქმედებაზე ბატონობის თეორია.....	155
6.4.2. არაპირდაპირი ამსრულებლობის დოქტრინის ცნებასთან დაკავშირებით.....	159
6.5. არაპირდაპირი ამსრულებლობის განსხვავება JCE-ისგან.....	164
6.6. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობა.....	164
6.6.1. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის „საფუძვლები“ დროებით ტრიბუნალში.....	165
6.6.1.1. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის „საფუძვლები“ ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალში.....	165
6.6.1.1.1. Prosecutor v. Stakic-ის საქმე.....	165
6.6.1.1.2. Prosecutor v. Brdanin-ის საქმე – „არაპირდაპირი JCE“.....	167
6.6.1.1.3. Prosecutor v. Lukic and Lukic-ის საქმე.....	168
6.6.1.2. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის „საფუძვლები“ რუანდის ტრიბუნალში.....	168
6.6.1.2.1. Prosecutor v. Gacumbitsi-ს საქმე.....	168
6.6.1.2.2. Prosecutor v. Seromba-ს საქმე.....	169
6.6.1.2.3. Prosecutor v. Zigiranyirazo-ს საქმე.....	170
6.6.2. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინის მნიშვნელობა.....	170
6.7. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის განსხვავება JCE-ისგან.....	172
6.8. რამდენად აუცილებელი იყო ამსრულებლობის ახალი სახის შემოღება.....	174
6.9. ამსრულებლობის მენტალური ელემენტის შესახებ.....	175
7. შეჯამება.....	176
X. თანამონაწილეობა – როდესაც არ არის გამოკვეთილი ამსრულებლობა.....	177
1. დაგეგმვა.....	178
2. ხელმძღვანელობა-ბრძანების გაცემა.....	179
3. წაქეზება.....	182
4. დახმარება.....	183

5. შეჯამება184

XI. თანამონაწილეობის რეზიდუალური ფორმა – საერთო მიზნით მოქმედი დაჯგუფების დახმარება 185

XII. მეთაურის (უფროსის) პასუხისმგებლობა189

1. მეთაურის პასუხისმგებლობის ცნება 191

2. მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინის სახელწოდება 193

3. მეთაურის პასუხისმგებლობა დროებით ტრიბუნალებში194

4. მეთაურის პასუხისმგებლობის რომის სტატუტისეული ცნება.....194

4.1. მეთაურის პასუხისმგებლობის მატერიალური ელემენტები..... 195

4.1.1. სამხედრო და სამოქალაქო მეთაურების პასუხისმგებლობისათვის გათვალისწინებული საფუძვლები..... 195

4.1.1.1. სამხედრო მეთაური.....195

4.1.1.2. სამხედრო მეთაურის სახით ეფექტიანად მოქმედი პირი.....196

4.1.1.3. სამოქალაქო მეთაური. განსხვავება სამხედრო და სამოქალაქო მეთაურებს შორის.....197

4.1.2. ეფექტიანი ხელმძღვანელობისა და ძალაუფლების არსებობა დაქვემდებარებული ძალების მიმართ..... 198

4.1.3. ეფექტიანი კონტროლი199

4.1.4. ეფექტიანი კონტროლი და დანაშაულებრივი ქმედება..... 200

4.1.5. მიზეზობრივი კავშირის არსებობა დანაშაულსა და ხელქვეითებზე სათანადო კონტროლის განუხორციელებლობას შორის.....201

4.2. მეთაურის პასუხისმგებლობის მენტალური ელემენტები..... 202

4.2.1. ცოდნის ელემენტი.....203

4.2.2. პოტენციური ცოდნის ელემენტი..... 204

4.2.2.1. დაუდევრობა 204

4.2.2.2. ცოდნის ვალდებულების ელემენტი..... 205

4.2.2.3. სამხედრო მეთაურის პასუხისმგებლობის მსუბუქი მენტალური ელემენტი 206

4.2.3. ინფორმაციის შეგნებულად იგნორირება 206

4.2.3.1. გულგრილობა..... 207

4.2.3.2. სამოქალაქო მეთაურის პასუხისმგებლობის უფრო მკაცრი მენტალური ელემენტი..... 208

5. მეთაურის მიერ შეუსრულებელი მოვალეობა 208

5.1. პრევენციული მოვალეობა 208

5.2. რეპრესიული მოვალეობა.....	209
5.3. საჭირო და გონივრული ზომების გატარების მოვალეობა.....	209
6. მეთაურის (უფროსის) პასუხისმგებლობის ანალიზი.....	209
6.1. მეთაურის პასუხისმგებლობის „სპეციალური სუბიექტი“.....	210
6.2. უმოქმედობის მატერიალური და მენტალური ელემენტები.....	210
6.3. მეთაურის პასუხისმგებლობა და JCE.....	211
6.4. მეთაურის პასუხისმგებლობა და ამსრულებლობა.....	212
6.5. მეთაურის პასუხისმგებლობა და თანამონაწილეობა.....	213
7. <i>Prosecutor v. Al Bashir</i> -ის საქმე – რატომ დაეყრდნო სასამართლო ამსრულებლობის დოქტრინას.....	214
8. შეჯამება.....	218
XIII. დანაშაულში მონაწილეობის ფორმების კატეგორიზაციის მნიშვნელობა სასჯელის შეფარდებისას ამსრულებლობა-თანამონაწილეობის სახით.....	219
1. პრობლემის არსი.....	219
2. ამსრულებლობა-თანამონაწილეობის ანგლოამერიკული და კონტინენტურევროპული მოდელები.....	221
2.1. ამსრულებლობა-თანამონაწილეობის გერმანული („მკაცრი“) მოდელი.....	221
2.2. ამსრულებლობა-თანამონაწილეობის ანგლოამერიკული („მსუბუქი“) მოდელი.....	224
2.2.1. ჯგუფური გაერთიანება.....	226
2.2.2. დაუსრულებელი დანაშაული.....	227
2.2.3. დანაშაულის შეთქმულება.....	228
2.2.4. JCE და დანაშაულის შეთქმულება.....	229
2.3. შედარება.....	230
3. რომის სტატუტის სასჯელის შეფარდების მოდელი.....	231
4. რომელ მოდელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა?.....	231
4.1. სამართლიანი პასუხისმგებლობის პრინციპი.....	232
4.2. ამსრულებლობა-თანამონაწილეობის „ბრალეულობის იერარქია“.....	235
4.3. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ნორმის სტრუქტურა.....	240
4.3.1. რომის სტატუტამდე არსებული სტრუქტურა.....	240
4.3.2. რომის სტატუტის 25(3)-ე მუხლის სტრუქტურა.....	241
5. შეჯამება.....	242

XIV. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო სამართლის „კოდიფიკაცია“ და მისი იმპლემენტაცია ეროვნულ სისხლის სამართალში..... 244

1. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ეროვნული ნორმის პროექტი – *de lege ferenda*..... 246

2. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო სამართლის იმპლემენტაციის მაგალითი ეროვნულ სისხლის სამართალში 249

დასკვნა..... 252

ბიბლიოგრაფია..... 267

შემოკლებანი

ა.შ.	ასე შემდეგ
დაწ.	დაწერილებით
ე. ი.	ესე იგი
ე. წ.	ეგრეთ წოდებული
იხ.	იხილეთ
პარ.	პარაგრაფი
რედ.	რედაქტორი
სხვ.	სხვა
შეად.	შეადარეთ
ძვ. წ.	ძველი წელთაღრიცხვით
AC	Appeals Chamber
ALC	Armee de Liberation du Congo (Army for the Liberation of Congo)
BGHSt	Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (Official Collection of Decisions of the German Federal Court in Criminal Matters)
CCL	Control Council Law
CJICL	Cambridge Journal of International and Comparative Law
CJIL	Chicago Journal of International Law
CL	Criminal Law
CLF	Criminal Law Forum
CLP	Criminal Law and Philosophy
CLR	Colorado Law Review
CPDIL	Committee on the Progressive Development of International Law
CWRJIL	Case Western Reserve Journal of International Law

Decl.	Declaration
ECCC	Extraordinary Chambers in the Courts of Cambodia
ECHR	European Court of Human Rights
Ed.	Editor
FARDC	Forces Armees de la Republique Democratique du Congo (Armed Forces of the Democratic Republic of the Congo)
FNI	Front des Nationalistes et Integrationnistes (Nationalist and Integrationist Front)
FPLC	Forces Patriotiques pour la Liberation dy Congo (Patriotic Forces for the Liberation of Congo)
FRPI	Force de Resistance Patriotique en Ituri (Patriotic Resistance Force in Ituri)
GA	Goltdammer’s Archiv für Strafrecht (Goltdammer’s Archives of Criminal Law)
GC	Grand Chamber
ICC	International Criminal Court
ICJ	International Criminal Justice
ICL	International Criminal Law
ICLR	International Criminal Law Review
ICTR	International Criminal Tribunal for Rwanda
ICTY	International Criminal Tribunal for the former Yugoslavia
IHCC	Iraqi High Criminal Court
IHCCS	Iraqi High Criminal Court Statute
IL	International Lawyer
ILC	International Law Commission
IMT	International Military Tribunal
IMTFE	International Military Tribunal for the Far East
IRRC	International Review of the Red Cross
IST	Iraqi Special Tribunal

JCE	Joint Criminal Enterprise
JEM	Justice and Equality Movement
JICJ	Journal of International Criminal Justice
KLA	Kosovo Liberation Army
LJIL	Leiden Journal of International Law
MDR	Mouvement Democratique du Rwanda (Republican Democratic Movement)
MICT	Mechanism for International Criminal Tribunals
MJIL	Michigan Journal of International Law
MLC	Movement de Liberation du Congo (Movement for the Liberation of Congo)
MLR	Modern Law Review
MPEPIL	Max Planck Encyclopedia of Public International Law
NATO	North Atlantic Treaty Organization
NCLR	New Criminal Law Review
OTP	Office of the Prosecutor
RS	Rome Statute
RSCSL	Residual Special Court for Sierra Leone
RSK	Republic of Serbian Krajina
SCSL	Special Court for Sierra Leone
SD	Sicherheitsdienst (Security Service)
SDP	Serbian Democratic Party
SDS	Srpska Demokratska Stranka (Serbian Democratic Party)
SLM/A	Sudanese Liberation Movement/Army
SS	Schutzstaffeln (Protection Squadron)
STL	Special Tribunal for Lebanon
TC	Trial Chamber
TICLJ	Temple International and Comparative Law Journal

UK	United Kingdom
UN	United Nations
UNGA	United Nations General Assambly
UNMIK	United Nations Mission in Kosovo
UNSC	United Nations Security Council
UNSG	United Nations Secretary-General
UPC	Union des Patriotes Congolais (Union of Congolese Patriots)
UPJIL	University of Pennsylvania Journal of International Law
URF	United Resistance Front
USIP	United States Institute of Peace
Vol.	Volume
YIHL	Yearbook of International Humanitarian Law
YaleLJ	The Yale Law Journal

შესავალი

სისხლის სამართლის ეფექტური მოქმედების გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოთა გრძელვადიანი განვითარება. იგი არის მთავარი „იარაღი“ სახელმწიფოს ხელში ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ნორმატიული აქტების იერარქიაში სისხლის სამართლის კოდექსის „დაბალი რანგის“ მიუხედავად, მისი სტატუსი მაღალია – ქმედების დანაშაულად გამოცხადება სისხლის სამართლის ექსკლუზიური (დისკრეციული) უფლებაა. იგი სჯის მხოლოდ მის მიერ განსაზღვრულ ქმედებას. სისხლის სამართალი, როგორც სამართლის განსაკუთრებული მნიშვნელობის დარგი,¹ ადგენს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების საფუძვლებს. შესაბამისად, ხარვეზიანი სისხლის სამართლის პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს მისი მთავარი მიზნების შესრულებასა და სამართლებრივი სიკეთეების დაცვას, რაც მხოლოდ ეროვნული სისხლის სამართლის ამოცანას არ წარმოადგენს². ხარვეზი შეიძლება ნაციონალურ სივრცეს გასცდეს და ინტერნაციონალური ხასიათი მიიღოს. ამ დროს, სწორი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განსახორციელებლად, საჭიროა პრევენციული საერთაშორისო „მექანიზმის“ არსებობა.

ხანგრძლივი მშვიდობა შეუძლებელია მართლმსაჯულების გარეშე.³ სახელმწიფოთა და საერთაშორისო თანამეგობრობის „სტაბილური“ განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია, უპირველესად, სისხლის სამართლის ეროვნულ და, განსაკუთრებულ შემთხვევაში, საერთაშორისო მართლმსაჯულების ეფექტიან მუშაობაზე. მსოფლიოში დატრიალებულმა მოვლენებმა, კერძოდ, XX საუკუნემ – ორი მსოფლიო ომითა და ბალკანეთ-აფრიკის სასტიკი კრიზისით, დაგვანახა, რომ მხოლოდ ეროვნული მართლმსაჯულების სისტემა უძლურია დაიცვას საერთაშორისო თანამეგობრობის მთავარი სამართლებრივი სიკეთეები – საყოველთაო მშვიდობა, კეთილდღეობა და უსაფრთხოება. „ქაოსი“ მართლმსაჯულებაში, უმეტესწილად, პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე, რაც მომავალში შეიძლება საერთაშორისო თანამეგობრობის შემფოთების საგანიც გახდეს.

აქედან გამომდინარე, საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესში შედის ეროვნული მართლმსაჯულების ეფექტიანი მუშაობა და დროული აუცილებელი ზომების გატარება. ამას იგი უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლისა და სისხლის სამართლის კომბინირებული გამოყენებით, სამართლის ახალი „არქიტექტურის“ – საერთაშორისო სისხლის სამართლის – შექმნით.

¹ შეად. *ტურავა*, მოძღვრება (2011), 12.

² შეად. *Kreß*, ICL, კრებულში: *Wolfrum* (ed.), MPEPIL, Vol. V (2013), 717.

³ იხ. *Kampala Declaration RC/Decl.1* (1.6.2010), პრეამბულა, <https://www.icc-cpi.int/iccdocs/asp_docs/ASP9/OR/RC-11-ENG.pdf>, [9.1.2016]; მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებლობაზე იხ. *Schabas*, *Atrocities* (2012), 173–198.

სისხლის სამართლის სწორი მართლმსაჯულების განმახორციელებელ საერთაშორისო „მექანიზმს“ სწორედ საერთაშორისო სისხლის სამართალი წარმოადგენს. იგი ოთხ მნიშვნელოვან სფეროს არეგულირებს – სახელმწიფოთა სისხლის სამართლის იურისდიქციის განხორციელების ფარგლებს,⁴ სისხლის სამართლის საქმეებზე სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების საკითხებს,⁵ ტრანსნაციონალურ სისხლის სამართალს⁶ და სუპრანაციონალურ სისხლის სამართალს^{7,8} სწორედ ეს უკანასკნელი სფერო იგულისხმება „ტრადიციული გაგებით“ ცნებაში – საერთაშორისო სისხლის სამართალი (*International Criminal Law, Völkerstrafrecht*).

საერთაშორისო სისხლის სამართალი XX საუკუნის პროდუქტია.⁹ მანამდე სამართლის სისტემაში ასეთი დამოუკიდებელი მიმართულება არ არსებობდა. მისი კომპლექსური სისტემიდან გამომდინარე, როგორც საერთაშორისო სამართლისა და სისხლის სამართლის ერთობლიობა, იურიდიულ ლიტერატურაში არსებითად განსხვავებული დისციპლინების „არაკომფორტულ კავშირადაც“ მოიხსენიება.¹⁰ მისი შექმნის პერიოდიდან, ფართო გაგებით, იგი ემსახურება მიზანს, სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები გაატაროს იმ ადგილას, იმ დანაშაულების მიმართ, სადაც ეროვნული მართლმსაჯულება უძლურია განახორციელოს დროული და სათანადო ზომები. როდესაც საერთაშორისო დანაშაულებზე ეროვნული მართლმსაჯულება სელექციური ხასიათის მატარებელია ან უუნაროა და საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უშიშროებასა და მშვიდობას, საერთაშორისო სისხლის სამართალი საერთაშორისო სამართლის გამოყენებით ატარებს სისხლის სამართლის ინტერესებს. თუ კონკრეტული სახელმწიფო ვერ იცავს მოსახლეობას მასშტაბური საერთაშორისო დანაშაულებისგან, მაგალითად, გენოციდის, ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისგან, ფართო გაგებით, „ეთნიკური წმენდისგან“, საერთაშორისო თანამეგობრობის უფლება და ვალდებულებაა განახორციელოს „ინტერვენცია“ ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ ფუნქციას ემსახურება სისხლის სამართლის

⁴ ტერიტორიულობის, აქტიური და პასიური პერსონალურობის, დაცვის, მონაცვლეობითი მართლმსაჯულებისა და უნივერსალურობის პრინციპები. დაწ. იხ. *ტურავა*, სისხლის სამართალი (2013), 42–54; იხ. ასევე: *Kreß*, *Universal Jurisdiction*, 4 *JICJ* (2006), 563–576.

⁵ სხვადასხვა მიმართულებით სისხლისსამართლებრივი დახმარება საერთაშორისო ხასიათის საკითხებზე. მაგალითად, ექსტრადიციის, განაჩენთა აღსრულებისა და სხვა საკითხებზე.

⁶ ტრანსნაციონალური ხასიათის დანაშაულები – ე.წ. „ხელშეკრულებითი დანაშაულები“ (*treaty crimes*). მაგალითად, ტერორიზმი, კიბერდანაშაული, კორუფცია, წამება და სხვ.

⁷ იცავს საერთაშორისო თანამეგობრობის ფუნდამენტურ ფასეულობებს, როგორცაა საერთაშორისო მშვიდობა, კეთილდღეობა და უშიშროება.

⁸ საერთაშორისო სისხლის სამართლის აღნიშნული ოთხი მიმართულების შესახებ, მის ცნებასა და არსზე იხ. *Kreß*, *ICL*, კრებულში: *Wolftrum* (ed.), *MPEPIL*, Vol. V (2013), 717–732, დაწ. პარ. 1–14; *ტურავა*, საფუძვლები (2015), 1–13.

⁹ შეად. *Gordon, Hagenbach*, კრებულში: *Heller, Simpson* (ed.), *Hidden Histories* (2013), 15.

¹⁰ შეად. *Sliedregt*, *Individual Responsibility* (2003), 4.

საერთაშორისო მართლმსაჯულება.¹¹ საერთაშორისო თანამეგობრობის შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზნის – „მსოფლიო ომის გარეშე“ – მიღწევა მართლმსაჯულების გარეშე შეუძლებელია.¹²

საერთაშორისო სისხლის სამართლის სისტემა ვერ იარსებებს საერთაშორისო დოგმატიკის გარეშე.¹³ საერთაშორისო სისხლის სამართალში საჭიროა დოგმატიკის, პრინციპების, ზოგადი ნაწილის შექმნა,¹⁴ რომელსაც დაეყრდნობა სისხლის სამართალი¹⁵. ამაზე მეტყველებს საერთაშორისო სისხლის სამართლის ჩამოყალიბების ისტორია¹⁶ და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკა¹⁷. სწორედ ეს ქმნის მას, გარკვეულწილად, განსხვავებულს ეროვნული სისხლის სამართლისგან.

საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისადმი ინტერესი დღითი დღე უფრო იზრდება, რისი მიზეზიც მსოფლიოში დატრიალებული მოვლენებია. სახელმწიფოთა ტერიტორიებზე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური ნიშნით გაერთიანებულ ჯგუფის წევრებს შორის დაწყებული შეიარაღებული თუ სხვა სახის კონფლიქტი არაერთხელ გამხდარა საერთაშორისო სისხლის სამართლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის მიზეზი. „გლობალიზაციის პერიოდში“ სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სისტემის არსებობა აუცილებელია. ინდივიდის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება უკვე ვერ იქნება მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფოს შემფოთების საგანი, მით უფრო, როდესაც ეს გავლენას ახდენს მსოფლიო წესრიგზე, საერთაშორისო თანამეგობრობის კეთილდღეობასა და მშვიდობაზე.¹⁸ საერთაშორისო თანამეგობრობის მთავარი მიზანიც, ასეთი სიტუაციების თავიდან აცილებასთან ერთად, როდესაც ეს გარდაუვალია, ჩადენილ დანაშაულებზე საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გატარებაა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების საფუძველზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოები, მათ შორის, ICC,¹⁹ თავიანთ წესდებებში ამკვიდრებენ

¹¹ შეად. Contarino, Lucent, Stopping the Killing, კრებულში: Bellamy, Davies, Glanville, Responsibility to Protect (2011), 196–200.

¹² შეად. Schabas, Atrocities (2012), 22.

¹³ შეად. Fletcher, Dogmatik, 9 JICJ (2011), 179.

¹⁴ შეად. იქვე, 179–180.

¹⁵ შეად. Ohlin, Co-Perpetration, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 537.

¹⁶ თუ რა გზა განვლო საერთაშორისო სისხლის სამართალმა დღემდე დაწ. იხ. Kreß, Versailles-Nuremberg-The Hague, 40 IL (2006), 15–39; იხ. ასევე: Bassiouni, ICC, კრებულში: Bassiouni, ICL, Vol. III (2008), 117–132.

¹⁷ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკასთან დაკავშირებით დაწ. იხ. Bellelli (ed.), ICJ (2011), I თავი (ნაწილი II), II თავი, III თავი (ნაწილი II).

¹⁸ შეად. Bassiouni, Philosophy and Policy, კრებულში: Bohlander (ed.), Globalization (2010), 199–204.

¹⁹ ICC-ზე და რომის სტატუტზე დაწ. იხ. ტურავა, საფუძვლები (2015), 55–80; იხ. ასევე: ტურავა, ექსკლუზიური იურისდიქცია, კრებულში: ივანიძე (რედ.), ლეკვეიშვილი–85 (2014), 40–71.

პასუხისმგებლობის სხვადასხვა სახის ზოგად ფორმულირებებს, პრეცედენტული სამართლით „აკონკრეტებენ“ და უფრო მოქნილსა და ეფექტიანს ხდიან მათ.

საერთაშორისო სისხლის სამართალი, როგორც არის იგი დღეს, არ იარსებებდა, რომ არა ფართომასშტაბიანი, სისტემატური და სისტემური საერთაშორისო დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის პრობლემა. საერთაშორისო სისხლის სამართალი უფრო და უფრო მოქნილი ხდება. ამის მთავარი მიზეზი მისი ჩვეულებითი სამართლის განვითარებაა, რომელიც *ნიურნბერგის*, *ტოკიოს*, *ICTY*-სა და *ICTR*-სთან ერთად, უკვე *ICC*-საც შეგვიძლია მივაწეროთ.

XX საუკუნის სასტიკი ისტორიის შემდეგ, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობამ, შეძლებისდაგვარად, „სისხლისსამართლებრივად გააანალიზა“, XXI საუკუნის დასაწყისში აფრიკის კონტინენტზე, კერძოდ, *უგანდაში*, *კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში*, *სუდანში*, *ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში*, *კენიაში*, *ლიბიაში*, *კოტ-დ'ივუარსა* და *მალიში* საზარელ დანაშაულთა ჩადენამ, შეძრა საერთაშორისო თანამეგობრობა. ეროვნული მართლმსაჯულება, თითქმის ყველა შემთხვევაში, უძლური იყო გაეტარებინა სათანადო სისხლისსამართლებრივი ზომები ქვეყნის შიგნით ჩადენილი დანაშაულების აღსაკვეთად. აღნიშნული „სიტუაციები“ ეცნობა *ICC*-ს, საერთაშორისო თანამეგობრობის უკვე ახალი ინფრასტრუქტურით, დროული სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გატარების, კონფლიქტების ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით. სწორედ ასეთი საკითხების გადასაწყვეტად არის აგებული საერთაშორისო სისხლის სამართლის მთელი „არქიტექტურა“, რათა უზრუნველყოს პრევენციული და რეპრესიული ფუნქციების გატარება საერთაშორისო კრიმინალის აღსაკვეთად. მისი რეპრესია უზრუნველყოფს პრევენციას. სწორი საერთაშორისო სისხლის სამართლის პოლიტიკა, რომელსაც, უდავოდ, სამართლის სწორი დოგმატიკა ქმნის, საერთაშორისო დანაშაულებისა და, მათ შორის, მაღალი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების პრევენციის ერთადერთი საშუალებაა.

ICC მართლაც დიდი გამოწვევების წინაშე დგას. მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა იმის მოლოდინშია, თუ როგორ გაართმევს იგი თავს მასზე დაკისრებულ ამოცანებს. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების პრეცედენტული სამართლის გაანალიზებით, *ICC* საერთაშორისო სისხლის სამართალს ახალ შინაარსს მატებს, ეფექტიანი ზომების გასატარებლად ქმნის პასუხისმგებლობის ახალ საშუალებებს, რითაც *რომის სტატუტს*, რომელიც, ზოგადად, საერთაშორისო სისხლის სამართლის მთავარ „კოდექსს“ წარმოადგენს, უფრო მოქნილსა და პროდუქტიულს ხდის.

ნაშრომის მიზანია, ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი და კვლევის სხვა მეთოდების გამოყენებით საერთაშორისო სისხლის სამართალში დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელის

გამოკვლევა, თუ რა ფორმით განვითარდა იგი ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით. კერძოდ, მოხდება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების მოდელისა და დოქტრინის შესწავლა, ამსრულებლობის ინსტიტუტზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით, თუ რა „ინსტრუმენტს“ იყენებს საერთაშორისო სისხლის სამართალი „პროდუქტის“ მისაღებად, როგორ ხდება ფართომასშტაბიანი, სისტემატური და სისტემური საერთაშორისო დანაშაულების ჩადენაში ბრალდებული „საიდუმლო ლიდერების“ (*mastermind*) სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც დანაშაულის ამსრულებლებისა, რომელიც წარმოადგენს პასუხისმგებლობის ძირითად (*principal*) ფორმას და არა, როგორც (თანა)მონაწილეებისა, რომელიც პასუხისმგებლობის დამატებითი (*accessory*) ფორმაა. ამ ამოცანების ფონზე, შესაფასებელია, რამდენად ამართლებს სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების პრევენციული საერთაშორისო „მექანიზმი“, საერთაშორისო სისხლის სამართლის სახით, მისი შექმნის უმთავრეს იდეას, აღსრულების პირდაპირი (*direct enforcement*) და არაპირდაპირი (*indirect enforcement*) მექანიზმებით პოლიტიკური და სამხედრო ლიდერების სისხლისსამართლებრივ დევნას.²⁰

აღნიშნული მიზნის მისაღწევად განვიხილავთ დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვისა და საერთაშორისო დანაშაულის ცნებებს, როგორია მათი ურთიერთდამოკიდებულება საერთაშორისო სისხლის სამართლის სფეროში; გავაანალიზებთ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების მოდელს (სტრუქტურულად), საერთაშორისო სისხლის სამართლის ისტორიის ნაწილში, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის უძველესსა (ექსკურსი) და უახლეს ისტორიას, პერმანენტული მოდელის ჩათვლით; გამოვიკვლევთ დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინას (დოგმატიკას), კვალიფიკაციისათვის თუ რა აუცილებელ ნიშნებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების სტატუტებზე დაყრდნობითა და პრეცედენტულ სამართალთან პარალელების გავლებით; ამსრულებლობის ინსტიტუტზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით, გავაანალიზებთ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სტატუსისეულ და დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინულ ცნებებს, სისხლის სამართლის დროებითი (*ad hoc*) და მუდმივმოქმედი (*ICC*) საერთაშორისო სასამართლოების ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ცნებებს, შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით, მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინის ჩათვლით; დაბოლოს, შევაჯამებთ დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის სისტემას საერთაშორისო სისხლის სამართალში, მისი უახლესი ცნების ჩამოყალიბების მიზნით.

²⁰ შეად. *Olasolo*, *Criminal Responsibility* (2009), 82–109.

I. დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის ცნება

დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვა, იგივე ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა,²¹ არის *sui generis* საკითხი საერთაშორისო სამართალში. ამას განაპირობებს მისი შინაგანი და გარეგანი ფაქტორები, კერძოდ, საერთაშორისო დანაშაულების ბუნება და სისხლის სამართლის მოქმედების რუდიმენტული ხასიათი საერთაშორისო სასამართლოების კონტექსტში.²²

ეროვნულ სისხლისსამართლებრივ სისტემაში პასუხისმგებლობა დაფუძნებულია ინდივიდუალურ ბრალზე, რაც გულისხმობს პირის გასამართლებას დანაშაულში ინდივიდუალური კონტრიბუციის, მონაწილეობის ხარისხის შესაბამისად. იგი პერსონალურად იკიცხება.²³

საერთაშორისო სისხლის სამართლის თანამედროვე ინსტიტუციური ტრადიციორია შეიძლება გავიგოთ, როგორც ფართო „მიმოსვლა“ ინდივიდუალურ და კოლექტიურ პასუხისმგებლობას შორის²⁴, ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის ხაზგასმით.²⁵ უფრო რომ დავაკონკრეტოთ, საერთაშორისო სისხლის სამართალში, რომელიც ორიენტირებულია ძირითადად დანაშაულის ინდივიდუალურ შერაცხვაზე, მაინც არსებობს გარკვეული ეჭვი ინდივიდუალურ ბრალთან მიმართებით.²⁶ აღნიშნულთან დაკავშირებით დებატები გამოწვეულია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ისეთი სახეების არსებობით, როგორცაა დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობა და ხელქვეითის ქმედებაზე მეთაურების არასათანადო ხელმძღვანელობით გამოწვეული პასუხისმგებლობა.²⁷

დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის საკითხი წმინდა სისხლის სამართლის „თემაა“, რომელიც პირდაპირ კავშირშია სისხლის სამართლის მიზნებთან. შესაბამისად, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნება სისხლის სამართლის გარეშე შეუძლებელია. სისხლის სამართალში სწორედ ინდივიდია ის, ვისაც ერაცხება კონკრეტული დანაშაულებრივი შედეგი და ენიშნება სასჯელი. ბრალეულობა უნდა ეფუძნებოდეს დანაშაულში მონაწილეობას, რისი მტკიცებაც მხოლოდ სისხლის სამართლის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა. მიძიმე სანქციის

²¹ ნაშრომში ცნებები „დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვა“ და „ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“ გამოიყენება იდენტური მნიშვნელობით.

²² შეად. *Sliedregt*, *Criminal Liability*, 10 *JICJ* (2012), 1171–1172.

²³ შეად. *ტურავა*, *მოძღვრება* (2011), 403–504.

²⁴ შეად. *Simpson*, *Individual Responsibility*, კრებულში: *Nollkaemper, Wilt* (ed.), *System Criminality* (2009), 78; *Bonafe*, *State and Individual Responsibility* (2009), 239–255.

²⁵ „ნიურნბერგის პრინციპების“ პირველივე პრინციპი, *ius cogens* სტატუსით, აფუძნებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნებას. იხ. ნაშრომის III თავი, §9. ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპზე იხ. ნაშრომის XIII თავი.

²⁶ შეად. *Fletcher*, *Collective Guilt*, 111 *YaleLJ* (2002), 1513–1514, 1526–1537, 1567–1572.

²⁷ შეად. *Swart*, *Modes of Liability*, კრებულში: *Cassese* (ed.), *Oxford Companion* (2009), 89–90; *Bonafe*, *State and Individual Responsibility* (2009), 186–191. დაწ. იხ. ნაშრომის VIII და XII თავები.

შეფარდებისას მარტივად ვერ ვიტყვით, რომ ინდივიდი მხოლოდ ეხმარებოდა დანაშაულებრივ გაერთიანებას. უნდა დამტკიცდეს მისი კონკრეტული ინდივიდუალური ბრალეულობა – რაში გამოიხატა მისი „სისხლისსამართლებრივი წველილი“. ბრალდებულმა უნდა იცოდეს, რომ მისმა კონტრიბუციამ გამოიწვია სხვა პირის მიერ დანაშაულის ჩადენა და მან იცოდა ან უნდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული დანაშაულის ჩადენა.²⁸

აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო სისხლის სამართალი სისხლის სამართლის სისტემაზეა დამოკიდებული.²⁹ რამდენადაც არ უნდა სურდეს საერთაშორისო სამართალს სისხლის სამართლისგან დამოუკიდებლად მოქმედება საერთაშორისო დანაშაულებისთვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების პროცესში, ეს შეუძლებელია. სისხლის სამართლის ინტერვენცია თავისდაუნებურად ხდება. წარმოუდგენელია, სისხლის სამართლის გვერდის ავლით, ისეთ საკითხებზე მუშაობა, როგორცაა დანაშაული, დანაშაულის მატერიალური და მენტალური ელემენტები, პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, განსაკუთრებით, აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა, იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა, ფაქტობრივი და სამართლებრივი შეცდომა, აგრეთვე, ამსრულებლობა და თანამონაწილეობა.

საერთაშორისო დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი არ იყო განვითარებული საერთაშორისო სამართალში ადრეულ პერიოდში, თუნდაც, სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით. ერთი მხრივ, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გამოყენება, კონკრეტულ სიტუაციაში, შესაძლებელი იყო უფრო ინდივიდების მიმართ, ვიდრე სახელმწიფოების,³⁰ თუმცა, პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია არ ხდებოდა. დღეის მდგომარეობითაც, საერთაშორისო სისხლის სამართალი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნებისას სახელმწიფოს ქმედებას არ ტოვებს მთლიანად პროცესის გარეთ. იგი, გარკვეულ შემთხვევებში, აკონტროლებს სახელმწიფოს ქმედებას, მაგალითად, თუ რამდენად ჰქონდა მას საომარი მოქმედებების დაწყების უფლება (*jus ad bellum*) და რამდენად დაიცვა ომის სამართალი (*jus in bello*), რომლისთვისაც არსებობს, ასევე, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი.³¹ აგრესიის დანაშაულიც არის დანაშაული, ჩადენილი სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირების მიერ.³² ომის დანაშაულს, გენოციდსა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, შესაძლოა, ჰქონდეს სახელმწიფოებრივი

²⁸ შეად. Weigend, Problems of Attribution, 12 *JICJ* (2014), 265.

²⁹ შეად. ტურავა, საფუძვლები (2015), 1–2; Bonafe, State and Individual Responsibility (2009), 12–13, 168–169; Schaack, Slye, ICL Enforcement (2007), 4, 13.

³⁰ შეად. Foakes, Position of Officials (2014), 181–183.

³¹ შეად. Sunga, Individual Responsibility (1992), 16–17.

³² იხ. Kampala Resolution RC/Res.6 (1.6.2010), <https://www.icc-cpi.int/iccdocs/asp_docs/ASP9/OR/RC-11-ENG.pdf>, [9.1.2016]; იხ. ასევე: ერესი, პოლტცენდორფი, კამპალას კომპრომისი, 1 *სამართლის ჟურნალი* (2011), 278–319; Kreß, Holtzendorff, Kampala Compromise, 8 *JICJ* (2010), 1179–1217. დაწ. იხ. Kreß, Barriga (ed.), Crime of Aggression (2012).

წარმომადგენლობის ელემენტები,³³ მაგრამ საერთაშორისო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტს მაინც ინდივიდი წარმოადგენს.³⁴ ეს იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო სისხლის სამართალი ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას *stricto sensu* აფუძნებს საერთაშორისო სამართალში.³⁵

საერთაშორისო სამართლის სუბიექტი ისტორიულად იყო სახელმწიფო და სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციები.³⁶ ინდივიდები არ არიან, პირდაპირი გაგებით, საერთაშორისო სამართლის სუბიექტები. ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას აფუძნებს თვითონ სამართლებრივი ნორმები.³⁷ საერთაშორისო სამართალი, მეორე მხრივ, ავითარებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დეფინიციას, იმის ხაზგასმით, რომ მხოლოდ სახელმწიფო არ არის პასუხისმგებელი საერთაშორისო არეულობისათვის.³⁸ სახელმწიფო არის აბსტრაქტული ორგანიზაცია, რომელიც იმართება ინდივიდების მიერ. მათ უნდა ჰქონდეთ გააზრებული საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულება. საერთაშორისო სისხლის სამართალმა, ადამიანის უფლებათა დარღვევისთვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნებით, მოახდინა ინდივიდთა ვალდებულებების იდენტიფიკაცია საერთაშორისო სამართალში.³⁹

საერთაშორისო სისხლის სამართლის მიერ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის *stricto sensu* დაფუძნება საერთაშორისო სამართალში ხელს არ უშლის საერთაშორისო სამართალს დამოუკიდებლად იმუშაოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე – სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პარალელურად შეიძლება განიხილებოდეს.⁴⁰

ამ თემის ირგვლივ, ასევე, ხაზგასასმელია საერთაშორისო სისხლის სამართლის დამოკიდებულება იურიდიული პირის პასუხისმგებლობასთან. ეს

³³ იხ. *Bonafe, State and Individual Responsibility* (2009), 23–31; *Fletcher, Collective Guilt*, 111 *YaleLJ* (2002), 1514–1526.

³⁴ შეად. *Cryer, Friman, Robinson, Wilmshurst, Introduction to ICL* (2014), 7.

³⁵ ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საერთაშორისო სისხლის სამართლის ინგლისურ ლიტერატურაში სხვადასხვა ცნებით გამოიხატება – *Individual Responsibility* ან *Individual Liability*, რომლებსაც ერთი მნიშვნელობა აქვთ. ყურადსაღებია ამ ორი ცნების მიმართ *ბურჰარდტის (Burghardt)* ინდივიდუალური ინტერპრეტაცია. იგი *Responsibility* ცნებას იყენებს პირის ქმედების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, ხოლო *Liability* ცნებით გამოხატავს ბრალდებულის ქმედებას (*Individual Responsibility*), რომელიც იწვევს პასუხისმგებლობას დამდგარი შედეგისათვის. იხ. *Burghardt, Modes of Participation*, კრებულში: *Burchard, Triffterer, Vogel, Future of ICC* (2010), 81, სქოლიო 2.

³⁶ იხ. *ალექსბოძე, საერთაშორისო სამართალი* (2014), 8; *Bassiouni, Introduction to ICL* (2013), 59.

³⁷ შეად. *O'Shea, Criminal Responsibility*, კრებულში: *Wolfrum* (ed.), *MPEPIL*, Vol. V (2013), 142–143.

³⁸ შეად. იქვე, 145; *ალექსბოძე, საერთაშორისო სამართალი* (2014), 197.

³⁹ იხ. *Simbeye, Immunity* (2004), 71–72.

⁴⁰ შეად. *ალექსბოძე, საერთაშორისო სამართალი* (2014), 196; იხ. ასევე: *რომის სტატუტის* 25(4)-ე მუხლი.

უკანასკნელი საერთო სამართლის მიერ იქნა შემოდებული. რომანული სამართლის სისტემა, ტრადიციულად, არ ითვალისწინებდა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა ახლოს დგას ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან. ეს ნიშნავს იმას, რომ ერთი მიმართულებით, იურიდიულ პირებს კი ეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაგალითად, ჯარიმის სახით, მაგრამ, მეორე მიმართულებით, ასევე, გადაწყვეტილების მიმღებსაც. მიუხედავად გარკვეული მცდელობისა, იურიდიული პირის პასუხისმგებლობამ თავისი ადგილი ვერ დაიმკვიდრა საერთაშორისო სისხლის სამართალში.⁴¹

ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება, რომელიც გვხვდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების სტატუტებში, რასაც ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ, ეროვნული სისხლის სამართლიდან არის გადმოტანილი. მხოლოდ *JCE* და მეტაურის პასუხისმგებლობის დოქტრინა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წმინდა საერთაშორისო ხასიათის ფორმას, რომელიც, ასევე, შეიქმნა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კონტექსტში.⁴²

საერთაშორისო სისხლის სამართალში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისათვის.

⁴¹ ჩვეულებისამებრ, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმა, უმეტესწილად, ორგანიზებულ, კორუფციულ და ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით გამოიყენება. დაწ. იხ. *Bassiouni*, Introduction to ICL (2013), 61–66.

⁴² შეად. *Werle, Jessberger*, Principles of ICL (2014), 200–201, 221.

II. საერთაშორისო დანაშაულის ცნება

დანაშაულის ჩადენა ყოველთვის ნებისმიერი საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი.⁴³ კრიმინოლოგიური სიტუაციის გაუარესება იწყება მაშინ, როდესაც ომსა და დანაშაულს შორის იშლება ზღვარი. XX საუკუნე, რომელიც შეგვიძლია მივიჩნიოთ „გენოციდის პერიოდად“, ამის კარგი მაგალითია.⁴⁴

საერთაშორისო დანაშაულის ცნებას საერთაშორისო სამართალი ქმნის ინდივიდების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, დამოუკიდებლად, ეროვნული სისხლის სამართლის ინტერვენციის გარეშე.⁴⁵ ამასთან, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვა – ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნება, სისხლის სამართლის ინტერვენციით ხორციელდება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო სამართლის ნების გათვალისწინებით, ვინაიდან თვითონ იგი „უკვეთავს“ სისხლის სამართალს მის მიერ განსაზღვრული ქმედების დასჯას.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საფუძვლების დადგენა საერთაშორისო სისხლის სამართალში შედარებით რთულია, ვიდრე შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სისტემაში. სახელმწიფო ხშირად მოქმედებს, როგორც გიგანტური დანაშაულებრივი ორგანიზაცია,⁴⁶ როდესაც შეუძლებელია ერთი კრიმინალური აქტის განსხვავება მეორისგან. საერთაშორისო დანაშაულების ჩადენა ხასიათდება ადამიანთა დიდი ჯგუფის, საერთო მიზნით განმსჭვალული გაერთიანებების თანამოქმედებით. დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის პროცესს, საერთაშორისო დანაშაულების ორგანიზებულობის, მაკროკრიმინალური გარემოს (ფართომასშტაბიანობის), სისტემურობისა და სისტემატურობის გარდა, ართულებს საერთაშორისო სისხლის სამართლით დადგენილი დანაშაულების მტკიცებულებების ლატენტური ხასიათი. კონკრეტული ინდივიდის შემხებლობის დადგენა კოლექტიური ხასიათის დანაშაულთან, რომელიც დიდ გეოგრაფიულ რეგიონზე ვრცელდება და მისი მოქმედების არეალი მეტად დიდია, ასევე, პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვება,⁴⁷ რომლებიც მიუთითებს მის ბრალეულობას, თითქმის ყველა შემთხვევაში, რთულია. მაგალითისათვის, წარმოვიდგინოთ *ჰოლოკოსტი*, *იუგოსლავიის (სრებრენიცა)*, *რუანდის* შემთხვევები, სადაც უამრავი ადამიანი გახდა რამდენიმე დღეში განხორციელებული ძალადობის მსხვერპლი. ადგილი ჰქონდა მასშტაბური ხასიათის დანაშაულებს, სადაც დეტალურად იმის დადგენა, თუ რა მოხდა და ვინ განახორციელა უკანონო ქმედება, ძალზე რთული იყო.

⁴³ შეად. Tonry, Crime and Policy (2009), 4.

⁴⁴ შეად. Waller, Perpetrators, კრებულში: Smeulers (ed.), Collective Violence and ICJ (2010), 19–21.

⁴⁵ შეად. იქვე, 8.

⁴⁶ შეად. Schabas, Atrocities (2012), 22–23.

⁴⁷ საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესზე დაწ. იხ. ტურავა, ჰარმონიული კონვენციის კრებულში: კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა (2014), 73–118.

თუ ეროვნული სისხლის სამართალი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრებისას, როგორც წესი, გამოიძიება იწყებს კონკრეტულად დანაშაულის ამსრულებლის მიერ ჩადენილ ქმედებაზე, საერთაშორისო სისხლის სამართალი, უპირველესად, სწავლობს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ ფონს, თუ რამ გამოიწვია დანაშაულის ჩადენა და შემდგომ აფუძნებს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას.⁴⁸ ეს უფრო ნათელი გახდება, თუ გადავხედავთ ICC-ის მიმდინარე პრაქტიკას.⁴⁹

საერთაშორისო სისხლის სამართალში, კონკრეტული ქმედების კვალიფიკაციისას, გასათვალისწინებელია ინდივიდის წვლილი დანაშაულის ჩადენაში, შედეგის დადგომაში. არაჰუმანურ სისასტიკეში დანაშაულის სიმძიმე არ უნდა შეფასდეს მხოლოდ ერთი მარტივი კონტრიბუციით, არამედ, სხვადასხვა გარემოებით, რომელიც აღწერს „სიტუაციას”.⁵⁰ ხალხი არ არის „პასიური იარაღი”. დანაშაულების ჩადენა არ არის „ავტომატური” და გარდაუვალი მოვლენა. დანაშაულს სჩადის ინდივიდი. ამსრულებლების გამოყოფა ხდება იმის მიხედვით, თუ რომელს ჰქონდა უფრო დიდი გავლენა და ძალაუფლება დანაშაულის ჩასადენად, ვინ მოქმედებდა სხვა პირის მეშვეობით და ვინ იჩენდა უმოქმედობას დანაშაულის ჩადენისას.⁵¹ ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, დაეკისრება იმას, ვინც იყო გადაწყვეტილების მთავარი მიმღები დაჯგუფების, გაერთიანების, ორგანიზაციის ფარგლებში.⁵² ასეთ მიდგომას საერთაშორისო დანაშაულის განსაკუთრებული თავისებურება ქმნის.

1. საერთაშორისო დანაშაულის განსაკუთრებული თავისებურება („სავიზიტო ბარათი”)

საერთაშორისო სისხლის სამართალში, ისევე, როგორც ნებისმიერ ეროვნულსამართლებრივ სისტემაში, პასუხისმგებლობა წარმოიშობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი „მატერიალურად” სჩადის დანაშაულს, არამედ მაშინაც, როდესაც სხვა ფორმით მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში.⁵³ განსხვავებით ეროვნული სამართლებრივი სისტემისაგან, სადაც დამნაშავე, ტრადიციული გაგებით, ეს არის ინდივიდი, რომელიც უშუალოდ „სასხლეტს გამოჰკრავს ხელს”, საერთაშორისო სისხლის სამართალში იგი გაიგივებულია პირთან, რომელიც დანაშაულს ახორციელებს

⁴⁸ შეად. *Ambos*, ‘Most Responsible’, კრებულში: *Nollkaemper, Wilt* (ed.), *System Criminality* (2009), 128.
⁴⁹ ICC-ის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების პრაქტიკაზე იხ. ნაშრომის IX–XII თავები.
⁵⁰ შეად. *Ambos*, *Common Purpose under Article 25(3)(D)*, კრებულში: *Stahn* (ed.), *ICC* (2015), 602.
⁵¹ შეად. *Smeulers, Hola*, *Culpability of Perpetrators*, კრებულში: *Smeulers* (ed.), *Collective Violence and ICJ* (2010), 177.
⁵² შეად. *Ambos*, ‘Most Responsible’, კრებულში: *Nollkaemper, Wilt* (ed.), *System Criminality* (2009), 127–157.
⁵³ შეად. *Cassese, Acquaviva, Fan, Whiting*, *ICL* (2011), 323.

დანაშაულებრივი გეგმის ორგანიზებით, ბრძანების გაცემითა და მაღალ დონეზე საიდუმლო ლიდერობით.⁵⁴

საერთაშორისო დანაშაულების ჩადენაში წამყვანი ფიგურა არის „ამსრულებლის უკან მდგომი პირი“, რომელსაც უფრო მეტად მიუძღვის ბრალი იმ პირთან შედარებით, რომელიც უშუალოდ ახორციელებს მკვლელობას, წამებას, გაუპატიურებას და სხვ.⁵⁵ „საშუალო დონის“ დამნაშავე პირი არის, ე.წ. „ერთგული მებრძოლი“, რომელიც ემორჩილება უმაღლესი თანამდებობის პირის ბრძანებას და უზრუნველყოფს დანაშაულის სისრულეში მოყვანას.⁵⁶ „დაბალი დონის“ დამნაშავე, მრავალი ამსრულებლისგან შემდგარი ჯგუფის დროს, არის რიგითი ამსრულებელი, რომელიც იზიარებს არსებულ სოციალურ გარემოებას. მას ინდივიდუალურად არ აქვს გარემოების შეცვლის ძალაუფლება.⁵⁷ „ყველაზე დაბალი დონის“ ფიგურა საერთაშორისო დანაშაულებში არის კომპრომისზე წასული ამსრულებელი, პირი, რომელსაც ახლო კავშირი აქვს დანაშაულის ჩამდენ ჯგუფთან და არაპირდაპირ ამსრულებელთან. იგი სჩადის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას საკუთარი თავის (ოჯახის) დასაცავად, როდესაც ადგილი აქვს მუქარასა და იძულებას.⁵⁸

საერთაშორისო დანაშაულებში ბრალდებულები, პრაქტიკულად, ყველა შემთხვევაში, მოქმედებენ ერთად, ერთიანი გეგმითა და განზრახვით, ამოძრავებთ საერთო მიზანი, ორგანიზაციული ფორმით იყენებენ ძალისმიერ

⁵⁴ შეად. Cryer, Friman, Robinson, Wilmschurst, Introduction to ICL (2014), 353.

⁵⁵ შეად. Weigend, Problems of Attribution, 12 JICJ (2014), 254.

⁵⁶ შეად. Smeulers, Hols, Culpability of Perpetrators, კრებულში: Smeulers (ed.), Collective Violence and ICJ (2010), 183–184.

⁵⁷ შეად. იქვე, 185–187.

⁵⁸ შეად. იქვე, 188. როგორც საერთაშორისო [რომის სტატუტის 31(1)(d)-ე მუხლი], ისე ეროვნულ სისხლის სამართალში [საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე და 38-ე მუხლები] იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა წარმოადგენს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებას. ამ თემაზე ყურადღებას იქცევს ICTY-ის მიერ განხილული *Prosecutor v. Erdemovic*-ის საქმე, რომელშიც ბრალდებულს, როგორც ბოსნიელი სერბების არმიის ჯარისკაცს, ბრალად ედებოდა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა, კერძოდ, 70-მდე შეუიარაღებელი ბოსნიელი მუსულმანის მკვლელობა. დანაშაული გამოწვეული იყო მუქარით – თუ იგი უარს იტყოდა დანაშაულის ჩადენაზე, მას გაუსწორდებოდნენ. ICTY-მ აღნიშნული მუქარა არ მიიჩნია პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად, იმის გამო, რომ ასეთს არ იცნობდა სასამართლოს წესდება და არც სასამართლო პრაქტიკით იყო მხარდაჭერილი. თუმცა, ეს არ იყო პალატის ერთსულლოვანი მოსაზრება. განსხვავებული აზრი ეკუთვნოდა მოსამართლეებს – *კასესე* (*Cassese*) და *სტეფენსი* (*Stephen*), რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მკვლელობის შემთხვევაში იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის კატეგორიული გამორიცხვა დაუშვებელი იყო. იხ. ICTY, *Prosecutor v. Erdemovic*, TC Judgment, 29.11.1996; ICTY, *Prosecutor v. Erdemovic*, AC Judgment, 7.10.1997; ICTY, *Prosecutor v. Erdemovic*, TC Judgment, 5.3.1998; იხ. ასევე: *Kreß*, Erdemovic, კრებულში: *Cassese* (ed.), Oxford Companion (2009), 660–663. აღნიშნული პრობლემა გაიზიარა ICC-მ. რომის სტატუტის 31-ე, 32-ე და 33-ე მუხლებში დეტალურად არის განსაზღვრული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, რომლებიც გადახედვას არ ექვემდებარება. სტატუტში, ასევე, ადგილი აქვს დათმობილი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ ზესტატუტურ გარემოებებსაც, რომლებიც ინტერპრეტაციისათვის არის შექმნილი. დაწ. იხ. Rowe, Duress, 1 YIHL (1998) 210–228.

მეთოდებს მსხვერპლის წინააღმდეგ. უმეტესობა პირებისა, რომლებიც ICC-ის მიერ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში არიან მიცემული, არ არიან დანაშაულის აქტიური ამსრულებლები (დანაშაულში ფიზიკური მონაწილეობის გაგებით) და უმეტეს სამართლებრივ სისტემაში ისინი, შესაძლებელია, პასუხისმგებელი იყვნენ, როგორც დანაშაულის თანამონაწილენი.⁵⁹

საერთაშორისო სისხლის სამართლით კრიმინალიზებული ქმედება „პოტენციურად“ დანაშაულს წარმოადგენს ეროვნული სისხლის სამართლითაც.⁶⁰ შესაბამისად, *რომის სტატუტისა* და პრეცედენტული სამართლით დადგენილ დანაშაულში მონაწილეობისთვის გათვალისწინებული ფართო ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ფორმები, შესაძლებელია, გამოყენებული იქნეს ეროვნულ სისხლის სამართლშიც,⁶¹ თუ ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები.

საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულები, როგორც არის გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ომის დანაშაული, აგრესია, ტერორიზმი, ადამიანით ვაჭრობა, ნარკოტიკული დანაშაულები და სხვა, თავისი სპეციფიკურობით გამოირჩევიან. მათი ჩადენა, პრაქტიკულად, ინდივიდუალურად შეუძლებელია და, უმეტესწილად, ადამიანთა დაჯგუფების მიერ კონსოლიდირებული ძალისხმევით ხორციელდება. აღნიშნული დანაშაულებიდან საერთაშორისო ტრიბუნალებისა და ICC-ის იურისდიქცია მხოლოდ ოთხ დანაშაულზე (ე.წ. *core crimes*): გენოციდზე, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე, ომის დანაშაულსა და აგრესიაზე ხორციელდება. ეს არის დანაშაულთა ის წრე, რომელიც დიდ დარტყმას აყენებს საერთაშორისო თანამეგობრობას, მსოფლიოს მშვიდობას, უშიშროებას, კეთილდღეობას და, უმეტესწილად, ასოცირდება „ეთნიკური წმენდის“ სახელწოდებასთან.

2. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა „ეთნიკური წმენდისათვის“

საერთაშორისო სისხლის სამართალში საერთაშორისო თანამეგობრობის პოლიტიკის ზეგავლენით გამოიყენება ტერმინი – „ინდივიდუალური პასუხისმგებლობა ეთნიკური წმენდისათვის“ (*individual responsibility for ethnic cleansing*), რომელიც აბსტრაქტული ცნებაა.

ტერმინი „ეთნიკური წმენდა“, დღევანდელი მნიშვნელობით, პირველად XX საუკუნეში, კერძოდ, II მსოფლიო ომის დროს გამოიყენეს. *ფაშისტური ქვეყნების ალიანსმა* (*Axis Power*), როდესაც მოახდინა *იუგოსლავიის* ოკუპაცია და დაანაწევრა ქვეყანა *გერმანიისა* და *იტალიის* გავლენის

⁵⁹ შეად. Schabas, RS Commentary (2010), 422.

⁶⁰ შეად. Burghardt, Modes of Participation, კრებულში: *Burchard, Triffterer, Vogel, Future of ICC* (2010), 87–88.

⁶¹ შეად. იქვე.

სფეროებად, *ხორვატია*⁶² ნაცისტური *გერმანიის* გავლენის ქვეშ მოაქცია. ამ პერიოდში ხორვატიულ-ნაცისტური მოძრაობის, *უსტაშას* (*Ustasha*), ინიციატივით, *ანტე პაველიჩის* (*Ante Pavelic*) ლიდერობით, დაიწყო *ხორვატიის* ტერიტორიაზე მცხოვრები სლავი-სერბების „ეთნიკური წმენდა“, რამაც მასშტაბური ხასიათი მიიღო. სწორედ დასავლეთ *ბოსნიის* იმდროინდელმა მმართველმა, *ვიქტორ გუტიშმა* (*Victor Gutisch*) გამოიყენა პირველად II მსოფლიო ომის დროს ტერმინი – „ეთნიკური წმენდა“, *უსტაშას* მიერ დაახლოებით 1 500 000 სერბის „ეთნიკური წმენდის“ აღსანიშნავად, საიდანაც 500 000-მდე პირი იქნა მოკლული.⁶³

ტერმინი – „ეთნიკური წმენდა“ გულისხმობს კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფის დევნას სხვადასხვაგვარი პოლიტიკის გატარებით, ერთფეროვანი ეთნიკური გეოგრაფიული სივრცის შექმნის მიზნით.⁶⁴ იგი ხშირად გამოიყენებოდა საერთაშორისო მედიის მიერ 90-იან წლებში ყოფილი *იუგოსლავიის* ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულთა აღსაწერად, რის შემდეგ, უკვე დამკვიდრდა გაეროს ლექსიკონშიც.⁶⁵

„ეთნიკური წმენდის“ კონტექსტი არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი, ან ორი დანაშაულით. იგი არც იურიდიულ ტერმინს წარმოადგენს და არც წმინდა დამოუკიდებელ დანაშაულს.⁶⁶ თავდაპირველად ტერმინი, უმეტესწილად, გამოიყენებოდა გენოციდის დანაშაულთან კავშირში, გენოციდის ბუნებიდან გამომდინარე,⁶⁷ ხოლო შემდეგში სხვა დანაშაულებთან მიმართებაშიც.⁶⁸ შესაბამისად, ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას „ეთნიკური წმენდისათვის“ სისხლის სამართალში არ გააჩნია ზუსტი ინტერპრეტაცია.⁶⁹

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მხოლოდ „ეთნიკური წმენდის“ არსებობა არ ნიშნავს დანაშაულის, კერძოდ, გენოციდის დანაშაულის ჩადენას, თუ არ იკვეთება კონკრეტული დანაშაულისათვის დამახასიათებელი სხვა ინდივიდუალური გარემოება.⁷⁰

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპის გამოყენებას საერთაშორისო დანაშაულების მიმართ დიდი ხნის ისტორია აქვს, რაც განხილულია შემდგომ თავში.

⁶² დღეის მდგომარეობით *ხორვატია* და *ბოსნია-ჰერცეგოვინა*.

⁶³ იხ. *Scharf, Balkan Justice* (1997), 23–24.

⁶⁴ იხ. *Geiss, Ethnic Cleansing*, კრებულში: *Wolfrum* (ed.), MPEPIL, Vol. III (2013), 681.

⁶⁵ იხ. იქვე.

⁶⁶ შეად. *Werle, Jessberger, Principles of ICL* (2014), 308–309.

⁶⁷ „ეთნიკური წმენდის“ შინაარსი ახლო კავშირშია გენოციდის დანაშაულის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ გარემოებებთან.

⁶⁸ იხ. *Geiss, Ethnic Cleansing*, კრებულში: *Wolfrum* (ed.), MPEPIL, Vol. III (2013), 682, 689–691.

⁶⁹ დაწ. იხ. *Scharf, Balkan Justice* (1997), 21–36.

⁷⁰ შეად. *Werle, Jessberger, Principles of ICL* (2014), 308–309.

III. ინდივიდუალური სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის განვითარება – „ისტორიიდან სამართლამდე“

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინისა და ნორმების ჩამოყალიბება საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა. მეცნიერები საერთაშორისო სისხლის სამართლის უძველესი წყაროს დადგენას მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე ცდილობდნენ, საერთაშორისო დანაშაულების დევნის ისტორიული ფაქტების მოძიებითა და სამართლებრივი პარალელების გავლებით. ამ მხრივ, აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთში მოღვაწე გერმანელი იურისტის, გეორგ შვარცენბერგერის (Georg Schwarzenberger) პიროვნება, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარებაში. ისტორიის ანალიზის გარეშე შეუძლებელია *status quo*-ს შეფასება.⁷¹ საერთაშორისო სისხლის სამართალმა *პაავამდე* დიდი გზა განვლო.

1. საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძვლები

საერთაშორისო სისხლის სამართლის, შესაბამისად, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის,⁷² განვითარება დაკავშირებულია ომის სამართლის ისტორიასთან. ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი *ქსენოფონტი* (Xenophon) ძვ. წ. V საუკუნეში წერდა სპარტანელი მეთაურის მიერ ათენელი პატიმრების გასამართლების ფაქტზე *საბერძნეთის* ომის სამართლის სხვადასხვა დარღვევის გამო. *ბიზანტიის* იმპერატორი *მაურიკიოსი* (Maurice) VI საუკუნეში აქვეყნებდა ომის წესებს, რომლებიც შეიცავდა აკრძალვებსა და სასჯელებს დადგენილი წესების დარღვევისათვის.⁷³

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საფუძვლები შეინიშნება *ინგლისის* მეფე *რიჩარდ II-ის* (Richard II) მიერ 1386 წელს გამოცემულ ბრძანებულებაშიც, რომელიც მტრებისა და სიკვდილმისჯილი პირების მოპყრობის წესებს ადგენდა. კერძოდ, იგი განსაზღვრავდა ქალების წამების ფარგლებს, აკრძალული იყო სახლების დაწვა, ეკლესიების წაბილწვა და სხვ. მსგავსი მოთხოვნები იყო ჩადებული *უნგრეთის* კანონთა კრებულში 1526 წელს, იმპერატორ *მაქსიმილიან II-ის* (Maximilian II) მიერ 1570 წელს გამოქვეყნებულ წესებში და მეფე *გუსტავ II ადოლფუსის* (Gustavus II Adolphus) მიერ 1621 წელს მიღებულ აქტებში. მის მიერ გამოცემული სამხედრო დეკრეტის მე-100 მუხლში ეწერა, რომ ტირანია არ უნდა

⁷¹ შეად. Cryer, Prosecuting (2005), 17–18.

⁷² საერთაშორისო სისხლის სამართლის რეგულირების უმთავრეს სფეროს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს, რასაც მოწმობს ზემოთ განხილული ინდივიდუალური პასუხისმგებლობისა და საერთაშორისო დანაშაულის ცნება. იხ. ნაშრომის I და II თავები.

⁷³ იხ. Cryer, Prosecuting (2005), 12–17.

განხორციელებულიყო სასულიერო და ხანდაზმული კაცების, ქალების და, ასევე, ბავშვების მიმართ.⁷⁴

ომის წარმოების, პირველ ეტაპზე დაუწერელი და შემდეგში დაწერილი, „კანონების“ დარღვევისათვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნება უფრო და უფრო ინტერნაციონალიზებული ელემენტების გამოყენებით ხდებოდა.

2. სისხლის სამართლის საერთაშორისო ხასიათის პირველი დროებითი სასამართლო

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ისტორიის საფუძვლების დადგენისას, ყურადსაღებია 1474 წელს გამართული *პიტერ ფონ ჰაგენბახის* (*Peter von Hagenbach*) პროცესი, რომელიც 28 მოსამართლისაგან შემდგარმა *ad hoc* ტრიბუნალმა გაასამართლა.⁷⁵

ჰაგენბახი ბურგუნდიის (*Burgundy*) ქალაქ *ბრაიზახის* (*Breisach*) მმართველი იყო, ზედა რაინზე,⁷⁶ რომლის მოღვაწეობა სისასტიკის, ტერორისა და ტირანიის რეჟიმით იყო ცნობილი. მკვლელობა, წამება, გადასახადების უკანონო დაწესება და კერძო საკუთრების უკანონო ჩამორთმევა „ჩვეულებრივ ქმედებას წარმოადგენდა“, რაც მეზობელი ტერიტორიის მოსახლეობაზეც ვრცელდებოდა. მას შემდეგ, რაც დიდმა კოალიციამ, *ავსტრიისა* და *საფრანგეთის* მონაწილეობით, ბოლო მოუღო *ბურგუნდიის* ჰერცოგის ძალაუფლებას, *ავსტრიის* ერცჰერცოგმა დაატყვევა *ჰაგენბახი* და გასცა მისი გასამართლების ბრძანება.⁷⁷

ჰაგენბახს ბრალი ედებოდა მკვლელობაში, გაუპატიურებასა და სხვა დანაშაულში.⁷⁸ მან, როგორც სასამართლო პროცესზე აღინიშნა, ფეხქვეშ გათელა ადამიანისა და ღვთის კანონები. *ჰაგენბახი* არ სცნობდა სასამართლოს იურისდიქციას და უმაღლეს მსაჯულად მიიჩნევდა მხოლოდ *ბურგუნდიის* ჰერცოგს.⁷⁹

⁷⁴ იხ. *Greppi*, Individual Criminal Responsibility, 835 *IRRC* (1999), <<https://www.icrc.org/eng/resources/documents/misc/57jq2x.htm>>, [9.2.2016], რომელიც მოკლე ისტორიული ექსკურსის დროს უთითებს *გეორგ შვარცენბერგერის* ნაშრომს – *Schwarzenberger*, International Law, Vol. II (1968), 15.

⁷⁵ იხ. *Gordon*, Hagenbach, კრებულში: *Heller, Simpson* (ed.), Hidden Histories (2013), 13–18. დაწ. იხ. *Schwarzenberger*, Forerunner of Nuremberg (1946).

⁷⁶ ამ თანამდებობაზე იგი დანიშნა *ბურგუნდიის* ჰერცოგმა, *ჩარლზ მამაცმა* (*Charles the Bold*), მტრებისთვის „მრისხანე ჩარლზის“ სახელით ცნობილმა.

⁷⁷ იხ. *Cryer*, Prosecuting (2005), 17–18; იხ. ასევე: *Greppi*, Individual Criminal Responsibility, 835 *IRRC* (1999), <<https://www.icrc.org/eng/resources/documents/misc/57jq2x.htm>>, [9.2.2016].

⁷⁸ მათ შორის, ოჯახის ერთადერთი მარჩენალი არაგერმანელი დაქორაგებულების მოკვლის ბრძანების გაცემაში, რომელთა კმაყოფაზეც იყვნენ ქალები და ბავშვები.

⁷⁹ იხ. *Greppi*, Individual Criminal Responsibility, 835 *IRRC* (1999), <<https://www.icrc.org/eng/resources/documents/misc/57jq2x.htm>>, [9.2.2016]; იხ. ასევე: *Cryer*, Prosecuting (2005), 17–21.

ტრიბუნალმა *ჰაგენბახი* ცნო დამნაშავედ იმ დანაშაულებისათვის, რომელთა პრევენციაც მის ვალდებულებას წარმოადგენდა. პირდაპირ არ იყო ცნობილი, ჯარისკაცები აბსოლუტურად იყვნენ თუ არა ვალდებული დამორჩილებოდნენ თავიანთ მეთაურს, თუმცა, მას შეეძლო რეპრესიული გარემოს აღკვეთა თავისი ძალაუფლების გამოყენებით. იგი გულგრილად უყურებდა კრიმინოგენულ გარემოს. *ჰაგენბახს* რაინდის ტიტული ჩამოერთვა და სიკვდილით დაისაჯა მარშლის ბრძანებით: „ნება დართეთ მართლმსაჯულებას, აღსრულდეს“.⁸⁰

საერთაშორისო სისხლის სამართლისთვის სამართლის ისტორიის აღნიშნული მონაკვეთი რამდენიმე გარემოების გამო იყო საინტერესო. კერძოდ:

- *ჰაგენბახის* პროცესი აღიარებულია ომის დანაშაულების საერთაშორისო ხასიათის პირველ პროცესად;
- მოსამართლეები წარმოადგენდნენ სხვადასხვა მოკავშირე დამოუკიდებელ ქალაქსა და რეგიონს, რომლებიც უკვე არ იყო საღვთო რომის იმპერიის ნაწილი;
- დაბოლოს, *ჰაგენბახი* ინდივიდუალურად გასამართლდა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მსგავსი დანაშაულისათვის – მისი ბრალდებები მოიცავდა ომის დანაშაულსაც.⁸¹

3. საერთაშორისო სისხლის სამართლის პროლოგი

ომის დანაშაულებში ინდივიდების ქმედების ინკრიმინირებას გარკვეული პერიოდი დასჭირდა. ომის სამართლის პირველი სრულყოფილი კოდიფიკაცია საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში *ჰააგის* 1899 და 1907 წლების კონვენციებში მოხდა. ერთი მხრივ, იგი მოიცავდა ომის წესებისა და ჩვეულებების დარღვევისათვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ნიშნებს, თუმცა, მეორე მხრივ, განსაზღვრავდა ვალდებულებებს სახელმწიფოებისათვის. შესაბამისად, კონკრეტული ინდივიდების პასუხისმგებლობა, პირდაპირი წესით, არ იყო გათვალისწინებული.⁸²

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნაზე „ღია საუბარი“ XIX საუკუნის ბოლოდან იწყება. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის იდეა პირველად *წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის* პრეზიდენტმა, *გუსტავ მოინიერმა* (*Gustave Moynier*) დააყენა, *საფრანგეთ-გერმანიის* ომის დროს (1870-1871), *ქენეის* 1864 წლის 22 აგვისტოს კონვენციის დამრღვევი პირების (ორივე მხარის)

⁸⁰ იხ. იქვე.

⁸¹ იხ. *Gordon, Hagenbach*, კრებულში: *Heller, Simpson* (ed.), *Hidden Histories* (2013), 13–18.

⁸² იხ. *Schabas*, *Introduction to ICC* (2011), 2.

გასამართლების მიზნით.⁸³ იმ ეტაპზე ამის განხორციელება ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, ისტორიის ეს მონაკვეთი საერთაშორისო სისხლის სამართლისთვის არსებითი მნიშვნელობისაა, იმის ხაზგასმით, რომ სასამართლოს შექმნის ინიციატორი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია.⁸⁴

სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების ევოლუცია XX საუკუნიდან იწყება. ამ მხრივ, *ჰააგის* კონვენციების შემდეგ, მნიშვნელოვანია *ვერსალის* ხელშეკრულება და *ლაიფციგის* პროცესი, რომლებსაც საერთაშორისო სისხლის სამართლის პროლოგად მოიხსენიებენ,⁸⁵ როგორც *ნიურნბერგისა* და *ტოკიოს* პროცესის წინარე ეტაპს.

3.1. ვერსალის ხელშეკრულება

I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1919 წლის 28 ივლისს მიღებული *ვერსალის* ხელშეკრულება რამდენიმე მხრივ არის მნიშვნელოვანი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის თემაზე. კერძოდ, მისი VII თავი,⁸⁶ რომელიც ეხებოდა I მსოფლიო ომის პერიოდში ომის სამართლის დარღვევისათვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხს.

ერთი მხრივ, *ვერსალის* ხელშეკრულება, სპეციალური *ad hoc* ტრიბუნალის შექმნით, ითვალისწინებდა კონკრეტული პირის, *გერმანიის* იმპერატორის, *ვილჰელმ II-ის* (*Wilhelm II*) დასჯას „საერთაშორისო მორალის წინააღმდეგ მიმართული უზენაესი დანაშაულებისათვის“. ტრიბუნალი უნდა დაკომპლექტებულიყო *აშშ-ის*, *დიდი ბრიტანეთის*, *საფრანგეთის*, *იტალიისა* და *იაპონიის* მოსამართლეებისაგან და ეხელმძღვანელა „საერთაშორისო პოლიტიკის უმაღლესი მოტივით“.⁸⁷ ეს, უდავოდ, მის პოლიტიკურ ხასიათზე მეტყველებდა.⁸⁸

მეორე მხრივ, *ვერსალის* ხელშეკრულება მოკავშირე ძალების წარმომადგენლებს, *გერმანიის* ან მათ ტერიტორიაზე, აძლევდა სპეციალური სამხედრო ტრიბუნალების შექმნის უფლებას, რომლებიც გაასამართლებდა ომის კანონებისა და ჩვეულებების დარღვევაში ბრალდებულ გერმანელებს.⁸⁹

საბოლოოდ, *ვილჰელმ II-ს*, რომელიც *ჰოლანდიაში* გაიქცა, მიენიჭა პოლიტიკური დევნილის სტატუსი და მოკავშირე ძალებს უარი ეთქვათ მის ექსტრადიციამზე. რაც შეეხება სხვა პირებს, მათი გასამართლების

⁸³ იხ. *Satzger*, *International and European CL* (2012), 185–186.

⁸⁴ შეად. იქვე, 186.

⁸⁵ შეად. *Krefß*, *Versailles-Nuremberg-The Hague, IL* 40 (2006), 15–39.

⁸⁶ იხ. *ვერსალის* ხელშეკრულების 227-ე–230-ე მუხლები, <<http://avalon.law.yale.edu/imt/partvii.asp>>, [9.2.2016].

⁸⁷ იხ. იქვე, 227-ე მუხლი.

⁸⁸ შეად. *Satzger*, *International and European CL* (2012), 186.

⁸⁹ იხ. *ვერსალის* ხელშეკრულების 228-ე–229-ე მუხლები, <<http://avalon.law.yale.edu/imt/partvii.asp>>, [9.2.2016].

ვალდებულება *გერმანიის* მთავრობამ საკუთარ თავზე აიღო. ეს პროცესი კრახით დამთავრდა. შესაბამისად, სისხლის სამართლის საერთაშორისო ხასიათის ტრიბუნალის შექმნა ვერ მოხერხდა.

უარყოფითი შედეგის მიუხედავად, *ვერსალის* ხელშეკრულებამ, შეიძლება ითქვას, ბოლო მოუღო ევროპაში ომის დანაშაულებსათვის დაუსჯელობის გრძელვადიან პრაქტიკას.⁹⁰

3.2. ლაიფცივის პროცესი

საერთაშორისო სისხლის სამართლის ისტორიაში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების შემდეგი იმედგაცრუება *ლაიფცივის* პროცესი იყო, რომელსაც მოიხსენიებენ, როგორც „მართლმსაჯულების კომედიას, სკანდალსა და პაროდიას“.⁹¹

გერმანიის პარლამენტმა (*Reichstag*), 1919 წლის 18 დეკემბერს, მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, *გერმანიის უზენაეს სასამართლოს* (*Reichsgericht*) I მსოფლიო ომში გერმანელების მიერ ჩადენილი დანაშაულების განსჯის უფლება მიენიჭა. 1921 წლიდან მოყოლებული, მოკავშირე სახელმწიფოების მიერ მიწოდებული 896 გასასამართლებელი პირისგან შემდგარი სიდიდან, პროკურატურის შუამდგომლობით, 837-ზე მეტი სასამართლო პროცესი იქნა წამოწყებული სასამართლოში. *ლაიფცივის* პროცესის „პაროდია“ მდგომარეობდა იმაში, რომ, აღნიშნული რაოდენობიდან, სასამართლომ მხოლოდ 13 საქმე განიხილა, გამოიტანა 9 განაჩენი, 6 ბრალდებული გაათავისუფლა და მხოლოდ 6-ს დასდო მსჯავრი. განაჩენები აღსრულდა ნაწილობრივ, ან საერთოდ იქნა იგნორირებული. ამის შემდეგ, მოკავშირე ძალების მხრიდან იყო რამდენიმე მცდელობა მათ ტერიტორიაზე გერმანელთა გასამართლებისა, თუმცა, *გერმანიის* უარმა ექსტრადიციასზე ფორმალური სახე შესძინა ამ პროცესს.⁹²

შესაბამისად, I მსოფლიო ომში ჩადენილი დანაშაულებსთვის ეფექტიანი ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი გასამართლება ვერ მოხერხდა. შემდეგში ამისთვის უკვე არავის ეცალა *გერმანიასა* და მსოფლიოში განვითარებული მოვლენების – II მსოფლიო ომის გამო.

4. ნიურნბერგის პროცესი

II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მოკავშირე ძალების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა იმ ცოცხალი დამნაშავეების დასჯა, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღოდათ ათასობით ადამიანის მკვლელობაში.

⁹⁰ შეად. *Kreß, Versailles-Nuremberg-The Hague, IL 40* (2006), 16–17.

⁹¹ ასე მოიხსენია *საფრანგეთის* პრემიერ-მინისტრმა *ლაიფცივის* პროცესი 1921 წელს. იხ. *Satzger, International and European CL* (2012), 187.

⁹² იხ. იქვე; იხ. ასევე: *Kreß, Versailles-Nuremberg-The Hague, IL 40* (2006), 16–20.

საერთაშორისო დანაშაულები არ უნდა ყოფილიყო დაუსჯელი. უნდა შექმნილიყო ისეთი პრეცედენტი, რომელიც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების პრევენციის კარგი საშუალება იქნებოდა. ეს პირობა, რომელიც დღეს მკაფიოდ არის მოცემული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების პრეამბულაში, იმ პერიოდში გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

კვლევაში გვიჩვენა, რომ, მიუხედავად II მსოფლიო ომამდე გარკვეული ნიშნების არსებობისა,⁹³ საერთაშორისო სისხლის სამართლის „დაბადების მოწმობად“,⁹⁴ *ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის* წესდება უნდა მივიჩნიოთ. ეს წესდება II მსოფლიო ომში ოთხი გამარჯვებული ძალის მიერ 1945 წლის 8 აგვისტოს *ლონდონის შეთანხმებით* იქნა მიღებული.⁹⁵ მასში ჩამოყალიბებულმა პრინციპებმა ასევე ფეხი მოიკიდა შორეულ აღმოსავლეთში, *ტოკიოს ტრიბუნალში* და დღესდღეობით აღიარებულია, როგორც ჩვეულებითი სამართალი, რომელიც საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლის ბირთვის წარმოადგენს.

4.1. 1943 წლის მოსკოვის დეკლარაცია

ომის დამნაშავეების დასჯის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ *მოსკოვის კონფერენციაზე* იქნა მიღებული. 1943 წლის 30 ოქტომბრის დეკლარაციით, *გაერთიანებული სამეფოს*, *აშშ-ისა* და *საბჭოთა კავშირის* მთავრობები შეთანხმდნენ მასშტაბური დანაშაულების ჩადენაში პასუხისმგებელი ნაცისტური პარტიის წევრები, ინდივიდუალური წესით (ეროვნული სამართლით) გასასამართლებლად გადაეცათ იმ ქვეყნებისათვის⁹⁶, რომლებმაც ეს ოდიოზური დანაშაულები იწვენიეს. ასევე, განისაზღვრა, რომ იმ მთავარი დამნაშავეების გასამართლება, რომელთა დანაშაულებს „არ ჰქონდა კონკრეტული საზღვრები“, მოხდებოდა მოკავშირე ძალების მთავრობების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.⁹⁷

საერთო კონსენსუსის მიუხედავად, კითხვა იყო ერთი – თუ როგორ უნდა მომხდარიყო ამ იდეის სისრულეში მოყვანა. რამდენიმე წინადადება განიხილებოდა. ყველა შიშობდა *ლაიფციგის* პროცესის მარცხის განმეორებას. *დიდი ბრიტანეთის* ლიდერები, მათ შორის, პრემიერ-მინისტრი *უინსტონ ჩერჩილი (Winston Churchill)*, წინააღმდეგი იყო ომის დანაშაულების საერთაშორისო სასამართლო პროცესის გამართვის, რომ არ

⁹³ იხ. Bassiouni, ICC, კრებულში: Bassiouni, ICL, Vol. III (2008), 117–132; იხ. ასევე: Kreß, Versailles-Nuremberg-The Hague, IL 40 (2006), 15–39.

⁹⁴ შეად. Werle, Jessberger, Principles of ICL (2014), 5.

⁹⁵ იხ. London Agreement (8.8.1945), <http://www.icls.de/dokumente/imt_london_agreement.pdf>, [9.2.2016].

⁹⁶ განსაკუთრებით, *პოლონეთი*, *ჩეხოსლოვაკია*, *იუგოსლავია*, *საბერძნეთი* (*კრეტას* და *სხვა კუნძულების* ჩათვლით), *ნორვეგია*, *დანია*, *ჰოლანდია*, *ბელგია*, *ლუქსემბურგი*, *საფრანგეთი* და *იტალია*.

⁹⁷ იხ. The Charter and Judgment of the Nürnberg Tribunal, History and Analysis, დანართი 1, 87–88, <http://legal.un.org/docs/?path=../ilc/documentation/english/a_cn4_5.pdf&lang=>, [9.2.2016].

განმეორებულიყო I მსოფლიო ომის შემდგომი ფიასკო.⁹⁸ დიდი ბრიტანეთის აზრით, 50-დან 100-მდე ყველაზე მნიშვნელოვანი დამნაშავეს სიკვდილით დასჯა უნდა მომხდარიყო პირდაპირი წესით. ამ იდეას იზიარებდა *საბჭოთა კავშირიც*, თუმცა, „ფორმალური“ სასამართლო პროცესების ფონზე. ასევე, საუბარი იყო მაღალი სამხედრო რანგის მეთაურების შორეულ კუნძულზე განცალკევებაზე ან მათ შიდა პატიმრობაზე.⁹⁹

აშშ განიხილავდა *გერმანიის* ტერიტორიის ფართო ზონებად დანაწევრებას *საფრანგეთის*, *პოლონეთისა* და *დანიის* სასარგებლოდ,¹⁰⁰ თუმცა, საბოლოოდ, აშშ-ის წინადადებით, გადაწყდა სპეციალური ტრიბუნალის შექმნა.¹⁰¹ 1944 წლის 9 სექტემბერს, მდივანმა ომის საკითხებში – *ჰენრი სტიმპსონმა* (Henry Stimson), მიმართა აშშ-ის პრეზიდენტს, *ფრანკლინ რუზველტს* (Franklin Roosevelt), ნაცისტი გერმანელების დასასჯელად საერთაშორისო ტრიბუნალის შესაქმნელად.¹⁰²

4.2. 1945 წლის ლონდონის შეთანხმება

1945 წლის 8 აგვისტოს *ლონდონის* შეთანხმებით, II მსოფლიო ომში გამარჯვებულმა ოთხმა სახელმწიფომ, *ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი (IMT)* დააფუძნა. შეთანხმება ხაზს უსვამდა *მოსკოვის* დეკლარაციის გადაწყვეტილებას – დაწყებულიყო ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი დევნა იმ დანაშაულებზე, რომლებსაც „არ ჰქონდა კონკრეტული საზღვარი“, ჩადენილი იყო ინდივიდუალურად თუ დანაშაულებრივ ორგანიზაციებში (*membership in a criminal organization*) ან ჯგუფებში მონაწილეობით (პირველი მუხლი)^{103,104} ამავე ხელშეკრულებით დამტკიცდა ტრიბუნალის წესდება.

4.3. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნება ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდებაში

ნიურნბერგის ტრიბუნალი სწორედ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად შეიქმნა, რაც პირდაპირ წერია წესდების მე-6 და მე-10 მუხლებში და შემდგომ, გაეროს მიერ აღიარებულ

⁹⁸ იხ. Willis, Prologue to Nuremberg (1982), 173–174.

⁹⁹ იხ. Andersen, Nuremberg and Tokyo, კრებულიში: Ryngaert (ed.), ICJ (2009), 8–9.

¹⁰⁰ იხ. იქვე.

¹⁰¹ პრეზიდენტი ამ პერიოდში უკვე იყო *ფრანკლინ რუზველტის* (Franklin Roosevelt) მემკვიდრე *ჰარი ტრუმენი* (Harry Truman).

¹⁰² იხ. Taylor, The Anatomy of the Nuremberg Trials (1992), 4–5, 33–40.

¹⁰³ ჯგუფური პასუხისმგებლობის შესახებ იხ. ნაშრომის VIII თავი.

¹⁰⁴ შეთანხმებას ხელს აწერდნენ *რობერტ ჯექსონი* (Robert Jackson) (აშშ), *რობერტ ფალკო* (Robert Falco) (*საფრანგეთი*), *ჯოვიტ სი* (Jowitt C.) (*დიდი ბრიტანეთი*) და *იონა ნიკიტჩენკო* (Iona Nikitchenko), *არონ ტრაინინი* (Aron Trainin) (*საბჭოთა კავშირი*). იხ. London Agreement (8.8.1945), <http://www.icls.de/dokumente/imt_london_agreement.pdf>, [9.2.2016]; იხ. ასევე: Darcy, Collective Responsibility and Accountability (2007), 257, 266–273.

ნიურნბერგის პრინციპებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნაშავეთა დასჯა „პირდაპირი“, „კარგად აპრობირებული“ წესით, „პოლიტიკური მართლმსაჯულების“ გატარებით მოხდებოდა.

ტრიბუნალმა უარყო საერთაშორისო სამართალში „კარგად დამკვიდრებული პრაქტიკა“, რომლის მიხედვითაც, მთელი აქცენტი სუვერენული სახელმწიფოების ქმედებაზე იყო გადატანილი. ნიურნბერგამდე არსებული გაბატონებული დოქტრინით, დანაშაულებრივი ქმედების ამსრულებელი არ იყო ინდივიდუალურად პასუხისმგებელი, არამედ სახელმწიფოს სუვერენიტეტის დოქტრინით იყო დაცული. ტრიბუნალმა მკაფიოდ გამოყო ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პოლიტიკა და აღნიშნა:

„ინდივიდები შეიძლება დასჯილი იყვნენ საერთაშორისო სამართლის დარღვევისთვის. საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს სჩადიან ადამიანები და არა აბსტრაქტული გაერთიანებები, და მხოლოდ ინდივიდების დასჯით, რომლებიც სჩადიან ასეთ დანაშაულებს, შეიძლება საერთაშორისო სამართლის ნორმების აღსრულება.“¹⁰⁵

ნიურნბერგის ტრიბუნალის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პოლიტიკა ნაკლებად იყო შეზღუდული კონკრეტული დოგმატური დათქმებით. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, იყო ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების პროცესში განსხვავებული სამართლებრივი ტრადიციების მქონე იურისტების მონაწილეობა. საერთო კონსენსუსი – ომის დამნაშავეების სისხლისსამართლებრივი დევნა, მიღწეული იყო კონკრეტული სამართლებრივი დათქმების გარეშე, რისი ფორმულირებაც, რა თქმა უნდა, ისედაც „მიუღწეველ პროცესს“, უფრო დააკომპლექსებდა.

ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდება ორიენტირებული იყო უფრო შედეგზე – მაღალი თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივი დევნაზე. თუ რა ფორმით მოხდებოდა ეს, მოკავშირე ძალებმა პროცესის უშუალო მონაწილეებს გადააბარეს. იგი განსაზღვრავდა პასუხისმგებლობისათვის საჭირო აუცილებელ კრიტერიუმებს.

ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდების მე-6 მუხლი არ იყო ორიენტირებული დანაშაულში¹⁰⁶ მონაწილეობის ფორმების კონკრეტიზაცია-კატეგორიზაციისკენ:

¹⁰⁵ იხ. Trial before the IMT (1945-1946), Vol. XXII (1948), 465–466, <https://www.loc.gov/rr/frd/Military_Law/pdf/NT_Vol-XXII.pdf>, [9.2.2019].

¹⁰⁶ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის *ratione materiae* იურისდიქცია მხოლოდ მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულით, ომის დანაშაულითა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულით (რომელიც მოიცავდა გენოციდის დანაშაულსაც) შემოიფარგლებოდა, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ისჯებოდა თუ არა ეროვნული კანონმდებლობით.

„ტრიბუნალი ... არის უფლებამოსილი გაასამართლოს და დასაჯოს ინდივიდები, რომლებიც მოქმედებდნენ ... ინდივიდუალურად, თუ ორგანიზაციებში წევრობის მეშვეობით...“¹⁰⁷

ტრიბუნალი არ მიჯნავდა ამსრულებელს თანამონაწილისაგან. იგი აღიარებდა ერთიანი ამსრულებლობის პრინციპს (*unitarial concept of perpetration; Einheitstäterschaft*).¹⁰⁸ სავალდებულო იყო კაუზალური კონტრიბუცია დანაშაულებრივ შედეგთან, რომლისთვისაც გამოიყენებოდა *კევივალენტურობის* თეორიის (*conditio sine qua non*) მარტივი ფორმულა.¹⁰⁹ ტრიბუნალი, ამსრულებლობა-თანამონაწილეობის ნაცვლად, იყენებდა დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობისა (*participating in a criminal organization*) და საერთო მიზნის განხორციელების (*pursuing a common criminal design*) ცნებებს.¹¹⁰

თუ დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი იყო არსებითი, იქნებოდა მეთაური, წამქეზებელი, ბრძანების გამცემი თუ სხვა, ეს გავლენას მოახდენდა სასჯელის ზომაზე:

„მეთაურები, ორგანიზატორები, წამქეზებლები და თანამონაწილეები, რომლებიც მონაწილეობდნენ ზემოსსენებული დანაშაულების საერთო გეგმის შემუშავებასა და აღსრულებაში, ან შეთქმულებაში¹¹¹, არიან პასუხისმგებელი ყველა ქმედებისათვის, რომელიც ნებისმიერმა პირმა განახორციელა ასეთი გეგმის აღსრულებისას“.¹¹²

მიუხედავად იმისა, რომ *ნიურნბერგში* მონაწილეთა ფორმების კონკრეტიზაციას არ ჰქონდა პრინციპული მნიშვნელობა, ყურადღება იყო გამახვილებული საერთო გეგმის შემუშავებასა და აღსრულებაზე. ტრიბუნალი, ერთი მხრივ, ხაზს უსვამდა სახელმწიფო აპარატისა და „დიქტატორის“ როლს, მის ძალაუფლებას მასშტაბური დანაშაულების ჩადენაში, მაგრამ, მეორე მხრივ, უარყოფდა არგუმენტს, თითქოს ეს გარემოება წარმოადგენდა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ გარემოებას მხოლოდ დიქტატორისთვის, როდესაც დანაშაულებს სჩადიოდნენ საერთო გეგმის ფარგლებში დაჯგუფებების

¹⁰⁷ *ნიურნბერგის ტრიბუნალის* წესდება ხელმისაწვდომია ბმულზე: <<http://avalon.law.yale.edu/imt/imtconst.asp>>, [9.1.2016].

¹⁰⁸ იხ. *Ambos*, Treatise on ICL, Vol. I (2013), 105–106.

¹⁰⁹ იხ. *Ambos*, From Nuremberg to The Hague, კრებულში: *McDonald, Swaak-Goldman*, ICL (2000), 8, 17–21.

¹¹⁰ იხ. *Sliedregt*, Perpetration and Participation, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 502.

¹¹¹ დანაშაულის შეთქმულებასთან დაკავშირებით იხ. ნაშრომის ამ თავის §7 და XIII თავის §2.2.2.

¹¹² იხ. *ნიურნბერგის ტრიბუნალის* წესდების მე-6 მუხლი. 27-ე მუხლის მიხედვით, ტრიბუნალს ჰქონდა სიკვდილით დასჯის უფლება. წესდება ხელმისაწვდომია ბმულზე: *The Charter and Judgment of the Nürnberg Tribunal, History and Analysis*, დანართი 2, 91–99, <http://legal.un.org/docs/?path=/ilc/documentation/english/a_cn4_5.pdf&lang=>, [9.2.2016].

მონაწილეობით. დანაშაულებრივი გეგმის ამსრულებელი ვერ გათავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან, იმის მტკიცებით, რომ იგი მოქმედებდა გეგმის ავტორის დირექტივებით. *ჰიტლერი (Hitler)*, რა თქმა უნდა, ვერ აწარმოებდა აგრესიულ ომს ინდივიდუალურად. მას ეხმარებოდა სახელმწიფო აპარატი, სამხედრო მეთაურები, დიპლომატები და ბიზნესმენები. მათ იცოდნენ (*knowledge*) *ჰიტლერის* გეგმების შესახებ, თანამშრომლობდნენ მასთან, რითაც *ჰიტლერის* მთავარი გეგმის მონაწილენი გახდნენ. მხოლოდ ის გარემოება, რომ ამსრულებელს იყენებდა დიქტატორი, პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება ვერ იქნებოდა.¹¹³

პირდაპირი (ამსრულებლობა, მაგალითად, პირი, რომელიც „სახსლეს გამოჰკრავს თითს“) და არაპირდაპირი (თანამონაწილეობა, მაგალითად, პირი, რომელიც იყოლიებს სხვას დანაშაულის ჩასადენად) მონაწილეობა გათანაბრებული იყო ერთმანეთთან. ყველა იყო დანაშაულის ამსრულებელი-თანამონაწილე. ფუნქციური (მონაწილეობით) ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დამოკიდებული იყო იმ ამოცანების შესრულებაზე, რომლებსაც ასრულებდნენ დანაშაულის მონაწილეები ერთობლივად, ქმედების სისრულეში მოსაყვანად.¹¹⁴

დანაშაულის შეთქმულების (*conspiracy*) დოქტრინის ცნება *ნიურნბერგის ტრიბუნალის* წესდებაში, ზემოთ აღნიშნული მე-6 მუხლის შინაარსით¹¹⁵ აქცესორული ხასიათის იყო. დანაშაულის შეთქმულება ისჯებოდა, თუ იგი გამომდინარეობდა საერთო და კონკრეტული გეგმიდან, რომელიც არ იყო დაშორებული ძირითად ქმედებას და მოტივირებული იყო დანაშაულებრივი განზრახვით.¹¹⁶

ნიურნბერგის ტრიბუნალის იურისდიქცია ვრცელდებოდა დანაშაულებრივ ორგანიზაციებზეც (*criminal organization*).¹¹⁷ წესდების მე-10 მუხლის მიხედვით:

¹¹³ იხ. Trial before the IMT (1945-1946), Vol. XII (1948), 468–469, <https://www.loc.gov/rr/frd/Military_Law/pdf/NT_Vol-XXII.pdf>, [9.2.2019]; იხ. ასევე: *Ambos*, Treatise on ICL, Vol. I (2013), 106. II მსოფლიო ომამდე მეთაურის ბრძანების არსებობა, მეთაურის პასუხისმგებლობის (*respondeat superior*) პრინციპის საფუძველზე, სრულად გამორიცხავდა ხელქვეითის ბრალეულობას. მხოლოდ მეთაური აგებდა პასუხს. ეს მოდელი დღეის მდგომარეობით უარყოფილია. მხოლოდ მეთაურის პასუხისმგებლობა და იმის თქმა, რომ „ჰიტლერის ბრალი იყო ყველაფერი“, ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ეროვნულ და საერთაშორისო დოგმატიკას. შეად. *Werle, Jessberger*, Principles of ICL (2014), 200–201, 249, პარ. 660. მეთაურის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინას დაწ. განვიხილავთ ნაშრომის XII თავში.

¹¹⁴ შეად. *Ambos*, Treatise on ICL, Vol. I (2013), 106–107.

¹¹⁵ „მეთაურები... რომლებიც მონაწილეობდნენ ზემოხსენებული დანაშაულების საერთო გეგმის შემუშავებასა და აღსრულებაში, ან შეთქმულებაში...“

¹¹⁶ შეად. *Ambos*, From Nuremberg to The Hague, კრებულში: *McDonald, Swaak-Goldman*, ICL (2000), 12–13. დანაშაულის შეთქმულებაზე (*Conspiracy*) იხ. ქვემოთ – ნაშრომის ამ თავის §7 და XIII თავის §2.2.2.

¹¹⁷ იხ. *Darcy*, Collective Responsibility and Accountability (2007), 257–281.

„იმ შემთხვევებში, როდესაც ჯგუფი ან ორგანიზაცია ტრიბუნალის მიერ დანაშაულებრივად არის გამოცხადებული, ხელმძღვრის კომპეტენტურ ეროვნულ ხელისუფლებას აქვს ინდივიდების გასამართლების უფლება წევრობისთვის ეროვნული, სამხედრო ან ოკუპირებული სასამართლოების წინაშე.“¹¹⁸

ტრიბუნალი არ აწესებდა, პირდაპირი წესით, კოლექტიურ პასუხისმგებლობას მხოლოდ წევრობისთვის. მხოლოდ მონაწილეობა არ იყო საკმარისი. ინდივიდუალურად ისჯებოდა ყველა ის პირი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ორგანიზაციის საქმიანობაში (*membership in a criminal organization*), იცოდა მისი დანაშაულებრივი მიზნებისა და გეგმების, ზოგადად, დანაშაულებრივი ხასიათის შესახებ.¹¹⁹

ნიურნბერგის ტრიბუნალის მე-7 მუხლი გამორიცხავდა იმუნიტეტს, პასუხისმგებლობის გამომრიცხველ ან შემამსუბუქებელ გარემოებებს სახელმწიფოს მეთაურების, ან ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც ბრალდებულნი იყვნენ საერთაშორისო დანაშაულების ჩადენაში.

დანაშაულის სუბიექტური მხარე, *ნიურნბერგის* სამართლით, გამოიხატებოდა დანაშაულის ან დანაშაულებრივი გეგმის „ცონდაში“ (*Knowledge*), ზოგადი და კონკრეტული განზრახვის არსებობაში. ასევე, რამდენიმე საქმეში საუბარი იყო გაუფრთხილებლობის (დაუდევრობის) ნიშნებზეც.¹²⁰

4.4. ნიურნბერგის განაჩენი

ნიურნბერგის სასამართლო განიხილავდა 24 ბრალდებულისა¹²¹ და 8 „ორგანიზაციის“ საქმეს¹²². სასამართლო განიხილვა მიმდინარეობდა 1945 წლის 20 ნოემბრიდან 1946 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით. გადაწყვეტილება გამოტანილი იქნა 1946 წლის 30 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს, რომლის საფუძველზეც დანაშაულებრივად გამოცხადდა ოთხი „ორგანიზაცია“,¹²³

¹¹⁸ *ნიურნბერგის ტრიბუნალის* წესდება ხელმისაწვდომია ბმულზე: <<http://avalon.law.yale.edu/imt/imtconst.asp>>, [9.1.2016].

¹¹⁹ იხ. Trial before the IMT (1945-1946), Vol. XXII (1948), 500–501, <https://www.loc.gov/rr/frd/Military_Law/pdf/NT_Vol-XXII.pdf>, [9.2.2019]; Ambos, Treatise on ICL, Vol. I (2013), 111; Darcy, Collective Responsibility and Accountability (2007), 273–281.

¹²⁰ იხ. Ambos, Treatise on ICL, Vol. I (2013), 112–113.

¹²¹ რომელთა შორის იყვნენ *ჰერმან გერინგი (Herman Goering)*, *რუდოლფ ჰესი (Rudolf Hess)* და *იოახიმ ფონ რიბენტროპი (Joachim von Ribbentrop)*.

¹²² კერძოდ: *რაიჰის კაბინეტო; ნაცისტური პარტიის ხელმძღვანელთა კორპუსი*; დამცავი რაზმი (*Schutzstaffeln*) – ცნობილი, ასევე, როგორც SS; უსაფრთხოების სამსახური (*Sicherheitsdienst*) – ცნობილი, ასევე, როგორც SD; საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია (*Geheime Staatspolizei*) – ცნობილი, ასევე, როგორც Gestapo; მოიერიშე ძალები (*Sturmabteilungen*) – ცნობილი, ასევე, როგორც SA; გენერალური შტაბი და *გერმანიის* სამხედრო ძალების უმაღლესი სარდლობა.

¹²³ *ნაცისტური პარტიის ხელმძღვანელთა კორპუსი, SS, SD და Gestapo.*

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპით დადგა 12 სასიკვდილო განაჩენი,¹²⁴ სამს შეეფარდა უვადო თავისუფლების აღკვეთა,¹²⁵ ოთხს გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა და სამი იქნა გამართლებული. ორი ბრალდებულის გასამართლება ვერ მოხერხდა სუიციდისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.¹²⁶ ამით ამოიწურა *ნიურნბერგის* პროცესის პირველი ეტაპი.

5. ტოკიოს პროცესი

5.1. კაიროსა და პოტსდამის დეკლარაცია

შორეული აღმოსავლეთის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის (IMTFE), იგივე *ტოკიოს ტრიბუნალის* შექმნას რამდენიმე მოვლენა უძღვოდა წინ, რომელთა შორის, ნაშრომისთვის, მნიშვნელოვანია *კაიროსა და პოტსდამის დეკლარაციები*.¹²⁷

პირველი ნაბიჯი *ტოკიოს ტრიბუნალის* შესაქმნელად იყო – *აშშ-ის, ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის* მიერ შემუშავებული 1943 წლის 1 დეკემბრის *კაიროს დეკლარაცია*, რომელშიც გაიწერა სამხედრო ოპერაციების სამომავლო გეგმები *იაპონიის* აგრესიის აღსაკვეთად.¹²⁸

მეორე ნაბიჯი *ტოკიოს ტრიბუნალის* შესაქმნელად იყო – ისევ, იმავე ქვეყნების მიერ შექმნილი 1945 წლის 26 ივლისის *პოტსდამის დეკლარაცია*, რომელსაც მოგვიანებით *საბჭოთა კავშირიც* შეუერთდა. დეკლარაცია შეიცავდა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დათქმას – ყველა ომის დამნაშავეზე¹²⁹ მკაცრი მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ. მისი შინაარსით, *იაპონიას* უნდა მისცემოდა ომის დამთავრების შესაძლებლობა.¹³⁰

¹²⁴ მათ შორის, *პერმან გერინგის*, რომელმაც სასიკვდილო განაჩენის აღსრულებამდე თავი მოიკლა და *იოახიმ ფონ რიბენტროპის* მიმართ.

¹²⁵ მათ შორის, *რუდოლფ ჰესის* მიმართ.

¹²⁶ იხ. The Charter and Judgment of the Nürnberg Tribunal, History and Analysis, 5–8, <http://legal.un.org/docs/?path=../ilc/documentation/english/a_cn4_5.pdf&lang=>, [9.2.2016]; იხ ასევე: Taylor, The Anatomy of the Nuremberg Trials (1992), 4–5, 571–611.

¹²⁷ იხ. Röling, Rüter (ed.), The Tokyo Judgment, Vol. I (1977), 19–25.

¹²⁸ *იაპონიას* უნდა ჩამორთმეოდა I მსოფლიო ომის შემდეგ მითვისებული ყველა კუნძული თუ ტერიტორია და *ჩინეთს* უნდა დაბრუნებოდა მთელი რიგი ტერიტორიები. ასევე, დეკლარაციაში მითითებული იყო *კორეის* ხალხის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე. იხ. Boister, Cryer (ed.), Documents on the Tokyo IMT (2008), 71–72.

¹²⁹ იმ პირთა საზგასმით, რომლებიც მოკავშირე ძალების ტყვეების მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ.

¹³⁰ *პოტსდამის დეკლარაცია* იყო *კაიროს დეკლარაციის* გაგრძელება. მოკავშირე ძალები *იაპონიას* აიძულებდნენ ომის შეწყვეტას. მათს განზრახვას წამოადგენდა არა იაპონელი ხალხის განადგურება, არამედ მისი ტერიტორიის ღიმიტირება. *პოტსდამის დეკლარაცია* იხ. Boister, Cryer (ed.), Documents on the Tokyo IMT (2008), 1–2.

იაპონია დათანხმდა *პოტსდამის* დეკლარაციით გათვალისწინებულ პირობებს. კაპიტულაციის აქტს ხელს აწერდნენ, ერთი მხრივ, *იაპონიის* იმპერატორი და მთავრობა, და, მეორე მხრივ, 9 მოკავშირე ძალის წარმომადგენლები.¹³¹

5.2. ტოკიოს ტრიბუნალის დაფუძნება

პოტსდამის დეკლარაციით გათვალისწინებული კაპიტულაციის აქტის იმპლემენტაცია დაევალა მოკავშირე ძალების უმაღლეს მთავარსარდალს გენერალ *დუგლას მაკარტურს (Douglas MacArthur)*. მისი ერთ-ერთი ამოცანა, სწორედ, ომის დამნაშავეების დასჯა იყო. 1946 წლის 19 იანვარს, გენერალმა, *აშშ-ის* ინსტრუქციების გათვალისწინებით, სპეციალური დეკლარაციით¹³² დააფუძნა *შორეული აღმოსავლეთის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი – ტოკიოს ტრიბუნალი*, რომლითაც იგი *პოტსდამის* დეკლარაციაში დაპირებული მკაცრი მართლმსაჯულების განხორციელების პირობას ასრულებდა.¹³³ ტრიბუნალი შედგებოდა 9 მოკავშირე ძალის წარმომადგენლისგან, რომლებსაც შემდეგში დაემატა კიდევ ორი მოკავშირე ქვეყნის – *ინდოეთისა* და *ფილიპინების* წარმომადგენლები.

5.3. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნება ტოკიოს ტრიბუნალის წესდებაში

ტოკიოს ტრიბუნალის სტატუტის მე-5 მუხლი, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების ნაწილში, *ნიურნბერგის* სტატუტის მსგავსი იყო, თუმცა გარკვეული მოდიფიკაციებით:

„ტრიბუნალი უფლებამოსილია გაასამართლოს და დასაჯოს შორეული აღმოსავლეთის ომის დამნაშავეები, რომლებიც ინდივიდუალურად ან ორგანიზაციებში წევრობის მეშვეობით არიან ბრალდებულნი იმ დანაშაულისათვის, რომელიც მოიცავს დანაშაულს მშვიდობის წინააღმდეგ...“¹³⁴

ნიურნბერგის სამართლის მსგავსი იყო, ასევე, დანაშაულში მონაწილეობის კატეგორიზაცია.¹³⁵ დანაშაულის შეთქმულების დოქტრინას *ტოკიოს ტრიბუნალი* იყენებდა მხოლოდ მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული

¹³¹ *აშშ, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, საბჭოთა კავშირი, ავსტრალია, კანადა, საფრანგეთი, ნიდერლანდები* და *ახალი ზელანდია*. იხ. იქვე, 2.

¹³² *ტოკიოს ტრიბუნალის* დაფუძნების სპეციალური დეკლარაცია იხ. იქვე, 5–6.

¹³³ იხ. *Boister, Cryer* (ed.), *Documents on the Tokyo IMT* (2008), 25–27.

¹³⁴ *ტოკიოს ტრიბუნალის* წესდება ხელმისაწვდომია ბმულზე: <<https://www.loc.gov/law/help/us-treaties/bevans/m-ust000004-0020.pdf>>, [2.9.2016].

¹³⁵ იხ. იქვე:

„მეთაურები, ორგანიზატორები, წამქეზებლები და თანამონაწილეები, რომლებიც მონაწილეობდნენ ზემოხსენებული დანაშაულების საერთო გეგმის შემუშავებასა და აღსრულებაში, ან შეთქმულებაში, არიან პასუხისმგებელნი ყველა ქმედებისათვის, რომელიც ნებისმიერმა პირმა განახორციელა ასეთი გეგმის აღსრულებისას.“

დანაშაულის და არა ადამიანურობის წინააღმდეგ და ომის დანაშაულების მიმართ. ტრიბუნალი ითხოვდა დანაშაულის დაგეგმვაში მონაწილეობის რეალური შესაძლებლობის მტკიცებას, რის დროსაც, ყურადღება ექცეოდა მის „პოლიტიკურ შესაძლებლობას“.¹³⁶ დანაშაულის სუბიექტური მხარე იყო ნიურნბერგის ადეკვატური. გაუფრთხილებლობის ნაწილში დაკონკრეტდა დაუდევრობის შინაარსი, რაც გამოიხატებოდა „ცოდნის“ დეფინიციტში, ქმედების გაუცნობიერებლობაში.¹³⁷

5.4. ტოკიოს განაჩენი

ტოკიოს პროცესი 1946–1948 წლებში გაიმართა. 1948 წლის 12 ნოემბერს, 11 საერთაშორისო იურისტის მიერ გამოცხადებული 25 პოლიტიკური და სამხედრო თანამდებობის პირის მიმართ გამოტანილი ვერდიქტით, სასამართლომ ყველა ბრალდებული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრებით ცნო დამნაშავედ. 16 ბრალდებულს მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა, 2 ბრალდებულს – ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და 7 ბრალდებულს – სიკვდილით დასჯა.¹³⁸

6. პოსტ-ნიურნბერგის ეტაპი

ტოკიოს პროცესის შემდეგ საერთაშორისო მოსამართლეებით დაკომპლექტებული სხვა სასამართლო პროცესი არ გამართულა. *ნიურნბერგის* პროცესის მეორე ეტაპი, დანარჩენი ნაცისტი გერმანელი ლიდერების გასამართლების მიზნით, *ნიურნბერგისა* და *ტოკიოს* პროცესების შემდეგ *ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა საკონტროლო საბჭოს მიერ გერმანიისთვის შექმნილი №10 კანონის (Control Council Law N10)* საფუძველზე განხორციელდა.¹³⁹ კანონი მოკავშირე ძალებისთვის მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საფუძველზე განსაზღვრავდა. 12 ე.წ. სასამართლო პროცესი გაიმართა *აშშ-ის სამხედრო ტრიბუნალის წინაშე, ასევე, საფრანგეთის ოკუპირებულ ზონაში რაშტატში (Rastatt), ბრიტანეთის მიერ ოკუპირებულ ზონაში ლიუნებურგში (Lüneburg), და საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპირებულ ზონაში. საბოლოოდ, დაახლოებით 3300 ადამიანი გასამართლდა.*¹⁴⁰

¹³⁶ იხ. *Ambos*, From Nuremberg to The Hague, კრებულში: *McDonald, Swaak-Goldman*, ICL (2000), 12–13. აღნიშნულ პრეზუმფციას *ამბოსი* ბრალის პრინციპის დარღვევად მიიჩნევს.

¹³⁷ იხ. *Ambos*, Treatise on ICL, Vol. I (2013), 113.

¹³⁸ მათ შორის, ყოფილი პრემიერ-მინისტრი *კოკი ჰიროტა (Koki Hirota)*. დაწ. იხ. *Piccigallo*, The Japanese on Trial (1979), 23–33.

¹³⁹ *მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოს №10 კანონი* ხელმისაწვდომია ბმულზე: <<http://avalon.law.yale.edu/imt/imt10.asp#art3>>, [9.8.2015].

¹⁴⁰ იხ. *Ambos*, Treatise on ICL, Vol. I (2013), 7.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ფორმებს ეხებოდა *საკონტროლო საბჭოს №10 კანონის* მე-2 მუხლი:

„...ნებისმიერი პირი, მიუხედავად ეროვნულობისა თუ თანამდებობისა, რომლის მეშვეობითაც იგი მოქმედებდა, მიიჩნევა დანაშაულის ჩამდენად, როგორც განსაზღვრულია ..., თუ იგი იყო:

- ა) ამსრულებელი;
- ბ) ნებისმიერი ასეთი დანაშაულის თანამონაწილე ან ბრძანების გამცემი, ან წამქეზებელი; ან
- გ) შეთანხმებულად მონაწილეობდა მასში; ან
- დ) იყო დაკავშირებული ისეთ გეგმასთან ან გაერთიანებასთან, რომელიც მოიცავდა მის ჩადენას; ან
- ე) იყო წევრი ნებისმიერი ისეთი ორგანიზაციის ან ჯგუფისა, რომელიც იყო დაკავშირებული ნებისმიერ ასეთ დანაშაულთან; ან
- ვ) თუ მას ეკავა მაღალი პოლიტიკური, სამოქალაქო ან სამხედრო (გენერალური შტაბის ჩათვლით) პოზიცია გერმანიაში ან მის ერთ-ერთ მოკავშირე, თანამომარ, ან სატელიტ ქვეყანაში, ან ეკავა მაღალი პოზიცია ასეთი ქვეყნის ფინანსურ, სამრეწველო ან ეკონომიკურ ცხოვრებაში.”

აღნიშნული მუხლი, როგორც ვხედავთ, *ნიურნბერგისა* და *ტოკიოს ტრიბუნალების* სტატუტებისგან განსხვავებით, ახდენს დანაშაულში მონაწილეობის ფორმების კონკრეტიზაციას, რითაც განსხვავდება, გარკვეულწილად, ერთიანი ამსრულებლობის პრინციპისგან (*unitarial concept of perpetration; Einheitstäterschaft*).¹⁴¹ დანაშაულის შეთქმულება აქაც, *ტოკიოს ტრიბუნალის* მსგავსად, დასჯადი იყო მხოლოდ მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დროს.¹⁴² სხვა მხრივ, *საკონტროლო საბჭოს №10 კანონი* ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნებაში პრინციპულად განსხვავებულ, ნოვაციურ შინაარსს არ გვთავაზობს.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის აღნიშნული ეტაპი დიდი მნიშვნელობის მატარებელი იყო. კერძოდ, *ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა საკონტროლო საბჭოს №10 კანონით* გამართულმა სასამართლო პროცესებმა დაგვანახა, რომ „ნიურნბერგი იყო პროცესი და არა ეპიზოდი”.¹⁴³ იგი იყო ორიენტირებული არა მხოლოდ კონკრეტული პირების დასჯაზე, არამედ საფუძვლიანი პრეცედენტის შექმნაზე.

¹⁴¹ შეად. იქვე, 113–119.

¹⁴² იხ. *Ambos*, From Nuremberg to The Hague, კრებულში: *McDonald, Swaak-Goldman*, ICL (2000), 13.

¹⁴³ შეად. *Taylor*, Final Report under CCL N.10 (1949), 107, <http://www.loc.gov/rr/frd/Military_Law/pdf/NT_final-report.pdf>, [9.2.2016].

7. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახეების განმასხვავებელი ნიშნები

ნიურნბერგის, ტოკიოსა და საკონტროლო საბჭოს №10 კანონის სამართალში გამოიკვეთა რამდენიმე ინდივიდუალური სისხლისსმართლებრივი პასუხისმგებლობის სახე: დანაშაულის შეთქმულების (*conspiracy*), „საერთო მიზნისა“ (*common design*) და დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობის (*membership in a criminal organization*) დოქტრინები¹⁴⁴, რომლებიც ურთიერთგამიჯვნას საჭიროებს. საერთო ნიშნების მიუხედავად, სამივეს სხვადასხვაგვარად იყენებდნენ კონკრეტული საჭიროების მიხედვით. დანაშაულის შეთქმულების დოქტრინა მოითხოვდა დანაშაულის ჩასადენად შეთანხმების არსებობას, ისევე, როგორც „საერთო მიზნის“ დოქტრინა. თუმცა, ეს უკანასკნელი დამატებით ითხოვდა გეგმით გათვალისწინებული ქმედების შესრულებას. ასევე, „საერთო მიზნის“ დოქტრინას ჰგავს დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობის პასუხისმგებლობის ფორმა, რომლის მიხედვითაც, მნიშვნელოვანია რამდენიმე მონაწილის არსებობა, მისი დანაშაულებრივი ბუნების ცოდნა და ნებაყოფლობითი აქტიური მონაწილეობა ორგანიზაციის დანაშაულებრივ ქმედებაში.¹⁴⁵ პასუხისმგებლობის ამ ფორმის გამოსაყენებლად დანაშაულში მონაწილეები უნდა იყვნენ გაერთიანებული ერთ „ორგანიზაციაში“.

8. საერთაშორისო თანამეგობრობის პირდაპირი რეაქცია ჰოლოკოსტის მოვლენებზე – გენოციდის კონვენცია

ნიურნბერგის პროცესის შედეგად საერთაშორისო თანამეგობრობამ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობაში გამოავლინა ახალი საერთაშორისო დანაშაული – გენოციდი, ე.წ. „დანაშაულთა დანაშაული“ (*the crime of crimes*)¹⁴⁶, რომელიც, მისი „სპეციალური ბუნების“ გამო, ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას ექვემდებარებოდა. უკვე 1948 წლის 9 დეკემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო *გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენცია*, რომელიც იყო საერთაშორისო თანამეგობრობის პირდაპირი რეაქცია *ჰოლოკოსტის (Holocaust)* მოვლენებზე.¹⁴⁷

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ისტორიაში გენოციდის კონვენცია მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად იგი ითვალისწინებდა სპეციალური,

¹⁴⁴ აღნიშნული სახეები გაანალიზებული იქნება ქვემოთ, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სხვადასხვა დოქტრინასთან მიმართებით.

¹⁴⁵ იხ. *Ambos*, From Nuremberg to The Hague, კრებულში: *McDonald, Swaak-Goldman*, ICL (2000), 13.

¹⁴⁶ იხ. *Schabas*, Genocide (2008), 11; იხ. ასევე: *Kreß*, Genocide, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 669–704.

¹⁴⁷ შეად. *Gillespie*, History of the Laws, Vol. II (2011), 182.

კომპეტენტური ტრიბუნალის შექმნას, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების ტერიტორიაზე იურისდიქციის განსახორციელებლად.¹⁴⁸

9. ნიურნბერგის პრინციპების ფორმულირება

ნიურნბერგის პროცესის შემდეგ გაერომ 1946 წლის 1 დეკემბრის რეზოლუციით [UNGA Resolution 94(I)] დაამტკიცა *ნიურნბერგის ტრიბუნალის* სტატუტითა და განაჩენით აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპები და საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის მიზნით დააფუძნა *საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარებისა და კოდიფიკაციის სპეციალური კომიტეტი (CPDIL)*. ამ კომიტეტის რეკომენდაციით, 1947 წლის 21 ნოემბერს შეიქმნა *საერთაშორისო სამართლის კომისია (ILC)*, რომელსაც უკვე კონკრეტულად დაევალა *ნიურნბერგის* პრინციპების კოდიფიკაცია.¹⁴⁹

1950 წელს *ILC*-მ დააფუძნა *ნიურნბერგის* 7 პრინციპი. ყურადსაღებია, რომ პირველივე პრინციპი ეხება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნებას:

„ნებისმიერი პირი, ვინც ჩაიდენს ქმედებას, რომელიც საერთაშორისო სამართლით წარმოადგენს დანაშაულს, ამისთვის პასუხისმგებელია და ექვემდებარება დასჯადობას“.¹⁵⁰

ამით საერთაშორისო სისხლის სამართალმა ყველა კითხვას, კოლექტიურ ბრალთან დაკავშირებით, გასცა პასუხი – პასუხისმგებლობა უნდა დაფუძნდეს მხოლოდ ინდივიდების მიერ ჩადენილ ქმედებაზე. შინაარსი მარტივია და არ ექვემდებარება ინტერპრეტაციას.

10. ნიურნბერგისა და ტოკიოს სამართლის მნიშვნელობა

ნიურნბერგისა და *ტოკიოს* სამართალი არის საერთაშორისო სისხლის სამართლის ყველაზე „ავტორიტეტული ისტორიული წყარო“.¹⁵¹ მიუხედავად იმისა, რომ ორივე ტრიბუნალის მიმართ არსებობდა სხვადასხვა კრიტიკული მოსაზრებები, პოლიტიკური ხასიათიდან გამომდინარე, მათ

¹⁴⁸ იხ. გენოციდის კონვენციის მე-6 მუხლი; შეად. *ტურავა*, საერთაშორისო სასამართლო (2005), 9.

¹⁴⁹ იხ. *Ambos*, *Treatise on ICL*, Vol. I (2013), 9–10; იხ. ასევე: *Mettraux*, *Trial at Nuremberg*, კრებულში: *Schabas, Bernaz* (ed.), *ICL* (2011), 12–13.

¹⁵⁰ სხვა პრინციპების შესახებ იხ. *ტურავა*, საფუძვლები (2015), 35–37.

¹⁵¹ შეად. *Ambos*, *Treatise on ICL*, Vol. I (2013), 9, 105. „ნიურნბერგის სამართალში“ იგულისხმება ტრიბუნალის წესდება, მისი პრეცედენტული სამართალი, *საკონტროლო საბჭოს №10 კანონი* და *ნიურნბერგის* პრინციპები.

დიდი როლი შეასრულეს ომის კანონგარეშედ გამოცხადებაში, ომის დანაშაულების გამოვლენაში.¹⁵²

11. „სიჩუმის პერიოდი“

ნიურნბერგიდან პააგამდე – ეს არის საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესაქმნელად მიმართული უშედეგო ეტაპი.¹⁵³ ამ პერიოდს (1955–1992წწ.) „სიჩუმის პერიოდადაც“ მოიხსენიებენ,¹⁵⁴ ვინაიდან ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოგმატიკა არსებითად არ განვითარებულა.

საერთაშორისო სისხლის სამართლის ისტორია, როგორც ვხედავთ, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ნაწილში, არცთუ ისე ღარიბია. საერთაშორისო სამართლის დიდი რეპრესიის მიუხედავად, საერთაშორისო თანამეგობრობა XX საუკუნის ბოლოს კიდევ ერთხელ ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ უკვე საერთაშორისო კონვენციებითა და ხელშეკრულებებით „მყარად“ დაცული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მასშტაბური დარღვევა გამოვლინდებოდა ევროპასა და აფრიკაში. ამას შედეგად მოჰყვა გაეროს მიერ უკვე „საერთაშორისო სისხლის სამართლის კონტექსტში“ ყველასთვის მნიშვნელოვანი და საერთაშორისო სამართლისთვის უჩვეულო, ორი ახალი *ad hoc* ტრიბუნალის შექმნა.

¹⁵² შეად. Röling, *The Tokyo Trial and beyond* (1993), 89–91.

¹⁵³ ICC-ის შექმნისკენ მიმართული ისტორიული ექსკურსის შესახებ იხ. *ტურავა*, საფუძვლები (2015), 17–54.

¹⁵⁴ იხ. Bassiouni, *Introduction to ICL* (2013), 565–566.

IV. ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უახლესი მოდელი

ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უახლეს მოდელში იგულისხმება *ad hoc* და ჰიბრიდული ტრიბუნალების მართლმსაჯულება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პერმანენტული მოდელის შექმნას.

1. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის „რენესანსი“ – დროებითი ტრიბუნალები

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის განვითარების ახალი ერა, რომელიც „რენესანსის“ პერიოდადაც არის მოხსენიებული საერთაშორისო სისხლის სამართალში,¹⁵⁵ ეს არის „ტყუპი“¹⁵⁶ *ad hoc* – ყოფილი იუგოსლავიისა (ICTY) და რუანდის (ICTR) – სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების შექმნა. ორივე მოდელი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ „შედგეზე ორიენტირებული მართლმსაჯულების“ განხორციელების კარგი მაგალითია სისხლის სამართლის საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი სიკეთეების დასაცავად. ნაშრომში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის ანალიზი, ძირითადად, *ad hoc* ტრიბუნალების პრეცედენტულ სამართალზეა დაფუძნებული.

1.1. ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის დროებითი საერთაშორისო ტრიბუნალი

1.1.1. „ეთნიკური წმენდა“ იუგოსლავიაში

ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე XX საუკუნის ბოლოს „სამოქალაქო ომის“ დაწყების მთავარი მიზეზი იყო ეთნიკური დაპირისპირება სერბებს, მონტენეგროელებსა (ერთ მხარეს) და ხორვატებს, ბოსნიელებს, სლოვენელებს (მეორე მხარეს), ასევე, ბოსნიელებსა და ხორვატებს შორის (*ბოსნიაში*). ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მასშტაბურმა დარღვევამ თვით დაპირისპირებული მხარეებისთვისაც წარმოუდგენელი ხასიათი მიიღო. ყველა კონფლიქტი ერთმანეთთან იყო ურთიერთდაკავშირებული მშვიდობიანი მოსახლეობის „ეთნიკური წმენდით“, მკვლევლობითა და საერთაშორისო დანაშაულების თავაშვებული ჩადენით.¹⁵⁷

„ეთნიკური წმენდის“ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ყოფილი იუგოსლავიის სოციალისტურ რესპუბლიკაში იყო გაერთიანებაში შემაჯავალი

¹⁵⁵ იხ. Werle, Jessberger, Principles of ICL (2014), 14, პარ. 45.

¹⁵⁶ იხ. Bellelli, Establishment of ICJ, კრებულში: Bellelli (ed.), ICJ (2011), 13.

¹⁵⁷ შეად. Gillespie, History of the Laws, Vol. II (2011), 203–205.

ეთნიკური ჯგუფების განსხვავებული რელიგია. კერძოდ, სერბები, მონტენეგროელები და მაკედონიელები, უმეტესწილად, იყვნენ მართლმადიდებლები (ორთოდოქსები); ხორვატები და სლოვენელები – კათოლიკები; ბოსნიელები – სუნიტი მუსულმანები; და კოსოვოელი ალბანელები – უმეტესწილად, მუსულმანები. რესპუბლიკების მოსახლეობას საერთო ჰქონდა ენა (სერბიულ-ხორვატიული) და სლავური, ფიზიკური მახასიათებლები.¹⁵⁸

იუგოსლავიის ეთნიკური დაპირისპირების ისტორიაში, განსაკუთრებით, გამოსაყოფია ხორვატულ-ნაციისტური მოძრაობის – *უსტაშას* ლიდერის, *ანტე პაველიჩის* (*Ante Pavelic*)¹⁵⁹, კომუნისტურ-პარტიზანული ძალების ლიდერობით ხელისუფლების სათავეში მოსული *იოსიპ ბროზ ტიტოსა* (*Josip Broz Tito*)¹⁶⁰ და *სერბეთის* პრეზიდენტის, *სლობოდან მილოშევიჩის* (*Slobodan Milosevic*)¹⁶¹ სისხლიანი მოღვაწეობა,

¹⁵⁸ დაწ. იხ. Scharf, *Balkan Justice* (1997), 21–36.

¹⁵⁹ II მსოფლიო ომის დროს, *ფაშისტური ქვეყნების ალიანსმა* (*axis power*) მოახდინა იუგოსლავიის ოკუპაცია და დაანაწევრა იგი *გერმანიისა* და *იტალიის* გავლენის სფეროებად. *ხორვატია* (დღეის მდგომარეობით, *ხორვატია* და *ბოსნია-ჰერცეგოვინა*) ნაციისტური *გერმანიის* გავლენის ქვეშ მოექცა. ხორვატულ-ნაციისტური მოძრაობის – *უსტაშას* მიზანს, *ანტე პაველიჩის* ხელმძღვანელობით, წარმოადგენდა *ხორვატიის* ტერიტორიაზე მცხოვრები სლავური წარმომავლობის სერბების „ეთნიკური წმენდა“. სწორედ დასაველეთ *ბოსნიის* იმდროინდელმა მმართველმა, *ვიქტორ გუტიშმა* (*Victor Gutisch*) გამოიყენა პირველად ტერმინი „ეთნიკური წმენდა“ II მსოფლიო ომის დროს, *უსტაშას* მიერ, დაახლოებით 1 500 000-მდე სერბის ეთნიკური დევნის აღსანიშნავად, 500 000-მდე იქნა მოკლული. დაწ. იხ. იქვე, 23–24.

¹⁶⁰ *ფაშისტური ქვეყნების ალიანსის* შემდეგ, კომუნისტური პარტიზანული ძალების მხარდაჭერით, 1944 წლის ოქტომბერში, *ხორვატიაში* დაბადებულმა *იოსიპ ბროზ ტიტომ* აიღო *ბელგრადი* და მთელ ტერიტორიაზე დაამყარა კომუნისტური კონტროლი. 1946 წელს, როდესაც *უსტაშამ* დათმო პოზიციები, 40 000-დან 100 000-მდე *უსტაშასა* და მათი ოჯახის წევრებისგან შემდგარი ხორვატი იქნა მოკლული *ტიტოს* პარტიზანების მიერ. *ტიტო* იყენებდა ფარულ პოლიციას დარჩენილი მოწინააღმდეგეების გასანადგურებლად, „ეთნიკური წმენდის“ მიზნებისათვის. მოკავშირე ძალების მხარდაჭერით, მან მთელ იუგოსლავიის ტერიტორიაზე მოიპოვა ძალაუფლება და დააფუძნა ფედერალური სისტემა 6 რესპუბლიკით: *სერბეთი*, *ხორვატია*, *სლოვენია*, *ბოსნია-ჰერცეგოვინა*, *მაკედონია* და *მონტენეგრო*, ასევე, ორი ავტონომიური პროვინცია – *კოსოვო* და *ვოივოდინა* *სერბეთის* რესპუბლიკის შემადგენლობაში. *ტიტომ*, ე.წ. „ერთიანი ნაციონალური თავდაცვის“ დოქტრინით, იუგოსლავიის ეროვნული არმია ევროპაში სიდიდით მესამე გახდა. იგი 1980 წელს გარდაიცვალა. იხ. Bassiouni, Manikas, *ICTY* (1996), 11–19.

¹⁶¹ 1986 წელს, *სერბეთის* პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის *სლობოდან მილოშევიჩი*, რომელიც ჯერ, პირველ ეტაპზე, გახდა *სერბეთის* კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე და შემდეგ იუგოსლავიის პრეზიდენტი. *სერბეთის* მთავრობის უკომპრომისო პოლიტიკამ, რომელიც მიმართული იყო სერბების გავლენის ქვეშ ცენტრალიზებული იუგოსლავიის შექმნისკენ, რაშიც დიდი წვლილი შეჰქონდა თავად *მილოშევიჩს*, გამოიწვია ანტისერბული მოძრაობების დაწყება *ხორვატიასა* და *სლოვენიაში*. ამ მოძრაობის მიზანი იყო *სერბეთის* გავლენის განსამუხტავად იუგოსლავიის კონფედერაციად გარდაქმნა. 1991 წელს იუგოსლავიის პრეზიდენტი უნდა გამხდარიყო ხორვატი *სტიპე მესიჩი* (*Stipe Mesic*), ვინაიდან კონსტიტუციით, რომელიც ითვალისწინებდა თანამდებობის ყოველწლიურ როტაციას რესპუბლიკების მიხედვით, *ხორვატიის* ჯერი იყო. მიუხედავად ამისა, *მილოშევიჩმა* იგი დაბლოკა და დაიკავა პრეზიდენტის პოსტი. 1991 წლის ომი, შეიძლება ითქვას, ეს იყო

რომელიც ადამიანის უფლებათა ფართომასშტაბიანი დარღვევის არაერთ ფაქტს შეიცავს.

იუგოსლავიის კონფლიქტი ორ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ. პირველი – 1991–1995 წლები, როდესაც *იუგოსლავიას* გამოეყო *ხორვატია*, *სლოვენია* და *ბოსნია-ჰერცეგოვინა*.¹⁶² ეთნიკურ დაპირისპირებაში, სერბების მხრიდან, *მილოშევიჩთან* ერთად, განსაკუთრებით აქტიურობდნენ, ასევე, ბოსნიელი სერბების პოლიტიკური პარტიის ლიდერი, ფსიქიატრი *რადოვან კარაჯიჩი* (*Radovan Karadzic*)¹⁶³ და *იუგოსლავიის* ეროვნული არმიის ყოფილი მაღალჩინოსანი, *რატკო მლადიჩი* (*Ratko Mladic*)¹⁶⁴. განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა *ომარსკას* (*Omarska*) საკონცენტრაციო ბანაკი¹⁶⁵ და *ბოსნია-ჰერცეგოვინის* აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ *სრებრენიცაში* (*Srebrenica*) განხორციელებული დაპირისპირების მოვლენები¹⁶⁶, რომლის

მხოლოდ რეგიონში ენდემური ეთნიკური დაპირისპირების გაგრძელება. იხ. *Scharf, Balkan Justice* (1997), 21–26.

¹⁶² 1995 წლის 25 ივნისს, დიდი მოლაპარაკებების შემდეგ, *ხორვატიამ* და *სლოვენიამ* დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. 1992 წლის იანვარში *ხორვატია* და *სერბეთი* დასთანხმდა გაეროს სამშვიდობო ძალების განლაგებას, კონფლიქტის ზონიდან, მათ ტერიტორიაზე *იუგოსლავიის* ეროვნული არმიისა და ადგილობრივი სამხედრო ძალების გამოყენებას გაკონტროლების მიზნით. ამას წინ უძღოდა *მილოშევიჩის* სერბებით დაკომპლექტებული *იუგოსლავიის* ეროვნული არმიის შეყვანა *სლოვენია*სა და *ხორვატიაში*, რომელმაც ვერ დაამყარა კონტროლი აღნიშნულ ორ რესპუბლიკაზე. *მილოშევიჩი* იძულებული გახდა დასთანხმებოდა ცეცხლის შეწყვეტის შეთავაზებას, რასაც მოგვიანებით, გაეროს მიერ *ხორვატიის* დამოუკიდებლობის ფორმალური ცნობა მოჰყვა. ამის შემდეგ, უკვე მთელი ეპიცენტრი *ბოსნია-ჰერცეგოვინის* ტერიტორიაზე გადავიდა. დაწ. იხ. იქვე, 26–36.

¹⁶³ 1992 წლის 29 თებერვალსა და 1 მარტს *ბოსნია-ჰერცეგოვინაში* მცხოვრებმა მუსულმანმა ხორვატმა მოსახლეობამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ხორვატ-მუსულმანებთან ერთად *ბოსნია-ჰერცეგოვინაში* ცხოვრობდნენ სერბები, რომლებიც მთლიანი მოსახლეობის 31 პროცენტს შეადგენდნენ. 6 აპრილს ევროპის ქვეყნებმა და შემდეგ დღეს, *აშშ*-მ, *ბოსნია-ჰერცეგოვინის* დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ ნაბიჯს ბოსნიელი სერბების პოლიტიკური პარტიის ლიდერის, ფსიქიატრი *რადოვან კარაჯიჩის* მხრიდან *ბოსნია-ჰერცეგოვინის* სერბული ტერიტორიის – *სპრსკა რესპუბლიკის* (*Sprska Republic*) დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა. *სერბეთმა* ტერიტორიის შემოერთების მიზნით *კარაჯიჩს* დახმარების მზადყოფნა გამოუცხადა. იხ. იქვე, 27–30.

¹⁶⁴ 1992 წლის 19 მაისს *სერბეთმა* *იუგოსლავიის* ეროვნული არმია გაიყვანა *ბოსნია-ჰერცეგოვინის* ტერიტორიიდან. რეგიონში მობილიზაციის გარეშე დარჩენილი არმიის (რომელიც მთლიანი არმიის 85 პროცენტს შეადგენდა) კონტროლი თავის თავზე აიღო *იუგოსლავიის* ეროვნული არმიის ყოფილმა მაღალჩინოსანმა, *რატკო მლადიჩმა*. არმია მხარდაჭერას *სერბეთიდან* იღებდა. იხ. იქვე.

¹⁶⁵ 1992 წლის 6 აგვისტოს, დიდი ბრიტანეთის ტელევიზიით გავიდა ფილმი *ომარსკას* მძიმე პირობების შესახებ, რომელიც იქმნებოდა სერბების მიერ *ბოსნიის* ჩრდილოეთით. აღნიშნული კადრების შემდეგ, *აშშ*-ის პრეზიდენტმა, *ჯორჯ ბუშმა* (*George Bush*) შემოთქვა გამოხატა საკონცენტრაციო ბანაკის არსებობასთან დაკავშირებით, თუმცა ეს მაინც საკმარისად არ მიიჩნია გენოციდის დანაშაულის „ასაღიარებლად“. იხ. *Scharf, Schabas, Milosevic* (2002), 23–25.

¹⁶⁶ *სრებრენიცა* გაეროს პოლანდიელი სამხედროებით დაცულ ზონას წარმოადგენდა. 1995 წლის ივლისში ბოსნიელი სერბების თავდასხმას, გენერალ *მლადიჩისა* და *რადისლავ კრსტიჩის* (*Radislav Krstic*) მეთაურობით, დაახლოებით 7 000-მდე ბოსნიელი მუსულმანი მამაკაცის დახოცვა მოჰყვა. *სრებრენიცაში* ჩადენილი დანაშაულები ევროპისთვის უცნობი დარჩებოდა, რომ არა ტრიბუნალის გამომძიებლის, *ჟინ-რენე რუეცის* (*Jean-Rene Ruez*)

კადრებმაც ფარდა ახადა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებს. კონფლიქტის პირველი ფაზა 1995 წელს, ე.წ. დეიტონის (Dayton) სამშვიდობო მოლაპარაკებით ამოიწურა.¹⁶⁷

იუგოსლავიის კონფლიქტის მეორე ეტაპი 1996–1999 წლებში კოსოვოში გაგრძელდა.¹⁶⁸ 1996 წელს კოსოვოში შეიქმნა კოსოვოს ლიბერალური არმია (KLA), რომელიც უკვე 1997 წელს პროვინციის დიდ ნაწილს აკონტროლებდა. დაპირისპირება სერბებსა და ალბანელებს შორის რამდენიმე თვე გაგრძელდა, რასაც შედეგად მოჰყვა დაახლოებით 6 200-მდე კოსოვოელი ალბანელის სიკვდილი და 750 000-ის განდევნა. 1999 წლის იანვარში, კოსოვოს სოფელ რაჩაკში (Racak) განხორციელებული სასტიკი დანაშაულებისა და უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ, NATO-მ დაიწყო სერბეთის საჰაერო დაბომბვა.¹⁶⁹

1999 წლის 24 მაისს, საჰაერო დაბომბვის კამპანიის პარალელურად, იუგოსლავიის პრეზიდენტს, მილოშევიჩს, ბრალი წაუყენეს კოსოვოში ეთნიკური ალბანელების წინააღმდეგ ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენისათვის. საბოლოოდ სერბეთმა დაპირისპირებას ვერ გაუძლო. მილოშევიჩი დათანხმდა სერბეთის სამხედრო ძალების გამოყვანას კოსოვოს ტერიტორიიდან და ტერიტორია დაუთმო NATO-ს. NATO-ს დაბომბვის შემდეგ, მილოშევიჩის პოპულარობა 20 პროცენტით დაეცა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო მისი 13-წლიანი მმართველობის განმავლობაში. სერბეთის ეკონომიკა ამდენი ომისა და საერთაშორისო სანქციების შედეგად მიწასთან იყო გასწორებული. ყველაფერმა ამაღ დიდი გავლენა იქონია 2000 წლის სექტემბერში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე, რის შედეგადაც იგი იძულებული გახდა დაეთმო ძალაუფლება. 2001 წლის აპრილში ხელისუფლების

შეუპოვარი თავდადება. აშშ-ის პრეზიდენტის, ბილ კლინტონის (Bill Clinton) ადმინისტრაციამ სწორედ სრებრენიცაში ჩადენილი დანაშაულის შემდეგ დაუჭირა მხარი NATO-ს ბოსნიელი სერბების დაბომბვის სამხედრო ოპერაციას. იხ. Hagan, Justice in the Balkans (2003), 14.

¹⁶⁷ 1995 წლის ნოემბერში კონფლიქტის მხარეები, აშშ-ის, რუსეთის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის, ე.წ. „საკონტაქტო ჯგუფის“ წევრების მონაწილეობით შეიკრიბნენ აშშ-ის ოჯაიოს შტატში, ქალაქ დეიტონში, ეთნიკური დაპირისპირების სალიკვიდაციოდ. უკვე დეკემბერში ხელი მოეწერა სამშვიდობო შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, ბოსნიურ-ხორვატული ფედერაცია იღებდა ბოსნიის ტერიტორიის 51, ხოლო ბოსნიელი სერბები 49 პროცენტს. შეთანხმებას ხელს აწერდა ასევე მილოშევიჩი. დეიტონის სამშვიდობო შეთანხმებაში გათვალისწინებული იყო მხარეთა თანამშრომლობის ვალდებულება ICTY-ისთან. არავის არ შეეძლო არჩევნებში მონაწილეობის მიღება, თუ ბრალდებული იქნებოდა სასამართლოს მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის. იხ. Scharf, Schabas, Milosevic (2002), 30–31; იხ. ასევე: Waters, Milosevic, კრებულში: Waters (ed.), Milosevic Trial (2014), 25.

¹⁶⁸ კოსოვოს რეგიონი საწყის ეტაპზევე მოიაზრებოდა კოსოვოელ ალბანელებსა და სერბებს შორის დაპირისპირების ეპიცენტრად, თუმცა, დამოუკიდებლობისთვის მწვავე გამოსვლები დეიტონის შეთანხმების შემდეგ დაიწყო. კოსოვოელი ალბანელები უკმაყოფილო იყვნენ მათი ავტონომიის სამართლებრივი სტატუსის გაუთვალისწინებლობით, საკითხის ზედაპირული განხილვის გამო. იხ. იქვე, 25–26.

¹⁶⁹ იხ. იქვე.

სათავეში მოსული ვოისლავ კოსტუნიცას (*Vojislav Kostunica*) მთავრობამ დააკავა *მილოშევიჩი* კორუფციისა და სხვა დანაშაულების ჩადენის ბრალდებით. კონფრონტაციის მიუხედავად, იგი არ თანხმდებოდა ექსპრეზიდენტის ექსტრადიციას *ჰაავაში*, თუმცა, მისმა პოლიტიკურმა მეტოქემ, პრემიერ-მინისტრმა, დაავალა პოლიციას, *მილოშევიჩი* ფარულად გადაეყვანათ *ბოსნიაში, ტულცაში (Tulza)* მდებარე ამერიკულ საჰაერო ბაზაში, საიდანაც იგი 2001 წლის 28 ივნისს გადაეცა *ჰაავის* ტრიბუნალს (*ICTY*).¹⁷⁰

1.1.2. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა „ეთნიკური წმენდისათვის“ იუგოსლავიაში

გაეროს უშიშროების საბჭომ 1992 წლის 13 აგვისტოს რეზოლუციით (*UNSC Resolution 771*) მოუწოდა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო კომანიტარულ ორგანიზაციებს საბჭოსთვის გადაეცათ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია *იუგოსლავიის* ტერიტორიაზე არსებული ომის დანაშაულების შესახებ. ორი თვის შემდეგ, გაერომ, იმავე ფორმით (*UNSC Resolution 780*) დააფუძნა *იუგოსლავიის* კრიზისის შესახებ მიწოდებული ინფორმაციის შემსწავლელი კომისია, რომელმაც 1993 წლის თებერვალში, გაეროს გენერალურ მდივანს გაუგზავნა მიმართვა *ბოსნიაში* გენოციდის, ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის შესახებ. კომისია, ამსრულებლებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზნით, საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის რეკომენდაციით გამოდიოდა.¹⁷¹

გაეროს უშიშროების საბჭომ აღნიშნული სიტუაციის გათვალისწინებით 1993 წლის რეზოლუციით (*UNSC Resolution 808*), ექსტრადიციური და უპრეცედენტო ქმედებით,¹⁷² დააფუძნა ყოფილი *იუგოსლავიის ad hoc სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი (ICTY)*, რომელსაც ყოფილი *იუგოსლავიის* ტერიტორიაზე (*ratione loci*) 1991 წლიდან (*ratione temporis*) ინდივიდების მიერ ჩადენილი (*ratione personae*) გენოციდის, ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ

¹⁷⁰ იხ. *Scharf, Schabas, Milosevic* (2002), 34–38. სრული დოკუმენტური მასალა იუგოსლავიის კონფლიქტის შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე: <<http://www.icty.org/en/documents>>, [9.2.2016]; იხ. ასევე: *Bethlehem, Weller, 'Yugoslav' Crisis, Part I* (1997).

¹⁷¹ ვინაიდან ბოსნიელი სერბები ჰაერიდან აწარმოებდნენ ბოსნიელი მუსულმანების ეთნიკურ წმენდას და ბოსნიელმუსულმანებს არ შეეძლოთ თავის დაცვა (საჰაერო ძალების არარსებობის გამო), 1992 წლის 9 ოქტომბერს, *ICTY*-ის შექმნამდე, გაეროს რეზოლუციით (*UNSC Resolution 781*), *ბოსნია-ჰერცეგოვინის* ტერიტორია არასაფრენ ზონად გამოაცხადა. *NATO*-ს საჰაერო ძალები მჭიდრო კოორდინაციაში იყვნენ გენერალურ მდივანთან. იხ. იქვე, 23–25.

¹⁷² შეად. *Kerr, ICTY* (2004), 1.

დანაშაულებზე (*ratione materiae*) სისხლისსამართლებრივი დევნის უფლებამოსილება მიენიჭა.¹⁷³

12. რუანდის სისხლის სამართლის დროებითი საერთაშორისო ტრიბუნალი

12.1. „ეთნიკური წმენდა“ რუანდაში

გენოციდის პირველი რეკორდული მაჩვენებელი აფრიკის დიდი ტბების რეგიონში, *ბურუნდიში (Burundi)*, 1972 წელს გამოვლინდა, სადაც 200 000-დან 300 000-მდე *ჰუტუ* იქნა განადგურებული, ძირითადად, *ტუტსის* არმიის მიერ თავაწყვეტილი დანაშაულებით.¹⁷⁴ ეთნიკური დაპირისპირება აფრიკაში წლების განმავლობაში გრძელდებოდა და, სამწუხაროდ, დღესაც იწინს თავს არაერთი მიმართულებით.¹⁷⁵ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის არსებითი და სისტემატური დარღვევა გენოციდის დანაშაულის მასშტაბური ნიშნებით *რუანდაში*¹⁷⁶ 1990 წლის შუა პერიოდიდან დაიწყო, რასაც შედეგად მოჰყვა შემდეგი გენოციდი 1994 წელს კატასტროფული შედეგით. 500 000-დან 800 000-მდე, უმეტესწილად, *ტუტსი* იქნა დახოცილი, რაც *რუანდის* საერთო მოსახლეობის დაახლოებით 10 პროცენტს წარმოადგენდა. აღნიშნულის გარდა, *რუანდის* გენოციდი საზარელი იყო დანაშაულების ჩადენის ფორმითაც. *ჰუტუს* ექსტრემისტები მოწინააღმდეგეებს უსწორდებოდნენ მაჩეტეებითა და სხვა ბლაგვი სასოფლო-სამეურნეო ხელსაწყოებით. სიტუაცია კონტროლს არ ექვემდებარებოდა. *რუანდის* მთავრობისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისათვის, სადამსჯელო ღონისძიებების განსახორციელებლად და „გატეხილი სოციუმის“ აღსადგენად, აუცილებელი იყო საერთაშორისო სასამართლოს შექმნა.¹⁷⁷

12.2. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა „ეთნიკური წმენდისათვის“ რუანდაში

გაეროს უშიშროების საბჭომ 1994 წლის რეზოლუციით (*UNSC Resolution 995*) უკვე აპრობირებული სტანდარტით დააფუძნა *რუანდის ad hoc სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი (ICTR)*, რომელსაც *რუანდის*, ასევე მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიებზე (*ratione loci*) 1994 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე (*ratione temporis*) ინდივიდების მიერ ჩადენილ (*ratione personae*) დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის

¹⁷³ იხ. *Satzger*, International and European CL (2012), 191–194. *ICTY*-ის შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: <<http://www.icty.org/en/documents>>, [9.2.2016].

¹⁷⁴ იხ. *Gillespie*, History of the Laws, Vol. II (2011), 206.

¹⁷⁵ *ICC*-ის პროკურატურის ოფისის მიერ 9 „სიტუაციაზე“ დაწვეული გამოძიება, სწორედ, აფრიკის კონტინენტზე ჩადენილ დანაშაულებს ეხება.

¹⁷⁶ *რუანდის* სამეფომ გაფართოება დაიწყო XVI საუკუნიდან, მანამდე რამდენიმე პატარა „გაერთიანება“ ცდილობდა ქვეყნის ტერიტორიაზე გაფართოებას. იხ. *Peskin*, Justice in Rwanda and the Balkans (2008), 153–154.

¹⁷⁷ იხ. იქვე.

უფლება მიენიჭა. *ჭუტუს* ეთნიკური ჯგუფი დანაშაულებს სჩადიოდა *ტუტის* ეთნიკური ჯგუფის (უმცირესობის) წინააღმდეგ. ICTY-გან განსხვავებით *რუანდის* მთავრობამ პირდაპირ ითხოვა ტრიბუნალის დაფუძნება. ICTR იყო პირველი ტრიბუნალი, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება გაეროს გენოციდის 1948 წლის კონვენციაზე დაყრდნობით (*Prosecutor v. Akayesu*). ასევე, *ჟინ კამბანდა (Jean Kambanda)* იყო პირველი სახელმწიფოს მეთაური, რომელიც დამნაშავედ იქნა გამოცხადებული და დაეკისრა ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გენოციდის დანაშაულის ჩადენისათვის.¹⁷⁸

13. სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების მექანიზმი

2010 წლის 22 დეკემბერს, გაეროს უშიშროების საბჭომ დააფუძნა „ახალი“ ტრიბუნალი – *სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების მექანიზმი (MICT)*, ICTR-ის¹⁷⁹ და ICTY-ის საქმიანობის ბოლომდე მიყვანის მიზნით.¹⁸⁰ იგი შედგება ორი განყოფილებისგან. პირველი განყოფილება, რომელსაც მიეცა ICTR-ის საქმიანობის გაგრძელების უფლება, მდებარეობს ქალაქ *არუშაში (Arusha)*, *ტანზანიაში*, ხოლო მეორე, ICTY-ის საქმიანობის გაგრძელების უფლებით, *ჰააგაში*.¹⁸¹ მისი საქმიანობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ეფუძნება ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპს.

14. დროებითი ტრიბუნალების სამართლის მნიშვნელობა

II მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში *იუგოსლავიისა და რუანდის* დიდი მასშტაბის მსგავსი დანაშაულები არ განხორციელებულა. საერთაშორისო სამართალში სასამართლოს შექმნით ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნება ყოველთვის პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. საერთაშორისო თანამეგობრობამ, გაეროს უშიშროების საბჭოს ძალაუფლებით *ad hoc* ტრიბუნალების დაფუძნებით, საერთაშორისო

¹⁷⁸ იხ. *Satzger*, *International and European CL* (2012), 195. ICTR-ის საქმიანობასთან დაკავშირებით დაწ. იხ. *Mose*, ICTR, კრებულში: *Bellelli* (ed.), ICJ (2011), 79–99. ICTR-ის შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: <<http://unictr.unmict.org/en/tribunal>>, [9.2.2016].

¹⁷⁹ ICTR-ის მანდატი, მისი პრეზიდენტის გათვლით, 2009–2010 წლებში უნდა ამოწურულიყო, თუმცა ეს ვერ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის ბოლოსთვის თითქმის ყველა საქმე ბოლომდე იყო მიყვანილი სასამართლო პალატის ფარგლებში, სააპელაციო პალატაში განსახილველი საქმეები მაინც რჩებოდა ტრიბუნალში. დაწ. იხ. ბმულზე: <<http://unictr.unmict.org/en/tribunal>>, [9.2.2016].

¹⁸⁰ ICTY-ის საქმიანობა თავდაპირველად განისაზღვრა 2010 წლამდე, სააპელაციო განხილვის ჩათვლით. თუმცა, გარკვეული საქმეების ბოლომდე მიყვანა გართულდა. პროცესი დაამძიმა რამდენიმე ბრალდებულის დაკავებამ ICTY-ის საქმიანობის ბოლო ეტაპზე – *რადოვან კარაჯიჩი* 2008 წელს, *რატკო მლადიჩი* და ე.წ. „სერბული კრაინის რესპუბლიკის“ პრეზიდენტი, *გორან ჰადჯიჩი (Goran Hadzic)* 2011 წელს. დაწ. იხ. ბმულზე: <<http://www.icty.org/action/cases/4>>, [9.2.2016].

¹⁸¹ *სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების მექანიზმის* შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: <<http://www.unmict.org/en>>, [9.2.2016].

სამართალში ამოქმედდა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების მექანიზმი, რომელიც არეგულირებს „ძალის გამოყენებას“ სასამართლო ინსტიტუტების შექმნით.¹⁸² სასამართლოს დაფუძნების ასეთი ფორმა, საერთაშორისო სამართლის ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ტრიბუნალების კანონიერებას ეჭვქვეშ აყენებდა – რამდენად იყო გამართლებული ტრიბუნალის დაფუძნება უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს ქარტიის მე-7 თავზე მითითებით.¹⁸³ *ნიურნბერგისა* და *ტოკიოს ტრიბუნალების* მსგავსად, *ad hoc* ტრიბუნალებს მოიხსენიებდნენ გამარჯვებულ ძალთა მართლმსაჯულების განმახორციელებელ სასამართლოდ.¹⁸⁴ თუმცა, სასამართლოს უნივერსალურობა მდგომარეობდა იმაში, რომ, *ნიურნბერგისა* და *ტოკიოს ტრიბუნალებისგან* განსხვავებით, იგი გაეროს უშიშროების საბჭოს, საერთაშორისო თანამეგობრობის თავისუფალი ნების საფუძველზე ამოქმედდა.¹⁸⁵

საერთო ჯამში, *ad hoc* ტრიბუნალების მეშვეობით ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების მოდელმა სამართლებრივი, პოლიტიკური და დიპლომატიური თვალსაზრისით გაამართლა.¹⁸⁶ მას გააჩნდა გადაწყვეტილების მიღების, იძულებითი ზომების გამოყენებისა და სადამსჯელო ზომების გატარების ძალაუფლება, გასაჩივრების უფლების (სააპელაციო პალატის) არსებობით.¹⁸⁷ მისი პრეცედენტული სამართალი ICC-ის ძირითადი წყაროა.¹⁸⁸

2. ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ჰიბრიდული მართლმსაჯულება

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებულმა მძიმე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების სისტემატურმა დარღვევამ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების – სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების განხორციელების ახალი თავისებური სისტემის ჩამოყალიბება გამოიწვია. ეს არის მართლმსაჯულების განხორციელების ისეთი ფორმა, როდესაც სასამართლო, რომელიც დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ეროვნული სისხლის სამართლის მიმართ წაყენებულ მოთხოვნას – პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციას, ინტერნაციონალიზებულია საერთაშორისო სამართლის ელემენტებით. ასეთ სასამართლოებს საერთაშორისო სისხლის სამართლის ლიტერატურაში

¹⁸² შეად. Kerr, ICTY (2004), 3–5.

¹⁸³ დისკუსია აღნიშნულ საკითხზე იხ. იქვე, 62–65.

¹⁸⁴ დაწ. იხ. Shahabuddeen, ICJ at the ICTY (2012), 29–30.

¹⁸⁵ იხ. იქვე.

¹⁸⁶ შეად. Kerr, ICTY (2004), 208–210.

¹⁸⁷ დაწ. იხ. Shahabuddeen, ICJ at the ICTY (2012), 51–128.

¹⁸⁸ *ad hoc* ტრიბუნალების პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, ICC-მ არაერთი ახალი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინა შექმნა.

ინტერნაციონალიზებულ შერეულ (*mixed*)¹⁸⁹, ე.წ. *ჰიბრიდულ* ტრიბუნალებს (*hybrid tribunals*) უწოდებენ.¹⁹⁰ *ჰიბრიდული* ტრიბუნალები შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ნიშნის მიხედვით:

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და სახელმწიფოს შორის დადებული შეთანხმებით შექმნილი ტრიბუნალები (*კამბოჯის სასამართლოს საგანგებო პალატები, სიერა-ლეონეს სპეციალური სასამართლო, ლიბანის სპეციალური ტრიბუნალი*);
- სასამართლოები, როგორც გაეროს დროებითი ადმინისტრაციის ნაწილი (*ადმოსავლეთ ტიმორისა და კოსოვოს სასამართლოები*);
- სასამართლოები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან გაეროს ადმინისტრაციას (*ბოსნიისა და ერაყის ტრიბუნალები*).¹⁹¹

ყველა *ჰიბრიდული* ტრიბუნალი პრეცედენტულია და მორგებულია ენდემურ „სიტუაციებს“. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების მოდელის მხრივ, შეგვიძლია გამოვყოთ *ჰიბრიდული* ტრიბუნალების რეტროაქტიული, *ad hoc* ტრიბუნალების მსგავსი, მოსამზადებელი, სუბსიდიური და სპეციალური მოდელები.

2.1. რეტროაქტიული მოდელი

კამბოჯის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მოდელი საინტერესოა მისი რეტროაქტიული ხასიათით. 1997 წელს *კამბოჯის* ხელისუფლებამ მიმართა გაეროს ეროვნული სასამართლოს დახმარების თხოვნით. საქმე ეხებოდა *წითელი კხმერების (Khmer Rouge)* მაღალი თანამდებობის პირების მიერ 1975–1979 წლებში ჩადენილი მასშტაბური დანაშაულების გამოძიებას.¹⁹² აღნიშნულ პერიოდში 1 700 000-მდე ადამიანი დაიხოცა

¹⁸⁹ ინტერნაციონალური და ნაციონალური სისხლის სამართლის „მიქსი“. *ჰიბრიდული* და ინტერნაციონალიზებული ტრიბუნალების დეფინიციასა და სისტემაზე დაწ. იხ. Winkelmann, Mixed Courts, კრებულში: Wolfrum (ed.), MPEPIL, Vol. VII (2013), 305–312.

¹⁹⁰ მიუხედავად თითოეული *ჰიბრიდული* ტრიბუნალის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნების ინდივიდუალურობისა, მათ რამდენიმე საერთო მახასიათებელი ნიშანი გააჩნია. კერძოდ: სასამართლოები მართლმსაჯულების განხორციელების დროს იყენებენ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ნორმებს; სასამართლოები (მოსამართლეები, პროკურორები და სხვ.) დაკომპლექტებულია როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პერსონალისგან და, ზოგადად, სასამართლოს პერსონალი მუშაობს დანაშაულის ჩადენის ქვეყანაში. შეად. Donlon, Hybrid Tribunals, კრებულში: Schabas, Bernaz (ed.), ICL (2011), 85–86.

¹⁹¹ ასეთი დაყოფის შესახებ იხ. Zahar, Sluiter, ICL (2008), 11–13; იხ. ასევე: Donlon, Hybrid Tribunals, კრებულში: Schabas, Bernaz (ed.), ICL (2011), 85–105; Schaack, Slye, ICL Enforcement (2007), 156–208.

¹⁹² *კამბოჯა* დამოუკიდებელი სახელმწიფო 1953 წელს გახდა. მანამდე იგი *საფრანგეთის* კოლონიას წარმოადგენდა. 1970 წელს, პრინცი მშვიდობიანი გზით გადაყენების შემდეგ, *კამბოჯაში* ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა, *კხმერის რესპუბლიკის (Khmer Republic)* სახელით. ახალმა მთავრობამ კარგი ურთიერთობა შეინარჩუნა აშშ-თან, რამაც განაპირობა ახალი კომუნისტური პარტიის, *კამპუჩეოს (Kampuchea)*, ე.წ. „წითელი კხმერების“ (*Khmer Rouge*) დაარსება. ძალაუფლებისთვის ათწლიანი ბრძოლის შემდეგ *კამპუჩეოს* პარტია მოვიდა ხელისუფლებაში. მათი მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან

შიმშილით, იძულებითი შრომით, წამებით, სიკვდილით დასჯითა და სხვა სასტიკი არაპუმანური ხერხით. მიმდინარეობდა პოლიტიკური ოპონენტებისა და ეთნიკური უმცირესობების მასობრივი წმენდა. დამნაშავეების მთავარი მიზანი იმ პერიოდში იყო სუვერენული *კამბოჯის* არსებობა, უცხო ძალების ჩარევისა და ბატონობის გარეშე. ასეთი მკაცრი გენოციდი მსოფლიო ისტორიას, სახელმწიფოს მიერ საკუთარი მოქალაქეების მიმართ ჩადენილი, ჯერ არ ახსოვს. ამ სისასტიკის ერთ-ერთი გამორჩეული დამნაშავე იყო *პოლ პოტი (Pol Pot)*, რომელიც 1998 წელს, სანამ მასზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყებოდა, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.¹⁹³

2001 წელს *კამბოჯის* ეროვნულმა ასამბლეამ დააფუძნა სასამართლო, რომელიც დაკომპლექტდა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პერსონალით. სასამართლოს ეწოდა *კამბოჯის სასამართლოს საგანგებო პალატები კამბოჯის სასამართლოებში (ECCC)*. 2003 წლის 13 მაისს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა შეთანხმება გაეროსა და *კამბოჯის* ხელისუფლებას შორის, რომლითაც გაერო თანხმობას გამოხატავდა დახმარებოდა *კამბოჯას* მართლმსაჯულების განხორციელებაში. სასამართლოს იურისდიქცია ხორციელდება 1975 წლის 17 აპრილიდან 1979 წლის 6 იანვრის ჩათვლით ჩადენილ დანაშაულებზე. აღსანიშნავია, რომ სასამართლო, დღეის მდგომარეობით, იძიებს მხოლოდ ოთხ საქმეს. მისი შექმნიდან, ამდენი ხნის განმავლობაში, მხოლოდ ერთ პირს დაედო მსჯავრი.¹⁹⁴ ამის გათვალისწინებით, საერთო ჯამში, სასამართლოს საქმიანობა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ნაწილში არაეფექტიანად შეიძლება შეფასდეს.

2.2. დროებითი ტრიბუნალების მსგავსი მოდელი

სიერა-ლეონეში სამოქალაქო ომი საერთო კონგრესის (*All People's Congress*) პარტიასა და გაერთიანებული რევოლუციური ფრონტის ჯგუფს (*Revolutionary United Front*) შორის 1991 წლიდან 2000 წლამდე გრძელდებოდა. საერთო კონგრესის პარტია ქვეყნის მართვას XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩაუდგა სათავეში. მისი მმართველობის პერიოდში ქვეყანა იმართებოდა ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური კორუფციით, კონკრეტული

1978–1979 წლებში *ვიეტნამმა* მოახდინა *კამბოჯის* ოკუპაცია და *კამბოჯის* დეკლარაციით დააფუძნა *კამპუჩიის* სახალხო რესპუბლიკა. ახალ ძალასთან დაპირისპირება განაგრძო *კამპუჩიის* კომუნისტურმა პარტიამ. კონფლიქტი 1991 წლის სამშვიდობო პროცესებით ამოიწურა. ამის შემდეგ, *წითელ კმერებს* პოლიტიკური და სამხედრო სათავეები ნელ-ნელა გამოეცალათ ხელიდან. სამოქალაქო ომი, საბოლოოდ, 1998 წელს დამთავრდა. გარდამავალ პერიოდში ისევ მიმდინარეობდა მცირე მასშტაბის დარღვევები. იხ. *Williams, Hybrid Tribunals* (2012), 120–122.

¹⁹³ *კამბოჯის* კონფლიქტის (*წითელი კმერების* მიერ ჩადენილი დანაშაულების) შესახებ ისტორიული ქრონოლოგია და სრულყოფილი დოკუმენტური მასალა ხელმისაწვდომია ბმულზე: <<http://www.eccc.gov.kh/en/document/court>>, [9.2.2016]; იხ. ასევე: *DeNike, Quigley, Robinson* (ed.), *Genocide in Cambodia* (2000), 73 და მომდევნო გვერდები.

¹⁹⁴ დაწ. იხ. იქვე.

ეთნიკური ჯგუფების მარგინალიზაციითა და ტენდენციური პოლიტიკით. ომმა, საერთო ჯამში, იმსხვერპლა 75 000-მდე ადამიანის სიცოცხლე, საერთო მოსახლეობის ერთი მესამედი იძულებით განიდევნა საცხოვრებელი ადგილებიდან.¹⁹⁵

სამოქალაქო ომის დროს ადგილი ჰქონდა საერთაშორისო სისხლის სამართლის არაერთი დანაშაულის ჩადენას. მიმდინარეობდა არასრულწლოვანთა გამოყენება (ჯარისკაცების სახით) საბრძოლო მოქმედებებისათვის, ქალების გაუპატიურება, სექსუალური ექსპლუატაცია და სხვ. ორივე მხარის წევრები მონაწილეობდნენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევაში. ყოველივე ამის გამოსაძიებლად, 2000 წელს პრეზიდენტმა აჰმად კაბაჰმა (Ahmad Kabbah) მიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად – ეფექტიანი მართლმსაჯულების განსახორციელებლად. თავად ქვეყანას ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა. გაეროსა და *სიერა-ლეონეს* შორის 2002 წლის 16 იანვარს გაფორმებული შეთანხმებით, ქვეყნის დედაქალაქ *ფრიტაუნში* (Freetown) დაფუძნდა *სიერა-ლეონეს სპეციალური სასამართლო* (SCSL). სასამართლოს იურისდიქცია განისაზღვრა ქვეყნის ტერიტორიაზე ჩადენილი *სიერა-ლეონეს* სამართლითა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული დანაშაულებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 1996 წლის 30 ნოემბრიდან.¹⁹⁶

სიერა-ლეონეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მოდელი ზემოთ განხილული *ad hoc* ტრიბუნალების (ICTY, ICTR) მსგავსია. მათი დოქტრინაც, პრაქტიკულად, იდენტურია. თუ რატომ არ მოხდა *ad hoc* ტრიბუნალების ფორმით სასამართლოს ჩამოყალიბება, ეს შეიძლება საერთაშორისო სისხლის სამართლის რეკონსტრუქციის პერიოდის „ბრალი“ იყო. ICC მალე შედიოდა ძალაში. საერთაშორისო თანამეგობრობას ისევე ახალი „წამმზომის ჩართვა“ იმ პერიოდში ხელს არ აძლევდა.

¹⁹⁵ 1991 წლის 23 აპრილს, *გაერთიანებული რევოლუციური ფრონტის* ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ *სიერა-ლეონესა* და სხვა აფრიკული სახელმწიფოების მოქალაქეები, თავს დაესხა ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარე სოფელს, რაც ფართომასშტაბიან სამოქალაქო ომში გადაიზარდა. 1999 წელს გაეროს გაერთიანებული აფრიკის ორგანიზაციის, *ტოგოს* ხელისუფლებისა და სხვა ორგანიზაციების დახმარებით *ტოგოს* დედაქალაქ *ლომეში* (Lome), კონფლიქტის მოგვარების მიზნით ჩატარდა სამშვიდობო კონფერენცია. კომპრომისი იქნა მიღწეული. იმავე წლის 7 ივლისს მხარეებს შორის ხელი მოეწერა საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შეთანხმებას. მიუხედავად ამისა 2000 წლის დასაწყისში რევოლუციური ფრონტის ჯგუფის მიერ თავდასხმები განახლდა. კონფლიქტი 2002 წლის 14 იანვრამდე გაგრძელდა. 45 000-მდე მკვლელობა ჩაბარდა მოწინააღმდეგეს. იხ. Smith, SCSL, კრებულში: Jalloh (ed.), SCSL and its Legacy (2014), 46–59; იხ. ასევე: Williams, Hybrid Tribunals (2012), 65–73; *სიერა-ლეონეს* კონფლიქტის შესახებ დაწ. იხ. Abdullah (ed.), Between Democracy and Terror (2004), 13–120.

¹⁹⁶ *სიერა-ლეონეს სპეციალური სასამართლოს* საქმიანობის შესახებ დაწ. იხ. Winter, SCSL, კრებულში: Bellelli (ed.), ICJ (2011), 101–121; იხ. ასევე: Kelsall, SCSL (2009), 36 და მომდევნო გვერდები. სასამართლოს დაფუძნების ქრონოლოგია და სრული დოკუმენტური მასალა ხელმისაწვდომია ბმულზე: <<http://www.rscsl.org/documents.html>>, [9.2. 2016].

სიერა-ლეონეს სპეციალური სასამართლოს მიერ განხილული ყველაზე ცნობილი საქმე იყო *ლიბერიის* ყოფილი პრეზიდენტის, *ჩარლზ ტეილორის* (Charles Taylor) მიმართ, რომელიც უსაფრთხოების მიზნით განხილული იქნა *ჰააგაში*. 2012 წლის 26 აპრილს *ტეილორი* სასამართლო პალატამ დამნაშავედ ცნო გაერთიანებული რევოლუციური ფრონტის ჯგუფისა და სხვა პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების დახმარებაში (თანამონაწილეობაში). საქმისწარმოება გაგრძელდა სააპელაციო პალატაში, რომელმაც დაცვის მხარის შენიშვნები შეუსაბამოდ მიიჩნია და უცვლელად დატოვა სასამართლო პალატის მიერ გამოტანილი განაჩენი. *ლიბერიის* ყოფილ პრეზიდენტს სასჯელის სახით შეეფარდა 50 წლით თავისუფლების აღკვეთა¹⁹⁷, იმის ხაზგასმით, რომ იგი იყო დანაშაულში (თანა)მონაწილე, „მეორე ხარისხის მონაწილე“.¹⁹⁸

სიერა-ლეონეს სპეციალური სასამართლო იყო პირველი თანამედროვე საერთაშორისო ტრიბუნალი, რომელმაც ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისრა სახელმწიფოს მოქმედ მეთაურს (*Prosecutor v. Taylor*). იგი ოფიციალურად დაიხურა 2013 წლის დეკემბერში. მის ნაცვლად შეიქმნა ახალი *სიერა-ლეონეს დამატებითი სპეციალური სასამართლო (RSCSL)*.¹⁹⁹

2.3. მოსამზადებელი მოდელი

1998 წლის 30 აგვისტოს *ადმოსავლეთ ტიმორში* დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შემდეგ გაერომ დანიშნა გარდამავალი ადმინისტრაცია, რომელსაც გადაეცა აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ფუნქციები.²⁰⁰ გარდამავალმა ადმინისტრაციამ 2000 წლის იანვარში

¹⁹⁷ SCSL, *Prosecutor v. Taylor*-ის საქმეზე დაწ. იხ. Gell, Trial of Charles Taylor, კრებული: Jalloh (ed.), SCSL and its Legacy (2014), 642–659.

¹⁹⁸ სასჯელის შეფარდებისას ამსრულებლობა-თანამონაწილეობის სახით დანაშაულში მონაწილეობის კატეგორიზაციის აუცილებლობაზე იხ. ნაშრომის XIII თავი.

¹⁹⁹ გაეროსა და *სიერა-ლეონეს* ხელისუფლებას შორის გაფორმებული შეთანხმებით, დაფუძნდა *სიერა-ლეონეს დამატებითი სპეციალური სასამართლო (Residual Special Court for Sierra Leone)*, რომელსაც გადაეცა *სიერა-ლეონეს სპეციალური სასამართლოს* მემკვიდრეობა. ახალი სასამართლო ძირითადად მდებარეობს *ფრიტაუნში*, თუმცა, მოწმეთა და დაზარალებულთა დაცვის მიზნით, იგი თავის საქმიანობას განახორციელებს *ჰააგაში*. მის ფუნქციებში შედის *სიერა-ლეონეს სპეციალური სასამართლოს* არქივის/პრეცედენტული სამართლის „ძალაში შენარჩუნება“, მოწმეთა დაცვა და დახმარება, ადგილობრივი სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების დახმარება-მხარდაჭერა, სწორი გამოყენება, ძველი განაჩენების აღსრულებაზე კონტროლი, *სიერა-ლეონეს სპეციალური სასამართლოს* მიერ დაწესებული საქმეების ბოლომდე მიყვანა და სხვ. *სიერა-ლეონეს დამატებითი სპეციალური სასამართლოს* შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: <<http://www.rscsl.org/index.html>>, [9.2.2016].

²⁰⁰ *ადმოსავლეთ ტიმორის* ტერიტორია 1975 წლამდე *პორტუგალიის* შემადგენლობაში შედიოდა. 1976 წლიდან *ინდონეზიამ* მოახდინა ტერიტორიის ანექსია, რომელიც 1998 წლის 30 აგვისტოს დამოუკიდებლობის გამოცხადების რეფერენდუმამდე გაგრძელდა. საერთო რაოდენობის 78,5 პროცენტმა დაუჭირა მხარი ტერიტორიის დამოუკიდებლობას. ამის საპასუხოდ, *ინდონეზიის* მთავრობამ დაიწყო მასობრივი რეპრესიები მოსახლეობის წინააღმდეგ. იყო ჩადენილი მკვლელობა, გაუპატიურება, წამება, მაროდობა და სხვ. იხ.

დააფუძნა სასამართლო სისტემა, რომელიც, უმეტესწილად, დაკომპლექტდა საერთაშორისო პერსონალით.²⁰¹ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნება ხდებოდა საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებითა და გამოცდილების გაზიარებით.²⁰²

გაეროს ადმინისტრაციამ მუშაობა 2005 წელს შეწყვიტა. გაეროს გარდამავალი ადმინისტრაციის სასამართლო სისტემამ პროდუქტიულად იმუშავა *ადმოსავეთ ტიმორში*.²⁰³ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების ეს მოდელი კარგი მაგალითი იყო ე.წ. „ახალი დემოკრატიის ქვეყნებისთვის“ – სასამართლოს საქმიანობა მიმდინარეობდა გაეროს დროებითი ადმინისტრაციის ნაწილში, მართლმსაჯულების დამოუკიდებლად განხორციელების მოსამზადებლად.

2.4. სუბსიდიური მოდელი

კოსოვოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინის ჰიბრიდული სასამართლოები გამოსაყოფია მათი ICTY-თან სუბსიდიური ხასიათის გამო.

კოსოვოს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მოდელი საინტერესოა ორი მიმართულებით. ერთი მხრივ, ე.წ. საერთაშორისო მოსამართლეებისა და პროკურორების პროგრამით და, მეორე მხრივ, ეთნიკური დანაშაულების სასამართლოს შექმნით.

1999 წელს, *კოსოვოს* ტერიტორიაზე NATO-ს საჰაერო თავდასხმის შემდეგ, გაერომ, 1999 წლის 10 ივნისს, დააფუძნა დროებითი ადმინისტრაციის მისია *კოსოვოში (UNMIK)*, ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულების, ადამიანის უფლებების დაცვისა და წესრიგის შენარჩუნების მიზნით.²⁰⁴ გაეროს წარმომადგენელმა *მიტროვიცასა (Mitrovica)* და მის

Rae, Justice in East Timor (2009), 135 და მომდევნო გვერდები; იხ ახევე: Bassiouni, Mixed Models of ICJ, კრებულში: Bassiouni (ed.), The Pursuit of ICJ, Vol. I (2010), 451–458.

²⁰¹ მაგალითად, სამი მოსამართლიდან, ორი იყო უცხოელი.

²⁰² 2002 წლის 20 მაისს *ადმოსავეთ ტიმორი* დამოუკიდებელი სახელმწიფო, ხოლო იმავე წლის 27 სექტემბერს გაეროს წევრი გახდა. სასამართლო სისტემა უკვე კონსტიტუციით იყო დარეგულირებული. იხ. Donlon, Hybrid Tribunals, კრებულში: Schabas, Bernaz (ed.), ICL (2011), 86–87; იხ ახევე: Rae, Justice in East Timor (2009), 135 და მომდევნო გვერდები.

²⁰³ იხ. იქვე.

²⁰⁴ დროებით ადმინისტრაციას გადაეცა *კოსოვოს* აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ფუნქციები. *სერბეთის* სამხედრო ძალის, პოლიციის, შეიარაღებული ძალების, ზოგადად, ტერიტორიის მმართველი ძალის გაყვანამ უკონტროლო სიტუაცია დააფუძნა ავტონომიაში. იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა დაუბრუნდა ტერიტორიას. მართლია, სერბებისა და სხვა არააღიარებული უმცირესობების კუთვნილი სახლების გაძარცვა, მკვლელობა, ყინალობა, ქურდობა და სხვა დანაშაულების ჩადენა თითქმის ყოველდღიური მოვლენა გახდა. ხშირი იყო ორგანიზებული დანაშაული, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ტრეფიკინგი და სხვა საერთაშორისო ხასიათის დანაშაული. დროებითა ადმინისტრაციამ შეძლო სასამართლო სისტემის აღდგენა. 2000 წლის აგვისტოსთვის 662 მოსამართლე და პროკურორი მუშაობდა სისტემაში, უმეტესწილად, კოსოვოელი აღიარების სახით. თუმცა შემდეგში, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, ვინაიდან დიდი ალბათობით, ტენდენციური პოლიტიკა იქნებოდა

დაქვემდებარებაში მყოფ *კოსოვოს* ყველა რაიონულ და უზენაეს სასამართლოში, ტენდენციური მართლმსაჯულების თავიდან აცილების მიზნით, დანიშნა საერთაშორისო მოსამართლეები და პროკურორები. ამით მან ჰიბრიდული მმართველობა *კოსოვოში* საერთაშორისო ელემენტებით გაამყარა.²⁰⁵

მოგვიანებით გაეროს სპეციალურმა წარმომადგენელმა *კოსოვოში*, მრჩეველთა საბჭოს შუამდგომლობით, მიიღო გადაწყვეტილება, შექმნილიყო *კოსოვოს* ომისა და ეთნიკური დანაშაულების სასამართლო – გენოციდის, ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ, შიდაეთნიკურ დანაშაულებში ბრალდებული პირების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით. სასამართლოს პერსონალი, უმეტესწილად, დაკომპლექტდა საერთაშორისო მოსამართლეებით, პროკურორებითა და ექსპერტებით. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების კოლიზიის თავიდან ასაცილებლად, *კოსოვოს* სასამართლოს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ICTY-თან, რომელიც თავის იურისდიქციას ახორციელებდა, უმეტესწილად, მაღალი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ განსაკუთრებულ (კომპლექსურ) დანაშაულებზე.²⁰⁶ ეს იყო მართლმსაჯულების განხორციელების სპეციალური სისტემა, აღმოსავლეთ ტიმორის მოდელის მსგავსად, თვითონ ეროვნული, *კოსოვოს* სასამართლო სისტემის შიგნით, რომელიც ორიენტირებული იყო, უმძიმეს დანაშაულებთან (*core crimes*) ერთად, ასევე, ტერორიზმზე, კორუფციასა და სხვა მსგავს კომპლექსურ დანაშაულებზე.²⁰⁷

ბოსნია-ჰერცეგოვინის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მოდელი საინტერესოა გაეროსგან სტრუქტურულად დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის არსებობით. *ბოსნია-ჰერცეგოვინის* ტერიტორიაზე დანაშაულების ჩადენა, როგორც აღვნიშნეთ, ICTY-ის დაფუძნების შემდეგაც გრძელდებოდა. *ბოსნია-ჰერცეგოვინის* პარლამენტმა 2002 წლის ივლისში განსაკუთრებული ხასიათის დანაშაულებისგან ბოსნიელი მოქალაქეების უფლებათა დაცვის მიზნით მიიღო კანონი, რის საფუძველზეც სისხლის სამართლის

გატარებული აღბანელების მხრიდან სერბების მიმართ, პერსონალი გადახალისდა. ეს პროცესი დააჩქარა 2000 წლის თებერვალში ქალაქ მიტროვიცაში ეთნიკურად სერბი ლტოლვილებით სავსე ავტობუსზე თავდასხმამ. იხ. Bassiouni, Introduction to ICL (2013), 726–729; იხ. ასევე: Donlon, Hybrid Tribunals, კრებულში: Schabas, Bernaz (ed.), ICL (2011), 87–89.

²⁰⁵ დაწ. იხ. იქვე.

²⁰⁶ დაწ. იხ. Williams, Hybrid Tribunals (2012), 82–84; იხ. ასევე: Bassiouni, Mixed Models of ICJ, კრებულში: Bassiouni (ed.), The Pursuit of ICJ, Vol. I (2010), 431–433.

²⁰⁷ კანონი აძლევდა პროკურორს, ბრალდებულს ან დამცველს უფლებას, პეტიციით მიემართა სასამართლოსთვის, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში საქმე გადაეცემოდა სამ მოსამართლეს. სამიდან მინიმუმ ორი ყოველთვის უცხოელი (საერთაშორისო) მოსამართლე იყო. ჰიბრიდული ფუნქციები კანონში იყო მკაცრად გაწერილი. 2004 წლის მონაცემებით, 12 საერთაშორისო მოსამართლე და 12 საერთაშორისო პროკურორი მუშაობდა *კოსოვოს* სასამართლო სისტემაში. 2008 წელს ევროკავშირმაც დამატებით *კოსოვოში* დააფუძნა კანონის უზენაესობის მისია სასამართლო სისტემის დახმარების მიზნით. *კოსოვოში* დამოუკიდებლობა 2008 წლის თებერვალში გამოაცხადა. იხ. იქვე, 89–90; იხ. ასევე: Donlon, Hybrid Tribunals, კრებულში: Schabas, Bernaz (ed.), ICL (2011), 89.

განყოფილებაში აფუძნებდა სპეციალურ პალატას.²⁰⁸ იგი ფოკუსირებული იყო ომის, ორგანიზებულ, ეკონომიკურ და კორუფციულ დანაშაულებზე. ICTY-ის მხარდასაჭერად *ბოსნია-ჰერცეგოვინის* უმაღლესი სასამართლოს პროკურატურის ოფისი შეიკავდა ომის დანაშაულების სპეციალურ დეპარტამენტს, ხუთი რეგიონალური გამოძიების ჯგუფითა და ექვსი საგამოძიებო ჯგუფით *სრებრენიკაში* განხორციელებული დანაშაულებისათვის. ყველა ჯგუფი განთავსდა *სარაევოში (Sarajevo)*. ასევე პალატების დასახმარებლად შეიქმნა სამდივნო. ომის დანაშაულების პალატას ჰქონდა იმის უფლება, რომ განეხილა ICTY-ის საქმეებიც, თუმცა ისეთი, რომელიც იყო დაბალი, ან საშუალო სირთულის. დაახლოებით 6 საქმე გადაეგზავნა პალატას ICTY-გან.²⁰⁹ *ბოსნია-ჰერცეგოვინის* ომის დანაშაულების სპეციალური დეპარტამენტი, შეიძლება ითქვას, იყო ICTY-ის დამატებითი, სუბსიდიური პალატა, ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეებისგან განსაზღვრითადად.

2.5. სპეციალური მოდელი

ჰიბრიდულ ტრიბუნალებში გამოსაყოფია *ლიბანისა* და *ერაყის* ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების სპეციალური მოდელები.

2005 წლის 14 თებერვალს *ლიბანის* დედაქალაქის, *ბეირუთის (Beirut)*, ცენტრში მომხდარი დიდი აფეთქების შედეგად გარდაიცვალა 23 ადამიანი, რომელთა შორის იყო ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, *რაფიკ ჰარირი (Rafic Hariri)*. *ჰარირის* კარგი ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით, *აშშ-თან* და *საფრანგეთთან*.²¹⁰ მისი გარდაცვალების შემდეგ კრიმინოგენული ვითარება მკვეთრად დამძიმდა. გახშირებული მკვლევლობების ფონზე *ლიბანის* ხელისუფლებამ მიმართა გაეროს საერთაშორისო ხასიათის ტრიბუნალის დასაფუძნებლად.

ლიბანის სპეციალური ტრიბუნალი (STL) დაფუძნდა გაეროს ქარტიის მე-7 თავის ფარგლებში, 2007 წლის რეზოლუციით (*UNSC Resolution 1757*). იგი გაიხსნა 2009 წლის 1 მარტს *ჰააგის* სიახლოვეს, *ლაიდშენდამში*

²⁰⁸ ომის დანაშაულის პალატა შედგებოდა რამდენიმე პანელისგან, თითოში იყო ორი საერთაშორისო და ერთი ბოსნიელი მოსამართლე. 2006–2007 წლებში სისტემა შეიკვალა და იგი შედგებოდა ორი ბოსნიელი და ერთი საერთაშორისო მოსამართლისგან, ხოლო 2010 წლის დასაწყისიდან – უკვე სამივე მოსამართლე იყო ბოსნიელი. იხ. *M. Cherif Bassiouni, Mixed Models of ICJ*, კრებულში: *Bassiouni (ed.), The Pursuit of ICJ, Vol. I (2010)*, 437–438.

²⁰⁹ დაწ. იხ. იქვე, 435–440; იხ. ასევე: *Rangelov, Theros, Transitional Justice in Bosnia and Herzegovina*, კრებულში: *Ambos, Large, Wierda (ed.), Peace and Justice (2009)*, 357–389.

²¹⁰ 2005 წლის 25 თებერვალს გაეროს გენერალურმა მდივანმა ვითარების შესასწავლად *ბეირუთში* სპეციალური ჯგუფი გააგზავნა, რომლის შუამდგომლობითაც იმავე წლის აპრილში გაერომ რეზოლუციით დააფუძნა საერთაშორისო დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისია ტერორისტული თავდასხმის გამოძიების – მტკიცებულების მოძიებისა და ადგილობრივი საგამოძიებო ორგანოებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით. მოგვიანებით ეს ჯგუფი *ჰარირის* გარდაცვალების შემდეგ ჩადენილ სერიულ დანაშაულებსაც იძიებდა. ამ კომისიას მანდატი ამოეწურა 2009 წელს. იხ. იქვე.

(*Leidchendam*), *ნიდერლანდებში*. ეს არ იყო გაეროს სასამართლო და არ მოიცავდა გაეროს საერთაშორისო დამოუკიდებელ საგამოძიებო კომისიას. მისი იურისდიქცია სასამართლოს პროკურატურის ოფისს გადაეცა. აღსანიშნავია, რომ საწყის ეტაპზე სასამართლომ პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა ოთხი ლიბანელი გენერალი, რომლებიც დაკავებული იყვნენ *ლიბანის* ხელისუფლების მიერ *ჰარირის* თავდასხმასთან დაკავშირებით.²¹¹ *ლიბანის* ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მოდელი ნაკლებად პრეცედენტულია. იგი უფრო პოლიტიკური ხასიათის მატარებელი იყო.²¹²

ერაყის ტრიბუნალის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სპეციალური მოდელი გამოსაყოფია ასევე თავისი პოლიტიკური ხასიათით. იგი სტრუქტურულად არ იყო გაეროს დროებითი ადმინისტრაციის ნაწილი.

აშშ-ის მიერ *ერაყის* ტერიტორიაზე სამხედრო კონტროლის დამყარების შემდეგ,²¹³ *სადამ ჰუსეინისა* (*Saddam Hussein*) და მისი რეჟიმის წარმომადგენლების გასამართლების მიზნით, *ერაყის* სახელმწიფო საბჭომ 2003 წლის 9 დეკემბრის დეკრეტით *ერაყის სპეციალური ტრიბუნალი (IST)* დააფუძნა.²¹⁴ ტრიბუნალის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების იურისდიქცია (*ratione loci*), მისი ეროვნული სტატუსის მიუხედავად, როგორც *ერაყის*, ასევე, *ირანისა* და *ქუვეითის* ტერიტორიებზე ჩადენილი დანაშაულებით განისაზღვრა. გენოციდის, ომისა და ადამიანურობის

²¹¹ იხ. *Williams, Hybrid Tribunals* (2012), 74–79; იხ. ასევე: *Bassiouni, Mixed Models of ICJ*, კრებულში: *Bassiouni* (ed.), *The Pursuit of ICJ*, Vol. I (2010), 465–470. *ლიბანის სპეციალური ტრიბუნალის* შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: <<http://www.stl-tsl.org>>, [9.2.2016].

²¹² აღსანიშნავია, რომ *ლიბანის სპეციალური ტრიბუნალი*, ისევე, როგორც *კამბოჯის სასამართლოს საგანგებო პალატები*, *ad hoc* ტრიბუნალებისგან განსხვავებით, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად იყენებდა *საფრანკეთის* მსგავსი ინკვიზიციური პროცესის მოდელს. იხ. *Ambos, Treatise on ICL*, Vol. I (2013), 51–53.

²¹³ *აშშ-ის* ოპერაციის ძირითადი კონტრიბუტორი იყო. მან სამხედრო დარტყმა *ერაყზე* 2003 წლის 19 მარტს განახორციელა *სადამ ჰუსეინის* რეჟიმის დამხობის მიზნით. *აშშ-ის* პრეზიდენტმა *ჯორჯ ბუშმა* უკვე 2003 წლის 1 მაისს დიდი სამხედრო ოპერაცია დასრულებულად გამოაცხადა, რაც *ერაყის* ტერიტორიაზე კონტროლის დამყარებას ნიშნავდა. *ერაყის* პროცესების ერთ-ერთი დიდი კონტრიბუტორი, ასევე, *დიდი ბრიტანეთი* იყო. *ბუშის* ადმინისტრაციის შემდეგი გეგმა ახალი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში მდგომარეობდა. 2003 წლის 8 მაისს *აშშ* და *დიდი ბრიტანეთი* კოალიციური დროებითი ხელისუფლების შექმნის ინიციატივით გამოვიდნენ, რომელსაც გადაეცემოდა ქვეყნის მართვა. ამ წინადადებას გაეროს უშიშროების საბჭომ დაუჭირა მხარი. დროებით (გარდამავალ) მმართველ ძალას გადაეცა მთელი ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და სასამართლო ფუნქციები. მმართველმა ძალამ დააფუძნა *ერაყის* სახელმწიფო საბჭო. დაწ. იხ. *Bassiouni, Hanna, IHCCS and Hussein*, 39 *CWRJIL* (2007), 27–35.

²¹⁴ საუბარი იყო *ICTY-ისა* და *ICTR-ის* მსგავსი *ad hoc* ან *სიერა-ლეონეს* სახის *ჰიბრიდული* ტრიბუნალის შექმნაზე, რომელიც იარსებებდა გაეროსა და *ერაყის* გარდამავალ ხელისუფლებას შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე. თუმცა საბოლოოდ საერთაშორისო ელემენტებით მხარდაჭერილი *ერაყის* ეროვნული სპეციალური ტრიბუნალის შექმნა გადაწყდა. იგი განთავსდა *ბაღდადში*. 10 დეკემბერს მიღებული *ერაყის სპეციალური ტრიბუნალის* სტატუტის მიხედვით, ტრიბუნალი სახელმწიფო სტრუქტურებისგან დამოუკიდებელ ოფიციალურ ორგანოს წარმოადგენდა. დაწ. იხ. იქვე, 43 და მომდევნო გვერდები.

წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გარდა, ტრიბუნალი *ერაყის* სამართლით გათვალისწინებულ სხვა სახის სპეციფიკურ დანაშაულებზეც ავრცელებდა იურისდიქციას (*ratione materiae*), რომლებიც დაკავშირებული იყო *ერაყის* ომთან. სტატუტი ავალდებულებდა ტრიბუნალის პრეზიდენტს, სასამართლო და სააპელაციო პალატებში დაენიშნა უცხოელი მრჩევლები ან დამკვირვებლები, რომლებიც ტრიბუნალს დაეხმარებოდნენ საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მუშაობაში.²¹⁵ ტრიბუნალის იურისდიქცია დროში (*ratione temporis*) ხორციელდებოდა 1968 წლის 17 ივლისიდან 2003 წლის 1 მაისამდე პერიოდში ჩადენილ დანაშაულებზე, რაც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნებას, *კამბოჯის ჰიბრიდული* მოდელის მსგავსად, ართულებდა.

2005 წლის ოქტომბერში მიღებული პერმანენტული კონსტიტუციის 134-ე მუხლით განისაზღვრა *ერაყის უმაღლესი სისხლის სამართლის სასამართლოს (IHCC)* დამოუკიდებელი სტატუსი, რომელიც აუქმებდა *ერაყის სპეციალურ ტრიბუნალს*. აღსანიშნავია, რომ ყველა სხვა განხილული *ad hoc* თუ *ჰიბრიდული* ტრიბუნალების სტატუტებისგან განსხვავებით, *ერაყის* სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა სასჯელის სახით სიკვდილით დასჯას.²¹⁶ სწორედ ამ სასამართლომ ცნო *ჰუსეინი* დამნაშავედ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახით შეუფარდა სიკვდილით დასჯა.²¹⁷

²¹⁵ *ერაყის* მმართველმა ძალამ, დააფუძნა ამერიკელი პროკურორებითა და გამოძიებლებით დაკომპლექტებული ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საგამოძიებო ნაწილი, რომელსაც დახმარება უნდა გაეწია გამოძიებისა და სასამართლოსათვის. 2004 წლის მაისში, *აშშ*-მა დააფუძნა სპეციალური კავშირი, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო ექსპერტები ჩაუტარებდნენ ტრენინგებს გამოძიებლებს, პროკურორებსა და მოსამართლეებს. *ერაყის სპეციალური ტრიბუნალის* შესახებ დაწ. იხ. *USIP, Building IST* (2004), ხელმისაწვდომია ბმულზე: <<http://www.usip.org/sites/default/files/sr122.pdf>>, [9.2.2016]; იხ. ასევე: *Shany, Does One Size Fit All?*, 2 *JICJ* (2004), 338–346.

²¹⁶ იხ. *Bassiouni, Hanna, IHCCS and Hussein*, 39 *CWRJIL* (2007), 50 და მომდევნო გვერდები; იხ. ასევე: *Donlon, Hybrid Tribunals*, კრებულში: *Schabas, Bernaz* (ed.), *ICL* (2011), 99–100.

²¹⁷ დაწ. იხ. იქვე, *Blinderman, Hussein*, 30 *UPJIL* (2008–2009), 1241 და მომდევნო გვერდები. ზემოაღნიშნული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების ჰიბრიდული მოდელის გარდა, აღსანიშნავია *ბანგლადეშის* ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მოდელი, რომელიც განსაკუთრებულ ახალ მიდგომას არ გვთავაზობს. ეს არის ნაციონალური კანონმდებლობით შექმნილი ეროვნული მართლმსაჯულების მექანიზმი, ორიენტირებული საერთაშორისო დანაშაულებზე, რის გამოც უწოდებენ მას საერთაშორისო დანაშაულების ტრიბუნალს. პირველი პირი, რომელსაც ბრალი წაუყენა ტრიბუნალმა 2011 წლის ნოემბერში, იყო *ბანგლადეშში* დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ისლამისტური პარტიის ლიდერი *დელვარ ჰასან სეიდე (Delwar Hassan Sayedee)*. *ბანგლადეშში* იყო პირველი სამხრეთ-აზიური ქვეყანა, რომელიც შეუერთდა *ICC*-ს. საერთო სამართალი და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი განიხილება, როგორც სამართლის პირველადი წყარო. ტრიბუნალი ჰგავს სხვა ტრიბუნალებს, მაგრამ იმართება ეროვნული საპროცესო ნორმებით, რომლებიც გამომდინარეობს ინგლისური სტატუტებიდან. სისხლისსამართლებრივი დევნა, დღეის მდგომარეობით, მიმდინარეობს, ასევე, დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ისლამისტური პარტიისა და სხვა პარტიის წევრებზე. იხ. *Ambos, Treatise on ICL, Vol. I* (2013), 50–51.

2.6. ჰიბრიდული მართლმსაჯულების პროდუქტი

ჰიბრიდული ტრიბუნალების მეშვეობით საერთაშორისო სისხლის სამართალმა მოახდინა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის ტრანსპლანტაცია სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის სისტემაში. დღეის მდგომარეობით, მთელი ეს დოქტრინა თავს იყრის ICC-ში, მისი რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მიზნით.

აქედან გამომდინარე, *ჰიბრიდული* ტრიბუნალების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის განსაკუთრებული ნიუანსები განხილული იქნება *ad hoc* ტრიბუნალებისა და ICC-ის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინების კონტექსტში.

V. ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნების პერმანენტული მოდელი

საერთაშორისო თანამეგობრობამ, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრების საერთო პოლიტიკის შემუშავების მიზნით, 1998 წლის 17 ივლისს 120 სახელმწიფოს მონაწილეობით საფუძველი ჩაუყარა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს – ICC-ს, რომლის წესდებამ, *რომის სტატუტმა*, პერმანენტული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი შექმნა.²¹⁸ სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების განვითარების ისტორიული ექსკურსი პირდაპირ მიანიშნებს ICC-ის მნიშვნელობას. იგი არის დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც არ არის გაეროს სისტემის ნაწილი. მას 2002 წლის წლის 1 ივლისიდან (*ratione temporis*) ინდივიდების მიერ (*ratione personae*) ჩადენილი გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ, ომისა და აგრესიის დანაშაულებზე (*ratione materiae*)²¹⁹ სისხლისსამართლებრივი დევნის უფლება მიენიჭა.²²⁰ იგი, მართლაც, დიდი გამოწვევების წინაშე დგას. მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა იმის მოლოდინშია, თუ როგორ გაართმევს თავს ICC მასზე დაკისრებულ ამოცანებს და როგორ პრეცედენტულ სამართალს შექმნის იგი.

1. არსებული მდგომარეობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში

XXI საუკუნის დასაწყისში აფრიკის კონტინენტზე, კერძოდ, *უგანდაში*, *კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში*, *ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში*, *კენიაში*, *ლიბიაში*, *სუდანსა* და *კოტ-დ'ივუარში* საზარელი დანაშაულების ჩადენამ შეძრა საერთაშორისო თანამეგობრობა. ეროვნული მართლმსაჯულება თითქმის ყველა აღნიშნულ შემთხვევაში უძლური იყო

²¹⁸ იხ. ტურავა, საერთაშორისო სასამართლო (2005), 1. ICC-ზე და *რომის სტატუტზე* დაწ. იხ. ტურავა, საფუძველები (2015), 55–80; იხ. ასევე: ტურავა, ექსკლუზიური იურისდიქცია, კრებულში: *ივანიძე* (რედ.), ლექსიკონი–85 (2014), 40–71.

²¹⁹ ICC აგრესიის დანაშაულზე თავიდანვე არ ახორციელებდა იურისდიქციას. 2010 წელს, *კამპალაში* (Kampala), *უგანდა*, *რომის სტატუტის* გადასინჯვის კონფერენციაზე შემუშავდა აგრესიის დანაშაულის შემადგენლობა, რის საფუძველზეც, ICC-ის წესდებას დაემატა მე-8bis, მე-15bis, მე-15ter და 25(3bis)-ე მუხლები. ICC-ს არ შეუძლია თავისი იურისდიქცია აგრესიის დანაშაულის მიმართ განახორციელოს 2017 წლამდე. იხ. Kampala Resolution RC/Res.6 (1.6.2010), <https://www.icc-cpi.int/iccdocs/asp_docs/ASP9/OR/RC-11-ENG.pdf>, [9.1.2016]; იხ. ასევე: *კრეიხი*, *პოლტცენდორფი*, კამპალას კომპრომისი, 1 *სამართლის ჟურნალი* (2011), 278–319; *Kreß, Holtzendorff*, Kampala Compromise, 8 *JICJ* (2010), 1179–1217. დაწ. იხ. *Kreß, Barriga* (ed.), *Crime of Aggression* (2012).

²²⁰ ოთხივე იურისდიქციაზე (კომპეტენციაზე) იხ. ტურავა, საფუძველები (2015), 71–74; იხ. ასევე: ტურავა, ექსკლუზიური იურისდიქცია, კრებულში: *ივანიძე* (რედ.), ლექსიკონი–85 (2014), 40–71; *ჯიშკარიანი*, სასამართლო და კომპეტენცია, 1 *სამართლის მიმოხილვა* (2013), 81–89.

განხორციელებინა სათანადო ზომები ქვეყნის შიგნით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. აღნიშნული აფრიკის კონტინენტის „სიტუაციები“²²¹ ეცნობა ICC-ს, რომლის შექმნის მთავარი მიზანიც ასეთ შემთხვევებში დროული სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გატარებაა.

ICC-ზე დღეის მდგომარეობით 22 საქმეა მიწერილი, 9 ქვეყანაში არსებულ მძიმე სიტუაციაზე, სადაც *რომის სტატუტით* გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.²²²

ICC-ის წესდების მიხედვით, პროკურორს წინასწარი გამოძიების დაწყება ნებისმიერი სტატუტის მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მისი თხოვნის საფუძველზე, შეუძლია, ხოლო არამონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე – მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართვის საფუძველზე. დამატებით პროკურორს შეუძლია, საკუთარი ინიციატივით (*proprio motu*) დაიწყო წინასწარი გამოძიება სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულების ჩადენის შესახებ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც ხელმისაწვდომია სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების, კონკრეტული პირებისა და სხვა სანდო წყაროებიდან.²²³

რომის სტატუტის მონაწილე ოთხმა სახელმწიფომ – *უგანდამ, კონგოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკამ* და *მალიმ* მიმართა ICC-ს მათ ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გატარების მიზნით. დამატებით გაეროს უშიშროების საბჭომ ICC-ის პროკურატურის ოფისს, გამოძიების დაწყების მიზნით, განსახილველად გადასცა სტატუტის ორი არამონაწილე სახელმწიფოს – *სუდანისა* და *ლიბიის* სიტუაციები. სრული ანალიზის შემდგომ ხელმისაწვდომი ინფორმაციების საფუძველზე პროკურორმა ყველა ზემოთ აღნიშნულ საქმეზე დაიწყო გამოძიება. ასევე ICC-მ პროკურორს მისცა უფლება *proprio motu* დაეწყო გამოძიება *კენიასა* (2010 წლის 31 მარტი) და *კოტ-დ'ივუარში* (2011 წლის 3 ოქტომბერი).²²⁴

ICC-ის ინტერესის სფეროშია 2008 წლის აგვისტოს *რუსეთ-საქართველოს* ომის მოვლენები. 2016 წლის 27 იანვარს წინასასამართლო პალატამ ICC-ის პროკურორს *ფატუ ბენსუდას* (*Fatou Bensouda*) *საქართველოს* სიტუაციასთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების ნება დართო. ამას წინ უძღოდა წინასასამართლო პალატისადმი *ბენსუდას* 2015

²²¹ ICC სხვადასხვა ქვეყანაში დაწყებულ თავის გამოძიებას – “situation” ტერმინით მოიხსენიებს.

²²² სრული ინფორმაცია ყველა სიტუაციისა და საქმის შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.icc-cpi.int/en_menus/icc/situations%20and%20cases/Pages/situations%20and%20cases.aspx>, [9.2.2016].

²²³ დაწ. იხ. *რომის სტატუტის* მე-11 და მომდევნო მუხლები.

²²⁴ იხ. Situations and Cases, <https://www.icc-cpi.int/en_menus/icc/situations%20and%20cases/Pages/situations%20and%20cases.aspx>, [9.2.2016]; იხ. ასევე: Annual Report to UNGA (30.10.2014), <<http://www.icc-cpi.int/iccdocs/presidency/UNGA-PS-30-10-2014-Eng.pdf>>, [9.2.2016].

წლის 13 ოქტომბრის მიმართვა იმ დანაშაულთა გამოძიების დაწყების თხოვნით, რომლებიც *საქართველოში* 2008 წლის პირველი ივლისიდან 10 ოქტომბრამდე ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს, სეპარატისტული *სამხრეთ ოსეთის* შეიარაღებულ ფორმირებებსა და *რუსეთის* შეიარაღებულ ძალებს შორის კონფლიქტის დროს განხორციელდა. *საქართველოს* სიტუაცია ICC-ის პირველი პრეცედენტია აფრიკის კონტინენტის გარეთ.²²⁵

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინასთან, განსაკუთრებით, დანაშაულში ამსრულებლობის ინსტიტუტთან მიმართებით, მნიშვნელოვანია *კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკისა და სუდანის* სიტუაციები.

2. სიტუაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ICC-ის ყოფილმა მთავარმა პროკურორმა, *ლუის მორენო ოკამპომ (Luis Moreno Ocampo)*, პირველი გამოძიების დაწყების გადაწყვეტილება *კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის* სიტუაციასთან დაკავშირებით 2004 წლის 23 ივნისს მიიღო. აღნიშნულს წინ უძღოდა 2004 წლის 19 მარტს რესპუბლიკის მთავრობის სახელით გამოგზავნილი წერილი, რომელშიც იგი თავის ქვეყანაში სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულების ჩადენის შესახებ იუწყებოდა და გამოძიების დაწყების თხოვნით მიმართავდა.²²⁶

მილიონობით მოქალაქე გახდა *კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში* არსებული კონფლიქტის მსხვერპლი. სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები ათასობით მსხვერპლის შესახებ იუწყებოდნენ.²²⁷ მთავარი პროკურორი გამოძიების ფოკუსირებას უფრო *იტურიში (Ituri)*²²⁸ 2002 წლიდან ჩადენილ დანაშაულებზე ახდენდა, ICC-ის დროითი იურისდიქციიდან (*ratione temporis*) გამომდინარე. გამოძიების დასაწყებად პროკურატურის მზადყოფნას *კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის* მთავრობაც მიესალმა. *ოკამპოს* თქმით, პროკურატურის პირველი გამოძიების დაწყება საერთაშორისო მართლმსაჯულებისათვის წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა,

²²⁵ *საქართველოს* სიტუაციაზე დაწ. იხ. Situation in Georgia, <https://www.icc-cpi.int/en_menus/icc/situations%20and%20cases/situations/ICC-01_15/Pages/default.aspx>, [1.2.2016]. პროკურატურის მიერ მე-15 მუხლის შესაბამისად გამოძიების დაწყების თაობაზე 2015 წლის 13 ოქტომბრის შუამდგომლობა იხ. იქვე.

²²⁶ იხ. Prosecutor Receives Referral (19.4.2004), <http://www.icc-cpi.int/en_menus/icc/situations%20and%20cases/situations/situation%20icc%200104/Pages/situation%20index.aspx>, [9.2.2014].

²²⁷ *კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში* არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით იხ. Human Rights Watch-ის მოხსენება: Ituri: “Covered in Blood” (2003), <<https://www.hrw.org/reports/2003/ituri0703/DRC0703.pdf>>, [9.2.2016].

²²⁸ რეგიონი *კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში*, უგანდის საზღვართან.

რომელიც მსხვერპლთა დაცვისა და დაუსჯელობის წინააღმდეგ იყო მიმართული.²²⁹

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემთხვევიდან, დანაშაულის ამსრულებლობის საკითხთან მიმართებით, მნიშვნელოვანია *თომას ლუბანგა დაილოს (Prosecutor v. Thomas Lubanga Dyilo)*²³⁰ და *ჯერმეინ კატანგასა*²³¹ და *მათიუ ნგადჯოლო ჩუის*²³² (*Prosecutor v. Germain Katanga and Mathieu Ngudjolo Chui*) საქმეები, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

3. სიტუაცია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში

ოკამპომ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფლებისგან ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე მიმართვა 2004 წლის 22 დეკემბერს მიიღო, რომელშიც აღწერილი იყო ICC-ის იურისდიქციაში (*ratione materiae*) შემავალი დანაშაულების ჩადენის ფაქტი. პროკურატურას ინფორმაციას აწვდიდნენ როგორც არასამთავრობო, ისე საერთაშორისო ორგანიზაციები.²³³

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის სიტუაცია იყო პირველი შემთხვევა პროკურატურის ოფისში, რომელშიც სექსუალური ხასიათის დანაშაულთა რიცხვი მნიშვნელოვად აღემატებოდა მკვლელობებს. მიღებული ინფორმაცია მშვიდობიანი მოსახლეობის გაუპატიურების შესახებ იმდენად დიდი იყო, რომ იგი ვერ იქნებოდა იგნორირებული ICC-ის მიერ. ასობით მოქალაქე აღწერდა სექსუალური ხასიათის დანაშაულების ფაქტებს, თუ როგორ აუპატიურებდნენ მათ, საჯაროდ, ყველას დასანახად. *ოკამპოს* თქმით, როდესაც სასტიკი დანაშაულების შედეგად დაზარალებული მოსახლეობა ითხოვდა მართლმსაჯულების დახმარებას, მათ ვალდებულებას წარმოადგენდა იმის ჩვენება, რომ ასეთი დანაშაულები ვერ დარჩებოდა დაუსჯელი.²³⁴

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის უმაღლესმა, საკასაციო სასამართლომ აღიარა ეროვნული მართლმსაჯულების უუნარობა, განეხორციელებინა თავისი საქმიანობა ქვეყანაში გამოვლენილი

²²⁹ იხ. OTP Opens its First Investigation (23.6.2004), <https://www.icc-cpi.int/en_menus/icc/press%20and%20media/press%20releases/2004/Pages/the%20office%20of%20the%20prosecutor%20of%20the%20international%20criminal%20court%20opens%20its%20first%20investigation.aspx>, [9.2.2016].

²³⁰ იხ. ICC, *Prosecutor v. Lubanga*, TC Judgment, 14.3.2012.

²³¹ იხ. ICC, *Prosecutor v. Katanga*, TC Judgment, 7.3.2014.

²³² იხ. ICC, *Prosecutor v. Chui*, TC Judgment, 18.12.2012.

²³³ იხ. Background Situation in the Central African Republic (22.5.2007), <https://www.icc-cpi.int/NR/rdonlyres/B64950CF-8370-4438-AD7C-0905079D747A/144037/ICCOTPNB20070522220_A_EN.pdf>, [9.2.2016].

²³⁴ იხ. იქვე; იხ. ასევე: OTP Opens Investigation in the Central African Republic (22.5.2007), <https://www.icc-cpi.int/en_menus/icc/situations%20and%20cases/situations/situation%20icc%200105/press%20releases/Pages/prosecutor%20opens%20investigation%20in%20the%20central%20african%20republic.aspx>, [9.2.2016].

დანაშაულების მიმართ. ეს *რომის სტატუტით*, კომპლემენტარულობის პრინციპის შინაარსით²³⁵, საქმის დასაშვებობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს, იმის გათვალისწინებით, რომ ICC ინტერესდება საქმით, როდესაც ეროვნული მართლმსაჯულება უძლეურია, ან არ სურს განახორციელოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.²³⁶

ICC-ის მთავარმა პროკურორმა, მიღებული ინფორმაციების გაანალიზების შემდეგ, როდესაც დარწმუნდა *ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში* სასამართლოს იურისდიქციაში შემაჯავლი დანაშაულების ჩადენაში, *რომის სტატუტით* გათვალისწინებული პროცედურების შემდეგ, 2007 წლის 22 მაისს დაიწყო გამოძიება.²³⁷ გამოძიების მიხედვით, დანაშაულთა ჩადენის პიკი 2002 და 2003 წლებში გამოვლინდა.²³⁸

2014 წლის 24 სექტემბერს ICC-ის მთავარმა პროკურორმა *ბენსუდამ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში* დაიწყო ახალი გამოძიება, მეორე სიტუაციის ფარგლებში, 2012 წლიდან ჩადენილი მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დარღვევების გამოძიების მიზნით. პირველი სიტუაცია ეხებოდა 2002–2003 წლებში ჩადენილ დანაშაულებს. *ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის* გარდამავალი მთავრობის მიმართვის საფუძველზე გამოკვლეული ინფორმაციით, *ბენსუდა* აღნიშნავდა, რომ არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი *სელეკასა (Seleka)* და *ანტი-ბალაკას (Anti-Balaka)* ჯგუფების მიერ ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის შესახებ.²³⁹

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის სიტუაციიდან მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინასთან მიმართებით მნიშვნელოვანია *ჯინ-პიერ ბემბა გომბოს (Prosecutor v. Jean-Pierre Bemba Gombo)* საქმე²⁴⁰, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

4. სიტუაცია სუდანში

გაეროს უშიშროების საბჭომ, მისი ქარტიის მე-7 თავის შესაბამისად, 2005 წლის 31 მარტს მიღებული რეზოლუციით (*UNSC Resolution 1593*)

²³⁵ იხ. *ტურავა*, საფუძვლები (2015), 63–67.

²³⁶ იხ. Background Situation in the Central African Republic (22.5.2007), <https://www.icc-cpi.int/NR/rdonlyres/B64950CF-8370-4438-AD7C-0905079D747A/144037/ICCOTPNB20070522220_A_EN.pdf>, [9.2.2016]; იხ. ასევე: *რომის სტატუტის* მე-17(1) მუხლი.

²³⁷ იხ. იქვე.

²³⁸ იხ. Background Situation in the Central African Republic (22.5.2007), <https://www.icc-cpi.int/NR/rdonlyres/B64950CF-8370-4438-AD7C-0905079D747A/144037/ICCOTPNB20070522220_A_EN.pdf>, [9.2.2016].

²³⁹ იხ. *Bensouda* Statement on Opening a Second Investigation in the Central African Republic, Situation in the Central African Republic, Article 53(1) Report (24.9.2014), <https://www.icc-cpi.int/en_menus/icc/press%20and%20media/press%20releases/Pages/pr1043.aspx>, [9.2.2016].

²⁴⁰ იხ. *ICC, Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009; იხ. ასევე: *ICC, Prosecutor v. Bemba, Kilolo, Mangenda, Babala, Arido*, Confirmation of Charges, 11.11.2014.

ოკამპოს მოახსენა დარფურში (Darfur) არსებული სიტუაცია, გაეროს მიერ დარფურის საქმესთან დაკავშირებით შექმნილი საერთაშორისო კომისიის დოკუმენტების დართვით.²⁴¹

დარფურის საქმესთან დაკავშირებით 2004 წელს შექმნილმა საერთაშორისო საგამოძიებო კომისიამ²⁴² 2005 წლის იანვარში მიმართა გაეროს დარფურის რეგიონში ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების არსებობის ცნობით. კომისიის დასკვნით, რეკომენდებული იყო საქმე გამოსაძიებლად გადასცემოდა ICC-ს.²⁴³

ICC-ის მთავარმა პროკურორმა, რომის სტატუტის შესაბამისად, ხელმისაწვდომი ინფორმაციის ანალიზის შემდეგ, როდესაც დარწმუნდა, რომ არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი სუდანში ICC-ის იურისდიქციაში შემავალი დანაშაულების ჩადენის შესახებ, 2005 წლის 1 ივნისს მიიღო გამოძიების დაწყების გადაწყვეტილება. გაეროს უშიშროების საბჭო, თავისი რეზოლუციით, ავალდებულებდა²⁴⁴ სუდანსა და დარფურის კონფლიქტის ყველა სხვა მონაწილეს ეთანამშრომლა ICC-თან.²⁴⁵

დარფურის სიტუაციიდან, დანაშაულში ამსრულებლობის საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია *ომარ პასან აჰად ალ ბაშირის (Prosecutor v. Omar Hassan Ahmad Al Bashir)* საქმე,²⁴⁶ რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

5. რომის სტატუტის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართლის მნიშვნელობა – პრეცედენტული სამართლის რეკონსტრუქცია

ICC-ის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართლის მიზანი საერთაშორისო სისხლის სამართალში პრეცედენტული სამართლის რეკონსტრუქციაა. იგი, ძირითადად, ზემოთ აღნიშნულ სიტუაციებზე დაყრდნობით, ქმნის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ახალ დოქტრინას რომის სტატუტის მიხედვით, რა დროსაც, ერთი მხრივ, ეყრდნობა ICTY-ის მიერ ჩამოყალიბებულ ძირითად პრინციპებს და, მეორე მხრივ, ნოვაციური თეორიების მეშვეობით, გერმანულ სისხლისსამართლებრივ დოგმატიკაზე დაყრდნობით, ახალ ინტერპრეტაციას აძლევს რომის სტატუტის ნორმებს.

²⁴¹ იხ. OTP Opens Investigation in *Darfur* (6.6.2006), <https://www.icc-cpi.int/en_menus/icc/press%20and%20media/press%20releases/2005/Pages/the%20prosecutor%20of%20the%20icc%20opens%20investigation%20in%20darfur.aspx>, [9.2.2016]; იხ. ასევე: UNSC Resolution 1593 (31.3.2005), <<https://www.icc-cpi.int/NR/rdonlyres/F3CC871A-753F-4473-A3B5-CAA2005C24D5F/278015/N0529273darfureferraleng.pdf>>, [9.2.2016].

²⁴² იხ. იქვე.

²⁴³ იხ. Report of the International Commission of Inquiry on *Darfur* to the UNSG, Pursuant to UNSC Resolution 1564 (18.9.2004), <http://www.un.org/news/dh/sudan/com_inq_darfur.pdf>, [12.12.2014].

²⁴⁴ ICC-ისა და გაეროს უშიშროების საბჭოს ურთიერთობაზე იხ. ხუციშვილი, გაერო და საერთაშორისო სასამართლო (2011), 191–197, 198–201.

²⁴⁵ იხ. Decision to Open Investigation, <<http://www.icc-cpi.int/iccdocs/doc/doc251671.PDF>>, [12.12.2014].

²⁴⁶ იხ. ICC, *Prosecutor v. Al Bashir*, Warrant of Arrest, 4.3.2009; იხ. ასევე: ICC, *Prosecutor v. Al Bashir*, Second Warrant of Arrest, 12.7.2010.

აღნიშნული სფერო არანაკლებ ყურადსაღებია ქართული სისხლის სამართლის სისტემისთვის, რომელიც აშკარად განიცდის გერმანული სისტემური აზროვნების ზეგავლენას და განსხვავდება ანგლოამერიკული სისხლის სამართლის სისტემისაგან,²⁴⁷ არაფერი რომ არ ვთქვათ, ზოგადად, ICC-ის, რომის სტატუტის განსაკუთრებულ როლზე ქართულ სისხლის სამართლებრივ სისტემაში.

სანამ აღნიშნულ საკითხზე გადავალთ, განვიხილოთ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული ცნება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების, კერძოდ, *ad hoc* ტრიბუნალებისა და ICC-ის სტატუტების მიხედვით. სწორედ ამ ტრიბუნალების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართალი განსაზღვრავს სისხლის სამართლის პოლიტიკას საერთაშორისო სამართალში.

²⁴⁷ შუად. ტურავა, მოძღვრება (2011), 69. დანაშაულის ქართულ სისტემაზე დანაშაულის გერმანული სისტემის გავლენაზე იხ. იქვე, 1–35, 153–504.

VI. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული ცნება (სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების პოზიტიური სამართალი)

საერთაშორისო სისხლის სამართალში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნება სისხლის სამართლის განსაკუთრებული მონაწილეობით ხდება. შესაბამისად, *nullum crimen sine lege* პრინციპის²⁴⁸ გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საერთაშორისო სისხლის სამართალში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული ცნების დაცვით უნდა მოხდეს.

1. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნება დროებით ტრიბუნალებში

ორივე *ad hoc* ტრიბუნალის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული ცნება იდენტურია, ისევე როგორც დოქტრინა.²⁴⁹ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, ამსრულებლობა-თანამონაწილეობის პასუხისმგებლობისა და, მეორე მხრივ, მეთაურის პასუხისმგებლობის ცნებები.

ICTY-ისა და *ICTR*-ის სტატუტებში აშკარად იგრძნობა ანგლოამერიკული სამართლის (*common law*) გავლენა ძირითად მუხლებზე, რომლებიც ქმნის სისხლის სამართლის პოლიტიკას. ორივე *ad hoc* ტრიბუნალის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნებაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნებისას, ნაკლები ყურადღება ექცევა ამსრულებლობა-თანამონაწილეობის სახის კონკრეტიზაციას. *ICTY*-ის სტატუტის მე-7(1) და *ICTR*-ის სტატუტის მე-6(1) მუხლების მიხედვით:

„ვინც დაგეგმა, წააქეზა, უბრძანა, ჩაიდინა ან სხვა სახით ეხმარებოდა წინამდებარე სტატუტის მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის დაგეგმვაში, მომზადებასა და ასრულებაში, პასუხს აგებს ინდივიდუალურად ამ დანაშაულისათვის.“

ორივე ტრიბუნალის სტატუტი, მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, უმეტესწილად, *ნიურნბერგის ტრიბუნალის* მსგავსად, ორიენტირებულია ერთიანი ამსრულებლობის პრინციპზე (*unitarial concept of perpetration*;

²⁴⁸ იხ. *Kreß*, *Nulla poena nullum crimen sine lege*, კრებულში: *Wolftrum* (ed.), *MPEPIL*, Vol. VII (2013), 889–898; *ტურავა*, საფუძვლები (2015), 158–161.

²⁴⁹ იხ. ნაშრომის VII და VIII თავები.

Einheitstäterschaft),²⁵⁰ რომლის მიხედვითაც სასჯელის დანიშვნისას მნიშვნელოვანია დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი.

ორივე *ad hoc* ტრიბუნალის სტატუტი იმავე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მუხლში ცალკე აბზაცად გამოყოფს მეთაურის პასუხისმგებლობის ცნებას, რომელიც, *JCE*-ის დოქტრინასთან ერთად, ერთ-ერთ ხშირად გამოყენებად პასუხისმგებლობის სახეს წარმოადგენდა სასამართლო პრაქტიკაში. *ICTY*-ის სტატუტის მე-7(3) და *ICTR*-ის სტატუტის მე-6(3) მუხლების მიხედვით:

„ხელქვეითის მიერ წინამდებარე სტატუტის მუხლებით გათვალისწინებულ ნებისმიერ ქმედებათა ჩადენის ფაქტი არ ათავისუფლებს მის მეთაურს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ მან იცოდა ან ჰქონდა მიზეზი, რომ სცოდნოდა ხელქვეითის მიერ ასეთი ქმედების შესაძლო ჩადენის, ან უკვე ჩადენის შესახებ და მეთაურმა არ მიიღო საჭირო და გონივრული ზომა, რათა თავიდან აეცილებინა ასეთი ქმედებები ან დაესაჯა ამსრულებლები ამის გამო.“

მეთაურის პასუხისმგებლობის ფორმა *ad hoc* ტრიბუნალების სტატუტებში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული ცნების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, რითაც იგი განსხვავდება *რომის სტატუტისაგან*.

2. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში

2.1. რომის სტატუტის 25-ე მუხლი

ICC-ში განსაკუთრებული სიმძიმის დანაშაულებზე (*core crimes*) ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული პოლიტიკის სისხლისსამართლებრივი დენის პოზიტიურ-სამართლებრივ ჩარჩოებს განსაზღვრავს *რომის სტატუტის* 25-ე მუხლი და დამატებით 28-ე მუხლი²⁵¹. იგი, ისევე როგორც *ICC*-ის წესდების დიდი ნაწილი, განსხვავებული სამართლებრივი ტრადიციების მქონე იურისტების მოლაპარაკების გზით მიღწეული კომპრომისის შედეგია.²⁵² მისი ჩამოყალიბების პროცესში მათ შორის ხშირად ყოფილა გარკვეულ საკითხებთან მიმართებით აზრთა სხვადასხვაობა.²⁵³

²⁵⁰ შეად. *Ambos*, *Treatise on ICL*, Vol. I (2013), 105–106.

²⁵¹ *რომის სტატუტის* 28-ე მუხლის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მოდელის შესახებ იხ. ნაშრომის XII თავი.

²⁵² შეად. *Schabas*, *RS Commentary* (2010), 424.

²⁵³ იხ. *Sliedregt*, *Individual Responsibility* (2003), 4.

25-ე მუხლის შინაარსი, ისევე როგორც *ad hoc* ტრიბუნალების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუსისეული ცნება, აბსტრაქტულია და შეიქმნა ფართო ინტერპრეტაციის მიზნით, თუმცა პირდაპირია იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც *რომის სტატუტის* შემქმნელებში საერთო კონსენსუსის საგანს წარმოადგენდა.²⁵⁴ 25-ე მუხლი ყოველგვარი დუალისტური შინაარსის გარეშე განსაზღვრავს სასამართლოს მხრიდან იურისდიქციის განხორციელების შესაძლებლობას მხოლოდ ფიზიკურ პირებზე,²⁵⁵ რომლებმაც ჩაიდინეს ICC-ის იურისდიქციაში შემავალი დანაშაულები.²⁵⁶ საერთაშორისო თანამეგობრობამ ამით ინტერპრეტაციის ფარგლები შეზღუდა აუცილებელი დირექტივით (*guideline*), ხაზი გაუსვა საერთაშორისო სისხლის სამართლის მთავარ პრინციპს. თუმცა იმავე მუხლში *რომის სტატუტი* აზუსტებს, რომ ეს პრინციპი არ გამორიცხავს და არ ფარავს საერთაშორისო სამართლის მიერ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის უფლებას.²⁵⁷

პასუხისმგებლობის სახეებს 25-ე მუხლში, რაც ნაშრომის განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს, დათმობილი აქვს მე-3 აბზაცი:

„სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩამდენ პირს, წინამდებარე წესდების შესაბამისად, ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ისჯება, თუ ეს პირი:

- (a) ჩაიდენს აღნიშნულ დანაშაულს პირადად, სხვა პირთან ერთად ან სხვა პირის მეშვეობით, მიუხედავად იმისა, ეკისრება თუ არა ამ სხვა პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა;
- (b) უხელმძღვანელებს, წააქეზებს ან ხელს შეუწყობს აღნიშნული დანაშაულის ჩადენას, თუ ეს დანაშაული ჩადენილია ან იყო მისი ჩადენის მცდელობა;
- (c) აღნიშნული დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, დახმარებას უწევს, აქეზებს ან სხვაგვარად ხელს უწყობს მის ჩადენას ან ჩადენის მცდელობას, მათ შორის, უზრუნველყოფს მისი ჩადენისთვის საჭირო საშუალებებს;

²⁵⁴ *რომის სტატუტის* 25-ე მუხლის პროექტის მომზადებაზე დაწ. იხ. *Ambos, Criminal Responsibility (Art. 25)*, კრებულში: *Triffterer, Commentary on the RS (2008)*, 743–770.

²⁵⁵ იხ. *რომის სტატუტის* 25(1)-ე მუხლი: „სასამართლო, წინამდებარე წესდების შესაბამისად, იურისდიქციას ახორციელებს ფიზიკურ პირებზე.”

²⁵⁶ იხ. *რომის სტატუტის* 25(2)-ე მუხლი: „სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩამდენ პირს ეკისრება ინდივიდუალური სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ისჯება წინამდებარე წესდების შესაბამისად.”

²⁵⁷ იხ. *რომის სტატუტის* 25(4)-ე მუხლი: „ამ წესდების არც ერთი დებულება, დაკავშირებული ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან, გავლენას არ ახდენს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობაზე.”

(d) ნებისმიერი სხვა სახით ხელს უწყობს საერთო მიზნით მოქმედ პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას ან ჩადენის მცდელობას. ასეთი ხელშეწყობა უნდა ხდებოდეს განზრახ, ანდა:

(i) მიზნად ისახავდეს ჯგუფის დანაშაულებრივი მიზნის განხორციელებას ან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებას, თუ ასეთი მიზანი ან საქმიანობა მოიცავს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩადენას; ან

(ii) ხორციელდებოდეს იმის წინასწარი შეგნებით, რომ ჯგუფი მიზნად ისახავს დანაშაულის ჩადენას.

(e) გენოციდის დანაშაულის შემთხვევაში, პირდაპირ და საჯაროდ მოუწოდებს სხვებს გენოციდისკენ;

(f) ცდილობს აღნიშნული დანაშაულის ჩადენას ისეთი მოქმედებით, რომელიც წარმოადგენს დანაშაულის ჩადენისთვის გამიზნულ მნიშვნელოვან მოქმედებას, მაგრამ დანაშაული არ დასრულებულა პირის განზრახვისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ამასთან, პირი, რომელიც უარს იტყვის დანაშაულის ჩადენის მცდელობაზე ან სხვაგვარად ხელს შეუშლის დანაშაულის დასრულებას, მოცემული წესდების თანახმად, არ დაისჯება დანაშაულის მცდელობისთვის, თუ იგი სრულად და ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულებრივ განზრახვაზე.”

2010 წელს *კამპალას (Kampala)* კონფერენციაზე მიღებული აგრესიის დანაშაულის შემადგენლობის შედეგად, 25-ე მუხლს დაემატა ახალი მე-3(*bis*) აბზაცი, რომელმაც დააზუსტა აგრესიის დანაშაულის ჩამდენ პირთა წრე:

„აგრესიის დანაშაულის შემთხვევაში, ამ მუხლის პირობები ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც სახელმწიფოს პოლიტიკურ ან სამხედრო მოქმედებებზე შეუძლიათ ეფექტიანი კონტროლის ან ხელმძღვანელობის განხორციელება.“²⁵⁸

შესაბამისად, ICC-ში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახეების კონსტრუქცია 25(3)-ე მუხლის ფარგლებში შეგვიძლია დავყოთ სამ ნაწილად:

1) ძირითადი პასუხისმგებლობა, გათვალისწინებული დანაშაულში ამსრულებლობისათვის [*principal liability – რომის სტატუტის 25(3)(a)-ე მუხლი*];²⁵⁹

²⁵⁸ ICC-ის აგრესიის დანაშაულზე იურისდიქციის განხორციელება არ შეუძლია 2017 წლამდე. დაწ. იხ. Kampala Resolution RC/Res.6 (1.6.2010), <https://www.icc-cpi.int/iccdocs/asp_docs/ASP9/OR/RC-11-ENG.pdf>, [9.1.2016]; იხ. ასევე: *კრესი, პოლტცენდორფი, კამპალას კომპრომისი*, 1 *სამართლის ჟურნალი* (2011), 278–319; *Kreß, Holtzendorff*, Kampala Compromise, 8 *JICJ* (2010), 1179–1217. დაწ. იხ. *Kreß, Barriga* (ed.), *Crime of Aggression* (2012).

²⁵⁹ ICC, *რომის სტატუტის 25(3)-ე მუხლის ფარგლებში*, გამოყოფს ძირითად [*principal 25(3)(a)*] და დამატებით [*accessory 25(3)(b)(c)(d)*] პასუხისმგებლობის სახეებს. იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, Warrant of Arrest, 10.2.2006, პარ. 78; *ICC, Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 320.

- 2) დამატებითი პასუხისმგებლობა, გათვალისწინებული დანაშაულში თანამონაწილეობისა [accessorial liability – რომის სტატუტის 25(3)(b)(c)-ე მუხლი] და საერთო მიზნით მოქმედი დაჯგუფების დახმარებისათვის, იგივე დანაშაულში თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის ე.წ. რეზიდუალური („სარეზერვო“) ფორმა [residual form of accessory liability – რომის სტატუტის 25(3)(d)-ე მუხლი];
- 3) დაწყებული ან დაუმთავრებელი ქმედებისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობები, გენოციდის დანაშაულის პირდაპირი და საჯარო მოწოდება [25(3)(e)-ე მუხლი] და დანაშაულის მცდელობა [25(3)(f)-ე მუხლი].²⁶⁰

როგორც ვხედავთ, რომის სტატუტის 25-ე მუხლი ძირითად და დამატებით პასუხისმგებლობის სახეებს გამოყოფს. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აღნიშნულ დაყოფას (მაგალითად, აშშ, საფრანკეთი, ავსტრია, ავსტრალია, იტალია, ურუგვაი და სხვ.) და, შესაბამისადაც, არ არის გამოკვეთილი განსხვავებული სასჯელის სახეები დანაშაულში ამსრულებლობისა და თანამონაწილეობისათვის. მათი თვალთახედვით, ნებისმიერი დანაშაულის მონაწილე, მიუხედავად მისი აქტიურობის ხარისხისა, ჩაითვლება ძირითად ამსრულებლად, თუმცა განაჩენში შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს დამნაშავეს როლი დანაშაულის ჩადენაში.²⁶¹ მათ, შესაძლებელია, ერთნაირი სასჯელიც კი შეეფარდოთ.²⁶² განსხვავებული მიდგომის კარგი მაგალითია *სიერა-ლეონეს სპეციალური სასამართლოს* მიერ განხილული *Prosecutor v. Taylor*-ის საქმე. *ლიბერიის* ყოფილ პრეზიდენტს დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომელიც, რომის სტატუტის მიხედვით, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამატებით ფორმას წარმოადგენს, სასჯელის სახით შეეფარდა 50 წლით თავისუფლების აღკვეთა²⁶³, იმის ხაზგასმით, რომ იგი იყო დანაშაულში „მეორე ხარისხის მონაწილე“.²⁶⁴

საერთაშორისო სისხლის სამართალში დაწესებულია ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის. რომის სტატუტი აფუძნებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას დაწყებული ან დაუმთავრებელი ქმედებისათვის, კერძოდ, გენოციდის დანაშაულის პირდაპირი და საჯარო მოწოდებისა [25(3)(e)-ე მუხლი] და დანაშაულის მცდელობისათვის [25(3)(f)-ე მუხლის პირველი წინადადება]. მცდელობის ცნება გულისხმობს დანაშაულის ჩადენისთვის გამიზნულ

²⁶⁰ იხ. Schabas, RS Commentary (2010), 425; რომის სტატუტის 25-ე მუხლზე იხ. ასევე: Militello, Individual Criminal Responsibility, 5 JICJ (2007), 944–947.

²⁶¹ იხ. Cassese, Acquaviva, Fan, Whiting, ICL (2011), 323; იხ. ასევე: ტურავა, მოძღვრება (2011), 56–57.

²⁶² იხ. Ohlin, Co-Perpetration, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 519.

²⁶³ SCSL, Prosecutor v. Taylor-ის საქმეზე დაწ. იხ. Gell, Trial of Charles Taylor, კრებულში: Jalloh (ed.), SCSL and its Legacy (2014), 642–659.

²⁶⁴ სასჯელის შეფარდებისას ამსრულებლობა-თანამონაწილეობის სახით დანაშაულში მონაწილეობის კატეგორიზაციის აუცილებლობაზე იხ. ნაშრომის XIII თავი.

მნიშვნელოვან მოქმედებას, როდესაც დანაშაული არ დასრულებულა პირის განზრახვისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. დანაშაულის მცდელობის პასუხისმგებლობასთან კავშირში, პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებაა დანაშაულზე სრულად და ნებაყოფლობით ხელის აღება [25(3)(f)-ე მუხლის მეორე წინადადება]. დანაშაულის მომზადება *რომის სტატუტით* ისჯება დამოუკიდებლად²⁶⁵ და არა მცდელობის მსგავსად²⁶⁶ – ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ზოგად მუხლზე მითითებით, როგორც ეს *ad hoc* ტრიბუნალების შემოადინებულ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეულ ცნებაშია გათვალისწინებული^{267, 268}.

2.2. რომის სტატუტის 28-ე მუხლი

რომის სტატუტის 28-ე მუხლი – მეთაურის პასუხისმგებლობა – განიხილება როგორც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გაფართოებული,²⁶⁹ დამატებითი ფორმა.²⁷⁰ იგი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას *სამხედრო მეთაურზე (military commander-superior)*, *სამხედრო მეთაურის სახით ეფექტიანად მოქმედ პირზე (person effectively acting as a military commander)* და *სამოქალაქო მეთაურზე (civilian superior)*. 28-ე მუხლის შინაარსი, დოგმატური თვალსაზრისით, ცოტა არ იყოს, კომპლექსურია²⁷¹:

„სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულისათვის ამ წესდებით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების დამატებით:

²⁶⁵ მაგალითად, აგრესიის დანაშაულის შემთხვევაში. იხ. *რომის სტატუტის* მე-8bis(1) მუხლი.

²⁶⁶ სისხლის სამართალში, ზოგადად, მომზადების დასჯადობა დაკავშირებულია სხვადასხვა პრობლემასთან, როგორცაა დანაშაულის შემადგენლობისაგან დროსა და სივრცეში დაშორების მომენტი, განზრახვის არამტკიცე ხასიათი და სხვ. სწორედ მისი „არაპრაქტიკული“ ხასიათის გამო თქვა უარი *გერმანიის* სისხლის სამართალმა მის დასჯადობაზე, თუმცა საერთაშორისო სისხლის სამართლის მსგავსად, მომზადება ზოგადი ნაწილისგან დამოუკიდებლად, კერძო ნაწილშია გადატანილი. იხ. *ხარანაული*, დაუმთავრებელი დანაშაული (2014), 71–88. საერთაშორისო და გერმანული სისხლის სამართლისგან განსხვავებით, ზოგადად, განზრახი დანაშაულის მომზადების დასჯადობას ითვალისწინებს *საქართველოს* სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლი, რომელიც დოგმატიკასა და პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემების გამო უნდა გაუქმდეს. შეად. იქვე, 40–71. დანაშაულის მომზადების დასჯადობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე იხ. *თოდუა*, ამსრულებლობა და თანამონაწილეობა, სახელმძღვანელოში: *ნაჭყებია, თოდუა* (რედ.), სისხლის სამართალი (2016), 301–311.

²⁶⁷ „... გათვალისწინებული დანაშაულის დაგეგმვაში, მომზადებასა და ასრულებაში, პასუხს აგებს ინდივიდუალურად ამ დანაშაულისათვის.“ იხ. ნაშრომის ამ თავის §1.

²⁶⁸ დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობაზე იხ. *ტურავა*, საფუძვლები (2015), 227–231; *Schabas*, RS Commentary (2010), 438–440.

²⁶⁹ შეად. *Ambos*, Treatise on ICL, Vol. I (2013), 149.

²⁷⁰ 28-ე მუხლზე, როგორც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამატებით სახეზე, იხ. ნაშრომის XII თავი.

²⁷¹ შეად. *Sliedregt*, Individual Responsibility (2012), 199.

a) სამხედრო მეთაურს ან სამხედრო მეთაურის სახით ეფექტიანად მოქმედ პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულისთვის, რომელიც ჩაიდინეს მის ეფექტიან ხელმძღვანელობას და კონტროლს დაქვემდებარებულმა ძალებმა, ანდა, ცალკეულ შემთხვევაში, ჩაიდინეს მისი ეფექტიანი ძალაუფლებისა და კონტროლის პირობებში იმის შედეგად, რომ ეს პირი აღნიშნულ ძალებს არ უწევდა სათანადო კონტროლს, თუ:

(i) სამხედრო მეთაურმა ან პირმა, იმ დროისათვის არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ეს ძალები სჩადიოდნენ ან განზრახული ჰქონდათ ამ დანაშაულთა ჩადენა;

(ii) სამხედრო მეთაურმა ან პირმა არ მოახერხა მიეღო ყველა საჭირო და გონივრული ზომა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რათა თავიდან აეცილებინა ან აღეკვეთა დანაშაულთა ჩადენა ან გადაეცა აღნიშნული საკითხი კომპეტენტური ორგანოებისთვის გამოძიების წარმოებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად.

b) უფროსისა და ხელქვეითის იმ ურთიერთობასთან მიმართებით, რომელიც არ არის გათვალისწინებული (a) პუნქტით, უფროსს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულისთვის, რომელიც ჩაიდინეს მისი ეფექტური ძალაუფლების ან კონტროლის ქვეშ, იმის შედეგად, რომ ეს პირი აღნიშნულ ხელქვეითებს არ უწევდა სათანადო კონტროლს, თუ:

(i) უფროსმა იცოდა ან შეგნებულად უბუღებელყოფდა ინფორმაციას, რომელიც აშკარად მიუთითებდა, რომ ხელქვეითნი ჩადიოდნენ ან განზრახული ჰქონდათ ასეთ დანაშაულთა ჩადენა;

(ii) დანაშაული მოიცავდა საქმიანობას, რომელიც ექვემდებარება უფროსის ეფექტიან პასუხისმგებლობას და კონტროლს;

(iii) უფროსმა არ მოახერხა მიეღო ყველა საჭირო და გონივრული ზომა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რომ თავიდან აეცილებინა ან აღეკვეთა დანაშაულთა ჩადენა ან გადაეცა აღნიშნული საკითხი კომპეტენტური ორგანოებისთვის გამოძიების წარმოებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად.”

მეთაურის პასუხისმგებლობის კონცეფციის დასჯის მთავარი კრიტერიუმი უმოქმედობაა. საერთაშორისო სამართალი მეთაურებს უწესებს ხელქვეითების მიერ ჩადენილი დანაშაულების, ერთი მხრივ, პრევენციის, ხოლო, თუ ამას ვერ უზრუნველყოფს, მეორე მხრივ, რეპრესიის

ვალდებულებას. მეთაური არ იზიარებს პასუხისმგებლობას ხელქვეითებთან ერთად, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული. იგი პასუხს აგებს „დამოუკიდებლად“, არასათანადო ხელმძღვანელობისათვის.²⁷²

3. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ბირთვი

სისხლის სამართალში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ბირთვს ამსრულებლობა წარმოადგენს. შესაბამისად, საერთაშორისო სისხლის სამართლის მთელი დოგმატიკა, უპირველეს ყოვლისა, ამსრულებლობაზეა ორიენტირებული, რომელიც უზრუნველყოფს თანამონაწილეობის დასჯადობასაც. ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, სწორედ ამსრულებლობაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით, პასუხისმგებლობის სხვა სახეებთან შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მეშვეობით, განვიხილავთ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შინაარსს საერთაშორისო სისხლის სამართალში.

საერთაშორისო სისხლის სამართალში დანაშაულის მცდელობის დაბალი პრაქტიკული მნიშვნელობის გამო,²⁷³ ნაშრომში იგი დამოუკიდებლად არ გაანალიზდება. იმის გათვალისწინებით, რომ გენოციდის დანაშაულის პირდაპირი და საჯარო მოწოდება [25(3)(e)-ე მუხლი] და დანაშაულის მცდელობა [25(3)(f)-ე მუხლის პირველი წინადადება] წარმოადგენს არა დანაშაულში მონაწილეობის ფორმებს, არამედ დაუსრულებელ დანაშაულებს (*Inchoate Crime/Offences*),²⁷⁴ დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ძირითადი და დამატებითი პასუხისმგებლობის ფართო კონცეფციასთან კავშირში განიხილება.

ამსრულებლობის ცნებას საერთაშორისო სისხლის სამართალში ქმნის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინა, რომელიც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუსისეულ ცნებას ავრცობს საერთაშორისო სისხლის სამართლის პოლიტიკის მიხედვით, განახორციელოს რეპრესია საერთაშორისო დანაშაულების პრევენციის მიზნით.

²⁷² მეთაურის პასუხისმგებლობასა და თანამონაწილეობას შორის განმასხვავებელ ნიშნებზე დაწ. იხ. *Mettraux, Command Responsibility* (2009), 37–44.

²⁷³ შეად. *ტურავა, საფუძვლები* (2015), 230.

²⁷⁴ შეად. *Werle, Burghardt, Establishing Degrees of Responsibility*, კრებულში: *Sliedregt, Vasiliev* (ed.), *Pluralism in ICL* (2014), 307. დაუსრულებელი დანაშაულების (*Inchoate Crime/Offences*) შესახებ იხ. ნაშრომის XIII თავი, §2.2.2.

VII. დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინის ცნება და სახეები

XX საუკუნის ისტორია და XXI საუკუნის მიმდინარე პერიოდი მჩვენებელია იმისა, რომ საერთაშორისო სამართალში, მიუხედავად იმისა, რომ მასში სახელმწიფოსა და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას შორის შეძლებისდაგვარად არის მიჯნა გაველებული²⁷⁵, მაინც იგრძნობა კმაყოფილების ნაკლებობა სისტემური პასუხისმგებლობის კონცეფციის მიმართ,²⁷⁶ კოლექტიური ბრალის „ნიშნების“ არსებობის გამო²⁷⁷. ამ „დანაკლისის“ აღმოფხვრას ხელს უწყობს დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის – ინდივიდუალური პასუხისმგებლობის – დოქტრინის ცნება.

დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა ასოცირდება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული ცნების სახეებთან. მისი ცნება გულისხმობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების სტატუტებსა და პრეცედენტულ სამართალში აპრობირებულ, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების როგორც პოზიტიურ-სამართლებრივ, ასევე, ზეპოზიტიურ-სამართლებრივ კონტექსტს.²⁷⁸ იგი კონცენტრირებულია შედეგზე და გვთავაზობს პროდუქტის მიღების სხვადასხვა წესს. დოქტრინის ცნება შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ პრაქტიკიდან ან თეორიიდან, ან, შეიძლება, ორიენტირებული იყოს ორივეზე.

აქედან გამომდინარე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის ცნება არ გულისხმობს მხოლოდ დოგმატიკას, როგორც ეს სიტყვა „დოქტრინის“ პირდაპირი, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით შეიძლება იგულისხმებოდეს. იგი თავის თავში მოიცავს პრეცედენტულ სამართალსა და დოგმატიკას მაშინ, როდესაც სტატუტის შესაბამისი მუხლი (სტატუტისეული ცნება) უძღვრია სამართლებრივი ურთიერთობის გადასაწყვეტად, „ჩუმიად უყურებს არსებულ მდგომარეობას“, სადაც რეაგირება აუცილებელია. ეს კი ხშირად ხდება. სწორედ ამ დროს იწყებს ჩვეულებითი სამართალიც მოქმედებას (ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის შექმნით).²⁷⁹

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი, უმეტესწილად, „პირველი დონის

²⁷⁵ იხ. *Bianchi*, State Responsibility and Criminal Liability of Individuals, კრებულში: *Cassese* (ed.), Oxford Companion (2009), 16–24; *Bonafe*, State and Individual Responsibility (2009), 167–191.

²⁷⁶ შეად. *Gattini*, Historical Perspective, კრებულში: *Nollkaemper*, *Wilt* (ed.), System Criminality (2009), 126; *Bonafe*, State and Individual Responsibility (2009), 186–191.

²⁷⁷ იხ. *Fletcher*, Collective Guilt, 111 *YaleLJ* (2002), 1513–1537, 1567–1572.

²⁷⁸ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის ცნება არ მოიცავს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის (სტატუტისეული ცნების) დაფუძნების ყველა მოდელს. მასში მოიაზრება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის (სტატუტისეული ცნების) დამაფუძნებელი ის მოდელი, რომელიც პრეცედენტული სამართალითაა „შეესებული“.

²⁷⁹ ჩვეულებითი სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით იხ. *ტურავა*, მოძღვრება (2011), 129, 134, 145–146, 339, 430; იხ. ასევე: *Zahar*, *Sluiter*, ICL (2008), 17.

დამნაშავეა”. ეს არის მაღალი პოლიტიკური ან სამხედრო თანამდებობის პირი, რომელიც ახდენს მასშტაბური (საერთაშორისო) დანაშაულების „ლეგალიზაციას”, მათ დაქვემდებარებაში მყოფი ყველა პირის ჩართვით. იგი გამოირჩევა სხვა ამსრულებლისგან იმით, რომ იყენებს სახელმწიფოს აპარატსა და ხელქვეითებს დანაშაულების უშუალოდ ჩასადენად. იგი არის დანაშაულის შემოქმედი – *auctor intellectualis*. ასეთი ამსრულებელი შეიძლება იყოს, მაგალითად, სახელმწიფოს მეთაური – პოლიტიკური ძალაუფლების, „სახელმწიფო აპარატზე ბატონობის” უნარის მქონე პირი. *auctor intellectualis* ქმნის განსხვავებულ სოციალურ რეალობას, რომლითაც აქეზებს სხვას, ორგანიზებას უწევს ან გეგმავს დანაშაულების ჩადენას. ზოგადად, ასეთი ტიპის ამსრულებლებს უმაღლესი სასჯელი ეფარდებათ.²⁸⁰

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის ცნება უარყოფს კოლექტიური შერაცხვის მოდელს, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სანქცია უნდა ემყარებოდეს ინდივიდის ბრალეულობის ხარისხს.²⁸¹ ამ მიზნით იგი გუთავაზობს კონკრეტული პასუხისმგებლობის სახის ინტერპრეტაციის სხვადასხვა მეთოდს, *auctor intellectualis* სისხლისსამართლებრივი დევნის აუცილებლობით. შესაბამისად, სისხლის სამართლისთვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის ცნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ არ დაკარგოს *ultima ratio* ფუნქცია.

ერთგვარად, *რომის სტატუტი* შეგვიძლია მივიჩნიოთ ეროვნული კანონმდებლობის „კატალიზატორად”.²⁸² იგი შესაძლოა გახდეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ახალი მოდელი მსოფლიო სამართლებრივ სისტემათა შორის.²⁸³ მისი მიზანი არაა ადამიანის ყველა ფუნდამენტური უფლების დარღვევის საერთაშორისო კრიმინალიზაცია. რომელი დარღვევაც არაა სისხლისსამართლებრივი ხასიათის, ამას საერთაშორისო სამართალი სისხლის სამართლისგან დამოუკიდებლად არეგულირებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა სამართალში.²⁸⁴ შესაბამისად, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინა ამ მხრივ ადამიანის უფლებათა სამართალს ეყრდნობა – საერთაშორისო სისხლის სამართალს ადამიანის უფლებათა სამართალი განუმარტავს სისხლისსამართლებრივად დასჯად არაპუმანურ ქმედებათა შინაარსს.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის ცნება გულისხმობს კონკრეტული პასუხისმგებლობის სტატუტისეული ცნებისა და მასზე არსებული პრეცედენტული სამართლის ერთობლიობას. საერთაშორისო სისხლის სამართალმა ზემოთ განხილული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების დროებითი, ინტერნაციონალიზებული და

²⁸⁰ შეად. *Smeulers, HOLA, Culpability of Perpetrators*, კრებულში: *Smeulers (ed.), Collective Violence and ICJ* (2010), 180–181.

²⁸¹ შეად. *Weigend, Problems of Attribution*, 12 *JICJ* (2014), 265–266.

²⁸² შეად. *Cryer, Friman, Robinson, Wilmshurst*, Introduction to ICL (2014), 75–76.

²⁸³ შეად. *Fletcher, Grammar of CL* (2007), 111.

²⁸⁴ შეად. *Cryer, Friman, Robinson, Wilmshurst*, Introduction to ICL (2014), 91–93.

პერმანენტული მოდელების მეშვეობით, რამდენიმე ასეთი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინა (სახე) შემოგვთავაზა. კერძოდ:

- *joint criminal enterprise* დოქტრინა – დაფუძნებული ICTY-ის მიერ, ანგლოამერიკული სამართლის სისტემაზე დაყრდნობით, რომელმაც გამოიყენება პოვა, ასევე, ICTR-სა და *ჰიბრიდულ* ტრიბუნალებში;
- თანაამსრულებლობის (*co-perpetration*), არაპირდაპირი ამსრულებლობისა (*indirect perpetration*) და არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის (*indirect (co)perpetration*) პასუხისმგებლობის დოქტრინები, რომლებიც ICC-ის მიმდინარე გამოყენებად სამართალს წარმოადგენს, უმეტესწილად, დაფუძნებულია *გერმანული* სისხლის სამართლის დოგმატიკაზე;
- მეთაურის პასუხისმგებლობის (*superior responsibility*, იგივე, *command responsibility*) დოქტრინა, რომელიც ფართოდ განვითარდა *ad hoc* ტრიბუნალებში და გარკვეული ენდემური მოდიფიკაციებით დღესაც გამოიყენება ICC-ის მიერ.

აღნიშნული დოქტრინებიდან წმინდა საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი ხასიათის *Joint Criminal Enterprise*-ის, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობისა და მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინებია.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ყველა დოქტრინა ხასიათდება პრეცედენტული სამართლით დადგენილი განსხვავებული ობიექტური და სუბიექტური მხარის ელემენტებით, რომელთა მეშვეობითაც ისინი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახეებად ჩამოყალიბდა, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არ გამომდინარეობს წინა თავში განხილული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული ცნებიდან.²⁸⁵ ნაშრომში ქვემოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე იქნება განხილული.

²⁸⁵ შესაბამისად, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინისა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნების შინაარსი ნაშრომში გამოიყენება იდენტური მნიშვნელობით.

VIII. დროებითი ტრიბუნალების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინა

ორივე *ad hoc* ტრიბუნალი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად ძირითადად ორ – კრიმინალური მიზნობრივი გაერთიანების (*Joint Criminal Enterprise*)²⁸⁶, იგივე (თანა)ამსრულებლობისა²⁸⁷ და მეთაურის პასუხისმგებლობის (*Superior (Command) Responsibility*) დოქტრინებს იყენებდა. *JCE*, იგივე (თანა)ამსრულებლობის კონცეფცია წმინდა პრეცედენტული სამართლით შექმნილი პასუხისმგებლობის სახე იყო, განსხვავებით მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინისგან, რომლის ინტერპრეტაცია, გარკვეულწილად, სტატუტისეული ცნებით მოხდა.

ამ თავში ჩვენ არ გავანალიზებთ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ყველა სახეს *ad hoc* ტრიბუნალებში, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ნაშრომის მიზნებში არ შედის.²⁸⁸ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის ცნების ირგვლივ *ad hoc* ტრიბუნალების იურისპრუდენციაში ყურადსადებია ამსრულებლობის ინსტიტუტი, რომლის ფარგლებშიც, *JCE*-ისა და მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინების გარდა, ნაშრომში განხილული იქნება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სხვა სახეებიც, მაგრამ აღნიშნულ ორ დოქტრინასთან მიმართებით²⁸⁹, შედარებით-სამართლებრივი კუთხით. *ad hoc* ტრიბუნალებში მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინის ცნებას, საერთო ნიშან-თვისებების გამო *ICC*-ის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინასთან ერთად განვიხილავთ.

ad hoc ტრიბუნალებში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის შექმნის აუცილებლობა თავიდანვე გამოვლინდა.²⁹⁰

²⁸⁶ *Joint Criminal Enterprise* დოქტრინის სხვადასხვა ქართულ შესატყვისზე იხ. ტურავა, საფუძვლები (2015), 209–210; ტურავა, სისხლის სამართალი (2013), 348; დვალიძე, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია, კრებულში: ნაჭყებია (რედ.), ორგანიზებული დანაშაული (2012), 103; მჭედლიშვილი-ჭედრიხი, გამოვლინების ფორმები (2011), 265. დოქტრინის ქართული შესატყვისი – „კრიმინალური მიზნობრივი გაერთიანება“ – გამომდინარეობს თვითონ მისი შინაარსიდან, რომელიც ასოცირდება დანაშაულებრივი დაჯგუფების მიზანთან, გეგმასთან. დაწ. იხ. ნაშრომის ამ თავის §4.

²⁸⁷ *Joint Criminal Enterprise* დოქტრინის ქართული შესატყვისი – (თანა)ამსრულებლობა – გამომდინარეობს დოქტრინის ანგლოამერიკული ხასიათიდან, ერთიანი ამსრულებლობის პრინციპიდან. იგი თანაამსრულებლობის სისტემურ ცნებას ეფუძნება. დაწ. იხ. ნაშრომის ამ თავის §1, §2, §4, §5 და §7.

²⁸⁸ ჩვენი მიზანია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის გაანალიზება, რომელიც სტატუტისეული და პრეცედენტული სამართლის ერთობლიობას გულისხმობს.

²⁸⁹ ვინაიდან *ad hoc* ტრიბუნალებში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის წმინდა საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ დოქტრინას *JCE* და მეთაურის პასუხისმგებლობა წარმოადგენდა.

²⁹⁰ ამ თავში გამოყენებულია სტატია: დგუბუაძე, კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფება, 1/28 მართლმსაჯულება და კანონი (2011), 101–110, რომელიც ნაშრომში განახლებული და შეესებულება ახალი გადაწყვეტილებებითა და მოსაზრებებით.

1. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის შექმნის აუცილებლობა ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალში

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის შექმნის აუცილებლობა ICTY-ის საქმიანობის პირველსავე ეტაპზე გამოვლინდა *Prosecutor v. Dusko Tadic*-ის საქმეზე. ამის მიზეზი იყო ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული ცნების „უუნარობა“ და ზედმეტად აბსტრაქტული შინაარსი. მე-7(1) მუხლი სტატუტის მომხმარებელს კონკრეტული პრინციპების, დოგმატიკის დონეზე, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების კონკრეტულ გზას არ სთავაზობდა. იგი, პრაქტიკულად, ყველაფრის უფლებას აძლევდა ბრალდების მხარეს სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად.²⁹¹ მთელი აქცენტი გადატანილი იყო პრეცედენტულ სამართალზე, როგორ გადაჭრიდა ამ „უუნარობას“ და აბსტრაქტულობას.

ადვილად მისახვედრია, *ad hoc* ტრიბუნალის შემქმნელების მიერ მე-7(1) მუხლის სტრუქტურა („უუნარობა“) თავიდანვე შეგნებულად იყო მრავალაზროვნად ჩამოყალიბებული. ვინაიდან ტრიბუნალი შექმნილი იყო ადამიანთა დიდი ჯგუფის, საერთო მიზნით შექმნილი გაერთიანებების თანამოქმედებით ჩადენილი დანაშაულებისათვის, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნებაც, მინიმუმ, ეროვნულ სამართალზე უფრო მეტად ბუნდოვანი და ძნელად დასადგენი იქნებოდა.

მეორე მხრივ, მე-7(1) მუხლის აბსტრაქტულობა, *ad hoc* ტრიბუნალების სტატუტების ანგლოამერიკული სამართლის (*common law*) გავლენის შედეგად იყო. მასში ნაკლები ყურადღება ექცეოდა სისხლის სამართლის ზოგად პრინციპებს, ამსრულებლობა-თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის სახეების კონკრეტიზაციას და ორიენტირებული იყო მონაწილეობის ხარისხზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთიანი ამსრულებლობის პრინციპზე (*unitarial concept of perpetration; Einheitstäterschaft*),²⁹² რისი გათვალისწინებაც სასჯელის დანიშვნის დროს ხდებოდა.

შესაბამისად, საერთაშორისო თანამეგობრობამ *ad hoc* ტრიბუნალებში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა და დაზუსტება მოსამართლეებს – პრეცედენტულ სამართალს მიანდო ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის შესაქმნელად. პრეცედენტი, რა თქმა უნდა, აუცილებლობის შემთხვევაში უფრო ადვილად შესაცვლელი იყო, ვიდრე სტატუტი.

JCE-ის მთავარი მაკვალიფიცირებელი გარემოებების განხილვამდე, მეტი სიცხადისთვის, განვიხილოთ მისი კონცეფცია.

²⁹¹ იხ. ICTY-ის სტატუტის მე-7(1) მუხლი: „*ვინც დაგეგმა ან სხვა სახით ეხმარებოდა ...*”

²⁹² შეად. *Ambos, Treatise on ICL, Vol. I (2013)*, 105–106.

2. (თანა)ამსრულებლობის კონცეფცია

JCE-ის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კონცეფცია თავისი შინაარსით იყო რევოლუციური და პირდაპირ შედეგზე ორიენტირებული. იგი საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესების შესაბამისად, ICTY-ის სააპელაციო პალატის მიერ პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით შემუშავდა. შესაბამისად, იგი წმინდა, პრეცედენტული სამართლის პასუხისმგებლობის სახეს წარმოადგენდა.²⁹³ მისი შექმნის მომენტიდან JCE ხშირად გამოიყენებოდა *ad hoc* ტრიბუნალების იურისპრუდენციაში მაღალი თანამდებობის პირების გასასამართლებლად, როგორც „ჯადოსნური იარაღი“ (*magic weapon*)²⁹⁴ და ბრალმძებლებისთვის „საყვარელ ცნებადაც“ (*darling notion*) მოიხსენიებოდა.²⁹⁵

JCE, ისევე როგორც მეთაურის პასუხისმგებლობა, მხოლოდ საერთაშორისო სისხლის სამართლის ნაწილია. რაც ნიშნავს იმას, რომ ორივე წარმოადგენს წმინდა საერთაშორისო სისხლის სამართლის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინას, რომელსაც პირდაპირი ანალოგი არ გააჩნია რომელიმე ქვეყნის სისხლის სამართლის სისტემაში.²⁹⁶

JCE გახდა შეუცვლელი, *par excellence* კონცეფცია ICTY-ში, იმ მაღალი რანგის სამხედრო და პოლიტიკური თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივი დევნისთვის, რომლებიც გეგმავდნენ ფართომასშტაბიან დანაშაულებს და ავალებდნენ სხვას მათ ჩადენას.²⁹⁷

JCE-ის მთავარი არსი, რაც აერთიანებს მის ყველა წევრს, ეს არის მონაწილეთა ერთიანი განზრახვა, მიაღწიონ საერთო მიზანს, რომელიც გამოიხატება კონკრეტული ან/და აბსტრაქტული დანაშაულების ჩადენაში საერთო გეგმის ფარგლებში. ამიტომაც უწოდებდნენ მას საწყის ეტაპზე – *Prosecutor v. Tadic*-ის საქმეზე *საერთო მიზნის დოქტრინას* (*common purpose doctrine*).

ICTY დოქტრინას სხვადასხვა საქმეში განსხვავებული ტერმინებით მოიხსენიებდა. მაგალითად, *საერთო დანაშაულებრივი გეგმა* (*common criminal plan*), *საერთო დანაშაულებრივი მიზანი* (*common criminal purpose*), *საერთო მიზანი* (*common purpose*) და ა.შ. მოგვიანებით პრეცედენტულმა სამართალმა განსაზღვრა, რომ ყველა ეს ტერმინი პასუხობდა პასუხისმგებლობის ერთ

²⁹³ შეად. Werle, Jessberger, Principles of ICL (2014), 200–201.

²⁹⁴ იხ. Ambos, JCE and Command Responsibility, 5 JICJ (2007), 159.

²⁹⁵ იხ. Cassese, Criminal Responsibility, 5 JICJ (2007), 110; იხ. ასევე: Jain, Perpetrators and Accessories (2014), 98.

²⁹⁶ იხ. Werle, Jessberger, Principles of ICL (2014), 200–201.

²⁹⁷ შეად. Sliedregt, Individual Responsibility (2003), 101. მაგალითად, *Prosecutor v. Slobodan Milosevic*-ის, *Prosecutor v. Radislav Krstic*-ისა და სხვათა საქმეები. იხ. ნაშრომის ამ თავის §6 და §8.1.

საერთო ფორმას, რომელსაც უნდა დარქმეოდა – კრიმინალური მიზნობრივი გაერთიანება (*Joint Criminal Enterprise*).²⁹⁸

3. *Prosecutor v. Tadic*-ის საქმე

JCE, როგორც საერთო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის „სისტემური შერაცხვის ფორმა“, დამკვიდრდა *ICTY*-ის სააპელაციო პალატის მიერ *Prosecutor v. Tadic*-ის საქმეში, რომელშიც პირველად გამოვლინდა დოქტრინის შექმნის აუცილებლობა.²⁹⁹

დუსკო ტადიჩი (*Dusko Tadic*) იყო სერბეთის დემოკრატიული პარტიის (*SDS*) ადგილობრივი წარმომადგენლობის პრეზიდენტი, რომელიც 1992 წლიდან ბოსნია-ჰერცეგოვინაში არასერბი მოსახლეობის ეთნიკურ წმენდას ახორციელებდა.³⁰⁰ მას ბრალად ედებოდა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა³⁰¹ და *ვენევის* 1949 წლის კონვენციების,³⁰² ომის კანონებისა და ჩვეულებების დარღვევა^{303,304}

ტადიჩის მონაწილეობით სამხედრო და საპოლიციო ძალების გამოყენებით ჩადენილ ეთნიკურ წმენდაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალაქ *პრიჯედორის* (*Prijedor*) ეპიზოდი,³⁰⁵ კერძოდ, *ჯასკიჩის* (*Jaskici*) დასახლებაში შესული შეიარაღებული დაჯგუფების მიერ ხუთი მამაკაცის მკვლელობის ფაქტი. „ეთნიკური წმენდა“ მიმდინარეობდა მამაკაცების განცალკევებით ქალებისა და ბავშვებისაგან, მათი უმოწყალო ცემითა და

²⁹⁸ იხ. *ICTY, Prosecutor v. Sainovic, Milutinovic, Ojdanic, Pavkovic, Lazarevic and Lukic*, TC Judgment, 26.2.2009, პარ. 95, სქოლიო 131.

²⁹⁹ იხ. *ICTY, Prosecutor v. Tadic*, AC Judgment, 15.7.1999, 172 და მომდევნო პარ.

³⁰⁰ *Prosecutor v. Tadic*-ის საქმეზე დაწ. იხ. *Gustafson, Tadic*, კრებულში: *Cassese* (ed.), *Oxford Companion* (2009), 944–949.

³⁰¹ იხ. *ICTY*-ის სტატუტის მე-5 მუხლი: პოლიტიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფების დევნა; გაუპატიურება; მკვლელობა; არაჰუმანური ქმედებების ჩადენა.

³⁰² იხ. *ICTY*-ის სტატუტის მე-2 მუხლი: განზრახ მკვლელობა; წამება ან არაჰუმანური მოპყრობა; განზრახ სერიოზული დასახიჩრება ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება.

³⁰³ იხ. *ICTY*-ის სტატუტის მე-3 მუხლი: სასტიკი მოპყრობა; მკვლელობა.

³⁰⁴ იხ. *Gustafson, Tadic*, კრებულში: *Cassese* (ed.), *Oxford Companion* (2009), 944–949.

³⁰⁵ *პრიჯედორში, ბოსნია-ჰერცეგოვინის* ერთ-ერთ მსხვილ ქალაქში, 1991 წლის მონაცემებით, 112 543 მაცხოვრებელიდან 43,9 პროცენტი იყო მუსულმანი, 42,3 პროცენტი – სერბი და დანარჩენი – სხვა ეთნიკური წარმომადგენლობის მოსახლეობა. *პრიჯედორის* ეთნიკურ წმენდასთან ერთად, საყურადღებოა, ასევე, მიმდებარე ქალაქ *კოზარაჩის* (*Kozarac*) „ეთნიკური წმენდის“ ეპიზოდიც, სადაც, დაახლოებით, 4 000-მდე მშვიდობიანი მოსახლიდან 800-მდე იქნა დახოცილი სხვადასხვა სასტიკი არაჰუმანური მოპყრობით. *კოზარაჩის* ოკუპაციაში ტადიჩიც მონაწილეობდა. დაწ. იხ. *ICTY, Prosecutor v. Tadic*, TC Judgment, 7.5.1997, 127 და მომდევნო პარ.; *ICTY, Prosecutor v. Stakic*, TC Judgment, 31.7.2003, პარ. 51; *ICTY, Prosecutor v. Krajisnik*, TC Judgment, 27.9.2006, 469 და მომდევნო პარ.

სხვა არაპუმანური ქმედებით. დაჯგუფების სოფლიდან გასვლის შემდეგ ხუთი მამაკაცი იპოვეს მოკლული.³⁰⁶

ბრალდების მხარის მასალებში მოიპოვებოდა *ჯახკიში* შესულ შეიარაღებულ დაჯგუფებაში *ტადიხის* წევრობის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულება, როგორც ერთ-ერთი შეიარაღებული პირისა, მაგრამ არც ერთი არ იყო პირდაპირი ხასიათის, რომელიც დაამტკიცებდა მის კავშირს ხუთიდან თუნდაც ერთ-ერთი მამაკაცის მკვლელობასთან. არ იყო არაფერი ცნობილი, თუ ვინ ესროლა უშუალოდ მათ და რა გარემოებების საფუძველზე.³⁰⁷

სასამართლო პალატამ სოფელ *ჯახკიხის* ეპიზოდში *ტადიხის* სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განხილვისას ირელევანტურად არ მიიჩნია ის გარემოება, რომ იმ დღეს მიმდებარე სოფელ *სივიში* (*Sivci*), დიდი შეიარაღებული სერბული დაჯგუფების მიერ ჩატარებულ ეთნიკურ წმენდას დასახლებაში მსხვერპლი არ მოჰყოლია. ეს ფაქტი იძლეოდა ვარაუდის საშუალებას, რომ მკვლელობა არ იყო ორი სოფლის „ეთნიკური წმენდის“ განხორციელების გეგმის ნაწილი, რომელშიც მონაწილეობდა ბრალდებული.³⁰⁸

სასამართლო პალატა არ გამორიცხავდა, რომ ხუთი მამაკაცის მკვლელობა, შესაძლოა, განხორციელებულიყო სოფელში შესული შეიარაღებული დაჯგუფების მიერ, მაგრამ *ტადიხი*, საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ამის გამო ვერ იქნებოდა სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებელი.³⁰⁹

ბრალდების მხარემ გაასაჩივრა სასამართლო პალატის გადაწყვეტილება. მისი აზრით, სასამართლო პალატის მიერ საერთო მიზნის დოქტრინის უარყოფა პრეცედენტული სამართლის შეცდომას წარმოადგენდა.³¹⁰ ხუთი მამაკაცის მკვლელობა შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში *სივიხისა* და *ჯახკიხის* სოფლებზე თავდასხმისას, ბრალდებულისთვის იყო წარმოსადგენი, წინასწარგათვალისწინებადი მოვლენა, რომელიც, ბრალდების აზრით, მას უნდა გაეთვითცნობიერებინა.³¹¹

პროკურორის აპელაციით, საბოლოოდ, *ტადიხი* უნდა გამოცხადებულიყო დამნაშავედ ICTY-ის სტატუტის მე-7(1) მუხლის მიხედვით, საერთო მიზნის დოქტრინაზე მითითებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სერბული დაჯგუფების წევრმა მოკლა ხუთი მამაკაცი.³¹²

³⁰⁶ დაწ. იხ. *ICTY, Prosecutor v. Tadic*, TC Judgment, 7.5.1997, პარ. 366–376.

³⁰⁷ იხ. იქვე, პარ. 373.

³⁰⁸ იხ. იქვე.

³⁰⁹ იხ. იქვე.

³¹⁰ იხ. *ICTY, Prosecutor v. Tadic*, AC Judgment, 15.7.1999, პარ. 172.

³¹¹ იხ. იქვე, პარ. 176–177.

³¹² იხ. იქვე, პარ. 177.

დაცვის მხარემ საერთო მიზნის დოქტრინის საქმესთან არაადეკვატურობის გამო არ გაიზიარა ბრალდების მოსაზრება. მისი აზრით, უნდა დამტკიცებულიყო, რამდენად მოიცავდა თავის თავში თავდასხმის გეგმა, რომელშიც, სავარაუდოდ, *ტადიჩი* მონაწილეობდა, მკვლელობას და ჩაითრიეს თუ არა იგი მასში მკვლელობის გეგმით.³¹³

სააპელაციო პალატა ბრალდების მხარის სასარგებლოდ არ დაეთანხმა სასამართლო პალატას კრიმინალური დაჯგუფების საქმიანობაში *ტადიჩის* „პასიური“ მონაწილეობის თაობაზე. მისი აზრით, იგი „აქტიურ“ როლს ასრულებდა შეიარაღებული დაჯგუფების საქმიანობაში, რომელმაც იმსხვერპლა 5 მამაკაცი სოფელ *ჯასკიხში*.³¹⁴ *ტადიჩის* პასუხისმგებლობა დასაბუთებული იყო საერთო მიზნის დოქტრინაზე დაყრდნობით.

4. (თანა)ამსრულებლობის კონცეფციის დაფუძნება პრეცედენტულ სამართალში

ICTY-ის სააპელაციო პალატა *Prosecutor v. Tadic*-ის საქმეზე *ჯასკიხის* ეპიზოდის კვალიფიკაციის პროცესში დადგა თეორიული კომპონენტის შექმნის აუცილებლობის წინაშე. მას უნდა დაეკმაყოფილებინა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული ცნება და პასუხი გაეცა ყველაზე მთავარ კითხვაზე *ICTY*-ის იურისპრუდენციაში: შეიძლებოდა თუ არა პირი საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით დამნაშავედ გამოცხადებულიყო, მიუხედავად იმისა, მოიპოვებოდა თუ არა პირდაპირი მტკიცებულება მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ?³¹⁵ აღსანიშნავია, რომ სააპელაციო პალატის ერთ-ერთი მოსამართლე *Prosecutor v. Tadic*-ის საქმეზე იყო საერთაშორისო სამართლის ცნობილი სპეციალისტი *ანტონიო კასესე* (*Antonio Cassese*). იგი *JCE*-ის ერთ-ერთ მთავარ დამცველად ითვლებოდა.³¹⁶

სააპელაციო პალატის მიერ შექმნილ დოქტრინას უნდა დაერეგულირებინა ჯგუფური დანაშაული, რომელიც გადაწყვეტდა პირდაპირი მტკიცებულების პრობლემურობის საკითხს იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებშიც იგი ძნელად მოსაძიებელი ან რთულად დასანახი იყო. კერძოდ, დოქტრინას უნდა გაემარტივებინა იმ პირთა დასჯა, რომლებიც ჯგუფურ დანაშაულებში არაპირდაპირ მონაწილეობდნენ.

სააპელაციო პალატას ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის შექმნის პროცესში საერთაშორისო სამართალთან ერთად უნდა დაეკმაყოფილებინა სისხლის სამართლის ინდივიდუალური

³¹³ იხ. იქვე, პარ. 176–177.

³¹⁴ იხ. იქვე, პარ. 180, 183.

³¹⁵ იხ. იქვე, პარ. 185.

³¹⁶ იხ. *Cassese*, *Criminal Responsibility*, 5 *JICJ* (2007), 109–133; იხ. ასევე: *Cassese and the Members of the JICJ*, *Amicus Curiae Brief on JCE*, 20 *CLF* (2009), 289–330.

პასუხისმგებლობის პრინციპი – *nulla poena sine culpa*,³¹⁷ რასაც თვითონვე გაუსვა ხაზი.³¹⁸ ამისთვის მან სასამართლო პალატის მიერ უარყოფილი საერთო მიზნის დოქტრინის კონკრეტიზაციის მეთოდს მიმართა.

ICTY-ის სტატუტის მე-7(1) მუხლის განმარტებისას სააპელაციო პალატამ, ერთი მხრივ, ხაზი გაუსვა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეულ განმარტებას, რომელიც ფარავდა დანაშაულში ფიზიკურ ამსრულებლობასა და „ბრალეულ უმოქმედობას“ (*culpable omission*). აქ იგულისხმებოდა ამსრულებლობა ტრადიციული გაგებით. მეორე მხრივ, სტატუტით დასჯად დანაშაულებში, პალატის აზრით, ამსრულებლობა შესაძლებელი იყო საერთო მიზნის ან გეგმის რეალიზაციის მეშვეობითაც (*through participation in the realisation of a common design or purpose*).³¹⁹

აღნიშნული განმარტებით, მე-7(1) მუხლში ამსრულებლობის ცნებას გარკვეულწილად თანამონაწილეობის ელემენტებიც დაემატა. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა ვერ იქნებოდა ლიმიტირებული მხოლოდ იმ პირებით, რომლებიც უშუალოდ ახორციელებდნენ ობიექტურ ელემენტებს,³²⁰ საერთაშორისო დანაშაულების ბუნების გათვალისწინებით.³²¹

ICTY-ის სტატუტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ განსაზღვრავდა საერთო მიზნის თეორიას დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის სახედ. დოქტრინის მთავარი ელემენტები სააპელაციო პალატამ განავითარა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის, კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პრეცედენტული სამართლის ანალიზის შედეგად.³²²

4.1. (თანა)ამსრულებლობის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ელემენტები

სააპელაციო პალატამ *Prosecutor v. Tadic*-ის საქმეზე განსაზღვრა ქმედების JCE-ის დოქტრინით კვალიფიკაციისათვის აუცილებელი ობიექტური და სუბიექტური ელემენტები. დაფუძნდა JCE-ის სამი კატეგორია. საერთაშორისო ჩვეულებითი (პრეცედენტული) სამართლით სამივე კატეგორიას, გააჩნია რა საერთო ობიექტური მხარის ნიშნები, ყველას განსხვავებული სუბიექტური მხარის ფორმა აქვს.³²³

³¹⁷ იხ. *Kreß, Nulla poena nullum crimen sine lege*, კრებულში: *Wolfrum* (ed.), *MPEPIL*, Vol. VII (2013), 889–898.

³¹⁸ იხ. *ICTY, Prosecutor v. Tadic*, AC Judgment, 15.7.1999, პარ. 186.

³¹⁹ იხ. იქვე, პარ. 188.

³²⁰ შეად. იქვე, პარ. 189–190.

³²¹ შეად. იქვე, პარ. 191.

³²² იხ. იქვე, პარ. 195–199; იხ. ასევე: *Danner, Martinez, Guilty Associations*, 93 *CLR* (2005), 102–119.

³²³ JCE-ის ობიექტური და სუბიექტური ელემენტების განხილვისას, *Prosecutor v. Tadic*-ის საქმესთან ერთად ნაშრომში განხილულია *ad hoc* ტრიბუნალების სხვა საქმეებიც, რომლებშიც ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, ძირითადად ან დამატებით, დაფუძნდა

4.1.1. (თანა)ამსრულებლობის ობიექტური ელემენტები

ICTY-მ, *Prosecutor v. Tadic*-ის საქმეზე, განსაზღვრა JCE-ის სამი აუცილებელი ობიექტური ელემენტი ყველა კატეგორიის მიმართ.³²⁴ ესენია:

- მონაწილეთა სიმრავლე (*plurality of persons*);
- საერთო გეგმის, მიზნის არსებობა (*existence of a common plan, design*);
- ბრალდებულის მონაწილეობა საერთო გეგმაში (*participation of the accused in the common design*).

კონკრეტიზაციის მიუხედავად, სამივე აღნიშნული პირობა შეგნებულად აბსტრაქტული ხასიათისაა, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების უფრო მეტი ეფექტურობისა და პროდუქტიულობისათვის.

4.1.1.1. მონაწილეთა სიმრავლე

JCE-ის პირველი აუცილებელი ობიექტური ელემენტით ხაზი გაესვა დოქტრინის ცნების თანაამსრულებლობის ფუნქციას, რომ იგი წარმოადგენდა ჯგუფური დანაშაულის პასუხისმგებლობის ფორმას.

სააპელაციო პალატის აზრით, „საერთო მიზნის“ მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ რამდენიმე, სულ ცოტა, ორი პირის მონაწილეობით. ზედა ზღვარი არ იყო დადგენილი. თუმცა აღნიშნული ელემენტის შინაარსი სავალდებულო მოთხოვნად არ აყენებდა ყველა ამსრულებელის „ორგანიზებულ“ მონაწილეობას სამხედრო, პოლიტიკურ ან ადმინისტრაციულ ერთეულში. კვალიფიკაციის პროცესის გამარტივების მიზნით, JCE დამაკმაყოფილებელი იყო „არაორგანიზებული“ (არაოფიციალური) ჯგუფის შემთხვევაშიც.³²⁵

მონაწილეთა სიმრავლის ელემენტის ცნება არ ამახვილებდა ყურადღებას ამსრულებელთა იერარქიულ მდგომარეობაზე. აქ მოიაზრებოდნენ ასევე პოლიტიკური, პოლიციური ორგანოების, სამხედრო ძალების ლიდერებიც, რომლებიც JCE-ის მართვით ჩადიდნენ საერთაშორისო დანაშაულებს.³²⁶

JCE-ის დოქტრინაზე დაყრდნობით. ზოგადად, *ad hoc* ტრიბუნალების პრეცედენტული სამართლის ანალიზი დაწ. იხ. *Shabas*, UN Tribunals (2006).

³²⁴ იხ. ICTY, *Prosecutor v. Tadic*, AC Judgment, 15.7.1999, პარ. 227.

³²⁵ იხ. იქვე; იხ. ასევე: ICTY, *Prosecutor v. Vasiljevic*, AC Judgment, 25.2.2004, პარ. 100; ICTY, *Prosecutor v. Stakic*, AC Judgment, 22.3.2006, პარ. 64; ICTY, *Prosecutor v. Brdanin*, AC Judgment, 3.4.2007, პარ. 415, 438; ICTY, *Prosecutor v. Sainovic, Milutinovic, Ojdanic, Pavkovic, Lazarevic and Lukic*, TC Judgment, 26.2.2009, პარ. 98.

³²⁶ იხ. ICTY, *Prosecutor v. Stakic*, AC Judgment, 22.3.2006, პარ. 64; იხ. ასევე: ICTY, *Prosecutor v. Vasiljevic*, AC Judgment, 25.2.2004, პარ. 100.

4.1.1.2. საერთო გეგმის, მიზნის არსებობა

JCE-ის მეორე აუცილებელი ობიექტური ელემენტით ICTY-მ, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის შექმნის საფუძველს³²⁷ გაუსვა ხაზი. ყველა მონაწილე უნდა მოქმედებდეს საერთო გეგმის, მიზნის ფარგლებში. ეს მოთხოვნა აადვილებდა კვალიფიკაციის პროცესს. სააპელაციო პალატამ საერთაშორისო დანაშაულების ბუნების, ზოგადად, კვალიფიკაციის სირთულის გათვალისწინებით, ბრალდების მხარე ამ შემთხვევაშიც არ შეზღუდა „მკაცრი მტკიცებულებების“ წარდგენით.

მეორე ობიექტური ელემენტით სავალდებულო არ იყო JCE-ის საერთო გეგმის ან მიზნის სიტყვასიტყვითი მტკიცება. იგი შეიძლება წარმოშობილიყო მოულოდნელად, უცაბედად (იმპროვიზებულად) და ფაქტებიდან გამომდინარე დამტკიცებელიყო. კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად, სააპელაციო პალატის აზრით, კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა საერთო გეგმა ან მიზანი დანაშაულის ჩადენამდე იქნებოდა მომზადებული, ფორმულირებული, თუ მის შემდეგ. მნიშვნელოვანი იყო გეგმის, მიზნის კრიმინალური შინაარსი, გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენით.³²⁸

საერთო მიზნის, გეგმის ელემენტი ვერ დაკმაყოფილდებოდა, თუ JCE-ის წევრები დანაშაულს სჩადიოდნენ არა საერთო დანაშაულებრივი მიზნის შესრულების მიზნით, არამედ პირადი შურისძიებით, მიუხედავად ასეთი დანაშაულის სისტემატური ჩადენის შემთხვევისა.³²⁹

„JCE-ის ექსცესის“ კარგი მაგალითია *Prosecutor v. Limaj*-ის საქმე. *კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის (KLA) ჯარისკაცები* სამხედრო პირებისთვის განკუთვნილი საკონცენტრაციო ბანაკის პატიმრებს სისტემატურად სცემდნენ, აწამებდნენ და სასტიკად ეპყრობოდნენ. მიუხედავად ამისა, სააპელაციო პალატამ საერთო მიზნის ელემენტი უარყო იმ არგუმენტით, რომ არ იყო გამორიცხული, ჯარისკაცები, საერთო მიზნის ასრულების ნაცვლად, მოქმედებდნენ პირადი შურისძიებით.³³⁰

4.1.1.3. ბრალდებულის მონაწილეობა საერთო გეგმაში

მესამე აუცილებელი ობიექტური ელემენტი გულისხმობს JCE-ის საქმიანობაში ბრალდებულის მონაწილეობას აუცილებელი სუბიექტური ელემენტებით. ამ ელემენტით მინიმალური მონაწილეობის დადგენაც

³²⁷ იხ. ნაშრომის I თავი.

³²⁸ იხ. *ICTY, Prosecutor v. Tadic*, AC Judgment, 15.7.1999, პარ. 227; იხ. ასევე: *ICTY, Prosecutor v. Vasiljevic*, AC Judgment, 25.2.2004, პარ. 100; *ICTY, Prosecutor v. Kvočka*, AC Judgment, 28.2.2005, პარ. 98; *ICTY, Prosecutor v. Stakic*, AC Judgment, 22.3.2006, პარ. 64; *ICTY, Prosecutor v. Brdanin*, AC Judgment, 3.4.2007, პარ. 413, 418, 439; *ICTY, Prosecutor v. Sainovic, Milutinovic, Ojdanic, Pavkovic, Lazarevic and Lukic*, TC Judgment, 26.2.2009, პარ. 98.

³²⁹ იხ. *ICTY, Prosecutor v. Brdanin*, AC Judgment, 3.4.2007, პარ. 417–418; იხ. ასევე: *ICTY, Prosecutor v. Limaj*, AC Judgment, 27.9.2007, პარ. 113–115.

³³⁰ იხ. *ICTY, Prosecutor v. Limaj*, AC Judgment, 27.9.2007, პარ. 105–117.

საკმარისია. აუცილებელი არ არის ამსრულებლის მონაწილეობა მოიცავდეს დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობის შესრულებას. მაგალითად, მკვლელობის, წამების და სხვ. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, როგორც კი მონაწილე გაიზიარებს *JCE*-ის განზრახვას, იგი ამით უკვე ეხმარება ან სხვა გზით ახორციელებს გაერთიანების საქმიანობას. შესაბამისად, აღნიშნული ელემენტი არ გულისხმობდა ფიზიკურ მონაწილეობას – ბრალდებულის დასწრება არ იყო აუცილებელი კრიმინალური დაჯგუფების წევრობისათვის. ამ ელემენტით, ბრალმდებელი არ იყო ვალდებული ემტკიცებინა ბრალდებულის ისეთი მონაწილეობის ხარისხი, რომლის გარეშეც დანაშაული ვერ განხორციელდებოდა.³³¹

მესამე ობიექტური ელემენტით, არ არის სავალდებულო ბრალდებულის მონაწილეობა იყოს აუცილებელი ან არსებითი ჩადენილი დანაშაულის ყველა ელემენტის მიმართ – მნიშვნელოვანია მისი არსებითი მონაწილეობა იმ დანაშაულებთან მიმართებით, რომელთა ჩადენისთვისაც მას ბრალი ედება.³³²

4.1.2. (თანა)ამსრულებლობის სამი კატეგორია – სუბიექტური ელემენტები

ICTY-ის სააპელაციო პალატამ *Prosecutor v. Tadic*-ის საქმეზე, ჩამოაყალიბა *JCE*-ის სამი კატეგორია (სახე):³³³

- 1) ძირითადი (*basic JCE*);
- 2) სისტემური (*systemic JCE*);
- 3) გაგრძობილი (*extended JCE*).

სამივე კატეგორია ეხება დანაშაულის ჩასადენად საერთო მიზნით გამსჭვალულ ადამიანთა დაჯგუფებას, რომელიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. პრეცედენტული სამართალი, ერთი მხრივ, სამი კატეგორიის ცნებით, აყალიბებს *JCE*-ის სუბიექტურ ელემენტებს და ასევე, მეორე მხრივ, ზემოთ განხილულ საერთო ობიექტურ ნიშნებთან ერთად, თითოეული კატეგორიისათვის დამახასიათებელ სპეციალურ ობიექტურ ელემენტებს, რაც გამომდინარეობს სუბიექტური ელემენტებიდან.

4.1.2.1. ძირითადი (თანა)ამსრულებლობა

პირველი კატეგორია, რომელსაც *ძირითად JCE*-ის უწოდებენ, ხასიათდება შემთხვევით, როდესაც ყველა ბრალდებული მონაწილეობს საერთო გეგმის ფარგლებში და ამოძრავებს ერთი და იგივე საერთო

³³¹ იხ. *ICTY, Prosecutor v. Tadic*, AC Judgment, 15.7.1999, პარ. 227; იხ. ასევე: *ICTY, Prosecutor v. Krnojelac*, AC Judgment, 17.9.2003, პარ. 81; *ICTY, Prosecutor v. Vasiljevic*, AC Judgment, 25.2.2004, პარ. 100, 119; *ICTY, Prosecutor v. Kvočka*, AC Judgment, 28.2.2005, პარ. 98; *ICTY, Prosecutor v. Stakic*, AC Judgment, 22.3.2006, პარ. 64; *ICTY, Prosecutor v. Sainovic, Milutinovic, Ojdanic, Pavkovic, Lazarevic and Lukic*, TC Judgment, 26.2.2009, პარ. 103–106.

³³² იხ. *ICTY, Prosecutor v. Brdanin*, AC Judgment, 3.4.2007, პარ. 427, 430.

³³³ იხ. *ICTY, Prosecutor v. Tadic*, AC Judgment, 15.7.1999, პარ. 195.

განზრახვა. აქ ყველა მონაწილე პასუხისმგებელია ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, განურჩევლად მათი მონაწილეობის ხარისხისა.³³⁴

პირველი კატეგორიით ქმედების კვალიფიკაციისათვის უნდა დადგინდეს:

- დაჯგუფების ერთ-ერთ ასპექტში მაინც ბრალდებულის მხრიდან მონაწილეობის სურვილი;
- დანაშაულებრივი განზრახვა, გაზიარებული ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად.³³⁵

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ბრალდებულები შევიდნენ შეთანხმებაში დაჯგუფების სხვა წევრებთან. გამოძიებამ *ძირითადი JCE*-ის გამოსაყენებლად უნდა დაადგინოს, რომ *JCE*-ის საერთო გეგმა მდგომარეობდა (მსხვერპლის) მკვლელობაში, ბრალდებული თავისი ნებით მონაწილეობდა ამ საერთო გეგმის ერთ-ერთ ასპექტში მაინც და ბრალდებულს განზრახული ჰქონდა დახმარების გაწევა მკვლელობაში, მიუხედავად იმისა, რომ თავად არ ჩაუდენია დანაშაული. აუცილებელი არ არის, რომ პირმა უშუალოდ ჩაიდინოს დანაშაული, საკმარისია მისი მონაწილეობა დაჯგუფების ერთ-ერთ ქმედებაში მაინც.

სააპელაციო პალატამ *ძირითადი JCE*-ის დაფუძნებისას რამდენიმე საქმე გამოიყენა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პრეცედენტული სამართლიდან, რომ გაემართლებინა მისი გამოყენება. ასეთი იყო *Almelo*-ს საქმე, სადაც *დიდი ბრიტანეთის* სასამართლომ *საერთო დაჯგუფების (common enterprise)* დოქტრინაზე დაყრდნობით სამი გერმანელი ცნო დამნაშავედ ბრიტანელი სამხედრო ტყვის მკვლელობაში. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთმა მოიყვანა ქმედება სისრულეში, სამივე ნაცისტი მკვლელობის მონაწილედ ჩაითვალა, გამომდინარე იქიდან, რომ ყველას ჰქონდა ბრიტანელი ჯარისკაცის მოკვლის განზრახვა. ისინი იყვნენ მკვლელობის დანაშაულის თანაამსრულებლები.³³⁶

მეორე მოყვანილი მაგალითი ეხებოდა *კანადის* სამხედრო სასამართლოს მიერ განხილულ *Hoelzer et al*-ის საქმეს. კანადელი ტყვის მკვლელობისთვის სამი გერმანელის გასამართლებისას მითითება გააკეთდა

³³⁴ იხ. იქვე, პარ. 196; იხ. ასევე: *ICTY, Prosecutor v. Stakic*, TC Judgment, 31.7.2003, პარ. 436; *ICTY, Prosecutor v. Krnojelac*, AC Judgment, 17.9.2003, პარ. 89, 95–96; *ICTY, Prosecutor v. Simic, Tadic, Zaric*, TC Judgment, Separate Opinion of Lindholm, 17.10.2003, პარ. 157; *ICTY, Prosecutor v. Blagojevic and Jokic*, TC Judgment, 17.1.2005, პარ. 703; *ICTY, Prosecutor v. Sainovic, Milutinovic, Ojdanic, Pavkovic, Lazarevic and Lukic*, TC Judgment, 26.2.2009, პარ. 95–96. აღნიშნულ საქმეებში დანაშაულში მონაწილეებს ამოძრავებდათ საერთო განზრახვა მიზნის განსახორციელებლად – სხვადასხვა ინდივიდუალური მოდიფიკაციებით.

³³⁵ იხ. იქვე.

³³⁶ იხ. იქვე, პარ. 197; *Almelo*-ს საქმის შესახებ დაწ. იხ. ასევე: Law Reports of Trials of War Criminals, Vol. I (1947), 35–45, <https://www.loc.gov/frd/Military_Law/pdf/Law-Reports_Vol-1.pdf>, [9.2.2016].

ისევე საერთო დაჯგუფების დოქტრინაზე. ყველა მათგანმა იცოდა, რომ კანადელი კონკრეტულ ადგილას მოკვლის განზრახვით გადაჰყავდათ.³³⁷

სააპელაციო პალატამ პირველ კატეგორიასთან მიმართებით პრეცედენტული სამართლიდან სხვა საქმეებიც მოიყვანა, პირველი კატეგორიის საილუსტრაციოდ, რომელთა მიხედვითაც დანაშაულის ჩასადენად შექმნილი ჯგუფის ერთ-ერთი წევრის მიერ ჩადენილი დანაშაული ყველა წევრის მიერ ჩადენილ დანაშაულად ითვლებოდა, საერთო დაჯგუფების დოქტრინის ფარგლებში.³³⁸

4.1.2.2. სისტემური (თანა)ამსრულებლობა

მეორე კატეგორია – *სისტემური JCE* გულისხმობს „სისტემურ სისასტიკეს, ძალადობას“, უპირველეს ყოვლისა, როგორცაა საკონცენტრაციო ბანაკი. ასეთ დანაშაულებს, უმეტესწილად, სჩადიან ბანაკის გუშაგები, მცველები და სხვა პირები, რომლებსაც შეგნებული აქვთ დანაშაულებრივი „სისტემა“. სავალდებულოა ხელშეწყობის განზრახვის დადგენა. სისტემის ბუნების ცოდნა შეიძლება დადგინდეს ბრალდებულის ძალაუფლებიდან, მისი იერარქიული პოზიციიდან გამომდინარე.³³⁹

მეორე კატეგორიით ქმედების კვალიფიკაციისათვის, უნდა დადგინდეს:

- ორგანიზებული რეპრესიული სისტემის არსებობა;
- ბრალდებულების მხრიდან აქტიური მონაწილეობა მასში, მისი ბუნების ცოდნა;
- დანაშაულში მონაწილეობის განგრძობადი განზრახვა.³⁴⁰

შესაბამისად, სუბიექტური მხრივ, სისტემური კატეგორია გამოიხატებოდა საერთო გეგმის შეგნებასა და მისი განხორციელების განზრახვაში. ეს პირველი და მეორე კატეგორიის სუბიექტურ ნიშნებს ხდის ერთგვარს განზრახვასთან მიმართებით, რომელიც შეესაბამება სისტემის საერთო გეგმასა და „ძალადობის“ მიზანს.³⁴¹

სააპელაციო პალატამ *სისტემური JCE*-ის საილუსტრაციოდ რამდენიმე საქმე გამოიყენა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პრეცედენტული სამართლიდან, მისი გამოყენების დასაბუთების მიზნით. ასეთი იყო *Dachau*-სა და *Belsen*-ის საკონცენტრაციო ბანაკების საქმეები, პირველი, განხილული აშშ-ის სასამართლოს, ხოლო მეორე – *დიდი ბრიტანეთის* სამხედრო სასამართლოს მიერ, ორივე *გერმანიაში*. ორივე საკონცენტრაციო

³³⁷ იხ. იქვე.

³³⁸ იხ. იქვე, პარ. 198–201.

³³⁹ იხ. იქვე, პარ. 202–203; იხ. ასევე: *ICTY, Prosecutor v. Krnojelac*, AC Judgment, 17.9.2003, პარ. 89, 92, 96; *ICTY, Prosecutor v. Simic, Tadic, Zaric*, TC Judgment, Separate Opinion of Lindholm, 17.10.2003, პარ. 157; *ICTY, Prosecutor v. Vasiljevic*, AC Judgment, 25.2.2004, პარ. 101; *ICTY, Prosecutor v. Sainovic, Milutinovic, Ojdanic, Pavkovic, Lazarevic and Lukic*, TC Judgment, 26.2.2009, პარ. 96.

³⁴⁰ იხ. იქვე, პარ. 202.

³⁴¹ იხ. იქვე, პარ. 203.

ბანაკში ხოცავდნენ პატიმრებს, უხეშად ეპყრობოდნენ და აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას. ბრალდებულებს, დანაშაულის ჩადენისას, საკონცენტრაციო ბანაკში იერარქიულად მაღალი თანამდებობები ეკავათ, იყვნენ ხელმძღვანელთა რიგებში. მათ მიმართ წაყენებული სხვადასხვა ბრალდება მოიცავდა ბანაკის პატიმართა მკვლელობას, რომელიც იყო საერთო დაჯგუფების მიზნის (განზრახვის) ნაწილი.³⁴² *Belsen*-ის საქმეზე განისაზღვრა სამი აუცილებლად დასადგენი პირობა:

- არსებობდა თუ არა პატიმრების ცუდი მოპყრობისა და დანაშაულების ჩადენის ორგანიზებული სისტემა;
- იცოდა თუ არა თითოეულმა ასეთი სისტემის ბუნების შესახებ;
- ბრალდებულის მხრიდან აქტიური მონაწილეობის ფაქტი, რომლითაც იგი ესმარებოდა საერთო დანაშაულებრივი მიზნის რეალიზაციას.³⁴³

სავალდებულო არ არის, ბრალდებამ დეტალურად დაამტკიცოს სისტემაში მონაწილეობის ფორმალური, თუ არაოფიციალური თანხმობა, არამედ უნდა ჩანდეს მისი მხრიდან რეპრესიული სისტემის მიმართ ერთგულება, თავდადება.³⁴⁴

4.1.2.3. გავრცობილი (თანა)ამსრულებლობა

მესამე კატეგორია – *გავრცობილი JCE*³⁴⁵ განსხვავდება ძირითადი და სისტემური კატეგორიებისგან იმით, რომ ითხოვს უფრო დაბალი ხარისხის მტკიცებულებებს. იგი ასოცირდება ისეთ შემთხვევასთან, როდესაც საერთო გეგმის ფარგლებში ადამიანთა ჯგუფი სწადის გეგმით გაუთვალისწინებელ ქმედებას.³⁴⁶

მესამე კატეგორიით ქმედების კვალიფიკაციისათვის უნდა დადგინდეს:

- თუ რამდენად იყო წინასწარგანჭვრეტადი ჯგუფის ერთ-ერთი წევრის მიერ დანაშაულის ჩადენა;

³⁴² იხ. იქვე, პარ. 202; *Dachau*-ს საქმის შესახებ დაწ. იხ. ასევე: Law Reports of Trials of War Criminals, Vol. XI (1947), 5–17, <https://www.loc.gov/r/frd/Military_Law/pdf/Law-Reports_Vol-11.pdf>, [9.2.2016].

³⁴³ იხ. იქვე; *Belsen*-ის საქმის შესახებ დაწ. იხ. ასევე: Law Reports of Trials of War Criminals, Vol. II (1947), <https://www.loc.gov/r/frd/Military_Law/pdf/Law-Reports_Vol-2.pdf>, [9.2.2016].

³⁴⁴ იხ. *ICTY, Prosecutor v. Krnojelac*, AC Judgment, 17.9.2003, პარ. 96.

³⁴⁵ *Extended JCE*-ის სხვადასხვა ქართულ შესატყვისზე იხ. *ტურავა*, საფუძვლები (2015), 211; *ტურავა*, სისხლის სამართალი (2013), 348; *დვალაძე*, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია, კრებულში: *ნაჭყებია* (რედ.), ორგანიზებული დანაშაული (2012), 103; *Extended JCE* ტერმინის ქართული შესატყვისი – *გავრცობილი JCE*, გამომდინარეობს თვითონ აღნიშნული კატეგორიის შინაარსიდან.

³⁴⁶ იხ. *ICTY, Prosecutor v. Tadic*, AC Judgment, 15.7.1999, პარ. 204, 220, 228; იხ. ასევე: *ICTY, Prosecutor v. Stakic*, TC Judgment, 31.7.2003, პარ. 436; *ICTY, Prosecutor v. Vasiljevic*, AC Judgment, 25.2.2004, პარ. 101; *ICTY, Prosecutor v. Blagojevic and Jokic*, TC Judgment, 17.1.2005, პარ. 703; *ICTY, Prosecutor v. Sainovic, Milutinovic, Ojdanic, Pavkovic, Lazarevic and Lukic*, TC Judgment, 26.2.2009, პარ. 96.

– ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა გაერთიანების ფარგლებში ასეთი დანაშაულის ჩადენის ცოდნით ნებაყოფლობით, მორჩილად „აიღო თუ არა რისკი საკუთარ თავზე“.³⁴⁷

მესამე კატეგორიის განხილვისას სააპელაციო პალატამ *გაერცობილი JCE*-ის საილუსტრაციოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პრეცედენტული სამართლიდან გამოიყენა *Essen Lynching*-ისა და *Borkum Island*-ის საქმეები.

ბრიტანეთის სამხედრო სასამართლოს მიერ განხილული *ესენში ლინჩის წესით გასამართლების* შემთხვევა სააპელაციო პალატისთვის საინტერესო იყო ბრალდებულთა იერარქიული ურთიერთობის, გერმანელი კაპიტნისა და მისი ხელქვეითების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო. ხელქვეითებს უბრძანეს სამი ბრინატელი ჯარისკაცის სხვა ქალაქში გადაყვანა დასაკითხად. მეთაურმა დამატებით უბრძანა თავის ჯარისკაცებს, თუ მოსახლეობის მხრიდან მოხდებოდა მათზე თავდასხმა ან შეურაცხყოფის მიყენება, არ შეეჩერებინათ ისინი. ასეც მოხდა. განრისხებული მოსახლეობა თავს დაესხა ბრიტანელებს, რა დროსაც გერმანელი ჯარისკაცების მხრიდან არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა სიტუაციის აღსაკვეთად. ბრიტანელი ტყვეები ხიდიდან გადაყარეს. ეს მკვლელობის სასტიკ ფორმას წარმოადგენდა.³⁴⁸

სასამართლო პროცესზე დაცვის მხარემ მოითხოვა ყველა ბრალდებულის მხრიდან მკვლელობის განზრახვის მტკიცება. ბრალდების მხარის აზრით, ეს იყო შეუძლებელი, თუმცა ამის საჭიროებასაც ვერ ხედავდა, ვინაიდან ბრალდებულის ქმედებები, ერთად აღებული, ქმნიდა კონკრეტულ შედეგში რეალიზებულ დანაშაულის შემადგენლობას. გერმანელ კაპიტანს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა, მიუხედავად იმისა, რომ უშალოდ არ მონაწილეობდა მკვლელობაში. საბოლოოდ, ჯარისკაცი, რომელსაც ტყვეების მოსახლეობისაგან დაცვის ვალდებულება ჰქონდა, დაისაჯა. ასევე დაისაჯა სამი სამოქალაქო პირიც, მიუხედავად იმისა, რომ არ მოიპოვებოდა არავითარი მტკიცებულება მათ მიერ ინდივიდუალურად, მკვლელობის ჩადენის შესახებ.³⁴⁹

Borkum Island-ის საქმეზე *აშშ*-ის სამხედრო სასამართლო მოქმედებდა *Essen Lynching*-ის საქმის მსგავსად. ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდეს გერმანულ კუნძულზე – *ბორკუმზე*. თვითმფრინავის ეკიპაჟის შვიდი წევრი ტყვედ აიყვანეს და შეგნებულად გაატარეს ქალაქის ქუჩებში, ლეიბორისტული კორპუსის წევრებს, გერმანელი ჩინოვნიკის დავალებით, რომ დაეწყით მათი უმოწყალოდ (ნიჩბებით) ცემა. ამას დაემატა ასევე ქალაქის მერის მხრიდან მოქალაქეთა წაქეზება – ტყვეები ეცემათ, როგორც

³⁴⁷ იხ. იქვე.

³⁴⁸ იხ. იქვე, პარ. 207. სასამართლომ დააზუსტა, რომ საქმე არ იხილებოდა ინგლისური სამართლის მიხედვით.

³⁴⁹ იხ. იქვე, 207–208; *Essen Lynching*-ის საქმის შესახებ დაწ. იხ. ასევე: Law Reports of Trials of War Criminals, Vol. I (1947), 88–92, <https://www.loc.gov/rr/frd/Military_Law/pdf/Law-Reports_Vol-1.pdf>, [9.2.2016].

„ძაღლები“. ბრალდებულთა შორის იყო რამდენიმე მაღალი რანგის ჩინოვნიკი: მერი, პოლიციელი, ლეიბორისტული კორპუსის ლიდერი. ყველას დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ომის დანაშაულებისათვის. აქაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაფუძნებული იყო საერთო მიზნის დოქტრინაზე.³⁵⁰

მნიშვნელოვანია ასევე, *იტალიის* საკასაციო სასამართლოს მიერ განხილული *D'Ottavio et al*-ის საქმე. აღნიშნული საქმე ეხებოდა საკონცენტრაციო ბანაკიდან გაქცეული სამხედრო ტყვეების შეპყრობის პროცესს, რომელსაც ახორციელებდა სწორედ ამ განზრახვით შექმნილი იტალიური დაჯგუფება. დაჯგუფების ერთ-ერთმა წევრმა (მდეგარმა) მოკლა გაქცეული პატიმარი. *იტალიის* სასამართლომ დაადგინა, რომ ჯგუფს ჰქონდა საერთო განზრახვა გაქცეულების შეპყრობისა და წინასწარგანჭვრეტადი იყო, რომ აღნიშნულ პროცესს მოჰყვებოდა მკვლელობა.³⁵¹ სააპელაციო პალატამ სხვა მსგავსი საქმეებიც განიხილა.³⁵²

მესამე კატეგორიის შინაარსის საილუსტრაციოდ ეროვნული სისხლის სამართლიდან მნიშვნელოვანია ბანკში ჩადენილი ყაჩაღობის მაგალითი: თუ ოთხი შეიარაღებული პირიდან არც ერთს არ ამოძრავებს კონკრეტულად მოკვლის განზრახვა, მაგრამ ბანკის თავდასხმის დროს რომელიმე მათგანი მოკლავს მოლარეს, *JCE*-ის მესამე კატეგორიის მიხედვით, ყველა იქნება პასუხისმგებელი მისი მკვლელობისთვის. მიუხედავად კონკრეტული განზრახვის არარსებობისა, მკვლელობა იყო თავდასხმის განჭვრეტადი შედეგი შეიარაღებული ჯგუფის წევრობის ფარგლებში.³⁵³

განსხვავებული კვალიფიკაცია იქნება შეუიარაღებელი, სათამაშო იარაღებით „შეიარაღებული“ ჯგუფის თავდასხმის შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი ფარულად აიღებს ნამდვილ იარაღს აუცილებლობის შემთხვევაში მისი გამოყენების მიზნით. ამას შეამჩნევს მხოლოდ ჯგუფის ერთი წევრი. თუ შეიარაღებული პირი მოკლავს მოლარეს, ამ შემთხვევაში ყაჩაღობისა და მკვლელობისათვის, შეიარაღებულ პირთან ერთად, დაისჯება ჯგუფის ის წევრი, რომელმაც იცოდა ნამდვილი იარაღის შესახებ და არ იმოქმედა ამის საწინააღმდეგოდ. განსხვავებით ჯგუფის ამ ორი წევრისგან, დანარჩენები დაისჯებიან მხოლოდ ძარცვისათვის.³⁵⁴

4.2. ტადიჩის პასუხისმგებლობა

სააპელაციო პალატამ *Prosecutor v. Tadic*-ის საქმეზე მიიჩნია, რომ მესამე კატეგორია იყო ყველაზე ახლოს ბრალდებულის მიერ ჩადენილ

³⁵⁰ იხ. იქვე, პარ. 210–213.
³⁵¹ იხ. იქვე, პარ. 215.
³⁵² იხ. იქვე, პარ. 215–219.
³⁵³ იხ. *Cassese and the Members of the ICJ, Amicus Curiae Brief on JCE*, 20 *CLF* (2009), 297–298.
³⁵⁴ იხ. იქვე, 298–299. კაზუსში ჯგუფის წევრთა ქმედება დაკვალიფიცირებულია ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკის მიხედვით. ასეთი კვალიფიკაციის შესახებ იხ. *გამყრელიძე*, სისხლის სამართალი, III ტომი (2013), 194–195.

ქმედებებთან. ჯგუფს ჰქონდა არასერბი მოსახლეობის „ეთნიკური წმენდის“ საერთო მიზანი. მკვლევლობა არ იყო მათი გეგმით განჭვრეტადი, მაგრამ *ტადიჩის* მხრიდან გათვალისწინებადი. პალატამ მიიჩნია, რომ მან იცოდა აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ და ნებაყოფლობით „აიღო რისკი თავის თავზე“.³⁵⁵

გავრცობილმა JCE-მ ჩამოაყალიბა დოქტრინის პასუხისმგებლობის სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმების ახალი სახე, რომლის საშუალებითაც არსებული მტკიცებულების დაბალი დონე დამაკმაყოფილებელი გახადა.

სააპელაციო პალატამ *Prosecutor v. Tadic*-ის საქმეზე სასამართლო პალატის გადაწყვეტილება მიიჩნია შეცდომად.³⁵⁶ ბრალდებული იყო სერბებით დაკომპლექტებული შეიარაღებული დაჯგუფების წევრი, რომელმაც მიზნად დაისახა ძალისმიერი ფორმით სოფლის გაწმენდა მამაკაცებისაგან. მკვლევლობა იყო გათვალისწინებადი, წინასწარგანჭვრეტადი, რომელიც უნდა ყოფილიყო ქმედების ჩამდენის მიერ გაცნობიერებული. *ტადიჩი* გასამართლდა ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული არაერთი დანაშაულისათვის. მრავალი ბრალდებიდან, რომელიც მას ჰქონდა წაყენებული, ერთ-ერთი იყო ხუთი მამაკაცის მკვლევლობა სოფელ *ჯასკიში*.

საბოლოოდ სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საერთო გეგმის დოქტრინა, როგორც თანამსრულებლობის პასუხისმგებლობის ფორმა, მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში და მისი გამოყენება ტრიბუნალის წესდების ფარგლებშიც იყო შესაძლებელი.³⁵⁷

Prosecutor v. Tadic-ის საქმის შემდეგ, რომლითაც *JCE* დაფუძნდა *ICTY*-ის მიერ, მისი გამოყენების საწყის ეტაპზე, არ იყო ბოლომდე გასაგები მისი გამოყენების წესი, კარგად არ იყო გააზრებული, რით განსხვავდებოდა იგი სტატუტის მე-7 მუხელში მოცემული პასუხისმგებლობის სხვა სახეებისგან – დანაშაულის დაგეგმვა, ბრძანების გაცემა, წაქეზება³⁵⁸, წარმოადგენდა თანამსრულებლობის თუ თანამონაწილეობის სახეს.

5. *JCE* – თანამსრულებლობის თუ თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის ფორმა?

JCE ამსრულებლობის ფორმაა. მისი დაფუძნების ეტაპზე *ICTY*-ის სააპელაციო პალატა, *Prosecutor v. Tadic*-ის საქმეზე, არსებით ყურადღებას არ აქცევდა იმას, თუ დანაშაულში მონაწილეობის რომელ ფორმას

³⁵⁵ იხ. იქვე, პარ. 231–232.

³⁵⁶ იხ. იქვე, პარ. 233.

³⁵⁷ იხ. იქვე, პარ. 220.

³⁵⁸ დანაშაულში თანამონაწილეობაზე იხ. ნაშრომის X თავი.

მიეკუთვნებოდა დოქტრინა. ერთი მხრივ, იგი მოიხსენიებოდა, როგორც თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის (*accomplice liability*) ფორმა,³⁵⁹ მაგრამ, მეორე მხრივ, იმავდროულად, *JCE*-ის მონაწილეები განიხილებოდნენ, როგორც თანამსრულებლები (*co-perpetrators*).³⁶⁰ შემდგომშიც სასამართლო პალატის მოსამართლეების ერთი ნაწილი არსებითად მიიჩნევდა ამსრულებლებსა და თანამონაწილეებს შორის განსხვავების გავლენას, ხოლო დანარჩენი – არა. ზოგიერთი მათგანის აზრით, განაჩენის დადგენის პროცესში მონაწილეობის ხარისხზე იქნებოდა სასჯელის ზომის ინდივიდუალურად განსაზღვრა დამოკიდებული.³⁶¹ ეს დებატები გამომდინარეობდა ტრიბუნალის ანგლოამერიკულ სამართალზე ორიენტაციიდან.³⁶²

2003 წელს *ICTY*-ში გამართული დისკუსიების ფარგლებში სააპელაციო პალატის მიერ ცალსახად გადაწყდა, რომ *JCE* წარმოადგენდა არა თანამონაწილეობის (*accomplice liability*), არამედ ამსრულებლობის (*principal liability*) ცნებას, კერძოდ, თანამსრულებლობას (*co-perpetration*). ეს გამომდინარეობდა, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლიდან, კერძოდ, პოსტ-ნიურნბერგისეული საკონტროლო საბჭოს №10 კანონიდან (*Control Council Law N10*), რომელიც იყენებდა თანამსრულებლობის პასუხისმგებლობას თანამონაწილეობის, დახმარება-წამქეზებლობის (*aider/abettor*) საწინააღმდეგოდ,³⁶³ ასევე, შეესაბამებოდა *ICTY*-ის სტატუტის მე-7 მუხლის შინაარსსაც.³⁶⁴ ვინც იქნებოდა „უფრო მეტად დამნაშავე“, ვიდრე დანაშაულის დამხმარე ან წამქეზებელი (*aider/abettor*), უნდა განიხილებოდეს, როგორც ამსრულებელი.³⁶⁵

³⁵⁹ სააპელაციო პალატამ, *Prosecutor v. Tadic*-ის საქმეზე აღნიშნა, რომ „საერთო მიზნის“ დოქტრინა, როგორც თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის ფორმა (*as a form of accomplice liability*), უკვე იყო დაფუძნებული საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში. იხ. *ICTY, Prosecutor v. Tadic*, AC Judgment, 15.7.1999, პარ. 220.

³⁶⁰ იხ. იქვე, პარ. 192.

³⁶¹ იხ. *Sliedregt, Individual Responsibility* (2012), 78.

³⁶² როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იქიდან გამომდინარე, რომ საწყის ეტაპზე აღიარებული იყო ერთიანი ამსრულებლობის პრინციპი (*unitarial concept of perpetration; Einheitstäterschaft*), *ICTY* განსაკუთრებულად არ მიჯნავდა ამსრულებელს თანამონაწილისგან.

³⁶³ როგორც ზემოთ განვიხილეთ, *ნიურნბერგისა* და *ტოკიოს* ტრიბუნალების სტატუტებისგან განსხვავებით, ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა საკონტროლო საბჭოს №10 კანონი ახდენდა დანაშაულში მონაწილეობის ფორმების კონკრეტიზაციას, რითაც გარკვეულწილად განსხვავდებოდა ერთიანი ამსრულებლობის პრინციპისგან. *JCE*-ის საფუძვლებიც იქიდან მოდის. იხ. ნაშრომის III თავი, §6.

³⁶⁴ *JCE*-ის ამსრულებლობა-თანამონაწილეობის საკითხზე დაწ. იხ. *Olasolo, Essays on ICJ* (2012), 129–134; იხ. ასევე: *Sliedregt, Individual Responsibility* (2012), 77–88.

³⁶⁵ იხ. *Sliedregt, Individual Responsibility* (2012), 78.

6. საერთო გეგმის გენერალური განზრახვა, როგორც „პირდაპირი გასასვლელი ინდივიდებზე“

გენერალი რადისლავ კრსტიჩი (*Radislav Krstic*), რომელიც ICTY-ის მიერ გამოცხადდა დამნაშავედ JCE-ის წევრობისათვის, იყო ბოსნიურ-სერბული არმიის ერთ-ერთი შტაბის მეთაური. JCE-ის საერთო მიზანი იყო სრებრენიცას დაცემის შემდეგ ჰუმანიტარული კრიზისის შექმნა, რაც უზრუნველყოფდა ბოსნიელი მუსულმანების განდევნას პოტოკარის (*Potocari*) დასახლებიდან.³⁶⁶

ICTY, როგორც იყო მოსალოდნელი, JCE-ის გამოყენების დროს დიდ დროს უთმობდა გეგმის, მიზნის მნიშვნელობისა და კრიმინალური ხასიათის მტკიცებას. ამით იგი გადიოდა პირდაპირ კონკრეტული ინდივიდების პასუხისმგებლობაზე. სასამართლო პალატამ *Prosecutor v. Krstic*-ის საქმეზე ყურადღება გაამახვილა JCE-ის გეგმაში განზრახვის აბსტრაქტულ, გენერალურ ხასიათზე. *კრსტიჩს* შეიძლება პირდაპირ არ ჰქონდა შემუშავებული მკვლელობის გეგმა – მუსულმანების დევნა მკვლელობებითა და სხვა სასტიკი ფორმით, მაგრამ შემდგომში, ფართომასშტაბიანი და სისტემატური მკვლელობების ფონზე, მან გაიზიარა JCE-ის გენოციდის (მკვლელობის) განზრახვა, როგორც ასეთი, კრიმინალური გეგმის ბუნების შეცნობით.³⁶⁷ კერძოდ, JCE-ის საერთო გეგმის ფარგლებში, ბოსნიელი მუსულმანების წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდის დანაშაულის სხვადასხვა ქმედება – მკვლელობა, სხეულის მძიმე დაზიანება და სხვა, სასამართლო პალატის აზრით, იყო დაჯგუფების საქმიანობის ბუნებრივი და წინასწარგანჭვრეტადი შედეგი.³⁶⁸

აღნიშნულის საპასუხოდ, დაცვის მხარე გენოციდის დანაშაულისათვის JCE-ის გეგმით *კრსტიჩის* ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად ითხოვდა გენოციდის დანაშაულში ბრალდებულის არსებითი კონტრიბუციის მტკიცებას.³⁶⁹ ამ მოთხოვნაზე პასუხი იყო ისევე აბსტრაქტული, როგორც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაბუთების ნაწილი. იგი უფრო შეიცავდა მე-7(1) მუხლის თეორიულ მსჯელობებს.³⁷⁰

საბოლოოდ, სასამართლო პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ *კრსტიჩი*, როგორც არმიის მეთაური, ეფექტურად მონაწილეობდა JCE-ის საერთო

³⁶⁶ იხ. ICTY, *Prosecutor v. Krstic*, TC Judgment, 2.8.2001, პარ. 617. სამხედრო თავდასხმასთან ერთად, „ეთნიკური წმენდის“ პროცესში, ხდებოდა ქალების, მამაკაცებისა და ბავშვების განცალკევება ერთმანეთისაგან. 1995 წელს ათასობით მამაკაცი დახოცეს. JCE-ის საერთო მიზნის ასრულების პროცესში, *კრსტიჩს* სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა, ასევე, საერთო გეგმით გაუთვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის. JCE-ის გეგმა მოიცავდა გენოციდის, ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენას.

³⁶⁷ იხ. იქვე, პარ. 633.

³⁶⁸ იხ. იქვე, პარ. 635–636.

³⁶⁹ იხ. იქვე, პარ. 638.

³⁷⁰ იხ. იქვე, პარ. 639–645.

გეგმის შესრულებაში, არსებით დახმარებასა და ტექნიკურ თანადგომას უწევდა დანაშაულების განხორციელებას. მას მნიშვნელოვანი როლი გააჩნდა მეთაურის დონეზე.³⁷¹

7. განსხვავება (თანა)ამსრულებლობასა და თანამონაწილეობას შორის

იმ შემთხვევაში, როდესაც პრეცედენტული სამართალი ბუნდოვნად, ბრმად პოულობდა *JCE*-ის საფუძვლებს მე-7(1) მუხლში, *ICTY* ვერ აზუსტებდა, იგი წარმოადგენდა თანაამსრულებლობის ჩვეულებრივ გაგებას, თუ აწესებდა დასჯადობის ახალ ფორმას საერთაშორისო სისხლის სამართალში.³⁷² როგორც აღვნიშნეთ, *JCE* თანაამსრულებლობის პასუხისმგებლობის სახეა, მაგრამ მისი კონცეფციის გასაანალიზებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *Prosecutor v. Tadic*-ისა და *Prosecutor v. Kvočka*-ს საქმეებზე სასამართლო პალატის მიერ დადგენილი თანაამსრულებლობისა (*JCE*) და თანამონაწილეობის (*aiding and abetting*) განმასხვავებელი კრიტერიუმები, დანაშაულში ძირითადი და დამატებითი მონაწილის ურთიერთგამიჯვნის მიზნით.

7.1. *Prosecutor v. Kvočka*-ს საქმე

კოჩკას ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დაფუძნებული იყო სტატუტის მე-7(1) მუხლზე, *სისტემურ JCE*-ზე დაყრდნობით.

სერბებით დაკომპლექტებული შეიარაღებული დაჯგუფება 1992 წლის 30 აპრილს შეიჭრა *პრიჯედორის* რეგიონში სერბული მუნიციპალიტეტის ჩამოყალიბების, მისი უსისხლოდ დაპყრობის მიზნით. დაიწყო არასერბი მოსახლეობის, მუსულმანებისა და ხორვატების „ეთნიკური წმენდა“, ფართომასშტაბიანი დევნა. კერძოდ, სამუშაო ადგილებიდან გათავისუფლება, მათი შეიღების სკოლებიდან ჩამოშორება, რადიოპროპაგანდა, მეჩეთებისა და კათოლიკური ეკლესიების წაბილწვა და სხვ.³⁷³

სერბების მიერ *პრიჯედორის* ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ, 1992 წლის მაისში, მუსულმანებისა და ხორვატებისაგან დაკომპლექტებული შეიარაღებული დაჯგუფების აჯანყების თავიდან აცილების მიზნით, შეიქმნა *ომარსკას (Omarska)*, *კერატერმისა (Keraterm)* და *ტრნოპოლიეს (Trnopolje)* საკონცენტრაციო ბანაკები. კონკრეტული პირები ნაწილდებოდნენ სხვადასხვა ბანაკში, მათი ჯგუფებად დაყოფის მიზნით. აღნიშნული სამი

³⁷¹ იხ. იქვე, პარ. 624. *Prosecutor v. Krstic*-ის საქმეზე დაწ. იხ. *Gustafson, Krstic*, კრებულში: *Cassese (ed.), Oxford Companion (2009)*, 775–778.

³⁷² შეად. *Ambos*, *JCE and Command Responsibility*, 5 *JICJ* (2007), 167–176.

³⁷³ იხ. *ICTY, Prosecutor v. Kvočka, Kos, Radic, Zigic and Prcac*, *TC Judgment*, 2.11.2001, პარ. 1.

ბანაკი იუგოსლავიის ომის ისტორიაში გამოირჩეოდა თავისი არაჰუმანური პირობებითა და მოპყრობით,³⁷⁴ განსაკუთრებით *ომარსკას* ბანაკი.

აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით დაწეული გამოძიების ფარგლებში³⁷⁵ გამოვლინდა 5 ბრალდებული, რომლებიც მუშაობდნენ და „ხშირად სტუმრობდნენ“ *ომარსკას* პატიმართა ბანაკს. მათ შორის იყო სერბი პოლიციელი, *მიროსლავ კვოჩკა (Miroslav Kvočka)*, რომელიც *ომარსკაში* დიდი ძალაუფლებით სარგებლობდა.³⁷⁶

ICTY-ის აზრით, პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სისტემური კატეგორია ყველაზე კარგად აღწერდა *კვოჩკას* ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, *ომარსკას* მოვლენებს, იმის გათვალისწინებით, რომ არც ერთ ბრალდებულს არ ეკავა ორგანიზატორის, შეიარაღებული ძალების უმაღლესი ხელმძღვანელის თუ სხვა მაღალი თანამდებობა. ყურადღება გამახვილდა მათ საერთო განზრახვაზე, JCE-ის ფარგლებში ჩადენილ დანაშაულებში მონაწილეობის „დაბალ ხარისხზე“. JCE-ში მონაწილეობის ხარისხი შესაძლებელია ყოფილიყო არსებითი ან არაარსებითი, რაც განისაზღვრებოდა ბრალდებულის პოზიციით, დაკისრებული ვალდებულებებით, გაერთიანების სიდიდითა და მონაწილეობის ხანგრძლივობით. ყველა ბანაკი ხასიათდებოდა მონაწილეთა სიმრავლით, რომლებსაც ჰქონდათ უამრავი როლი და ფუნქცია.³⁷⁷ ბანაკების არსებობის სამი თვის განმავლობაში 3 000-ზე მეტი მამაკაცი და 36 ქალი მოთავსდა *ომარსკაში*. ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა, მკვლელობა, გაუპატიურება და არაჰუმანური მეთოდებით მოპყრობა ყოველდღიური მოვლენა იყო ბანაკის ტერიტორიაზე.³⁷⁸

7.2. ძირითადი და დამატებითი პასუხისმგებლობის ურთიერთგამიჯვნის პრინციპული კრიტერიუმები

ICTY-ის სასამართლო პალატა *Prosecutor v. Kvočka*-ს საქმეზე ბრალდებულთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სრულყოფის მიზნით თანამოსრულებლობასა და თანამონაწილეობას შორის განმასხვავებელი

³⁷⁴ იხ. იქვე, პარ. 2–3.

³⁷⁵ ICTY-ის სასამართლო პალატამ მოისმინა 139 მოწმის ჩვენება 113 საპროცესო დღის განმავლობაში და გამოიკვლია 489-ზე მეტი ნივთიერი მტკიცებულება. ცოცხლად გადარჩენილი მოწმეები თავიანთ ჩვენებებში, *ჰააგაში*, ყვებოდნენ იმ არაჰუმანური და საშინელი მდგომარეობის შესახებ, რომელიც, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მოვლენას წარმოადგენდა ბანაკებში. იხ. იქვე.

³⁷⁶ სხვა ბრალდებულები იყვნენ: *დრაგოლიუბ პრსახი (Dragoljub Prcać)* – სამსახურიდან გადამდგარი პოლიციელი, რომელიც მუშაობდა დაახლოებით 22 დღე ბანაკის მეთაურის ადმინისტრაციულ დამხმარედ; *მილოჯა კოსი (Milojica Kos)* – დაცვის უფროსი; *მლაკო რადიჩი (Mlado Radic)* – ასევე, ბანაკის დაცვის უფროსი; *ზორან ზიგო (Zoran Zigic)* – ტაქსის მძღოლი. იქ. იქვე, პარ. 4.

³⁷⁷ იხ. იქვე, პარ. 282, 311.

³⁷⁸ *Prosecutor v. Kvočka*-ს საქმეზე დაწ. იხ. Bing, Kvočka and others, კრებულში: Cassese (ed.), Oxford Companion (2009), 787–790.

ნიშნების ჩამოყალიბებისას, დაეყრდნო *Prosecutor v. Tadic*-ის საქმეზე სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ძირითადი და დამატებითი პასუხისმგებლობის ურთიერთგამიჯვნის პრინციპულ კრიტერიუმებს,³⁷⁹ კერძოდ:

- თანამონაწილე (*aiding and abetting*) ყოველთვის არის დამხმარე ან წამქეზებელი ძირითადი ამსრულებლის (*principal*) მიერ ჩადენილი დანაშაულის;
- თანამონაწილეობის დროს არ არის სავალდებულო საერთო გეგმის არსებობის მტკიცება. ამსრულებელმა შეიძლება არც იცოდეს თანამონაწილის არსებობის შესახებ;
- თანამონაწილე სპეციფიკურად ეხმარება კონკრეტული დანაშაულის ასრულებას და ეს არსებით ეფექტს ახდენს თვითონ ამ კონკრეტულ დანაშაულზე. *JCE*-ის მონაწილე კი ეხმარება იმ კონკრეტულ დანაშაულს, რომელიც მიმართულია საერთო გეგმის, მიზნის სისრულეში მოსაყვანად. ორივე შემთხვევაში, როგორც თანამონაწილეს, ისე თანამსრულებელს, უნდა ჰქონდეს შეგნებული მისი მონაწილეობის შინაარსი.

სასამართლო პალატამ *Prosecutor v. Kvočka*-ს საქმეზე უფრო განავრცო *Prosecutor v. Tadic*-ის საქმეზე ჩამოყალიბებული პრინციპული კრიტერიუმები.

7.3. პასუხისმგებლობა თანამონაწილეობისათვის – როდის გამოირიცხება ამსრულებლობა

Prosecutor v. Kvočka-ს საქმეზე, უმეტესწილად, ყურადღება გამახვილდა *JCE*-ში თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ გარემოებებზე, იქიდან გამომდინარე, რომ პრეცედენტული სამართლის მიერ ამსრულებლობის მაკვალიფიცირებელი ნიშნები „კარგად იყო ინტერპრეტირებული“ სტატუტის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნებაში [მე-7(1) მუხლში]. მთავარი იყო *JCE*-ში თანამონაწილეობის კრიტერიუმების დადგენა, რომ გამიჯნულიყო თანამსრულებლობისაგან, თუ როგორ შეეძლო პირს *JCE*-ის დახმარება ან წაქეზება.³⁸⁰

სასამართლო პალატამ თანამონაწილეობის სუბიექტურ მხარესა და მონაწილეობის ხანგრძლივობაზე გაამახვილა ყურადღება. აუცილებელი არ არის თანამონაწილემ გაიზიაროს თანამსრულებლების განზრახვა. თუ თანამონაწილის დანაშაულში მონაწილეობა გაიჭიმა დროში, მისი მონაწილეობა გახდა არსებითი (ფიზიკური მონაწილეობის მიუხედავად), საფუძვლიანი *JCE*-ისთვის – თუ პირი მნიშვნელოვანწილად ეხმარება გაერთიანებას მიზნის შესრულებაში, იგი უკვე ხდება თანამსრულებელი.³⁸¹ ეს უკანასკნელი ნათელია, როგორც კი მტკიცებულება ცხადყოფს

³⁷⁹ იხ. *ICTY, Prosecutor v. Tadic*, AC Judgment, 15.7.1999, პარ. 229.

³⁸⁰ იხ. *ICTY, Prosecutor v. Kvočka, Kos, Radic, Zigic and Prcać*, TC Judgment, 2.11.2001, პარ. 283.

³⁸¹ იხ. იქვე, პარ. 284.

ბრალდებულის სუბსტანციურ დახმარებას, *JCE*-ის საერთო მიზნის გაზიარებას.³⁸²

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. თუმცა, სასამართლო პალატამ სხვა აბსტრაქტული დათქმები გააკეთა, სადაც შესაძლებელი იყო, ასევე, კონკრეტულიც.

ბრალდებულმა უნდა იცოდეს *JCE*-ის კრიმინალური ბუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ითამაშებს მნიშვნელოვან როლს მის დაფუძნებასა და ფუნქციონირებაში, ვერც მცირე დროის განმავლობაში მიიღებს მონაწილეობას მის ფუნქციონირებაში. ბრალდებული არის თანაამსრულებელი, დამხმარე თუ წამქეზებელი *JCE*-ში, ამისთვის მნიშვნელოვანია მონაწილეობის ხასიათის დადგენა, რის საილუსტრაციოდაც სასამართლო პალატამ ბუდალტრის მაგალითი მოიყვანა: თუ ბუდალტერი, რომელიც მუშაობს ბავშვთა პორნოგრაფიის მწარმოებელ კომპანიაში, გაიგებს კომპანიის საქმიანობის რეალურ მიზანს და მაინც გააგრძელებს მუშაობას, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი, ზემოთ განხილული ცნების მიხედვით, უკვე ეხმარება *JCE*-ს, კომპანიის საქმიანობის გაცნობიერების განზრახვით. კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს საბავშვო პორნოგრაფიისადმი მის დამოკიდებულებას.³⁸³ მაგრამ, თუ ბუდალტერი გააგრძელებს პერმანენტულად, კომპეტენტური და ეფექტური საშუალებებით მუშაობას, უკვე იგი ინაწილებს კომპანიის საერთო განზრახვას და ხდება თანაამსრულებელი, შესაბამისად, *JCE*-ის წევრი.³⁸⁴

შეიძლება პირი მონაწილეობდეს დაჯგუფების საქმიანობაში, იცოდეს მისი განზრახვის შესახებ, მაგრამ არ ჩაითვალოს თანაამსრულებლად. სასამართლო პალატის იგივე მაგალითი კარგად აღწერს ამ შემთხვევას. კომპანიის დამლაგებელი, რომელიც მხოლოდ ასუფთავებს ოფისს და იცის კომპანიის საქმიანობის შესახებ, მიუხედავად ამისა, არ მიიჩნევა *JCE*-ის წევრად, გაერთიანების ფარგლებში მისი უმნიშვნელო როლის გათვალისწინებით.³⁸⁵

საკონცენტრაციო ბანაკში მუშაობა ავტომატურად არ ნიშნავს *სისტემური JCE*-ის წევრობას. ამსრულებლის მონაწილეობა უნდა იყოს არსებითი. არსებითად კი პალატა მიიჩნევს ქმედებას, რომელიც ხდის გაერთიანებას ეფექტიანსა და მოქნილს. რაც შეეხება ფართომასშტაბიან, სისტემატურ და სისტემურ დანაშაულებში *JCE*-ის წევრობისათვის პასუხისმგებლობის საკითხს, ამ შემთხვევაში მონაწილეობა უნდა იყოს შეგნებული, მიმართული ასეთი დანაშაულების ჩადენის გაადვილებისაკენ.³⁸⁶

³⁸² იხ. იქვე, პარ. 285.

³⁸³ იხ. იქვე.

³⁸⁴ იხ. იქვე, პარ. 286.

³⁸⁵ იხ. იქვე.

³⁸⁶ იხ. იქვე, პარ. 308.

საგაღდებულო არ არის, დამნაშავემ იცოდეს ყველა დანაშაულის შესახებ, მაგრამ აუცილებელია, იცოდეს დანაშაულის ჩადენის სისტემა და ჰქონდეს შეგნებული ამ სისტემაში მისი არსებითი მონაწილეობა.³⁸⁷

7.4. დანაშაულებრივი სისტემის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები – პასუხისმგებლობა ომარსკას ბანაკის წევრობისათვის

ომარსკას ბანაკი შეფასდა JCE-ის სისტემურ კატეგორიად. ბანაკში განხორციელებული დანაშაულები იყო არა მარტო წინასწარდაგეგმილი, არამედ ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით, გამორჩევით, არასერბი მოსახლეობის მიმართ.³⁸⁸ ნებისმიერს, ვინც მუშაობდა თუ სტუმრობდა ბანაკს, უნდა სცოდნოდა იქ არსებული დანაშაულების შესახებ. ცოდნის ელემენტი ფასდებოდა ბრალდებულთა პოზიციით, მუშაობის პერიოდითა და შესრულებული ფუნქციებით, ასევე ბანაკის ტერიტორიაზე მათი მოძრაობითა და როგორც პატიმრებთან, მომუშავე პერსონალთან ან თუნდაც ბანაკის სტუმართან ნებისმიერი კონტაქტით. ცუდი მოპყრობის ნიშნების ცოდნა ფასდებოდა ჩვეულებრივი „გარემოებებით“. თუნდაც ბრალდებული არ იყო სასტიკი დანაშაულის მოწმე, ცუდი მოპყრობის ნიშნები შეიმჩნეოდა პატიმრის დაღურჯებული, დაზიანებული, დაჭრილი სხეულით, ბანაკის ირგვლივ გვამების შეგროვებით, სისხლით მოსვრილი კედლებით, პატიმართა წამების ყვირილით, საჭმლის, წყლის ან დახმარების თხოვნით, არ ეცემათ, არ მოეკლათ სროლებით, დაკავებულების ჩაცმულობით, ტუალეტის ოთახების მდგომარეობით, არაჰუმანური პირობებითა და სხვ.³⁸⁹

საბოლოოდ, სასამართლო პალატამ კვოჩკა სხვა ბრალდებულებთან ერთად დამნაშავედ ცნო ომარსკას ბანაკში განხორციელებული „ოპერაციების“ გამო, როგორც JCE-ის თანაამსრულებელი.³⁹⁰ აღსანიშნავია, რომ იგი გამართლდა მეთაურის პასუხისმგებლობისგან.³⁹¹

8. ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის „მაჟორული“ საქმეები (თანა)ამსრულებლობის კონცეფციის გამოყენებით

ICTY-ის „მაჟორულ“, JCE-ის გამოყენებით განხილულ, გახმაურებულ საქმეებად შეგვიძლია მივიჩნიოთ *Prosecutor v. Milosevic*-ისა და *Prosecutor v. Krajisnik*-ის საქმეები.³⁹²

³⁸⁷ იხ. იქვე, პარ. 312.

³⁸⁸ იხ. იქვე, პარ. 319–320.

³⁸⁹ იხ. იქვე, პარ. 324.

³⁹⁰ იხ. იქვე, პარ. 414, დაწ. 322 და მომდევნო პარ.

³⁹¹ *Prosecutor v. Kvočka*-ს საქმეზე დაწ. იხ. Bing, Kvočka and others, კრებულში: Cassese (ed.), *Oxford Companion* (2009), 787. მეთაურის პასუხისმგებლობაზე იხ. ნაშრომის XII თავი.

³⁹² შეად. Zahar, Sluiter, ICL (2008), 221.

8.1. *Prosecutor v. Milosevic*-ის საქმე

1999 წელს, NATO-ს საჰაერო დაბომბვების შემდეგ, იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის პრეზიდენტის, სლობოდან მილოშევიჩის პოპულარობა დაეცა. სერბეთის ეკონომიკა მიწასთან იყო გასწორებული. 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, მილოშევიჩი იძულებული იყო დაეთმო ძალაუფლება.³⁹³

2001 წლის აპრილში იუგოსლავიის ხელისუფლების სათავეში მოსულმა ახალმა მთავრობამ დააკავა ყოფილი პრეზიდენტი კორუფციისა და სხვა დანაშაულების ბრალდებით. ახალი პრეზიდენტი არ თანხმდებოდა მილოშევიჩის ექსტრადიციას ICTY-ში, თუმცა პრემიერ-მინისტრის ჩარევით, პოლიციამ მილოშევიჩი ფარულად გადაიყვანა ბოსნიაში მდებარე ამერიკულ საჰაერო ბაზაზე, საიდანაც, 2001 წლის 28 ივნისს, იგი გადაიყვანეს ჰაავაში. სასამართლო პროცესი დაიწყო 2002 წლის 21 თებერვალს.³⁹⁴

მილოშევიჩს ბრალად ედებოდა კოსოვოს, ხორვატიისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორიებზე ეთნიკურად ალბანელების წინააღმდეგ ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენა. საბრალდებო ოქმში მისი ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დაფუძნებული იყო JCE-ის დოქტრინაზე. ყველას კარგად ესმოდა, ეს იყო სახელმძღვანელო საქმე, რომელშიც პროკურორს უნდა ემტკიცებინა მილოშევიჩის თითოეული ბრალდება, იმ დროს, როდესაც იგი ბრალდებაში მითითებულ არც ერთ დანაშაულში ფიზიკურად არ მონაწილეობდა. საეჭვო იყო, თუ რამდენად იცოდა მან კონკრეტული, სპეციფიკური დანაშაულების შესახებ. პირდაპირი პასუხისმგებლობის დამტკიცება საჭიროებდა დოკუმენტურ მტკიცებულებებს, მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც გააადვილებდა ძირითადი დანაშაულების ბუნების წარმოჩენას.³⁹⁵

ხელმძღვანელ სახელმწიფო თანამდებობის პირთა საქმე საჭიროებდა პასუხისმგებლობის დასაბუთების „ამბიციურ ინტერპრეტაციას“. ინდივიდუალური ბრალის მტკიცება იმ პერიოდში, ტრიბუნალის იურისპრუდენციის გათვალისწინებით, მხოლოდ JCE-ის დოქტრინით იყო შესაძლებელი. JCE-ის საერთო გეგმის მეშვეობით, დაჯგუფების სხვა წევრებთან კავშირით, პროკურატურა პირდაპირ გადიოდა ფიზიკურ ამსრულებლებზე, რომელთა ბრალის პირდაპირი მტკიცება, მილოშევიჩისგან განსხვავებით, იმდენად პრობლემატური არ იყო. JCE-ის საერთო მიზანი კარგად წარმოაჩენდა ე.წ. „დიდი სერბეთის“ (Greater Serbia) თეორიას, რაც მილოშევიჩის ყველა ბრალდებას ერგებოდა.³⁹⁶

³⁹³ დაწ. იხ. Scharf, Schabas, Milosevic (2002), 34–38.

³⁹⁴ დაწ. იხ. იქვე.

³⁹⁵ მილოშევიჩის კავშირის დასადგენად პროკურატურის ოფისი ეყრდნობოდა მისი თანამოაზრეებისა და თანაგუნდელების სატელეფონო საუბრის ჩანაწერებს. იხ. The Man on Trial, კრებულში: Waters (ed.), Milosevic Trial (2014), 60–61.

³⁹⁶ იხ. იქვე, 61–63.

საერთაშორისო სისხლის სამართალში კოლექტიურ დანაშაულებზე ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ პრობლემას, *Prosecutor v. Milosevic*-ის საქმეზე, პროკურორმა *კარლა დელ პონტემ* (*Carla Del Ponte*) პირდაპირ გასცა პასუხი. მისი თქმით, ბრალდება არ აღიარებდა კოლექტიური ბრალის პრინციპს და იყენებდა *JCE*-ის პასუხისმგებლობის დოქტრინას, ბრალდებულზე ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი დევნისთვის. შესაბამისად, მისი თქმით, სასამართლო პროცესზე იმყოფებოდა ინდივიდი და არა სახელმწიფო ან ორგანიზაცია.³⁹⁷

პროკურატურის ოფისს შეეძლო მიეღო *მილოშევიჩზე* სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პასუხისმგებლობის უფრო მსუბუქი, თანამონაწილეობის (*aiding and abetting*) ფორმის გამოყენებით. თუმცა ეს ბრალდებისთვის მიუღებელი იყო, ვინაიდან ამით ბრალდებული გამოჩნდებოდა, როგორც კოლექტიური დანაშაულების დამხმარე, მეორე ხარისხის მონაწილე. ეს *ICTY*-ის სისხლის სამართლის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა. ასევე შესაძლებელი იყო მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენებაც. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის აღნიშნული დოქტრინა ითხოვდა იერარქიული სუბორდინაციის, ხელქვეითებზე *ეფექტიანი კონტროლის* (*effective control*) მტკიცებას. *მილოშევიჩი* არ იყო ბოსნიელი სერბების *de jure* მეთაური, შესაბამისად, პროკურატურას გაუჭირდებოდა მისი *ეფექტიანი კონტროლის* მტკიცება *კარაჯიჩსა* და *მლადიჩზე*.³⁹⁸ იმ დროს, როდესაც მეთაურის პასუხისმგებლობა საჭიროებს რეალური კავშირის დამყარებას მეთაურსა და მის ხელქვეითს შორის, *გავრცობილი JCE* მხოლოდ ითხოვს უმაღლესი თანამდებობის პირისგან ისეთი ქმედების ჩადენას, რომელიც პირდაპირ არაა დაკავშირებული დაჯგუფების საერთო გეგმასთან, მაგრამ გამომდინარეობდეს შედეგიდან.³⁹⁹

მილოშევიჩის პროცესი ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, 2006 წელს მისი გარდაცვალების გამო. სასამართლო პროცესი, პრაქტიკულად, უკვე ბოლო ფაზამდე იყო მიყვანილი.⁴⁰⁰

8.2. *Prosecutor v. Krajisnik*-ის საქმე

მომცილო კრაიშნიკი (*Momcilo Krajisnik*) იყო ბოსნიელი სერბების ძირითადი პოლიტიკური ძალის – *სერბეთის დემოკრატიული პარტიის* (*SDP*) წევრი მისი დაარსების პერიოდიდან (1990 წლის 12 ივლისიდან). მალე იგი გახდა ადგილობრივი *სერბეთის დემოკრატიული პარტიის* თავმჯდომარე, აირჩიეს *ბოსნია-ჰერცეგოვინის* ასამბლეის დეპუტატად და შემდგომ

³⁹⁷ იხ. *Wilt, Milosevic and JCE*, კრებულში: *Waters* (ed.), *Milosevic Trial* (2014), 484–485.
³⁹⁸ შეად. იქვე, 485.
³⁹⁹ მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინაზე იხ. ნაშრომის XII თავი.
⁴⁰⁰ *Prosecutor v. Milosevic*-ის საქმეზე დაწ. იხ. *The Man on Trial*, კრებულში: *Waters* (ed.), *Milosevic Trial* (2014), 48–73; იხ. ასევე: *Higgins, Milosevic S.*, კრებულში: *Cassese* (ed.), *Oxford Companion* (2009), 811–815; *Prosecutor v. Milosevic*, <http://www.icty.org/case/slobodan_milosevic/4#tdec>, [9.1. 2016].

პრეზიდენტად. იგი აქტიურ როლს თამაშობდა პარტიის ცენტრალურ მმართველობაში. ICTY-ის სასამართლო პალატამ *კრაიშნიკი* დამნაშავედ ცნო ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული არაერთი დანაშაულისათვის – დევნა, დეპორტაცია და სხვა არაპუმანური აქტები. იგი მონაწილეობდა JCE-ის საქმიანობაში, რომლის მიზანი იყო ბოსნიელი სერბების ტერიტორიის ეთნიკური გასუფთავება. დაჯგუფების წევრებს, მათ შორის, *კრაიშნიკთან* ერთად *რადოვან კარაჯიჩსა* და სხვა ლიდერებს, ახლო კავშირი ჰქონდათ ადგილობრივ მუნიციპალურ ძალებთან.⁴⁰¹

Prosecutor v. Krajisnik-ის საქმეზე JCE-ის გამოყენება იყო საკამათო მისი ფართო ბუნების გამო. დაცვის მხარის აზრით, იგი კონკრეტულად არ ასაბუთებდა ბრალდებულის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას და არ შეესაბამებოდა გამოძიებით დადგენილ კონკრეტულ გარემოებებს. მისი უჩვეულოდ ფართო ბუნების გამო, ბრალდება JCE-ის ფარგლებში აქცევდა იმ პირს, რომელიც სტრუქტურულად მოშორებული იყო დანაშაულის ჩადენას.⁴⁰²

ამის გათვალისწინებით, დაცვის მხარე ითხოვდა ბრალდებულის პირდაპირი კავშირის, შეთანხმების დადგენას უშუალო, ფიზიკურ ამსრულებლებთან, თუ რამდენად არსებითი, ეფექტიანი იყო მისი დახმარება JCE-ისთვის. აღნიშნული გარემოების მტკიცების აუცილებლობა განისაზღვრა *Prosecutor v. Brdanin*-ის საქმეზე. სწორედ აღნიშნულ საქმეს უთითებდა დაცვის მხარე თავისი პოზიციის გასამყარებლად.⁴⁰³

ბრალდების მხარემ პრეცედენტული სამართლის დახმარებით ზემოთ განხილული JCE-ის გამოყენების კონცეფცია გაიმეორა. JCE გამოიყენებოდა რა მასშტაბური დანაშაულების ჩადენისათვის ბრალდებულთა სისხლისსამართლებრივი დევნისთვის, პროკურორის მსჯელობით, მას რაიმე გეოგრაფიულ-ტერიტორიული შეზღუდვა არ ჰქონდა. JCE-ის წევრობისათვის პასუხისმგებლობა ისეთივე ფართო იყო, როგორც თავად დანაშაულებრივი გეგმა.⁴⁰⁴

ბრალდების მტკიცებით, ძირითადი (ფიზიკური) ამსრულებელი არც იყო საგაღდებულო, ყოფილიყო JCE-ის წევრი და არც რაიმე შეთანხმების არსებობას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ბრალდებულსა და ძირითად ამსრულებელს შორის. ბრალდება უთითებდა *Prosecutor v. Stakic*-ის საქმეს, რომელშიც იყო ხაზგასმული, რომ JCE შეიძლება მოიცავდეს მაღალი რანგის ამსრულებლებს, რომლებიც იყენებენ ძირითად ამსრულებლებს „ინსტრუმენტის“ სახით. დაცვის მხარის მიერ მოყვანილი *Prosecutor v. Brdanin*-ის საქმეზე გამოხატული მოსაზრება შეთანხმებაზე, ბრალდების

⁴⁰¹ იხ. ICTY, *Prosecutor v. Krajisnik*, TC Judgment, 27.9.2006, პარ. 1–23; იხ. ასევე: *Tochilovsky, Krajisnik*, კრებულში: *Cassese* (ed.), *Oxford Companion* (2009), 768–769.

⁴⁰² იხ. იქვე, 871–872.

⁴⁰³ იხ. იქვე, 873. *Prosecutor v. Brdanin*-ის საქმეზე იხ. ნაშრომის ამ თავის §9.

⁴⁰⁴ იხ. იქვე, 874.

მხარის აზრით, ატარებდა „შუალედური გადაწყვეტილების“ შინაარსს.⁴⁰⁵ JCE-ის წევრები ერთიანი განზრახვით საერთო მიზანს აღწევდნენ გეგმით კონკრეტულად ან აბსტრაქტულად გათვალისწინებული დანაშაულებით.⁴⁰⁶

ყველაფრის გათვალისწინებით, სასამართლო პალატამ *Prosecutor v. Krajisnik*-ის საქმეზე JCE მიიჩნია პასუხისმგებლობის ყველაზე მისაღებ ფორმად ბრალდებულის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად.⁴⁰⁷

მიუხედავად იმისა, რომ *Prosecutor v. Milosevic*-ის საქმე 2006 წელს, მისი გარდაცვალების გამო ვერ იქნა ბოლომდე მიყვანილი, *Prosecutor v. Krajisnik*-ის საქმე იმავე წლის სექტემბერში დასრულდა. ეს იყო ერთადერთი ICTY-ის მიერ 2006 წელს განხილული საქმეებიდან, სადაც JCE იქნა გამოყენებული. დოქტრინის ისტორიაში ასევე 2006 წელი მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი *Prosecutor v. Krajisnik*-ის საქმით დაფუძნდა, როგორც ხელმძღვანელ პირთა დიდ და კომპლექსურ საქმეებზე კარგად გამოსაყენებელი დოქტრინა.⁴⁰⁸

9. (თანა)ამსრულებლობის დოქტრინის ფართო ბუნების შეზღუდვის მცდელობა

რადოსლავ ბრდანინი (*Radoslav Brdanin*) იყო სერბეთის დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური ლიდერი, რომელსაც ბოსნიურ-სერბულ მთავრობაში მაღალი თანამდებობები ეკავა. მას ბრალად ედებოდა კრაინის (*Krajina*) ავტონომიურ რესპუბლიკაში მძიმე დანაშაულების ჩადენა JCE-ში მონაწილეობის მეშვეობით, რომლის „სტრატეგიული გეგმა“ იყო ბოსნიელი მუსულმანებისა და ბოსნიელი ხორვატების პერმანენტული დევნა მათ მიერ დაგეგმილი ბოსნიურ-სერბული სახელმწიფოდან. JCE-ში სხვა პოლიტიკური ლიდერებიც მონაწილეობდნენ. ბრდანინს, კონკრეტულად, JCE-ის საერთო მიზნის ასრულების ხელმძღვანელობაში ედებოდა ბრალი. იგი თავისი პოლიტიკური ძალაუფლებით უზრუნველყოფდა „ეთნიკური წმენდის“ პროცესს. იგი იყო, ასევე, პროპაგანდისტული კამპანიის „სტრატეგიული გეგმის“ რეალიზაციის ლიდერი.⁴⁰⁹

Prosecutor v. Brdanin-ის საქმეზე, სასამართლო პალატის აზრით, JCE-ის პასუხისმგებლობის ფორმა არ შეესაბამებოდა ასეთი ფართო ბუნების დანაშაულებს. ამ პასუხისმგებლობის მეშვეობით ბრალდების მხარე „სწვდებოდა“ იმ პირს, რომელიც სტრუქტურულად მოშორებული იყო დანაშაულის ჩადენას. იგი შეესაბამებოდა პატარა გაერთიანებების საქმეებს,

⁴⁰⁵ იხ. იქვე, 875.

⁴⁰⁶ იხ. იქვე, 884.

⁴⁰⁷ იხ. იქვე, 877.

⁴⁰⁸ შეად. *Zahar, Sluiter*, ICL (2008), 221.

⁴⁰⁹ იხ. *Gustafson, Brdanin*, კრებულში: *Cassese* (ed.), *Oxford Companion* (2009), 620–621.

როგორი გაერთიანების წევრიც იყო *ტადიჩი*. სასამართლო პალატის აზრით, სააპელაციო პალატა *Prosecutor v. Tadic*-ის საქმეზე, *JCE*-ის დაფუძნებისას, სწორედ პატარა დანაშაულებრივ გაერთიანებებს გულისხმობდა.⁴¹⁰ ასევე ყურადღება გამახვილდა ბრალდებულსა და უშუალო, „ფიზიკურ“ ამსრულებელს შორის შეთანხმების არსებობის აუცილებლობაზე.⁴¹¹ ამიტომაც, სასამართლო პალატამ *JCE*-ის პასუხისმგებლობის ფორმა მიუღებლად მიიჩნია ბრალდებულის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად.⁴¹²

Prosecutor v. Brdanin-ის საქმეზე სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია სასამართლო პალატის გადაწყვეტილება *JCE*-ის ვიწრო ბუნებასთან დაკავშირებით. იგი არც ბრალდების მხარის ფართო ინტერპრეტაციას ემხრობოდა, თითქოს *JCE*-ის აღიარებით ტრიბუნალს მიეცა საერთაშორისო დანაშაულების ჩამდენი ლიდერების სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯის ფართო შესაძლებლობა.⁴¹³ სააპელაციო პალატის აზრით, *Prosecutor v. Tadic*-ის საქმეზე სწორედ ფართო ბუნების დანაშაულებზე იყო საუბარი, რეგიონში არსებული „ეთნიკური წმენდის“ მასშტაბისა და *გაერცობილი JCE*-ის განჭვრეტადობის ბუნების გათვალისწინებით.⁴¹⁴

Prosecutor v. Brdanin-ის საქმეზე სასამართლო პალატის გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, ლოგიკურია. იგი ცდილობდა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ღია მოედნის შეზღუდვას კონკრეტული ჯებირებით, ეს პროცესი რომ დაექვემდებარებინა კონკრეტული საფუძვლებისა და სისხლისსამართლებრივი წინაპირობებისათვის. თუმცა, მეორე მხრივ, ბრალდებულსა და „ფიზიკურ“ ამსრულებელს შორის შეთანხმების არსებობის მტკიცების ვალდებულება არ შეესაბამება საერთაშორისო დანაშაულის ბუნებას. მისი მასშტაბი ხშირად იმდენად დიდია, იერარქიული ძალაუფლების მქონე თანამდებობის პირი, უმეტესწილად, ვერ გაიზიარებს ფიზიკური ამსრულებლის გეგმას და არც რაიმე შეთანხმებაში შევა მათთან. ასეთ შეთანხმებას უზრუნველყოფს თვითონ იერარქიული დანაშაულებრივი სისტემა, რომელიც უფრო ეფექტიანი მექანიზმია საერთაშორისო დანაშაულებისთვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად. იერარქიული დანაშაულებრივი სისტემით ლიდერები უნდა დარწმუნდნენ საერთო დანაშაულებრივი გეგმის რეალიზაციაში.⁴¹⁵

⁴¹⁰ იხ. *ICTY, Prosecutor v. Brdanin*, TC Judgment, 1.9.2004, პარ. 355.

⁴¹¹ იხ. იქვე, პარ. 347.

⁴¹² იხ. იქვე, პარ. 356, დაწ. პარ. 340–356.

⁴¹³ იხ. *ICTY, Prosecutor v. Brdanin*, AC Judgment, 3.4.2007, პარ. 421.

⁴¹⁴ იხ. იქვე, პარ. 422–425.

⁴¹⁵ შეად. *Gustafson*, ‘Express Agreement’ for JCE, 5 *JICJ* (2007), 134–158.

JCE-ის ფართო ბუნების შეზღუდვის მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა და ხელიდან იქნა გაშვებული მისი გაანალიზებისა და გადამუშავების შესაძლებლობა,⁴¹⁶ რაც მოგვიანებით ICC-მ გააკეთა.⁴¹⁷

10. (თანა)ამსრულებლობაში არაპირდაპირი მონაწილეობის ელემენტი

ICTY-ის სააპელაციო პალატამ მილან მარტიჩი (*Milan Martić*), სერბიის ავტონომიური რეგიონის, კრაინასა და კრაინას სერბული რესპუბლიკის (*RSK*) ყოფილი მაღალჩინოსანი, მათ შორის, თავდაცვის მინისტრი, დამნაშავედ ცნო JCE-ის დოქტრინაზე დაყრდნობით, მიუხედავად იმისა, რომ იგი ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში უშუალოდ არ მონაწილეობდა და არც ფიზიკურად ესწრებოდა მათ ჩადენას. მარტიჩი ქმნიდა დაუნდობლობისა და შიშის ატმოსფეროს რადიოგამოსვლებით, ვერ უზრუნველყოფდა არასერბი მოსახლეობის უსაფრთხოებას. მიუხედავად მისი არაუშუალო მონაწილეობისა, *Prosecutor v. Martić*-ის საქმეზე სასამართლო პალატამ ბრალდებული მაინც მიიჩნია დამნაშავედ იმის აღიარებით, რომ ამის მტკიცება არც იყო საჭირო. საქმეში მოიპოვებოდა პირდაპირი მტკიცებულება იმ ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა თავად მარტიჩი. მას გათვითცნობიერებული ჰქონდა „ეთნიკური წმენდის“ საერთო გეგმა, უშუალოდ გასცემდა დეტალურ ინსტრუქციებს დანაშაულის ჩასადენად და ა.შ. მარტიჩმა არ შეაჩერა არასერბი მოსახლეობის ის ფართომასშტაბიანი დევნა, რომლის თავიდან აცილება მისი ძალაუფლების გამოყენებით შეიძლებოდა.⁴¹⁸

JCE-ის დოქტრინამ უკვე კარგად დაფუძნებული ობიექტური და სუბიექტური ელემენტებით ფეხი მოიკიდა ICTR-შიც.

11. (თანა)ამსრულებლობის კონცეფციის იმპლემენტაცია რუანდის ტრიბუნალში

მიუხედავად იმისა, 2003 წლამდე ICTY-სა და ICTR-ს საერთო პროკურორი ჰყავდა⁴¹⁹, ICTY-ში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კარგად ჩამოყალიბებულმა დოქტრინამ – JCE-მ, ჰაავიდან არუშაში მეტად გვიან მოიკიდა ფეხი. ეს, სავარაუდოდ, პროკურატურის ოფისებს შორის მცირე კოორდინაციის შედეგი იყო. პროკურატურის ოფისი ჰაავაში საბრალდებო

⁴¹⁶ შეად. *Jordash*, JCE, კრებულში: *Schabas, McDermott, Hayes*, Ashgate to ICL (2012), 137–140.

⁴¹⁷ დაწ. იხ. ნაშრომის IX თავი.

⁴¹⁸ იხ. *ICTY, Prosecutor v. Martić*, TC Judgment, 12.6.2007, პარ. 442–455; იხ. ასევე: *Meyer, Martić*, კრებულში: *Cassese* (ed.), *Oxford Companion* (2009), 802–805.

⁴¹⁹ *კარლა დელ პონტე (Carla Del Ponte)*, 1999 წლის 11 აგვისტოს, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დაინიშნა ICTY-ისა და ICTR-ის პროკურორად, <<http://www.icty.org/en/about/office-of-the-prosecutor/former-prosecutors>>, [10.8.2015].

ოქმებს, გარკვეულწილად, ICTR-ის კოლეგებისაგან დამოუკიდებლად ამზადებდა, რის შედეგადაც „განსხვავებული“ პრაქტიკა ჩამოყალიბდა.⁴²⁰

11.1. (თანა)ამსრულებლობის დოქტრინის პირველი შეჭრა რუანდის ტრიბუნალის პრეცედენტულ სამართალში

JCE-ის დოქტრინის პირველი იმპლემენტაცია ICTR-ში 2004 წელს მოხდა, *Prosecutor v. Rwamakuba*-ს საქმის წინასასამართლო ეტაპზე.⁴²¹ ანდრე რუამაკუბა (*Andre Rwamakuba*) იყო რუანდის დემოკრატიული მოძრაობის (MDR) წევრი. 1994 წლის აპრილში, რუანდის პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ, იგი, პრაქტიკულად, რუანდაში განხორციელებული გენოციდის „კატალიზატორს“ წარმოადგენდა. რუამაკუბა შემდგომში განათლების მინისტრის თანამდებობასაც იკავებდა. ბრალდების მხარის დიდი მცდელობის მიუხედავად, იგი ყველა წაყენებულ ბრალდებაში გამართლდა.⁴²² იმავე წელს, *Prosecutor v. Ntakirutimana*-ს საქმეზე, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ICTY-ისა და ICTR-ის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ერთგვაროვანი (ერთფეროვანი) სტატუტისეული ცნებიდან გამომდინარე, ICTY-ის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის იურისპრუდენცია უნდა გავრცელდებოდა ICTR-ზეც.⁴²³

JCE-ის ცნება ICTR-ში, იმპლემენტაციის პირველ ეტაპზე, ბოლომდე ვერ გაიგეს. ამის კარგი მაგალითია *Prosecutor. Ntakirutimana*-ს საქმე.⁴²⁴ JCE-ის ანალიზს ICTR-ში იმაზე უფრო მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე ეს, ჩვეულებრივ, იყო წარმოსადგენი.

11.2. *Prosecutor v. E. and G. Ntakirutimana*-ს საქმე

მამა-შვილ ნტაკირუტიმანების (*Prosecutor v. E. and G. Ntakirutimana*) საქმეში⁴²⁵ სამართლებრივად მნიშვნელოვანია სააპელაციო პალატის საქმის განხილვის ეტაპი, სადაც პროკურატურის ოფისი ამტკიცებდა, რომ ICTR-ის სასამართლო პალატამ დაუშვა შეცდომა, როდესაც არ გამოიყენა ICTY-ის პრეცედენტულ სამართალში დაფუძნებული JCE-ის დოქტრინა ბრალდებულთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად.

⁴²⁰ იხ. *Zahar, Sluiter*, ICL (2008), 222.

⁴²¹ იხ. *ICTR, Prosecutor v. Rwamakuba*, Application of JCE to the Crime of Genocide, 22.10.2004, პარ. 31.

⁴²² *Prosecutor v. Rwamakuba*-ს საქმეზე დაწ. იხ. *Marcussen, Rwamakuba*, კრებულში: *Cassese* (ed.), *Oxford Companion* (2009), 894–895.

⁴²³ იხ. *ICTR, Prosecutor v. E. and G. Ntakirutimana*, AC Judgment, 13.12.2004, პარ. 468.

⁴²⁴ შეად. *Zahar, Sluiter*, ICL (2008), 221–223.

⁴²⁵ ICTR-ის სასამართლო პალატის 2003 წლის გადაწყვეტილებით, ელიზაფან ნტაკირუტიმანა (*Elizaphan Ntakirutimana*) დამნაშავედ გამოცხადდა გენოციდის დანაშაულში თანამონაწილეობისათვის. კერძოდ, ტუტსის ლტოლვილების თავდასხმის დახმარებაში (*aiding and abetting*), ხოლო ჯერარდ ნტაკირუტიმანა (*Gerard Ntakirutimana*) გენოციდისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში მონაწილეობისათვის. დაწ. იხ. *ICTR, Prosecutor v. E. and G. Ntakirutimana*, TC Judgment, 21.2.2003.

სასამართლო პალატის გადაწყვეტილების გასაჩივრების არგუმენტი *JCE*-ის გამოყენებლობა იყო.⁴²⁶

ბრალდების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ *JCE*-ზე პირდაპირ არ იყო საუბარი საბრალდებო ოქმში, *მუგონეროსა (Mugonero)* და *ბისესეროს (Bisesero)* საბრალდებო ოქმები და სხვა დოკუმენტები, საერთო ჯამში, *JCE*-ის საკითხის მიმართ საკმარის მითითებას შეიცავდა.⁴²⁷ საბრალდებო ოქმში პასუხისმგებლობის სახის მითითება მის აუცილებელ პრეროგატივას არ წარმოადგენდა. ეს იყო სასამართლო პალატის დისკრეცია, საკუთარი შეხედულებისამებრ ბრალდებულების პასუხისმგებლობის საკითხი გადაეწყვიტა *ICTR*-ის სტატუტის მე-6(1) მუხლის შესაბამისად,⁴²⁸ იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოსთვის ბრალდებულების საბრალდებო ოქმებით ცნობილი იყო ჩადენილი დანაშაულების კოლექტიური ბუნება და საერთო დანაშაულებრივი გეგმა – *ტუტის* განადგურება. ბრალდებულების პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად *JCE*-ის მიუთითებლობა, პროკურორის აზრით, არეულობასა და ორაზროვნებას არ წარმოადგენდა.⁴²⁹

აღნიშნულ არგუმენტებს დაცვის მხარე უსაფუძვლოდ მიიჩნევდა, იქიდან გამომდინარე, ბრალდების მოწმეთა ჩვენებები და, ზოგადად, მტკიცებულებათა ერთობლიობა *JCE*-ის დოქტრინის აუცილებელ ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებს ვერ დააკმაყოფილებდა. შესაბამისად, *JCE*-ის გამოყენება თვითონ ბრალდებისთვის იყო საზიანო.⁴³⁰ ბრალდების მხარეს არ ჰქონდა პასუხისმგებლობის ისეთი სახის გამოყენების უფლება, რომელიც საბრალდებო ოქმში, მის მტკიცებულებებსა და არც ერთ გამოსვლაში არ აღნიშნულა.⁴³¹

ICTR-ის სააპელაციო პალატა *ICTY*-ის სასამართლო პრაქტიკას მიემხრო, კერძოდ, *Prosecutor v. Aleksovski*-ს საქმეს, რომელშიც თითოეულ ბრალდებაზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახის მითითების აუცილებლობა განისაზღვრა. ასეთი პრეცედენტის შექმნა, საბრალდებო ოქმში სტატუტის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მუხლების მარტივი ციტირება, ორაზროვნებას გამოიწვევდა *ad hoc* ტრიბუნალების პრაქტიკაში და შემდგომში ფართო ხასიათს მიიღებდა.⁴³²

⁴²⁶ იხ. *ICTR, Prosecutor v. E. and G. Ntakirutimana*, AC Judgment, 13.12.2004, პარ. 10.

⁴²⁷ ბრალდების მხარემ წინასასამართლო და საბოლოო სიტყვაში მე-6(1) მუხლის სუბიექტური ელემენტების განხილვისას ახსენა *JCE* და აღნიშნა, რომ იგი გამოიხატებოდა *პირდაპირ* ან *არაპირდაპირ განზრახვაში*, თითოეული თანაამსრულებლის მხრიდან შედეგის წინასწარგათვალისწინებადობაში. იხ. *ICTR, Prosecutor v. E. and G. Ntakirutimana*, AC Judgment, 13.12.2004, პარ. 474, სქოლიო 805.

⁴²⁸ იხ. იქვე, პარ. 10, 448.

⁴²⁹ იხ. იქვე, პარ. 449–451.

⁴³⁰ იხ. იქვე, პარ. 455–457.

⁴³¹ იხ. იქვე, პარ. 458.

⁴³² იხ. იქვე, პარ. 473; *ICTY, Prosecutor v. Aleksovski*, AC Judgment, 24.3.2000, პარ. 171, სქოლიო 319.

ბრალდების მხარემ თავისი პოზიციის გასამყარებლად მიუთითა *Prosecutor v. Tadic*-ის საქმე, რომელშიც ბრალდების მხრიდან საბრალდებო ოქმში არავითარი მითითება არ ყოფილა *JCE*-ის შესახებ და, მიუხედავად ამისა, გასამართლდა აღნიშნული დოქტრინით.⁴³³ იგივე ითქვა *Prosecutor v. Furundzija*-ს საქმეზეც.⁴³⁴

Prosecutor. E. and G. Ntakirutimana-ს საქმეში მეორე მხარეა მნიშვნელოვანი. კერძოდ, *JCE*-ის საბრალდებო ოქმში მითითება-არმითითების საკითხის გარდა, თვითონ პროკურატურის ოფისის დაუდევრობა. ბრალდებამ გვიან შეიცნო, რომ *JCE*-ის გამოყენებით, იგი უფრო გაიადვილებდა ბრალდებულების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაბუთებას, მტკიცების უფრო დაბალი სტანდარტის, თუნდაც *გაერცობილი JCE*-ის გამოყენებით.⁴³⁵

მაგალითად, ჩვეულებრივი პასუხისმგებლობის ფორმით ბრალდებულმა 1994 წლის 16 აპრილს *მუგონეროს* კომპლექსში ჩაიდინა მხოლოდ ერთი მკვლელობა, როდესაც ხდებოდა მასშტაბური დანაშაულებრივი მოვლენები. *JCE*-ის უფრო ფართო კონცეფციით, *ნტაკირუტიმანას* შეეძლო ჩაედინა ასობით მკვლელობა, რაც, რა თქმა უნდა, გავლენას მოახდენდა სასჯელის ზომაზეც.⁴³⁶

მხოლოდ 2005 წლის ბოლოს პირველად იქნა *ICTR*-ის სასამართლო პალატის მიერ ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დასაბუთებული *JCE*-ის დოქტრინაზე მითითებით, *Prosecutor v. Simba*-ს საქმეზე⁴³⁷, ხოლო მეორედ – 2006 წელს, *Prosecutor v. Mpambara*-ს საქმეზე^{438,439}

12. (თანა)ამსრულებლობის დოქტრინის ანალიზი

JCE-ის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებების განხილვის შემდეგ შესაძლებელია მისი ცნების, კონცეფციის სისხლისსამართლებრივი შეფასება.

ICTY-ის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება *Prosecutor v. Tadic*-ის საქმეზე შეგვიძლია მივიჩნიოთ უფრო აკადემიურ ნაშრომად, ვიდრე სასამართლოს გადაწყვეტილებად,⁴⁴⁰ რომელშიც საერთაშორისო

⁴³³ იხ. იქვე, პარ. 474; *ICTY, Prosecutor v. Tadic*, TC Judgment, 7.5.1997, პარ. 681–692; *ICTY, Prosecutor v. Tadic*, AC Judgment, 15.7.1999, პარ. 172–173, 230–233.

⁴³⁴ იხ. იქვე.

⁴³⁵ შეად. *Zahar, Sluiter*, ICL (2008), 222–223.

⁴³⁶ იხ. იქვე.

⁴³⁷ იხ. *ICTR, Prosecutor v. Simba*, TC Judgment, 13.12.2005.

⁴³⁸ იხ. *ICTR, Prosecutor v. Mpambara*, TC Judgment, 11.9.2006.

⁴³⁹ იხ. *Zahar, Sluiter*, ICL (2008), 223; *Prosecutor v. E. and G. Ntakirutimana*-ს საქმეზე დაწ. იხ. ასევე: *Farrell, Baig, Ntakirutimana*, კრებულში: *Cassese* (ed.), *Oxford Companion* (2009), 854–857.

⁴⁴⁰ შეად. *Sliedregt*, *Individual Responsibility* (2003), 100.

თანამეგობრობა სისხლის სამართლის ერთ ხსნის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ახალ დოქტრინას. იგი უნდა დახმარებოდა სასამართლოს იმ მტკიცებულებების „მოპოვებაში“, რომლებსაც მაღალი რანგის თანამდებობის პირები ანადგურებდნენ შემდგომი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით.

JCE-მ გაამართლა საერთაშორისო თანამეგობრობის მოლოდინი. *Prosecutor v. Tadic*-ის საქმიდან მოყოლებული, იგი გახდა მნიშვნელოვანი იარაღი იმ პირების გასასამართლებლად, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს თანაამსრულებლობისა და საერთო მიზნის პრინციპებზე დაყრდნობით, დაჯგუფების ფარული ორგანიზების მეშვეობით. *JCE* ინდივიდის მიერ ჩადენილ აშკარა უკანონო ქმედებას, რომლის პირდაპირი მტკიცება მარტივი იყო, უკავშირებდა დოქტრინით შექმნილ „გაერთიანების“ ფარგლებს, რომლის „წევრიც“ იყო, ასევე, მასშტაბური დანაშაულების შემოქმედი (მაღალი რანგის თანამდებობის პირი), იმ მიზნით, რომ „ფიზიკური“ ამსრულებლის აშკარა ქმედებაზე დაეფუძნებინა მისი ბრალი. ასეთი პირების გასამართლება დოქტრინის მეშვეობით უფრო ინტენსიურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე უფრო დაბალი დონის ამსრულებლებისა. *Prosecutor v. Tadic*-ის საქმის შემდეგ, მხოლოდ 2001–2004 წლებში, *ICTY*-ის საქმიანობის ყველაზე აქტიურ ფაზაში შემუშავებული 42 საბრალდებო ოქმიდან 27 (64 პროცენტი) დასაბუთებული იყო *JCE*-ის პასუხისმგებლობის ფორმით.⁴⁴¹ ამის შემდეგ, 2005 წლის ბოლოსთვის პირველ ინსტანციაში დასრულებული 37 საქმიდან 19 მაინც შეიცავდა *JCE*-ის პასუხისმგებლობის ფორმას.⁴⁴²

კრიტიკის საგანი იყო *JCE*-ის გაურკვეველი დეფინიცია,⁴⁴³ მისი არასტატუსიური წარმომავლობის გამო. *JCE*-ის წევრობა გაიგივებული იყო დანაშაულის ჩადენასთან. მისი ცნება საშუალებას აძლევდა ბრალდების მხარეს, საბრალდებო ოქმში შეეტანა უფრო მეტი ბრალდება, ვიდრე სხვა პასუხისმგებლობის სახის გამოყენებით შეიძლებოდა. *JCE*-ის მოწინააღმდეგეთა აზრით, პრეცედენტებით ჩამოყალიბებული ცნება არ გამოდინარეობდა მე-7(1) მუხლის შინაარსიდან. მას უწოდებდნენ პასუხისმგებლობის „უვარგის თეორიას“ და „ნადირს“, რომელიც ეძებდა მსხვერპლს.⁴⁴⁴ *ICTY*-ის ტრიბუნალის მოსამართლე *ფერ-ჯოჰან ლინდჰოლმი* (*Per-Johan Lindholm*) წერდა, რომ *JCE* იყო „ახალი იარლიყი“ ყველასთვის, მათ შორის, საერთაშორისო სისხლის სამართლისთვისაც კარგად ცნობილ თანაამსრულებლობის დოქტრინაზე. მისი აზრით, იგი უსარგებლო იყო ტრიბუნალის საქმიანობისათვის.⁴⁴⁵

⁴⁴¹ იხ. *Danner, Martinez, Guilty Associations*, 93 *CLR* (2005), 107.

⁴⁴² იხ. *Zahar, Sluiter*, *ICL* (2008), 221.

⁴⁴³ დაწ. იხ. *დეალიძე*, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია, კრებულში: *ნაჭყებია* (რედ.), ორგანიზებული დანაშაული (2012), 103–237.

⁴⁴⁴ *JCE*-ის კრიტიკაზე იხ. *Damgaard, Individual Criminal Responsibility* (2008), 127–128.

⁴⁴⁵ იხ. *ICTY, Prosecutor v. Simic, Tadic, Zaric*, *TC Judgment, Separate Opinion of Lindholm*, 17.10.2003, პარ. 1, 5; იხ. ასევე: *Damgaard, Individual Criminal Responsibility* (2008), 127–128.

JCE-ის დოქტრინის მთავარ მაკავალიფიცირებელ ელემენტად, რაც ხდის მას ჯგუფური, კოლექტიური პასუხისმგებლობის თეორიად, შეგვიძლია მივიჩნიოთ სისტემური დანაშაულის საერთო გეგმა, მიზანი. ეს არის *JCE*-ის ყველა წევრის მთავარი მაკავშირებელი რგოლი, პირდაპირი გასასვლელი ინდივიდებზე. მისი მარტივი სქემის მიხედვით, დაჯგუფების ერთ-ერთი წევრის მიერ ჩადენილი ქმედება სხვა წევრს შეეარაცხება დანაშაულად *გაერცობილი JCE*-ის შემთხვევაში, თუ ეს იყო კრიმინალური გეგმის გონივრული, წინასწარგანჭვრეტადი შედეგი. ეს მის ცნებას იმდენად აფართოებს, რომ საერთო გეგმის გარეთ არსებული დანაშაულებიც შეიძლება მოექცეს *JCE*-ის ფარგლებში.⁴⁴⁶

საერთო გეგმას, მიზანს მიყვავართ *JCE*-ის სუბიექტურ ელემენტამდე, რომელიც მის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მთავარ გარემოებას წარმოადგენს. ძირითადი *JCE*-ის სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახვაში, კერძოდ, საერთო განზრახვასა (*shared intent*) და შეგნებულობაში (*knowledge*);⁴⁴⁷ სისტემური *JCE*-ის – სისტემური დანაშაულებრივი ბუნების პერსონალურ ცოდნასა (*personal knowledge*) და ხელის შეწყობაში (*intent to further the system*);⁴⁴⁸ და *გაერცობილი JCE*-ის – ძირითადი *JCE*-ისა და სისტემური *JCE*-ის სუბიექტურ ელემენტებთან ერთად, დანაშაულის განჭვრეტადობაში (*foreseeability*).⁴⁴⁹ ეს უკანასკნელი, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ევენტუალური განზრახვის (*dolus eventualis*) ელემენტი.⁴⁵⁰ შესაბამისად, *JCE*-ის სუბიექტური მხარე შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც განზრახვას (*intent*) პლიუს განჭვრეტადობის (*foreseeability*) „ახალი“ ელემენტი.⁴⁵¹

სწორედ სუბიექტური ელემენტი ხდის *JCE*-ის თანამსრულებლობის დოქტრინად, სადაც ამსრულებელი მოქმედებს განზრახ, *JCE*-ის მიზნის მისაღწევად, განსხვავებით თანამონაწილისგან, რომელიც შეგნებულად მხოლოდ დახმარებას უწევს კონკრეტული დანაშაულის ასრულებას. რაც შეეხება ობიექტურ ელემენტს, აქაც მნიშვნელოვანია, რომ მისი ქმედება, პირდაპირ, *JCE*-ის მიზნებიდან გამომდინარეობდეს, განსხვავებით თანამონაწილისგან, რომელიც მხოლოდ არსებით დახმარებას უწევს „ფიზიკურ“ ამსრულებელს კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად.⁴⁵² გენერალური განზრახვა მიმართულია სწორედ ჯგუფის კრიმინალური მიზნის მისაღწევად როგორც ერთი *JCE*-ის ფარგლებში, ასევე რამდენიმე

⁴⁴⁶ შეად. Schabas, Introduction to ICC (2011), 229–231.

⁴⁴⁷ დაწ. იხ. Höhener, Individual Responsibility: JCE (2015), 100–102.

⁴⁴⁸ შეად. იქვე, 103–105.

⁴⁴⁹ შეად. იქვე, 106–110.

⁴⁵⁰ შეად. იქვე, 109.

⁴⁵¹ შეად. Cassese and the Members of the JICJ, Amicus Curiae Brief on JCE, 20 CLF (2009), 300–301.

⁴⁵² შეად. Swart, Modes of Liability, კრებულში: Cassese (ed.), Oxford Companion (2009), 89.

პატარა, სუბსიდიური ქვეგაერთიანების მეშვეობითაც, როდესაც დანაშაული ფართო ხასიათის მატარებელია.⁴⁵³

JCE-ის ფართო ცნების გამო, შესაძლოა, თანამონაწილის დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი მნიშვნელობით უფრო მაღალი იყოს, ვიდრე თანაამსრულებლისა *JCE*-ში. დანაშაულის ბრალეულობის ხარისხთან დაკავშირებით ასეთი მიმართება მეცნიერთა შორის დავის საგანს წარმოადგენს. *ICTY*-ში ამსრულებელსა და თანამონაწილეს შორის საზღვრის გავლების ასეთი მიდგომა, ცოტა არ იყოს, ეწინააღმდეგება ეროვნულსამართლებრივ სისტემებში არსებული ზღვარის გავლების პრინციპს, რომლის მიხედვითაც ბრალეულობა უნდა იყოს დანაშაულში კონტრიბუციის ადეკვატური. დანაშაულის პატარა კონტრიბუტორს არ შეიძლება ისევე მიუძღოდეს ბრალი დანაშაულებრივ შედეგში, როგორც დიდ კონტრიბუტორს.⁴⁵⁴

ზოგადად, რომ შევხედოთ *JCE*-ის სამივე ობიექტურ ელემენტს,⁴⁵⁵ ყველა ისედაც შეესაბამება სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის ჯგუფური დანაშაულისა თუ თანამონაწილეობის ცნების შინაარსს, თუმცა მთელი კონფონტაციული განსხვავება სწორედ მათ სუბიექტურ ელემენტებშია, განსაკუთრებით, *გაერცობილ JCE*-ში. იგი პირველი ორი კატეგორიისგან განსხვავებით, როგორც ზემოთ განვიხილეთ, უფრო დაბალი სუბიექტური მხარის ელემენტით ხასიათდება. მესამე კატეგორიის დროს ქმედება ხორციელდება *JCE*-ის მიზნის გარეთ, მაგრამ გამომდინარეობს შედეგიდან.⁴⁵⁶ *JCE*-ის ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება სისხლის სამართალში თანაამსრულებლობის სისტემურ ცნებას. საერთო სამართლის დიდი ტრადიციების მქონე ისეთი ქვეყნებიც კი, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი და კანადა, მიუხედავად იმისა, რომ თავის კანონმდებლობაში ითვალისწინებენ განჭვრეტადი დანაშაულებისათვის პასუხისმგებლობას, ეწინააღმდეგებოდნენ მესამე კატეგორიის სუბიექტური ელემენტის ასეთ ფართო ფორმულირებას, „კონკრეტული საზღვრების გარეშე“.⁴⁵⁷

JCE-ის ცნება, საერთო ჯამში, წინააღმდეგობაშია *nullum crimen sine lege* პრინციპთან.⁴⁵⁸ დადგენილი შინაარსით, იგი არ გამომდინარეობს *ICTY*-ის სტატუტის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნებიდან, რასაც მოწმობს პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ობიექტური და სუბიექტური

⁴⁵³ მაგალითად, გენოციდის დანაშაულის შემთხვევაში. შეად. *Ambos, JCE and Command Responsibility, 5 JICJ (2007), 159–167.*

⁴⁵⁴ შეად. *Ohlin, JCE, 5 JICJ (2007), 85–88.*

⁴⁵⁵ მონაწილეთა სიმრავლე, საერთო გეგმის, მიზნის არსებობა და ბრალდებულის მონაწილეობა საერთო გეგმაში.

⁴⁵⁶ *გაერცობილი JCE*-ის კრიტიკის შესახებ დაწ. იხ. *Olasolo, Essays on ICJ (2012), 129–134.*

⁴⁵⁷ იხ. *Danner, Martinez, Guilty Associations, 93 CLR (2005), 108–109.*

⁴⁵⁸ შეად. *Damgaard, Individual Criminal Responsibility (2008), 127–128, 238–241; დეალოძე, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია, კრებულში: ნაჭყებია (რედ.), ორგანიზებული დანაშაული (2012), 230–231.*

გარემოებები. მისი საფუძვლები საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში არაპირდაპირ იქნა მოძიებული ფართო ინტერპრეტაციის მეთოდის გამოყენებით.

თუმცა ყველა ამ კრიტიკის მიმართ *კაზესესა* და მის გუნდს არგუმენტირებული და ადეკვატური პასუხი ჰქონდათ, რაც ძირითადად ისევე ფართომასშტაბიანი, სისტემატური და სისტემური დანაშაულების დროს *auctor intellectualis* მონაწილეობით იყო განპირობებული.⁴⁵⁹ ყურადსაღებია *კაზესეს nullum crimen sine lege* პრინციპის განმარტება. მისი აზრით, პრინციპის მიზანი, ერთი მხრივ, არის სასამართლოს დაცვა დასაშვები ინტერპრეტაციის ჩარჩოების გადალახვისა და ახალი სამართლის შექმნისგან, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი არ კრძალავს სამართლის პროგრესულ განვითარებასა და ინტერპრეტაციას.⁴⁶⁰

მიუხედავად იმისა, რომ მეორე პირს არ ამოძრავებდა პირდაპირი განზრახვა (*dolus directus*) ჩადენილი დანაშაულის მიმართ, მხოლოდ ეს პირობა ვერ იქნებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზეზი. იგი იყო იმ გაერთიანების წევრი, რომლის საქმიანობაშიც იყო მოსალოდნელი კონკრეტული დანაშაულის ჩადენა, როგორც მისი მონაწილეობით, ასევე მისი მხრიდან სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობით.⁴⁶¹ *კაზესეს* თქმით, ძირითადი *JCE* ქმნიდა დანაშაულების ჩასადენად მთავარ „პლატფორმას“ *გაერცობილი JCE*-ისთვის. როდესაც პირი ხდება ძირითადი *JCE*-ის წევრი, მაგალითად, მთავრობის, ორგანიზაციის და სხვ., რომელიც სჩადის დანაშაულს, იგი ითვალისწინებს, რომ დანაშაულების პირველმა ფაზამ, შეიძლება, „კარი გაუღოს“ დანაშაულების ჩადენის მეორე ფაზას. ეს რისკი აშკარაა, როდესაც პირი ხდება ისეთი დაჯგუფების წევრი, რომელშიც ძირითადი ამსრულებლები ერთიანდებიან საერთო დანაშაულებრივი გეგმის შესასრულებლად.⁴⁶²

კაზესეს არგუმენტი საფუძვლიანია *dolus eventualis* სუბიექტური მხარის ელემენტთან, დანაშაულის ჩადენის რისკის გაცნობიერების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, როდესაც პირი, მით უფრო, *auctor intellectualis* არის დანაშაულებრივი გეგმით მოქმედი დაჯგუფების წევრი. თუმცა მთავარი გარემოება, რის გამოც *JCE*-ს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სრულყოფილ სახედ ვერ მივიჩნევთ, ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპია,⁴⁶³ რომლის მიხედვითაც, პირის ბრალეულობა უნდა იყოს დანაშაულში კონტრიბუციის ადეკვატური.

⁴⁵⁹ შეად. *Cassese and the Members of the ICJ, Amicus Curiae Brief on JCE*, 20 *CLF* (2009), 289–330.

⁴⁶⁰ შეად. იქვე, 321–322.

⁴⁶¹ შერეული უმოქმედობის შემთხვევაში, როდესაც იგი ვალდებული იყო ემოქმედა დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილების მიზნით.

⁴⁶² იხ. *Cassese and the Members of the ICJ, Amicus Curiae Brief on JCE*, 20 *CLF* (2009), 326–330.

⁴⁶³ შეად. *deGroot*, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია, კრებულში: *ნაჭყებია* (რედ.), ორგანიზებული დანაშაული (2012), 230–231; *Darcy*, *Collective Responsibility and Accountability* (2007), 253–255, დაწ. 245–253.

დანაშაულის პატარა კონტრიბუტორი უნდა განსხვავდებოდეს დიდი კონტრიბუტორისგან.⁴⁶⁴

13. შეჯამება

საერთო ჯამში, *JCE* შეგვიძლია განვმარტოთ როგორც დაჯგუფებაში მონაწილის პირდაპირი ან ირიბი ქმედება, მიმართული კრიმინალური საერთო მიზნის სისრულეში მოყვანისკენ.⁴⁶⁵ *JCE*-ის წევრს უფრო დიდი ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ვიდრე იმავე დანაშაულის დამხმარესა და წამქეზებელს.⁴⁶⁶ *JCE*-ის სამივე კატეგორია არაა დამოკიდებული კონკრეტული დანაშაულისთვის გათვალისწინებული ობიექტური ელემენტების შესრულებაზე, არამედ პირის ორგანიზაციულ შესაძლებლობასა და ინდივიდუალურ როლზე.⁴⁶⁷

ICTY-ის მიერ დამკვიდრებული *JCE*-ის დოქტრინა, ფაქტია, საერთაშორისო სისხლის სამართალში პოლიტიკური ფუნქციის მატარებელი იყო – სისხლისსამართლებრივი დევნა დაეწყოთ მაღალი თანამდებობის ამსრულებლებზე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევისათვის, დანაშაულში მათი „ობიექტური კონტრიბუციის დასაბუთების მიუხედავად“.⁴⁶⁸ საერთაშორისო სისხლის სამართალს სჭირდებოდა ისეთი პასუხისმგებლობის ფორმა, რომელიც კარგად „დაასაბუთებდა ბრალს, საკმარისი მტკიცებულების გარეშე“,⁴⁶⁹ რა ფუნქციასაც სათანადოდ ასრულებდა *JCE*.

JCE-ის კონფეციფიის მიხედვით, თანაამსრულებლობა გულისხმობს ერთი ამსრულებლის ქმედების შესაბამისობას სხვა ამსრულებლის მიზანთან, როდესაც ყველა მოქმედებს ერთდროულად, „ერთსა და იმავე ადგილას“, ხანგრძლივი დროის განმავლობაში.⁴⁷⁰ მნიშვნელოვანია, რომ გეგმა, მიზანი, თავისი შინაარსით იყოს არამართლზომიერი, ითვალისწინებდეს დანაშაულის ჩადენას.⁴⁷¹ აქ *JCE*-ის შემქმნელები არ გულისხმობდნენ ნებისმიერ მონაწილეობას, არამედ კრიმინალურ მიზნობრივ დაჯგუფებაში, გეგმის შესრულებაში „სავალდებულო“ ინდივიდუალურ

⁴⁶⁴ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნებისას სამართლიანი პასუხისმგებლობის (*fair labelling*) პრინციპისა და „ბრალეულობის იერარქიის“ მნიშვნელობაზე იხ. ნაშრომის XIII თავი, §4.1. და §4.2.

⁴⁶⁵ შეად. *Darcy*, *Collective Responsibility and Accountability* (2007), 245–246.

⁴⁶⁶ შეად. *Sliedregt*, *Individual Responsibility* (2012), 78–79

⁴⁶⁷ შეად. *Chouliaras*, *International Criminality*, კრებულში: *Smeulers* (ed.), *Collective Violence and ICJ* (2010), 85–86.

⁴⁶⁸ შეად. *Weigend*, *Co-perpetration*, 6 *JICJ* (2008), 477.

⁴⁶⁹ შეად. *Jordash*, *JCE*, კრებულში: *Schabas, McDermott, Hayes, Ashgate to ICL* (2012), 134.

⁴⁷⁰ შეად. *Ambos*, *Criminal Responsibility* (Art. 25), კრებულში: *Triffterer*, *Commentary on the RS* (2008), 749–751.

⁴⁷¹ შეად. *Shabas*, *UN Tribunals* (2006), 309–314.

მონაწილეობას, რომელიც უშუალო მონაწილეობის მტკიცების ვალდებულებას არ გულისხმობდა.

ზემოაღნიშნული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებების გამო, საერთაშორისო სისხლის სამართალში *JCE* საიდუმლო ლიდერებისა და სისტემური დანაშაულების დასჯის უზრუნველსაყოფად ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საჭირო ფორმადაც მოიხსენიებდნენ.⁴⁷²

ICTY-ში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაბუთებასთან დაკავშირებული „ხარვეზების“ გამოსწორებას შეეცადა საერთაშორისო თანამეგობრობა *ICC*-ის მეშვეობით, სტატუტისეული, ასევე პრეცედენტული, დოქტრინული ცნების ფარგლებში.

⁴⁷² შეად. *Gustafson*, ‘Express Agreement’ for *JCE*, 5 *JICJ* (2007), 135–136.

IX. ამსრულებლობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში

საერთაშორისო თანამეგობრობის მთავარი „დავალება“ ICC-ის მიმართ საერთაშორისო სისხლის სამართალში კარგად დამკვიდრებული ამსრულებლობის ინსტიტუტის – JCE-ის ფართო ცნების შეზღუდვა იყო, არსებული ხარვეზებისა და კრიტიკის გათვალისწინებით, ისე, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის მიზნებს არ შექმნოდა საფრთხე. მთავარი იყო, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, რომის სტატუტის 25-ე მუხლის ინტერპრეტაციით, ინდივიდის ბრალეულობას, დანაშაულში მონაწილეობის ხარისხს დაქვემდებარებოდა.⁴⁷³

აღსანიშნავია, რომ ICC-მ პირველივე გადაწყვეტილებიდან დაიწყო ამ „დავალების“ შესრულება არა ICTY-ის შემუშავებული და პრაქტიკაში კარგად დამკვიდრებული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის წესების რომის სტატუტში იმპლემენტაციით, არამედ, ამსრულებლობის ცნების ნოვაციური განმარტებით. ამის საფუძველი საერთაშორისო თანამეგობრობამ ICC-ს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული ცნებით შეუქმნა, რაც გამოიხატა დანაშაულში მონაწილეობის ფორმების კონკრეტიზაციაში.⁴⁷⁴

ამსრულებლობის ცნება რომის სტატუტში აბსტრაქტულია – 25(3)(a)-ე მუხლი შეიცავს მხოლოდ ძირითად, ტრადიციულ პასუხისმგებლობის სახეებს,⁴⁷⁵ რითაც სტატუტის შემქმნელებმა გზა გაუხსნეს პრეცედენტულ სამართალს.

1. ამსრულებლობის ცნება და სახეები რომის სტატუტში

ICC-ის სტატუტის 25(3)(a)-ე მუხლი, ICTY-ის სტატუტის მე-7(1) მუხლისგან განსხვავებით, პირდაპირ მიუთითებს ამსრულებლობის სამ სახეს და აღნიშნავს, რომ დანაშაულის ამსრულებელი (*Principal*) არის პირი, რომელსაც გააჩნია დანაშაულზე კონტროლი (*control over the crime*)⁴⁷⁶ და აცნობიერებს ყოველივე ამას.⁴⁷⁷ კერძოდ, ვინც

⁴⁷³ შეად. Weigend, Problems of Attribution, 12 JICJ (2014), 265–266.

⁴⁷⁴ ამ თავში გამოყენებულია სტატიები: დგებუაძე, ამსრულებლობა, კრებულში: ტურავა (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება (2013), 325-354; დგებუაძე, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობა, 3/24 მართლმსაჯულება და კანონი (2012), 91-101, რომლებიც ნაშრომში განახლებული და შევსებულია ახალი გადაწყვეტილებებითა და მოსაზრებებით.

⁴⁷⁵ შეად. Jain, Perpetrators and Accessories (2014), 94.

⁴⁷⁶ ICC თავის პრაქტიკაში ამკვიდრებს ტერმინს – *control over the crime*, რომელიც ნაშრომში წარმოდგენილია „დანაშაულზე კონტროლის“ ცნების სახით.

⁴⁷⁷ იხ. ICC, Prosecutor v. Lubanga, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 332; ICC, Prosecutor v. Katanga and Chui, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 487; ICC, Prosecutor v. Bemba, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 346.

- 1) ფიზიკურად ახორციელებს დანაშაულის ელემენტებს (*direct perpetration*, პირდაპირი ამსრულებლობა);
- 2) სხვებთან ერთად ახორციელებს დანაშაულზე კონტროლს, მასზე დაკისრებული არსებითი ამოცანებიდან გამომდინარე (*commission of the crime jointly with others*, ან *co-perpetration*, თანაამსრულებლობა);
- 3) ახორციელებს კონტროლს იმ პირის ნებაზე, რომელიც უშუალოდ ასრულებს დანაშაულის ობიექტურ ელემენტებს (*commission of the crime through another person*, ან *indirect perpetration*, არაპირდაპირი ამსრულებლობა).⁴⁷⁸

ამსრულებელი, რომის სტატუტის მიხედვით, არის ის პირი, რომელსაც აქვს დანაშაულზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ამსრულებლობის სამივე სახე დღეის მდგომარეობით ICC-ის სხვადასხვა გადაწყვეტილებით უკვე განმარტებულია.⁴⁷⁹

ამრიგად, რომის სტატუტში უკვე არსებობს ამსრულებლობის დოქტრინის ცნებაც, რომელიც განმარტავს 25(3)(a)-ე მუხლის შინაარსს. ICC-ის გადაწყვეტილებებიდან, ამსრულებლობის ცნებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით გამოსაყოფია *Prosecutor v. Lubanga*-ს (თანაამსრულებლობის პასუხისმგებლობის თეორიასთან მიმართებით), *Prosecutor v. Katanga and Chui*-ს (არაპირდაპირი ამსრულებლობის, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის პასუხისმგებლობის თეორიასთან მიმართებით) და *Prosecutor v. Bemba*-ს (სუბიექტური მხარის ელემენტებთან მიმართებით⁴⁸⁰) საქმეები,⁴⁸¹ რომლებიც

⁴⁷⁸ ასევე, გამოსაყოფია ICC-ის მიერ *Prosecutor v. Katanga and Chui*-ს საქმეზე შემუშავებული ამსრულებლობის ახალი ფორმა – ე.წ. *თანაამსრულებლობა სხვა პირის მეშვეობით* (*co-perpetration of a crime through another person*), ან *არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობა* (*indirect co-perpetration*). *ICC Prosecutor v. Al Bashir*-ის საქმეზე, ამსრულებლობის აღნიშნული „კლასიკური“ სახეების გარდა, ასევე ამსრულებლობის ცალკე სახედ გამოყოფს *თანაამსრულებლობას სხვა პირის მეშვეობით*, იმავე *არაპირდაპირ (თანა)ამსრულებლობას*, რომელი ფორმითაც მასზე დაწვეულია სისხლისსამართლებრივი დევნა. იხ. *ICC, Prosecutor v. Al Bashir, Warrant of Arrest, 4.3.2009*, პარ. 210. *არაპირდაპირ (თანა)ამსრულებლობას* დაწ. განვიხილავთ ნაშრომის ამ თავში.

⁴⁷⁹ უშუალო ამსრულებლობა თანაამსრულებლობისა და არაპირდაპირი ამსრულებლობის ცნებაშია განხილული. შესაბამისად, უშუალო ამსრულებლობის ცნებას ცალკე არ გამოვეყოფთ.

⁴⁸⁰ *Prosecutor v. Bemba*-ს საქმე, ასევე, მეტად ყურადსაღებია მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინასთან მიმართებით. იხ. ნაშრომის XII თავი.

⁴⁸¹ ამსრულებლობის თითოეული დოქტრინის გასაანალიზებლად, ICC-ის მთავარ საქმეებთან ერთად, განხილული იქნება ამსრულებლობის ცნებასთან არაპირდაპირ დაკავშირებული სხვა საქმეებიც.

ისევე როგორც თავის დროზე ICTY-ის *Prosecutor v. Tadic*-ის⁴⁸² და სხვათა საქმეები, გამოირჩევა ნოვაციური შინაარსით.⁴⁸³

2. თანაამსრულებლობის დოქტრინა

ICC-ის პირველივე საქმეზე, როგორც მოსალოდნელი იყო,⁴⁸⁴ მთავარი პრობლემა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების ნაწილში წარმოიშვა – ამსრულებლობის რომელი ფორმით და როგორ უნდა მომხდარიყო ინდივიდთა სისხლისსამართლებრივი დევნა?

ICC-მ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპის რეალიზაცია *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე თანაამსრულებლობის დოქტრინის შექმნით დაიწყო.⁴⁸⁵

2.1. *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმე

თომას ლუბანგა დაილო (*Thomas Lubanga Dyilo*) იყო მეამბოხე ჯგუფ – კონგოელ პატრიოტთა კავშირის (*UPC*) ხელმძღვანელი და ამ კავშირის სამხედრო ფრთის – კონგოს განთავისუფლების პატრიოტული ძალების (*FPLC*) მთავარსარდალი. ორივე გაერთიანება 2002–2003 წლებში იტურიში მიმდინარე კონფლიქტში აქტიურ ძალას წარმოადგენდა.⁴⁸⁶

ICC-ის ლუბანგა 2006 წელს გადაეცა. ICC-ის 2012 წლის 14 მარტის ვერდიქტით იგი დამნაშავედ გამოცხადდა, როგორც თანაამსრულებელი ომის დანაშაულში რომის სტატუტის 25(3)(a)-ე და მე-8(2)(e)(vii) მუხლების მიხედვით. იგი კონგოს განთავისუფლების პატრიოტულ ძალებში თხუთმეტი წლის ასაკამდე ბავშვებს იწვევდა და აგროვებდა სამხედრო მოქმედებებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. ლუბანგას სასჯელის სახით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით. 2014 წლის 1 დეკემბერს ვერდიქტი და სასჯელი ასევე დამტკიცდა სააპელაციო პალატის მიერ.⁴⁸⁷

⁴⁸² იხ. *ICTY, Prosecutor v. Tadic*, TC Judgment, 7.5.1997; *ICTY, Prosecutor v. Tadic*, AC Judgment, 15.7.1999.

⁴⁸³ შეად. *Liefländer*, *The Lubanga Judgment*, 1(1) *CJICL* (2012), 192.

⁴⁸⁴ იგივე პრობლემა წარმოიშვა ICTY-ის საქმიანობის პირველივე, *Prosecutor v. Tadic*-ის საქმეზე, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

⁴⁸⁵ იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, *Confirmation of Charges*, 29.1.2007.

⁴⁸⁶ ლუბანგას ბრალდებების შესახებ დაწ. იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, *Warrant of Arrest*, 10.2.2006; *ICC, Prosecutor v. Lubanga*, *Confirmation of Charges*, 29.1.2007.

⁴⁸⁷ დაწ. იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, TC Judgment, 14.3.2012; იხ. ასევე: *ICC, Prosecutor v. Lubanga*, <<http://www.icc-cpi.int/iccdocs/PIDS/publications/LubangaENG.pdf>>, [9.2.2016].

2.2. თანაამსრულებლობის კონცეფცია

Prosecutor v. Lubanga-ს საქმეზე დაფუძნებული თანაამსრულებლობის პასუხისმგებლობის კონცეფცია *რომის სტატუტში* უკვე პრეცედენტული მნიშვნელობისაა. მის ჩამოყალიბებას, *JCE*-ის პასუხისმგებლობის ალტერნატიული ვარიანტის სახით, თავის დროზე ჯერ კიდევ *ICTY* ცდილობდა *Prosecutor v. Stakic*-ის საქმეზე, თუმცა *ICTY*-ის სააკველიციო პალატამ იგი მოგვიანებით უარყო. მისი აზრით, თანაამსრულებლობის პასუხისმგებლობის საშუალება, განსხვავებით *JCE*-საგან, არ იყო სათანადოდ მხარდაჭერილი საერთაშორისო პრეცედენტული სამართლითა და *ICTY*-ის იურისპრუდენციით.⁴⁸⁸ *ICC* ეყრდნობა რა *ICTY*-ში თავის დროზე აღნიშნულ მოსაზრებას, საერთო ჯამში, სხვა ინტერპრეტაციით წარმოგვიდგენს თანაამსრულებლობის შინაარსს.

Prosecutor v. Lubanga-ს საქმეზე, დაზარალებულთა წარმომადგენლები ცდილობდნენ სტატუტის 25(3)(a)-ე მუხლში თანაამსრულებლობის სტატუტისეული ცნების დაკავშირებას *JCE*-ისთან, რომლის არსებითი კომპონენტი იყო საერთო დანაშაულებრივი გეგმის, მიზნის გაზიარება სხვა მონაწილეებზე.⁴⁸⁹ თუმცა წინასასამართლო პალატამ უარყო აღნიშნული შემოთავაზება თანაამსრულებლობის ცნებისა⁴⁹⁰ და *დანაშაულზე კონტროლის* კონცეფციის ხაზგასმით, კერძოდ, ამსრულებლის თანამონაწილისგან გამიჯვნის მიზნით.⁴⁹¹

Prosecutor v. Lubanga-ს საქმეზე *ICC* თანაამსრულებლობას განმარტავს ისეთ შემთხვევად, როდესაც კოორდინირებულ ადამიანთა დაჯგუფების კონტრიბუციის შედეგად ხდება დანაშაულის ობიექტური ელემენტების რეალიზაცია, სადაც თითოეული მათგანი, როგორც მთლიანი დანაშაულის ამსრულებელი, პასუხს აგებს სხვის მიერ განხორციელებული ქმედებებისათვის.⁴⁹²

წინასასამართლო პალატამ დასაბუთებულად მიუთითა, რომ *რომის სტატუტი*, *ICTY*-ის სტატუტისგან განსხვავებით, შეიცავდა დანაშაულში ინდივიდუალური და ჯგუფური მონაწილეობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უფრო მეტ ფორმას, რაც ქმედების მრავალფეროვანი კვალიფიკაციის შესაძლებლობას იძლეოდა. *JCE*-ის დოქტრინასთან ახლოს მდგომ კონცეფციად პალატამ უფრო 25(3)(d)-ე მუხლი მიიჩნია, რომელშიც საუბარია საერთო მიზნით მოქმედ პირთა

⁴⁸⁸ იხ. *ICTY, Prosecutor v. Stakic*, AC Judgment, 22.3.2006, პარ. 62; იხ. ასევე: *Olasolo*, Principal and Accessorial Liability, კრებულში: *Stahn, Sluiter* (ed.), Practice of the ICC (2009), 342–351; *Olasolo*, *Stakic* Appeal Judgment, 7 *ICLR* (2007), 143–161; *ტურავა*, მოძღვრება (2011), 57, პარ. 98.

⁴⁸⁹ იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 325.

⁴⁹⁰ იხ. იქვე, პარ. 326.

⁴⁹¹ იხ. იქვე, პარ. 327–333.

⁴⁹² იხ. იქვე, პარ. 326; იხ. ასევე: *ICC, Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 520.

ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენაზე,⁴⁹³ თუმცა, საერთო ჯამში, *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე წინასასამართლო პალატის პოზიციით, 25(3)-ე მუხლი არ შეესაბამებოდა ICTY-ის კონცეფციას.

ICC-მ თანამსრულებლობის დეფინიციური კრიტერიუმი განსაზღვრა ამსრულებლობისა (ძირითადი პასუხისმგებლობის) და თანამონაწილეობის (დამატებითი პასუხისმგებლობის) ურთიერთგასამიჯნავად, როდესაც დანაშაული რამდენიმე პირის მონაწილეობით არის გამოწვეული.⁴⁹⁴ განვიხილოთ *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე წინასასამართლო პალატის მიერ დანაშაულში თანამსრულებლობისათვის განსაზღვრული დეფინიციური კრიტერიუმები.

2.3. თანამსრულებლობის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ელემენტები

ძირითადი და დამატებითი პასუხისმგებლობის განსასხვავებლად ICC-მ სამი ელემენტი შეიმუშავა. ესენია:

- 1) დანაშაულზე კონტროლის კონცეფცია;
- 2) მატერიალური ელემენტები;
- 3) მენტალური ელემენტები.⁴⁹⁵

2.3.1. დანაშაულზე კონტროლის ცნება

ICC-ის პრეცედენტული სამართალი მხარს უჭერს რა ამსრულებლობის ფართო გაგებას, რომელიც თავის თავში მოიცავს ორგანიზატორებისა და ლიდერების ფიზიკური მონაწილეობის გარეშე განხორციელებულ ქმედებას, *რომის სტატუტის* 25(3)(a)-ე მუხლში, ძირითადი (*principal liability*) და დამატებითი (*accessory liability*) პასუხისმგებლობის სახეების განსასხვავებლად, აყალიბებს *დანაშაულზე კონტროლის* ცნებას.⁴⁹⁶

დანაშაულზე კონტროლის კონცეფციასთან მიმართებით, რომელიც მრავალ სამართლებრივ სისტემაშია აღიარებული,⁴⁹⁷ ICC აღგენს, დანაშაულის ამსრულებლები არიან არა მხოლოდ ისინი, ვინც ფიზიკურად ახორციელებენ დანაშაულის ობიექტურ ელემენტებს, არამედ, ვინც კონტროლს ან საიდუმლო ლიდერობას უწევენ მის მსვლელობას, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის „მოქმედების ადგილს“ არიან

⁴⁹³ იხ. იქვე, პარ. 334–336.

⁴⁹⁴ იხ. იქვე, პარ. 327.

⁴⁹⁵ იხ. იქვე, პარ. 326–367; *ICC, Prosecutor v. Lubanga*, TC Judgment, 14.3.2012, პარ. 919.

⁴⁹⁶ იხ. იქვე, პარ. 326–341; *ICC, Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 480–486; *ICC, Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 347; *ICC, Prosecutor v. Al Bashir*, Warrant of Arrest, 4.3.2009, პარ. 210.

⁴⁹⁷ იხ. *ICC, Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 485.

მოშორებული.⁴⁹⁸ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელი არ არის, თითოეული მათგანი მოქმედებდეს ერთდროულად. *auctor intellectualis* შესაძლებელია „დარჩეს სახლში, როდესაც სხვა ასრულებს მის შავ სამუშაოს“.⁴⁹⁹

დანაშაულზე კონტროლის მქონე პირის პოზიცია დანაშაულის ჩადენისას იერარქიულად უფრო მაღალია თანამდებობრივად მასზე ზემოთ მყოფ პირთან შედარებით.⁵⁰⁰ შესაძლებელია, კრიმინალური დაჯგუფების ხელმძღვანელს უფრო მეტი *de facto* ძალაუფლება ჰქონდეს, ვიდრე ქვეყნის პრეზიდენტს, რომელიც მისი კრიმინალური დაჯგუფების აქტიური მონაწილეა.

დანაშაულზე კონტროლის კონცეფციას თავის თავში მოიცავს ასევე არაპირდაპირი ამსრულებლობის პასუხისმგებლობა, დანაშაულებრივ ორგანიზაციაზე კონტროლის სახით.

2.3.2. თანაამსრულებლობის მატერიალური ელემენტები

დანაშაულზე კონტროლის თეორიაზე დაფუძნებული თანაამსრულებლობის პასუხისმგებლობა გულისხმობს ორი ან მეტი პირის კოორდინირებულ მოქმედებას დანაშაულის ჩასადენად. აღნიშნულის სისრულეში მოსაყვანად ისინი ინაწილებენ მათზე დაკისრებულ გარკვეულ ფუნქციებს. დანაშაულის არც ერთ კონკრეტულ მონაწილეს არ გააჩნია საერთო დანაშაულზე კონტროლი, ვინაიდან თითოეული მათგანი დამოკიდებულია ერთმანეთზე – ისინი ინაწილებენ დანაშაულზე კონტროლს. თანაამსრულებლებს, მათი პოზიციიდან გამომდინარე, მათზე დაკისრებული ამოცანების შეუსრულებლობით შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მთლიანი დანაშაულის ჩადენაზე.⁵⁰¹

ICC გამოყოფს თანაამსრულებლობის ორ მატერიალურ ელემენტს:

1. ორ ან მეტ პირს შორის საერთო გეგმის ან შეთანხმების არსებობა;
2. თითოეული თანაამსრულებლის მხრიდან კოორდინირებული არსებითი კონტრიბუცია, მიმართული დანაშაულის ობიექტური ელემენტების რეალიზაციისკენ.⁵⁰²

⁴⁹⁸ იხ. იქვე; *ICC, Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 330; *ICC, Prosecutor v. Lubanga*, TC Judgment, 14.3.2012, პარ. 920.

⁴⁹⁹ იხ. *Wilt*, Modes of Criminal Responsibility, 7 *JICJ* (2009), 310.

⁵⁰⁰ შეად. *Ohlin*, Co-Perpetration, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 520.

⁵⁰¹ იხ. *ICTY, Prosecutor v. Stakic*, TC Judgment, 31.7.2003, პარ. 440; *ICC, Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 342; *ICC, Prosecutor v. Lubanga*, TC Judgment, 14.3.2012, პარ. 922; *ICC, Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 521; *ICC, Prosecutor v. Al Bashir*, Warrant of Arrest, 4.3.2009, პარ. 212.

⁵⁰² იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 343–348; *ICC, Prosecutor v. Lubanga*, TC Judgment, 14.3.2012, პარ. 924–925; *ICC, Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of

2.3.2.1. ორ ან მეტ პირს შორის საერთო გეგმის ან შეთანხმების არსებობა

საერთო გეგმა ან შეთანხმება – ეს არის ორი აუცილებელი კრიტერიუმი პირველი მატერიალური ელემენტისათვის.⁵⁰³ ICC-ის წინასასამართლო პალატა *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე განმარტავს, რომ საერთო გეგმა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს, მიუხედავად ამისა, არ არის აუცილებელი პირდაპირ დანაშაულის ჩადენისკენ იყოს მიმართული. საკმარისია:

- 1) თანაამსრულებლები შეთანხმდნენ ა) საერთო გეგმის განხორციელების დაწყებაზე, რომელიც მიმართულია არადანაშაულებრივი მიზნის ასრულებისკენ; ბ) დანაშაულის ჩადენაზე;
- 2) თანაამსრულებლებს ა) ჰქონდეთ შეგნებული ის რისკი, რომ საერთო მიზნის რეალიზაცია (რომელიც სპეციფიკურად მიმართულია არადანაშაულებრივი მიზნის ასრულებისკენ), აისახება დანაშაულის ამსრულებლობაზე; ბ) დათანხმდნენ ასეთ შედეგს.⁵⁰⁴

თუმცა წინასასამართლო პალატა *Prosecutor v. Katanga and Chui*-ს საქმეზე, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ, *Prosecutor v. Lubanga*-სგან განსხვავებით აღნიშნავს, რომ საერთო გეგმა დანაშაულის ჩადენისკენ უნდა იყოს მიმართული.⁵⁰⁵

ICC შეთანხმებისთვის მყარ მოთხოვნად არ აყენებს მის არსებობას ზუსტი, დაწვრილებითი ფორმით. შესაძლებელია, იგი თანაამსრულებელთა შეწყობილი ქმედებებიდან გამომდინარეობდეს.⁵⁰⁶

2.3.2.2. თანაამსრულებლის კოორდინირებული არსებითი კონტრიბუცია

მეორე აუცილებელ მოთხოვნად ICC, განსაზღვრავს რა თითოეული თანაამსრულებლის მხრიდან დანაშაულში კოორდინირებულ არსებით კონტრიბუციას, აღნიშნავს, რომ ეს უნდა იყოს მიმართული დანაშაულის

Charges, 30.9.2008, პარ. 522–526; ICC, *Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 350.

⁵⁰³ იხ. იქვე, პარ. 343; ICTY, *Prosecutor v. Stakic*, TC Judgment, 31.7.2003, პარ. 470–477; ICC, *Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 522–523; ICC, *Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 350. აღსანიშნავია, რომ პირველ მატერიალურ ელემენტს *ვაიგენდი* თავის ნაშრომში, როგორც თანაამსრულებლობის სუბიექტურ ელემენტს, ისე მოიხსენიებს. იხ. *Weigend*, Co-perpetration, 6 *JICJ* (2008), 482–483.

⁵⁰⁴ იხ. იქვე, პარ. 344.

⁵⁰⁵ იხ. ICC, *Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 523; იხ. ასევე: *Shiedregt*, Individual Responsibility (2012), 100.

⁵⁰⁶ იხ. ICC, *Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 345; ICC, *Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 523.

მატერიალური ელემენტების რეალიზაციისაკენ.⁵⁰⁷ როდესაც დანაშაულის მატერიალური ელემენტები შესრულებულია საერთო გეგმის ფარგლებში მოქმედი რამდენიმე პირის მიერ, ICC ადგენს, რომ დანაშაულზე კონტროლი აქვთ მხოლოდ იმათ, ვისაც ეკისრებათ არსებითი ფუნქციები და, შესაბამისად, აქვთ ძალაუფლება, მასზე დაკისრებული ამოცანების შეუსრულებლობით გააღებინა მოახდინონ დანაშაულის ამსრულებლობაზე.⁵⁰⁸

2.3.3. თანაამსრულებლობის მენტალური ელემენტები

თანაამსრულებლობის მენტალური ელემენტი გამოიხატება განზრახვაში, კერძოდ, ბრალდებულის მიერ განხორციელებული დანაშაულის მენტალური ელემენტების განხორციელებაში, საერთო გეგმის რეალიზაციის შეგნებაში და სხვასთან ერთად დანაშაულზე კონტროლის ფაქტობრივი გარემოებების შეგნებაში. ამსრულებლობის მენტალური ელემენტების შინაარსის ერთობლიობაში ჩამოყალიბების მიზნით, თანაამსრულებლობის მენტალურ ელემენტებს ამ ეტაპზე არ განვიხილავთ.⁵⁰⁹

3. არაპირდაპირი ამსრულებლობის დოქტრინა

თანაამსრულებლობის დოქტრინის შემდეგ ICC თავის იურისპრუდენციაში ერთდოულად აფუძნებს არაპირდაპირი ამსრულებლობისა და არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის (თანაამსრულებლობა სხვა პირის მეშვეობით) დოქტრინებს, იმავე, *კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის* სიტუაციის *Prosecutor v. Katanga and Chui*-ს საქმეზე. ორივე დოქტრინასთან მიმართებით, ყურადსაღებია, *სუდანის* სიტუაციის *Prosecutor v. Al Bashir*-ის საქმე.

3.1. *Prosecutor v. Katanga and Chui*-ს საქმე

ჯერმეინ კატანგა (*Germain Katanga*) ცნობილი ასევე როგორც *სიმბა* (*Simba*) კონფლიქტის დროს იყო *იტურიში წინააღმდეგობის პატრიოტული ძალების (FRPI)* მეთაური. სამშვიდობო პროცესის შესაბამისად, იგი დაინიშნა *კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის* შეიარაღებული ძალების (*FARDC*)

⁵⁰⁷ იხ. იქვე, პარ. 346–348; *ICTY, Prosecutor v. Stakic*, TC Judgment, 31.7.2003, პარ. 478–491; *ICC, Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 524–526; *ICC, Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 350.

⁵⁰⁸ იხ. იქვე, პარ. 347; *ICC, Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 525.

⁵⁰⁹ იხ. ნაშრომის ამ თავის §5.

ბრიგადის გენერლად, რათა სხვა ლიდერებთან ერთად მონაწილეობა მიეღო კონფლიქტის გადაწყვეტაში. ეს პოზიცია მას ბოლომდე ეკავა.⁵¹⁰

მათიუ ნგუდჯოლო ჩუი (Mathieu Ngudjolo Chui) მას შემდეგ, რაც კონგოელ პატრიოტთა კავშირმა (UPC) კონტროლი დაამყარა იტურის რეგიონში, კერძოდ, ბუნიახა (Bunia) და ზუმბეში (Zumbe), ჩაება ნაციონალური ინტეგრაციის ფრონტის (FNI) მეომართა ძალებში. იმავე ინიციატივით, რომლითაც კატანგა გამწვსდა შეიარაღებულ ძალებში (FARDC), ჩუი დაინიშნა პოლკოვნიკად. იგი ბოლომდე დაჯგუფების წევრი იყო.⁵¹¹

კატანგასა და ჩუის ბრალდებები ICC-მ 2008 წლის 30 სექტემბერს დაამტკიცა ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობისათვის, რომის სტატუტის 25(3)(a)-ე და მე-8(2)(a)(i), მე-8(2)(b)(i), მე-8(2)(b)(xxii), მე-8(2)(b)(xiii), მე-8(2)(b)(xvi), მე-8(2)(b)(xxvi), მე-7(1)(a)(g) მუხლების საფუძველზე.⁵¹²

2012 წლის 21 ნოემბერს ICC-მ გამოყო ორივე ბრალდებულის საქმე (ბრალდებები), მათი სხვადასხვა მიმართულებით წარმართვის მიზნით. 2014 წლის 7 მარტს კატანგა დამნაშავედ იქნა ცნობილი უკვე ადამიანურობისა და ომის დანაშაულებში დაჯგუფების დახმარებისათვის [25(3)(d)-ე მუხლი]. იგი რამდენიმე ბრალდებაში გაამართლეს. კატანგას სასჯელის სახით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით.⁵¹³

რაც შეეხება ჩუის, იგი 2012 წლის 18 დეკემბრის ვერდიქტით ზემოთ აღნიშნულ ბრალდებებში გამართლდა. პროკურატურის ოფისის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების მიუხედავად, 2015 წლის 27 თებერვალს სააპელაციო პალატამ უმრავლესობით უცვლელად დატოვა სასამართლო პალატის გადაწყვეტილება.⁵¹⁴

3.2. Prosecutor v. Al Bashir-ის საქმე

ომარ ჰასან აჰმად ალ ბაშირი (Omar Hassan Ahmad Al Bashir) იყო პირველი პირი, რომელზეც ICC-მ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სახელმწიფოს მეთაურის რანგში.⁵¹⁵

⁵¹⁰ კატანგას ბრალდებების შესახებ დაწ. იხ. ICC, *Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008; იხ. ასევე: ICC, *Prosecutor v. Katanga*, <<https://www.icc-cpi.int/iccdocs/PIDS/publications/KatangaEng.pdf>>, [9.2.2016].

⁵¹¹ ჩუის ბრალდებების შესახებ დაწ. იხ. იქვე; იხ. ასევე: ICC, *Prosecutor v. Chui*, <<https://www.icc-cpi.int/iccdocs/PIDS/publications/ChuiEng.pdf>>, [9.2.2016].

⁵¹² დაწ. იხ. იქვე.

⁵¹³ დაწ. იხ. ICC, *Prosecutor v. Katanga*, TC Judgment, 7.3.2014.

⁵¹⁴ დაწ. იხ. ICC, *Prosecutor v. Chui*, TC Judgment, 18.12.2012.

⁵¹⁵ იხ. ICC, *Prosecutor v. Al Bashir*, <<https://www.icc-cpi.int/iccdocs/PIDS/publications/AlBashirEng.pdf>>, [1.6.2015].

ICC-ის პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით გამოითქვა საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ *ალ ბაშირი*, როგორც *სუდანის* პრეზიდენტი და სამხედრო ძალების მთავარსარდალი, არსებით როლს თამაშობდა *დარფურის* მშვიდობიანი მოსახლეობის ნაწილზე უკანონო თავდასხმის „საერთო გეგმის ასრულებაში“. დაპირისპირება მიმდინარეობდა *სუდანის* მთავრობასა და *სუდანის გამათავისუფლებელ მოძრაობას/არმიას (SLM/A)*, *სამართლიანობისა და თანასწორობის მოძრაობას (JEM)* შორის. *ალ ბაშირზე* სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო *დარფურში*, 2003–2008 წლებში, *ფურის (Fur)*, *მასალიტისა (Masalit)* და *ზაგჰავას (Zaghawa)* ეთნიკური ჯგუფების წევრების მიმართ სასამართლოს იურისდიქციაში შემაგალი დანაშაულების სავარაუდო ჩადენის გამო. 2008 წლის 14 ივლისს პროკურატურის ოფისმა, *რომის სტატუტის* 58-ე მუხლის ფარგლებში, მიმართა წინასასამართლო პალატას *ალ ბაშირის* მიმართ დაპატიმრების ორდერის გაცემის თხოვნით, რომელშიც უთითებდა მის პასუხისმგებლობას გენოციდში, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულსა და ომის დანაშაულში არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობისთვის, *რომის სტატუტის* 25(3)(a)-ე და მე-6(a)(b)(c), მე-7(1)(a)(b)(d)(f)(g), მე-8(2)(e)(i)(v) მუხლების მიხედვით.⁵¹⁶

ICC-ის წინასასამართლო პალატამ ყველასგან მოულოდნელად 2009 წლის 4 მარტს დაპატიმრების ორდერი გასცა მხოლოდ ორი – ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და ომის დანაშაულის გამო. პალატის უმრავლესობის აზრით, საქმეში არ მოიპოვებოდა საკმარისი მტკიცებულება *ალ ბაშირის* მხრიდან გენოციდის დანაშაულის ჩადენის შესახებ.⁵¹⁷ აღნიშნული გადაწყვეტილება პროკურორმა გაასაჩივრა სააპელაციო პალატაში, რომელმაც გააუქმა სასამართლო პალატის გადაწყვეტილება და გენოციდის დანაშაულის ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა ისევ სასამართლო პალატას. 2010 წლის 12 ივლისს წინასასამართლო პალატის მიერ გაიცა მეორე დაპატიმრების ორდერი უკვე გენოციდის დანაშაულის ფაქტზე, მე-6(a)(b)(c) მუხლზე მითითებით.⁵¹⁸

აღსანიშნავია, რომ *ალ ბაშირს* დღესაც *სუდანის* პრეზიდენტის თანამდებობა უკავია. ICC-ის პროკურატურის მხრიდან აღნიშნული იყო ის გარემოება, რომ იგი უშუალოდ არ მონაწილეობდა სასამართლოს იურისდიქციაში შემაგალი დანაშაულების ჩადენაში, არამედ *სუდანის* სახელმწიფო „აპარატის“, მისი სამხედრო ძალების, „მილიციის“, მაღალი რანგის სუდანელი პოლიტიკოსების მეშვეობით, *რომის სტატუტის* 25(3)(a)-ე მუხლის ფარგლებში, როგორც არაპირდაპირი (თანა)ამსრულებელი. საქმეში

⁵¹⁶ იხ. *ICC, Prosecutor v. Al Bashir*, Prosecutor’s Application under Article 58 filed on 14 July 2008, 12.9.2008, Annex A.

⁵¹⁷ იხ. *ICC, Prosecutor v. Al Bashir*, Warrant of Arrest, 4.3.2009.

⁵¹⁸ იხ. *ICC, Prosecutor v. Al Bashir*, Second Warrant of Arrest, 12.7.2010. *ICC, Prosecutor v. Al Bashir*-ის საქმეზე გენოციდის დანაშაულთან დაკავშირებით იხ. *Kreß, Genocide*, 7 *JICJ* (2009), 297–306; იხ. ასევე: *Kreß, Genocide*, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 669–704.

არსებული ბრალდების მხარის მტკიცებულებებიდან გამომდინარე, არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ *ალ ბაშირს* გააჩნდა სრული კონტროლი იმ პირებზე, რომლებიც უშუალოდ სწადიოდნენ დანაშაულებს, ანუ პირდაპირი ამსრულებლების მიმართ. უკანონო ქმედებები ხორციელდებოდა მასშტაბურად დიდი ხნის განმავლობაში, ხოლო დანაშაულების მიმართ არ გატარებულა სადამსჯელო ღონისძიებები. *ალ ბაშირი* არსებითად მონაწილეობდა საერთო გეგმის ასრულებაში, რომელიც *დარფურში* მცხოვრებ *ფურის*, *მასალიტისა* და *ზაგჰავას* ეთნიკური ჯგუფის წევრების უკანონო თავდასხმაში, მკვლელობაში, განადგურებაში, იძულებით გადაადგილებაში, წამებასა და გაუპატიურებაში გამოიხატებოდა.⁵¹⁹

3.3. არაპირდაპირი ამსრულებლობის კონცეფცია

დანაშაულზე კონტროლის კონცეფციის შესაბამისად, რომის სტატუტის ფარგლებში ICC ავითარებს *ორგანიზაციაზე კონტროლის (control over the an organization; Organisationsherrschaft)* ცნებას, რომელშიც „ამსრულებელი ამსრულებლის უკან“ დანაშაულს სწადის ორგანიზაციაზე კონტროლის მეშვეობით.⁵²⁰

არაპირდაპირი ამსრულებლობა სისხლის სამართალში ძირითადად ორი გაგებით არსებობს. პირველი, ეს არის ე.წ. „ცოცხალი იარაღის“ („უდანაშაულო აგენტის“) გამოყენებით შუალობითი ამსრულებლობის შემთხვევა, რომელიც აღიარებულია მსოფლიოს მრავალ სამართლებრივ სისტემაში. დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობაა, როდესაც პირდაპირი ამსრულებელი შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო სწადის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.⁵²¹ ასეთ მიდგომას ითვალისწინებს *საქართველოს* სისხლის სამართლის კოდექსიც შუალობითი

⁵¹⁹ იხ. ICC, *Prosecutor v. Al Bashir*, Warrant of Arrest, 4.3.2009, 209 და მომდევნო პარ.; ICC, *Prosecutor v. Al Bashir*, Second Warrant of Arrest, 12.7.2010. ICC, *Prosecutor v. Al Bashir*-ის საქმესთან დაკავშირებით იხ. *Jessberger, Geneuss*, Indirect Perpetration, 6 *JICJ* (2008), 853–869.

⁵²⁰ ICC, *Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 498. ICC-ის წინასასამართლო პალატის მიერ ციტირებულია – *Roxin*, Straftaten im Rahmen organisatorischer Machtapparate, *GA* (1963), 193–207. აღნიშნული სტატიის ინგლისური ვერსია იხ. *Roxin*, Organized Power Structures, 9 *JICJ* (2011), 193–205; *Organisationsherrschaft*-თან მიმართებით იხ. ასევე: *Ambos*, Criminal Responsibility (Art. 25), კრებულში: *Triffterer*, Commentary on the RS (2008), 750–752.

⁵²¹ შუალობითი ამსრულებლობის დროს პირდაპირი ამსრულებელი შეიძლება მოქმედებდეს ასევე ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობისა თუ საფრთხის ქვეშ. მაგალითად, ჯარისკაცი, რომელსაც უბრძანეს უკანონოდ მოკლას პირი და სისრულეში მოჰყავს ქმედება იმის შიშით, რომ ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეთაური მოუსპობს სიცოცხლეს. ჯარისკაცი *რომის სტატუტის* 31-ე მუხლის მიხედვით არ არის პასუხისმგებელი – იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებას წარმოადგენს. აქ მეთაური იქნება პასუხისმგებელი იმ მკვლელობისთვის, რომელიც განახორციელა პირდაპირმა ამსრულებელმა. იხ. *Manacorda, Meloni*, Indirect Perpetration versus JCE, 9 *JICJ* (2011), 169. ამის მაგალითია, ასევე *რომის სტატუტის* 26-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს 18 წლამდე ასაკის პირებზე იურისდიქციის გავრცელების დაუშვებლობას.

ამსრულებლობის ცნებაში.⁵²² მეორე, ეს არის ე.წ. „ამსრულებელი ამსრულებლის უკან“ (*perpetrator behind perpetrator, Täter hinter dem Täter*) შემთხვევა, სადაც პირდაპირი ამსრულებელი გამოყენებულია არაპირდაპირი ამსრულებლის მიერ, როდესაც ორივე ინდივიდუალურად პასუხს აგებს ჩადენილი ქმედებისათვის.⁵²³ ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს საერთაშორისო სისხლის სამართალში, მასში შემავალი დანაშაულების სისტემიდან, მაკროკრიმინალურობიდან გამომდინარე, როდესაც დანაშაულის უშუალო ამსრულებელი ქმედებას დანაშაულის აუცილებელი მენტალური ელემენტით ახორციელებს. „მაღალი დონე“ დამოკიდებულია „დაბალ დონეზე“, რომელსაც სისრულეში მოჰყავს დანაშაული. მიუხედავად იმისა, რომ არაპირდაპირი ამსრულებლობის ეს გაგება უმეტეს სამართლებრივ სისტემებში არაა აღიარებული, მას მოიცავს *რომის სტატუტის* 25(3)(a)-ე მუხლი.⁵²⁴

განვიხილოთ, რა ფორმით ამკვიდრებს ICC ზემოთ აღნიშნული გერმანული თეორიის შინაარსს *რომის სტატუტის* ფარგლებში.

3.4. არაპირდაპირი ამსრულებლობის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ელემენტები

ICC-ის წინასასამართლო პალატა *Prosecutor v. Katanga and Chui*-ს საქმეზე განსაზღვრავს არაპირდაპირი ამსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ მატერიალურ და მენტალურ გარემოებებს.

3.4.1. არაპირდაპირი ამსრულებლობის მატერიალური ელემენტები

არაპირდაპირი ამსრულებლობისათვის სამი მატერიალური ელემენტი შემუშავდა. ესენია:

1. ორგანიზაციაზე კონტროლი;

⁵²² დაწ. იხ. *ტურავა*, სისხლის სამართალი (2013), 326–330; *გამყრელიძე*, სისხლის სამართალი, I ტომი (2011), 189–260; *მკედლი შვილი-ჰედრიხი*, გამოვლინების ფორმები (2011), 174–195. *ტურავა* ემხრობა შუალობითი ამსრულებლობის ობიექტურ თეორიას, რომლის მიხედვითაც, თუ უშუალო ამსრულებელი შეცდომას უშვებს დანაშაულის „ცოცხალი იარაღის“ ბუნებასთან დაკავშირებით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა გადაწყდეს წამქეზებლის სუბიექტური წარმოდგენიდან გამომდინარე. იხ. *ტურავა*, სისხლის სამართალი (2013), 328. განსხვავებულ პოზიციას ავითარებს *გამყრელიძე*, რომელიც შუალობითი ამსრულებლობის სუბიექტურ თეორიას ემხრობა – წამქეზებელი შუალობითი ამსრულებელი იქნება მაშინ, როცა მან იცის, რომ იგი სხვა პირს იყენებს დანაშაულის ჩადენის „იარაღად“. იხ. *გამყრელიძე*, სისხლის სამართალი, III ტომი (2013), 266–268; *გამყრელიძე*, სისხლის სამართალი, I ტომი (2011), 192–193; იხ. ასევე: *მკედლი შვილი-ჰედრიხი*, გამოვლინების ფორმები (2011), 193–195.

⁵²³ იხ. *Manacorda, Meloni*, Indirect Perpetration versus JCE, 9 *JICJ* (2011), 169; იხ. ასევე: *Jessberger, Geneuss*, Indirect Perpetration, 6 *JICJ* (2008), 857–858.

⁵²⁴ იხ. იქვე, 169–170.

2. ორგანიზებული და იერარქიული ძალაუფლების აპარატის არსებობა;
3. დანაშაულის ასრულება, უზრუნველყოფილი ბრძანებაზე „ავტომატური“ თანხმობის მეშვეობით.⁵²⁵

3.4.1.1. ორგანიზაციაზე კონტროლი

ICC უთითებს სამ მიზეზს, თუ რატომ ეყრდნობა იგი *ორგანიზაციაზე კონტროლის* ცნებას და შემდგომში ავითარებს მას.⁵²⁶

პირველი მიზეზის თანახმად, *ორგანიზაციაზე კონტროლის* კონცეფცია ისედაც იგულისხმება *რომის სტატუტის* შინაარსში, გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო დანაშაულები, რომლებიც საფრთხეს უქმნის მსოფლიოს მშვიდობას, უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას, თავის თავში ყოველთვის მოიცავს კოლექტიურობასა და მასობრივ დანაშაულებრიობას, კერძოდ, *ორგანიზაციაზე კონტროლს*.⁵²⁷

მეორე მიზეზის თანახმად, *ორგანიზაციაზე კონტროლის* კონცეფცია ხშირად გამოიყენება ეროვნულსამართლებრივ სისტემებში იმ მიზნით, რომ პასუხისმგებლობა დააკისრონ ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებს ორგანიზაციის ფარგლებში, როგორც ამსრულებლობისათვის და არა თანამონაწილეობისათვის.⁵²⁸

მესამე მიზეზის თანახმად, *ორგანიზაციაზე კონტროლი* უკვე იყო საერთაშორისო სისხლის სამართალში გამოყენებული საერთაშორისო ტრიბუნალების ფარგლებში.⁵²⁹ აქ სასამართლო, უპირველესად, ყურადღებას ამახვილებს *Prosecutor v. Stakic*-ის საქმეზე, როდესაც ICTY ცდილობდა თანაამსრულებლობის თეორიის განვითარებას JCE-ის სანაცვლოდ,⁵³⁰ რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

3.4.1.2. ორგანიზებული და იერარქიული ძალაუფლების აპარატის არსებობა

ICC არაპირდაპირი ამსრულებლობისათვის მატერიალური ელემენტის აუცილებელ მეორე მოთხოვნად ორგანიზებული და იერარქიული ძალაუფლების აპარატის არსებობას ასახელებს. მისი აზრით, ორგანიზაცია უნდა იყოს დაფუძნებული იერარქიულ ურთიერთობაზე მეთაურსა და ხელქვეითს შორის. ორგანიზაცია უნდა დაკომპლექტდეს მნიშვნელოვანი ხელქვეითებით, რომ იყოს გარანტია მეთაურის ბრძანების აღსრულებისა ერთი ამსრულებლის მიერ თუ არა, მეორის მიერ მაინც.⁵³¹ ლიდერმა უნდა

⁵²⁵ იხ. ICC, *Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 500–518.

⁵²⁶ იხ. იქვე, პარ. 500.

⁵²⁷ იხ. იქვე, პარ. 501; იხ. ასევე: *რომის სტატუტის* პრეამბულა.

⁵²⁸ იხ. იქვე, პარ. 504–505.

⁵²⁹ იხ. იქვე, 506 და მომდევნო პარ.

⁵³⁰ იხ. იქვე, პარ. 506; იხ. ასევე: ICTY, *Prosecutor v. Stakic*, TC Judgment, 31.7.2003, პარ. 439.

⁵³¹ იხ. იქვე, პარ. 512.

გამოიყენოს თავისი კონტროლი აპარატზე დანაშაულის ჩასადენად, რაც ნიშნავს იმას, რომ ლიდერი, როგორც „ამსრულებელი ამსრულებლის უკან“, მობილიზებას უკეთებს თავის ძალაუფლებას ორგანიზაციის მეშვეობით, რომ მისი ბრძანებებით უზრუნველყოს თანხმობა. თანხმობა უნდა მოიცავდეს იმ დანაშაულის ჩადენას, რომელიც გათვალისწინებულია ICC-ის იურისდიქციით.⁵³²

34.1.3. დანაშაულის ასრულება, უზრუნველყოფილი ბრძანებაზე „ავტომატური“ თანხმობის მეშვეობით

ორგანიზებული და იერარქიული აპარატი უფლებას აძლევს ლიდერს, უზრუნველყოს დანაშაულის ასრულება. მისი მეშვეობით იგი იყენებს ხელქვეითებს, როგორც „უბრალო მექანიზმს გიგანტურ მანქანაში“, იმ მიზნით, რომ შესრულდეს მისი ბრძანებები „ავტომატურად“.⁵³³ ამ ორგანიზაციების ძირითადი მახასიათებელი ნიშანი არის მექანიზმი, რომელიც აძლევს საშუალებას მაღალ პოზიციებზე მყოფ პირებს, თავიანთი ბრძანებებით უზრუნველყონ ავტომატური თანხმობა. აღნიშნული ორგანიზაცია ავითარებს ისეთ გარემოს, რომელშიც არაფერი იცვლება მისი წევრების შეცვლით. იგი ფუნქციონირებს, მიუხედავად ამსრულებლის პიროვნებისა.⁵³⁴ აღნიშნულის გარდა, ორგანიზაციისათვის დამახასიათებელია ავტომატური თანხმობა, ინტენსიური, მკაცრი და ძალადური რეჟიმების საფუძველზე შექმნილ აპარატზე კონტროლის მეშვეობით.⁵³⁵

3.4.2. არაპირდაპირი ამსრულებლობის მენტალური ელემენტები

არაპირდაპირი ამსრულებლობის მენტალური ელემენტი გამოიხატება მატერიალური ელემენტების *განზრახ* განხორციელებაში, განსაკუთრებით, ბრალდებულს უნდა ჰქონდეს შეგნებული დანაშაულზე სხვა პირის მეშვეობით კონტროლის ფაქტობრივი გარემოებები. ამსრულებლობის მენტალური ელემენტების შინაარსის ერთობლიობაში ჩამოყალიბების მიზნით, არაპირდაპირი ამსრულებლობის მენტალურ ელემენტებს ამ ეტაპზე არ განვიხილავთ.⁵³⁶

⁵³² იხ. იქვე, პარ. 514. ICC-ის წინასასამართლო პალატის მიერ ციტირებულია – *Roxin, Täterschaft und Tatherrschaft* (2006), 245 და *გერმანიის* ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება – BGHSt 40, 218, 236; იხ. ასევე: *ICC, Prosecutor v. Al Bashir, Warrant of Arrest*, 4.3.2009, პარ. 211.

⁵³³ იხ. იქვე, პარ. 515. ICC-ის წინასასამართლო პალატის მიერ ციტირებულია – *Roxin, Täterschaft und Tatherrschaft* (2006), 245.

⁵³⁴ იხ. იქვე, პარ. 516–517.

⁵³⁵ იხ. იქვე, პარ. 518.

⁵³⁶ იხ. ნაშრომის ამ თავის §5.

4. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა

არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა, რა ფორმითაც იგი დღესდღეობით არსებობს ICC-ში, სიხლეს წარმოადგენს საერთაშორისო სისხლის სამართალში – იგი საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი ხასიათისაა. *რომის სტატუტის* 25(3)(a)-ე მუხლი „პირდაპირი წაკითხვით“, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, დანაშაულში ამსრულებლობის სამ სახეს გამოყოფს. ესენია: პირდაპირი ამსრულებლობა, თანაამსრულებლობა და არაპირდაპირი (შუალობითი) ამსრულებლობა. აღნიშნული მუხლის შინაარსში, ICC-ის წინასასამართლო პალატა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად ეფექტიანი ზომების გასატარებლად, *Prosecutor v. Katanga and Chui*-ს საქმეზე, ამკვიდრებს თანაამსრულებლობისა და არაპირდაპირი ამსრულებლობის კომბინირებულ, ახალი პასუხისმგებლობის სახეს – არაპირდაპირ (თანა)ამსრულებლობას (*indirect (co)perpetration*), იმავე თანაამსრულებლობას სხვა პირის მეშვეობით (*co-perpetration of a crime through another person*),⁵³⁷ როგორც ამსრულებლობის მეოთხე, დამოუკიდებელ ფორმას.⁵³⁸ კონკრეტიზაციის მიუხედავად, იგი მაინც თანაამსრულებლობის ცნების ქვეშ მოიაზრება ინდივიდუალური მოდიფიკაციებით.

Prosecutor v. Katanga and Chui-ს საქმეზე ICC-ის მიერ თანაამსრულებლობის დოქტრინის გამოყენება რთული იყო,⁵³⁹ იქიდან გამომდინარე, რომ დანაშაულს სხადიოდნენ ორივე ბრალდებულის დაქვემდებარებაში მყოფი მემბოსეები შეკავშირებით. ორივე ინდივიდუალურად აკონტროლებდა ჯგუფს ერთობლივი მიზნის მისაღწევად.

შესაბამისად, თანაამსრულებლობის დოქტრინას *კატანგას* სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აღწერა არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინის ფარგლებში გამოწვეული იყო იმით, რომ მას „ვერტიკალური მიმართულებით“ გააჩნდა *კონტროლი* მილიციაზე, რომელიც ემორჩილებოდა მის ბრძანებებს და „ჰორიზონტალური მიმართულებით“ თანამშრომლობდა სხვა ბრალდებულთან, *ჩუისთან*, რომელიც დანაშაულს „კოლექტიური ძალისხმევით“ ახორციელებდა ასევე მისდამი დაქვემდებარებული მემბოსეების დახმარებით.⁵⁴⁰ უფრო კონკრეტულად რომ აღვნიშნოთ, როდესაც მეთაურთა ჯგუფი დანაშაულის ჩასადენად მოქმედებს ერთობლივად (*co-perpetration*), თითოეული იყენებს

⁵³⁷ იხ. ICC, *Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, 487 და მომდევნო პარ.

⁵³⁸ იხ. ICC, *Prosecutor v. Al Bashir*, Warrant of Arrest, 4.3.2009, პარ. 210, სადაც წინასასამართლო პალატა ამსრულებლობის სახეებში არაპირდაპირ (თანა)ამსრულებლობას დამოუკიდებელი სახით მოიხსენიებს, როგორც ამსრულებლობის მეოთხე ფორმას *რომის სტატუტის* 25(3)(a)-ე მუხლში.

⁵³⁹ შეად. Ohlin, Co-Perpetration, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 526.

⁵⁴⁰ შეად. Ohlin, Modes of Liability, 25 *LJIL* (2012), 778; Eldar, Indirect Co-Perpetration, 8 *CLP* (2014), 606–609; იხ. ასევე: ICC, *Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, 540 და მომდევნო პარ.

მისი კონტოლის ქვეშ არსებულ ორგანიზაციებს (*indirect perpetration*), ასეთ შემთხვევაში შეიძლება არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინის გამოყენება.⁵⁴¹

არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა ასევე *სუდანის* პრეზიდენტზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ერთ-ერთ მთავარ იარაღს წარმოადგენდა *Prosecutor v. Al Bashir*-ის საქმეზე.

4.1. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის ცნება

არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინის, როგორც ამსრულებლობის მეოთხე ფორმის არსებობა, *რომის სტატუტის* 25(3)(a)-ე მუხლის ფარგლებში, არ შედიოდა ICC-ის წესდების შემქმნელების განზრახვაში.⁵⁴²

Prosecutor v. Katanga and Chui-ს საქმეზე წინასასამართლო პალატის მხრიდან ამსრულებლობის ახალი სახის შემოღებამ დაცვის მხარის უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია. მისი მთავარი არგუმენტი 25(3)(a)-ე მუხლში *სხვა პირთან ერთად, ან სხვა პირის მეშვეობით* კონსტრუქციის არსებობა იყო,⁵⁴³ რომლის შინაარსიც გამორიცხავდა არაპირდაპირ (თანა)ამსრულებლობას. დაცვის მხარის აზრით, ამ უკანასკნელის არსებობა მუხლში *სხვა პირთან ერთად და სხვა პირის მეშვეობით* კონსტრუქციის არსებობის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი.⁵⁴⁴

წინასასამართლო პალატამ *რომის სტატუტის* 25(3)(a)-ე მუხლში არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის შემოღების გადაწყვეტილება, *სხვა პირთან ერთად, ან სხვა პირის მეშვეობით* კონსტრუქციაში, „ან“ ელემენტის ორი გაგების არსებობით დაასაბუთა. ერთი – ეს იყო მსუბუქი, ინკლუზიური გაგება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ამსრულებლობა, როგორც *სხვა პირთან ერთად, ან სხვა პირის მეშვეობით* და ორივე ფორმით. მეორე – ეს იყო „ძლიერი, ექსკლუზიური გაგება“, რომელსაც ემხრობოდა დაცვის მხარე და რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ამსრულებლობა *სხვა პირთან ერთად, ან სხვა პირის მეშვეობით* და არა ორივე ფორმით. პალატის აზრით, *რომის სტატუტის* 25(3)(a)-ე მუხლი თავის თავში მოიცავდა „ან“ ელემენტის მსუბუქ, ინკლუზიურ გაგებას, რაც არაპირდაპირ (თანა)ამსრულებლობას დასაშვებად მიიჩნევა მის შინაარსში.⁵⁴⁵

⁵⁴¹ შეად. *Cassese*, ICL (2013), 178–179.

⁵⁴² შეად. *Sliedregt*, *Individual Responsibility* (2012), 168.

⁵⁴³ იხ. *რომის სტატუტის* 25(3)(a)-ე მუხლი:

„3. სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩამდენ პირს, წინამდებარე წესდების შესაბამისად, ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ისჯება, თუ ეს პირი:

(a) ჩაიდენს დანაშაულს პირადად, სხვა პირთან ერთად ან სხვა პირის მეშვეობით.“

⁵⁴⁴ იხ. *ICC, Prosecutor v. Katanga and Chui*, *Confirmation of Charges*, 30.9.2008, პარ. 490.

⁵⁴⁵ იხ. იქვე, პარ. 491.

იქიდან გამომდინარე, რომ არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობა თანაამსრულებლობისა და არაპირდაპირი ამსრულებლობის კონბინაციაა, მისი ცნებაც გულისხმობს როგორც ერთის, ასევე მეორის დეფინიციურ კომპონენტებს.

4.2. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ელემენტები

არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა დღესდღეობით აქტიურად გამოიყენება ICC-ის მიმდინარე საქმიანობაში, კერძოდ, *სუდანისა და კენიის* სიტუაციებში, სადაც იგი საერთაშორისო სისხლის სამართლის დამნაშავეებზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ მთავარ იარაღად იქცა. *კენიაში* არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით⁵⁴⁶ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში წინასასამართლო პალატა აყალიბებს აღნიშნული დოქტრინის აუცილებელ მატერიალურ და მენტალურ ელემენტებს.⁵⁴⁷ ესენია:

- ბრალდებული ერთ ან რამდენიმე პირთან ერთად უნდა იყოს საერთო გეგმის ან შეთანხმების ნაწილი;
- ბრალდებულმა და სხვა თანაამსრულებლებმა უნდა განახორციელონ კოორდინირებული არსებითი კონტრიბუცია, მიმართული დანაშაულის მატერიალური ელემენტების რეალიზაციისკენ;
- ბრალდებულს უნდა გააჩნდეს ორგანიზაციაზე კონტროლი;
- „ორგანიზაციის“ ფარგლებში უნდა არსებობდეს ორგანიზებული და იერარქიული ძალაუფლების აპარატი;
- დანაშაულის ასრულება უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბრალდებულის მხრიდან გაცემული ბრძანებებით;
- ბრალდებული უნდა მოქმედებდეს შესაბამისი დანაშაულის მენტალური ელემენტებით;
- ბრალდებულსა და სხვა თანაამსრულებლებს უნდა ჰქონდეთ შეგნებული და დასთანხმდნენ იმას, რომ საერთო გეგმის ასრულებას შედეგად მოჰყვება დანაშაულის მატერიალური ელემენტების განხორციელება;
- ბრალდებულს უნდა ჰქონდეს შეგნებული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც აიძულებს მას სხვა პირების მეშვეობით დანაშაულის ამსრულებლობაზე განახორციელოს საერთო კონტროლი.

აღნიშნულ ელემენტებში ICC-ის წინასასამართლო პალატის მხრიდან კომბინირებულია ის აუცილებელი მოთხოვნები, რომლებიც ICC-მ *Prosecutor*

⁵⁴⁶ *კენიის* რესპუბლიკის სიტუაციასთან დაკავშირებით დაწ. იხ. Authorization of an Investigation into the Situation in the Republic of Kenya (31.3.2010), <<https://www.icc-cpi.int/iccdocs/doc/doc854287.pdf>>, [9.1.2016]; იხ. ასევე: *Kreß*, The Concept of Organization, 23 *LJIL* (2010), 855–873.

⁵⁴⁷ იხ. *ICC, Prosecutor v. Ruto, Kosgey and Sang, Summons to Appear*, 8.3.2011, პარ. 40.

v. *Lubanga*-სა და *Prosecutor v. Katanga and Chui*-ს საქმეებზე თანამსრულებლობისა⁵⁴⁸ და არაპირდაპირი ამსრულებლობისათვის⁵⁴⁹ ჩამოაყალიბა.

5. ამსრულებლობის მენტალური ელემენტები

ICC ამსრულებლობისთვის აუცილებელ მენტალურ ელემენტად განზრახვას (*dolus*) განსაზღვრავს. იგი განზრახვის ელემენტს დეტალურად, პუნქტობრივად აღწერს 30-ე მუხლის საერთო ცნების ფარგლებში. ICC-ის პრეცედენტული სამართალი *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე აყალიბებს რა თანამსრულებლობის მენტალურ ელემენტებს, *Prosecutor v. Katanga and Chui*-ს საქმეზე აღნიშნულზე დაყრდნობით ცოტა სხვა ინტერპრეტაციით მიმოიხილავს მას არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობისათვის. თუმცა, მენტალურ ელემენტებთან მიმართებით, მნიშვნელოვანია *Prosecutor v. Bemba*-ს საქმე, რომელიც, გარკვეულწილად, ნოვაციური ინტერპრეტაციით წარმოგვიდგენს სუბიექტური მხარის სტრუქტურას. აღნიშნული საქმეების ფარგლებში განვიხილოთ *რომის სტატუტში* დანაშაულში ამსრულებლობის პასუხისმგებლობისათვის განსაზღვრული მენტალური ელემენტების რეგულაცია.

5.1. *Prosecutor v. Bemba*-ს საქმე

ჟინ-პიერ ბემბა გომბო (*Jean-Pierre Bemba Gombo*) იყო კონგოს გამათავისუფლებელი მოძრაობის (MLC) ყოფილი პრეზიდენტი და მთავარსარდალი. კონგოს გამათავისუფლებელი არმია (ALC), რომელიც წარმოადგენდა გამათავისუფლებელი მოძრაობის (MLC) სამხედრო ფრთას, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან შევიდა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ამ უკანასკნელის ყოფილი პრეზიდენტის მხარდასაჭერად. ბემბას ბრალად ედებოდა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის სხვადასხვა ტერიტორიაზე მიმდინარე სამხედრო კონფლიქტის ფარგლებში 2002 წლის 26 ოქტომბრიდან 2003 წლის 15 მარტის ჩათვლით ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენა, სამხედრო მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინაზე, *რომის სტატუტის* 28-ე და მე-7(1)(ა)(გ), მე-8(2)(ც)(ი), მე-8(2)(ე)(ვ)(ვი) მუხლებზე მითითებით. მისი ბრალდებები დამტკიცდა 2009 წლის 15 ივნისს. მანამდე წინასასამართლო პალატამ გადადო პროცესი სამხედრო მეთაურის პასუხისმგებლობის გადახედვის, დაზუსტების მიზნით. არსებითი განხილვა 2010 წლის 22 ნოემბრიდან 2014 წლის 13 ნოემბრამდე გაგრძელდა.⁵⁵⁰ 2016 წლის 21 მარტის

⁵⁴⁸ იხ. ICC, *Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 343–348.

⁵⁴⁹ იხ. ICC, *Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 500–518.

⁵⁵⁰ დაწ. იხ. ICC, *Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009; იხ. ასევე: ICC, *Prosecutor v. Bemba*, <<http://www.icc-cpi.int/iccdocs/PIDS/publications/BembaEng.pdf>>, [9.2.2016].

გადაწყვეტილებით, ბემბა დანაშაუდვად იქნა ცნობილი წაყენებულ ბრალდებებში.⁵⁵¹

ბემბას, სხვა პირებთან ერთად, ასევე ბრალად ედება მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დარღვევების ჩადენა. 2014 წლის 11 ნოემბერს წინასასამართლო პალატამ დაამტკიცა, რომ ბრალდებულები ზემოთ აღნიშნული *Prosecutor v. Bemba*-ს საქმისთვის 2011–2013 წლებში აყალბებდნენ მტკიცებულებებს სასამართლოში წარსადგენად.⁵⁵²

5.2. ამსრულებლობისთვის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მენტალური ელემენტები (განზრახვის გაფართოებული ცნება)

ICC ამსრულებელთა პასუხისმგებლობისათვის რამდენიმე აუცილებელ მენტალურ ელემენტებს აყალიბებს. ესენია:

1. ბრალდებულის მხრიდან დანაშაულის აუცილებელი მენტალური ელემენტების განხორციელება;
2. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ საერთო გეგმის ასრულებას „შეიძლება შედეგად მოჰყვეს“ (*may result*) ან „შედეგად მოჰყვება“ (*will result*),⁵⁵³ დანაშაულის მატერიალური ელემენტების რეალიზაცია და დასთანხმდეს მოვლენის ასეთ განვითარებას;
3. ბრალდებულის მხრიდან იმ ფაქტობრივი გარემოებების შეგნება, რომლებიც მას საშუალებას აძლევს სხვასთან ერთად,⁵⁵⁴ ან სხვა პირის მეშვეობით ჰქონდეს დანაშაულზე კონტროლი.⁵⁵⁵

5.3. რომის სტატუტის 30-ე მუხლის მენტალური ელემენტის მოთხოვნა

პირველი მოთხოვნა, რომელიც ამსრულებლობის მიმართ დააყენა ICC-მ, ეს არის ჩადენილი დანაშაულის სუბიექტური მხარის ელემენტების

⁵⁵¹ დაწ. იხ. *ICC, Prosecutor v. Bemba*, TC Judgment, 21.3.2016.

⁵⁵² დაწ. იხ. *ICC, Prosecutor v. Bemba, Kilolo, Mangenda, Babala, Arido*, Confirmation of Charges, 11.11.2014; იხ. ასევე: *ICC, Prosecutor v. Bemba, Kilolo, Mangenda, Babala, Arido*, <<http://www.icc-cpi.int/iccdocs/PIDS/publications/Bemba-et-alEng.pdf>>, [9.2. 2016].

⁵⁵³ *ICC Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე აღნიშნავს, რომ „საერთო გეგმის ასრულებას, შეიძლება შედეგად მოჰყვეს (*may*) დანაშაულის მატერიალური ელემენტების რეალიზაცია“, ხოლო *Prosecutor v. Bemba*-ს საქმეზე „საერთო გეგმის ასრულებას შედეგად მოჰყვება (*will*) დანაშაულის მატერიალური ელემენტების რეალიზაცია“. იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 361; *ICC, Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 370.

⁵⁵⁴ იხ. იქვე, პარ. 349–367;

⁵⁵⁵ იხ. *ICC, Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 527–538; *ICC, Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 352–371; *ICC, Prosecutor v. Ruto, Kosgey and Sang*, Confirmation of Charges, 23.1.2012, პარ. 333.

„შესრულება“.⁵⁵⁶ *რომის სტატუტის* 30-ე მუხლი ყველა დანაშაულის მიმართ სუბიექტური მხარის სამ საერთო მოთხოვნას აყენებს: (1) *თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული (unless otherwise provided) ელემენტი*; (2) *განზრახვა (intent)*; (3) *შეგნებულობა (knowledge)*.⁵⁵⁷

საერთაშორისო სისხლის სამართლის ისტორიაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების სტატუტებიდან *რომის სტატუტი* პირველი პრეცედენტია, რომელიც საერთაშორისო დანაშაულებში პასუხისმგებლობის მენტალური ელემენტის დეფინიციას განსაზღვრავს.⁵⁵⁸

თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ელემენტის შინაარსის გასააზრებლად *რომის სტატუტისა* და *დანაშაულის ელემენტების რეგულაციით* უნდა შემოვიფარგლოთ, რაც ნიშნავს დანაშაულის მატერიალური ელემენტების⁵⁵⁹ ჩადენას *განზრახვითა და შეგნებულობით*, თუ *რომის სტატუტითა და დანაშაულის ელემენტებით* სხვა რამე არაა გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულისათვის.⁵⁶⁰

⁵⁵⁶ იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 349–352; *ICC, Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 527–532; *ICC, Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 352–369; *ICC, Prosecutor v. Ruto, Kosgey and Sang*, Confirmation of Charges, 23.1.2012, პარ. 333.

⁵⁵⁷ იხ. *რომის სტატუტის* 30-ე მუხლი:

„1. თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და დაისჯება სასამართლოს იურისდიქციაში შემაჯავლი დანაშაულისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მხარისათვის დამახასიათებელი ნიშნებით იგი ჩადენილი იყო განზრახ და შეგნებულად.

2. ამ მუხლის მიზნებისთვის პირს აქვს განზრახვა:

(a) ქმედების მიმართ, თუ ის აპირებს ამ ქმედების ჩადენას;

(b) შედეგის მიმართ, თუ ის აპირებს გამოიწვიოს ეს შედეგი ან გაცნობიერებული აქვს, რომ იგი დადგება მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში.

3. შეგნებულად ნიშნავს იმის გაცნობიერებას, რომ გარემოება არსებობს ან შედეგი დადგება მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში. „ცოდნა“ და „შეგნება“ უნდა განიმარტოს შესაბამისად.“

⁵⁵⁸ იხ. *Badar, Porro, Mental Elements*, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 650–651; *Badar, Mens Rea in ICL* (2013), 382.

⁵⁵⁹ დანაშაულის მატერიალური ელემენტების ზოგადი მოთხოვნა *რომის სტატუტის* 30(2)(3)-ე მუხლის მიხედვით, ეს არის ქმედება, შედეგი და თანმდევი გარემოებები. იხ. *ICC, Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 353. აღსანიშნავია, რომ *ICC* დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ ელემენტებს, როგორც *material element* და *mental element* ისე აღნიშნავს, *ICTY* და *ICTR*-ისგან განსხვავებით, რომელიც ანგლოამერიკულ *actus reus* და *mens rea* ტერმინებს იყენებდა. იხ. *Sliedregt, Individual Responsibility* (2012), 39; იხ. ასევე: *რომის სტატუტის* 30-ე მუხლის სათაური.

⁵⁶⁰ „თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული“ მენტალურ ელემენტთან მიმართებით იხ. *ICC, Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 353–354; იხ. ასევე: *Schabas, RS Commentary* (2010), 474–475; *Werle, Jessberger, Unless Otherwise Provided*, 5 *JICJ* (2005), 35–55. აღნიშნული ელემენტის კარგი მაგალითია, იმის დანაშაულის სუბიექტური მხარის მოთხოვნა მე-8(2)(b)(i) და მე-8(2)(e)(i) მუხლებში. დაწ. იხ. *Badar, Porro, Mental Elements*, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 665–667.

რომის სტატუტის 30-ე მუხლი, პირდაპირი წაკითხვით, შეიცავს მხოლოდ განზრახვის (*dolus*) ცნებას, ქმედებასთან (*conduct*), შედეგთან (*result*) და თანმდევ გარემოებებთან (*attendant circumstances*) დაკავშირებით. განზრახვისა და შეგნებულობის ელემენტის შინაარსს ICC კონიუნქტიური (*conjunctive*), ერთიანი ცნების სახით გადმოგვცემს, რომლის მიხედვითაც, პირველი ეკუთვნის ნების (*will*) ასპექტს, ხოლო მეორე – ცოდნის (*cognition*) ასპექტს.⁵⁶¹ ორივე, ფართო გაგებით, განზრახვის აუცილებელი კუმულაციური კომპონენტია.⁵⁶²

აქედან გამომდინარე, განზრახვის – *dolus* ცნება, მოცემული 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცებში, გადმოგვცემს, კონკრეტულად, თუ როგორი უნდა იყო დამნაშავეს მენტალური დამოკიდებულება პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მატერიალური გარემოებების (*offences*), კერძოდ, ქმედების [*conduct* – 30(2)(a)-ე მუხლი]⁵⁶³, შედეგის [*result* – 30(2)(b)-ე მუხლი]⁵⁶⁴ და თანმდევი გარემოებების [*attendant circumstances* – 30(3)-ე მუხლი]⁵⁶⁵ მიმართ.⁵⁶⁶

ICC Prosecutor v. Lubanga-ს საქმეზე *dolus*-ის⁵⁶⁷ ვოლუნტატიური ელემენტის ცნებაში, სამ ფორმას გამოყოფს: პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა (*dolus directus in the first degree*), მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა (*dolus directus in the second degree*) და ევენტუალური განზრახვა (*dolus eventualis*),⁵⁶⁸ და განმარტავს *ad hoc* ტრიბუნალების პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით.

პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა გულისხმობს, ბრალდებულის მხრიდან იმის ცოდნას, რომ მისი ქმედება გამოიწვევს დანაშაულის მატერიალური ელემენტების შესრულებას და ამის უზრუნველსაყოფად კონკრეტული განზრახვით თავის თავზე იღებს ქმედების შესრულებას.⁵⁶⁹ კერძოდ, ვოლუნტატიური ელემენტი წარმოდგენილია, როგორც ბრალდებულის მიზანდასახული სურვილი

⁵⁶¹ იხ. Badar, Porro, Mental Elements, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 651.

⁵⁶² იხ. იქვე, 651–652.

⁵⁶³ პირი მოქმედებს განზრახვით, თუ „იგი აპირებს ამ ქმედების ჩადენას“.

⁵⁶⁴ პირს „გაცნობიერებული აქვს, რომ იგი [იგულისხმება შედეგი] დადგება მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში“.

⁵⁶⁵ პირს უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, „რომ გარემოება არსებობს ან შედეგი დადგება მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში“.

⁵⁶⁶ იხ. Badar, Porro, Mental Elements, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 652; იხ. ასევე: Badar, Mens Rea in ICL (2013), 387–400.

⁵⁶⁷ ე.ი. კუმულაციური გაგებით, განზრახვას [30(2)-ე მუხლი] + შეგნებულობა [30(3)-ე მუხლი] = *dolus*-ს (30-ე მუხლი).

⁵⁶⁸ იხ. ICC, Prosecutor v. Bemba, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 363; ICC, Prosecutor v. Lubanga, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 351–352; ICC, Prosecutor v. Katanga and Chui, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 530.

⁵⁶⁹ იხ. იქვე, პარ. 357; ICC, Prosecutor v. Lubanga, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 351; ICC, Prosecutor v. Katanga and Chui, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 529.

აკრძალული შედეგის მისაღწევად.⁵⁷⁰ პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა ინტერპრეტირებულია 30(2)(b)-ე მუხლის პირველი ალტერნატივით.

მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა გულისხმობს ისეთ სიტუაციას, როდესაც ბრალდებულს დანაშაულის მატერიალური ელემენტების ასრულების კონკრეტული განზრახვის გარეშე შეგნებული აქვს, რომ ამგვარი ელემენტები მისი ქმედების აუცილებელი შედეგი იქნება. ე.ი. ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს, რომ ეს შედეგი გამოწვეული იქნება მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში.⁵⁷¹ მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა ინტერპრეტირებულია 30(2)(b)-ე მუხლით. აქ ვოლუნტატიური ელემენტი არსებითად იკლებს და კოგნიტური ელემენტი იკავებს ადგილს, კერძოდ, შეგნება, რომ მისი ქმედება გამოიწვევს არასასურველ აკრძალულ შედეგს.⁵⁷²

ვეენტუალური განზრახვა გულისხმობს ისეთ სიტუაციას, როდესაც ბრალდებულს შეგნებული აქვს ის რისკი, რომ მის ქმედებას „შეიძლება შედეგად მოჰყვეს“ (*may result*) დანაშაულის ობიექტური მხარის ელემენტების რეალიზაცია და ურიგდება ან ეთანხმება ასეთ შედეგს.⁵⁷³

ICC ასევე ადგენს, რომ ბრალდებულმა უნდა შეასრულოს იმ დანაშაულის მენტალური ელემენტები, რომლისთვისაც იგი იქნა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემული, თუ ეს გათვალისწინებულია, აუცილებელი სპეციალური განზრახვის (*dolus specialis*) ჩათვლით.⁵⁷⁴

ICC-ის მოსამართლეებში 30-ე მუხლში *dolus*-ის პირველი ორი ფორმის არსებობა არ იყო სადისკუსიო, განსხვავებით მესამე ფორმისგან. ვენტუალური განზრახვის დამკვიდრებას წინასასამართლო პალატა *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე შეეცადა თანამსრულებლობის მეორე მენტალური ელემენტის ფარგლებში.

⁵⁷⁰ იხ. იქვე, პარ. 358. *პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვაზე* იხ. *ტურავა*, მოძღვრება (2011), 271–278; *მაღლაკელიძე*, განზრახვა, კრებულში, *ტურავა* (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება (2013), 291–307, 317–322; *მაღლაკელიძე*, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება (2013), 49–51, 159–166. *მაღლაკელიძე* განზრახვის ახალ საკანონმდებლო რეგულაციას (*de lege ferenda*) გვთავაზობს, ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ორი კომპონენტის – ცოდნისა და ნებელობის – დაზუსტებით. იხ. იქვე, 216–217.

⁵⁷¹ იხ. იქვე, პარ. 359; ICC, *Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 352; ICC, *Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 530.

⁵⁷² იხ. იქვე; *მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვაზე* იხ. *ტურავა*, მოძღვრება (2011), 279–280; *მაღლაკელიძე*, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება (2013), 49–51, 159–166; *მაღლაკელიძე*, განზრახვა, კრებულში, *ტურავა* (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება (2013), 291–307, 317–322.

⁵⁷³ იხ. ICC, *Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 352.

⁵⁷⁴ იხ. იქვე, პარ. 354; ICTY, *Prosecutor v. Stakic*, TC Judgment, 31.7.2003, პარ. 495; ICC, *Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 349; ICC, *Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 527.

5.4. ბრალდებულის შეგნებულობა, რომ საერთო გეგმის ასრულებას „შეიძლება შედეგად მოჰყვეს“ ან „შედეგად მოჰყვება“ დანაშაულის მატერიალური ელემენტების რეალიზაცია

თავიდან *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე წინასასამართლო პალატამ თანაამსრულებლობის მენტალური ელემენტი *ევენტუალური განზრახვის* შინაარსით ჩამოაყალიბა. კერძოდ, ორი აუცილებელი კუმულაციური პირობით:

- 1) ბრალდებულებს ერთობლივად უნდა ჰქონდეთ შეგნებულება ის რისკი, რომ საერთო გეგმის შესრულებას „შეიძლება შედეგად მოჰყვეს“ (*may result*) დანაშაულის ობიექტური ელემენტების რეალიზაცია;
- 2) ყველა შეურიგდეს ან დასთანხმდეს ასეთ შედეგს.⁵⁷⁵

აღნიშნული წინაპირობა *ევენტუალური განზრახვის* დეფინიციია.⁵⁷⁶ წინასასამართლო პალატამ *Prosecutor v. Katanga and Chui*-ს საქმეზე არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დაფუძნებისას ამსრულებლობის დოქტრინისთვის ასევე დამატებითი მესამე ელემენტიც განსაზღვრა, რომელიც მდგომარეობს ბრალდებულის მხრიდან იმ ფაქტობრივი გარემოებების შეგნებაში, რომლებიც აძლევს მას საშუალებას განახორციელოს *დანაშაულზე კონტროლი* სხვა პირის მეშვეობით.⁵⁷⁷

ICC-მ *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე სცადა *ევენტუალური განზრახვის* წაკითხვა *რომის სტატუტის* 30(2)(b)-ე მუხლის შინაარსში,⁵⁷⁸ კერძოდ, როდესაც ბრალდებულს „გაცნობიერებული აქვს, რომ იგი“⁵⁷⁹ დადგება მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში“. *ევენტუალური განზრახვის* შემთხვევას წინასასამართლო პალატა *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე ადარებს ტაქსის მძღოლის მიერ თავის დასახლებაში მანქანის გადაჭარბებული სიჩქარით მართვის შემთხვევას, როდესაც მძღოლს გაცნობიერებული აქვს, რომ მის ქმედებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს მძიმე შედეგი და საკუთარ თავზე იღებს რისკს, რომ ნაცნობ მონაკვეთზე, მისი გამოცდილებიდან გამომდინარე, გადაჭარბებული სიჩქარით მანქანის მართვას არ მოჰყვება მძიმე შედეგი.⁵⁸⁰

ICC-ისთვის პრობლემატური იყო 30(2)(b)-ე მუხლის მეორე ალტერნატივის ინტერპრეტაცია, *განზრახვის* თუ რომელ სახეს მოიცავდა იგი. *რომის სტატუტის* შექმნის მოლაპარაკებების პროცესში არც ერთ

⁵⁷⁵ იხ. იქვე, პარ. 361–365.

⁵⁷⁶ შეად. Jain, *Perpetrators and Accessories* (2014), 90.

⁵⁷⁷ იხ. ICC, *Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 534. ბრალდებულს უნდა სცოდნოდა დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხასიათი, ხელმძღვანელობის, ბრძანების ავტორიტეტი შესრულების სტრუქტურა. იხ. იქვე; იხ. ასევე: ICC, *Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 534.

⁵⁷⁸ იხ. ICC, *Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 352–356.

⁵⁷⁹ იგულისხმება *ქმედება* და *შედეგი*.

⁵⁸⁰ იხ. ICC, *Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 355, სქოლიო 437.

მონაწილეს არ სურდა მუხლის პროექტში პასუხისმგებლობის ზუსტი სახის განსაზღვრა. ისინი ზოგადად ვერ თანხმდებოდნენ პასუხისმგებლობის იმ ფორმებზე, რომლებიც დაფუძნებული იყო დაუდევრობასა (*negligence*) და გულგრილობაზე⁵⁸¹ (*recklessness*).⁵⁸² კომპრომისის შედეგად ჩამოყალიბდა 30-ე მუხლის შემდეგი ელემენტები: *თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ელემენტი; განზრახვა და შეგნებულობა. რომის კონფერენციაზე გერმანული „ევენტუალური განზრახვა“ და მისი ანგლოამერიკული სამართლის სისტემის ანალოგი „გულგრილობა“ საერთო კონსენსუსის შედეგად არ იქნა სტატუტში პირდაპირ შეტანილი.*⁵⁸³

ევენტუალური განზრახვის მსგავს ტერმინებს სხვადასხვა დროსა და სამართლებრივ სისტემებში სხვადასხვა დამატებითი მნიშვნელობა აქვს შემენილი და სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში აღნიშნული ლათინური სახელწოდება მეტ-ნაკლებად განსხვავებული შინაარსით გამოიყენება.⁵⁸⁴ ამ დასკვნამდე მივიდა წინასასამართლო პალატაც *Prosecutor v. Bemba*-ს საქმეზე.⁵⁸⁵

კერძოდ, წინასასამართლო პალატამ *Prosecutor v. Bemba*-ს საქმეზე შეცვალა *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე თანაამსრულებლობისათვის ჩამოყალიბებული მეორე სუბიექტური მხარის სტანდარტი და *ევენტუალური განზრახვის* უარყოფით შემდეგნაირად ჩამოაყალიბა იგი: „ბრალდებულს უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ საერთო გეგმის ასრულებას „შედეგად მოჰყვება“ (*will result*) დანაშაულის ობიექტური მხარის ელემენტების რეალიზაცია.“⁵⁸⁶ ეს იმას ნიშნავს, რომ

- 1) ბრალდებულებს ერთობლივად უნდა ჰქონდეთ შეგნებული ის რისკი, რომ საერთო გეგმის ასრულებას „შედეგად მოჰყვება“ (*will result*) დანაშაულის მატერიალური ელემენტების რეალიზაცია;
- 2) ისინი ახორციელებენ ამას მიზანმიმართული განზრახვით [*purposeful will (intent)*] დანაშაულის მატერიალური ელემენტების

⁵⁸¹ *recklessness*-ის ქართული შესატყვისის შესახებ იხ. ტურავა, მოძღვრება (2011), 289; *მაღლაკელიძე*, დანაშაულის სისტემა, 2/3 *მართლმსაჯულება და კანონი* (2007), 248.

⁵⁸² იხ. *Clark*, Drafting a General Part to a Penal Code, 19 *CLF* (2008), 525–526. *dolus eventualis*-ის, *recklessness*-ისა და *negligence*-ის შესახებ იხ. ტურავა, მოძღვრება (2011), 280–309; *მაღლაკელიძე*, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება (2013), 51–63, 93–97, 159–161, 166–173, 183–186, 190–199; *მაღლაკელიძე*, განზრახვა, კრებულში, ტურავა (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება (2013), 291–304, 307–311, 317–322; *მაღლაკელიძე*, დანაშაულის სისტემა, 2/3 *მართლმსაჯულება და კანონი* (2007), 248.

⁵⁸³ იხ. იქვე, 529.

⁵⁸⁴ შეად. *Weigend*, Co-perpetration, 6 *JICJ* (2008), 482. ანგლოამერიკულ სამართალში *dolus eventualis*-ის გადათარგმნის ორი შესაძლებლობა არსებობს. ერთი, ეს არის *recklessness*-ი ან, მეორე, ეს არის *recklessness*-თან ახლოს მდგომი ცნება, რომელიც მას და *dolus indirectus*-ს შორის არსებობს. პირველი არ იქნება *განზრახვის* ფორმა, ხოლო მეორეს რაც შეეხება, ასეთი ცნება არ არსებობს ანგლოამერიკულ სამართალში. იხ. *Ohlin*, Targeting, 35 *MJIL* (2013), 89. *dolus eventualis*-ის შესახებ დაწ. იხ. იქვე, 100–110.

⁵⁸⁵ იხ. *ICC, Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 366–367.

⁵⁸⁶ იხ. იქვე, პარ. 370.

მისაღებად, ან შეგნებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში, მატერიალური ელემენტების შესრულება იქნება მათი ქმედების თანამდევი შედეგი.⁵⁸⁷

აღნიშნულით წინასასამართლო პალატამ *Prosecutor v. Bemba*-ს საქმეზე დაადგინა, რომ *dolus*-ის მესამე ფორმას, *ვეენტუალურ განზრახვას*, ანგლოამერიკული სამართლის სისტემის გულგრილობის ახლოს მდგომ კონცეფციას,⁵⁸⁸ ან პასუხისმგებლობის სხვა დაბალ დონეს, *რომის სტატუტის* 30-ე მუხლის ფორმულირება არ ითვალისწინებდა.⁵⁸⁹

წინასასამართლო პალატის აზრით, *ვეენტუალური განზრახვა* არ შეესაბამებოდა 30(2)(b)-ე მუხლს.⁵⁹⁰ ლიტერატურული ინტერპრეტაციით „შედეგი დადგებოდა“ (*consequence will result*) ნიშნავს შედეგის გარდაუვალ მოსალოდნელობას (*inevitably expected*). თუ ამას დავამატებთ „მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში“ (*in the ordinary course of events*), კერძოდ, „შედეგი დადგებოდა მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში“, ნიშნავს, რომ შედეგის დადგომის აუცილებელი სტანდარტი ახლოს არის უდავო მოსალოდნელობასთან. ამასთან მიმართებით, პალატა ამ სტანდარტს განსაზღვრავს, როგორც „ვირტუალურ უდავო მოსალოდნელობას“ (*virtual certainty*) ან „პრაქტიკულ უდავო მოსალოდნელობას“ (*practical certainty*), რომ შედეგი დადგება მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი ჩარევის, „ინტერვენციის“ გამორიცხვით, რომელიც თავიდან აიცილებდა შედეგს.⁵⁹¹

ახალი დამკვიდრებული სტანდარტი უფრო მაღალია, ვიდრე პრინციპული სტანდარტი *ვეენტუალური განზრახვისთვის*, რომელიც, წინასასამართლო პალატის აზრით, არის არასასურველი შედეგის გათვალისწინება, როგორც ნაკლებად მოსალოდნელისა, ან შესაძლებელისა. წინასასამართლო პალატის აზრით, *რომის სტატუტის* შემქმნელებს რომ სდომოდათ *ვეენტუალური განზრახვის* 30-ე მუხლში ჩადება, ისინი შეიტანდნენ შემდეგი შინაარსის წინადადებას: „შეიძლება დამდგარიყო“⁵⁹²

⁵⁸⁷ იხ. იქვე; *ICC, Prosecutor v. Ruto, Kosgey and Sang*, Confirmation of Charges, 23.1.2012, პარ. 333.

⁵⁸⁸ იხ. *Schabas*, RS Commentary (2010), 476.

⁵⁸⁹ იხ. *ICC, Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 360; *ICC, Prosecutor v. Ruto, Kosgey and Sang*, Confirmation of Charges, 23.1.2012, პარ. 333.

⁵⁹⁰ იხ. *რომის სტატუტის* 30(2)(b)-ე მუხლი:

„ამ მუხლის მიზნებისათვის, პირს აქვს განზრახვა, თუ ის აპირებს გამოიწვიოს ეს შედეგი ან გაცნობიერებული აქვს, რომ ის დადგება მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში.“

⁵⁹¹ იხ. *ICC, Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 362.

⁵⁹² აქ პალატა შედეგს ალბათობის ხარისხში განიხილავს, კერძოდ, მის მიერვე აღნიშნული *dolus eventualis*-ის შინაარსის ფარგლებში.

მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში” (*may occur or might occur in the ordinary course of events*).⁵⁹³

შეგნებულობა, რომელიც განზრახვის გაგრძელებაა, იკვეთება იმ დროს, როდესაც დანაშაული მოიცავს გარემოებას ან შედეგს.⁵⁹⁴ შეგნებულობის ნათელი მაგალითია *რომის სტატუტის* მე-7(1) მუხლი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, როდესაც ამსრულებელს გააჩნია შეგნებულობა ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების მიმართ, რომელიც მიმართულია სამოქალაქო მოსახლეობისადმი.⁵⁹⁵

სასამართლო პალატამ *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე გამოტანილი პირველი განაჩენით 2012 წელს გაიზიარა *Prosecutor v. Bemba*-ს საქმეზე შემუშავებული სუბიექტური მხარის ინტერპრეტაცია და აღნიშნა, რომ „შედეგი დადგებოდა მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში” გულისხმობს მომავალში დამდგარი შედეგის „შესაძლებლობას” (*possibility*) ან „აღბათობას” (*probability*), რაც დამახასიათებელია რისკთან (*risk*) და საფრთხესთან (*danger*). დაბალი რისკი არ იქნებოდა მნიშვნელოვანი.⁵⁹⁶ ამ გადაწყვეტილებაზე გამოთქვა განსხვავებული აზრი მოსამართლე *ედრიან ფულფორდმა* (*Adrian Fulford*) და 2014 წელს *Prosecutor v. Chui*-ს განაჩენზე მოსამართლე *ქრისთინ ვან დენ უინგაერტმა* (*Christine Van den Wyngaert*).⁵⁹⁷ უინგაერტი მიიჩნევს, რომ 30-ე მუხლში „რისკის” ცნების აღიარება უკვე ნიშნავდა *ევენტუალური განზრახვის* არსებობას *მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის* ქვეშ.⁵⁹⁸

2014 წელს *Prosecutor v. Katanga*-ს განაჩენში სასამართლო პალატამ მხარი დაუჭირა *Prosecutor v. Bemba*-ს საქმეზე დამტკიცებულ ვიწრო ინტერპრეტაციას, რომელშიც აღინიშნა, რომ დანაშაულებრივი *განზრახვა* ითხოვს პირისგან იმის ცონდას, რომ ქმედების რეალიზაციას აუცილებლად

⁵⁹³ იხ. *ICC, Prosecutor v. Bemba, Confirmation of Charges*, 15.6.2009, პარ. 363. *ამბოსი*, რომელიც არ ემხრობა წინასასამართლო პალატის გადაწყვეტილებას, მიიჩნევს, რომ *რომის სტატუტის* 30(2)(b)-ე მუხლის შინაარსი არ ითვალისწინებს შედეგის უდავოდ დადგენის შესაძლებლობას. იგი აღნიშნავს, რომ *dolus eventualis*-ის (რომელსაც *ამბოსი*, ასევე „პირობით განზრახვასაც” უწოდებს) დროს, ამსრულებელს არ აქვს შეგნებულება, ისევე როგორც *რომის სტატუტის* 30(2)(b)-ე მუხლის შინაარსში, რომ „შედეგი დადგებოდა მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში”. მისი აზრით, ეს შემთხვევა მოიცავს, ასევე *recklessness*-საც. დაწ. იხ. *Ambos, Bemba Confirmation Decision*, 22 *LJIL* (2009), 718–719; იხ. ასევე: *Ambos, General Principles in RS*, 10 *CLF* (1999), 21–22.

⁵⁹⁴ იხ. *Badar, Mens Rea in ICL* (2013), 398.

⁵⁹⁵ შეგნებულობაზე იხ. იქვე, 398–400; *Schabas, RS Commentary* (2010), 478; ზოგადად, მენტალურ ელემენტებთან დაკავშირებით იხ. *Badar, Mens Rea in ICL* (2013), 382–400; *Schabas, Introduction to ICC* (2011), 235–238; *მაღლაკელიძე, დანაშაულის სისტემა, 2/3 მართლმსაჯულება და კანონი* (2007), 247–249.

⁵⁹⁶ იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga, TC Judgment*, 14.3.2012, პარ. 1012; იხ. ასევე: *Badar, Porro, Mental Elements*, კრებულში: *Stahn* (ed.), *ICC* (2015), 661.

⁵⁹⁷ იხ. *Badar, Porro, Mental Elements*, კრებულში: *Stahn* (ed.), *ICC* (2015), 661–663.

⁵⁹⁸ იხ. იქვე, 661–662.

მოჰყვება კონკრეტული შედეგი.⁵⁹⁹ იმავე წელს სააპელაციო პალატამ *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე გაიზიარა სასამართლო პალატის მოსაზრება ევენტუალური განზრახვის 30-ე მუხლის გარეთ არსებობის შესახებ.⁶⁰⁰

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ICC-ის პრეცედენტული სამართალი 30-ე მუხლის მენტალურ ელემენტში განიხილავს პირდაპირ განზრახვას, კერძოდ, პირველი ხარისხის პირდაპირ განზრახვას 30(2)(b)-ე მუხლის პირველი ალტერნატივისას და მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვას 30(2)(b)-ე მუხლის მეორე ალტერნატივისას.

5.5. ბრალდებულის მხრიდან იმ ფაქტობრივი გარემოებების შეგნება, რომლებიც მას საშუალებას აძლევს სხვასთან ერთად ან სხვა პირის მეშვეობით ჰქონდეს დანაშაულზე კონტროლი

აღნიშნული მენტალური ელემენტის კრიტერიუმი,⁶⁰¹ რომელიც გარკვეულწილად უფრო სპეციფიკურია არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობისთვის,⁶⁰² არის ბრალდებულის მხრიდან ფაქტობრივი გარემოებების შეგნება, რომლითაც შესაძლებელი ხდება დანაშაულზე კონტროლი სხვა თანაამსრულებლებთან ერთად ან ერთობლივი კონტროლი დანაშაულის ასრულებაზე სხვა პირის მეშვეობით.⁶⁰³

ამ პუნქტის მიმართ ICC მოთხოვნად აყენებს იმას, რომ ბრალდებულს შეგნებული ჰქონდეს: ა) მისი როლი მნიშვნელოვანია დანაშაულის საერთო გეგმის ასრულებაში და ბ) მასზე დაკისრებული არსებითი ამოცანის შეუსრულებლობით შეუძლია გამოიწვიოს საერთო გეგმის ჩაშლა⁶⁰⁴ და ამის შედეგად დანაშაულის ჩაშლა, დანაშაულის „ავტომატური“ ჩადენის მექანიზმის გააქტიურებაზე უარის თქმით.⁶⁰⁵

ICC-ის მიერ ამსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი სავალდებულო ელემენტების მიმოხილვის შემდეგ შესაძლებელია რომის სტატუტში თანაამსრულებლობის, არაპირდაპირი ამსრულებლობისა და არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინათა სისხლისსამართლებრივი ანალიზი.

⁵⁹⁹ იხ. იქვე, 662.

⁶⁰⁰ იხ. იქვე, 663.

⁶⁰¹ იხ. ICC, *Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 349–367; ICC, *Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 527; ICC, *Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 352–371.

⁶⁰² შეად. *Sliedregt*, Individual Responsibility (2012), 168.

⁶⁰³ იხ. ICC, *Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 538.

⁶⁰⁴ იხ. ICC, *Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 366–367.

⁶⁰⁵ იხ. ICC, *Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 539; ICC, *Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 371; ICC, *Prosecutor v. Ruto, Kosgey and Sang*, Confirmation of Charges, 23.1.2012, პარ. 333.

6. ამსრულებლობის დოქტრინის ანალიზი

ამსრულებლობის დოქტრინების ანალიზისას, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ *JCE*-ის უარყოფითა და თანამსრულებლობის, არაპირდაპირი ამსრულებლობისა და არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინების ჩამოყალიბებით *ICC* ცდილობს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ისეთი დოგმატიკის შექმნას, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერ-იურისტთა ნააზრევზე.⁶⁰⁶ რაც შეიძლება ითქვას *JCE*-ის დოქტრინაზეც.⁶⁰⁷

ამსრულებლობის თითოეული დოქტრინის ანალიზი უმჯობესია ამ დოქტრინებთან დაკავშირებით თვით *ICC*-ის მოსამართლეების განსხვავებული აზრის განხილვით დავიწყოთ, რომელიც კარგად წარმოაჩენს ანალიზის მთავარ ობიექტს, პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ თუ რომელ კრიტერიუმებში არსებობს დისონანსი.

6.1. სასამართლოს შიგნით მიმდინარე დისკუსია – *ფულფორდისა* და *უინგაერტის* განსხვავებული აზრი ამსრულებლობის დოქტრინაზე

ICC-ის მოსამართლეები – *ფულფორდი*, *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე⁶⁰⁸ და *უინგაერტი*, *Prosecutor v. Chui*-ს საქმეზე⁶⁰⁹ გამოსატულ განსხვავებულ აზრებში, ეწინააღმდეგებიან ამსრულებლობის მიღებულ დეფინიციას.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რაშიც *ფულფორდი* და *უინგაერტი* ეწინააღმდეგებიან პალატის სხვა წევრებს, ეს არის 25(3)-ე მუხლში მოცემული პასუხისმგებლობის სახეთა იერარქიული დაყოფა ამსრულებლობა-თანამონაწილეობის ფორმულაზე დაყრდნობით.⁶¹⁰ ორივე მოსამართლე არ ეთანხმება *დანაშაულზე კონტროლის* თეორიის გამოყენებას *რომის სტატუტის* მიხედვით, რომელიც *დანაშაულის* ადგილს მოშორებულ პირს ამსრულებლად მიიჩნევს, *ქმედებაზე ბატონობის* გამო.⁶¹¹

ფულფორდის აზრით, *ქმედებაზე ბატონობის* თეორია, რომელიც გადმოტანილ იქნა *გერმანიის* სისხლის სამართლის თეორიიდან,

⁶⁰⁶ შეად. *Fletcher*, *Dogmatik*, 9 *JICJ* (2011), 184.

⁶⁰⁷ *ICTY*-ის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება *Prosecutor v. Tadic*-ის საქმეზე, როგორც ზემოთ *JCE*-ის ანალიზისას აღვნიშნეთ, შეგვიძლია მივიჩნიოთ უფრო აკადემიურ ნაშრომად, ვიდრე სასამართლოს გადაწყვეტილებად. შეად. *Sliedregt*, *Individual Responsibility* (2003), 100.

⁶⁰⁸ იხ. *ICC*, *Prosecutor v. Lubanga*, TC Judgment, Separate Opinion of *Fulford*, 14.3.2012.

⁶⁰⁹ იხ. *ICC*, *Prosecutor v. Chui*, TC Judgment, 18.12.2012.

⁶¹⁰ ამსრულებლობა [25(3)(a)-ე მუხლი] პასუხისმგებლობის ყველაზე მძიმე ფორმაა, ხოლო სხვა დანარჩენი [25(3)(b)(c)(d)-ე მუხლი] უფრო მსუბუქი. იხ. *ICC*, *Prosecutor v. Lubanga*, TC Judgment, Separate Opinion of *Fulford*, 14.3.2012, პარ. 6, 8; *ICC*, *Prosecutor v. Chui*, TC Judgment, Concurring Opinion of *Wyngaert*, 18.12.2012, პარ. 6, 22–30. ამ საკითხს თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის განხილვის შემდეგ დაეუბრუნდებით. იხ. ნაშრომის XIII თავი.

⁶¹¹ იხ. იქვე, პარ. 12.

მორგებულია *გერმანიის* სისხლის სამართლის კოდექსს, რომელშიც სავალდებულოა ამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნა, რადგან თვითონ კოდექსის მიხედვით, ეს სასჯელის დანიშვნის დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული.⁶¹² მიუხედავად იმისა, რომ *რომის სტატუტის* 21-ე მუხლი იძლევა ეროვნული სასამართლოების სასამართლო პრაქტიკისა და დოგმატიკის გამოყენების შესაძლებლობას, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია შემოწმდეს, თუ რამდენად შეესაბამება გადმოტანილი სამართლის მოდელი სტატუტის პრინციპებს, იმის გათვალისწინებით, რომ იგი ICC-ის უპირველესი წყაროა.⁶¹³

უინგაერტი არ ემხრობა წინასასამართლო პლანის მიერ დადგენილ „საერთო გეგმის“ (*common plan*) ობიექტურ ელემენტს. მისი აზრით, დადგენილი სტანდარტი ყურადღებას ამახვილებს ბრალდებულის საერთო გეგმაზე და არა უშუალოდ დანაშაულთან კავშირზე.⁶¹⁴

ფულფორდი ეწინააღმდეგება *არსებითი კონტრიბუციის* ელემენტს, ვინაიდან თვლის, რომ ამის დადგენა შეფასებითია და ჰიპოთეტური გამოძიებითაა შესაძლებელი. მისი აზრით, ეს მოთხოვნა უნდა ჩაანაცვლოს ინდივიდის კონტრიბუციასა და დანაშაულს შორის კაუზალური კავშირის დადგენამ.⁶¹⁵ *ფულფორდის* ამ პოზიციას არ იზიარებს *უინგაერტი* კაუზალობის „ელასტიკური ცნების“ (*elastic notion*) გამო.⁶¹⁶ ამის ნაცვლად, მისი აზრით, ერთიანი ამსრულებლობისას უნდა დადგინდეს ბრალდებულის *პირდაპირი კონტრიბუცია* (*direct contribution*), მიმართული დანაშაულის მატერიალური ელემენტების რეალიზაციისაკენ,⁶¹⁷ *არსებითი კონტრიბუციის* ნაცვლად.⁶¹⁸

უინგაერტი არ ემხრობა არაპირდაპირი ამსრულებლობის დეფინიციაში *ორგანიზაციაზე კონტროლის* ელემენტის არსებობასაც.⁶¹⁹ სტატუტის 25(3)(a)-ე მუხლი, მისი აზრით, ითვალისწინებს მხოლოდ ამსრულებლობას სხვა პირის და არა ორგანიზაციის მეშვეობით.⁶²⁰

⁶¹² იხ. იქვე, პარ. 10–11; იხ. ასევე: *ICC, Prosecutor v. Chui*, TC Judgment, Concurring Opinion of Wyngaert, 18.12.2012, პარ. 5.

⁶¹³ იხ. იქვე.

⁶¹⁴ იხ. *ICC, Prosecutor v. Chui*, TC Judgment, Concurring Opinion of Wyngaert, 18.12.2012, პარ. 34.

⁶¹⁵ იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, TC Judgment, Separate Opinion of Fulford, 14.3.2012, პარ. 15–17. მისთვის გენოციდის, ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების მიმართ არარეალური და ხელოვნურია *არსებითი კონტრიბუციის* მტკიცება. ამ დანაშაულების ჩადენაში ჩართულია ბევრი ამსრულებელი, მათ შორის, ისეთი პირები, რომლებსაც მაკონტროლებელი ფუნქცია გააჩნიათ. თანაამსრულებლობის დოქტრინის გამოყენებისას კონკრეტულ დანაშაულში მართლაც რთული (ჰიპოთეტური) იქნება იმის მტკიცება, რამდენად მოხდებოდა დანაშაულის ჩადენა კონკრეტული პირის არყოფნის შემთხვევაში. იხ. იქვე, პარ. 17.

⁶¹⁶ იხ. *ICC, Prosecutor v. Chui*, TC Judgment, Concurring Opinion of Wyngaert, 18.12.2012, პარ. 43.

⁶¹⁷ იხ. იქვე, პარ. 44.

⁶¹⁸ იხ. იქვე, პარ. 6.

⁶¹⁹ იხ. იქვე, პარ. 7.

⁶²⁰ იხ. იქვე, პარ. 52.

ამსრულებლობის ეს ფორმა რთული გასამიჯნია თანამონაწილეობისგან – ხელმძღვანელობა-ბრძანების გაცემისგან [25(3)(b)-ე მუხლი]⁶²¹. ორგანიზაციაზე კონტროლის შემთხვევაში რომ კონტროლი უფრო მაღალია, ვიდრე ბრძანების გაცემა, მისი აზრით, არ იყო საკმარისი პირობა.⁶²² იგი ეწინააღმდეგებოდა პალატის ინტერპრეტაციას ამსრულებლობის მეოთხე ალტერნატივასთან – არაპირდაპირ (თანა)ამსრულებლობასთან დაკავშირებით, როდესაც სტატუტი მხოლოდ სამს განსაზღვრავს.⁶²³

აღნიშნული განსხვავებული არგუმენტები განვიხილოთ ამსრულებლობის თითოეული დოქტრინის გაანალიზებით.

6.2. თანამსრულებლობა

Prosecutor v. Lubanga-ს საქმეზე ჩამოყალიბებული თანამსრულებლობის ცნებით, ICC თავის პრაქტიკაში ამკვიდრებს *ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის (functional control over the act; Funktionelle Tatherrschaft)* გერმანულ დოქტრინას, რომელიც დაფუძნებულია *ქმედებაზე ბატონობის (domination of the act ან control of the act; Tatherrschaft)* თეორიაზე და ემსახურება ამსრულებლობასა და თანამონაწილეობას შორის არგუმენტირებული მიჯნის გავლების მიზანს,⁶²⁴ „თუ ვინ არის უფრო მეტად პასუხისმგებელი“.⁶²⁵ *ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის* თეორია მხარდაჭერილია ქართულ სისხლის სამართალშიც.⁶²⁶

⁶²¹ „უხელმძღვანელებს, წააქეზებს ან ხელს შეუწყობს აღნიშნული დანაშაულის ჩადენას, თუ ეს დანაშაული ჩადენილია ან იყო მისი ჩადენის მცდელობა.“ ხელმძღვანელობა-ბრძანების გაცემაზე (*ordering*) იხ. ნაშრომის X თავი, §2.

⁶²² იხ. ICC, *Prosecutor v. Chui*, TC Judgment, Concurring Opinion of Wyngaert, 18.12.2012, პარ. 56.

⁶²³ იხ. იქვე, პარ. 58–64.

⁶²⁴ იხ. *Ambos*, *The First Confirmation Decision*, კრებულში: *Kotsalis, Courakis, Mylonopoulos* (ed.), *Agryrios Karras* (2010), 998–999; იხ. ასევე: *ტურავა*, *მოძღვრება* (2011), 6 (პარ. 9), 239–240; აღნიშნული თეორიის რეგულაცია გერმანულ სისხლის სამართალში იხ. *Jain*, *The Control Theory*, 12 *CJIL* (2011), 161–176.

⁶²⁵ შეად. *Sliedregt*, *Individual Responsibility* (2012), 77.

⁶²⁶ შეად. *ტურავა*, *სისხლის სამართალი* (2013), 81–82, 336–340. მაგალითად, ყაჩაღობის დროს, თუ დაჯგუფების ერთ-ერთი წევრი უშუალოდ არ მონაწილეობს თავდასხმაში და აკონტროლებს მიმდებარე პერიმეტრს და ამით, უშუალოდ დანაშაულის ჩადენის დროს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში, *ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის* თეორიის მიხედვით, იგი თანამსრულებელია. შეად. იქვე, 336–337. განსხვავებულ კვალიფიკაციას ემსრობა *წერეთელი, გამყრელიძე, ნაჭყებია, სულაქველიძე, თოდუა* და *მჭედლიშვილი-ჰედრიხი*, რომლებიც *ფორმალურ-ობიექტურ* თეორიაზე დაყრდნობით, ასეთ პირს დამხმარედ მიიჩნევენ. მათი აზრით, თითოეული თანამსრულებელი უშუალოდ უნდა ასრულებდეს დანაშაულის ერთსა და იმავე შემადგენლობას. იხ. *ნაჭყებია*, დანაშაულში თანამონაწილეობა, სახელმძღვანელოში: *ნაჭყებია, თოდუა* (რედ.), *სისხლის სამართალი* (2016), 275–276; *თოდუა*, ამსრულებლობა და თანამონაწილეობა, სახელმძღვანელოში: *ნაჭყებია, თოდუა* (რედ.), *სისხლის სამართალი* (2016), 317, 328–329; *გამყრელიძე*, *სისხლის სამართალი*, I ტომი (2011), 161–162. *გამყრელიძე*, *სისხლის სამართალი*, III ტომი (2013), 260–261; 280–281; *სულაქველიძე*, *ქმედებაზე ბატონობა და თანამონაწილეობა*, კრებულში: *ტურავა* (რედ.), *სისხლის სამართლის მეცნიერება* (2013),

თანაამსრულებლობის დოქტრინა შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც დანაშაულის ჩადენის მიზნით რამდენიმე ადამიანის კოორდინირებული მოქმედება, სადაც თითოეულ მათგანს გააჩნია *დანაშაულზე კონტროლი*, თამაშობს მნიშვნელოვან როლს დანაშაულის ამსრულებლობაში და მასზე დაკისრებული ამოცანების შეუსრულებლობით შეუძლია გავლენა მოახდინოს დანაშაულის მიმდინარეობაზე. თანაამსრულებელს უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ მისი კონტრიბუცია დანაშაულში არსებითია და მოქმედებს მენტალური ელემენტის იმ აუცილებელი მოთხოვნით, რომელიც გათვალისწინებულია ამ დანაშაულისათვის.⁶²⁷ როგორც ვხედავთ, ICC-ის მიერ თანაამსრულებლობისათვის წაყენებული დანაშაულში კონტრიბუციის დონე უფრო მაღალია, ვიდრე ICTY-ის სააპელაციო პალატამ განსაზღვრა JCE-ისთვის.⁶²⁸ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, თუ ორ პირს შეუძლია ერთიანად *დანაშაულზე კონტროლი*, მაშინ ორივე თანაამსრულებელია.⁶²⁹

რაც შეეხება ICC-ის მოსამართლეების ზემოთ მითითებულ კრიტიკას ამსრულებლობის დოქტრინასთან დაკავშირებით, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ *დანაშაულზე კონტროლის* კონცეფციის გარდა, ძირითადი და დამატებითი პასუხისმგებლობის ურთიერთგამიჯენის სხვა პრინციპული ცნება არ არსებობს სისხლის სამართალში.⁶³⁰ იგივე შეიძლება ითქვას, *არსებითი კონტრიბუციის* ელემენტთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებაზე, თითქოს იგი ჰიპოთეტური გამოძიებით ფასდება. საერთაშორისო დანაშაულების სპეციფიკიდან გამომდინარე,⁶³¹ სხვაგვარად ეს შეუძლებელია. თვითონ ეროვნულ სამართალშიც, როდესაც მოსამართლე, მაგალითად, აფასებს გაუფრთხილებლობის ფაქტს ავტოსაგზაო შემთხვევებთან დაკავშირებით, იგი ჰიპოთეტურად მსჯელობს და ქმნის სავარაუდო სიტუაციას, რომლის დროსაც მას შეეძლო შედეგის თავიდან აცილება.⁶³²

რაც შეეხება სასჯელის შეფარდების პროცესს, *ფულფორდი* სწორია, რომ *გერმანიის* სისხლის სამართლის კოდექსში ასეთი დათქმა არსებობს, განსხვავებით *რომის სტატუტისგან*. თუმცა, ყველა ვარიანტში, ამით ხდება დანაშაულში მონაწილეთა დიფერენციაცია ძირითად და დამატებით ამსრულებლებად, რაც ნიშნავს იმას, რომ ამსრულებელს უფრო მაღალი სასჯელი უნდა შეეფარდოს, ვიდრე თანამონაწილეს.⁶³³

206–208; *მკედლიშვილი-პედრიხი*, გამოვლინების ფორმები (2011), 151–156; *წერეთელი*, სისხლის სამართალი, II ტომი (2007), 99–119, 134–138.

⁶²⁷ შეად. Cassese, Acquaviva, Fan, Whiting, ICL (2011), 360.

⁶²⁸ შეად. იქვე.

⁶²⁹ იხ. Ohlin, Co-Perpetration, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 520.

⁶³⁰ იხ. იქვე, 528.

⁶³¹ იხ. ნაშრომის II თავი.

⁶³² იხ. Ohlin, Co-Perpetration, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 529; იხ. ასევე: *ტურავა*, მოძღვრება (2011), 561–581, 592–595.

⁶³³ შეად. იქვე, 530–531.

ვერ გავიზიარებთ *ოჰლინის (Ohlin)* პოზიციას იმის შესახებ, რომ სასჯელის შეფარდების გერმანული მოდელი არ უნდა იქნეს გადმოტანილი *რომის სტატუტში* იმის გამო, რომ საერთაშორისო დანაშაულების სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად შეიძლება დამხმარეს უფრო მეტი ბრალი მიუძღოდეს და ასეთი სასჯელი შეიძლება იყოს უვადო თავისუფლების აღკვეთა.⁶³⁴ თუ პირს უფრო მეტი ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, იგი არ შეიძლება ამ თეორიის მიხედვით თანამონაწილედ იყოს მიჩნეული. ანგლოამერიკული ხედვით, იმ ფონზე, რომ პოზიტიური სამართალი დანაშაულში მონაწილეობის ასეთ მკაცრ კონკრეტიზაციას არ იძლევა, ეს მარტივია, თუმცა საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, როდესაც პოზიტიური სამართალი დანაშაულში მონაწილეობის ფორმებს მკაცრად მიჯნავს მისი მიზნიდან გამომდინარე, რომ დაადგინოს, თუ ვინ არის უფრო მეტად პასუხისმგებელი საერთაშორისო დანაშაულების ჩადენაში, გერმანული მოდელი ყველაზე ადეკვატური სასჯელის შეფარდების ფორმაა. საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესებშიც არ შედის „მთავარი დამნაშავეს“ თანამონაწილედ, მეორე ხარისხის მონაწილედ გამოცხადება, როდესაც სისხლის სამართლის მთელი ახალი არქიტექტურა ასეთი მონაწილის პირველი ხარისხის დამნაშავედ დაფუძნების მიზნით შეიქმნა.⁶³⁵

ასევე, მიუღებელია თანაამსრულებლობის დოქტრინის კრიტიკა იმის გამო, თუ რატომ არ ხდება დანაშაულში ჩართული თითოეული პირის მხრიდან უშუალოდ დანაშაულის მატერიალური ელემენტების შესრულება. ეს ასე რომ იყოს და თითოეულ ამსრულებელს მოეთხოვებოდეს დანაშაულის მატერიალური ელემენტების განხორციელება, მაშინ თანაამსრულებლობის პასუხისმგებლობის ფორმა დაკარგავდა ფუნქციას, ვინაიდან თითოეული მათგანის დასჯა შესაძლებელი იქნება ინდივიდუალური ამსრულებლობისათვის.⁶³⁶ საერთაშორისო დანაშაულების სისტემური ბუნების ფონზე ყველა მონაწილის ინდივიდუალური ამსრულებლობის მტკიცება, პრაქტიკულად, შეუძლებელია, რაზეც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნების ანალიზისას, ზემოთ გვქონდა საუბარი.

როგორც ვხედავთ, ICC-მ საერთაშორისო თანამეგობრობის „დავალება“ შეასრულა. თანაამსრულებლობის დოქტრინა განსხვავდება ადრე ICTY-ის იურისპრუდენციაში კარგად დამკვიდრებული JCE-ის დოქტრინისგან.

⁶³⁴ იხ. იქვე, 531.

⁶³⁵ სასჯელის შეფარდებისას ამსრულებლობა-თანამონაწილეობის სახით დანაშაულში მონაწილეობის კატეგორიზაციის აუცილებლობაზე იხ. ნაშრომის XIII თავი, რომელშიც გაანალიზებული იქნება გერმანული და ანგლოამერიკული მოდელი.

⁶³⁶ იხ. *Ohlin, Sliedregt, Weigend, Control Theory*, 26 *LJIL* (2013), 730.

6.3. თანამსრულებლობის განსხვავება JCE-ისგან

წინასასამართლო პალატის მიერ JCE-ის უარყოფა დაკავშირებული იყო დოქტრინის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ ელემენტებთან, რომლებიც, ერთი მხრივ, ინდივიდუალური პასუხისმგებლობისათვის ითხოვდა დანაშაულში აქტიურ კონტრიბუციას და, მეორე მხრივ, არც გულისხმობდა თავის თავში ამსრულებლებსა და თანამონაწილეებს შორის განსხვავებას.⁶³⁷ იგი ვერ მოერგებოდა *რომის სტატუტის* 25-ე მუხლის სტრუქტურას.

თანამსრულებლობის დოქტრინა JCE-ისგან ძირითადად განსხვავდება *დანაშაულზე კონტროლის* ცნებითა და მენტალური ელემენტებით. იგი უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს დანაშაულებრივ ქმედებაზე, ვიდრე მენტალურ ელემენტზე.⁶³⁸

Prosecutor v. Tadic-ის საქმეზე დაფუძნებული დოქტრინის მიხედვით, საერთო გეგმის ასრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კონტრიბუცია „აკმაყოფილებდა“ ობიექტურ ელემენტებს, განსხვავებით *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე დაფუძნებული თანამსრულებლობის დოქტრინისგან, რომელიც მოითხოვს დანაშაულში *არსებით კონტრიბუციას*, რომლის გარეშეც იგი ბოლომდე ვერ იქნებოდა მიყვანილი.⁶³⁹

რაც შეეხება მენტალურ ელემენტს, გასარკვევია, თუ რით განსხვავდება თანამსრულებლობის შედეგი, რომელიც „დადგება მოვლენების ჩვეული განვითარების შემთხვევაში“ (*occurring in the ordinary course of events*) JCE-ის შედეგისგან, რომელიც იყო „ბუნებრივი და წინასწარგანჭვრეტადი“ (*natural and foreseeable*) მოვლენა? პირველის შემთხვევაში საუბარია „არსებით რისკზე“ (*sufficient risk*), სადაც „დაბალი ხარისხის რისკი არ იქნება მხედველობაში მიღებული“ (*low risk will not be sufficient*). მეორე შემთხვევაში სუბიექტური ელემენტის სტანდარტი არ ითხოვს იმის გააზრებას, რომ „გაუთვალისწინებელი“ დანაშაული სავარაუდოდ მოხდებოდა. იგი ითხოვს მხოლოდ იმის მტკიცებას, ბრალდებულის მიერ იყო თუ არა დანაშაული წინასწარგათვალისწინებადი.⁶⁴⁰

ერთი შეხედვითაც, ICTY-ის მიერ JCE-ის პირველი და მეორე კატეგორიისათვის განსაზღვრული მოთხოვნები, ალტერნატიულად, ფართო ინტერპრეტაციით, შეიძლება მოერგოს როგორც არაპირდაპირი, ისე თანამსრულებლობის დოქტრინის ცნებასაც. თუმცა, მთელი პრობლემა სწორედ JCE-ის მესამე კატეგორიაშია.⁶⁴¹ JCE-ის დოქტრინა იმდენად დიდი კრიტიკის ობიექტი არ იყო საერთო გეგმის, მიზნის მტკიცების

⁶³⁷ შეად. Weigend, Co-perpetration, 6 JICJ (2008), 478.

⁶³⁸ შეად. Cassese, ICL (2013), 176.

⁶³⁹ შეად. Liefänder, The Lubanga Judgment, 1(1) CJICL (2012), 203.

⁶⁴⁰ შეად. იქვე, 206–207.

⁶⁴¹ შეად. Manacorda, Meloni, Indirect Perpetration versus JCE, 9 JICJ (2011), 175.

აუცილებლობის გამო, რამდენადაც მისი მესამე კატეგორიის განუსაზღვრელი ჩარჩოს არსებობისთვის. ამის გამო, მას „ნებისმიერის გასამართლების“ (*just convict everyone*) დოქტრინადაც მოიხსენიებდნენ.⁶⁴²

თუმცა განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს იმის შესახებ, რომ თანაამსრულებლობის დოქტრინა უფრო შორს მიდის და ფართოა, ვიდრე *JCE*, მათ შორის, მისი მესამე კატეგორია, რომელიც, ინდივიდუალური ბრალის პრობლემის გამო ხშირად იყო კრიტიკის საგანი. კერძოდ, *გაერცობილი JCE* აკეთებს დათქმას – საერთო გეგმის ფარგლებში განზრახული დანაშაულის ჩადენის შესახებ იმ დროს, როდესაც თანაამსრულებლობის დოქტრინა არ ითხოვს აღნიშნულს. დოქტრინის მიხედვით, პირი თანაამსრულებლად შეიძლება იყოს მიჩნეული მიუხედავად იმისა, რომ მან არადანაშაულებრივი გეგმით შექმნა დანაშაულის ჩადენის „არსებითი რისკი“.⁶⁴³ ობიექტური კრიტერიუმში, რომლის მიხედვითაც თანაამსრულებელი უნდა ახორციელებდეს *არსებით კონტრიბუციას* დანაშაულის მატერიალური ელემენტების რეალიზაციისთვის, მდგომარეობს იმაში, რომ აქ საუბარია ჯერ კიდევ ისეთ გეგმაზე, რომელიც „პოტენციურად“ დანაშაულებრივია. ზუსტი დეფინიციის არარსებობამ შეიძლება თანაამსრულებლობის დოქტრინის ფართო ცნებამდე მიგვიყვანოს.⁶⁴⁴

6.4. არაპირდაპირი ამსრულებლობა

Prosecutor v. Katanga and Chui-ს საქმეზე ფართოდ გაშლილი არაპირდაპირი ამსრულებლობის კონცეფცია, რომელიც დანაშაულის ჩადენის ადგილს მოშორებით „სავარძელში მსხდომ მკვლელებზე საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების იდეალურ შესაძლებლობად“ არის მოხსენიებული,⁶⁴⁵ სისხლის სამართლის მეცნიერებასა და სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკაში კარგად გამოყენებადი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თეორიაა. არაპირდაპირი ამსრულებლობისას შუალობითი ამსრულებელი იყენებს უშუალო ამსრულებელს, როგორც იარაღს დანაშაულის ჩასადენად. არაპირდაპირი ამსრულებლობის შინაარსის განმარტებისას, *ICC* ავითარებს *როქსინის* მიერ შემუშავებულ დოქტრინას – „ამსრულებელი ამსრულებლის უკან“ (*perpetrator behind perpetrator, Täter hinter dem Täter*),⁶⁴⁶ სადაც არაპირდაპირ

⁶⁴² იხ. *Badar*, “Just Convict Everyone”, 6 *ICLR* (2006), 293–302.

⁶⁴³ იხ. *Liefländer*, *The Lubanga Judgment*, 1(1) *CJICL* (2012), 207–208.

⁶⁴⁴ იხ. იქვე. ავტორი არ იზიარებს გაბატონებულ შეხედულებას, თითქოს თანაამსრულებლობის დოქტრინის მიმართ დაწესებულია კონტრიბუციის უფრო მაღალი ხარისხი, ვიდრე *JCE*-ისთვის.

⁶⁴⁵ იხ. *Werle*, *Burghardt*, *Indirect Perpetration*, 9 *JICJ* (2011), 85.

⁶⁴⁶ იხ. *ICC*, *Prosecutor v. Katanga and Chui*, *Confirmation of Charges*, 30.9.2008, პარ. 496–497. *ICC*-ის წინასასამართლო პალატის მიერ ციტირებულია – *Roxin*, *Straftaten im Rahmen organisatorischer Machtapparate*, *GA* (1963), 193–207. აღნიშნული სტატიის ინგლისური ვერსია იხ. *Roxin*, *Organized Power Structures*, 9 *JICJ* (2011), 193–205. აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნების შემდგომ,

ამსრულებელზე, პირდაპირ ამსრულებელთან ერთად, ხდება ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება: პირდაპირ ამსრულებელზე – დანაშაულის მატერიალური და მენტალური ელემენტების შესრულებისათვის, ხოლო არაპირდაპირ ამსრულებელზე – დანაშაულზე კონტროლისათვის, პირდაპირი ამსრულებლის ქმედებაზე კონტროლის მეშვეობით. ამსრულებელი ამსრულებლის უკან არის პასუხისმგებელი, გამომდინარე იქიდან, რომ იგი ახორციელებს კონტროლს პირდაპირი ამსრულებლის ქმედებაზე.⁶⁴⁷ როქსინის ქმედებაზე ბატონობის თეორიის მიზანიც სწორედ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ამ გზით დასაბუთება იყო.

6.4.1. როქსინის ქმედებაზე ბატონობის თეორია

როქსინის დოგმატიკის – ქმედებაზე ბატონობის (*domination of the act; Tatherrschaft*) თეორიის მიზანი ამსრულებლობის საერთო დეფინიციური კრიტერიუმის შექმნა იყო. ამსრულებელი ბატონობს (*beherrscht*) დანაშაულის ჩადენაზე, რომელსაც აქვს ძალაუფლება, განსაზღვროს შესაბამისი ქმედების „შინაარსი“.⁶⁴⁸

როქსინის თეორიამ მალევე დაიმკვიდრა ადგილი *გერმანიის* სისხლის სამართლის თეორიაში. თუმცა *გერმანიის* სასამართლოები ეწინააღმდეგებოდნენ როქსინის თეორიის აღიარებას და განაგრძობდნენ სუბიექტური თეორიის მხარდაჭერას, რომელსაც XIX საუკუნის ბოლოდან იყენებდნენ.⁶⁴⁹ სუბიექტური თეორიის მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომელიც მოქმედებდა ამსრულებლის განზრახვით (*animus auctoris*), იქნებოდა განხილული ამსრულებლად, მისი ფაქტობრივი კონტრიბუციის მიუხედავად, ხოლო, მეორე მხრივ, დამხმარე იქნებოდა პირი, რომელიც მოქმედებდა დახმარების განზრახვით (*animus socii*), ასევე, დანაშაულის ელემენტების პერსონალური შესრულების მიუხედავად.⁶⁵⁰ დანაშაულებრივ ქმედებასთან როგორც ამსრულებლის, ისე თანამონაწილის კონტრიბუცია უნდა ყოფილიყო კაუზალურ კავშირში, მაგრამ, როგორც კი გართულდებოდა ზღვარის გავლება „დიდ კაუზალობას“ (*more causal*) და „ნაკლებ კაუზალობას“ შორის (*less causal*), აღნიშნული თეორიით, სუბიექტური მხარე თამაშობდა გადამწყვეტ როლს.⁶⁵¹

როქსინის თეორია აღიარა *გერმანიის* ფედერალურმა სასამართლომ (*Bundesgerichtshof*). ამასთან დაკავშირებით დაწ. იხ. Weigend, Perpetration through an Organization, 9 *JICJ* (2011), 94–99. დოქტრინის კრიტიკასთან დაკავშირებით იხ. იქვე, 99–101.

⁶⁴⁷ იხ. იქვე.

⁶⁴⁸ იხ. Werle, Burghardt, Indirect Perpetration, 9 *JICJ* (2011), 191; იხ. ასევე: Kreß, Roxins Lehre, 153 *GA* (2006), 304–310; ტურავა, სისხლის სამართალი (2013), 335–340; სულაქველიძე, ქმედებაზე ბატონობა და თანამონაწილეობა, კრებულში: ტურავა (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება (2013), 191–210.

⁶⁴⁹ იხ. Weigend, Perpetration through an Organization, 9 *JICJ* (2011), 94.

⁶⁵⁰ იხ. იქვე, 94–95; იხ. ასევე: Werle, Burghardt, Indirect Perpetration, 9 *JICJ* (2011), 191–192.

⁶⁵¹ იხ. იქვე, 94–95.

სუბიექტური თეორია მეცნიერებაში არ იყო მხარდაჭერილი და უპირატესობა უფრო და უფრო *როქსინის* ობიექტური (*objectivist*) თეორიის ვარიანტს ენიჭებოდა. 1960 წელს გერმანელი კანონმდებლების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის რეფორმირებისას სწორედ *როქსინის* თეორია იქნა მხარდაჭერილი დანაშაულში მონაწილეობის ფორმების ნაწილში.⁶⁵²

როქსინის თეორიით, არაპირდაპირი ამსრულებელი (*mittelbare Täter*) ბატონობს „ადამიანზე, როგორ ინსტრუმენტზე“ (*human instrument*), რომელიც სჩადის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. თეორიის მიხედვით, უშუალო ამსრულებელი დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად არ აკმაყოფილებს ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ ელემენტს. თუ იგი დანაშაულის ჩადენაში განიცდის სრულ „ავტონომიას“, მაშინ ვერ იქნება იმავდროულად „ინსტრუმენტი“ სხვის ხელში – ე.წ. „ავტონომიურობის პრინციპი“ (*autonomy principle*). თუ ამსრულებლის ქმედება დამოუკიდებელია, მაშინ უკვე თანამონაწილეობასთან გვაქვს საქმე.⁶⁵³

თავიდან *როქსინი* არაპირდაპირი ამსრულებლობის ტრადიციულ გაგებას ემხრობოდა, სადაც უშუალო ამსრულებელი სისხლისსამართლებრივად არ აგებდა პასუხს, მაგრამ როდესაც გააანალიზა *ადოლფ აიხმანის* (*Adolf Eichman*) საქმე⁶⁵⁴, რომელიც *იერუსალიმში* გასამართლდა გენოციდის დანაშაულის გამო, მან არაპირდაპირი ამსრულებლობის დოქტრინა, ტრადიციულ გაგებასთან ერთად, სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებელი პირის ქმედებაზე ბატონობის შემთხვევაშიც გახადა შესაძლებელი, როცა პირდაპირი და არაპირდაპირი ამსრულებლების პასუხისმგებლობა ერთობლივად შეიძლება დადგეს. ეს იყო არაპირდაპირი ამსრულებლობის შემთხვევა (*indirect perpetration; mittelbare Täterschaft*), როდესაც პირდაპირი ამსრულებელი სჩადიოდა დანაშაულს მის ზურგს უკან მდგომი არაპირდაპირი ამსრულებლის ნების შესაბამისად (*perpetrator behind the perpetrator; Täter hinter dem Täter*).⁶⁵⁵

როქსინის აზრით, *აიხმანი*, რომელიც გასცემდა მილიონობით ებრაელის მოკვლის ბრძანებას, ვერ იქნებოდა თანამონაწილე, წამქეზებელი

⁶⁵² იხ. იქვე, 95.

⁶⁵³ იხ. იქვე, 96. *ქმედებაზე ბატონობა* შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით.

⁶⁵⁴ *ადოლფ აიხმანი* იყო *Gestapo*-ს მადალხინოსანი, რომელიც ებრაელების საკონცენტრაციო ბანაკებში მასშტაბურ გადაყვანაზე იყო პასუხისმგებელი, *პოლოკოსტის* ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა. იგი ლტოლვილის სტატუსით თავს აფარებდა *არგენტინას*, *ბუენოს-აირესს*, *რიკარდო კლემენტის* (*Ricardo Klement*) სახელით. *აიხმანი* 1960 წელს *ისრაელის* აგენტების მიერ გადაყვანილ იქნა *ისრაელში*, სადაც გაასამართლეს ებრაელების წინააღმდეგ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულებისათვის. დაწ. იხ. *Ben-Naftali, Eichman*, კრებულში: *Cassese* (ed.), *Oxford Companion* (2009), 653–656; იხ. ასევე: *Bilsky*, *The Eichmann Trial*, 12 *JICJ* (2014), 27–57.

⁶⁵⁵ იხ. *Weigend*, *Indirect Perpetration*, კრებულში: *Stahn* (ed.), *ICC* (2015), 547.

ან დამხმარე, რასაც ემხრობოდა „ავტონომიურობის პრინციპი“.⁶⁵⁶ ამსრულებელი ვერ უზრუნველყოფდა დანაშაულის პრევენციას იმიტომ, რომ არაპირდაპირი ამსრულებლობის დროს ქმედება არ იყო ინდივიდუალური, არამედ ეს იყო „დანაშაულებრივი ორგანიზაციის“ ნაწილი.⁶⁵⁷ *როქსინი* იზიარებდა სასამართლოს შეფასებას *აიხმანის* ბრალეულობასთან დაკავშირებით – ისეთ ფართო დანაშაულებში, რომლებშიც უამრავი ადამიანი მონაწილეობდა, ბრალდებულის შემთხვევაში არ იყო „პრაქტიკული“ „დახმარებისა“ და „წაქეზების“ ცნებების გამოყენება. იგი მოიაზრებოდა, როგორც ამსრულებელი.⁶⁵⁸ *აიხმანის* მონაწილეობის ყველა დონე იყო არსებითი. იგი გამოცხადდა ძირითად ამსრულებლად სხვადასხვა დანაშაულებრივი ქმედების დახმარებისა და კოოპერაციისათვის. პროცესზე აღინიშნა, რომ მასშტაბურ დანაშაულებში რთული იყო განსაზღვრა, თუ „ვინ ვინ წააქეზა“.⁶⁵⁹

როქსინმა ახალი კონცეფციის ჩამოყალიბებისას საბჭოთა უშიშროების სამსახურის აგენტის, *ბოგდან სტაშინსკის (Bogdan Stashynsky)* საქმეც გააანალიზა.⁶⁶⁰

შესაბამისად, *როქსინი* ორგანიზებული ძალაუფლების სტრუქტურის მიერ ჩადენილ დანაშაულებს ფართო მნიშვნელობით განიხილავდა, როგორც ინდივიდუალურ აქტს.⁶⁶¹

როქსინის აზრით, არსებობდა *დანაშაულზე კონტროლის* ისეთი შესაძლებლობაც, როდესაც პირი დანაშაულს სჩადიოდა ისეთი ხელქვეითების მეშვეობით, რომლებიც თვითონაც, ინდივიდუალურად აღებულები, იყვნენ დანაშაულის ამსრულებლები. მაგიდის უკან მდგომი ამსრულებელი (*perpetrator behind the desk*) იმით განსხვავდებოდა წამქეზებლისგან, რომ მას არ სჭირდებოდა ძირითადი ქმედების შემსრულებელი პირის ძებნა, არამედ უკვე ჰყავდა ისეთი პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის სურვილი ჰქონდა.⁶⁶² *როქსინის* თეორიის მიზანი იყო

⁶⁵⁶ იხ. *Weigend*, *Perpetration through an Organization*, 9 *JICJ* (2011), 96.
⁶⁵⁷ იხ. *Roxin*, *Organized Power Structures*, 9 *JICJ* (2011), 199–200, ნათარგმნია გერმანულიდან – *Roxin*, *Straftaten im Rahmen organisatorischer Machtapparate*, *GA* (1963), 193–207.
⁶⁵⁸ დაწ. იხ. იქვე, 199–201.
⁶⁵⁹ დაწ. იხ. *Ambos*, *Treatise on ICL*, Vol. I (2013), 114.
⁶⁶⁰ *ბოგდან სტაშინსკი (Bogdan Stashynsky)* - დამნაშავედ ცნეს ორი უკრაინელი ნაციონალისტი ლიდერის მკვლელობისთვის *მიუნხენში*. იგი მოქმედებდა საბჭოთა უშიშროების სამსახურის ბრძანებით. 1961 წელს *სტაშინსკი გერმანიაში* დაბადებულმა მეუღლემ დაითანხმა ელიარებინა ჩადენილი დანაშაული *გერმანიის* სამართალდამცავი ორგანოების წინაშე. *გერმანიის* ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ, სუბიექტური თეორიის გამოყენებით, იგი დამნაშავედ ცნო მკვლელობების არა ამსრულებლობის, არამედ თანამონაწილეობისათვის. სასამართლოს აზრით, მას არ ჰქონდა დანაშაულების ჩადენის პერსონალური ინტერესი, იგი იყო უფრო უშიშროების სამსახურის იარაღი, გამოყენებული მისი მეთაურების მიერ. მას მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. იხ. *Roxin*, *Organized Power Structures*, 9 *JICJ* (2011), 194, ნათარგმნია გერმანულიდან – *Roxin*, *Straftaten im Rahmen organisatorischer Machtapparate*, *GA* (1963), 193–207.
⁶⁶¹ იხ. იქვე, 195.
⁶⁶² იხ. *Weigend*, *Perpetration through an Organization*, 9 *JICJ* (2011), 97.

„საიდუმლო“ მეთაურების სისხლისსამართლებრივი დევნა, რომლებიც იყვნენ ყველაზე პასუხისმგებელი დანაშაულზე კონტროლის გამო, „ნორმატიული პრინციპის“ გაგებით.⁶⁶³

როდესაც დანაშაულებრივი ჯგუფის უკან მდგომი ამსრულებელი (*behind-the-scenes actor*) გასცემს მკვლელობის ბრძანებას, იგი არ ფიქრობს იმაზე, თუ რომელი კონკრეტული მონაწილე მოიყვანს დანაშაულს სისრულეში. მან იცის, თუ ერთი მონაწილე ვერ აღასრულებს ქმედებას, მას მეორე აუცილებლად შეცვლის და ბოლომდე მოიყვანს ჩანაფიქრს.⁶⁶⁴

როქსინი სამ მიზეზს ასახელებს, თუ როგორ შეიძლება არაპირდაპირმა ამსრულებელმა უშუალო მოქმედების გარეშე განახორციელოს კონტროლი სხვა პირებზე – ეს შესაძლებელია უშუალო ამსრულებლის იძულებით, მოტყუებითა ან, მესამე, როცა იძულება და მოტყუება ვერ ხერხდება, მისი შეცვლა შესაძლებელი უნდა იყოს სხვა მეთოდით.⁶⁶⁵

როქსინის თეორია ნელ-ნელა იკიდებდა ფეხს *გერმანიის* სამართლებრივ სისტემაში. 1975 წელს *გერმანიის* სისხლის სამართლის კოდექსის ამსრულებლობის დებულების ფორმულირება შეიცვალა *როქსინის* ამსრულებლობის თეორიის ცნებით, რის შემდეგაც ამსრულებლობა-თანამონაწილეობის სუბიექტური თეორია ნელ-ნელა შეცვალა ამსრულებლობის ობიექტურმა თეორიამ.⁶⁶⁶

გერმანიის გაერთიანების შემდეგ, გასული საუკუნის 90-იან წლებში, *გერმანიის* ფედერაციული რესპუბლიკის სასამართლომ, როდესაც იხილავდა საზღვრის გადაკვეთის მცდელობისთვის *გერმანიის* დემოკრატიულ რესპუბლიკაში ასობით მოქალაქის მკვლელობის საკითხს, მაღალი თანამდებობის პირების დასასჯელად გამოიყენა *როქსინის* თეორია. მისი აზრით, *გერმანიის* დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო მეთაურები იყვნენ მკვლელობის ამსრულებლები და არა თანამონაწილეები (წამქეზებელი), საზღვრის დაცვის მკაცრი რეჟიმის შექმნით, საზღვრის დაცვის მკაცრი პრევენციული ბრძანებების გაცემით, რომლებსაც ემორჩილებოდნენ მესაზღვრეები. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრათ როგორც მესაზღვრეებს, ასევე მათ მეთაურებს.⁶⁶⁷

როქსინის თეორიის ზეგავლენა საერთაშორისო სისხლის სამართალში ICC-მდე, *ad hoc* ტრიბუნალებშიც შეინიშნებოდა, რასაც

⁶⁶³ შეად. *Sliedregt*, Perpetration and Participation, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 508.

⁶⁶⁴ იხ. *Roxin*, Organized Power Structures, 9 *JICJ* (2011), 198, ნათარგმნია გერმანულიდან – *Roxin*, Straftaten im Rahmen organisatorischer Machtapparate, *GA* (1963), 193–207.

⁶⁶⁵ იხ. იქვე, 199.

⁶⁶⁶ იხ. იქვე, 193.

⁶⁶⁷ იხ. *Weigend*, Perpetration through an Organization, 9 *JICJ* (2011), 98–99; მესაზღვრეების საქმეზე იხ. ასევე: *ტურავა*, მოძღვრება (2011), 31–35.

არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინის ანალიზისას განვიხილავთ.⁶⁶⁸

6.4.2. არაპირდაპირი ამსრულებლობის დოქტრინის ცნებასთან დაკავშირებით

არაპირდაპირი ამსრულებლობის ინსტიტუტი, რომელიც გერმანულ დოქტრინას ეყრდნობა დღესდღეობით მთავარი გასაღებია ICC-ის მხრიდან პოლიტიკურ და სამხედრო ლიდერებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად.⁶⁶⁹ იგი უნდა გავიგოთ როგორც *დანაშაულზე კონტროლი*, რომელიც მოიცავს *ორგანიზაციაზე კონტროლსაც*. აუცილებელი არაპირდაპირი ამსრულებლობისათვის, ეს არის *ორგანიზებულ აპარატის* არსებობა, სადაც პირდაპირი და არაპირდაპირი ამსრულებლები მოქმედებენ და რომელიც შესაძლებლობას აძლევს არაპირდაპირ ამსრულებელს, უზრუნველყოს დანაშაულის ამსრულებლობა. არაპირდაპირი ამსრულებლობის დროს ხელქვეითები კარგავენ დამოუკიდებელი ამსრულებლის როლს და მოიაზრებიან უბრალო წევრებად „ორგანიზაციაში“. აქ იზრდება „ჩრდილში მყოფი ამსრულებლის“ გავლენა დანაშაულის ჩადენაში, თუნდაც იმის ხაზგასმით, რომ უშუალო ამსრულებლების შეცვლით არ იცვლება დანაშაულის ჩადენის სტრატეგია.⁶⁷⁰ მთავარია, არაპირდაპირი ამსრულებლის დანაშაულის პოლიტიკა.

არაპირდაპირ ამსრულებლობასთან მიმართებით *დანაშაულზე კონტროლი* უნდა გავიგოთ, როგორც კონტროლი იმ პირებზე, რომლებიც ახორციელებენ დანაშაულის მატერიალურ შემადგენლობას. აქედან გამომდინარე, ზოგადი მიდგომა ყველა დანაშაულის მიმართ, პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მატერიალური ელემენტების მოთხოვნებთან ერთად, უნდა იყოს შესაბამისი დანაშაულის (კონტროლის) მენტალური ელემენტის მტკიცება.

ტრადიციული ცნების მიხედვით, რომელსაც ქართული კანონმდებლობაც იზიარებს („შუალობითი ამსრულებლობის“ სახით), არაპირდაპირი ამსრულებელი დანაშაულში მონაწილეობის ძირითადი ფორმით (ამსრულებლობისთვის) ისჯება იმიტომ, რომ იგი არის ერთადერთი პასუხისმგებელი პირი⁶⁷¹, რომელიც „იწვევს უშუალო მიზეზობრივ კავშირს“ კრიმინალურ ქმედებასა და შედეგს შორის. ეს არის ის, რაც განასხვავებს

⁶⁶⁸ არაპირდაპირი ამსრულებლობის შესახებ *გერმანიის* სისხლის სამართლის კოდექსში დაწ. იხ. *Bohlander*, German Criminal Law (2009), 156–160.

⁶⁶⁹ იხ. *Werle, Burghardt*, Indirect Perpetration, 9 *JICJ* (2011), 85.

⁶⁷⁰ შეად. *Chouliaras*, International Criminality, კრებული: *Smeulers* (ed.), Collective Violence and ICJ (2010), 87–88.

⁶⁷¹ განზრახი დანაშაულის დროს. გაუფრთხილებლობისას, ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკის მიხედვით, „იარადი“ შესაძლებელია ასევე მოქმედებდეს ბრალეულადაც. შეად. *გამყრელიძე*, სისხლის სამართალი, I ტომი (2011), 222–238; *მკედლიშვილი-პედრიხი*, გამოვლინების ფორმები (2011), 174–185; *წერეთელი*, სისხლის სამართალი, II ტომი (2007), 119.

მას წამქეზებლისგან, რომელიც შედეგს პასუხისმგებელი პირის (ამსრულებლის) მეშვეობით იწვევს.⁶⁷² რაც შეეხება სანქციას, ეს უკვე სისხლის სამართლის პოლიტიკის საკითხია, ვინ უფრო მძიმედ დაისჯება. ეს გაგლენას არ ახდენს ბრალეულობის ხარისხზე.⁶⁷³ ამას მნიშვნელობა აქვს სწორი პასუხისმგებლობისთვის, ძირითადი და დამატებითი პასუხისმგებლობის ურთიერთგასამიჯნად.⁶⁷⁴

არაპირდაპირი ამსრულებლობის პასუხისმგებლობის ფორმა თავიდან შეიქმნა სწორედ რეალური დამნაშავის დასასჯელად, „უდანაშაულო აგენტის“, ცოცხალი იარაღის შემთხვევაში. მაგალითად, ა. დაარწმუნებს ბ.-ს, ვითომ ც.-ს სურს საკუთარი სახლის დანგრევა და ახლის აშენება. ამის შედეგად, თუ ბ. დაანგრევს ც.-ს სახლს, ბ. დაისჯება დაუდევრობისთვის. ა. ვერ დაისჯება წაქეზებისთვის, ვინაიდან წაქეზება მხოლოდ განზრახი დანაშაულის დროს არის შესაძლებელი. არაპირდაპირი ამსრულებლობის შემთხვევაში კი ა.-ს დასჯა სავსებით შესაძლებელია.⁶⁷⁵ სწორედ ამიტომ XIX საუკუნის თეორეტიკოსებმა შექმნეს შუალობითი (არაპირდაპირი) ამსრულებლობის კონცეფცია, რომლითაც ა. ისჯება ჩადენილი ქმედებისათვის. თუმცა არაპირდაპირი ამსრულებლობა არ იქნებოდა გამოკვეთილი, თუ პირი მოქმედებას დაიწყებდა თავისით. ამ შემთხვევაში იგი დაისჯებოდა ინდივიდუალურად განზრახი დანაშაულისთვის და უკან მდგომი პირი შეიძლება დასჯილიყო წაქეზებისთვის.⁶⁷⁶

შესაძლებელია *აღ ბაშირის* სისხლისსამართლებრივი დევნისთვის გამოყენებული არაპირდაპირი ამსრულებლობის დოქტრინა, რომლითაც მტკიცდება ბრალდებულის *ძალაუფლება აპარატზე*, გამოყენებული იქნეს ჯარისკაცზეც, რომელიც აიძულებს მეორე ჯარისკაცს მშვიდობიანი მოქალაქის მოკვლას. ორივე შემთხვევაში ეს არის არაპირდაპირი ამსრულებლობა, მიუხედავად მათი პასუხისმგებლობის მასშტაბისა,⁶⁷⁷ თუმცა, რა თქმა უნდა, განსხვავება *ორგანიზაციაზე ბატონობაშია*, რაც სასჯელის შეფარდებაზე აისახება.

როქსინის თეორიას აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ იგი გულისხმობდა არა ქმედებაზე ბატონობას, არამედ დანაშაულებრივ შედეგზე.⁶⁷⁸ გაურკვეველი იყო, ქმედებაზე კონტროლი და ბატონობა, ეს იყო ფაქტობრივი, თუ ნორმატიული კონცეფცია.⁶⁷⁹ არ იყო არავითარი

⁶⁷² შეად. Weigend, Indirect Perpetration, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 538. დაწ. იხ. ტურავა, სისხლის სამართალი (2013), 324–340; გამყრელიძე, სისხლის სამართალი, III ტომი (2013), 266–272; გამყრელიძე, სისხლის სამართალი, I ტომი (2011), 130–156; მკედლიშვილი-ჰედრისი, გამოვლინების ფორმები (2011), 174–176; წერეთელი, სისხლის სამართალი, II ტომი (2007), 156–157.

⁶⁷³ შეად. იქვე.

⁶⁷⁴ იხ. იქვე, 539.

⁶⁷⁵ იხ. Weigend, Problems of Attribution, 12 JICJ (2014), 258–259.

⁶⁷⁶ იხ. იქვე, 259.

⁶⁷⁷ შეად. Manacorda, Meloni, Indirect Perpetration versus JCE, 9 JICJ (2011), 177.

⁶⁷⁸ იხ. Weigend, Perpetration through an Organization, 9 JICJ (2011), 99–101.

⁶⁷⁹ იხ. იქვე.

თეორიული ლიმიტი, თუ როგორ უნდა განხორციელდებინა არაპირდაპირ ამსრულებელს გაველენა, პერსონალური დარწმუნებით თუ სხვაგვარად. ასევე, იგი არ იყო ერთსულოვნად აღიარებული ICC-ის მოსამართლეებში, სხვადასხვა მოსამართლეს ჰქონდა განსხვავებული პოზიცია. ისინი *ქმედებაზე ბატონობის, ორგანიზაციული ბატონობის* თეორიას ვერ ხედავდნენ *რომის სტატუტში*. მის გამოყენებას მიიჩნევდნენ კანონიერების პრინციპის დარღვევად. ინტერპრეტაცია სტატუტის 22(2)-ე მუხლის მიხედვით უნდა ყოფილიყო მკაცრი (*strict*), ხოლო ანალოგია დაუშვებელი. მის წინააღმდეგობას ხედავდნენ *in dubio pro reo*-ს პრინციპთანაც.⁶⁸⁰

კანონიერების პრინციპთან დაკავშირებით არ არის გასაზიარებელი მოსამართლეთა კრიტიკა არაპირდაპირი ამსრულებლობის მიმართ, თითქოს იგი არ გამოძინარეობს *რომის სტატუტის* 25(3)(a)-ე მუხლის სიტყვასიტყვითი უღერადობიდან. 25(3)(a)-ე მუხლი იძლევა არაპირდაპირი ამსრულებლობის გამოყენებისათვის ფართო დათქმას, რომ შესაძლებელია ამსრულებლობა არაპირდაპირი ამსრულებლობით, მაგრამ არაფერია ნათქვამი სტატუტში, თუ როგორი ფორმით უნდა განხორციელდეს ეს.⁶⁸¹

25(3)(a)-ე მუხლში ამსრულებლობის მესამე ალტერნატივა – „ჩაიდენს დანაშაულს ... ან სხვა პირის მეშვეობით, მიუხედავად იმისა, ეკისრება თუ არა ამ სხვა პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა” – „წმინდა” არაპირდაპირი ამსრულებლობის კონსტრუქციაა, რომელიც გულისხმობს არაპირდაპირი ამსრულებლის („უკან მდგომი პირის“) მიერ დანაშაულის ჩადენას სხვა პირის („წინ მდგომი პირის“) მეშვეობით, რომელიც შეიძლება იყოს როგორც პასუხისმგებელი, ასევე არაპასუხისმგებელი სუბიექტი – „მიუხედავად იმისა, ეკისრება თუ არა ამ სხვა პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა”.

წინასასამართლო პალატის შეფასება, რომ არაპირდაპირი ამსრულებლობა უფრო და უფრო ფართოდ გამოიყენებოდა ეროვნულ სისხლის სამართალში, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ასეთი ქვეყანა სულ იყო ხუთი – *არგენტინა, ჩილე, გერმანია, პერუ და ესპანეთი*, რომელთაგან *არგენტინაში* უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება და არაპირდაპირი ამსრულებლობა აღიარა.⁶⁸²

ვაიგენდის (Weigend) თქმით, *როქსინის* თეორია უფრო ხელსაყრელი იყო გამოგვეყენებინა ორგანიზებული, ბრძანების შესრულებაზე ორიენტირებული, ბიუროკრატიული დიქტატურის შემთხვევაში, იერარქიული დანაშაულების შემთხვევაში და არა არაორგანიზებული (*disorganized*) სამხედრო ან აჯანყებული ძალების მიერ ჩადენილი დანაშაულებისას, სადაც ლიდერების წარმატება ოპერაციების წარმატებაზე იყო ორიენტირებული. *ვაიგენდი* ფიქრობს, რომ არაპირდაპირი

⁶⁸⁰ იხ. *Weigend, Indirect Perpetration*, კრებულში: *Stahn (ed.), ICC (2015)*, 549–554.

⁶⁸¹ იხ. იქვე, 550–551.

⁶⁸² იხ. იქვე, 550.

ამსრულებლობისას ორგანიზაციის ზოგადმა ცნებამ შეიძლება უფრო მეტი პრობლემა წამოჭრას, ვიდრე გადაწყვიტოს.⁶⁸³

რომის სტატუტის 25(3)(a)-ე მუხლში *ვაიკენდი* არაპირდაპირი ამსრულებლობის ინტერპრეტაციის რამდენიმე შესაძლებლობას გეთავაზობს: პირველი – უცვლელი დარჩეს *Prosecutor v. Katanga and Chui*-ს საქმეზე ჩამოყალიბებული ცნება, „სხვა პირის“ (*another person*) კონსტრუქციის გაფართოებული შინაარსით, რომელიც მოიცავს *ორგანიზაციაზე კონტროლს*, როგორც ეს იყო განვითარებული *როქსინის* თეორიით; მეორე – შესაძლებელია ორგანიზაციის ცნების გაფართოებაც; მესამე – არაპირდაპირი ამსრულებლობით შესაძლებელია *ICTY*-ის იურისპრუდენციაში დამკვიდრებული *JCE*-ის დოქტრინის გადმოტანა⁶⁸⁴; დაბოლოს, მეოთხე – არაპირდაპირი ამსრულებლობა ინტერპრეტირებულ იქნეს პირდაპირ, როგორც წერია 25(3)(a)-ე მუხლში – „პერსონალური ბატონობა“ ინდივიდზე, რომელიც უშუალოდ ახორციელებს დანაშაულს.⁶⁸⁵

ვაიკენდი 25(3)(a)-ე მუხლის პირდაპირ შინაარსს ემხრობა, მეოთხე ინტერპრეტაციას, სადაც ბრალდების მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ ბრალდებულს ჰქონდა კონტროლი იმ პირთა ნებაზე, რომლებიც ახორციელებდნენ დანაშაულის მატერიალურ ელემენტებს და არა ორგანიზაციაზე. ეს შესაძლებელი იყო სხვადასხვა ფორმით. კერძოდ, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლით, არსებულ ფაქტებზე „არასწორი წარმოდგენის“ შექმნით, ფაქტობრივი გარემოებების დამახინჯებით, ან სხვა პირის მანიპულაციით. მისი აზრით, მხოლოდ ორგანიზაციის ლიდერობა არ არის საკმარისი პირობა *ორგანიზაციაზე ბატონობის* დასამტკიცებლად.⁶⁸⁶

შესაბამისად, *ვაიკენდი* მიიჩნევს, რომ არაპირდაპირი ამსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად ნებაზე ბატონობაა ყველაზე კარგი გამოსავალი (*control over the will*), ვინაიდან მხოლოდ პირის პოზიცია არ შეიძლება იყოს პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი გარემოება. ნებაზე ბატონობა ზოგადი ცნებაა და ყველა საქმეზე ინდივიდუალურად უნდა დადგინდეს. პროკურორმა უნდა ამტკიცოს, რომ ბრალდებული ბატონობდა ფიზიკურ ამსრულებელთა ნებაზე.⁶⁸⁷

წარმოდგენილი წინადადების ფარგლებში, საინტერესოა, რომ კონტროლი უნდა იქნეს დასაბუთებული კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, რომელიც ეხება ურთიერთობას იმ პირთა შორის, რომლებიც

⁶⁸³ იხ. იქვე, 553.

⁶⁸⁴ *ვაიკენდის* აზრით, *რომის სტატუტის* შემქმნელები ნაკლებად გულისხმობდნენ *JCE*-ს ამსრულებლობის ცნებაში. იგი ჩართულ იქნა უფრო 25(3)(d)-ე მუხლის შინაარსში. იხ. *Weigend*, *Perpetration through an Organization*, 9 *JICJ* (2011), 108–109.

⁶⁸⁵ იხ. იქვე, 106; იხ. ასევე: *Sliedregt*, *Individual Responsibility* (2012), 169.

⁶⁸⁶ იხ. იქვე, 109; იხ. ასევე: *Weigend*, *Indirect Perpetration*, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 555.

⁶⁸⁷ იხ. იქვე.

დაინტერესებული არიან დანაშაულებრივი შედეგის მიღებით. ბრალდებამ არ უნდა ამტკიცოს მხოლოდ ორგანიზაციის არსებობა.⁶⁸⁸

ვაიკენდს გაცნობიერებული აქვს, რომ ასეთი სტანდარტის დაფუძნება გაურთულებს ბრალდების მხარეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მტკიცების პროცესს, თუმცა, მისი აზრით, კანონიერებისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპების ფარგლებში, ინდივიდუალური ბრალეულობის დასაბუთება არ უნდა მოხდეს არასაკმარისი მტკიცებულებებით.⁶⁸⁹

ვაიკენდის პოზიცია გასაზიარებელია ისეთ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულს სჩადის რამდენიმე პირისგან შემდგარი დაჯგუფება და ამსრულებლის უკან მდგომი არაპირდაპირი ამსრულებლის შემხებლობა შეიძლება დამტკიცდეს სხვადასხვა გარემოებით. თუმცა, როდესაც „ორგანიზებულ დანაშაულებრივ მანქანასთან“ გვაქვს საქმე, რომელსაც მართავს დანაშაულის ჩადენის ადგილიდან მოშორებით „სავარძელში მჯდომი ამსრულებელი“, პირდაპირ ამსრულებელთა ნებაზე არაპირდაპირი ამსრულებლის ბატონობის მტკიცება თითქმის შეუძლებელია, განსაკუთრებით, როდესაც ძალაუფლების მქონე ამსრულებელი მაქსიმალურად ცდილობს, თავისი „ორგანიზაციის“ მეშვეობით, „სუფთად“ ჩაიდინოს დანაშაული. რა თქმა უნდა, *ორგანიზაციაზე კონტროლის* მატერიალური ელემენტი არ უნდა იყოს გამოყენებული კანონიერებისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, რომ ამით მოხდეს არასაკმარისი მტკიცებულებათა გამოყენება ინდივიდუალური ბრალეულობის დასაბუთებლად. პირიქით, *ორგანიზაციაზე კონტროლის* ცნებით გამოიძიებამ უნდა დააკავშიროს *auctor intellectualis*-ი ამსრულებლის ქმედებასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ეს უკანასკნელი არაპირდაპირი ამსრულებლის „ხელებით მოქმედებს“.

nullum crimen sine lege პრინციპთან დაკავშირებით, *კახესემ* კარგად აღნიშნა, რომ მისი მიზანი არის სასამართლოს დაცვა დასაშვები ინტერპრეტაციის ჩარჩოების გადალახვისა და ახალი სამართლის შექმნისგან, თუმცა არ არის აკრძალული სამართლის პროგრესული განვითარებისა და ინტერპრეტაციის ხელშეწყობა.⁶⁹⁰ *როქსინის* თეორია ზუსტად ამ მიზანს ემსახურება საერთაშორისო სისხლის სამართალში, რომელიც ძირითადად ინტერესდება მაღალი პოლიტიკური თუ სამხედრო ლიდერების მიერ ფართომასშტაბიანი და სისტემატური ხასიათის ქმედებების ჩადენის ფაქტებით.

არაპირდაპირი ამსრულებლობა, ძირითადად მისი ვერტიკალური ორიენტაციით, განსხვავდება *JCE*-ისგან.

⁶⁸⁸ იხ. იქვე.

⁶⁸⁹ იხ. იქვე; იხ. ასევე: *Olasolo*, *JCE*, 20 *CLF* (2009), 265–266.

⁶⁹⁰ შეად. *Cassese and the Members of the JICJ*, *Amicus Curiae* Brief on *JCE*, 20 *CLF* (2009), 321–322.

6.5. არაპირდაპირი ამსრულებლობის განსხვავება JCE-ისგან

ერთი მხრივ, JCE და არაპირდაპირი ამსრულებლობის პასუხისმგებლობა შეიძლება ერთი და იმავე შინაარსის მატარებელია იმის გათვალისწინებით, რომ მაღალი თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივ დევნაზეა ორიენტირებული, მაგრამ, მეორე მხრივ, ორივეს განსხვავებული სუბიექტური ელემენტი გააჩნია. ერთი ითხოვს საერთო მიზნის არსებობასა და ცოდნას, როდესაც მეორე „უკან მდგომი ამსრულებლისგან“ ითხოვს მხოლოდ იმ დანაშაულის აუცილებელი სუბიექტური ელემენტების არსებობას, რომლისთვისაც იგი არის ბრალდებული და არ აქვს მნიშვნელობა, ჰქონდა თუ არა მას „კომუნიკაცია“ „მის წინ მდგომ“ პიროვნებასთან. არაპირდაპირი ამსრულებლობისას საკმარისი არაა JCE-ის წინასწარგანჭვრეტადობის ელემენტის არსებობა, იქიდან გამომდინარე, რომ ბრალდებულს უნდა გააჩნდეს იმ დანაშაულის ჩადენის განზრახვა, რომლისთვისაც არის იგი ბრალდებული.⁶⁹¹

6.6. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობა

არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, იმით უნდა დავიწყოთ, რომ დოქტრინა პირდაპირ არ გამომდინარეობს *როქსინის* თეორიის კონცეფციიდან,⁶⁹² რომელიც ICC-ის მიერ იქნა გამოყენებული *Prosecutor v. Lubanga*-სა⁶⁹³ და *Prosecutor v. Katanga and Chui*-ს⁶⁹⁴ საქმეებზე. იგი საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი ხასიათისაა.

არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის შინაარსი, მასში თანაამსრულებლობისა და არაპირდაპირი ამსრულებლობის დოქტრინების გაერთიანებითა და მისთვის წაყენებული აუცილებელი მოთხოვნებიდან

⁶⁹¹ შეად. Weigend, Perpetration through an Organization, 9 JICJ (2011), 106–110.

⁶⁹² *როქსინის* თეორიაზე იხ. Roxin, Organized Power Structures, 9 JICJ (2011), 193–205, ნათარგმნია გერმანულიდან – Roxin, Straftaten im Rahmen organisatorischer Machtapparate, GA (1963), 193–207; თუ როგორ იქნა იგი *გერმანოობ* ფედერალური სასამართლოს (Bundesgerichtshof) მიერ გამოყენებული იხ. Weigend, Perpetration through an Organization, 9 JICJ (2011), 94–99; თუ როგორ არის იგი დარეგულირებული გერმანულ სისხლის სამართალში იხ. Jain, The Control Theory, 12 CJIL (2011), 157–176, ICTY-სა და ICC-ში იხ. იქვე, 177–185; იხ. ასევე: Wilt, Modes of Criminal Responsibility, 7 JICJ (2009), 307–314.

⁶⁹³ იხ. ICC, *Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, 317 და მომდევნო პარ.; ICC, *Prosecutor v. Lubanga*, TC Judgment, 14.3.2012, 918 და მომდევნო პარ.; იხ. ასევე: ტურავა, მოძღვრება (2011), 6 (პარ. 9), 239–240; *Ambos*, The First Confirmation Decision, კრებულში: *Kotsalis, Courakis, Mylonopoulos* (ed.), Agryrios Karras (2010), 998–999.

⁶⁹⁴ იხ. ICC, *Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 496–497; იხ. ასევე: Roxin, Organized Power Structures, 9 JICJ (2011), 193–205, ნათარგმნია გერმანულიდან – Roxin, Straftaten im Rahmen organisatorischer Machtapparate, GA (1963), 193–207; Weigend, Perpetration through an Organization, 9 JICJ (2011), 91–111; *Ambos*, Criminal Responsibility (Art. 25), კრებულში: *Triffterer*, Commentary on the RS (2008), 750–752.

გამომდინარე, მარტივად გასაგებია. ახალი „ჰიბრიდული დოქტრინა“ საჭიროებს თავისებურ მიდგომას.⁶⁹⁵ ეს არის „ჰორიზონტალური“ და „ვერტიკალური“ პასუხისმგებლობის საშუალებების, ამსრულებლობის ორივე სახის ცნებათა ერთობლიობა, სადაც აუცილებელია ორივე დოქტრინის ელემენტების მტკიცება.⁶⁹⁶ ეს კი არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინით საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულში მონაწილეებზე პასუხისმგებლობის დაკისრების გარკვეულ პრობლემატურობაზე მიუთითებს,⁶⁹⁷ რაც გამოწვეულია ორივე დოქტრინის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებების მტკიცების აუცილებლობით.

არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებების საფუძვლები, ჯერ კიდევ, *ad hoc* ტრიბუნალების პრეცედენტულ სამართალში შეინიშნება.

6.6.1. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის „საფუძვლები“ დროებით ტრიბუნალებში

არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის „საფუძვლები“, რომლებიც ეყრდნობა *არსებითი კონტრიბუციის (essential contribution)* ცნებას, შეინიშნება ICTY-ის მიერ განხილულ *Prosecutor v. Stakic*-ისა და *Prosecutor v. Brdanin*-ის საქმეებში, ასევე ICTR-ის მიერ განხილულ *Prosecutor v. Gacumbitsi*-სა და *Prosecutor v. Seromba*-ს საქმეებში, თუმცა მოსამართლეები პირდაპირ მას არ მოიხსენიებდნენ.⁶⁹⁸

6.6.1.1. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის „საფუძვლები“ ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალებში

6.6.1.1.1. *Prosecutor v. Stakic*-ის საქმე

არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობა თავის დროზე ICTY-ის სასამართლო პალატამ *Prosecutor v. Stakic*-ის საქმეზე გამოიყენა. *მილომირ სტაკიჩი (Milomir Stakic)*, როგორც *პრიჯედორის* ყოფილი მერი, წამყვან როლს თამაშობდა მის ტერიტორიაზე ჩატარებულ ეთნიკურ წმენდაში, რაც

⁶⁹⁵ შეად. *Ohlin*, Modes of Liability, 25 *LJIL* (2012), 784.

⁶⁹⁶ შეად. *Eldar*, Indirect Co-Perpetration, 8 *CLP* (2014), 606–609. ამ მხრივ, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობა განსხვავდება ქართულ სისხლის სამართალში არსებული დანაშაულის თანაშუალობითი ამსრულებლობის თუ შუალობითი თანაამსრულებლობისაგან. თანაშუალობით ამსრულებლობაში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი დამნაშავე აქეზებს მცირეწლოვანს დანაშაულის ჩასადენად, მეორე კი ურჩევს, როგორ იმოქმედოს უფრო მოხერხებულად ან იარაღს აწვდის. იხ. *გამყრელიძე*, სისხლის სამართალი, III ტომი (2013), 267. შუალობით თანაამსრულებლობისას თანაამსრულებლები განზრახ იყენებენ შერაცხადი პირის შეცდომას დანაშაულებრივი მიზნის განსახორციელებლად. იხ. *ნაჭყებია*, დანაშაულში თანამონაწილეობა, სახელმძღვანელოში: *ნაჭყებია*, *თოდუა* (რედ.), სისხლის სამართალი (2016), 281.

⁶⁹⁷ შეად. *Sliedregt*, Individual Responsibility (2012), 169.

⁶⁹⁸ იხ. *Cassese*, ICL (2013), 177–179; იხ ასევე: *Olasolo*, Essays on ICJ (2012), 109–112.

გამოიხატებოდა ბოსნიელი მუსულმანებისა და ხორვატების წინააღმდეგ ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენით. მისი ხელმძღვანელობით დაახლოებით 20 000-მდე არასერბი მოსახლე იქნა დეპორტირებული ქალაქიდან. *სტაკიჩი* აქტიურად მონაწილეობდა *ობარსკას*, *კერატერმისა* და *ტრნოპოლიეს* საკონცენტრაციო ბანაკების დაფუძნებაში. იგი ეთნიკურ წმენდას *პრიჯედორში* JCE-ის ფორმით ახორციელებდა.⁶⁹⁹

Prosecutor v. Stakic-ის საქმეზე სასამართლო პალატა ცდილობდა არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინის ჩამოყალიბებას ICTY-ის სტატუტის მე-7(1) მუხლის ფარგლებში, როგორც JCE-ის ალტერნატიული ვარიანტისას.⁷⁰⁰ მისი აზრით, JCE არ წარმოადგენდა სტატუტის ფარგლებში ერთადერთ ინტერპრეტირებად პასუხისმგებლობის ფორმას. შესაძლებელი იყო თანაამსრულებლობის სხვა პასუხისმგებლობის სახეების გამოყენებაც. მე-7(1) მუხლის „ჩადენის“ შინაარსში იგულისხმებოდა დანაშაულის მატერიალური ელემენტების როგორც უშუალო, ასევე არაპირდაპირი ჩადენა, მოქმედებით ან უმოქმედობით, ინდივიდუალურად ან სხვა პირებთან ერთად. აუცილებელი არ იყო ბრალდებულის მონაწილეობა ყველა ასპექტში. სასამართლო პალატა ეყრდნობოდა თანაამსრულებლობის *როქსინისეულ* ვარიანტს, რომელიც ხაზს უსვამს ქმედებაზე *ფუნქციონალური* ბატონობის იდეას – თუ ორი პირი ერთობლივად მართავდა ქვეყანას, ორივე იყო მმართველი და, ჩვეულებრივ, ერთი პირის ქმედება დამოკიდებული იყო მეორე პირის თანაამსრულებლობაზე. თუ ერთი პირი მონაწილეობაზე უარს განაცხადებდა, თითოეულს შეეძლებოდა ქმედების ჩაშლა. სასამართლო პალატას, როდესაც ამ დოქტრინას აფუძნებდა, კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა მყარად დაფუძნებულ JCE-ის დოქტრინას.⁷⁰¹

სასამართლო პალატამ მოახდინა ამსრულებლობის ორი ფორმის – გერმანულ სამართალში კარგად ცნობილი თანაამსრულებლობისა (*co-perpetration; Mittäterschaft*) და პირდაპირი ამსრულებლის უკან მდგომი ამსრულებლის (*perpetrator behind the direct perpetrator*), იმავე, არაპირდაპირი ამსრულებლობის (*mittelbare Täterschaft*) კონსოლიდაცია. ამ დოქტრინით, ბრალდებულს, ერთი მხრივ, უნდა ემოქმედა სხვა პოლიტიკურ ლიდერებთან ერთად კოორდინირებული თანაამსრულებლობის ფარგლებში, დანაშაულზე საერთო კონტროლის (*joint control over the criminal conduct*) მეშვეობით და,

⁶⁹⁹ *სტაკიჩი* უშუალოდ იყო პასუხისმგებელი *პრიჯედორში* 1 500-მდე პირის მკვლელობაში, მათ შორის, 120-მდე მამაკაცის მკვლელობაში *კერატერმის* საკონცენტრაციო ბანაკში, 1992 წლის 5 აგვისტოს. *სტაკიჩის* საქმეზე დაწ. იხ. *Prosecutor v. Stakic*, TC Judgment, 31.7.2003; *Prosecutor v. Stakic*, AC Judgment, 22.3.2006; *Engels*, *Stakic*, კრებულში: *Cassese* (ed.), *Oxford Companion* (2009), 930–934.

⁷⁰⁰ იხ. *Prosecutor v. Stakic*, TC Judgment, 31.7.2003, პარ. 439.

⁷⁰¹ იხ. იქვე, პარ. 438–441, 490–493, 741–744, 774; ICC, *Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 506.

მეორე მხრივ, იგი ითხოვდა, ბრალდებულს ჰქონოდა ისეთი თანამდებობა, რომლითაც გაველენის მოხდენა შეეძლო პირდაპირ ამსრულებლებზე.⁷⁰²

ICTY-ის სასამართლო პალატის მიერ JCE-ის ჩანაცვლების მცდელობა უშედეგო გამოდგა. სააპელაციო პალატამ საბოლოოდ არჩევანი მაინც JCE-ზე შეაჩერა. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის უარყოფის მთავარი არგუმენტი მისი JCE-ის იურისპრუდენციასთან და საერთაშორისო ჩვეულებით სამართალთან შეუსაბამობა იყო.⁷⁰³

6.6.1.1.2. Prosecutor v. Brdanin-ის საქმე – „არაპირდაპირი JCE“

წინა თავში განხილული Prosecutor v. Brdanin-ის საქმე⁷⁰⁴ ამ ნაწილში საინტერესოა არაპირდაპირი JCE-ის (Indirect JCE) კუთხით.⁷⁰⁵

Prosecutor v. Brdanin-ის საქმეზე სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა JCE-ში არაპირდაპირ მონაწილეობაზე, დანაშაულის ჩადენის ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ქმედების უშუალო ამსრულებელი არ იყო JCE-ის წევრი. ეს სხვადასხვა გარემოებით უნდა დადგენილიყო. მაგალითად, ბრალდებული ან JCE-ის სხვა წევრი რამდენად ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდა უშუალო ამსრულებელთან, საერთო მიზნის შესასრულებლად. იმ დროს, როდესაც JCE-ის წევრი დანაშაულის ობიექტური ელემენტის შესასრულებლად იყენებს JCE-ის უკან მდგომ პირს, თუნდაც ფაქტი, რომ მან იცოდა JCE-ის არსებობის შესახებ, ე.ი. როდესაც იგი იზიარებს JCE-ის წევრების აუცილებელ სუბიექტურ ელემენტს, შეიძლება საკმარისად მიჩნეულიყო არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობისათვის (Indirect JCE) ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად.⁷⁰⁶ თუმცა იმისთვის, რომ JCE-ის წევრმა პასუხი აგოს უშუალო ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის, რა თქმა უნდა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის არსებობა. მიზეზობრივი კავშირის ნიშანი დაკმაყოფილებულია, თუ დამტკიცდება, რომ JCE-ის წევრები იყენებენ უშუალო ამსრულებელს, როგორც „იარაღს“ დანაშაულის ჩასადენად.⁷⁰⁷ იმისთვის, რომ პასუხისმგებლობა დაეკისროს JCE-ის წევრს იმ დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც განახორციელა JCE-ის არაწევრმა უშუალო ამსრულებელმა, უნდა დამტკიცდეს, რომ პირველი იყენებდა მეორეს დანაშაულის საერთო გეგმის შესაბამისად.⁷⁰⁸

⁷⁰² შეად. Haan, JCE at the ICTY, 5 ICLR (2005), 197.

⁷⁰³ დაწ. იხ. Prosecutor v. Stakic, AC Judgment, 22.3.2006, პარ. 62; ICC, Prosecutor v. Katanga and Chui, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 508; იხ. ასევე: ტურავა, მოძღვრება (2011), 57, პარ. 98.

⁷⁰⁴ იხ. ნაშრომის VIII თავი, §9.

⁷⁰⁵ შეად. Olasolo, Essays on ICJ (2012), 110–112.

⁷⁰⁶ იხ. Prosecutor v. Brdanin, AC Judgment, 3.4.2007, პარ. 410.

⁷⁰⁷ იხ. იქვე, პარ. 412.

⁷⁰⁸ იხ. იქვე, პარ. 413; Olasolo, Essays on ICJ (2012), 110–111. Prosecutor v. Brdanin-ის საქმის მოსაზრებას ციტირებს ICTY-ის სააპელაციო პალატა Prosecutor v. Limaj, Bala and Musliu-ს

6.6.1.13. *Prosecutor v. Lukic and Lukic*-ის საქმე

თანამსრულებლობის დოქტრინასთან მიმართებით ზემოთ აღნიშნული მიდგომა მხარდაჭერილი იქნა ICTY-ის სასამართლო პალატის მიერ *Prosecutor v. Lukic and Lukic*-ის საქმეზე. სასამართლო პალატის აზრით, სტატუტის მე-7(1) მუხლის მიხედვით, დანაშაულის ჩადენა გულისხმობდა ბრალდებულის ფიზიკურ თუ სხვაგვარ მონაწილეობას, პირდაპირ, მარტო ან სხვასთან ერთად კონკრეტული დანაშაულის ობიექტური ელემენტების სისრულეში მოსაყვანად. შესაბამისად, პირი, რომელიც ცენტრალურ როლს თამაშობდა დანაშაულში, რომლის გარეშეც ეს დანაშაული არ განხორციელდებოდა, მიზანშეწონილია დამნაშავედ გამოცხადებულიყო პირდაპირი წესით და არა დანაშაულში თანამონაწილეობის პასუხისმგებლობაზე მითითებით.⁷⁰⁹

6.6.1.2. არაპირდაპირი (თანა)მსრულებლობის „საფუძვლები“ რუანდის ტრიბუნალში

არაპირდაპირი (თანა)მსრულებლობის საფუძვლებს შეიცავდა ICTR-ის იურისპრუდენციაც, ICTY-ის განხილულ საქმეებზე მითითებით. კერძოდ, ყურადსაღებია *Prosecutor v. Gacumbitsi*-ს, *Prosecutor v. Seromba*-ს⁷¹⁰ და *Prosecutor v. Zigiranyirazo*-ს საქმეები.⁷¹¹

6.6.1.2.1. *Prosecutor v. Gacumbitsi*-ს საქმე

პირველი მაგალითი, სადაც მოხდა JCE-ისგან განსხვავებული პასუხისმგებლობის ფორმის გამოყენება, იყო *Prosecutor v. Gacumbitsi*-ს საქმე.⁷¹² აღნიშნულ საქმეზე სააპელაციო პალატამ მკაფიოდ აღნიშნა, რომ გენოციდის დანაშაულში ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი არ იყო ICTR-ის სტატუტის მე-6(1) მუხლის პირდაპირი (მკაცრი) ინტერპრეტაცია, რომელიც მიუთითებდა დანაშაულში ბრალდებულის „პირდაპირ ან ფიზიკურ ამსრულებლობას“. მკვლევლობა არ უნდა განმარტებულიყო, როგორც ქმედების უშუალო (ფიზიკური) ასრულება, არამედ დანაშაულის ობიექტური ელემენტის რეალიზება სხვა ფორმითაც იყო შესაძლებელი. მაგალითად, როდესაც ბრალდებული არის „ფიზიკური დამსწრე“ მასშტაბური სისასტიკის, სადაც იგი თამაშობს მნიშვნელოვან როლს დანაშაულის ჩადენაში, განსაკუთრებით კი „კონტროლში“ (საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებაში).⁷¹³

საქმეზეც, სადაც ბრალდებულთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნებას ცდილობდა JCE-ის ახალი კონცეფციის საფუძველზე. იხ. იქვე.

⁷⁰⁹ იხ. ICTY, *Prosecutor v. Lukic and Lukic*, TC Judgment, 20.7.2009, პარ. 896–899, 908; *Cassese*, ICL (2013), 178.

⁷¹⁰ შეად. *Cassese*, ICL (2013), 179.

⁷¹¹ შეად. *Olasolo*, *Essays on ICJ* (2012), 112.

⁷¹² შეად. *Cassese*, ICL (2013), 177.

⁷¹³ იხ. ICTR, *Prosecutor v. Gacumbitsi*, AC Judgment, 7.7.2006, პარ. 60–61.

პალატის აზრით, სწორედ ბრალდებული პერსონალურად აცალკევებდა *ჭუტუსა* და *ტუტის* ლტოლვილებს ერთმანეთისგან და ეს ქმედება, რომელიც პირდაპირ არ იყო აღწერილი *ICTR*-ის მე-6(1) მუხლში, იყო დანაშაულის „ინტეგრალური“ (განუყოფელი) ნაწილი, როგორც მკვლელობისა. სააპელაციო პალატის აზრით, სასამართლო პალატის მიერ გამოყენებული პასუხისმგებლობის სახეები, როგორც იყო ბრძანების გაცემა და წაქეზება, ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სრულ სურათს არ იძლეოდა. *სილვესტერ გაქუმბიტსი (Sylvestre Gacumbitsi)* ზედამხედველობდა დანაშაულის ჩადენას და მონაწილეობდა *ტუტის* ლტოლვილების განცალკევებაში იმისთვის, რომ ისინი შეიძლება დაეხრებოდათ. იგი უფრო იყო დანაშაულის ამსრულებელი.⁷¹⁴ ამით სასამართლომ ირიბად დააფუძნა პასუხისმგებლობის ახალი ფორმა *ICTR*-ის იურისპრუდენციაში, მიუხედავად იმისა, ეს ცნება შეესაბამებოდა თუ არა უკვე კარგად განვითარებული *JCE*-ის დოქტრინას.⁷¹⁵

6.6.1.2.2. *Prosecutor v. Seromba*-ს საქმე

Prosecutor v. Seromba-ს საქმეზე *ICTR*-ის სააპელაციო პალატა იყენებს *Prosecutor v. Gacumbitsi*-ს საქმეზე გამოყენებულ *JCE*-ისგან განსხვავებულ პასუხისმგებლობის ფორმას.⁷¹⁶

ათანაზე სერომბა (Athanasie Seromba) სასამართლო პალატამ დამნაშავედ ცნო გენოციდისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დახმარებაში. *სერომბა* იყო *ნიანჯის (Nyange)* ეკლესიის მღვდელი, რომელთანაც თავს აფარებდნენ ლტოლვილი *ტუტსები* თავდასხმებისგან თავის დაღწევის მიზნით. *სერომბა* დათანხმდა ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებას ეკლესიის დანგრევის შესახებ. მისი რჩევითა და წახალისებით, ბუდდოზერის მძღოლმა გაანადგურა ეკლესია, რასაც შედეგად მოჰყვა 1 500-მდე *ტუტის* სიკვდილი.⁷¹⁷

სააპელაციო პალატაზე აღინიშნა, რომ პირი მოქმედებდა თუ არა „თავისი ხელით“, არ შეიძლება ყოფილიყო ერთადერთი საკითხი ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის. სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა სასამართლო პალატის მოსაზრებას, რომ გენოციდის დანაშაულის ჩადენა აუცილებლად უნდა გულისხმობდეს პირდაპირ და ფიზიკურ ამსრულებლობას. *სერომბას*

⁷¹⁴ იხ. იქვე; იხ. ასევე: *ICTR, Prosecutor v. Karera*, TC Judgment, 7.12.2007, პარ. 541–544, სადაც სასამართლო პალატა იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას და საუბრობს ბრალდებულის *არსებითი კონტრიბუციის* მნიშვნელობაზე.

⁷¹⁵ შეად. Cassese, ICL (2013), 177.

⁷¹⁶ შეად. იქვე.

⁷¹⁷ იხ. *ICTR, Prosecutor v. Seromba*, AC Judgment, 12.3.2008, პარ. 2–4.

ქმედება იყო უფრო მეტი, ვიდრე გენოციდის „ინტეგრალური“ (განუყოფელი) ნაწილი, როგორც მკვლელობისა.⁷¹⁸

6.6.1.2.3. *Prosecutor v. Zigiranyirazo*-ს საქმე

ICTR-ის სასამართლო პალატამ *Prosecutor v. Zigiranyirazo*-ს საქმეზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო გენოციდისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენისთვის *JCE*-ის საერთო მიზნის ელემენტზე მითითებით.⁷¹⁹ საერთო მიზანი *ტუტის* მშვიდობიანი მოსახლეობის დევნასა და მკვლელობაში მდგომარეობდა.⁷²⁰

სასამართლო პალატა აღნიშნულ საქმეზე უკვე *ICC*-ის ტერმინოლოგიით საუბრობს. მისი აზრით, ბრალდებულის მხრიდან იმდენად არ იყო აუცილებელი ან არსებითი *JCE*-ში კონტრიბუცია, რამდენადაც *არსებითი კონტრიბუცია* იმ დანაშაულში, რომლისთვისაც სისხლისსამართლებრივად ინდივიდუალურად იდენტიფიცირდა. შესაბამისად პირდაპირი ამსრულებელი აუცილებელი არაა ყოფილიყო *JCE*-ის წევრი. მნიშვნელოვანი იყო იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამებოდა ჩადენილი დანაშაული *JCE*-ის საერთო მიზანს და რამდენად გამოიყენებდა *JCE*-ის ერთ-ერთი წევრი პირდაპირ ამსრულებელს საერთო მიზნის შესასრულებლად.⁷²¹

6.6.2. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინის მნიშვნელობა

არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობისთვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, *რომის სტატუტის* 25(3)(a)-ე მუხლის ფარგლებში სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაშია მიცემული *სუდანის* მოქმედი პრეზიდენტი – *ალ ბაშირი*. იგი, როგორც *სუდანის* პრეზიდენტი და სამხედრო ძალების მთავარსარდალი, სხვა ძალად რანგის *სუდანელ* პოლიტიკოსებსა და სამხედრო ლიდერებთან ერთად, სახელმწიფოს აპარატში შემავალი სამხედრო და სხვა ძალების მეშვეობით არსებითად მონაწილეობდა საერთო გეგმის განხორციელებაში. საერთო გეგმა *დარფურში* მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფზე უკანონო თავდასხმაში გამოიხატებოდა.⁷²²

რომის სტატუტი ორიენტირებულია *ad hoc* ტრიბუნალებში არსებული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახეებზე უფრო ზუსტი და სისტემატიზებული დოქტრინების შემუშავებაზე. კერძოდ, არაპირდაპირი ამსრულებლობისა და თანაამსრულებლობის დოქტრინა, რომელსაც იგი

⁷¹⁸ იხ. იქვე, პარ. 160–161, 163.

⁷¹⁹ ბრალდებული იყო *რუანდის* ყოფილი პრეზიდენტის, *იუვენალ ჰაბიარიმანას* (*Juvenal Habyarimana*) ახლო გარემოცვის წევრი. იხ. *Olasolo*, Essays on ICJ (2012), 112.

⁷²⁰ იხ. *ICTR, Prosecutor v. Zigiranyirazo*, TC Judgment, 18.12.2008, პარ. 4, 452, 454.

⁷²¹ იხ. იქვე, პარ. 383–384.

⁷²² იხ. *ICC, Prosecutor v. Al Bashir*, Warrant of Arrest, 4.3.2009, პარ. 216, 221–223; *Prosecutor v. Al Bashir*-ის საქმეზე იხ. ასევე: *Jessberger, Geneuss*, Indirect Perpetration, 6 *JICJ* (2008), 853–869.

იყენებს *აღ ბაშირის* სისხლისსამართლებრივი დევნისთვის, *ქმედებაზე ორგანიზაციული ბატონობის* ცნებით, კონცეპტუალურად უფრო კარგად სტრუქტურირებულია, ვიდრე *მილოშევიჩზე* დაწვებული სისხლისსამართლებრივი დევნა *JCE*-ის გამოყენებით, რომელიც საერთო მიზანზე იყო ორიენტირებული. ფაქტია, *დანაშაულზე კონტროლის* კონცეფცია კარგად, კონკრეტიზებულად აღწერს დანაშაულში მონაწილეთა ინდივიდუალურ კონტრიბუციას, რაც, საბოლოო ჯამში, ინდივიდუალური კონტრიბუციის გათვალისწინებით, სასჯელის შეფარდების პროცესს უფრო დახვეწილად წარმოადგენს.⁷²³

Prosecutor v. Al Bashir-ის საქმე პრეცედენტულია *ICC*-ისთვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების ნაწილში,⁷²⁴ ყურადსაღებია საერთაშორისო სისხლის სამართლის ფარგლებში რამდენიმე მიმართულებით, *ICC*-ზე დაკისრებული ამოცანებიდან გამომდინარე.⁷²⁵

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის ფაქტორი, რომ *ICC* პირველად ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტის მიმართ. ასეთ შემთხვევას *ICC*-ის იურისპრუდენციაში ანალოგი არ გააჩნია. შემდეგი საყურადღებო გარემოება, ეს არის პროკურორის მხრიდან საქმის მსვლელობის სხვა მიმართულებით წაყვანა, *აღ ბაშირის* ბრალდებებზე გენოციდის დანაშაულის დამატებით, ვიდრე ეს გაეროს უშიშროების საბჭოს *დარფურის* საქმესთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის დასკვნაში იყო მოცემული.⁷²⁶ აღნიშნულზე დაყრდნობით, *სუდანის* ხელისუფლება არ მოქმედებდა „გენოციდის დანაშაულის პოლიტიკით“ და სწადიოდა ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. თუმცა კომისია ასევე დასძენდა, რომ ეს გარემოება არ უნდა განხილულიყო, როგორც *დარფურში* განხორციელებული დანაშაულების „შემამსუბუქებელი გარემოება“, იმის ხაზგასმით, რომ ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები არანაკლებ სერიოზული ხასიათის მატარებელი იყო, ვიდრე თავად გენოციდი.⁷²⁷

დარფურის საქმის ერთ-ერთი მთავარი გამოსაკვეთი გარემოებაა, ასევე ის, რომ გამოძიება ხორციელდება *რომის სტატუტის* არაწევრი

⁷²³ შეად. *Manacorda, Meloni*, *Indirect Perpetration versus JCE*, 9 *JICJ* (2011), 177.

⁷²⁴ არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინასთან დაკავშირებით *სუდანის* სიტუაციაზე, ასევე მნიშვნელოვანია *Prosecutor v. Abu Garda*-ს საქმე, რომელიც, ამჟამად, *გაერთიანებული წინააღმდეგობის ფრონტის (URF)* თავმჯდომარე და სამხედრო ოპერაციების გენერალური კოორდინატორია. იხ. *Prosecutor v. Abu Garda*, <https://www.icc-cpi.int/en_menus/icc/situations%20and%20cases/situations/situation%20icc%200205/related%20cases/icc02050209/Pages/icc02050209.aspx>, [9.1.2016].

⁷²⁵ *ICC*-ის „მუდმივმოქმედი სასამართლოს“ სტატუსი მისი პრეცედენტების მნიშვნელობას ამაღლებს. დაწ. იხ. *ტურავა*, *საფუძვლები* (2015), 55–80.

⁷²⁶ შეად. *Jessberger, Geneuss*, *Indirect Perpetration*, 6 *JICJ* (2008), 854 და მომდევნო გვერდები.

⁷²⁷ იხ. Report of the International Commission of Inquiry on *Darfur* to the UNSG, Pursuant to UNSC Resolution 1564 (18.9.2004), 4, <http://www.un.org/news/dh/sudan/com_inq_darfur.pdf>, [12.12. 2014].

სახელმწიფოს მიმართ, ICC-ის წესდების მე-13(b) მუხლის მიხედვით – გაეროს უშიშროების საბჭოს⁷²⁸ მიმართვის საფუძველზე.⁷²⁹

მაღალი თანამდებობრივი რანგის პირების სისხლისსამართლებრივი დევნის მხრივ, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა განსხვავდება JCE-ისგან.

6.7. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის განსხვავება JCE-ისგან

არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა ჰგავს JCE-ს დოქტრინას,⁷³⁰ განსაკუთრებით, ზემოთ განხილული *ad hoc* ტრიბუნალების პრეცედენტული სამართლის მიხედვით. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის, იმავე ერთიანი არაპირდაპირი ამსრულებლობის (*joint indirect perpetration*)⁷³¹ მიზანია დანაშაულის ჩადენის ადგილსა და დანაშაულის მატერიალურ ელემენტებს მოშორებული მაღალი რანგის თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივი დევნა,⁷³² ისევე, როგორც თავის დროზე, ICTY ამ მიზნით იყენებდა JCE-ს. იგი შექმნილია მეთაურების სისხლისსამართლებრივი დევნისთვის.⁷³³

არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინის მიხედვით, რამდენიმე მაღალი თანამდებობრივი რანგის თანაამსრულებელი სჩადის დანაშაულს „შუამავლების“ მეშვეობით, რომლებიც არ არიან საერთო გაერთიანების წევრები.⁷³⁴ თუმცა, მიუხედავად ამისა, JCE და არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის განსხვავებული დოქტრინებია. პირველი, უმეტესწილად, ორიენტირებულია „ჭორიზონტალურ“ პასუხისმგებლობაზე, ხოლო მეორე „ვერტიკალურ“ პასუხისმგებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ JCE ფარავს არაპირდაპირ ამსრულებლობასაც, მაინც ისე, სპეციფიკურად, ვერ ასახავს მაღალი თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას, როგორც ამას არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის ფარგლებში, არაპირდაპირი ამსრულებლობა აკეთებს.⁷³⁵

⁷²⁸ ICC-ისა და გაეროს უშიშროების საბჭოს ურთიერთობაზე იხ. *ხუციშვილი*, გაერო და საერთაშორისო სასამართლო (2011), 191–197, 198–201, რომლის მიხედვით, საერთო ჯამში, ICC ვერ გაუწევს ეფექტურ მეტოქეობას გაეროს უშიშროების საბჭოს, ამ უკანასკნელის „პოლიტიკური ორგანოს“ სტატუსიდან გამომდინარე. იხ. იქვე, 197–208.

⁷²⁹ შეად. *Jessberger, Geneuss*, Indirect Perpetration, 6 *JICJ* (2008), 854; *Prosecutor v. Al Bashir*-ის საქმის მნიშვნელობაზე იხ. ასევე: *Giamanco*, The Perpetrator Behind the Perpetrator, 25 *TICLJ* (2011), 217 და მომდევნო გვერდები.

⁷³⁰ დაწ. იხ. *Sliedregt*, Perpetration and Participation, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 515–516.

⁷³¹ იხ. *Weigend*, Indirect Perpetration, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 544.

⁷³² შეად. *Ohlin, Sliedregt, Weigend*, Control Theory, 26 *LJIL* (2013), 734.

⁷³³ შეად. *Cassese*, ICL (2013), 178.

⁷³⁴ შეად. *Weigend*, Indirect Perpetration, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 541.

⁷³⁵ შეად. იქვე, 542.

ერთი შეხედვით, რომის სტატუტის 25(3)(a)-ე მუხლში (მეორე ალტერნატივით: „სხვა პირთან ერთად“) JCE-ის დოქტრინის გამოყენება ფართო/ირიბი ინტერპრეტაციით შესაძლებელია, თუმცა, ყველაზე დიდი პრობლემა მისი მესამე კატეგორიის გამოყენებაა, რომელსაც ზღუდავს რომის სტატუტის 30-ე მუხლის შინაარსი. ეს უკანასკნელი მატერიალური ელემენტების განხორციელებას ითხოვს *განზრახვითა და შეგნებულობით*. აღნიშნული *განზრახვა* არ ითვალისწინებს „წინასწარგანჭვრეტადი რისკის“ ელემენტს, რომელიც აუცილებელია *გავრცობილი JCE*-ისთვის. თუმცა რომის სტატუტის შემქმნელების მიერ 30-ე მუხლში მითითებული: *თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული* ელემენტი, აუცილებლობის შემთხვევაში, იძლევა *განზრახვაზე და შეგნებულობაზე* უფრო დაბალი მენტალური ელემენტის გამოყენების შესაძლებლობასაც.⁷³⁶

არაპირდაპირ (თანა)ამსრულებლობასა და JCE-ის შორის პარალელის გაგებისას ასევე მნიშვნელოვანია *განზრახვის* მენტალური ელემენტი. კერძოდ, მიუხედავად ზემოაღნიშნული ამსრულებლობისთვის პრეცედენტული სამართლით დადგენილი მენტალური ელემენტისა, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა იძლევა *ვეენტუალური განზრახვის* დაშვების შესაძლებლობას.⁷³⁷ აღნიშნული დოქტრინა ბრალდებულს აძლევს საშუალებას, ვირტუალური ძალაუფლების აპარატის (*virtual apparatus of power*) გამოყენებით დანაშაული ჩაიდინოს ერთ-ერთი თანაამსრულებლის მეშვეობით.⁷³⁸ ბრალდებული ისჯება იმ ქმედების გამო, რომელსაც იგი პერსონალურად არ მართავდა. *ვეენტუალური განზრახვის* შემთხვევაში დანაშაულები არ არის გამიზნული დამნაშავის მიერ, არამედ განჭვრეტადია, როგორც პოტენციური რისკი (*potential risk*).⁷³⁹ ეს ფორმა ჰგავს *გავრცობილ JCE*-ის.⁷⁴⁰

შესაბამისად, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა, ერთი შეხედვით, JCE-ისგან განსხვავებულ პასუხისმგებლობის ფორმას წარმოადგენს. ICC-ის უახლესი პრაქტიკა სხვა მიმართულებით წავიდა და *ვეენტუალური განზრახვის* მენტალური ელემენტის „უარყოფით“ მტკიცების სტანდარტი ასწია, თუმცა, არ არის გამორიცხული, მომავალი საქმეების ფარგლებში⁷⁴¹ დაიხვეწოს არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მენტალური ელემენტის შინაარსი, *ვეენტუალური განზრახვის* პირდაპირი აღიარებით თუ არა, *პირდაპირი განზრახვის* ფარგლებში *მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის* ცნების ფართო ინტერპრეტაციით. როგორც ვხედავთ, ყველაფერი ICC-ის სისხლის სამართლის პოლიტიკაზე დამოკიდებული.

⁷³⁶ შეად. Cassese, ICL (2013), 175.

⁷³⁷ შეად. Ohlin, Sliedregt, Weigend, Control Theory, 26 LJIL (2013), 738.

⁷³⁸ შეად. იქვე, 739.

⁷³⁹ შეად. იქვე, 740.

⁷⁴⁰ შეად. იქვე, 739.

⁷⁴¹ დღეის მდგომარეობით, ICC-ის პრეცედენტული სამართალი ფართოდ იყენებს არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინას *კენიის, სუდანისა და სხვა ქვეყნების* სიტუაციებზე.

შესაძლოა, ICC-მ პირდაპირ არ თქვას, რომ უბრუნდება JCE-ის დოქტრინას, მაგრამ არაპირდაპირ გადმოიტანოს მისი პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ელემენტები. აშკარაა, რომ ICC-ის იურისპრუდენცია ნაკლებად ორიენტირებულია ფართო კრიტიკის გამომწვევი ცნების რეალიზაციაზე.

6.8. რამდენად აუცილებელი იყო ამსრულებლობის ახალი სახის შემოღება

ICC-ის მხრიდან თანაამსრულებლობისა და არაპირდაპირი ამსრულებლობის გაერთიანება და ერთი საერთო სახით ჩამოყალიბება, მიმართულია ინოვაციური დოქტრინის შექმნის, საერთაშორისო სისხლის სამართლის თეორიებისა და პრეცედენტების განვითარებისაკენ.⁷⁴² თუმცა, ყველაზე მთავარი საკითხი არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის ცნებასთან მიმართებით მისი შექმნის აუცილებლობაა. რამდენად აუცილებელი იყო ამ დოქტრინის შექმნა და „ამსრულებლობის ახალი სახის შემოღება“.

გასაზიარებელია ვაიგენდის პოზიცია, რომელიც თვლის, რომ ორი პირის დასჯა, რომელიც ხელმძღვანელობს სხვადასხვა ჯგუფს, თავისუფლად შესაძლებელია მხოლოდ თანაამსრულებლობის დოქტრინით, თუ დამტკიცდება, რომ ისინი მოქმედებდნენ ერთიანი განზრახვით. ამის საილუსტრაციოდ, *Prosecutor v. Katanga and Chui*-ს საქმეს ვაიგენდი ადარებს სახლის დაწვის სიტუაციას: თუ ა. და ბ. გადაწყვეტენ სახლის დაწვას და ორივე მიიყვანს სახლთან მათ ბრალუხნარო შეიღებს, მანამდე ნასწავლი მეთოდით გააჩაღებინებენ ცეცხლს, მაშინ ორივე იქნება თანაამსრულებელი, ვინაიდან იყენებენ „უდანაშაულო აგენტებს“ დანაშაულის ჩასადენად.⁷⁴³

არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობა თავისი შინაარსით, ერთი შეხედვით, არ არის ნოვაცია გერმანული დოგმატიკისთვის, არამედ თანაამსრულებლობის ქვეკატეგორიაა.⁷⁴⁴ როგორც წესი, ერთი მხრივ, თანაამსრულებლები ინაწილებენ ფუნქციებს დანაშაულის ჩასადენად, თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლებელია, რომ ისინი ემორჩილებოდნენ სხვა პირს, რომელიც ახორციელებს კონტროლს მათზე. შეიძლება იყოს ერთი პირი, რომელსაც თანაამსრულებლები ემორჩილებიან. მაგალითად, მეთაურს შეუძლია დანაშაულის საერთო გეგმის განხორციელებაში კონტრიბუცია შესთავაზოს თავის ხელქვეითებს.⁷⁴⁵

⁷⁴² ICC-ის გამოწვევებზე დაწ. იხ. *Bensouda*, Challenges at the ICC, კრებულში: *Bellelli* (ed.), ICJ (2011), 131–142; იხ. ასევე: *Eldar*, Indirect Co-Perpetration, 8 *CLP* (2014), 605–609.

⁷⁴³ იხ. *Weigend*, Indirect Perpetration, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 554.

⁷⁴⁴ შეად. *Weigend*, Problems of Attribution, 12 *JICJ* (2014), 260. ICC-ის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინა მოხსენიებულია, როგორც „ძველი ბოთლი ახალი ღვინისთვის“ (*Old Bottles for New Wine*). იხ. იქვე, 255.

⁷⁴⁵ იხ. იქვე.

შესაბამისად, ამ საკითხზე თეორიული დაბრკოლება არ არსებობს. ICC ცდილობს გერმანული დოგმატიკის ინტერნაციონალიზაციას, პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ახალი გარემოებების დამატებით, რაზეც თანამსრულებლობისა და არაპირდაპირი ამსრულებლობის ნაწილში გვექონდა საუბარი.⁷⁴⁶ სწორად აღნიშნავს *სლიედრეტი*, რომ ამსრულებლობის ორი ფორმის კომბინირება უნდა მოხდეს „ფროთხილად“, რომ ინდივიდუალური ბრალეულობის პრინციპს არ შეექმნას საფრთხე.⁷⁴⁷

ჯერ კიდევ რთული სათქმელია, თუ რა ადგილს დაიკავებს საბოლოოდ არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობა ICC-ის იურისპრუდენციაში, კერძოდ, მაღალი თანამდებობრივი რანგის პირების საქმეებზე, თუმცა პროკურატურის მხრიდან მისი გამოყენების ფორმა შეგვიძლია შევადაროთ თავის დროზე ICTY-ის მიერ JCE-ის დოქტრინის გამოყენების პროცესს, რომელიც აქტიურ როლს თამაშობდა ჯერ ICTY-ის გადაწყვეტილებებსა და შემდეგ სხვა ტრიბუნალების იურისპრუდენციაში.⁷⁴⁸ ფაქტია, რომ ICC-მ, თანამსრულებლობისა და არაპირდაპირი ამსრულებლობის სახით, *რომის სტატუტის* 25(3)(a)-ე მუხლის საფუძველზე, ერთი მხრივ, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით მოქნილი და, მეორე მხრივ, დოქტრინულად კომპლექსური ამსრულებლობის სახე ჩამოაყალიბა.⁷⁴⁹

6.9. ამსრულებლობის მენტალური ელემენტის შესახებ

ICC-ის ბოლო პრეცედენტების მიხედვით, ამსრულებლობის მენტალურ ელემენტად *პირდაპირი განზრახვა* განისაზღვრა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოხდება მხოლოდ სერიოზულ დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია მხოლოდ *პირდაპირი განზრახვით*?⁷⁵⁰

ასეთი მკაცრი – *პირდაპირი განზრახვის* სტანდარტის დამკვიდრება საერთაშორისო სისხლის სამართალში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაბუთების კომპლექსურობიდან გამომდინარე, რაზეც ზემოთ გვექონდა საუბარი, გამართლებული არაა. რთულად წარმოსადგენია ამსრულებლობის დოქტრინის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მატერიალური ელემენტების მტკიცება მხოლოდ *პირდაპირი განზრახვის* მენტალური ელემენტით, იმ დროს, როდესაც საერთაშორისო სისხლის სამართლის მიზანი, პირიქით, ბრალდების მტკიცების ტვირთის „შემსუბუქებაა“. საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლის მიზანია დაეხმაროს პროცესუალურ

⁷⁴⁶ განსაკუთრებით, საერთაშორისო დანაშაულებში მაღალი თანამდებობრივი რანგის პირების გასამართლების შესახებ.

⁷⁴⁷ იხ. *Sliedregt*, *Perpetration and Participation*, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 509–510.

⁷⁴⁸ შეად. *Ohlin*, *Modes of Liability*, 25 *LJIL* (2012), 784.

⁷⁴⁹ შეად. *Jain*, *Perpetrators and Accessories* (2014), 85.

⁷⁵⁰ შეად. *Badar*, *Porro*, *Mental Elements*, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 663–664.

ნაწილს, ბრალდების მხარეს, რომ შეუმსუბუქდეს საერთაშორისო დანაშაულის მტკიცების ტვირთი, რა თქმა უნდა, კანონიერებისა და ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპების მაქსიმალური დაცვითა და ზემოგანხილული ამსრულებლობის დოქტრინების „ფრთხილი“⁷⁵¹ გამოყენებით. გაურკვეველია, რას გააკეთებს ICC სამომავლოდ ევენტუალური განზრახვის გარეშე, როგორ შეძლებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაბუთებას მხოლოდ პირველი და მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის გამოყენებით.⁷⁵² თუმცა, სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება დანაშაულის მენტალურ ელემენტებთან დაკავშირებით არაა საბოლოო. თუ ასეთი მკაცრი მენტალური ელემენტის სტანდარტი პრობლემას შეუქმნის მართლმსაჯულებას, ადვილი შესაძლებელია მოხდეს სასამართლო პრაქტიკის შეცვლა.

7. შეჯამება

საერთო ჯამში, ICC-ის ამსრულებლობის ახალი დოგმატიკა, *ad hoc* ტრიბუნალების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინასთან შედარებით, უფრო პრაგმატულია. საერთაშორისო სისხლის სამართალს რომის სტატუტის ფარგლებში აქვს ამსრულებლობის ცნების მართვის ორი დამოუკიდებელი რეჟიმი⁷⁵³ თანაამსრულებლობისა და არაპირდაპირი ამსრულებლობის დოქტრინების სახით და ასევე, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის „ჰიბრიდული“ დოქტრინა, რომელიც დამოკიდებულია ამსრულებლობის აღნიშნული ორი დოქტრინის ცნებებზე.

ამსრულებლობის სამივე დოქტრინა სისტემურად განსხვავდება *ad hoc* ტრიბუნალების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინისგან. ამსრულებლობის დოქტრინის ფარგლებში, გერმანული სისხლის სამართლის ქმედებაზე ბატონობის თეორიაზე დაყრდნობით, მკვიდრდება დანაშაულზე კონტროლის კონცეფცია არსებითი კონტრიბუციის სტანდარტით, კერძოდ, თანაამსრულებლობისთვის – ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობისა და არაპირდაპირი ამსრულებლობისათვის – ორგანიზაციაზე კონტროლის სახით. რაც შეეხება, არაპირდაპირ (თანა)ამსრულებლობას, იგი, შესაბამისად, დანაშაულზე კონტროლის სისტემურ ცნებას ეყრდნობა. ძირითადად, სწორედ ამ სტანდარტებით განსხვავდება ამსრულებლობის ინსტიტუტი თანამონაწილეობისაგან, რასაც მომდევნო თავში განვიხილავთ.

⁷⁵¹ შეად. *Sliedregt*, Perpetration and Participation, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 509–510.

⁷⁵² შეად. *Badar, Porro*, Mental Elements, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 668.

⁷⁵³ შეად. *Jain*, Perpetrators and Accessories (2014), 98.

X. თანამონაწილეობა – როდესაც არ არის გამოკვეთილი ამსრულებლობა

თანამონაწილეობა, რომის სტატუტის 25(3)-ე მუხლის მიხედვით, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამატებით ფორმას წარმოადგენს ამსრულებლობის – პასუხისმგებლობის ძირითადი ფორმის შემდეგ. თანამონაწილეს, რომელიც დანაშაულში „მეორე ხარისხის“ მონაწილეა, არ გააჩნია დანაშაულზე კონტროლის (*control over the crime*) შესაძლებლობა, ახორციელებს დანაშაულში არა არსებით კონტრიბუციას (*essential contribution*), არამედ სუბსტანციურ კონტრიბუციას (*substantial contribution*). სწორედ ეს არის მთავარი განსხვავება ამსრულებლობასა და თანამონაწილეობას შორის, რასაც *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე გაესვა ხაზი.⁷⁵⁴

ამსრულებლობისთვის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებების განხილვის შემდეგ, ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე⁷⁵⁵, მნიშვნელოვანია დავადგინოთ, როდის არ არის გამოკვეთილი ამსრულებლობა, პრეცედენტული სამართლის მიერ ამსრულებლობისთვის – არსებითი კონტრიბუციის (*essential contribution*) და თანამონაწილეობისთვის – სუბსტანციური კონტრიბუციის (*substantial contribution*) მოთხოვნის გარდა, რა გარემოებებს უნდა აკმაყოფილებდეს ბრალდებული თანამონაწილეობისათვის.

თანამონაწილეობისთვის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებები, ძირითადად, განიხილება *ad hoc* და *პიბრიდული* ტრიბუნალების პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, იქიდან გამომდინარე, რომ ICC-ის თანამონაწილეობის დოგმატიკა ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული.

ICC-მდე *ad hoc* და *პიბრიდული* ტრიბუნალები ამსრულებლობა-თანამონაწილეობის განსხვავების სუბიექტურ თეორიას იყენებდნენ, რომლის მიხედვითაც, უფრო დაბალი დონის მენტალური ელემენტით მოქმედი პირი იყო თანამონაწილე, იქიდან გამომდინარე, რომ იქ დანაშაულში მონაწილეობის სხვა სისტემა არსებობდა.⁷⁵⁶

ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის *ad hoc* ტრიბუნალების სტატუტებში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მუხლის ერთ ნაწილში იყო განხილული⁷⁵⁷ ამსრულებლობასთან ერთად, ერთიანი ამსრულებლობის

⁷⁵⁴ იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, TC Judgment, 14.3.2012, პარ. 996–997.

⁷⁵⁵ თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ელემენტების დეტალური კვლევა ნაშრომის მიზნებში არ შედის.

⁷⁵⁶ იხ. *Olasolo, Rojo*, Accessorial Liability, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 589.

⁷⁵⁷ იხ. ICTY-ის სტატუტის მე-7(1) და ICTR-ის სტატუტის მე-6(1) მუხლები:

ცნების გამო. აღნიშნულისგან განსხვავებით, რომის სტატუტი თანამონაწილეობის ფორმების კატეგორიზაციას ახდენს⁷⁵⁸.

ICC-ის, *ad hoc* და *ჰიბრიდული* ტრიბუნალების სტატუტების მიხედვით, თანამონაწილეობის რამდენიმე პასუხისმგებლობის ფორმა გამოიკვეთა. კერძოდ, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დანაშაულის – დაგეგმვისათვის (*planning*); ხელმძღვანელობა-ბრძანების გაცემისათვის (*ordering*); წაქეზებისა (*instigation*) და დახმარებისთვის (*aiding and abetting*).

1. დაგეგმვა

დანაშაულის დაგეგმვა, სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალებისგან განსხვავებით⁷⁵⁹, პირდაპირ არ არის მოცემული *რომის სტატუტის* 25(3)-ე მუხლში, თუმცა გამომდინარეობს მისი შინაარსიდან.

ad hoc, *სიერა-ლეონესა* და *კამბოჯის* ტრიბუნალების პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ინდივიდი დანაშაულის დაგეგმვისთვის პასუხს აგებდა როგორც თანამონაწილე. პრეცედენტული სამართლის მიხედვით, დანაშაული შეიძლება დაიგეგმოს რამდენიმე პირის მიერ, მოქმედებით ან უმოქმედობით. აუცილებელი არაა დანაშაულებრივი გეგმის ავტორი იყოს ბრალდებული ან ეს იყოს დანაშაულის ჩადენის ძირითადი გეგმა, მაგრამ მნიშვნელოვანია, დაგეგმვას *სუბსტანციური ეფექტი* (*substantial effect*) ჰქონდეს დანაშაულის ჩადენაზე. ეს კი შესაძლებელია როგორც დანაშაულის მომზადების, ისე მისი აღსრულების პროცესში. ბრალდებულმა

„ვინც დაგეგმა, წააქეზა, უბრძანა, ჩაიდინა ან სხვა სახით ეხმარებოდა წინამდებარე სტატუტის მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის დაგეგმვაში, მომზადებასა და აღსრულებაში, პასუხს აგებს ინდივიდუალურად ამ დანაშაულისათვის.”

⁷⁵⁸ იხ. *რომის სტატუტის* 25(3)(b-d)-ე მუხლი:

„სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩამდენ პირს, წინამდებარე წესდების შესაბამისად, ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ისჯება, თუ ეს პირი: ...

(b) უხელმძღვანელებს, წააქეზებს ან ხელს შეუწყობს აღნიშნული დანაშაულის ჩადენას, თუ ეს დანაშაული ჩადენილია ან იყო მისი ჩადენის მცდელობა;

(c) აღნიშნული დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით დახმარებას უწევს, აქეზებს ან სხვაგვარად ხელს უწყობს მის ჩადენას ან ჩადენის მცდელობას, მათ შორის უზრუნველყოფს მისი ჩადენისთვის საჭირო საშუალებებს;

(d) ნებისმიერი სხვა სახით ხელს უწყობს საერთო მიზნით მოქმედ პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას ან ჩადენის მცდელობას. ასეთი ხელშეწყობა უნდა ხდებოდეს განზრახ ანდა:

(i) მიზნად ისახავდეს ჯგუფის დანაშაულებრივი მიზნის განხორციელებას ან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებას, თუ ასეთი მიზანი ან საქმიანობა მოიცავს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩადენას; ან
(ii) ხორციელდებოდა იმის წინასწარი შეგნებით, რომ ჯგუფი მიზნად ისახავს დანაშაულის ჩადენას.”

⁷⁵⁹ იხ. *ICTY*-ის სტატუტის მე-7 მუხლი; *ICTR*-ის სტატუტის მე-6 მუხლი; *სიერა-ლეონეს სპეციალური სასამართლოს* სტატუტის მე-6 მუხლი; *კამბოჯის სასამართლოს საგანგებო პალატების* სტატუტის 29-ე მუხლი.

შესაძლოა, დაგეგმოს დანაშაული მთავარი დანაშაულის შესასრულებლად. ბრალდებულის კონტრიბუცია უნდა იყოს მიზეზობრივ კავშირში ჩადენილ დანაშაულთან. გეგმის არსებობა შესაძლებელია დემონსტრირებული იქნეს ზოგადი ან კონკრეტული მტკიცებულებებით. მენტალური ელემენტი გამოიხატება *პირდაპირ განზრახვაში*, დანაშაულის დაგეგმვასა და იმის გაცნობიერებაში, რომ ბრალდებულის გეგმის შესრულებას შედეგად მოჰყვება დანაშაულის ასრულება. აუცილებელი არაა, რომ თითოეულ პირს, რომელიც მონაწილეობდა დანაშაულის ასრულებაში, ამოძრავებდეს შესაბამისი დანაშაულისათვის საჭირო მენტალური ელემენტი.⁷⁶⁰

რომის სტატუტის 25(3)-ე მუხლში დანაშაულის დაგეგმვისთვის პასუხისმგებლობის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ერთი პოზიციის მიხედვით, იგი „ირიბად“ გამომდინარეობს 25(3)(b)-ე მუხლის შინაარსიდან,⁷⁶¹ ხოლო მეორე პოზიციის მიხედვით, 25(3)-ე მუხლის (c) და (d) აბზაცების შინაარსიდან.⁷⁶² მათი შეხედულებით, რაც მოეთხოვება ამსრულებელს, კერძოდ, დანაშაულის მატერიალური ელემენტების რეალიზაციაში მონაწილეობის მიღება, დამგეგმავისთვის ეს არაა აუცილებელი. მისთვის მთავარია მონაწილეობა მიიღოს კრიმინალური გეგმის ფორმულირებაში და არ იყოს გადაწყვეტილების მიმღები პირი.⁷⁶³

თუმცა დაგეგმვის შინაარსთან ყველაზე ახლოს დგას მესამე პოზიცია, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის დაგეგმვა ამსრულებლობის ფორმატით უნდა იხდებოდეს, კერძოდ, თანაამსრულებლობისათვის. ეს თანაამსრულებლობის განხილულ ცნებაშიც ჯდება, რომელიც დანაშაულის ჩადენამდე გულისხმობს *არსებით კონტრიბუციას*.⁷⁶⁴ იგი დამამძიმებელ გარემოებად შეიძლება იქნეს მიჩნეული.⁷⁶⁵ ICC-ის ამ თემაზე ჯერ არ უმსჯელია.

2. ხელმძღვანელობა-ბრძანების გაცემა

ხელმძღვანელობა-ბრძანების გაცემის პასუხისმგებლობის სახე დღესდღეობით გამოიყენება ICC-ში *უგანდის* სიტუაციაზე – *Prosecutor v. Kony and others*-ს საქმეში, *კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის* სიტუაციაზე – *Prosecutor v. Mudacumura*-ს საქმეში, *ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის*

⁷⁶⁰ იხ. *O’Keefe*, ICL (2015), 183–184; *Olasolo, Rojo*, Accessorial Liability, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 575–577; *Badar*, Participation, კრებულში: *Schabas, Bernaz* (ed.), ICL (2011), 248.

⁷⁶¹ „ხელმძღვანელებს, წააქეზებს ან ხელს შეუწყობს აღნიშნული დანაშაულის ჩადენას.“ იხ. *Olasolo, Rojo*, Accessorial Liability, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 575.

⁷⁶² იხ. *O’Keefe*, ICL (2015), 183.

⁷⁶³ იხ. *Olasolo, Rojo*, Accessorial Liability, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 577–578.

⁷⁶⁴ შეად. *Cassese, Acquaviva, Fan, Whiting*, ICL (2011), 363.

⁷⁶⁵ შეად. იქვე, 367.

მეორე სიტუაციაზე – *Prosecutor v. Bemba and others*-ს საქმეში და სხვა საქმეებში.⁷⁶⁶

ხელმძღვანელობა-ბრძანების გაცემა განმარტებულია *ad hoc*, *სიერა-ლეონესა* და *კამბოჯის* ტრიბუნალების პრეცედენტული სამართლით. იგი ისჯება, როგორც დამთავრებული, ისე დაუმთავრებელი (მცდელობა) დანაშაულის შემთხვევაში. პასუხისმგებლობის ამ ფორმის დროს ხელისუფლებაში მყოფი პირი (*authority*), თავისი ძალაუფლების გამოყენებით (ბრძანების ან ინსტრუქციების გაცემით) არწმუნებს, აიძულებს ან იყოლიებს სხვას დანაშაულის ჩასადენად. ასეთი ხელმძღვანელი შეიძლება იყოს როგორც *de jure*, ისე *de facto* ძალაუფლების მქონე პირი. აუცილებელი არაა, ბრძანება იყოს დაწერილი ან რაიმე მატერიალური ფორმით განსაზღვრული. იგი შეიძლება იყოს ზუსტი ან ზოგადი, ნაგულისხმევი და შესაძლებელია დამტკიცდეს არაპირდაპირი მტკიცებულებითაც. ბრალდებულს შეუძლია სხვადასხვაგვარად გასცეს ბრძანება პირდაპირ ამსრულებელზე. აუცილებელი არაა, რომ ეს უშუალოდ, პირდაპირ მოხდეს. აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის არსებობა, რომ ბრძანებას შეეძლო *სუბსტანციური კონტრიბუციის* შეტანა დანაშაულის ჩადენაში.⁷⁶⁷

აღსანიშნავია, რომ ხელმძღვანელობა-ბრძანების გაცემა, თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის სხვა სახეებისგან განსხვავებით, თანამონაწილეობის ერთადერთი პასუხისმგებლობის სახეა, რომელიც საჭიროებს ძალაუფლების (*position of authority*) ელემენტს.⁷⁶⁸

იმის გათვალისწინებით, რომ *რომის სტატუტის* 30(1)-ე მუხლი ყველა დანაშაულის და პასუხისმგებლობის სახის მიმართ აწესებს *განზრახვისა* და *შეგნებულობის* სტანდარტს და 25(3)(b)-ე მუხლი არაფერს ამბობს მენტალურ მხარეზე, ხელმძღვანელობა გამოიხატება *განზრახვაში*, კერძოდ, *პირდაპირ განზრახვაში*.⁷⁶⁹

Prosecutor v. Chui-ს საქმეზე მოსამართლე *უინგაერტი* თავის განსხვავებულ აზრში არაპირდაპირ ამსრულებლობას იმიტომ აკრიტიკებდა, რომ იგი ჰგავდა თანამონაწილეობის – ხელმძღვანელობა-ბრძანების გაცემის [25(3)(b)-ე მუხლი] პასუხისმგებლობის ფორმას, კერძოდ, *ორგანიზაციაზე კონტროლის* კონცეფციის ნაწილში. პრეცედენტული სამართლის მიერ თანამონაწილეობისთვის დადგენილი სტანდარტი, მისი აზრით, არაპირდაპირი ამსრულებლობისთვის დადგენილი პასუხისმგებლობის სტანდარტის იდენტური იყო. *უინგაერტისთვის* არ იყო საკმარისი ICC-ის *Prosecutor v. Mudacumura*-ს საქმეზე გაკეთებული შეფასება, რომ არაპირდაპირი ამსრულებლობა საჭიროებს უფრო მაღალი აქტიური

⁷⁶⁶ იხ. *Olasolo, Rojo*, Accessorial Liability, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 560–561.
⁷⁶⁷ იხ. *O’Keefe*, ICL (2015), 186-188; *Badar*, Participation, კრებულში: *Schabas, Bernaz* (ed.), ICL (2011), 249–250; *Finnin*, Accessorial Modes of Liability (2012), 43–60.
⁷⁶⁸ შეად. *Olasolo, Rojo*, Accessorial Liability, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 590.
⁷⁶⁹ დაწ. იხ. იქვე, 564–567. *ვეენტუალური განზრახვით* ხელმძღვანელობა-ბრძანების გაცემის დასჯადობის შესახებ დაწ. იხ. იქვე.

კონტროლის ელემენტს და ამსრულებელზე „ბატონობას“, ვიდრე დანაშაულის ხელმძღვანელობა-ბრძანების გაცემისთვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ფორმა.⁷⁷⁰

აღნიშნულის საზგასმით, *უინგაერტი* 25(3)-ე მუხლში მოცემული ამსრულებლობა-თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის სახეების გამოყენების ახალი შესაძლებლობის დამკვიდრებას ცდილობდა. მოსამართლეთა უმრავლესობის მიერ *რომის სტატუტის* 25(3)-ე მუხლის პასუხისმგებლობის სახეების იერარქიული გამოყენების საპირისპიროდ, იგი ამსრულებლობა-თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის სახეების კომბინირებული სახით შეფარდების შესაძლებლობას ხედავს. კერძოდ, თუ ა. და ბ. ჩაიდენენ დანაშაულს ც.-ს მეშვეობით (ბრძანების გაცემით, დაყოლიებით), ორივეს დასჯა შეიძლება 25(3)-ე მუხლში მითითებული რამდენიმე პასუხისმგებლობის სახით – 25(3)(a)-ე მუხლის მეორე ალტერნატივას (თანაამსრულებლობა) პლიუს მესამე ალტერნატივა (არაპირდაპირი ამსრულებლობა) პლიუს 25(3)(b)-ე მუხლის პირველი ალტერნატივა (ბრძანების გაცემა).⁷⁷¹ შეფარდების აღნიშნულ სისტემას იგი უპირისპირებდა არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის ფორმას.

მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა-ბრძანების გაცემის პასუხისმგებლობის ფორმა, მართლაც, ჰგავს არაპირდაპირი ამსრულებლობის ვერტიკალური სუბორდინაციის ელემენტს, ვერ დავეთანხმებით მოსამართლე *უინგაერტის* შეფასებას. არაპირდაპირი ამსრულებლობის დროს იკვეთება უფრო ზუსტი (*precise*) ხასიათის ბრძანება⁷⁷², თანამონაწილეობისგან განსხვავებით. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, უმეტესწილად, ბრძანებას გასცემს ის პირი, რომელიც არის ორგანიზებული ძალაუფლების სტრუქტურის (რომელიც არ შედგება დანაშაულის ამსრულებლებისგან) წევრი და არა ამ *ორგანიზაციაზე კონტროლის* მქონე პირი. ბრძანების გამცემი ამ ორგანიზაციაში ძალაუფლების მქონე პირია, რომელიც გასცემს დანაშაულის ჩადენის ბრძანებას. იგი ვერ იქნება არაპირდაპირი ამსრულებელი, ვინაიდან ბრძანების მიმღები ამსრულებელი არ არიან მის მიერ კონტროლირებადი ორგანიზაციის წევრები.⁷⁷³ არაპირდაპირი ამსრულებელი ბრძანებას გასცემს დამოუკიდებლად, როდესაც თავისუფლად შეუძლია მისი შეცვლა თუ გაუქმება, განსხვავებით ხელმძღვანელობა-ბრძანების გაცემის პასუხისმგებლობის ფორმისგან.⁷⁷⁴ ასევე, არაპირდაპირი ამსრულებელი პერსონალურად უნდა მოქმედებდეს კონკრეტული დანაშაულის მენტალური ელემენტებით, რისი ვალდებულებაც თანამონაწილეობის დროს არაა.⁷⁷⁵

⁷⁷⁰ იხ. *Prosecutor v. Chui*, TC Judgment, 18.12.2012, პარ. 23, 56.

⁷⁷¹ იხ. იქვე, პარ. 62.

⁷⁷² შეად. *Olasolo, Rojo*, Accessorial Liability, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 568.

⁷⁷³ შეად. იქვე.

⁷⁷⁴ შეად. *Werle, Burghardt*, Establishing Degrees of Responsibility, კრებულში: *Sliedregt, Vasiliev* (ed.), *Pluralism in ICL* (2014), 308.

⁷⁷⁵ შეად. *Olasolo, Rojo*, Accessorial Liability, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 569.

მიზანშეწონილია, ხელმძღვანელობა-ბრძანების გაცემის პასუხისმგებლობის ფორმა გამოვიყენოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირის არაპირდაპირი ამსრულებლობა ვერ მტკიცდება მისთვის წაყენებული პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებების საფუძველზე.⁷⁷⁶

3. წაქეზება

რომის სტატუტის შემდეგი თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის ფორმაა წამქეზებლობა. 25(3)(b)-ე მუხლის მეორე ალტერნატივით გათვალისწინებული – „წააქეზებს ან ხელს შეუწყობს“ (*solicits or induces*) სტანდარტი იგივეა, რაც პრეცედენტულ სამართალში კარგად დამკვიდრებული „*instigation*” პასუხისმგებლობის სახე.⁷⁷⁷ წამქეზებლობა დღესდღეობით გამოიყენება *უგანდის* სიტუაციაზე – *Prosecutor v. Kony and others*-ს საქმეში, *სუდანის* სიტუაციაზე – *Prosecutor v. Harun and Kushayb*-ის საქმეში, *ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის* მეორე სიტუაციაზე – *Prosecutor v. Bemba and others*-ს საქმეში და სხვა საქმეებში.⁷⁷⁸

წამქეზებლობა, *ad hoc*, *სიერა-ლეონესა* და *კამბოჯის* ტრიბუნალების პრეცედენტული სამართლის მიხედვით, რომელსაც ეყრდნობა ICC-ის უახლესი პრაქტიკაც, გულისხმობს სხვის დაყოლიებას დანაშაულის მატერიალური ელემენტების შესასრულებლად. თუ იგი უშუალოდ შეასრულებს მას, გახდება ამსრულებელი. წამქეზებლობა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ზუსტი ფორმით, ასევე არაპირდაპირი. იგი შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. აუცილებელი არ არის, დანაშაულის ჩადენის გეგმა წამქეზებელმა შეიმუშაოს და უშუალოდ ესწრებოდეს დანაშაულის ჩადენას.⁷⁷⁹ არც იმის დადგენაა აუცილებელი, მისი წაქეზების გარეშე დანაშაულის ჩადენა თუ მოხდებოდა. მნიშვნელოვანია, დამტკიცდეს, წაქეზება იყო თუ არა დანაშაულის უშუალო ამსრულებლის ქმედებაში კონტრიბუციის მნიშვნელოვანი ფაქტორი.⁷⁸⁰ მენტალური ელემენტი აქაც გამოიხატება *პირდაპირ განზრახვაში*.⁷⁸¹

წამქეზებლობა არ საჭიროებს არავითარი სუბორდინაციული ურთიერთობის არსებობას. ნებისმიერი ურთიერთობა შეიძლება იქნეს გამოყენებული. განსხვავებით ბრძანების გაცემისგან, სადაც პირი უნდა

⁷⁷⁶ შეად. იქვე, 568–569.

⁷⁷⁷ დაწ. იხ. *Olasolo, Rojo*, Accessorial Liability, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 569–574.

⁷⁷⁸ იხ. იქვე, 570–572.

⁷⁷⁹ იხ. *Badar*, Participation, კრებულში: *Schabas, Bernaz* (ed.), ICL (2011), 248–249; *Shabas*, UN Tribunals (2006), 299–301.

⁷⁸⁰ იხ. *O’Keefe*, ICL (2015), 185.

⁷⁸¹ დაწ. იხ. *Olasolo, Rojo*, Accessorial Liability, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 572–574. *ევენტუალური განზრახვით* წამქეზებლობის დასჯადობის შესახებ იხ. იქვე.

იყოს *de iure* ან *de facto* ურთიერთობაში ამსრულებელთან. განსხვავება არაპირდაპირ ამსრულებლობასთან აქაც მენტალურ ელემენტშია.⁷⁸²

4. დახმარება

დანაშაულის დახმარებისთვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა თანამონაწილეობის ერთ-ერთ გავრცელებულ პასუხისმგებლობის სახეს წარმოადგენს საერთაშორისო სისხლის სამართალში. დღესდღეობით ICC-ის პრაქტიკაში იგი მხოლოდ ორ საქმეზე: *ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის* მეორე სიტუაციაში – *Prosecutor v. Bemba and others*-ს საქმეზე და *კენიის* სიტუაციაში – *Prosecutor v. Ruto and Sang*-ის საქმეზე გამოიყენება.⁷⁸³ აღნიშნული თანამონაწილეობის ფორმა აქტიურად გამოიყენებოდა *ad hoc* და *სიერა-ლეონეს* ტრიბუნალებში.

დახმარების მატერიალური ელემენტი გამოიხატება კონკრეტული დანაშაულის ჩადენის ხელის შეწყობაში (*aid*), წახალისებაში (*abet*) ან სხვაგვარად ხელის შეწყობაში (*otherwise assists*). დახმარება უზრუნველყოფს დანაშაულის ასრულებას (*providing the means for its commission*). იგი შესაძლოა გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში. კერძოდ, სპეციფიკური დანაშაულის ჩადენის მატერიალურ ან ფსიქოლოგიურ, ვერბალურ ან ინსტრუმენტულ მხარდაჭერაში. დახმარება შესაძლებელია როგორც დანაშაულის ჩადენის ასევე მანძილიდან, ისე გეოგრაფიულად დიდად დაშორებული მანძილიდან. დახმარებას *სუბსტანციური ეფექტი* უნდა ჰქონდეს დანაშაულის ჩადენაზე. დანაშაულში დახმარება შესაძლებელია, როგორც დანაშაულის ჩადენამდე, ჩადენისას, ისე ჩადენის შემდეგ. აუცილებელი არაა, რომ ამსრულებელმა იცოდეს თანამონაწილის დახმარების შესახებ, არც მიზეზობრივი კავშირის (*conditio sine qua non*) არსებობაა საჭირო. დამხმარის პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაშიც, თუ ამსრულებელი არაა იდენტიფიცირებული.⁷⁸⁴

დახმარებისთვის კონტრიბუციის დამაკმაყოფილებელი დონე შესაძლებელია იყოს იარაღით მომარაგება, თანამონაწილის რესურსის შეთავაზება (მაგალითად, მის დაქვემდებარებაში არსებული ხელქვეითების შეთავაზება დანაშაულის ჩასადენად) და სხვ.⁷⁸⁵ აზრთა სხვადასხვაობაა პრეცედენტულ სამართალში, თუ რამდენადაა აუცილებელი, რომ დახმარების მოქმედება თუ უმოქმედობა სპეციფიკურად იყოს მიმართული (*specifically directed*) დანაშაულის ჩასადენად. ამ მხრივ საინტერესოა *სიერა-ლეონეს* სპეციალური სასამართლოს მიერ განხილული *ლიბერის* პრეზიდენტის *Prosecutor v. Taylor*-ის საქმე, სადაც აღინიშნა, რომ

⁷⁸² იხ. იქვე, 574.

⁷⁸³ იხ. იქვე.

⁷⁸⁴ იხ. *O'Keefe*, ICL (2015), 188–191; *Badar*, Participation, კრებულში: *Schabas, Bernaz* (ed.), ICL (2011), 251. დაწ. იხ. *Finnin*, Accessorial Modes of Liability (2012), 72–91.

⁷⁸⁵ იხ. *Olasolo, Rojo*, Accessorial Liability, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 581.

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი არ ითვალისწინებდა ასეთი ელემენტის მტკიცების აუცილებლობას დანაშაულში დახმარებისთვის.⁷⁸⁶ აღსანიშნავია, რომ *ტელორი* სწორედ დახმარებისთვის გასამართლდა.⁷⁸⁷

მენტალურ ელემენტს რაც შეეხება, დამხმარემ უნდა იცოდეს, რომ მისი კონტრიბუციით ეხმარება დანაშაულის ჩადენას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ დამხმარემ იცოდეს ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის არსებითი ელემენტების შესახებ. ამსრულებლის *განზრახვის* გაზიარება არ არის აუცილებელი, თუმცა ძირითადი ამსრულებლის *განზრახვის* არსებობა მნიშვნელოვანია.⁷⁸⁸

დანაშაულში დახმარებისთვის პასუხისმგებლობა დგება იმის მიუხედავად, დანაშაულის ამსრულებელი იდენტიფიცირებულია თუ არა, განსხვავებით ხელმძღვანელობა-ბრძანების გაცემისგან. ასევე ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, დახმარებას არ სჭირდება მიზეზობრივი კავშირის არსებობა. არც რაიმე გეგმის არსებობაა სავალდებულო, დაგეგმვისგან განსხვავებით. დანაშაულში დახმარება განსხვავდება ყველა სხვა თანამონაწილეობის ფორმისგან იმით, რომ დახმარების დროს მატერიალური ელემენტები შეიძლება გამოვლინდეს როგორც დანაშაულის ჩადენამდე, მის პროცესში ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ.⁷⁸⁹ დახმარებაც, ისევე, როგორც სხვა თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის ფორმა, უნდა იყოს *სუბსტანციური ევექტის* მქონე და არა არსებითი.

5. შეჯამება

საერთო ჯამში, თანამონაწილედ, კერძოდ, დანაშაულში „მეორე ხარისხის“ მონაწილედ შეგვიძლია მივიჩნიოთ ის პირი, რომელიც დანაშაულის ხელმძღვანელობით, ბრძანების გაცემით, წაქეზებითა და დახმარებით ასორციელებს დანაშაულში *სუბსტანციურ კონტრიბუციას* და არა *არსებით კონტრიბუციას*. ასეთ პირს არ გააჩნია *დანაშაულზე კონტროლის* შესაძლებლობა. რაც შეეხება დანაშაულის დაგეგმვას, მისი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებების შინაარსიდან გამომდინარე, ამსრულებლობის ნაწილში უნდა განვიხილოთ.

თანამონაწილეობისგან დამოუკიდებელ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახეს წარმოადგენს დანაშაულში თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის ე.წ. რეზიდუალური („სარეზერვო“) ფორმა (*residual form of accessory liability*), საერთო მიზნით მოქმედი დაჯგუფების დახმარება.

⁷⁸⁶ იხ. იქვე, 583–584.

⁷⁸⁷ დაწ. იხ. *Gell*, Trial of Charles Taylor, კრებულში: *Jalloh* (ed.), SCSL and its Legacy (2014), 642–659.

⁷⁸⁸ იხ. *Werle, Jessberger*, Principles of ICL (2014), 218–219.

⁷⁸⁹ შეად. *Olasolo, Rojo*, Accessorial Liability, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 587–589.

XI. თანამონაწილეობის რეზიდუალური ფორმა – საერთო მიზნით მოქმედი დაჯგუფების დახმარება

საერთო მიზნით მოქმედი დაჯგუფების დახმარება (*assisting groups of persons acting with a common purpose*) ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ სახეს წარმოადგენს *რომის სტატუტის* 25(3)(d)-ე მუხლში, რომლისთვისაც ICC ახალ, მნიშვნელოვანი კონტრიბუციის (*significant contribution*) სტანდარტს აწესებს⁷⁹⁰ – „კონტრიბუცია მნიშვნელოვანია, თუ იგი გავლენას ახდენს დანაშაულის გამომწვევ გარემოებებზე ან/და მისი ჩადენის საშუალებაზე”.⁷⁹¹

25(3)(d)-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სახე, როგორც *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე აღინიშნა, არის დანაშაულში თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის ე.წ. რეზიდუალური („სარეზერვო”) ფორმა (*residual form of accessory liability*) და ახდენს იმ ქმედების კრიმინალიზაციას, რომელიც თავისი სიმძიმითა და ხასიათით ვერ ჯდება ამსრულებლობისა და თანამონაწილეობისათვის გათვალისწინებულ [25(3)(a–c)-ე მუხლი] პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ გარემოებებში.⁷⁹² თუ შევადარებთ *ad hoc* ტრიბუნალების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახეებს, იგი არის *JCE*-ისა და დანაშაულში დახმარების (*aiding and abetting*) „გზავარედინზე” მყოფი პასუხისმგებლობის ახალი სახე.⁷⁹³

25(3)(d)-ე მუხლის შინაარსის გასაანალიზებლად ყურადსაღებია *Prosecutor v. Mbarushimana*-ს საქმე, სადაც წინასასამართლო პალატა განმარტავს დანაშაულებრივი დაჯგუფების დახმარებისთვის [25(3)(d)-ე მუხლი] პასუხისმგებლობის საჭირო კონტრიბუციის დონეს, რომ გამოირიცხოს თანამონაწილეობა [25(3)(b–c)-ე მუხლი]. 25(3)-ე მუხლის პასუხისმგებლობის სახეების იერარქიული სისტემის გათვალისწინებით, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი,⁷⁹⁴ 25(3)(d)-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ხარისხი უნდა იყოს დაბალი, ვიდრე ეს აუცილებელია თანამონაწილეობისთვის.⁷⁹⁵ თუმცა, ასეთ მიდგომას ჰყავს მოწინააღმდეგეებიც, რომლებიც არსებით განსხვავებას 25(3)-ე მუხლის „c” და „d” აბზაცებს შორის ვერ ხედავენ. მათი აზრით, დანაშაულში დახმარებასთან („c” აბზაცი) შედარებით, საერთო მიზნით მოქმედი

⁷⁹⁰ იხ. *ICC, Prosecutor v. Mbarushimana*, Confirmation of Charges, 16.12.2011, პარ. 283; *ICC, Prosecutor v. Katanga*, TC Judgment, 7.3.2014, პარ. 1620, 1632–1636.

⁷⁹¹ „The Contribution will be considered significant where it had a bearing on the occurrence of the crime and/or the manner of its commission.” იხ. *ICC, Prosecutor v. Katanga*, TC Judgment, 7.3.2014, პარ. 1633.

⁷⁹² იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 337; *ICC, Prosecutor v. Mbarushimana*, Confirmation of Charges, 16.12.2011, პარ. 278.

⁷⁹³ შეად. *Cassese*, ICL (2013), 198.

⁷⁹⁴ იხ. ნაშრომის IX თავი, §6.

⁷⁹⁵ იხ. *ICC, Prosecutor v. Mbarushimana*, Confirmation of Charges, 16.12.2011, პარ. 279; *ICC, Prosecutor v. Ruto, Kosgey and Sang*, Confirmation of Charges, 23.1.2012, პარ. 350–351.

დაჯგუფების დახმარება („d” აბზაცი) შესაძლოა გამოიხატოს უფრო მძიმე ქმედებით.⁷⁹⁶

მას შემდეგ, რაც ICC-ში *Prosecutor v. Katanga and Chui*-ს საქმე გაიყო, ბრალდებულთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სხვადასხვა მიმართულებით წარმართვის მიზნით, *ჩუის* გამართლების შემდეგ, *კატანგას* მიმართ რთული სამტკიცებელი იყო ყველა ამბოხებულებზე საერთო კონტროლის არსებობა, მათ შორის, განსაკუთრებით, *ჩუიზე*. პალატის უმრავლესობა მომხრე იყო *ორგანიზაციაზე კონტროლის* თეორიის გამოყენების. კერძოდ, ორგანიზაციის ავტომატური ფუნქციონირების ელემენტით, რომელიც უზრუნველყოფდა ბრძანებათა ავტომატურ შესრულებას, მაგრამ არაპირდაპირი ამსრულებლობის დოქტრინის ყველა აუცილებელი მატერიალური ელემენტი ითხოვდა აბსოლუტური კონტროლის მტკიცებას.⁷⁹⁷ ამიტომაც ასეთი მაღალი მტკიცების სტანდარტის მოთხოვნის გამო, *კატანგა* დამნაშავედ ცნეს არა როგორც ამსრულებელი, არამედ, როგორც ადამიანურობისა და ომის დანაშაულების ჩამდენი დაჯგუფების დამხმარე, 25(3)(d)-ე მუხლის მიხედვით.⁷⁹⁸ სასამართლო პალატამ *Prosecutor v. Katanga*-ს საქმეზე დააკმაყოფილა *Prosecutor v. Mbarushimana*-ს საქმეზე გამოყენებული სტანდარტი, დამატებითი მოდიფიკაციებით.⁷⁹⁹

Prosecutor v. Mbarushimana-ს საქმეზე წინასასამართლო პალატამ აღნიშნა, რომ 25(3)(d)-ე მუხლით ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მცირე კონტრიბუციისთვისაც. ყველა მიწათმფლობელი, სურსათით მოვაჭრე-გამყიდველი, მდივანი, დამლაგებელი და თუნდაც გადასახადების გადამხდელი, შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებელი, თუ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში ახორციელებს კონტრიბუციას, როდესაც ჯგუფის დანაშაულებრივი ხასიათი საჯაროდ ცნობილია. შესაბამისად, 25(3)(d)-ე მუხლით, შესაძლებელია პასუხისმგებლობის ფარგლების გაფართოება, თუ დანაშაულში ნებისმიერი სახის კონტრიბუცია იქნება მნიშვნელოვანი (*significant*).⁸⁰⁰

⁷⁹⁶ იხ. *Ambos*, Common Purpose under Article 25(3)(D), კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 607; *Noto*, Secondary Liability (2013), 198–199. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახეთა „ბრალეულობის იერარქიაზე” იხ. ნაშრომის XIII თავი, §4.2.

⁷⁹⁷ შეად. *Weigend*, Indirect Perpetration, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 546.

⁷⁹⁸ იხ. *ICC*, *Prosecutor v. Katanga*, TC Judgment, 7.3.2014. აღნიშნულ საქმეზე განსხვავებული აზრი გამოხატა მოსამართლე *ჟინგაერტმა*, რომელიც *კატანგას* გამართლებას ითხოვდა. მისი აზრით, ბრალდებულების მტკიცების ეტაპზე, არ იკვეთებოდა დანაშაულის ფიზიკური ამსრულებლების საერთო მიზნის, განზრახვის ნიშნები და, შესაბამისად, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ვერ დამტკიცდებოდა *კატანგას* „სავარაუდო” კონტრიბუცია, „ჯგუფის არარსებობის გამო”. იგი 25(3)(d)-ე მუხლის აქცესორულობას უსვამდა ხაზს, ჯგუფის პასუხისმგებლობაზე დამოკიდებულებას. იხ. იქვე, პარ. 21–24.

⁷⁹⁹ დაწ. იხ. *Ambos*, Common Purpose under Article 25(3)(D), კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 597–604.

⁸⁰⁰ იხ. *ICC*, *Prosecutor v. Mbarushimana*, Confirmation of Charges, 16.12.2011, პარ. 277.

წინასასამართლო პალატამ *Prosecutor v. Mbarushimana*-ს საქმეზე საერთაშორისო სისხლის სამართლის პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, განსაზღვრა 25(3)(d)-ე მუხლით პასუხისმგებლობისთვის დანაშაულში კონტრიბუციის რამდენიმე ნიშანი, როგორცაა ბრალდებულის მხრიდან: ჯგუფის დანაშაულებრივი საქმიანობის ცოდნის შემდეგ, მყარი (უწყვეტი) ხასიათის მონაწილეობა დანაშაულში; დანაშაულის ჩადენისათვის ან დაჯგუფების დანაშაულების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის პრევენციული ზომების მიღება; დანაშაულებრივი გეგმის შექმნა ან ასრულება. ასევე, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ჩადენილი დანაშაულების მიმართ დაჯგუფებაში ბრალდებულის პოზიცია და მისი „სერიოზული“ როლი.⁸⁰¹

25(3)(d)-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კოლექტიურ დანაშაულებში კონტრიბუციისათვის⁸⁰² და ქმედების კრიმინალიზაციას ახდენს მიუხედავად მისი მიზეზობრივი კავშირისა დანაშაულის მთავარ ამსრულებლობასთან. ბრალდებულს 25(3)(d)-ე მუხლის საფუძველზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დაეკისრება ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული მენტალური ელემენტის მის მიმართ არასაკმარისი მტკიცების მიუხედავად, როდესაც მისი კონტრიბუცია არსებით გავლენას არ ახდენს დანაშაულის შედეგზე.⁸⁰³ არც პირდაპირი კავშირის მტკიცებაა საჭირო ძირითად ამსრულებელსა და 25(3)(d)-ე მუხლით ბრალდებულს შორის.⁸⁰⁴ ყველაზე მთავარია, რომ *მნიშვნელოვან კონტრიბუციაზე* არ იყოს დამოკიდებული დანაშაულის ჩადენა. თუ ეს ასეა, უკვე გვაქვს *არსებითი კონტრიბუცია*, რომელიც ამსრულებლობის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებაა.

25(3)(d)-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მენტალური ელემენტისთვის მნიშვნელოვანია, კონტრიბუცია იყოს განზრახი, კერძოდ, „მიზნად ისახავდეს ჯგუფის დანაშაულებრივი მიზნის განხორციელებას ან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებას“, ან „ხორციელდებოდეს იმის წინასწარი შეცნობით, რომ ჯგუფი მიზნად ისახავს დანაშაულის ჩადენას“.⁸⁰⁵

შესაბამისად, შეგვიძლია გამოვყოთ დანაშაულში მონაწილეობის *არსებითი კონტრიბუციის, სუბსტანციური კონტრიბუციისა და მნიშვნელოვანი კონტრიბუციის* სტანდარტები. 25(3)(d)-ე მუხლით პასუხისმგებლობა არ უნდა დაწესდეს ნებისმიერი კონტრიბუციისათვის,

⁸⁰¹ იხ. იქვე, პარ. 284.
⁸⁰² შეად. *Ohlin*, Co-Perpetration, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 520.
⁸⁰³ შეად. *Burghardt*, Modes of Participation, კრებულში: *Burchard, Triffterer, Vogel*, Future of ICC (2010), 86-87.
⁸⁰⁴ იხ. ICC, *Prosecutor v. Katanga*, TC Judgment, 7.3.2014, პარ. 1620, 1632–1636; ICC, *Prosecutor v. Mbarushimana*, Confirmation of Charges, 16.12.2011, პარ. 283.
⁸⁰⁵ იხ. ICC, *Prosecutor v. Mbarushimana*, Confirmation of Charges, 16.12.2011, პარ. 288–289; ICC, *Prosecutor v. Katanga*, TC Judgment, 7.3.2014, პარ. 1637–1639; იხ. ასევე: *რომის სტატუტის* 25(3)(d)-ე მუხლი.

არამედ იმ დროს, როდესაც ეს მონაწილეობა არის, სულ ცოტა, მნიშვნელოვანი.⁸⁰⁶ თუ რომელი კონტრიბუცია არის მნიშვნელოვანი, ეს დამოკიდებულია კონკრეტულ საქმეზე, თუ რამდენად ჰქონდა მის კონტრიბუციას დიდი თუ პატარა ეფექტი დანაშაულის ჩადენაზე.

25(3)(d)-ე მუხლით პასუხისმგებლობის სახე არ შეესაბამება ICTY-ის სტატუტითა და პრეცედენტული სამართლით გათვალისწინებულ JCE-ის შინაარსს. ეს უკანასკნელი ვერ გამოიყენება *რომის სტატუტის* 25-ე მუხლში მოდიფიკაციის გარეშე, თეორიული/დოგმატური განსხვავების გამო.⁸⁰⁷ JCE და 25(3)(d)-ე მუხლი პასუხისმგებლობის განსხვავებულ სახეებს წარმოადგენს. ის კითხვები, რომლებიც შეიძლება დაისვას 25(3)(d)-ე მუხლთან მიმართებით, რელევანტური არაა JCE-ისთვის.⁸⁰⁸ JCE-ის წევრობის დროს, პირს უფრო დიდი ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ვიდრე თანამონაწილეობის შემთხვევაში,⁸⁰⁹ იმის გათვალისწინებით, რომ 25(3)(d)-ე მუხლი დანაშაულში თანამონაწილეობის სახეს კი არ წარმოადგენს, არამედ თანამონაწილეობის ე.წ. რეზიდუალურ („სარეზერვო“) ფორმას (*residual form of accessory liability*).

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნებისას, ამსრულებლობა-თანამონაწილეობის სახეებს შორის კონკურენციისას, თავისი ადგილი უკავია მეთაურის (უფროსის) პასუხისმგებლობის (*superior (command) responsibility*) სახეს, რომელიც *რომის სტატუტის* შემქმნელების მიერ ცალკე, 28-ე მუხლშია ჩამოყალიბებული. ეს მისი განსაკუთრებული ბუნებითაა გამოწვეული.

⁸⁰⁶ იხ. იქვე, პარ. 283; *ICC, Prosecutor v. Katanga*, TC Judgment, 7.3.2014, პარ. 1620.

⁸⁰⁷ შეად. იქვე, პარ. 281.

⁸⁰⁸ შეად. იქვე, პარ. 282.

⁸⁰⁹ დაწ. იხ. *Sliedregt, Individual Responsibility* (2012), 78–79.

XII. მეთაურის (უფროსის) პასუხისმგებლობა

სისხლის სამართლის ერთ-ერთი ამოცანა სამოქალაქო (პოლიტიკური) და სამხედრო მეთაურების უმოქმედობის კრიმინალიზაციაა. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XXI საუკუნეში – თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება და მათი ეფექტიანი გამოყენება ხელს უწყობს როგორც დანაშაულთა გამოძიებას, ასევე, მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურებას. სისხლის სამართალს მეთაურებთან მიმართებით ხშირად ობიექტურ (მატერიალურ) გარემოებებზე დაყრდნობით უწევს მოქმედება, სუბიექტური (მენტალური) გარემოებების ამსახველი მტკიცებულებების განადგურების გამო. *პირდაპირი განზრახვით* გამოწვეული უმოქმედობის მტკიცების შეუძლებლობისას მთავარი პრობლემა „ობიექტურად არსებული უმოქმედობის“⁸¹⁰ დასჯადობაა.

მეთაურთა უმოქმედობის დასჯადობის საკითხზე საფუძვლიანად მუშაობს საერთაშორისო სისხლის სამართალი⁸¹¹. კერძოდ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების მიერ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნებისას გამოიყენება მეთაურის პასუხისმგებლობის – *superior (command) responsibility* კონცეფცია, რომელიც სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს მეთაურებზე – როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო პირებზე, საერთაშორისო დანაშაულების თავიდან აცილების ვალდებულების განუხორციელებლობის, არასათანადო კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის. აღნიშნული კონცეფცია მეთაურთა *პირდაპირი განზრახვის* გარეშე გამოწვეული უმოქმედობის დასჯადობის შესაძლებლობას იძლევა.

მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინა საერთაშორისო სისხლის სამართალს სჭირდება სწორედ პოლიტიკური და სამხედრო ლიდერების სისხლისსამართლებრივი დევნის უფრო მეტი ეფექტიანობისათვის,⁸¹² კერძოდ, ფართომასშტაბიანი, სისტემატური და სისტემური დანაშაულებისას, როდესაც თანამდებობის პირი შეგნებულად იჩენს უმოქმედობას „კვალის არდატოვების“ მიზნით, რათა შემდეგში თავი იმართლოს, რომ არავითარი ბრალი არ მიუძღვის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში. თუ მეთაურის უმოქმედობის *პირდაპირი განზრახვა* ვერ მტკიცდება ამსრულებლობის (უფრო არაპირდაპირი ამსრულებლობის) კონცეფციით, „ობიექტურად არსებული უმოქმედობის“ დასჯადობას მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინა ახდენს.

მეთაურის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კონცეფციის როლი, ICC-ის ბოლო პრეცედენტების მიხედვით, უფრო მეტად იზრდება, *რომის*

⁸¹⁰ „ობიექტურ უმოქმედობაში“ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირის განზრახვით გამოწვეული უმოქმედობა ვერ მტკიცდება.

⁸¹¹ საერთაშორისო სისხლის სამართლის ცნებაზე იხ. *ტურავა*, საფუძვლები (2015), 1–16; იხ. ასევე: *Kreß*, ICL, კრებულში: *Wolfrum* (ed.), MPEPIL, Vol. V (2013), 717–732.

⁸¹² შეად. *Olasolo*, Criminal Responsibility (2009), 82–109.

სტატუტის 30-ე მუხლში⁸¹³ პირდაპირი განზრახვის მკაცრი სტანდარტის დამკვიდრების გამო.⁸¹⁴ კერძოდ, პირდაპირი განზრახვის გარეშე ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში მეთაურის პასუხისმგებლობის კონცეფცია (28-ე მუხლი) სისხლისსამართლებრივი დევნის „ერთადერთ საშუალებად რჩება“.

ICC მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინის მატერიალურ და მენტალურ ელემენტებს, *ad hoc* ტრიბუნალების პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, მოდიფიცირებულად აყალიბებს. თუ პრაქტიკიდან უკვე

⁸¹³ იხ. *რომის სტატუტის* 30-ე მუხლი:

„1. თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და დაისჯება სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მხარისათვის დამახასიათებელი ნიშნებით იგი ჩადენილი იყო განზრახ და შეგნებულად.

2. ამ მუხლის მიზნებისთვის პირს აქვს განზრახვა:

(a) ქმედების მიმართ, თუ იგი აპირებს ამ ქმედების ჩადენას;

(b) შედეგის მიმართ, თუ იგი აპირებს გამოიწვიოს ეს შედეგი ან გაცნობიერებული აქვს, რომ იგი დადგება მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში.

3. შეგნებულად ნიშნავს იმის გაცნობიერებას, რომ გარემოება არსებობს ან შედეგი დადგება მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში. „ცოდნა“ და „შეგნება“ უნდა განიმარტოს შესაბამისად“.

⁸¹⁴ ICC-ის მიმდინარე პრეცედენტული სამართალი *რომის სტატუტის* 30-ე მუხლის მენტალურ ელემენტში განიხილავს მხოლოდ პირდაპირ განზრახვას – პირველი ხარისხის პირდაპირ განზრახვას [dolus directus in the first degree, 30(2)(b)-ე მუხლის პირველი ალტერნატივა] და მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვას [dolus directus in the second degree, 30(2)(b)-ე მუხლის მეორე ალტერნატივა].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ICC-ის წინასასამართლო პალატამ *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე, სცადა *რომის სტატუტის* 30(2)(b)-ე მუხლში *ვეენტუალური განზრახვის* ელემენტის წაკითხვა, კერძოდ, როდესაც ბრალდებულს შედეგის მიმართ გაცნობიერებული აქვს, რომ „იგი დადგება მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში“. იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga, Confirmation of Charges*, 29.1.2007, პარ. 349–365. ასეთი ინტერპრეტაცია საფუძველს არ არის მოკლებული. შეად. *Jain, Perpetrators and Accessories* (2014), 90. მოგვიანებით, წინასასამართლო პალატამ *Prosecutor v. Bemba*-ს საქმეზე შეცვალა აღნიშნული გაგება *ვეენტუალური განზრახვის* უარყოფით. სიტყვასიტყვითი ინტერპრეტაციით, „შედეგი დადგებოდა“ (*consequence will result*), მისი აზრით, ნიშნავს *გარდაუვალ მოსალოდნელობას* (*inevitably expected*). იმავე ინტერპრეტაციით თუ წავიკითხავთ წინადადების მეორე ნაწილს – „მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში“ (*in the ordinary course of events*), კერძოდ, „შედეგი დადგებოდა მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში“, ნათელია, რომ შედეგის დადგომის აუცილებელი სტანდარტი ახლოსაა უდავო მოსალოდნელობასთან. პალატამ ეს სტანდარტი განსაზღვრა, როგორც *ვირტუალური უდავო მოსალოდნელობა* (*virtual certainty*) ან *პრაქტიკული უდავო მოსალოდნელობა* (*practical certainty*), რომ შედეგი დადგება მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი ჩარევის, „ინტერვენციის“ გამორიცხვით, რომელიც თავიდან აიცილებდა შედეგს. იხ. *ICC, Prosecutor v. Bemba, Confirmation of Charges*, 15.6.2009, პარ. 362, 341–371. *განზრახვის* აღნიშნულ ვიწრო ინტერპრეტაციას მხარი დაუჭირა ICC-ის სასამართლო პალატამ, *Prosecutor v. Katanga*-ს საქმეზე 2014 წლის განაჩენით. იხ. *ICC, Prosecutor v. Katanga, TC Judgment*, 7.3.2014, პარ. 770–779. იგივე გააკეთა ICC-ის სააპელაციო პალატამ *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზეც, რითაც ამ ეტაპზე *ვეენტუალური განზრახვის* მენტალური ელემენტი 30-ე მუხლის მიღმა დატოვა. იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga, AC Judgment*, 1.12.2014, პარ. 441–452. *რომის სტატუტში* მენტალური ელემენტის შესახებ იხ. *Badar, Porro, Mental Elements*, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 649–668.

კარგად ნაცნობი JCE-ის, თანამსრულებლობის, არაპირდაპირი ამსრულებლობისა და არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის პასუხისმგებლობის სახეების მიზანია, უმეტესწილად, მოქმედებითა და პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულების ჩადენისათვის ინდივიდთა სისხლისსამართლებრივი დევნა, მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინა, პირდაპირი მნიშვნელობით, უმოქმედობითა და პირდაპირი განზრახვის გარეშე ჩადენილ დანაშაულებზე აწესებს დასჯადობას. შესაძლოა ითქვას, რომ იგი ავსებს პასუხისმგებლობის იმ სფეროს, რომელსაც ამსრულებლობა ვერ უმკლავდება, ან „ღიად ტოვებს“.

მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინა სჯის მეთაურს საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისათვის – ერთი მხრივ, როდესაც იგი „მონაწილეობს“ შეგნებულად და ვერ ისჯება პასუხისმგებლობის სხვა ფორმით, ან, მეორე მხრივ, „მონაწილეობს“ შედარებით დაბალი მენტალური ელემენტით – ქართული სისხლის სამართლის ტერმინოლოგიით, არაპირდაპირი განზრახვით ან გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი გაუფრთხილებლობით.

მეთაურის პასუხისმგებლობის უახლესი კონცეფციის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია, ამსრულებლობისა და თანამონაწილეობისგან განსხვავებულ, კვალიფიკაციისათვის რა აუცილებელ მატერიალურ და მენტალურ ნიშნებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი. ამ მხრივ, ICC-ის სასამართლო პრაქტიკაზე, კერძოდ, *Prosecutor v. Bemba*-ს საქმეზე⁸¹⁵ დაყრდნობითა და *ad hoc* ტრიბუნალების პრეცედენტულ სამართალთან პარალელების გავლებით, გამოსაყოფია: მეთაურის პასუხისმგებლობის ცნება; მეთაურის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებები *ad hoc* ტრიბუნალებსა და ICC-ში. კერძოდ, მნიშვნელოვანია სამხედრო და სამოქალაქო მეთაურების პასუხისმგებლობისათვის გათვალისწინებული საფუძვლები, ეფექტიანი კონტროლის ცნება, ჩადენილ დანაშაულსა და ხელქვეითებზე სათანადო კონტროლის განუხორციელებლობას შორის მიზეზობრივი კავშირის მტკიცების მნიშვნელობა და მეთაურის პასუხისმგებლობის მენტალური ელემენტები, როგორებიცაა ცოდნა, „უნდა სცოდნოდა“, დაუდევრობა, „ჰქონდა მიზეზი რომ სცოდნოდა“, ინფორმაციის შეგნებულად უგულებელყოფა და გუღერობა⁸¹⁶, მეთაურის პრევენციული, რეპრესიული და საჭირო და გონივრული ზომების გატარების მოვალეობის სტანდარტები.

1. მეთაურის პასუხისმგებლობის ცნება

მეთაურის პასუხისმგებლობის კონცეფცია საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში XX საუკუნეში, კერძოდ, II მსოფლიო ომის შემდგომ

⁸¹⁵ იხ. ნაშრომის IX თავი, §5.1.
⁸¹⁶ *recklessness*-ის ქართული შესატყვისის შესახებ იხ. ტურავა, მოძღვრება (2011), 289; *მაღლაკელიძე*, დანაშაულის სისტემა, 2/3 მართლმსაჯულება და კანონი (2007), 248.

განვითარდა.⁸¹⁷ დოქტრინა კარგად გამოიყენებოდა *ad hoc* ტრიბუნალებში⁸¹⁸ და დღესაც, ICC-ის მიმდინარე საქმიანობაში თავისი ადგილის დამკვიდრებას ცდილობს.

მეთაურის პასუხისმგებლობის (*superior (command) responsibility*) სახე, JCE-ის მსგავსად⁸¹⁹, საერთაშორისო სისხლის სამართლის მიერ „ორიგინალურად“ შექმნილი კონცეფციაა, რომლის ანალოგი ეროვნულსამართლებრივ სისტემაში არ მოიპოვება.⁸²⁰ იგი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის *sui generis*, განცალკევებული სახეა. მიუხედავად იმისა, რომ *რომის სტატუტის* 25-ე მუხლში მითითებული პასუხისმგებლობის სახეებისგან დამოუკიდებლად, 28-ე მუხლშია მოცემული,⁸²¹ მეთაურის პასუხისმგებლობის ფორმა ორგანულად 25-ე მუხლის ნაწილია, მისი გაგრძელებაა.

მეთაურის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის როგორც სტატუტისეული, ასევე დოქტრინული კონცეფცია მარტივია. დოქტრინა სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს სამხედრო და სამოქალაქო პირებზე პრევენციული, რეპრესიული და საჭირო და გონივრული ზომების გაუტარებლობის, არასათანადო კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის, რა დროსაც გენოციდთან,⁸²² ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ და ომის დანაშაულებთან მიმართებით, ხშირად იკვეთება მეთაურთა გარკვეული სახის „შემხებლობა“ და „მდუმარე თანადგომა“, უმოქმედობა.⁸²³

⁸¹⁷ მეთაურის პასუხისმგებლობის განვითარების ისტორიული ექსკურსი იხ. *Meloni, Command Responsibility* (2010), 33–76; იხ. ასევე: *Mettraux, Command Responsibility* (2009), 3–20; *Arnold, Triffterer, Responsibility of Commanders (Article 28)*, კრებულში: *Triffterer, Commentary on the RS* (2008), 799 და მომდევნო გვერდები.

⁸¹⁸ *ad hoc* ტრიბუნალებში მეთაურის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით იხ. *Sliedregt, Command Responsibility*, კრებულში: *Swart, Zahar, Sluiter* (ed.), *ICTY* (2011), 377–400; იხ. ასევე: *Boas, Bischoff, Reid, Forms of Responsibility* (2008), 174 და მომდევნო გვერდები.

⁸¹⁹ JCE-ის მთავარი კონცეფცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არის თანაამსრულებელთა ერთიანი განზრახვა – დაჯგუფებაში მონაწილეობა საერთო მიზნის, გეგმის მისაღწევად, რომელიც გამოიხატება კონკრეტული ან/და აბსტრაქტული დანაშაულების ჩადენაში. *ICTY*-ის პრეცედენტულ სამართალში მისი შექმნის „მთავარი წინაპირობა“ იყო ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული ცნების „უუნარობა“ და ზედმეტად აბსტრაქტული შინაარსი. *ICTY*-ის წესდების მე-7(1) მუხლი, სტატუტის გამომყენებელს, კონკრეტული პრინციპების, დოგმატიკის დონეზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების კონკრეტულ გზას არ სთავაზობდა. შესაბამისად, აქცენტი მთლიანად გადატანილი იყო პრეცედენტულ სამართალზე, ამ „უუნარობისა“ და აბსტრაქტულობის გამოსასწორებლად. იხ. *ICTY, Prosecutor v. Tadic, AC Judgment, 15.7.1999*, პარ. 185–232; იხ. ასევე: *Cassese and the Members of the JICJ, Amicus Curiae Brief on JCE, 20 CLF* (2009), 289–330.

⁸²⁰ შეად. *Werle, Jessberger, Principles of ICL* (2014), 221; *Ambos, Treatise on ICL, Vol. I* (2013), 206.

⁸²¹ შეად. *Schabas, RS Commentary* (2010), 457.

⁸²² გენოციდის დანაშაულთან დაკავშირებით მეთაურის პასუხისმგებლობაზე იხ. *Zahar, Command Responsibility, 14 LJIL* (2001), 591–616.

⁸²³ იხ. *Arnold, Triffterer, Responsibility of Commanders (Article 28)*, კრებულში: *Triffterer, Commentary on the RS* (2008), 798.

სამხედრო და სამოქალაქო მეთაურთა საერთაშორისო დანაშაულების თავიდან აცილების განუხორციელებლობის, არასათანადო კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის სისხლისსამართლებრივი დევნისას, ბრალდების აზრით, მეთაური ისჯება იმის გამო, რომ თავიდან არ აიცილა დანაშაულში თანამონაწილეობა (მაგ., დახმარება – *aiding and abetting*), ხელქვეითთა მონაწილეობა *JCE*-ში და სხვ.⁸²⁴

მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია *Prosecutor v. Bemba*-ს საქმე, რომელშიც *ICC* პირველად ახდენს *რომის სტატუტის* 28-ე მუხლის ინტერპრეტაციას. აღნიშნულ საქმეზე დაყრდნობითა და *ad hoc* ტრიბუნალების პრეცედენტულ სამართალთან პარალელების გავლებით საერთაშორისო სისხლის სამართალს, შეიძლება ითქვას, ახალ მოთხოვნებზე მორგებული მეთაურის პასუხისმგებლობის კონცეფცია აქვს.

მეთაურის პასუხისმგებლობის ცნება იურიდიულ ლიტერატურაში ურთიერთშენაცვლებადი ტერმინებით გამოიყენება.

2. მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინის სახელწოდება

საერთაშორისო სისხლის სამართალში მეთაურის პასუხისმგებლობის ორი სახელწოდება არსებობს – *command responsibility* და *superior responsibility*. დოქტრინა თავდაპირველად მიმართული იყო მხოლოდ სამხედრო მეთაურებზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად და *command responsibility* სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. შემდგომში მეთაურის პასუხისმგებლობის კონცეფციამ თავის თავში მოიცვა არასამხედრო, სამოქალაქო პირებიც, რის შემდეგაც იგი, ასევე, როგორც *superior responsibility* ისე მოიხსენიება.⁸²⁵ საერთაშორისო სისხლის სამართლის ლიტერატურაში ორივე სახელწოდება, დღესდღეობით, ურთიერთშენაცვლებად ტერმინებად გამოიყენება.⁸²⁶ *რომის სტატუტი* მეთაურის პასუხისმგებლობას 28-ე მუხლში, მისი შინაარსიდან გამომდინარე, რომელსაც ქვემოთ გავაანალიზებთ, როგორც *superior responsibility* ისე მოიხსენიებს.

მეთაურის პასუხისმგებლობის მოდიფიცირებული ცნების საფუძვლები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, *ad hoc* ტრიბუნალების პრეცედენტული სამართლიდან მოდის.

⁸²⁴ შეად. *O'Keefe*, ICL (2015), 201–202.

⁸²⁵ *command responsibility* და *superior responsibility* ტერმინებთან დაკავშირებით იხ. *Weigend*, Superior Responsibility, კრებულში: *Burchard, Triffterer, Vogel*, Future of ICC (2010), 67; იხ. ასევე: *Meloni*, Command Responsibility (2010), 1–5.

⁸²⁶ იხ. *Sliedregt*, Article 28, 12 *NCLR* (2009), 420, სქოლიო 1.

3. მეთაურის პასუხისმგებლობა დროებით ტრიბუნალებში

ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, რომელიც *რომის სტატუტის* მიხედვით მეთაურის პასუხისმგებლობის მოდიფიცირებული ცნების გაანალიზებაა, აღსანიშნავია ის მოთხოვნები, რომლებსაც *ad hoc* ტრიბუნალების პრეცედენტული სამართალი უყენებდა მეთაურს მოქმედების შეუსრულებლობისათვის.⁸²⁷

მეთაურის პასუხისმგებლობისათვის *ad hoc* ტრიბუნალებმა რამდენიმე აუცილებელი პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მოთხოვნა წამოაყენეს. ესენია:

- მეთაურსა და ხელქვეითს შორის „ურთიერთობის“ (სუბორდინაციის) არსებობა;
- მეთაურის მხრიდან თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საჭირო და გონივრული ზომების გაუტარებლობა, რათა თავიდან აეცილებინა მისი ხელქვეითის მხრიდან დანაშაულთა ჩადენა და განეხორციელებინა სადამსჯელო ღონისძიებები;
- მეთაურის ცოდნა, ან „მიზეზი იმის ცოდნისა“,⁸²⁸ რომ ჩადენილია დანაშაული ან განზრახული იყო მისი ჩადენა.⁸²⁹

ასევე, *Prosecutor v. Oric*-ის საქმეზე განისაზღვრა მეოთხე აუცილებელი ელემენტი, რომელიც, თავისთავად, მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინის შინაარსიდან გამომდინარე აღმოცენდა – საერთაშორისო დანაშაულების ჩადენა უნდა მოხდეს ბრალდებულის ხელქვეითის მიერ.⁸³⁰

რომის სტატუტის 28-ე მუხლი ოთხივე ელემენტს მოდიფიცირებულად ავრცობს.

4. მეთაურის პასუხისმგებლობის რომის სტატუტისეული ცნება

რომის სტატუტის 28-ე მუხლში მეთაურის პასუხისმგებლობის პოზიტიური ცნების შინაარსი და სტრუქტურა, ცოტა არ იყოს, რთულად

⁸²⁷ *ad hoc* ტრიბუნალებში მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინის შესახებ იხ. *დვალაძე*, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია, კრებულში: *ნაჭყებია* (რედ.), ორგანიზებული დანაშაული (2012), 119–123.

⁸²⁸ იკვეთება სუბიექტური ელემენტის ორი აუცილებელი მოთხოვნა: „იცოდა“ და „ჰქონდა მიზეზი რომ სცოდნოდა“. იხ. ნაშრომის ამ თავის §4.2.

⁸²⁹ იხ. *ICTY, Prosecutor v. Boskoski and Tarculovski*, TC Judgment, 10.7.2008, პარ. 406; *ICTY, Prosecutor v. Halilovic*, TC Judgment, 16.11.2005, პარ. 56; *ICTY, Prosecutor v. Limaj, Bala and Musliu*, TC Judgment, 30.11.2005, პარ. 520; *ICTR, Prosecutor v. Kajelijeli*, TC Judgment, 1.12.2003, პარ. 772; *ICTY, Prosecutor v. Aleksovski*, TC Judgment, 25.6.1999, პარ. 69; *ICTY, Prosecutor v. Delalic, Mucic, Delic and Landzo*, TC Judgment, 16.11.1998, პარ. 346.

⁸³⁰ აღნიშნული დამატებითი მეოთხე ელემენტი განისაზღვრა *ICTY*-ის მხრიდან *Prosecutor v. Oric*-ის საქმეზე. იხ. *ICTY, Prosecutor v. Oric*, TC Judgment, 30.6.2006, პარ. 294, 295–306.

გასაგები⁸³¹ და კომპლექსურია,⁸³² რაც, რომის სტატუტის შექმნის ისტორიიდან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი. 28-ე მუხლი, ისევე, როგორც მთლიანად სტატუტი, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის წარმომადგენელ იურისტებს შორის გამართული რთული მოლაპარაკებების შედეგია, რის გამოც უწოდებენ მას, განსხვავებული შეხედულებისას სასურველი დეფინიციის მისაღებად, კომპრომისის ილუსტრაციის კარგ მაგალითს.⁸³³

4.1. მეთაურის პასუხისმგებლობის მატერიალური ელემენტები

მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მატერიალური ელემენტების დასადგენად ჯერ უნდა განისაზღვროს, ვინ შეიძლება იყოს *სამხედრო მეთაური* ან *სამოქალაქო მეთაური*, რა იგულისხმება *ეფექტიანი კონტროლის* ცნებაში, მათ შორის, დაქვემდებარებული ძალების მიმართ *ეფექტიანი ხელმძღვანელობისა* და *კონტროლის* ან *ეფექტიანი ძალაუფლებისა* და *კონტროლის* არსებობაში. რამდენად აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ჩადენილ დანაშაულსა და ხელქვეითზე სათანადო კონტროლის განუხორციელებლობას შორის? ყველა ეს ელემენტი მნიშვნელოვანია სხვადასხვა კონტექსტში, იმის მიხედვით, უმოქმედობას იჩენს *სამხედრო მეთაური* თუ *სამოქალაქო მეთაური*, მეთაურის პასუხისმგებლობის მთავარი მაკვალიფიცირებელი მატერიალური ელემენტის – უმოქმედობის წარმოსაჩენად.

4.1.1. სამხედრო და სამოქალაქო მეთაურების პასუხისმგებლობისათვის გათვალისწინებული საფუძვლები

მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინის სპეციალური სუბიექტი, რომელსაც შეიძლება საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს, *რომის სტატუტის* 28-ე მუხლის მიხედვით, არის *სამხედრო მეთაური (military commander-superior)*, *სამხედრო მეთაურის სახით ეფექტიანად მოქმედი პირი (person effectively acting as a military commander)* და *სამოქალაქო მეთაური (civilian superior)*. განსახილველია თითოეული მათგანი.

4.1.1.1. სამხედრო მეთაური

ICC-მ *Prosecutor v. Bemba*-ს საქმეზე განმარტა, რომ *სამხედრო მეთაური* არის პირი, რომელიც ფორმალურად თუ კანონიერად ასრულებს სამხედრო მეთაურის ფუნქციებს, ე.წ. *de jure* მეთაური, მიუხედავად მისი თანამდებობრივი რანგისა. აქ შეიძლება მოიაზრებოდეს ისეთი მეთაური,

⁸³¹ შეად. Weigend, Superior Responsibility, კრებულში: Burchard, Triffterer, Vogel, Future of ICC (2010), 71.

⁸³² შეად. Sliedregt, Individual Responsibility (2012), 199.

⁸³³ შეად. Mettraux, Command Responsibility (2009), 23.

რომელსაც, ერთი მხრივ, უკავია მაღალი თანამდებობა სამხედრო ძალებში და ექვემდებარება დიდი სამხედრო დანაყოფი და, მეორე მხრივ, ისეთი, რომელსაც არ უკავია მაღალი თანამდებობა და ექვემდებარება რამდენიმე ჯარისკაცი.⁸³⁴ სამხედრო მეთაურში მოიაზრება, ასევე, ისეთი უფროსი, რომელიც „ექსკლუზიურად არ ახორციელებს მეთაურის ფუნქციებს“. ეს არის ისეთი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს მეთაური არის ქვეყნის სამხედრო ძალების მთავარსარდალი (*de jure* მეთაური) და, მიუხედავად ამისა, არ ასრულებს „ექსკლუზიურად“ მასზე დაკისრებულ სამხედრო ვალდებულებას (ე.წ. *quasi de facto* მეთაური). ამ შემთხვევაში იგი იქნება პასუხისმგებელი ხელქვეითების მიერ ჩადენილი ქმედებისათვის.⁸³⁵

ICC-ის მიმდინარე პრაქტიკაში, *Prosecutor v. Bemba*-ს საქმის გარდა, საინტერესოა *კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის* სიტუაციის *Prosecutor v. Ntaganda*-ს საქმე, რომლის ბრალდებები მოიცავს მისი ხელქვეითების მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვისაც პასუხისმგებლობას, *სამხედრო მეთაურის* [28(a)-ე მუხლი] პასუხისმგებლობაზე მითითებით.⁸³⁶

4.1.1.2. სამხედრო მეთაურის სახით ეფექტიანად მოქმედი პირი

სამხედრო მეთაურის სახით ეფექტიანად მოქმედ პირში იგულისხმება ის „მეთაური“, რომელიც „არ არის განწესებული კანონით“,⁸³⁷ შესაბამისად, რომელსაც არ აკისრია სამართლებრივი ვალდებულება, შეასრულოს „სამხედრო მეთაურის ფუნქცია“,⁸³⁸ ან „უკანონოდ არის კანონით განწესებული“.⁸³⁹ იგი ახორციელებს ქმედებას *de facto*, ჯგუფზე ეფექტიანი კონტროლის განსახორციელებლად.⁸⁴⁰

სამხედრო მეთაურის სახით ეფექტიანად მოქმედი, იმავე „სამხედრო მეთაურების მსგავსი“ (*military-like commanders*) პირების⁸⁴¹ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისას უნდა დამტკიცდეს, რომ მათ შეეძლოთ *ეფექტიანი ხელმძღვანელობისა და კონტროლის*, ან *ეფექტიანი ძალაუფლებისა და კონტროლის* განხორციელება დაქვემდებარებული ძალების მიმართ.⁸⁴²

⁸³⁴ იხ. *ICC, Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 408.

⁸³⁵ იხ. იქვე, პარ. 408, სქოლიო 522.

⁸³⁶ იხ. *ICC, Prosecutor v. Ntaganda*, Confirmation of Charges, 9.6.2014, პარ. 164–175.

⁸³⁷ იხ. *ICC, Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 409.

⁸³⁸ შეად. *Schabas*, RS Commentary (2010), 459.

⁸³⁹ იხ. *Mettraux*, Command Responsibility (2009), 28.

⁸⁴⁰ აქ ICC-ის სასამართლო პალატას *Prosecutor v. Bemba*-ს საქმეზე, მაგალითისათვის, მოჰყავს მეთაურები, რომლებსაც აქვთ ძალაუფლება, განახორციელონ კონტროლი სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებულ სამხედრო ძალებზე (პოლიციაზე). იხ. *ICC, Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 410.

⁸⁴¹ იხ. იქვე.

⁸⁴² იხ. *Mettraux*, Command Responsibility (2009), 28.

4.1.1.3. სამოქალაქო მეთაური. განსხვავება სამხედრო და სამოქალაქო მეთაურებს შორის

სამოქალაქო მეთაური რომის სტატუტის 28(b)-ე მუხლის მიხედვით, არის პირი, რომელიც არ აკმაყოფილებს 28(a)-ე მუხლის მოთხოვნებს, რაც გულისხმობს იმას, რომ 28-ე მუხლის (b) პუნქტი (a) პუნქტით გათვალისწინებული მეთაურის ცნების „სუბსიდიური ელემენტი“.⁸⁴³

ორი არსებითი განმასხვავებელი ნიშანი *სამხედრო მეთაურსა და სამოქალაქო მეთაურს* შორის – ეს არის სხვადასხვა მენტალური ელემენტი და 28(b)-ე მუხლის დამატებითი (ii) ქვეპუნქტი.⁸⁴⁴

რომის სტატუტის 28-ე მუხლი საერთო აუცილებელ მოთხოვნად ორივე მეთაურის მიმართ ეფექტიანი ძალაუფლებისა და კონტროლის (effective authority and control) არსებობას ასახელებს. თუმცა, 28(b)-ე მუხლის დამატებითი (ii) ქვეპუნქტის მიხედვით, დანაშაული უნდა მოიცავდეს ისეთ საქმიანობას, „რომელიც ექვემდებარება უფროსის ეფექტიან პასუხისმგებლობასა და კონტროლს“. ამ უკანასკნელი ელემენტის – ეფექტიანი პასუხისმგებლობისა და კონტროლის (effective responsibility and control) მტკიცება, ცოტა არ იყოს, პრობლემურია, მით უფრო, რომ ad hoc ტრიბუნალების პრეცედენტული სამართალიც არანაირ დათქმას აღნიშნულ საკითხზე არ შეიცავს.⁸⁴⁵ ასეთ დათქმას არც 28(a)-ე მუხლი შეიცავს.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, თუ როგორ იქნება არასამხედრო კონტექსტში დამტკიცებული მეთაურსა და ხელქვეითს შორის არსებული ურთიერთობა, *ეფექტიანი კონტროლის* მოთხოვნის სამოქალაქო კონტექსტში მტკიცების სირთულიდან გამომდინარე.⁸⁴⁶

აღნიშნული ორივე შემთხვევა, ინდივიდუალური საქმიდან, სამოქალაქო მეთაურის სტატუსიდან, თანამდებობიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს.

რომის სტატუტის 28-ე მუხლში მითითებული მეთაურები, მარტივად რომ აღვნიშნოთ, შეიძლება იყვნენ პოლიტიკური ლიდერები, სახელმწიფოს მეთაურები, მთავრობის წევრები ან სხვა ოფიციალური პირები, ასევე, სამოქალაქო პირები კერძო სექტორში, ბიზნესში, რომლებსაც უკავიათ მაღალი თანამდებობები და ფლობენ ძალაუფლებასა და კონტროლს იმ სიტუაციაში, როდესაც საერთაშორისო სისხლის სამართლის ფარგლებში დაცული სამართლებრივი სიკეთე საფრთხის ქვეშ დგას.⁸⁴⁷

⁸⁴³ შეად. Meloni, Command Responsibility (2010), 144.
⁸⁴⁴ შეად. Schabas, RS Commentary (2010), 460; მენტალური ელემენტების შესახებ იხ. ნაშრომის ამ თავის §4.2.
⁸⁴⁵ შეად. იქვე.
⁸⁴⁶ შეად. Meloni, Command Responsibility (2010), 159.
⁸⁴⁷ იხ. იქვე, 160.

ამ მხრივ, ყურადსაღებია ICTR-ის მიერ განხილული *Prosecutor v. Nahimana and others*-ის საქმე. *ნაჰიმანა* იყო ისტორიის პროფესორი და *რუანდის საინფორმაციო ოფისის (ORINFOR)* დირექტორი. *ნაჰიმანა* და სხვა ბრალდებულები, სხვა ბრალდებებთან ერთად, გასამართლდნენ მეთაურის პასუხისმგებლობის სახეზე მითითებით, გენოციდისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენისათვის. კერძოდ, *ნაჰიმანა* იყო კერძო რადიოს პერსონალის მეთაური, რომელმაც არ მოახდინა დანაშაულებრივი გამოსვლების პრევენცია და აღკვეთა.⁸⁴⁸

შეიძლება ითქვას, 28(b)-ე მუხლი იწვევს მოქმედებას მაშინ, როდესაც კონკრეტული შემთხვევა 28(a)-ე მუხლის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. იმ შემთხვევაში, თუ *სამოქალაქო მეთაურისთვის რომის სტატუტით* წაყენებული მოთხოვნა ვერ დამტკიცდება, არ არის გამორიცხული, იგი დანაშაულში თანამონაწილეობისთვისაც დაისაჯოს.

განსახილველია *ეფექტიანი კონტროლის* ელემენტი, რომლის მტკიცებაც მეთაურის პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა.

4.12. ეფექტიანი ხელმძღვანელობისა და ძალაუფლების არსებობა დაქვემდებარებული ძალების მიმართ

მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინით, ყველა მეთაური არ არის პასუხისმგებელი უმოქმედობისთვის, დანაშაულის პრევენციული ზომების განუხორციელებლობისათვის, არამედ, მხოლოდ ის მეთაურია, რომელსაც ეკავა სპეციალური პოზიცია *რომის სტატუტით* დაცული სამართლებრივი სიკეთეების დასაცავად.⁸⁴⁹

რომის სტატუტის 28-ე მუხლი ითხოვს, რომ სამხედრო ძალები უნდა იყვნენ *de jure* სამხედრო მეთაურების ეფექტიანი ხელმძღვანელობისა და კონტროლის (*effective command and control*), ხოლო *de facto* სამხედრო მეთაურები ან არასამხედრო მეთაურები ეფექტიანი ძალაუფლებისა და კონტროლის (*effective authority and control*) ქვეშ.⁸⁵⁰

ICC-ის წინასასამართლო პალატამ *Prosecutor v. Bemba*-ს საქმეზე გარკვევით აღნიშნა, რომ ეფექტიან ხელმძღვანელობასა და ეფექტიან ძალაუფლებას შორის არ არსებობს არსებითი, სუბსტანციური განსხვავება.⁸⁵¹ პალატის აზრით, ხელმძღვანელობა ნიშნავს გავლენას, განსაკუთრებით სამხედრო ძალებს შორის და ძალაუფლება ნიშნავს ბრძანების გაცემის შესაძლებლობას, უფლებამოსილებას. მაგრამ მუხლის შინაარსში არსებული „ან“ კონსტრუქცია პალატას აიძულებს, მიუხედავად

⁸⁴⁸ იხ. Higgins, Evans, Nahimana and others, კრებულში: Cassese (ed.), Oxford Companion (2009), 833–839; იხ. ასევე: ICTR, *Prosecutor v. Nahimana, Barayagwiza and Ngeze*, AC Judgment, 28.11.2007.

⁸⁴⁹ შეად. Kiss, Command Responsibility, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 612.

⁸⁵⁰ იხ. Schabas, RS Commentary (2010), 460.

⁸⁵¹ იხ. ICC, *Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 412.

საერთო შინაარსისა, ეფექტიან ხელმძღვანელობასა და ეფექტიან ძალაუფლებას შორის გააკეთოს განსხვავებული ინტერპრეტაცია.⁸⁵²

განსახილველია აღნიშნულ დებულებათა შინაარსი, რომის სტატუტის 28-ე მუხლის სტრუქტურიდან გამომდინარე.

4.1.3. ეფექტიანი კონტროლი

მეთაურის პასუხისმგებლობის კონცეფციაში ზემოთ აღნიშნული მატერიალური ელემენტებიდან გამოსაყოფია ეფექტიანი კონტროლის (*effective control*) ცნება. ეს არის ბრალდების მხარის მტკიცების მთავარი ელემენტი – თუ რამდენად ჰქონდა მეთაურს ეფექტიანი კონტროლის შესაძლებლობა დაქვემდებარებული ხელქვეითების მიმართ. სასამართლო ეფექტიან კონტროლს განსაზღვრავს მეთაურსა და მის ხელქვეითს შორის არსებულ როგორც *de jure*, ისე *de facto* იერარქიულ ურთიერთობას.⁸⁵³

ეფექტიანი კონტროლი უნდა განიმარტოს, როგორც დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებისა და სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელების მატერიალური შესაძლებლობა ან ძალაუფლება.⁸⁵⁴ 28-ე მუხლის კონტექსტით, ეფექტიანი კონტროლი „დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებისა“ და „სადამსჯელო ღონისძიებების გატარების“ გარდა, ასევე ეხება „კომპეტენტური ორგანოებისათვის საქმის გადაცემის შესაძლებლობას“.⁸⁵⁵ თუმცა, ზემოთ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი დაბალი სახის კონტროლი, თუნდაც ის შემდეგში არსებითად გადაიქცეს, მიეწეროს აღნიშნულ სიტუაციას.⁸⁵⁶

მნიშვნელოვანია, ICC-ის მიერ მეთაურის პასუხისმგებლობისთვის აუცილებელი ეფექტიანი კონტროლის არსებობის ნიშნები როდის არის დამაკმაყოფილებელი. ესენია: პირის თანამდებობრივი მდგომარეობა; მისი ძალაუფლება, რომელიც გამოიხატება ბრძანების გაცემით; თანხმობის ბრძანებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა; მისი თანამდებობა სამხედრო სტრუქტურაში და დაკისრებული ამოცანები; მასზე დაქვემდებარებულ ძალებზე სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობის მიღების ბრძანების გაცემის შესაძლებლობა; დანაყოფების ხელახალი დამორჩილების ან

⁸⁵² იხ. იქვე, პარ. 413.

⁸⁵³ იხ. იქვე, პარ. 414. პალატა ეფექტიანი კონტროლის განმარტებისას ეყრდნობა ICTR-ის გადაწყვეტილებებს: *ICTR, Prosecutor v. Bagosora, Kabiligi, Ntabakuze and Nsengiyumva*, TC Judgment, 18.12.2008, პარ. 2012; *ICTR, Prosecutor v. Kajelijeli*, AC Judgment, 23.5.2005, პარ. 84; *ICTR, Prosecutor v. Kajelijeli*, TC Judgment, 1.12.2003, პარ. 773.

⁸⁵⁴ იხ. იქვე, პარ. 415. პალატა ეყრდნობა ICTY-ისა და ICTR-ის გადაწყვეტილებებს: *ICTR, Prosecutor v. Bagilishema*, AC Judgment, 3.7.2002, პარ. 51; *ICTY, Prosecutor v. Delalic, Mucic, Delic and Landzo*, AC Judgment, 20.2.2001, პარ. 256; *ICTR, Prosecutor v. Musema*, AC Judgment, 27.1.2000, პარ. 135.

⁸⁵⁵ იხ. იქვე, პარ. 415. პალატა ეყრდნობა ICTY-ის გადაწყვეტილებებს: *ICTY, Prosecutor v. Hadzihasanovic and Kubura*, TC Judgment, 15.3.2006, პარ. 80, 795; *ICTY, Prosecutor v. Kordic and Cerkez*, TC Judgment, 26.2.2001, პარ. 412–413.

⁸⁵⁶ შუად. იქვე.

ბრძანების სტრუქტურაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობა; დაწინაურების, გადაყვანის, გათავისუფლების ან დისციპლინის დამყარების ძალაუფლება; საომარ მოქმედებებზე სამხედრო ძალების გაგზავნისა და გამოყვანის ძალაუფლება.⁸⁵⁷

ეფექტიანი კონტროლის არსებობის დამაკმაყოფილებელი რამდენიმე ნიშანი ჰგავს ამსრულებლობის პასუხისმგებლობის მოქმედების სფეროს, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ *ეფექტიანი კონტროლის* ელემენტის არსებობა, არამედ *ეფექტიანი კონტროლი* კონტექსტში, პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ სხვა გარემოებებთან ერთად.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რა ეტაპზე უნდა ჰქონდეს მეთაურს *ეფექტიანი კონტროლის* შესაძლებლობა ხელქვეითების მიმართ.

4.14. ეფექტიანი კონტროლი და დანაშაულებრივი ქმედება

ეფექტიანი კონტროლის არსებობის პერიოდს არსებითი მნიშვნელობა აქვს მეთაურის ინდივიდუალური პასუხისმგებლობისათვის. კერძოდ, მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინის პრეცედენტული სამართლის მიხედვით მხოლოდ იმის ჩვენება, რომ პირს ჰქონდა *ეფექტიანი კონტროლის* შესაძლებლობა, არ არის საკმარისი, აღსრულებისთვის საჭირო დროის პერიოდის განსაზღვრის გარეშე.

თუ რა ეტაპზეა საჭირო *ეფექტიანი კონტროლის* არსებობა, სისხლის სამართლის საერთაშორისო იურისპრუდენცია ორ პოზიციას აღიარებს: პირველი – *ad hoc* ტრიბუნალების პოზიციას, რომლის მიხედვითაც *ეფექტიანი კონტროლი* უნდა არსებობდეს დანაშაულის ჩადენის პროცესში⁸⁵⁸; მეორე – განსხვავებული პოზიცია, რომელიც არსებობდა ICTY-ის უმცირეს მოსამართლეებს შორის⁸⁵⁹ და გაიზიარა *სიერა-ლეონეს სპეციალურმა სასამართლომ*.⁸⁶⁰ კერძოდ, მეთაურს უნდა ჰქონდეს *ეფექტიანი კონტროლის* განხორციელების შესაძლებლობა ამსრულებელზე იმ დროს, როცა მან გადაწყვიტა, არ ემოქმედა, უარი ეთქვა ძალაუფლების გამოყენებაზე დანაშაულის თავიდან ასაცილებლად ან მასში მონაწილე პირთა დასასჯელად.⁸⁶¹

აღნიშნულის გათვალისწინებით, ICC, *რომის სტატუტის* 28(a)-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ ბრალდებულის მხრიდან *ეფექტიანი კონტროლის* განხორციელების შესაძლებლობა, სულ ცოტა, მაშინ უნდა არსებობდეს, როდესაც დანაშაული უნდა ჩადენილიყო (სანამ

⁸⁵⁷ იხ. იქვე, პარ. 417. პალატა ეყრდნობა ICTY-ის გადაწყვეტილებებს.

⁸⁵⁸ იხ. იქვე, პარ. 418. პალატა ეყრდნობა ICTY-ისა და ICTR-ის გადაწყვეტილებებს: *ICTR, Prosecutor v. Bagosora, Kabiligi, Ntabakuze and Nsengiyumva*, TC Judgment, 18.12.2008, პარ. 2012; *ICTY, Prosecutor v. Halilovic*, AC Judgment, 16.10.2007, პარ. 59.

⁸⁵⁹ იხ. იქვე, დაწ. იხ. *ICTY, Prosecutor v. Oric*, AC Judgment, 3.7.2008, პარ. 65–85.

⁸⁶⁰ იხ. იქვე, დაწ. იხ. *SCSL, Prosecutor v. Sesay, Kallon and Gbao*, TC Judgment, 2.3.2009, პარ. 299.

⁸⁶¹ იხ. იქვე, პარ. 418.

კონკრეტული დანაშაულები განხორციელდებოდა).⁸⁶² აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ სავალდებულო არაა, *ეფექტიანი კონტროლი* არსებობდეს დანაშაულის ჩადენის დროს. ეს მოსაზრება წინასასამართლო პალატამ *Prosecutor v. Bemba*-ს საქმეზე გამოიტანა 28(a)-ე მუხლის შინაარსიდან – „სამხედრო მეთაურს ან სამხედრო მეთაურის სახით ეფექტიანად მოქმედ პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულისთვის, რომელიც ჩაიდინეს მის ეფექტიან ხელმძღვანელობასა და კონტროლს დაქვემდებარებულმა ძალებმა, ანდა, ცალკეულ შემთხვევაში, ჩაიდინეს მისი ეფექტიანი ძალაუფლებისა და კონტროლის პირობებში, იმის შედეგად, რომ ეს პირი აღნიშნულ ძალებს არ უწევდა სათანადო კონტროლს“. აქ ხაზგასასმელია მისი ბოლო წინადადება – „იმის შედეგად, რომ ეს პირი აღნიშნულ ძალებს არ უწევდა სათანადო კონტროლს“. სასამართლოს აზრით, მუხლის შინაარსში – მეთაური „არ უწევდა სათანადო კონტროლს“ – მაჩვენებელია იმისა, რომ მეთაური უკვე აკონტროლებდა სანამ კონკრეტული დანაშაული განხორციელდებოდა.⁸⁶³

4.1.5. მიზეზობრივი კავშირის არსებობა დანაშაულსა და ხელქვეითებზე სათანადო კონტროლის განხორციელებლობას შორის

რომის სტატუტის 28-ე მუხლის მიხედვით, მეთაური პასუხისმგებელი იქნება ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ „ეს იყო შედეგი“ მისი არასათანადო კონტროლისა ხელქვეითების მიმართ. ეს შეიძლება ჩაითვალოს, როგორც კაუზალობის ახლებური მოთხოვნა.⁸⁶⁴

აღსანიშნავია, რომ *ad hoc* ტრიბუნალების ჩვეულებითი სამართალი მეთაურის პასუხისმგებლობაში, როგორც პასუხისმგებლობის *sui generis* ფორმაში, არ განსაზღვრავდა კაუზალობის ელემენტის მტკიცების აუცილებლობას.⁸⁶⁵ შესაბამისად, პროკურორს არ უნდა ემტკიცებინა, რომ ხელქვეითების მიერ ჩადენილი დანაშაულები იყო სათანადო კონტროლის განხორციელებლობის შედეგი.⁸⁶⁶

გამოსაყოფია *სათანადო კონტროლის განხორციელების (exercise control properly)* კონტექსტი *ეფექტიანი კონტროლის (effective control)* ელემენტთან მიმართებით. ICC-ის აზრით, *ეფექტიანი კონტროლის* ელემენტი უნდა უსწრებდეს *სათანადო კონტროლის განხორციელების* ელემენტს, ვინაიდან პირველის ჩვენების გარეშე შეუძლებელია მეორის არსებობა.⁸⁶⁷ შესაბამისად, მეთაურის მხრიდან *სათანადო კონტროლის*

⁸⁶² იხ. იქვე, პარ. 419.

⁸⁶³ იხ. იქვე, პარ. 419. დაწ. იხ. Kiss, Command Responsibility, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 618–622.

⁸⁶⁴ შეად. Cryer, Prosecuting (2005), 323; Mettraux, Command Responsibility (2009), 33.

⁸⁶⁵ იხ. ICTY, Prosecutor v. Hadzihasanovic and Kubura, AC Judgment, 22.4.2008, პარ. 39; ICTY, Prosecutor v. Halilovic, TC Judgment, 16.11.2005, პარ. 78.

⁸⁶⁶ იხ. Schabas, RS Commentary (2010), 461.

⁸⁶⁷ იხ. ICC, Prosecutor v. Bemba, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 422.

განუხორციელებლობა (*failure to exercise control properly*) 28(a)-ე მუხლის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამტკიცდება ეფექტიანი კონტროლის არსებობა მისი ხელქვეითების მიმართ – 28(a)(ii)-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა.⁸⁶⁸

დანაშაულსა და მეთაურის სათანადო კონტროლის განუხორციელებლობას შორის მიზეზობრივი კავშირის აუცილებლობა პირდაპირ გამომდინარეობს მეთაურის პასუხისმგებლობის სტატუსისეული ცნებიდან, კერძოდ, 28(a)-ე მუხლის „იმის შედეგად“ (*as a result of*) კონსტრუქციიდან,⁸⁶⁹ როგორც მუხლის შემადგენელი დამოუკიდებელი მატერიალური ელემენტი.⁸⁷⁰

კაუზალობის მტკიცება არ ეხება რომის სტატუტის 28(a)(ii)-ე მუხლით განსაზღვრული სამივე აუცილებელი ვალდებულების შეუსრულებლობას, კერძოდ: დანაშაულის თავიდან აცილებას (*the duty to prevent crimes*), დანაშაულის აღკვეთასა (*the duty to repress crimes*) და კონკრეტული საკითხის კომპეტენტური ორგანოებისათვის გამოძიების წარმოებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისთვის გადაცემას (*the duty to submit the matter to the competent authorities for investigation and prosecution*). მიზეზობრივი კავშირის ელემენტის მტკიცება შესაძლებელია მხოლოდ პირველ, დანაშაულის თავიდან აცილების ელემენტთან მიმართებით, ვინაიდან დანარჩენი ორი ელემენტი ხორციელდება დანაშაულის ჩადენის პროცესში ან მის შემდეგ.⁸⁷¹ ამის მტკიცება, წინასასამართლო პალატის აზრით, ალოგიკურია.⁸⁷²

იმისთვის, რომ სამხედრო მეთაურს ან სამხედრო მეთაურის სახით ეფექტიანად მოქმედ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს, პროკურატურის მხრიდან უნდა დამტკიცდეს, მისი დანაშაულის თავიდან აცილების ვალდებულების განუხორციელებლობამ გაზარდა თუ არა ხელქვეითების მხრიდან განსაზღვრული დანაშაულების ჩადენის რისკი,⁸⁷³ მისმა უმოქმედობამ გაზარდა თუ არა რისკის საშიშროება.⁸⁷⁴

4.2. მეთაურის პასუხისმგებლობის მენტალური ელემენტები

უმოქმედობის მატერიალური ელემენტის შემდეგ მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინის „ექსკლუზიური“ პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოება მისი მენტალური ელემენტია.

⁸⁶⁸ იხ. იქვე, პარ. 421–422.

⁸⁶⁹ იხ. იქვე, პარ. 423.

⁸⁷⁰ იხ. *Triffterer*, Superior Responsibility, 15 *LJIL* (2002), 197–198.

⁸⁷¹ იხ. *ICC, Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 424.

⁸⁷² იხ. იქვე. განსხვავებული პოზიციის შესახებ იხ. *O’Keefe*, ICL (2015), 205.

⁸⁷³ იხ. იქვე, პარ. 426.

⁸⁷⁴ იხ. იქვე, პარ. 425. მიზეზობრივი კავშირის შესახებ იხ. *Kiss*, Command Responsibility, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 634–638.

იმის ხაზგასმით, რომ ICC-ის წესდება არ აღიარებს ობიექტური პასუხისმგებლობის (*strict liability*) პრინციპს, ნებისმიერი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება დამოკიდებულია შესაბამისი პასუხისმგებლობის სახის მენტალურ ელემენტზე.⁸⁷⁵ მეთაური აგებს პასუხს მისი ხელქვეითების მიერ ჩადენილი დანაშაულებისათვის, მხოლოდ მაშინ, თუ

- ა) იცოდა (*knew*);
- ბ) უნდა სცოდნოდა (*should have known*); ჰქონდა მიზეზი რომ სცოდნოდა (*had reason to know*);
- გ) შეგნებულად უგულებელყოფდა ინფორმაციას, რომელიც აშკარად მიუთითებდა, რომ ხელქვეითნი სხადიოდნენ ან განზრახული ჰქონდათ ასეთ დანაშაულთა ჩადენა (*consciously disregarded information which clearly indicated, that the subordinates were committing or about to commit such crimes*).

რომის სტატუტის 30-ე მუხლი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა დანაშაულის მიმართ განსაზღვრავს სუბიექტური მხარის სამ აუცილებელ მოთხოვნას: 1) თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ელემენტი; 2) განზრახვა; 3) შეგნებულობა.⁸⁷⁶ სწორედ, თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ელემენტის⁸⁷⁷ ფარგლებში უნდა განიმარტოს ქვემოთ განხილული მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინის მენტალური ელემენტები, რომლებიც შინაარსობრივად განზრახვისა და შეგნებულობის ფარგლებში ვერ ჯდება. რომის სტატუტის 28-ე მუხლის მენტალური ელემენტის სტანდარტი უფრო დაბალია, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ზოგადი მიდგომით 30-ე მუხლისთვის (განზრახვა და შეგნებულობა).⁸⁷⁸

4.2.1. ცოდნის ელემენტი

ცოდნის (*knew*) მენტალური ელემენტი სავალდებულოა როგორც სამხედრო მეთაურის, ასევე სამოქალაქო მეთაურის პასუხისმგებლობისთვის. მეთაურს უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისი

⁸⁷⁵ შეად. ICC, *Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 427.

⁸⁷⁶ იხ. ნაშრომის IX თავი, §5.3.

⁸⁷⁷ თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ელემენტის შინაარსის მიხედვით, დანაშაულის მატერიალური ელემენტები, რომის სტატუტის 30(2)(3)-ე მუხლის მიხედვით, რომლებშიც ICC მოიაზრებს ქმედებას (*conduct*), შედეგს (*consequence*) და თანმდევ გარემოებას (*contextual elements*), ჩადენილია განზრახვითა და შეგნებულობით, თუ რომის სტატუტითა და დანაშაულის ელემენტებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულისათვის. ამ ელემენტის ფარგლებში შეიძლება მოექცეს, ასევე გულგრილობისა და დაუდევრობის ფორმები. იხ. ICC, *Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 353–354; იხ. ასევე: Schabas, RS Commentary (2010), 474–475. თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ელემენტთან მიმართებით იხ. Werle, Jessberger, Unless Otherwise Provided, 5 JICJ (2005), 35–55. დანაშაულის ობიექტური (მატერიალური) და სუბიექტური (მენტალური) ელემენტების შესახებ იხ. ტურავა, საფუძვლები (2015), 163–171.

⁸⁷⁸ შეად. Werle, Jessberger, Principles of ICL (2014), 229, პარ. 595, 599.

ხელკეითები სხადიან, ან განზრახული აქვთ სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა და, მიუხედავად ამისა, არ უნდა მიიღოს საჭირო და გონივრული ზომები შედეგის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად. როგორც ICC-ის, ისე *ad hoc* ტრიბუნალების პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ცოდნის ელემენტი არ უნდა იყოს „სავარაუდო“,⁸⁷⁹ არამედ იგი უნდა იყოს გამოტანილი პირდაპირი და დაწვრილებითი მტკიცებულებიდან, როგორებიცაა: უკანონო ქმედებათა მთელი რიგი, მათი ფარგლები, არის თუ არა ისინი ფართოდ გავრცელებული; დრო, რომლის განმავლობაშიც განხორციელდა აკრძალული ქმედებები; ჩართული სამხედრო ძალების სახე და რიცხვი; მეთაურის პოზიციის ფარგლები და „ბუნება“, მეთაურის ადგილსამყოფელი კონკრეტულ მომენტში და ქმედებათა გეოგრაფიული ადგილმდებარეობა.⁸⁸⁰

4.2.2. პოტენციური ცოდნის ელემენტი

უნდა სცოდნოდა (should have known) – ეს მენტალური ელემენტი მხოლოდ სამხედრო მეთაურის პასუხისმგებლობისთვის არის გათვალისწინებული, რაც ბრალდების მხრიდან პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ელემენტების მტკიცების პროცესს უფრო იოლს ხდის.⁸⁸¹ *უნდა სცოდნოდა* სტანდარტი ითხოვს იმის მტკიცებას, მეთაურს ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა, სცოდნოდა სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის შესახებ.

ICC-ის წინასასამართლო პალატა *Prosecutor v. Bemba*-ს საქმეზე სწორად აღნიშნავს, რომ *უნდა სცოდნოდა* მენტალური ელემენტის სტანდარტი *დაუდევრობის* ნიშნებს შეიცავს.⁸⁸²

4.2.2.1. დაუდევრობა

დაუდევრობა (negligence) ყველაზე დაბალი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მენტალური ელემენტია. შეიძლება ითქვას, იგი დამატებითი, გამომრიცხველი მენტალური ელემენტის როლს ასრულებს.⁸⁸³ თუ გამოირიცხება უფრო მაღალი მენტალური ელემენტის სტანდარტი, როგორიცაა, *განზრახვის* გარდა, *გულგრილობა (recklessness)*, მაშინ შეიძლება მისი გამოყენება.

⁸⁷⁹ იხ. ICC, *Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 430; ICTY, *Prosecutor v. Delic*, TC Judgment, 15.9.2008, პარ. 64.

⁸⁸⁰ იხ. იქვე, პარ. 431; ICTR, *Prosecutor v. Bagosora, Kabiligi, Ntabakuze and Nsengiyumva*, TC Judgment, 18.12.2008, პარ. 2014; ICTY, *Prosecutor v. Oric*, AC Judgment, 3.7.2008, პარ. 319; ICTY, *Prosecutor v. Hadzihasanovic and Kubura*, TC Judgment, 15.3.2006, პარ. 94; ICTY, *Prosecutor v. Delalic, Mucic, Delic and Landzo*, TC Judgment, 16.11.1998, პარ. 386.

⁸⁸¹ შეად. Mettraux, *Command Responsibility* (2009), 31.

⁸⁸² შეად. ICC, *Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 429.

⁸⁸³ შეად. Gargani, *Negligence*, კრებულში: Cassese (ed.), *Oxford Companion* (2009), 433.

შეგვიძლია გამოვეყოთ *მსუბუქი (culpa levis)* და *უხეში (culpa gravis)* ხასიათის დაუდევრობა. პირველის დროს პირს არ აქვს შეგნებული „რისკი“, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დანაშაულის ჩადენა; ხოლო მეორის დროს, რომელიც, *გულგრილობისგან (recklessness)* განსხვავებით, უფრო ნაკლები დონის მენტალური ელემენტია, პირი თავდაჯერებულია, რომ მძიმე დანაშაულებრივი შედეგი არ დადგება იმ ზომებიდან გამომდინარე, რომლებიც მან მიიღო ან აპირებს მათ მიღებას.⁸⁸⁴

უნდა სცოდნოდას სტანდარტში, რომის სტატუტის 28-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, უფრო *უხეში დაუდევრობა* იგულისხმება. კერძოდ, *უნდა სცოდნოდა* სტანდარტი გულისხმობს მეთაურის დაუდევრობას მისი ხელქვეითების მხრიდან ჩადენილ უკანონო ქმედებათა შესახებ მიღებული ცოდნის მიმართ.⁸⁸⁵

უნდა სცოდნოდას ელემენტი ითხოვს მეთაურის მხრიდან „აქტიურ მოვალეობას“, საჭირო ზომების შემუშავებას მისი ხელქვეითების ქმედებების შესახებ ცოდნის მიღების უზრუნველსაყოფად. სტატუტის შემქმნელებს სურდათ, რომ *სამხედრო მეთაურებისა და სამხედრო მეთაურების მსგავსი პირებისადმი* ყოფილიყო უფრო მკაცრი მიდგომა, ვიდრე ეს 28(b)-ე მუხლით გათვალისწინებული *სხვა მეთაურების* მიმართ არის დადგენილი. უფრო ნაკლები მენტალური ელემენტის სტანდარტი აღნიშნული კატეგორიის მეთაურისთვის წაყენებული პასუხისმგებლობის ბუნებიდან გამომდინარე გადაწყდა.⁸⁸⁶

4.2.2.2. ცოდნის ვალდებულების ელემენტი

ICC-ის მიერ *რომის სტატუტის* 28(a)-ე მუხლით მეთაურის პასუხისმგებლობისთვის დადგენილი *უნდა სცოდნოდას (should have know)* სტანდარტი განსხვავებულია *ad hoc* და *სიერა-ლეონეს* ტრიბუნალების მიერ იმავე პასუხისმგებლობისთვის დადგენილი სტანდარტისგან – *ჰქონდა მიზეზი რომ სცოდნოდა (had reason to know)*.⁸⁸⁷ კერძოდ, *დაუდევრობის* მენტალურ ელემენტთან დაკავშირებით.⁸⁸⁸

ჰქონდა მიზეზი რომ სცოდნოდას მენტალური ელემენტის სტანდარტი მერყეობს *ვეენტუალურ განზრახვასა* [ან *გულგრილობას (recklessness)*] და *დაუდევრობას* შორის, ხოლო *უნდა სცოდნოდას* მენტალური ელემენტის

⁸⁸⁴ დაუდევრობის შესახებ იხ. იქვე, 433–434.

⁸⁸⁵ შეად. ICC, *Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 432.

⁸⁸⁶ იხ. იქვე, პარ. 433.

⁸⁸⁷ იხ. იქვე, პარ. 434.

⁸⁸⁸ ICTY-ის სააპელაციო პალატა *Prosecutor v. Blaskic*-ის საქმეზე დაეყრდნო ICTR-ის სააპელაციო პალატის მიერ *Prosecutor v. Bagilishema*-ს საქმეზე მოყვანილ ფორმულირებას იმის შესახებ, რომ დაუდევრობის ელემენტი მეთაურის პასუხისმგებლობის კონტექსტში არ არსებობს. მისი შინაარსი აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევდა ტრიბუნალის პრაქტიკაში. იხ. ICTY, *Prosecutor v. Blaskic*, AC Judgment, 29.7.2004, პარ. 63; ICTR, *Prosecutor v. Bagilishema*, AC Judgment, 3.7.2002, პარ. 34–36; იხ. ასევე: *Schabas*, RS Commentary (2010), 463; *O’Keefe*, ICL (2015), 205–206.

სტანდარტი უფრო დაუდევრობის ფორმას გულისხმობს.⁸⁸⁹ მიუხედავად აღნიშნული განსხვავებისა, ICC-ის წინასასამართლო პალატა *Prosecutor v. Bemba*-ს საქმეზე აღნიშნავს, *ad hoc* და *სიერა-ლეონეს* ტრიბუნალების მენტალური ელემენტის პრეცედენტული სამართლის სტანდარტი, შესაძლებელია, ასევე, სასარგებლო იყოს *უნდა სცოდნოდან* ელემენტისთვისაც.⁸⁹⁰ თუმცა, *ევენტუალური განზრახვის* შემთხვევაში, ICC-ის პრეცედენტული სამართლის მიხედვით⁸⁹¹, მიზანშეწონილია, პირველ ეტაპზე შემოწმდეს 25-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სახეები⁸⁹² და საჭიროების შემთხვევაში მხოლოდ ამის შემდეგ გამახვილდეს ყურადღება 28-ე მუხლზე.

4.2.2.3. სამხედრო მეთაურის პასუხისმგებლობის მსუბუქი მენტალური ელემენტი

შესაბამისად, *რომის სტატუტის* 28(a)-ე მუხლი, *სამხედრო მეთაურსა* და *სამხედრო მეთაურის სახით ეფექტიანად მოქმედ პირზე* პასუხისმგებლობას აწესებს, თუ მათ იმ დროისათვის არსებული გარემოებებიდან გამომდინარე *იცოდნენ* ან *უნდა სცოდნოდან*, რომ დაქვემდებარებული ძალები სწადიოდნენ ან *განზრახული* ჰქონდათ *რომის სტატუტით* გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა,⁸⁹³ ორი მენტალური ელემენტის გამოყენებით: *ცოდნა*, რომელიც გულისხმობს „აქტიურ ცოდნას“ და *უნდა სცოდნოდა* ელემენტი, რომელიც გულისხმობს *დაუდევრობას*.⁸⁹⁴ ეს უფრო დაბალი ელემენტია, ვიდრე გათვალისწინებულია *სამოქალაქო მეთაურისთვის*.

4.2.3. ინფორმაციის შეგნებულად იგნორირება

რომის სტატუტის 28(b)(i)-ე მუხლის მიხედვით, *სამოქალაქო მეთაურის* მიმართ *უნდა იყოს ნაჩვენები*, რომ მან *იცოდა* ან *შეგნებულად უგულებელყოფდა ინფორმაციას*, რომელიც *აშკარად მიუთითებდა*, რომ *ხელქვეითნი სწადიოდნენ ან განზრახული ჰქონდათ ასეთ დანაშაულთა ჩადენა (consciously disregarded information which clearly indicated, that the subordinates were committing or about to commit such crimes)*.

აღნიშნული კრიტერიუმი უფრო „მომთხოვნია“⁸⁹⁵ *სამხედრო მეთაურისთვის* ზემოთ აღნიშნულ მენტალურ ელემენტთან შედარებით. 28(b)(i)-ე მუხლის მენტალური ელემენტით, ინფორმაცია „გარკვევით“ (*clearly*)

⁸⁸⁹ განმასხვავებელ ნიშნებზე იხ. *Meloni*, Command Responsibility (2010), 183–186.

⁸⁹⁰ დაწ. იხ. *ICC, Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 434.

⁸⁹¹ იხ. *Ambos, Katanga Trial*, 2 *JICJ* (2014), 219–229; *Vest*, Participation, 2 *JICJ* (2014), 295–309; *Ohlin, Sliedregt, Weigend*, Control Theory, 26 *LJIL* (2013), 725–746.

⁸⁹² იგულისხმება *რომის სტატუტის* 25-ე და 28-ე მუხლებს შორის კონკურენციის საკითხი. იხ. ნაშრომის ამ თავის §6.4.

⁸⁹³ იხ. *ICC, Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 428.

⁸⁹⁴ იხ. იქვე, პარ. 429.

⁸⁹⁵ შეად. *Schabas*, RS Commentary (2010), 463.

უნდა შეიცავდეს დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობას.⁸⁹⁶ ICC სამოქალაქო მეთაურის მიმართ უფრო მაღალ მენტალურ ელემენტს აწესებს.⁸⁹⁷ კერძოდ, სამხედრო მეთაურის მიმართ წაყენებული სტანდარტისგან (დაუდევრობა) განსხვავებით სამოქალაქო მეთაურისთვის წაყენებულია გულგრილობის (recklessness) ან ევენტუალური განზრახვის სტანდარტი. შაბასი 28(b)(i)-ე მუხლში მოცემულ კონსტრუქციას შეგნებულად უგულვებელყოფდა ინფორმაციას (consciously disregarded information) გულგრილობის (recklessness) ფორმად მიიჩნევდა,⁸⁹⁸ განსხვავებით სამხედრო მეთაურისთვის გათვალისწინებული მენტალური ელემენტისა, რომელიც, გარკვეულწილად, დაუდევრობის ფორმას შეიცავს. აქ იგი ეყრდნობა *ad hoc* ტრიბუნალების *ჰქონდა მიზეზი რომ სცოდნოდას* მენტალურ ელემენტს, რომელშიც მეთაურს უნდა ჰქონოდა მიზეზი, სცოდნოდა მოსალოდნელი დანაშაულების რისკის, მისი ხელქვეითების მხრიდან საერთაშორისო დანაშაულების ჩადენის განზრახვის, მათი მიმდინარეობის, თუ უკვე ჩადენის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი მეთაურისთვის, რომ დანაშაული შეიძლება ჩადენილიყო მისი ხელქვეითების მიერ.⁸⁹⁹

4.2.3.1. გულგრილობა

სამოქალაქო მეთაურების მისამართით შაბასი არგუმენტირებულად მიიჩნევს გულგრილობის (recklessness) მენტალურ ელემენტს, როგორც რომის სტატუტის 30-ე მუხლის გამონაკლის შემთხვევას.⁹⁰⁰

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების სტატუტებითა და პრეცედენტული სამართლით გულგრილობის (recklessness) ცნება, ცალსახად, პირდაპირ არ არის დადგენილი. მარტივი ფორმულირებით, იგი უნდა განიმარტოს, როგორც პირის უყურადღებო დამოკიდებულება „რისკსა“ და შესაძლო შედეგთან მიმართებით,⁹⁰¹ სხვა სიტყვებით – როდესაც მოსალოდნელი შედეგი დამნაშავის მიერ არის აღქმული, მაგრამ იგნორირებული.⁹⁰² სწორედ ამით განსხვავდება გულგრილობა (recklessness) დაუდევრობისგან, რა დროსაც, პირს უნდა სცოდნოდა მატერიალური ელემენტების რეალიზაციით გამოწვეული „რისკის“ შესახებ.⁹⁰³

⁸⁹⁶ შეად. Kiss, Command Responsibility, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 647.

⁸⁹⁷ შეად. Cryer, Friman, Robinson, Wilmschurst, Introduction to ICL (2014), 390; იხ. ასევე: Meloni, Command Responsibility (2010), 186.

⁸⁹⁸ იხ. Schabas, RS Commentary (2010), 463; იხ. ასევე: Meloni, Command Responsibility (2010), 184–185; Werle, Jessberger, Principles of ICL (2014), 229, პარ. 595, 599.

⁸⁹⁹ იხ. იქვე, 463; იხ. ასევე: ICTY, Prosecutor v. Sainovic, Milutinovic, Ojdanic, Pavkovic, Lazarevic and Lukic, TC Judgment, 26.2.2009, Vol. 1 of 4, პარ. 120; ICTY, Prosecutor v. Strugar, AC Judgment, 17.7.2008, პარ. 298, 304; ICTY, Prosecutor v. Blaskic, AC Judgment, 29.7.2004, პარ. 62.

⁹⁰⁰ შეად. იქვე.

⁹⁰¹ შეად. Martino, Recklessness, კრებულში: Cassese (ed.), Oxford Companion (2009), 479. გულგრილობის ცნების შესახებ დაწ. იხ. იქვე, 479–482.

⁹⁰² შეად. Meloni, Command Responsibility (2010), 185, სქოლიო 226.

⁹⁰³ შეად. იქვე.

რომის სტატუტის 28(b)(i)-ე მუხლის შემთხვევაში „შეგნებულად უგულებელყოფდა ინფორმაციას, რომელიც აშკარად მიუთითებდა, რომ ხელქვეითი სჩადიდონ ან განზრახული ჰქონდათ ასეთ დანაშაულთა ჩადენა“, გულისხმობს პირის უყურადღებო, გულგრილ („შეგნებულად უგულებელყოფდა ინფორმაციას, რომელიც აშკარად მიუთითებდა“) დამოკიდებულებას „რისკსა“ და შესაძლო შედეგთან მიმართებით („რომ ხელქვეითი სჩადიდონ, ან განზრახული ჰქონდათ ასეთ დანაშაულთა ჩადენა“).

4.2.3.2. სამოქალაქო მეთაურის პასუხისმგებლობის უფრო მკაცრი მენტალური ელემენტი

სამოქალაქო მეთაურისთვის გათვალისწინებული უფრო მაღალი მენტალური ელემენტის სტანდარტის არსებობა, რაც შეიძლება ითქვას ასევე მატერიალურ ელემენტზეც, გამომდინარეობს სამოქალაქო მეთაურსა და ხელქვეითს შორის არსებული „სპეციფიკური“ სუბორდინაციიდან, სამხედრო მეთაურსა და ხელქვეითს შორის არსებულ სუბორდინაციასთან შედარებით. ეს უკანასკნელი უფრო სტრუქტურირებულია, სადაც არსებობს მკაცრი დასჯის სისტემა, რომელიც საჭიროებს ხელქვეითებზე მკაცრი კონტროლის შესაძლებლობას. იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი სისტემა არ არსებობს სამოქალაქო მეთაურების შემთხვევაში, რომის სტატუტი უფრო მეტად „აკონტროლებს“ სამოქალაქო მეთაურს.⁹⁰⁴

5. მეთაურის მიერ შეუსრულებელი მოვალეობა

საერთაშორისო სისხლის სამართალი რომის სტატუტის 28-ე მუხლის (a)(ii)-ე და (b)(iii)-ე ქვეპუნქტებით აწესებს მეთაურის მიერ შესასრულებელ სამ მოვალეობას, როგორებიცაა: *პრევენციული* (preventive), *რეპრესიული* (repressive) და *საჭირო და გონიერული* (necessary and reasonable) ზომების გატარება.

5.1. პრევენციული მოვალეობა

პრევენციული მოვალეობის შეუსრულებლობა გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც დანაშაული ჯერ არ არის ჩადენილი და მეთაური, რომელმაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, არ ატარებს შესაბამის *პრევენციულ* ზომებს.⁹⁰⁵ მაგალითად, მეთაური უნდა დარწმუნდეს, ხელქვეითებმა კარგად იციან თუ არა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი; რამდენად შეესაბამება საერთაშორისო სამართალს, ომის სამართალს მიმდინარე ქმედებები; არის

⁹⁰⁴ შეად. Kiss, Command Responsibility, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 613.

⁹⁰⁵ იხ. ICC, Prosecutor v. Bemba, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 437.

თუ არა საკმარისი დისციპლინა ხელქვეითების მიერ უკანონო ქმედების გამოსარიცხად და სხვ.⁹⁰⁶

5.2. რეპრესიული მოვალეობა

რეპრესიული მოვალეობის შეუსრულებლობა გულისხმობს სამ ფაქტორს: ერთი მხრივ, მიმდინარე დანაშაულების უგულებელყოფას;⁹⁰⁷ მეორე მხრივ, უკვე ჩადენილი დანაშაულების დაუსჯელობას;⁹⁰⁸ და, მესამე მხრივ, სათანადო ორგანოებისათვის ინფორმაციის გადაუცემლობას გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად.⁹⁰⁹

5.3. საჭირო და გონივრული ზომების გატარების მოვალეობა

საჭირო და გონივრული ზომების გატარების მოვალეობა ეხება როგორც *პრევენციულ*, ისე *რეპრესიულ* მოვალეობას, რაც გულისხმობს, რომ, თუ *საჭირო და გონივრული* ზომების გატარების შესაძლებლობა არ იყო, მეთაური ვერ დაისჯება *პრევენციული* და *რეპრესიული* მოვალეობის შეუსრულებლობისათვის.⁹¹⁰ ეს ელემენტი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განმარტების საგანია. აქ იგულისხმება ზომების გატარების „მატერიალური შესაძლებლობა“.⁹¹¹ *საჭირო* ზომების მიღებაში იგულისხმება მეთაურის მიერ განსახორციელებელი ყველა აუცილებელი პირობის მიღება, რომლებიც, ერთად აღებული, უზრუნველყოფდა *რეპრესიული* და *პრევენციული* მოვალეობის შესრულებას. რაც შეეხება *გონივრულ* ზომას, იგი უნდა იყოს პროპორციული, კერძოდ, რომლითაც იქნება გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის აღბათობა და კონფლიქტურ სიტუაციაში შექმნილი ნებისმიერი გარემოება.⁹¹²

6. მეთაურის (უფროსის) პასუხისმგებლობის ანალიზი

ICC-ის მიერ მეთაურის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებების, კვალიფიკაციისათვის აუცილებელი ნიშნების მიმოხილვის შემდეგ შესაძლებელია მეთაურის პასუხისმგებლობის უახლესი კონცეფციის შეფასება. კერძოდ, დანაშაულში ამსრულებლობისთვის გათვალისწინებულ სახეებთან კონკურენციისას რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რით განსხვავდება იგი

⁹⁰⁶ იხ. იქვე, პარ. 438.

⁹⁰⁷ იხ. იქვე, პარ. 439–441.

⁹⁰⁸ იხ. იქვე, პარ. 439.

⁹⁰⁹ იხ. იქვე, პარ. 442.

⁹¹⁰ შეად. Werle, *Jessberger*, Principles of ICL (2014), 231.

⁹¹¹ იხ. ICC, *Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 443.

⁹¹² იხ. Kiss, *Command Responsibility*, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 631–632.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სხვა სახეებისგან და დანაშაულში მონაწილეობის რომელ ფორმას მიეკუთვნება.

6.1. მეთაურის პასუხისმგებლობის „სპეციალური სუბიექტი“

მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ მეთაური – როგორც მაღალი თანამდებობის პირი დიდი ძალაუფლებით, ისე დაბალი რანგის, ან რანგის არმქონე მეთაური, რომელიც რამდენიმე პირს აკონტროლებს.⁹¹³ კვალიფიკაციისთვის აუცილებელი არაა დანაშაულის პირდაპირი ამსრულებლის იდენტიფიკაცია.⁹¹⁴

6.2. უმოქმედობის მატერიალური და მენტალური ელემენტები

რომის სტატუტის 28-ე მუხლი შეიცავს უმოქმედობის ორ მატერიალურ ელემენტს: პირველი – ეს ზოგადი უმოქმედობაა, როდესაც მეთაური ისჯება *სათანადო კონტროლის განუხორციელებლობისათვის*, რასაც შედეგად მოჰყვა დანაშაულების ჩადენა; მეორე – ეს არის სპეციალური უმოქმედობის შემთხვევა, გათვალისწინებული 28-ე მუხლის (a)(ii) და (b)(ii) ქვეპუნქტებით, როდესაც მეთაურმა არ მიიღო ზომები, *რათა თავიდან აეცილებინა ან აღეკვეთა დანაშაულთა ჩადენა ან გადაეცა საკითხი კომპეტენტური ორგანოებისთვის*.⁹¹⁵ აღნიშნული უმოქმედობის ორივე სახის მატერიალურ ელემენტთან როგორც *სამხედრო მეთაურის*, ისე *სამოქალაქო მეთაურის* დამოკიდებულება უნდა შემოიფარგლოს საერთო ცოდნის მენტალური ელემენტით, 30-ე მუხლის (*default rule*) ინტერპრეტირებით.

მეთაურის პასუხისმგებლობა *რომის სტატუტში* მენტალური ელემენტის ახალ სტანდარტს აწესებს, 30-ე მუხლის სიტყვასიტყვითი შინაარსის გარეთ. კერძოდ, *დაუდევრობის, გულგრილობისა* და სხვა მენტალური ელემენტების გამოყენებით, იგი *პირდაპირი განზრახვის* გარეშე ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის „ერთადერთ საშუალებად რჩება“.

უმოქმედობის ელემენტიდან გამომდინარე, მეთაურის პასუხისმგებლობის კონცეფცია მეთაურის უმოქმედობის დასჯადობას ახდენს არასათანადო კონტროლის, პრევენციული და რეპრესიული ზომების განუხორციელებლობისა და საკითხის კომპეტენტური ორგანოებისთვის გადაუცემლობისათვის. ამ მხრივ იგი განსხვავდება *JCE*-ისგან.

⁹¹³ შეად. იქვე, 614–615.

⁹¹⁴ შეად. იქვე, 615.

⁹¹⁵ შეად. *Sliedregt, Individual Responsibility* (2012), 199.

6.3. მეთაურის პასუხისმგებლობა და JCE

მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინის კვლევა გვიჩვენებს, რომ იგი ფუნდამენტურად განსხვავდება JCE-ისგან.⁹¹⁶ ფართო გაგებით, შესაძლებელია, ორივე მსგავსი პასუხისმგებლობის სახეების შეხედულებას ტოვებს. კერძოდ, *გაერცობილი JCE*-ის თანაამსრულებლის მსგავსად⁹¹⁷, მეთაური მორჩილად „იღებს რისკს საკუთარ თავზე“, არ მოხდება დანაშაული. თუმცა მთავარი განსხვავება ისევე უმოქმედობასა და მენტალურ ელემენტშია.

უმოქმედობის ელემენტთან დაკავშირებით, JCE ითხოვს უფრო „პოზიტიურ აქტს“ (*positive act*)⁹¹⁸ ან კოტრიბუციას გაერთიანებაში, როდესაც მეთაურის პასუხისმგებლობისთვის უმოქმედობაც საკმარისია. მეთაურის პასუხისმგებლობისთვის აუცილებელია იერარქიული, „ვერტიკალური“ ურთიერთობის არსებობა, იმ პირთა შორის, რომელთაგან ერთის ვალდებულებაა ზედამხედველობის, მეთვალყურეობის განხორციელება, ხოლო მეორის მიერ აუცილებელია პირდაპირ, უშუალოდ დანაშაულის ჩადენა. ამ ფორმულისგან განსხვავებით, JCE-ის წევრები, კონკრეტულად, *ძირითადი JCE*-ის თანაამსრულებლები, ზოგადად, დამოკიდებული არიან ერთსა და იმავე იერარქიულ დონეზე და მოქმედებენ „ჰორიზონტალური“ ფორმით. JCE-ის შიგნით მეთაურის პასუხისმგებლობის, პოლიტიკური ლიდერის პოზიციის ჩვენება არ არის აუცილებელი. JCE-ის კონცეფცია ითხოვს მინიმალურ კოორდინაციას, რომელიც წარმოდგენილია როგორც „ნების ჰორიზონტალური გამოსატყუება“, რომელიც აერთიანებს ამსრულებლებს. მეთაურის პასუხისმგებლობის კონცეფციისგან განსხვავებით, მისი მთავარი იარაღი – ეს არის თანაამსრულებელთა არაოფიციალური კავშირი და მარტივი ურთიერთობები.⁹¹⁹

არსებითი განსხვავება ასევე იგრძნობა მენტალურ ელემენტებში. *ძირითადი JCE*-ის დროს, ამსრულებელი იზიარებს სხვა თანაამსრულებლების *განზრახვას*, სადაც საერთო სუბიექტური ელემენტი მიმართულია კონკრეტული დანაშაულების ამსრულებლისა და გაერთიანების საბოლოო მიზნისკენ. სხვა კატეგორიების, განსაკუთრებით *გაერცობილი JCE*-ის დროს, ამსრულებელს უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული დანაშაულის საერთო მიზანი და განჭვრეტადობის ელემენტი. მეთაურის პასუხისმგებლობის დროს, აღნიშნულისგან

⁹¹⁶ შეად. *Ambos*, ‘Most Responsible’, კრებულში: *Nollkaemper, Wilt* (ed.), *System Criminality* (2009), 138.
⁹¹⁷ *გაერცობილი JCE*-ის ცნებით, საერთო გეგმის ფარგლებში, ადამიანთა ჯგუფი სჩადის გეგმით გათვალისწინებულ ქმედებას. ინდივიდუალური პასუხისმგებლობისთვის უნდა დადგინდეს: თუ რამდენად იყო განჭვრეტადი ჯგუფის ერთ-ერთი წევრის მიერ დანაშაულის ჩადენა და ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, გაერთიანების ფარგლებში ასეთი დანაშაულის ჩადენის ცოდნით, ნებაყოფლობით, მორჩილად „აიღო თუ არა რისკი საკუთარ თავზე“. იხ. *ICTY, Prosecutor v. Tadic*, AC Judgment, 15.7.1999, პარ. 204, 220, 228; *ICTY, Prosecutor v. Stakic*, TC Judgment, 31.7.2003, პარ. 436.
⁹¹⁸ შეად. *Ambos*, ‘Most Responsible’, კრებულში: *Nollkaemper, Wilt* (ed.), *System Criminality* (2009), 139.
⁹¹⁹ შეად. იქვე, 138–139.

განსხვავებით, მატერიალური ელემენტი გამოიხატება მეთაურის მხრიდან სათანადო ხელმძღვანელობის განუხორციელებლობაში და, შესაბამისად, მენტალური ელემენტიც უნდა ვრცელდებოდეს ხელმძღვანელობის განუხორციელებლობაზე, თუმცა არა ხელქვეითების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე.⁹²⁰

აღნიშნული განსხვავებების მიუხედავად, ზემოთ მოცემულ დოქტრინებს საერთო მახასიათებელი ნიშნებიც აქვს. ამის გამო მათი გამოყენება ერთდროულადაც შეიძლება იმ დროს, როდესაც ბრალდებულებს დანაშაულებრივი აპარატის იერარქიაში გარკვეული პოზიცია უკავიათ და არსებობს იერარქიული განსხვავება დანაშაულის ამსრულებლებს შორის.⁹²¹

მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინა განსხვავდება ამსრულებლობის პასუხისმგებლობის სახეებისგან.

6.4. მეთაურის პასუხისმგებლობა და ამსრულებლობა

რომის სტატუტი, მიუხედავად იმისა, რომ 25(3)-ე მუხლში განსაზღვრავს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახეებს, მეთაურის პასუხისმგებლობას გამოყოფს ცალკე – 28-ე მუხლში, როგორც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამატებით, *sui generis*, სახეს.⁹²² შესაბამისად, მისი ბუნებიდან გამომდინარე ამსრულებლობასთან შედარებით პასუხისმგებლობაც უფრო მსუბუქი უნდა იყოს.⁹²³ ქმედების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია, თუ რომელ მუხლს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, როდესაც კონკურენციაა მათ შორის და ორივეთი შესაძლებელია პირზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

კონკრეტული დანაშაულის კვალიფიკაციის პროცესში, როდესაც არსებობს კონკურენცია ამსრულებლობასა [*რომის სტატუტის* 25(3)(a)-ე მუხლი] და მეთაურის პასუხისმგებლობას (*რომის სტატუტის* 28-ე მუხლი) შორის, უპირატესობა ენიჭება პირველს. როგორც ICC-ის წინასასამართლო პალატამ *Prosecutor v. Bemba*-ს საქმეზე დაადგინა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება საერთაშორისო სისხლის სამართალში მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინის საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც არ არსებობს საფუძველიანი ეჭვი იმისა, რომ ბრალდებული არ არის პასუხისმგებელი როგორც ამსრულებელი 25(3)(a)-ე მუხლის ფარგლებში.⁹²⁴ კერძოდ, როდესაც კონკრეტულ საქმეზე არსებული მტკიცებულებები საკმარისია

⁹²⁰ შეად. იქვე, 139.

⁹²¹ შეად. იქვე. განმასხვავებელი და საერთო ნიშნების შესახებ იხ. იქვე, 138–142; იხ. ასევე: *Ambos, JCE and Command Responsibility*, 5 *JICJ* (2007), 159–183.

⁹²² შეად. *Schabas*, *RS Commentary* (2010), 457.

⁹²³ შეად. *Burghardt*, *Modes of Participation*, კრებულში: *Burchard, Triffterer, Vogel, Future of ICC* (2010), 90–91.

⁹²⁴ იხ. *ICC, Prosecutor v. Bemba, Confirmation of Charges*, 15.6.2009, პარ. 342.

დასკვნისათვის, რომ იყო როგორც „აქტიური ამსრულებლობა“, ისე „პასიური ამსრულებლობა“ – მეთაურის პასუხისმგებლობა, უპირატესობა ამსრულებლობას ენიჭება.⁹²⁵

აღსანიშნავია, რომ *Prosecutor v. Bemba*-ს საქმეზე, თავდაპირველად ბრალდება პასუხისმგებლობის დაკისრებას *რომის სტატუტის* 25(3)(a)-ე მუხლის ფარგლებში, თანამსრულებლობის ბრალდებით მოითხოვდა, თუმცა შემდგომში იგი შეიცვალა 28-ე მუხლით. წინასასამართლო პალატა დარწმუნდა, რომ ბრალდებულზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება შეუძლებელი იყო 25(3)(a)-ე მუხლის ფარგლებში, როგორც თანამსრულებლობის ფორმით და გადავიდა 28-ე მუხლის პასუხისმგებლობის ფორმაზე, როგორც ალტერნატიულ საშუალებაზე.⁹²⁶

შესაბამისად, დანაშაულის გამოძიებისას, როდესაც პროკურორი მიღებული მტკიცებულებებით „დაეჭვდება“, რომ კონკრეტული პირი, შესაძლოა, *არსებით კონტრიბუციას* ახორციელებდა დანაშაულში, შეუძლია სისხლისსამართლებრივი დევნა ჯერ დაიწყოს ამსრულებლობის დოქტრინით. თუ გამოირიცხება ბრალდებულის დანაშაულში *არსებითი კონტრიბუცია*, მაშინ, მისი მხრიდან *ეფექტიანი კონტროლის* არსებობის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნა გაგრძელდება მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინით.

მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინა განსხვავდება დანაშაულში თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის სახეებისგან.

6.5. მეთაურის პასუხისმგებლობა და თანამონაწილეობა

მიუხედავად იმისა, რომ მეთაურის პასუხისმგებლობასა და თანამონაწილეობას ბევრი საერთო ნიშანი აქვს, პირველის განხილვა არ შეიძლება მეორის პასუხისმგებლობათა სახეებში.⁹²⁷ დოქტრინის მიხედვით, მეთაურზე პასუხისმგებლობის დაკისრება ხელქვეითების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამო ხდება არა როგორც თანამონაწილეზე, არამედ მისი უმოქმედობისა და არასათანადო ხელმძღვანელობისათვის, მაშინ, როდესაც თანამონაწილეობის პასუხისმგებლობა გულისხმობს მორალურ, თუ პრაქტიკულ დახმარებას ძირითად ამსრულებელზე თანამონაწილის მხრიდან,⁹²⁸ კერძოდ, *სუბსტანციურ კონტრიბუციას* (*substantial contribution*).⁹²⁹

⁹²⁵ შეად. Schabas, RS Commentary (2010), 458.

⁹²⁶ შეად. ICC, *Prosecutor v. Bemba*, Confirmation of Charges, 15.6.2009, პარ. 40–49.

⁹²⁷ შეად. Bonafe, Command Responsibility, კრებულში: Cassese (ed.), Oxford Companion (2009), 270; იხ. ასევე: Mettraux, Command Responsibility (2009), 38. საწინააღმდეგო აზრი იხ. ICTY, *Prosecutor v. Halilovic*, TC Judgment, 16.11.2005, პარ. 43.

⁹²⁸ შეად. Mettraux, Command Responsibility (2009), 40.

⁹²⁹ თანამონაწილეობის სტანდარტზე იხ. Olasolo, Rojo, Accessorial Liability, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 557–591.

უმოქმედობა დასჯადია, ვინაიდან საერთაშორისო სამართალი უწესებს ვალდებულებას მეთაურებს, რომელიც ხელქვეითების მიერ ჩადენილი დანაშაულების პრევენციითა და მათი დასჯით გამოიხატება. მეთაური არ იზიარებს პასუხისმგებლობას ხელქვეითთან ერთად, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული. იგი პასუხს აგებს არასათანადო ხელმძღვანელობისათვის.⁹³⁰

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ საქმეზე – *კორონოვი ლატვიის წინააღმდეგ (Koronov v. Latvia)* – დანაშაულის თავიდან აცილების განუხორციელებლობისათვის მეთაურის პასუხისმგებლობა გაიგო, როგორც „კონტროლის მოვალეობის შეუსრულებლობა“ (*dereliction of a superior's duty to control*) და არა როგორც პასუხისმგებლობა სხვისი ქმედებისათვის.⁹³¹ აღნიშნული მოსაზრება არ შეესაბამება მეთაურის პასუხისმგებლობის ზემოგანხილულ პრეცედენტულ სამართალს, რომელიც მას პირველი ხარისხის პასუხისმგებლობის სახედ მიიჩნევს.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახეთა კონკურენციის საკითხის მხრივ ყურადსაღებია *Prosecutor v. Al Bashir*-ის საქმე.

7. *Prosecutor v. Al Bashir*-ის საქმე – რატომ დაეყრდნო სასამართლო ამსრულებლობის დოქტრინას

Prosecutor v. Al Bashir-ის საქმეზე ICC-ის ბრალდების მხარე ამსრულებლობის დოქტრინას იყენებს. საინტერესოა, რატომ არ გამოიყენა მან ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სხვა სახე, კერძოდ, მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინა სახელმწიფოს მეთაურის – პრეცედენტული მნიშვნელობის საქმეზე. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ჯერ ჩამოვთვალოთ ის პასუხისმგებლობის საშუალებები, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იყო არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინის ნაცვლად. ესენია: *JCE*, თანამსრულებლობის დოქტრინა [25(3)(a)-ე მუხლი], მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინა [28(b)-ე მუხლი], თანამონაწილეობა [25(3)(b)-ე მუხლი] და საერთო მიზნით მოქმედი დაჯგუფების დახმარების პასუხისმგებლობის სახე [25(3)(d)-ე მუხლი].

JCE-ის დოქტრინის გამოყენებასთან მიმართებით პასუხი მარტივია. იგი ადრეულ ეტაპზე ICC-ის მიერ *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე იქნა უარყოფილი.⁹³² მით უფრო, რომ თავის დროზე ICTY-ის მიერ შემუშავებული

⁹³⁰ იხ. *ICTY, Prosecutor v. Halilovic*, TC Judgment, 16.11.2005, პარ. 54. მეთაურის პასუხისმგებლობასა და თანამონაწილეობას შორის განმასხვავებელ ნიშნებზე იხ. *Mettraux, Command Responsibility* (2009), 37–44.

⁹³¹ იხ. *ECHR, Koronov v. Latvia*, GC Judgment, 17.5.2010, პარ. 156, 211, 213, 223; *O'Keefe*, ICL (2015), 207.

⁹³² იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 322–341.

JCE და არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობა განსხვავებულ აუცილებელ ელემენტებს ეფუძნება.⁹³³

რაც შეეხება *რომის სტატუტის* 25(3)(a)-ე მუხლის ფარგლებში თანაამსრულებლობის დოქტრინის ინდივიდუალურ გამოყენებას, ბრალდებების მტკიცების პროცესში იგი ვერ იქნებოდა პროდუქტიული, ალ *ბაშირის* თანამდებობიდან, თანაამსრულებლობის დოქტრინის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას „ჰორიზონტალური მიმართულებით“ ავითარებს.⁹³⁴ ერთი მხრივ, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობისას ორი პირის დასჯა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სხვადასხვა ჯგუფს, თავისუფლად შესაძლებელია მხოლოდ თანაამსრულებლობის დოქტრინით, თუ დამტკიცდება, რომ ისინი მოქმედებდნენ საერთო მიზნით.⁹³⁵ თუმცა, მეორე მხრივ, ალ *ბაშირის* შემთხვევა განსხვავებულია, მისი თანამდებობის გამო, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით დაკავშირებულია „ვერტიკალურ მმართველობასთან“. ამ შემთხვევაში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნება არაპირდაპირი ამსრულებლობის დოქტრინის გამოყენების გარეშე, შეუძლებელია. თანაამსრულებლობის დოქტრინის პასუხისმგებლობის ფორმატი განსხვავებულია. თანაამსრულებლობა, როგორც *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე განიმარტა, გულისხმობს ადამიანთა დაჯგუფების კოორდინირებულ კონტრიბუციას დანაშაულის მატერიალური ელემენტების შესასრულებლად.⁹³⁶

მესამე ალტერნატივა – მეთაურის პასუხისმგებლობის სახის გამოყენება *Prosecutor v. Al Bashir*-ის საქმეზე, მართლაც, საფუძველს არ იყო მოკლებული,⁹³⁷ კერძოდ, ალ *ბაშირის* სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა *რომის სტატუტის* 28(b)-ე მუხლის ფარგლებში, როგორც „სამოქალაქო მეთაურზე, სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულისთვის, რომელიც ჩაიდინეს მისი ეფექტური ძალაუფლების ან კონტროლის ქვეშ, იმის შედეგად, რომ ეს პირი აღნიშნულ ხელქვეითებს არ უწევდა სათანადო კონტროლს“. იურიდიულ ლიტერატურაში ეს მოსაზრება მხარდაჭერილია იმ არგუმენტით, რომ *კონტროლის* ელემენტის არსებობა, რომელსაც ითხოვს თავისთავად თეორია *ამსრულებელი ამსრულებლის*

⁹³³ *JCE* ითხოვს საერთო გეგმის არსებობას, ხოლო თანაამსრულებლობის დოქტრინა კონტროლისას. თუმცა, ორივე მათგანი დამოკიდებულია დანაშაულებზე, რომლებიც ხორციელდება ფიზიკურად სხვა პირების მიერ. იხ. *Sliedregt, Individual Responsibility* (2012), 170–171.

⁹³⁴ შეად. *Jessberger, Geneuss, Indirect Perpetration*, 6 *JICJ* (2008), 865.

⁹³⁵ იხ. *Weigend, Indirect Perpetration*, კრებულიში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 554.

⁹³⁶ იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga, Confirmation of Charges*, 29.1.2007, პარ. 326; იხ. ასევე: *ICC, Prosecutor v. Katanga and Chui, Confirmation of Charges*, 30.9.2008, პარ. 520.

⁹³⁷ იხ. *Jessberger, Geneuss, Indirect Perpetration*, 6 *JICJ* (2008), 865–866, რომლებიც მეთაურის პასუხისმგებლობას *Prosecutor v. Al Bashir*-ის საქმეზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ყველაზე ადეკვატურ სახედ მიიჩნევენ.

უკან (*perpetrator behind perpetrator, Täter hinter dem Täter*)⁹³⁸, გაუპატიურებასთან მიმართებით, რთულად დასამტკიცებელია.⁹³⁹ მეთაურის პასუხისმგებლობის ფარგლებში, პროკურატურამ უნდა ამტკიცოს მხოლოდ *აღ ბაშირის* უმოქმედობა, „ორგანიზაციაზე“ მისი *ეფექტური ძალაუფლებისა და კონტროლის* ელემენტის გამოყენებით. *აღ ბაშირის* თანამდებობრივი მდგომარეობა უფრო გააიოლებდა ამ პროცესს. მისი მტკიცება საჯაროდ, თითქოს *დარფურში* არ მომხდარა გაუპატიურება, შეიძლებოდა გამოყენებულიყო კარგ სამხილად, რომ, „უფროსმა არ მიიღო ყველა საჭირო და გონივრული ზომა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რომ თავიდან აეცილებინა ან აღეკვეთა დანაშაულთა ჩადენა“.⁹⁴⁰

თუმცა, მთავარი არგუმენტი, რომელიც, ამ ეტაპზე, გამორიცხავს მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინას *Prosecutor v. Al Bashir*-ის საქმეზე, ეს არის *Prosecutor v. Bemba*-ს საქმეზე გამოყენებული ფორმულა – *რომის სტატუტის* 25(3)(a)-ე მუხლის უპირატესობა 28-ე მუხლთან მიმართებით.⁹⁴¹ საქმეში მოპოვებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იყო როგორც „აქტიურ ამსრულებლობა“, ისე მეთაურის პასუხისმგებლობა, უპირატესობა პირველს ენიჭება.⁹⁴² თუ აღნიშნული პასუხისმგებლობის სახის მტკიცება არ გამოუვიდა პროკურატურას *Prosecutor v. Al Bashir*-ის საქმეზე, არ არის გამორიცხული, გადავიდეს მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინაზე.

რაც შეეხება *აღ ბაშირის* ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, მისი სახეები არ შეიცავს დანაშაულის ამსრულებლობაზე კონტროლის – *ქმედებაზე ბატონობის* ელემენტებს. *რომის სტატუტის* 25(3)(b)-ე მუხლის⁹⁴³ გამოყენება შეუძლებელია ამსრულებლობასთან კავშირში.⁹⁴⁴ მით უფრო, რომ 25(3)-ე მუხლის „იერარქიული არქიტექტურიდან“ გამომდინარე, თანამონაწილეობა [25(3)(b-c)-ე მუხლი] და თანამონაწილეობის დახმარება [25(3)(d)-ე მუხლი] ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამატებით ფორმებს წარმოადგენს. თანამონაწილეს, რომელიც დანაშაულში „მეორე ხარისხის“ მონაწილეა, არ

⁹³⁸ იხ. *ICC, Prosecutor v. Katanga and Chui, Confirmation of Charges, 30.9.2008*, პარ. 496–497. *ICC*-ის წინასასამართლო პალატის მიერ ციტირებულია – *Roxin, Straftaten im Rahmen organisatorischer Machtapparate, GA (1963), 193–207*. აღნიშნული სტატიის ინგლისური ვერსია იხ. *Roxin, Organized Power Structures, 9 JICJ (2011), 193–205*. აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნების შემდგომ, *როქსინის* თეორია აღიარა *გერმანიის* ფედერალურმა სასამართლომ (*Bundesgerichtshof*). ამასთან დაკავშირებით დაწ. იხ. *Weigend, Perpetration through an Organization, 9 JICJ (2011), 94–99*. დოქტრინის კრიტიკაზე იხ. იქვე, 99–101.

⁹³⁹ იხ. *Giamanco, The Perpetrator Behind the Perpetrator, 25 TICLJ (2011), 239, 242–243*.

⁹⁴⁰ იხ. იქვე, 234; იხ. ასევე: *რომის სტატუტის* 28(b)(iii)-ე მუხლი.

⁹⁴¹ იხ. *ICC, Prosecutor v. Bemba, Confirmation of Charges, 15.6.2009*, პარ. 342.

⁹⁴² იხ. *Schabas, RS Commentary (2010), 458*.

⁹⁴³ იხ. *რომის სტატუტის* 25(3)(b)-ე მუხლი:
„უხელმძღვანელებს, წააქეზებს ან ხელს შეუწყობს აღნიშნული დანაშაულის ჩადენას, თუ ეს დანაშაული ჩადენილია ან იყო მისი ჩადენის მცდელობა.“

⁹⁴⁴ შეად. *Jessberger, Geneuss, Indirect Perpetration, 6 JICJ (2008), 865*. *რომის სტატუტის* 25(3)(b)-ე მუხლზე იხ. *Schabas, RS Commentary (2010), 430* და მომდევნო გვერდები.

გაანხია დანაშაულზე კონტროლის შესაძლებლობა, ახორციელებს დანაშაულში არა არსებით კონტრიბუციას, არამედ სუბსტანციურ კონტრიბუციას. სწორედ, ეს არის მთავარი განსხვავება ამსრულებლობასა და თანამონაწილეობას შორის, რასაც *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე გაესვა ხაზი,⁹⁴⁵ ხოლო 25(3)(d)-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ფორმა მოითხოვს მნიშვნელოვანი კონტრიბუციის სტანდარტის არსებობას.⁹⁴⁶

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროკურატურის მტკიცებით, ალ ბაშირს გააჩნდა სრული კონტროლი იმ პირებზე, რომლებიც უშუალოდ ახორციელებდნენ დანაშაულებს, კერძოდ, პირდაპირი ამსრულებლების მიმართ. რომის სტატუტის 25(3)(d)-ე მუხლი,⁹⁴⁷ რომელიც მიხნეულია, როგორც JCE-ის მსგავსი ფორმა,⁹⁴⁸ წარმოადგენს თანამონაწილეობის დახმარებას, დამატებითი ხასიათის მატარებელია,⁹⁴⁹ რაც მის გამოყენებას გამორიცხავს.

მიუხედავად ამისა, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობა *Prosecutor v. Al Bashir*-ის საქმეზე ადეკვატურ პასუხისმგებლობის საშუალებად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც საერთაშორისო სისხლის სამართლის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.⁹⁵⁰ თუ რატომ იყენებს ICC მას და არა პასუხისმგებლობის სხვა სახეს, ეს უკვე ზემოთ განვიხილეთ. თუმცა ხაზგასასმელია მთავარი ფაქტორი – არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობით, ალ ბაშირი მიიღებს სასჯელის უფრო მაღალ ზომას, ვიდრე პასუხისმგებლობის სხვა საშუალებებით და ხდება პერსონალურად პასუხისმგებელი ქვეყანაში განხორციელებული დანაშაულებისთვის.⁹⁵¹ ამით, შესაძლებელია,

⁹⁴⁵ იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, TC Judgment, 14.3.2012, პარ. 996–997.

⁹⁴⁶ იხ. *ICC, Prosecutor v. Mbarushimana*, Confirmation of Charges, 16.12.2011, პარ. 283; *ICC, Prosecutor v. Katanga*, TC Judgment, 7.3.2014, პარ. 1620, 1632–1636.

⁹⁴⁷ იხ. *რომის სტატუტის* 25(3)(d)-ე მუხლი:

„3. სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩამდენ პირს, წინამდებარე წესდების შესაბამისად, ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ისჯება, თუ ეს პირი: ...

(d) ნებისმიერი სხვა სახით ხელს უწყობს საერთო მიზნით მოქმედ პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას ან ჩადენის მცდელობას. ასეთი ხელშეწყობა უნდა ხდებოდეს განზრახ, ანდა

(i) მიზნად ისახავდეს ჯგუფის დანაშაულებრივი მიზნის განხორციელებას ან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებას, თუ ასეთი მიზანი ან საქმიანობა მოიცავს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩადენას; ან

(ii) ხორციელდებოდეს იმის წინასწარი შეგნებით, რომ ჯგუფი მიზნად ისახავს დანაშაულის ჩადენას.”

⁹⁴⁸ იხ. *Jessberger, Geneuss*, Indirect Perpetration, 6 *JICJ* (2008), 865; *JCE*-ის და 25(3)(d)-ე მუხლთან მიმართებით იხ. *Weigend*, Co-perpetration, 6 *JICJ* (2008), 477–478.

⁹⁴⁹ იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, Confirmation of Charges, 29.1.2007, პარ. 334-336; იხ. ასევე: *Schabas*, RS Commentary (2010), 436–437.

⁹⁵⁰ შეად. *Jessberger, Geneuss*, Indirect Perpetration, 6 *JICJ* (2008), 866.

⁹⁵¹ შეად. *Giamanco*, The Perpetrator Behind the Perpetrator, 25 *TICLJ* (2011), 242–243.

არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა „ცნობილი“ დამნაშავეების სისხლისსამართლებრივი დევნის მთავარ იარაღად იქცეს.

8. შეჯამება

საერთო ჯამში, მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას აკისრებს *სამხედრო* და *სამოქალაქო მეთაურს* დაქვემდებარებული ხელქვეითების მიმართ *ეფექტიანი კონტროლის* განუხორციელებლობისათვის – *პრევენციული*, *რეპრესიული* და *საჭირო და გონივრული* ზომების გაუტარებლობის გამო. მეთაური არასათანადო კონტროლისათვის ისჯება თუ მან *იცოდა*, რომ ხელქვეითები სწადიან ან *განზრახული* ჰქონდათ სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა და *გულგრილად* ან *დაუდევრად* ეკიდებოდა აღნიშნულს. უმთავრესია, მეთაური არ უნდა ახორციელებდეს დანაშაულში *არსებით*, *სუბსტანციურ* ან *მნიშვნელოვან კონტრიბუციას*, არამედ იგი უნდა იჩენდეს უმოქმედობას და ჰქონდეს *ეფექტიანი კონტროლის* შესაძლებლობა დაქვემდებარებული ხელქვეითების მიმართ. *რომის სტატუტის* 28-ე მუხლით გათვალისწინებული მეთაურის პასუხისმგებლობის ფორმა კონკურენციაშია 25-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის, კერძოდ, ამსრულებლობის ფორმებთან, რომლებსაც უპირატესობა ენიჭება – სათანადო საფუძვლების არსებობისას, მეთაური დაისჯება ამსრულებლობისათვის სწორედ 25(3)(a)-ე და არა 28-ე მუხლზე მითითებით.

მეთაურის პასუხისმგებლობის კონცეფციის აღნიშნული ცნება არაა საბოლოო. მისი პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მატერიალური და მენტალური გარემოებების განმარტება, შესაძლოა, მომავალში შეიცვალოს, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით პრაქტიკასა და დოგმატიკაში არსებულ აზრთა სხვადასხვაობიდან გამომდინარე. ამის მიზეზია ის, რომ იგი შეიცავს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილისთვის მნიშვნელოვან, ფუნდამენტურ ასპექტებს,⁹⁵² რასაც წარმოდგენილი ნაშრომიც მიუთითებს.

⁹⁵² შეად. Kiss, Command Responsibility, კრებულიში: Stahn (ed.), ICC (2015), 648.

XIII. დანაშაულში მონაწილეობის ფორმების კატეგორიზაციის მნიშვნელობა სასჯელის შეფარდებისას ამსრულებლობა-თანამონაწილეობის სახით

ამსრულებლობა-თანამონაწილეობის სახით დანაშაულში მონაწილეობის ორი მოდელი არსებობს: პირველი – კონტინენტურევროპული, განსაკუთრებით, *გერმანიის* სისხლის სამართლის დოგმატიკაზე ორიენტირებული და მეორე – ანგლოამერიკული მოდელი, განსაკუთრებით, *დიდი ბრიტანეთისა* და *აშშ-ის* სისხლის სამართლის დოგმატიკაზე დაფუძნებული. პირველში, ამსრულებლობა-თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის ფორმების კონკრეტიზაციის აუცილებლობა, დოგმატურად, ფუძემდებელია (თუნდაც, სასჯელის შეფარდების კუთხით), ხოლო მეორეში იმდენად მნიშვნელოვანი არაა, როგორც ეს პირველშია.

ორივე მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართლისთვის კარგად ნაცნობია: ანგლოამერიკული, ძირითადად, გამოიყენებოდა *ICC-მდე*,⁹⁵³ ხოლო გერმანული, *ICC-ის* მოქმედი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მოდელია.

რომის სტატუტის კომპლექსური აგებულებიდან გამომდინარე, 25(3)-ე მუხლში მოცემული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ფორმების იერარქიასთან დაკავშირებით, *ICC-ის* მოსამართლეებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა – დანაშაულში მონაწილეობის ფორმების კონკრეტიზაციის რომელ მოდელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, გერმანულს – „მკაცრს“, თუ ანგლოამერიკულს – „მსუბუქს“.

ამსრულებლობა-თანამონაწილეობის სახით სასჯელის სიმძიმის განსასაზღვრავად დანაშაულში მონაწილეობის კატეგორიზაციის აუცილებლობის საკითხის განხილვა თვითონ *ICC-ის* შიგნით ამ თემასთან დაკავშირებით არსებული აზრთა სხვადასხვაობის განხილვით დავიწყოთ.

1. პრობლემის არსი

საერთაშორისო სისხლის სამართალი ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული, ანგლოამერიკული და კონტინენტურევროპული სამართლებრივი სისტემების ნორმათა სინთეზია.⁹⁵⁴ აღნიშნულმა *რომის სტატუტის* შექმნის პროცესში არაერთხელ იჩინა თავი, როდესაც სახეზე

⁹⁵³ იხ. ნაშრომის III თავი, §4 და §5.

⁹⁵⁴ ანგლოამერიკულ და საერთაშორისო სისხლის სამართალში დანაშაულის სისტემასთან მიმართებით იხ. *ტურავა*, საფუძვლები (2015), 161–198; *ტურავა*, მოძღვრება (2011), 6 (პარ. 9), 56–57; *მაღლაკელიძე*, დანაშაულის სისტემა, 2/3 *მართლმსაჯულება და კანონი* (2007), 242–250.

იყო ორივე სისტემის წარმომადგენელ მეცნიერთა და პრაქტიკოს იურისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობა რიგ საკითხებთან მიმართებით.⁹⁵⁵

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელშიც მოსამართლეები *ფულფორდი* და *უინგაერტი* ეწინააღმდეგებიან ICC-ის სხვა მოსამართლეებს, სხვა ზემოთ განხილულ საკითხებთან ერთად⁹⁵⁶, ეს არის 25(3)-ე მუხლში მოცემული პასუხისმგებლობის სახეთა იერარქიული დაყოფა, ამსრულებლობათანამონაწილეობის „მკაცრ“ ფორმულაზე დაყრდნობით⁹⁵⁷, რომლის მიხედვითაც ამსრულებლობა [25(3)(a)-ე მუხლი] არის პასუხისმგებლობის ყველაზე მძიმე ფორმა და სხვა დანარჩენი [25(3)(b)(c)(d)-ე მუხლი] – მსუბუქი.

ფულფორდი დანაშაულში მონაწილეობისათვის „ჰორიზონტალური პასუხისმგებლობის“ მიდგომას ემხრობა. მისი აზრით, 25(3)-ე მუხლის მიზანი არაა დანაშაულში მონაწილეობის სხვადასხვა ფორმის ურთიერთგამორიცხვა.⁹⁵⁸ 25(3)(b)-ე მუხლი, მაგალითად, წაქეზება დანაშაულში, მონაწილეობის არანაკლებ მძიმე ფორმაა „სხვა პირის მეშვეობით“ დანაშაულის ამსრულებლობასთან შედარებით.⁹⁵⁹ მუხლის იერარქიაზე საუბრისას, მასობრივი მკვლელობის შემთხვევაში, *უინგაერტისთვის* რთულად წარმოსადგენია რიგითი ჯარისკაცის უფრო მეტი ბრალეულობა უშუალო ამსრულებლობისათვის იმ გენერალთან შეფარდებით, რომელიც დახმარებას უწევდა ასეთ მკვლელობებს, 25(3)(c)-ე მუხლის მიხედვით. მისი აზრით, ბრალეულობა კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებს უნდა ეყრდნობოდეს, ვიდრე ზოგადსამართლებრივ კატეგორიას. ხელმძღვანელობის ელემენტი არ უნდა აისახოს დანაშაულში მონაწილეობის კონკრეტულ ფორმაზე, არამედ შეიძლება სასჯელის დანიშვნის დროს იქნეს გათვალისწინებული.⁹⁶⁰ დანაშაულში მონაწილეობის ფორმა ვერ იქნება სასჯელის სიმძიმის განმსაზღვრელი, მით უფრო, როდესაც *რომის სტატუტის* 78-ე მუხლი და *პროცედურისა და მტკიცების წესების* 145-ე წესი ამის აუცილებლობას არ აწესებს. მნიშვნელოვანია დანაშაულის სიმძიმე, ბრალდებულის ინდივიდუალური გარემოებები და დანაშაულში მონაწილეობის დონე.⁹⁶¹

ფულფორდისა და *უინგაერტის* განსხვავებული აზრი გამოიწვია *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე ICC-ის სასამართლო პალატის გადაწყვეტილებამ 25(3)-ე მუხლთან მიმართებით, რომლის მიხედვითაც, იგი მკაფიოდ მოიცავს ამსრულებლობისა [25(3)(a)-ე მუხლი] და

⁹⁵⁵ იხ. *Clark*, Drafting a General Part to a Penal Code, 19 *CLF* (2008), 519–552.

⁹⁵⁶ იხ. ნაშრომის IX თავი, §6.1.

⁹⁵⁷ იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, TC Judgment, Separate Opinion of *Fulford*, 14.3.2012, პარ. 6, 8; *ICC, Prosecutor v. Chui*, TC Judgment, Concurring Opinion of *Wynngaert*, 18.12.2012, პარ. 6, 22–30.

⁹⁵⁸ იხ. იქვე, პარ. 7.

⁹⁵⁹ იხ. იქვე, პარ. 8.

⁹⁶⁰ იხ. *ICC, Prosecutor v. Chui*, TC Judgment, Concurring Opinion of *Wynngaert*, 18.12.2012, პარ. 24.

⁹⁶¹ იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, TC Judgment, Separate Opinion of *Fulford*, 14.3.2012, პარ. 9; *ICC, Prosecutor v. Chui*, TC Judgment, Concurring Opinion of *Wynngaert*, 18.12.2012, პარ. 27.

თანამონაწილეობის [25(3)(b)(c)(d)-ე მუხლი] სახეებს, კერძოდ, ამსრულებელია არსებითი კონტრიბუციის განმასხვრციელებელი პირი, განსხვავებით თანამონაწილისგან. დანაშაულში მონაწილეობის ფორმის ასეთი კონკრეტიზაცია ხაზს უსვამს ბრალეულობის ხარისხს, თუ ვინ არის ყველაზე უფრო პასუხისმგებელი საერთაშორისო დანაშაულების ჩადენაში.⁹⁶²

Prosecutor v. Lubanga-ს საქმეზე სასამართლო პალატის პოზიცია იმავე საქმეზე, დაამტკიცა ასევე, ICC-ის სააპელაციო პალატამ. პალატის პოზიციით, ინდივიდს შეუძლია პასუხისმგებლობა დაეკისროს დანაშაულის ამსრულებლობისათვის – 25(3)(a)-ე მუხლის მიხედვით, ან ამსრულებლობაში კონტრიბუციისათვის – 25(3)(b)(c)(d)-ე მუხლის მიხედვით. სხვაობა არის არა ტერმინოლოგიური, არამედ არსებითი – ბრალის ხარისხში. პირი რომელიც სწადის დანაშაულს (იგულისხმება ამსრულებელი), უფრო მეტად ბრალეულია, ვიდრე პირი, რომელიც კონტრიბუციას ახორციელებს სხვა პირის ან პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულში.⁹⁶³

ფულფორდისა და უინგაერტის მიდგომა ანგლოამერიკულ სამართალს ეყრდნობა, განსხვავებით სხვა მოსამართლეებისგან, რომლებიც *როქსინის ქმედებაზე ბატონობის* თეორიას ანიჭებენ უპირატესობას. უფრო მეტი სიცხადისთვის, გავანალიზოთ თითოეული მოდელი, თუ როგორ მოქმედებს იგი ეროვნულ სამართალში.

2. ამსრულებლობა-თანამონაწილეობის ანგლოამერიკული და კონტინენტურევროპული მოდელები

რომის სტატუტის კონტინენტურევროპული და ანგლოამერიკული სამართლის სისტემის კომბინირებული სტრუქტურიდან გამომდინარე, აღნიშნული „დებატები“ მოსალოდნელი იყო ICC-ში, განსაკუთრებით, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაბუთების ნაწილში⁹⁶⁴.

სასჯელის შეფარდებისას დანაშაულში მონაწილეობის ფორმების კონკრეტიზაციის მნიშვნელობაზე დავა პირდაპირ დაკავშირებულია ანგლოამერიკული და კონტინენტურევროპული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სისტემების არსებითად განსხვავებულ მოდელებთან.

2.1. ამსრულებლობა-თანამონაწილეობის გერმანული („მკაცრი“) მოდელი

გერმანიის სისხლის სამართალი დანაშაულში მონაწილეობის (*Participation / Beteiligung*) ფორმებს განსაზღვრავს მკაფიოდ, ამსრულებლობისა (*Perpetratorship / Täterschaft*) და თანამონაწილეობის

⁹⁶² იხ. ICC, *Prosecutor v. Lubanga*, TC Judgment, 14.3.2012, პარ. 999. *არსებით კონტრიბუციაზე* იხ. იქვე, პარ. 989–1006.

⁹⁶³ იხ. ICC, *Prosecutor v. Lubanga*, AC Judgment, 1.12.2014, პარ. 462.

⁹⁶⁴ იხ. ნაშრომის I თავი.

(*Accessorial liability / Teilnahme*) – ძირითადი და დამატებითი პასუხისმგებლობის სახით. მათი ურთიერთგამიჯვნის არაერთი თეორია შემუშავდა ლიტერატურაში.⁹⁶⁵ დღესდღეობით გამოიყენება *მატერიალურ-ობიექტური* თეორიის ფარგლებში ჩამოყალიბებული *როქსინის ქმედებაზე ბატონობის* (*domination of the act ან control of the act; Tatherrschaft*) თეორია. კერძოდ, *ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობისა* (*functional control over the act; Funktionelle Tatherrschaft*) და *ორგანიზაციული ბატონობის* (*control over the an organization; Organisationsherrschaft*), იგივე *ორგანიზაციაზე ბატონობის* თეორია.⁹⁶⁶ იმის დასადგენად, „თუ ვინ არის უფრო მეტად პასუხისმგებელი“^{967, 968}

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ამსრულებლობის სამი სახე არსებობს: პირდაპირი ამსრულებლობა (*direct Perpetration; Unmittelbare Täterschaft*), არაპირდაპირი ამსრულებლობა (*Indirect Perpetration; mittelbare Täterschaft*) და თანამსრულებლობა (*Co-perpetration; Mittäterschaft*).⁹⁶⁹ თანამონაწილეობის მხოლოდ ორი სახე არსებობს: წამქეზებლობა (*Instigation / Anstiftung*)⁹⁷⁰ და დახმარება (*aiding / Beihilfe*)^{971, 972}

გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თანამონაწილის ქმედება შეიძლება არ იყოს დროსა და სივრცეში ახლოს ამსრულებლის მიერ დანაშაულის აქტიურ ჩადენასთან. მისი კონტრიბუცია შეიძლება განხორციელდეს უფრო ადრე, ვიდრე ამსრულებელმა შეიმუშავა კონკრეტული დანაშაულებრივი გეგმა. დამხმარე სავალდებულო არაა ახორციელებდეს ფიზიკურ დახმარებას ან პრაქტიკულ რჩევებს აძლევდეს

⁹⁶⁵ როგორცაა *ფორმალურ-ობიექტური, სუბიექტური და მატერიალურ-ობიექტური, ქმედებაზე ბატონობის* თეორიები. იხ. *თოდუა*, ამსრულებლობა და თანამონაწილეობა, სახელმძღვანელოში: *ნაჭყებია, თოდუა* (რედ.), სისხლის სამართალი (2016), 300–335; *ტურავა*, სისხლის სამართალი (2013), 335–340; *სულაქველიძე*, ქმედებაზე ბატონობა და თანამონაწილეობა, კრებულში: *ტურავა* (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება (2013), 191–201; *მკვდელი შეილი-ჰედრიხი*, გამოვლინების ფორმები (2011), 136–160.

⁹⁶⁶ იხ. ნაშრომის IX თავი, §6.4.

⁹⁶⁷ შეად. *Sliedregt*, Individual Responsibility (2012), 77.

⁹⁶⁸ გერმანულ სისხლის სამართალში *ქმედებაზე ბატონობის* თეორიაზე იხ. *Jain*, The Control Theory, 12 *CJIL* (2011), 161–176.

⁹⁶⁹ *გერმანიის* სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ამსრულებელია, ვინც დანაშაულს სჩადის უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით, ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით, თუ ერთზე მეტმა პირმა ერთობლივად ჩაიდინეს დანაშაული, თითოეული იქნება პასუხისმგებელი, როგორც ამსრულებელი.

⁹⁷⁰ *გერმანიის* სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე მუხლის მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომელიც განზრახ წააქეზებს სხვას მართლსაწინააღმდეგო ქმედების განზრახ ჩასადენად, დაისჯება წაქეზებისთვის.

⁹⁷¹ *გერმანიის* სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომელიც განზრახ დაეხმარება სხვას მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, დაისჯება დახმარებისთვის.

⁹⁷² *გერმანიის* სისხლის სამართლის კოდექსის ინგლისური ვერსია ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/>, [9.2.2016]. დაწ. იხ. *Weigend*, Germany, კრებულში: *Heller, Dubber*, Comparative Criminal Law (2011), 263–267; იხ. ასევე: *Bohlander*, German Criminal Law (2009), 153–178; *Hamdorf*, JCE and Domestic Modes of Liability, 5 *JICJ* (2007), 209–215.

ამსრულებელს. მას შეუძლია შემოიფარგლოს მხოლოდ ფსიქიკური დახმარებითაც. კერძოდ, სავალდებულო არაა *conditio sine qua non* კავშირის არსებობა დამხმარის ქმედებასა და დანაშაულის ჩადენას შორის. მნიშვნელოვანია, რომ წამქეზებელმა ან დამხმარემ გააადვილოს, ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩადენას.⁹⁷³ თანამონაწილეობის აღნიშნულ ფართო ცნებასთან დაკავშირებით ყურადსაღებია *Prosecutor v. Demjanjuk*-ის საქმე.⁹⁷⁴

თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, თანამონაწილე ისჯება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამსრულებელი სჩადის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. თუმცა, აქცესორულობასთან დაკავშირებით, ხაზგასასმელია *ლიმიტირებული აქცესორულობის (limitierte Akzessorietät)* თეორია, რომლის მიხედვითაც, თანამონაწილის პასუხისმგებლობა არაა დამოკიდებული ამსრულებლის ბრალეულობაზე. არაა აუცილებელი, რომ ამსრულებელი გასამართლდეს. თანამონაწილე მაინც დაისჯება, თუ ამსრულებელს ეპატია მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვთქვათ, თუ იგი იყო სულით ავადმყოფი.⁹⁷⁵

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში ყურადსაღებია დანაშაულში მონაწილეობისათვის სასჯელის შეფარდების სისტემა, რომელიც იმას ეყრდნობა, პირი დანაშაულში მონაწილეობდა ამსრულებლის თუ თანამონაწილის სტატუსით, კერძოდ, კოდექსის 27(2)-ე მუხლი [49(1)-ე მუხლზე მითითებით⁹⁷⁶], რომელსაც მოსამართლე *ფულფორდი* უთითებდა თავის განსხვავებულ აზრში.⁹⁷⁷ *გერმანიის* სისხლის სამართლის კოდექსის 27(2)-ე მუხლის მიხედვით, დანაშაულში დახმარებისათვის სასჯელის შეფარდებისას დამხმარის სასჯელი უნდა ეყრდნობოდეს ამსრულებლისთვის შეფარდებული სასჯელის ზომას.⁹⁷⁸

⁹⁷³ იხ. *Weigend*, *Problems of Attribution*, 12 *JICJ* (2014), 261.

⁹⁷⁴ *ჯონ დემიანუკი (John Demjanjuk)* იყო უკრაინელი პატიმარი, რომელიც 2011 წელს *მიუნხენის* რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის. იგი იყო *სობიბორის (Sobibor)* საკონცენტრაციო ბანაკის გუშაგი. *დემიანუკს* ბრალად ედებოდა თანამონაწილეობა ბანაკში ჩადენილი დანაშაულებისთვის. კერძოდ, სასამართლოს აზრით, პატიმრების მკვლელობის პროცესში მისი დასწრება იყო მნიშვნელოვანი მკვლელობაში დახმარებისათვის. ბანაკი იყო შექმნილი ექსკლუზიურად იქ მყოფი პატიმრების ამოსახოცად და არა გამასწორებელი სამუშაო საქმიანობისათვის. შესაბამისად, ნებისმიერი, რომელიც მჭიდროდ ემსახურებოდა მას, დაკავშირებული იყო მკვლელობებთან. გადაწყვეტილება გასანიშნა სააპელაციო წესით, თუმცა *დემიანუკის* გარდაცვალების გამო, საქმე ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. იხ. იქვე, 261–262.

⁹⁷⁵ იხ. *Bohlander*, *German Criminal Law* (2009), 168.

⁹⁷⁶ რომელიც ეხება კანონით გათვალისწინებული სპეციალური შემამსუბუქებელი გარემოებების საკითხს.

⁹⁷⁷ იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, *TC Judgment, Separate Opinion of Fulford*, 14.3.2012, პარ. 11.

⁹⁷⁸ *გერმანიის* სისხლის სამართლის კოდექსის ინგლისური ვერსია ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/>, [9.2.2016].

2.2. ამსრულებლობა-თანამონაწილეობის ანგლოამერიკული („მსუბუქი“) მოდელი

ანგლოამერიკული მოდელის გასააზრებლად, საჭიროა, განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი:

ა.-მ გადაწყვიტა კ.-ს მოკვლა, ამ მიზნით იგი წააქეზებს დ.-ს მკვლელობისთვის. ბ. დაეხმარება დ.-ს და მკვლელობისთვის გადასცემს დანას. ც. დაეხმარება ა.-ს და მიაწვდის ინფორმაციას კ.-ს გადაადგილების შესახებ. ე.-ს მიჰყავს დ. და ფ. მანქანით კ.-ს სახლში და დაელოდება მათ პერიმეტრის გაკონტროლებაში. ფ. ეხმარება დ.-ს კ.-ს მოკვლაში, კერძოდ, ფ. აკავებს კ.-ს, რითაც სარგებლობს დ. და სასიკვდილო ჭრილობებს აყენებს კ.-ს. იქვე გ. კ.-ს უკმაყოფილო მოსამსახურე, ხმამაღლა აგულიანებს დ.-ს და ფ.-ს, რომ მოკლან კ.⁹⁷⁹

ყველა, შვიდივე, არის კ.-ს მკვლელობის დანაშაულში მონაწილე [(თანა)შემსრულებელი – *accomplice*]. მხოლოდ დ. იქნება ამსრულებელი (*perpetrator*), ხოლო დანარჩენი – თანამონაწილეები (*accessories*).

მოკლედ განვიხილოთ ანგლოამერიკული სქემა.

ანგლოამერიკულ სისხლის სამართალში ამსრულებლობა-თანამონაწილეობის კატეგორიზაცია იმდენად მნიშვნელოვანი არაა, რამდენადაც გერმანულ სისხლის სამართალში.⁹⁸⁰ ამ მხრივ მნიშვნელოვანია *დანაშაულში მონაწილეობის 1861 აქტის (Accessories and Abettors Act 1861)* მე-8 პარაგრაფი, რომელშიც შესწორება იქნა შეტანილი *სისხლის სამართლის 1977 აქტით (Criminal Law Act 1977)*. აღნიშნულის მიხედვით, პირი იქნება ბრალდებული, გასამართლებული და დასჯილი როგორც დანაშაულის „ძირითადი“ ამსრულებელი, როგორც არ უნდა:

- „დაეხმაროს“ (*aid*) სხვას დანაშაულის ჩადენაში; ან
- „წააქეზოს“ (*abet*) სხვა დანაშაულის ჩასადენად; ან
- მისცეს „რჩევა“ ან მიაწოდოს „ინფორმაცია“ (*counsel*)⁹⁸¹ დანაშაულის ჩასადენად; ან
- „მოამზადოს ამსრულებელი საქმიანობისათვის“ (*to produce by endeavour*)⁹⁸² ან უნდა უზრუნველყოს დანაშაულის ჩადენა სხვისი

⁹⁷⁹ კაზუსი იხ. *Allen, Criminal Law (2015)*, 224.

⁹⁸⁰ შეად. *Hamdorf, JCE and Domestic Modes of Liability, 5 JICJ (2007)*, 218.

⁹⁸¹ იხ. *Ashworth, UK, კრებულში: Heller, Dubber, Comparative Criminal Law (2011)*, 539.

⁹⁸² იხ. *Allen, Criminal Law (2015)*, 229; იხ. ასევე: *Ormerod, Laird, Smith and Hogan's Criminal Law (2015)*, 217–219.

შეცდომაში შეყვანით (დაბნევით)⁹⁸³ (*procure*), ამსრულებლისათვის დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით.⁹⁸⁴

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ თანამონაწილეობა ანგლოამერიკულ სამართალში ისჯება მხოლოდ ამსრულებლის მიერ დანაშაულის ბოლომდე მიყვანის შემთხვევაში. დაუსრულებელი დანაშაულის დასჯადობის განცალკევებული ჯგუფი არსებობს⁹⁸⁵ – *Inchoate Crime/Offences*-ს სახით.⁹⁸⁶

მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში: ბ., ც., ე. და ფ. იქნებიან დამხმარეები (*aiding*); გ. და ფ. (დამხმარესთან ერთად იმის გამო, რომ ახლოს იყვნენ დ.-სთან და ამხნევებდნენ, აქეზებდნენ მას) იქნებიან – წამქეზებლები (*abetting*); ა. იქნება მრჩეველი (*counselling*).⁹⁸⁷

რაც შეეხება მეოთხე ფორმას (*procure*), კერძოდ, დანაშაულის ჩადენისათვის მომზადებას (*produce by endeavour*), ეს ყველაზე ზოგადი თანამონაწილეობის ფორმაა ანგლოამერიკულ სამართალში. იგი ფარავს დანაშაულის გამომწვევ კმედებას, სადაც აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის არსებობა კმედებასა და დარღვევას შორის.⁹⁸⁸ მისი გამოყენება განსხვავებულ სიტუაციებშია შესაძლებელი. მის გასააზრებლად ყველაზე კარგი მაგალითია ისეთი შემთხვევა, როდესაც ა. ფარულად ჩაუსხამს ალკოჰოლს დ.-ს ჭიქაში, იმის გაცნობიერებით, რომ იგი შემდგომ საჭესთან უნდა დაჯდეს. დ. გასამართლდება ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის, რომელიც წარმოადგენს *strict liability* დარღვევას, ხოლო ა. დანაშაულის ჩადენის მომზადებისათვის (*procure*), თუ დადგინდება, რომ ა.-მ იცოდა, დ. აპირებდა სატრანსპორტო საშუალების მართვას და მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში იგი დაისჯებოდა *strict liability* დარღვევისათვის.⁹⁸⁹

შესაბამისად, ანგლოამერიკული სამართალი „თანამონაწილეობის ოთხ სახეს ასახელებს: „დამხმარეს“ (*aid*), „წამქეზებელს“ (*abet*), „მრჩეველს“ (*counsel*) და „შუამავალს“ (*procure*).⁹⁹⁰ შეიძლება, მტკიცებულება არ მეტყველებდეს პირდაპირ პირის მონაწილეობის ხარისხზე – იგი იყო ამსრულებელი თუ თანამონაწილე, მაგრამ მისთვის

⁹⁸³ იხ. Ashworth, UK, კრებულიში: *Heller, Dubber, Comparative Criminal Law* (2011), 539.

⁹⁸⁴ იხ. *Ormerod, Laird, Smith and Hogan's Criminal Law* (2015), 213–219; იხ. ასევე: *Allen, Criminal Law* (2015), 228–230.

⁹⁸⁵ იხ. იქვე, 461–462, დაწ. 457–554; იხ. ასევე: *Allen, Criminal Law* (2015), 277–323.

⁹⁸⁶ იხ. ნაშრომის ამ თავის §2.2.2.

⁹⁸⁷ შეად. *Allen, Criminal Law* (2015), 228.

⁹⁸⁸ შეად. *Hamdorf, JCE and Domestic Modes of Liability*, 5 *JICJ* (2007), 219.

⁹⁸⁹ შეად. *Allen, Criminal Law* (2015), 228; იხ. ასევე: *Ormerod, Laird, Smith and Hogan's Criminal Law* (2015), 217–219.

⁹⁹⁰ იხ. *Ormerod, Laird, Smith and Hogan's Criminal Law* (2015), 213–219; იხ. ასევე: *Allen, Criminal Law* (2015), 228–230.

წაყენებული ბრალდება, რაც შეიძლება სპეციფიკურად უნდა აღწერდეს დანაშაულში მონაწილეობის ფორმას. თუმცა პროკურორს დანაშაულში მონაწილეობის ხარისხის კონკრეტიზაციის გარეშეც შეუძლია ბრალდების ფორმულირება. მაგალითად, *Gianetto*-ს საქმეზე პროკურორისთვის იყო მნიშვნელოვანი იმის დამტკიცება, ქმარმა უშუალოდ მოკლა ცოლი, თუ იყო მკვლელობის თანამონაწილე. პროკურორს არ შეეძლო უშუალოდ ამის წარმოჩენა, მაგრამ მას შეეძლო დაემტკიცებინა *ექვს გარეშე (beyond doubt)*, რომ ქმარი მონაწილეობდა ცოლის მკვლელობის შეთქმულებაში.⁹⁹¹

აღნიშნული მიდგომა ყველა სიტუაციას ვერ მოერგება. ანგლოამერიკულ სისხლის სამართალშიც არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ამსრულებლობა-თანამონაწილეობის დანაშაულში მონაწილეობის ფორმების კონკრეტიზაცია სავალდებულოა. კერძოდ, მნიშვნელოვანია ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთ პირს თავს დაესხმება რამდენიმე პირისგან შემდგარი ჯგუფი და სამედიცინო ექსპერტიზა დაადგენს, რომ იგი გარდაიცვალა მიყენებული ერთ-ერთი სასიკვდილო ჭრილობის შედეგად. თუ ექსპერტიზა ვერ დაადგენს, რომელი პირი იყო პასუხისმგებელი სასიკვდილო ჭრილობის მიყენებაზე, მაშინ პროკურორმა, უალტერნატივოდ, უნდა აღნიშნოს, რომ ყველა იყო ამსრულებელი ან თანამონაწილე. თუ ექსპერტიზა დაადგენს, რომ პირი გარდაიცვალა მხოლოდ ერთი ფატალური ჭრილობისგან, მთელი პრობლემა უკვე ისაა, რომ „ფაქტის“ არსებობიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთმა პირმა მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა მსხვერპლს. ასეთ შემთხვევაში, ვერ ვიტყვით, რომ ჯგუფის თითოეული წევრი იყო ამსრულებელი, მით უფრო, თანამონაწილე. თუ ვერ დამტკიცდება ბრალდებულის ამსრულებლობა, იგი გამართლდება – ბრალდებულმა უნდა იცოდეს „დეტალებში“ მის მიმართ წაყენებული ბრალდების ბუნება.⁹⁹²

ამსრულებლობა-თანამონაწილეობის გამიჯვნა სავალდებულოა, იქიდან გამომდინარე, რომ თანამონაწილე მხოლოდ მაშინ შეიძლება დაისაჯოს, თუ ამსრულებელმა ჩაიდინა დანაშაული. თუნდაც *strict liability*-ის შემთხვევაშიც, თანამონაწილეების სუბიექტური ელემენტის მტკიცება სავალდებულოა. სპეციალური სუბიექტის მიერ ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში უნდა გამოვლინდეს ის პირი, რომელსაც შეეძლო დანაშაულის ჩადენა.⁹⁹³ ანგლოამერიკული მოდელის მიხედვით, ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა იდენტურია.

2.2.1. ჯგუფური გაერთიანება

ამსრულებლობა-თანამონაწილეობის საკითხზე საინტერესოა სასამართლო პრაქტიკით ჩამოყალიბებული დანაშაულში ჯგუფური მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმა – *ჯგუფური გაერთიანება (joint enterprise)*.

⁹⁹¹ იხ. იქვე, 206. დანაშაულის შეთქმულებაზე იხ. ნაშრომის ამ თავის §2.2.3.

⁹⁹² იხ. იქვე, 206–207. ბრალდებულის აღნიშნული უფლება „პირდაპირ“ დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით.

⁹⁹³ იხ. იქვე, 207.

იგი არ წარმოადგენს დანაშაულში მონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის ცალკე სახეს, არამედ დანაშაულში მონაწილეობის მეორეული პასუხისმგებლობის სპეციალური შემთხვევაა.⁹⁹⁴ ტერმინი „joint enterprise“ ხშირად გამოიყენება პრაქტიკაში. იგი გულისხმობს ისეთ სიტუაციას, როდესაც საერთო მიზნით მოქმედი რამდენიმე პირი სჩადის დანაშაულს. მაგალითად, ა. და ბ. გადაწყვეტენ ყაჩაღობის ჩადენას. მათი საერთო მიზანია სხვისი ქონების დაუფლება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით. თუ ორივე ინდივიდუალურად ჩაიდენს დანაშაულს, ვთქვათ, ა. მოკლავს მცველს და ბ. აწამებს ქარხნის ადმინისტრაციის ერთ-ერთ თანამშრომელს, ორივე პასუხისმგებელი იქნება ინდივიდუალურად, ექსცესში ჩადენილი დანაშაულის ამსრულებლობისათვის, ხოლო ყაჩაღობისათვის დაისჯებიან „joint enterprise“ პასუხისმგებლობის დოქტრინაზე დაყრდნობით, ვინაიდან ამ შემთხვევაში ისინი საერთო სუბიექტური ელემენტით მოქმედებდნენ.⁹⁹⁵ შესაბამისად, ჯგუფის წევრის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს ამსრულებლის სუბიექტური ელემენტისაგან დამოუკიდებლად.

2.2.2. დაუსრულებელი დანაშაული

ანგლოამერიკულ სისხლის სამართალში არსებობს დარღვევათა განცალკევებული ჯგუფი – დაუსრულებელი დანაშაული (*Inchoate Crime/Offences*), რომელიც გულისხმობს ახლადდაწყებულ (*just begun, incipient*), განუვითარებელ (*Undeveloped*) და ადრეულ ეტაპზე (*in an initial or early stage*) ჩადენილ დარღვევებს. მის შემადგენლობაში შედის დარღვევათა სამი ჯგუფი, კერძოდ, დანაშაულის მცდელობა (*Attempt*), შეთქმულება (*Conspiracy*) და ხელშეწყობა და მხარდაჭერა (*Assisting and Encouraging*).⁹⁹⁶

არ არსებობს *per se* დამოუკიდებლად დაუსრულებელი დანაშაული. იგი დაკავშირებულია კონკრეტულ დარღვევებთან (მაგალითად, მკვლელობის მცდელობა და ა.შ.). იგი არ არის დაკავშირებული თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის ფორმასთან. ანგლოამერიკული სისხლის სამართლით, თანამონაწილეობისგან განსხვავებით, სადაც პასუხისმგებლობა წარმოიშობა ამსრულებლის მიერ დასრულებული დანაშაულის შემთხვევაში, დაუსრულებელი დანაშაულები დამთავრებულია და მასზე შეიძლება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დანაშაულის ჩადენამდე.⁹⁹⁷

⁹⁹⁴ იხ. *Allen, Criminal Law* (2015), 223.

⁹⁹⁵ შეად. იქვე.

⁹⁹⁶ იხ. *Ormerod, Laird, Smith and Hogan's Criminal Law* (2015), 457–459; იხ. ასევე: *Allen, Criminal Law* (2015), 277–278.

⁹⁹⁷ იხ. იქვე; იხ. ასევე: *Allen, Criminal Law* (2015), 277–278.

2.2.3. დანაშაულის შეთქმულება

დაუსრულებელი დანაშაულის (*Inchoate Crime/Offences*) ჯგუფიდან მნიშვნელოვანია დანაშაულის ჩადენის შეთქმულების (*Conspiracy*) კონცეფცია, ვინაიდან მას ხშირად ადარებენ *JCE*-ს. დანაშაულის შეთქმულება ანგლოამერიკულ სამართალში გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც ორი ან მეტი პირი შეთანხმდება უკანონო ქმედების ჩადენაზე ან კანონიერი ქმედების ჩადენაზე უკანონო საშუალებებით.⁹⁹⁸

მაგალითად, როდესაც ა. და ბ. გადაწყვეტენ ც.-ს სახლის გაქურდვას/გაძარცვას, თუნდაც ისინი სახლის ახლოს არ მივიდნენ და არც რაიმე ნაბიჯი გადადგან დანაშაულის მოსამზადებლად, ქურდობის/ძარცვის შეთქმულება (*conspiracy to burgle*) უკვე დასრულებულია.⁹⁹⁹

ანგლოამერიკულ სისხლის სამართალში დანაშაულის შეთქმულების ორი სახე არსებობს: *სტატუტური შეთქმულება (Statutory Conspiracy)*¹⁰⁰⁰ და *საერთო სამართლით ჩამოყალიბებული შეთქმულება (Common Law Conspiracy)*¹⁰⁰¹.

საერთაშორისო სისხლის სამართლის გაგებით, შეგვიძლია გამოვეყოთ შეთქმულების ორი მხარე: პირველი, როგორც *სუბსტანციური დარღვევა (Substantive Conspiracy)* და, მეორე, როგორც *პასუხისმგებლობის ფორმა (Mode of Liability)*. ორი ან მეტი პირის შეთანხმებაზე დანაშაულის ჩადენის შესახებ დაიწყება გამოძიება კონკრეტული „შეთანხმების“ დანაშაულის სახით, თუ სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტულ პირებზე „შეთანხმების“ პასუხისმგებლობის ფორმაზე მითითებით, ორივე შემთხვევაში რეგულირების სფერო ერთია – კოლექტიური დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მიზნით შექმნილი „შეთანხმების“ კრიმინალიზაცია.¹⁰⁰²

პირველი, ეს არის ის, რაც გამოიყენება ეროვნულ სისხლის სამართალში საერთო შეთანხმების კონკრეტულ დანაშაულთან მიმართებით. ასეთ დათქმას შეიცავდა *ნიურნბერგის წესდება*¹⁰⁰³, რომლის მიხედვითაც

⁹⁹⁸ იხ. იქვე, 484–485; იხ. ასევე: *Allen, Criminal Law* (2015), 285–286.

⁹⁹⁹ იხ. იქვე, 457.

¹⁰⁰⁰ სტატუტური შეთქმულება ჩამოყალიბდა *სისხლის სამართლის აქტმა 1977 (Criminal Law Act 1977)*. იგი არ არის შეზღუდული მხოლოდ სტატუტური დანაშაულების ჩადენის შეთანხმებით. მაგალითად, საერთო სამართლის მიერ ჩამოყალიბებული მკვლელობის შეთქმულება დასჯადია ამ ნაწილით. იხ. *Ormerod, Laird, Smith and Hogan’s Criminal Law* (2015), 485, დაწ. 486–512; იხ. ასევე: *Allen, Criminal Law* (2015), 289–299.

¹⁰⁰¹ საერთო სამართლით ჩამოყალიბებული დარღვევის შეთქმულებაში იგულისხმება, ძირითადად, ორი სახის დარღვევა: თაღლითობა (*Conspiracy to defraud*) და საჯარო მორალის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები (*conspiracy to corrupt public morals or to outrage public decency*). დაწ. იხ. *Allen, Criminal Law* (2015), 299–306.

¹⁰⁰² იხ. *Ohlin, Conspiracy*, კრებულში: *Cassese* (ed.), *Oxford Companion* (2009), 279.

¹⁰⁰³ *ნიურნბერგის ტრიბუნალის* მე-6 მუხლის მიხედვით, ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას დაექვემდებარებოდა ყველა, ვინც ჩაიდენდა ტრიბუნალის იურისდიქციას დაექვემდებარებულ დანაშაულებს. მათ შორის:

დანაშაულის შეთქმულება დამოუკიდებელ დანაშაულს წარმოადგენდა. ასეთი მიდგომის წინააღმდეგი იყო *ლონდონის* კონფერენციაზე *საფრანგეთის* დელეგაცია, კონტინენტურეგროპულ იურისპრუდენციაში ასეთი სუბსტანციური დანაშაულის დამოუკიდებლად არარსებობის გამო, რის შედეგადაც, ბრალდებულთა გასამართლება ხდებოდა მხოლოდ გენოციდის დანაშაულთან მიმართებით შეთქმულების არსებობის შემთხვევაში (*Conspiracy to commit genocide*). ანალოგიური მიდგომა გამოიყენა უშიშროების საბჭომ ICTY-ისა¹⁰⁰⁴ და ICTR-ის¹⁰⁰⁵ სტატუტებში. ასეთი მიდგომა არ გაითვალისწინა ICC-მ.¹⁰⁰⁶

ICC-მ შეთქმულების საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი მეორე მიდგომა გამოიყენა – შეთქმულება, როგორც პასუხისმგებლობის ფორმა. კერძოდ, *რომის სტატუტის* 25(3)(d)-ე მუხლის შემთხვევაში. ასეთ მიდგომას შეიცავდა ასევე ICTY, JCE-ის დოქტრინასთან დაკავშირებით.¹⁰⁰⁷

2.2.4. JCE და დანაშაულის შეთქმულება

JCE-ის ანგლოამერიკული დანაშაულის შეთქმულების ანალოგს უწოდებდნენ, იმის გამო, რომ ორივე შემთხვევაში პირს შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს (თანამონაწილე/ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის).¹⁰⁰⁸ *გავრცობილი JCE* უმნიშვნელოდ განსხვავდება დანაშაულის შეთქმულებისგან, იმ მხრივ, რომ ბრალდებულისთვის უნდა იყოს განჭვრეტადი დანაშაულის ჩადენა.¹⁰⁰⁹ ისევე, როგორც JCE, ასევე დანაშაულის შეთქმულებაც არ ახდენს მონაწილეთა ისეთ კონკრეტიზაციას, როგორც ეს გერმანულ მოდელში ხდება ამსრულებლობა-თანამონაწილეობის სახით. ასევე, JCE-ისა და დანაშაულის შეთქმულების შემთხვევაში დანაშაულში მონაწილეობის

„ (a) მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, აგრესიული ომის ან საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებების ან გარანტიების დარღვევით ომის დაგეგმვა, მომზადება, გახადება ან წარმოება ან საერთო გეგმაში, ან დანაშაულებრივ შეთქმულებაში (დანაშაულის მომზადებაში) მონაწილეობა, რომელიც მიმართულია ერთ-ერთი დასახელებული ქმედების ჩადენისაკენ. ...

მეთაურები, ორგანიზატორები, წამქეზებლები და თანამონაწილეები, რომლებიც მონაწილეობდნენ ზემოხსენებული დანაშაულების საერთო გეგმის შემუშავებასა და აღსრულებაში, ან შეთქმულებაში, არიან პასუხისმგებელი ყველა ქმედებისათვის, რომელიც ნებისმიერმა პირმა განახორციელა ასეთი გეგმის აღსრულებისას.”

¹⁰⁰⁴ იხ. ICTY-ის სტატუტის მე-4(3)(b) მუხლი.

¹⁰⁰⁵ იხ. ICTY-ის სტატუტის მე-2(3)(b) მუხლი.

¹⁰⁰⁶ იხ. *Ohlin*, Conspiracy, კრებულში: *Cassese* (ed.), Oxford Companion (2009), 279.

¹⁰⁰⁷ იხ. იქვე, 280

¹⁰⁰⁸ შეად. *McCormack*, ICL (2015), 207.

¹⁰⁰⁹ შეად. იქვე, 207.

დამაკმაყოფილებელი ხარისხი ზუსტად, ცალსახად არ არის განსაზღვრული.¹⁰¹⁰

2.3. შედარება

ქართული სისხლის სამართლის ლიტერატურისთვის ნაცნობი მაგალითია ბანკის ძარცვის შემთხვევა, როდესაც ა. ბ. და ც. გადაწყვეტენ ბანკის გაძარცვას – ა. და ბ. როცა ძარცვავს ბანკს, ც. ელოდება მათ მანქანაში და აკონტროლებს პერიმეტრს. ანგლოამერიკული გაგებით, ც. იქნება ყველა შემთხვევაში თანამონაწილე, თუნდაც იგი იყოს დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელი, ან/და მთავარი ორგანიზატორი.¹⁰¹¹ *ფორმალურ-ობიექტურ* თეორიაზე დაყრდნობით, ც.-ს თანამონაწილედ, კერძოდ, დამხმარედ მიიჩნევენ ქართულ სისხლის სამართალშიც.¹⁰¹² ამ მხრივ განსხვავდება იგი გერმანული მოდელისგან, სადაც *ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობიდან* გამომდინარე, ც. შეიძლება იყოს თანაამსრულებელი, დანაშაულის ჩადენაში მისი ერთ-ერთი გადამწყვეტი ფუნქციიდან გამომდინარე. აღნიშნულ პოზიციას მხარდაჭერა აქვს ქართულ სისხლის სამართალშიც, რაც გასაზიარებელია.¹⁰¹³

როდესაც დოქტრინა გთავაზობს ორაზროვან და არადამაჯერებელ დეფინიციას, ამ დროს ერთიანი ამსრულებლობის პრინციპი ყველაზე კარგი გამოსავალია¹⁰¹⁴ – თუ ორ პირს შეუძლია ერთობლივად დანაშაულის ასრულების კონტროლი, მაშინ ორივე თანაამსრულებელია.¹⁰¹⁵

ad hoc ტრიბუნალებისგან განსხვავებით, რომლებიც პირველ, ანგლოამერიკულ ფორმას ეყრდნობოდნენ, ICC თავისი ზემოგანხილული მიმდინარე გადაწყვეტილებებით, მეორე, გერმანულ *ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის* მოდელს იყენებს.

¹⁰¹⁰ შეად. Ohlin, Organizational Criminality, კრებულში: Sliedregt, Vasiliev (ed.), Pluralism in ICL (2014), 112; Ohlin, Conspiracy, კრებულში: Cassese (ed.), Oxford Companion (2009), 280; JCE-ისა და დანაშაულის შეთქმულების შესახებ იხ. Ohlin, JCE, 5 JICJ (2007), 69–90.

¹⁰¹¹ შეად. Hamdorf, JCE and Domestic Modes of Liability, 5 JICJ (2007), 218–219.

¹⁰¹² *ფორმალურ-ობიექტური* თეორიის მხარდამჭერთა აზრით, თითოეული თანაამსრულებელი უშუალოდ უნდა ასრულებდეს დანაშაულის ერთსა და იმავე შემადგენლობას. იხ. ნაჭყებია, დანაშაულში თანამონაწილეობა, სახელმძღვანელოში: ნაჭყებია, თოდუა (რედ.), სისხლის სამართალი (2016), 275–276; თოდუა, ამსრულებლობა და თანამონაწილეობა, სახელმძღვანელოში: ნაჭყებია, თოდუა (რედ.), სისხლის სამართალი (2016), 317, 328–329; გამყრელიძე, სისხლის სამართალი, III ტომი (2013), 260–261, 280–281; სულაქველიძე, ქმედებაზე ბატონობა და თანამონაწილეობა, კრებულში: ტურავა (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება (2013), 206–208; გამყრელიძე, სისხლის სამართალი, I ტომი (2011), 161–162; მჭედლიშვილი-ჭედრიხი, გამოვლინების ფორმები (2011), 151–156; წერეთელი, სისხლის სამართალი, II ტომი (2007), 99–119, 134–138.

¹⁰¹³ შეად. ტურავა, სისხლის სამართალი (2013), 81–82, 336–340.

¹⁰¹⁴ შეად. Ohlin, Co-Perpetration, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 519.

¹⁰¹⁵ შეად. იქვე, 520.

3. რომის სტატუტის სასჯელის შეფარდების მოდელი

ICC-ის სამართალში სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, *რომის სტატუტის* 78(1)-ე მუხლი და, მეორე მხრივ, *პროცედურისა და მტკიცების წესების* 145(1)(c)-ე წესი.

რომის სტატუტის 78(1)-ე მუხლი, სასჯელის ზომის განსაზღვრის სტანდარტის მითითებისას, პირდაპირ არ ითვალისწინებს თანამონაწილეთათვის უფრო მსუბუქი სასჯელის განსაზღვრას, ვიდრე ეს ამსრულებელთათვის არის გათვალისწინებული. პირდაპირი მითითებით, მთავარი გასათვალისწინებელი ფაქტორებია დანაშაულის სიმძიმე და მსჯავრდებულის პიროვნება.¹⁰¹⁶

პროცედურისა და მტკიცების წესების 145(1)(c)-ე წესის მიხედვით, *რომის სტატუტის* 78(1)-ე მუხლის მიერ გათვალისწინებული ფაქტორების გარდა, სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მიიღოს მიყენებული ზარალის ოდენობა, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ხასიათი, მსჯავრდებულის პირის დანაშაულში მონაწილეობისა და *განზრახვის* ხარისხი; დანაშაულის ჩადენის ხერხი, დრო და ადგილი; მსჯავრდებულის ასაკი, განათლება და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.¹⁰¹⁷

4. რომელ მოდელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა?

როგორც კვლევა გვიჩვენებს, დანაშაულში მონაწილეობის ამსრულებლობა-თანამონაწილეობის ფორმების გერმანული მოდელი შედარებით „მკაცრად“ ითხოვს ძირითადი და დამატებითი მონაწილეების კონკრეტიზაციას, იქიდან გამომდინარე, რომ ეს, გარკვეულწილად, გავლენას ახდენს სასჯელის შეფარდებაზე, ხოლო ანგლოამერიკული მოდელი, განსხვავებით გერმანულისგან, შედარებით „მსუბუქ“ მიდგომას არჩევს და ნაკლებად არის ორიენტირებული დანაშაულში მონაწილეობის

¹⁰¹⁶ იხ. *რომის სტატუტის* 78(1)-ე მუხლი:
„1. სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო, პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად, მხედველობაში მიიღებს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა დანაშაულის სიმძიმე და მსჯავრდებულის პიროვნება.”

¹⁰¹⁷ იხ. *პროცედურისა და მტკიცების წესების* 145(1)(c)-ე წესი:
„1. 78-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასჯელის განსაზღვრისას, სასამართლო: ...
(c) 78-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ფაქტორების გარდა, მხედველობაში მიიღებს, *inter alia*, მიყენებული ზარალის ოდენობას, კერძოდ, დაზარალებულთა და მათი ოჯახების მიმართ მიყენებულ ზიანს, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ხასიათსა და დანაშაულის ჩადენის საშუალებებს; მსჯავრდებულის პირის მონაწილეობის ხარისხს; განზრახვის ხარისხს; დანაშაულის ჩადენის ხერხთან, დროსა და ადგილთან დაკავშირებულ ფაქტორებს; ასევე, მსჯავრდებულის ასაკს, განათლებასა და სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას.”

ფორმების კონკრეტიზაციაზე. სასჯელის შეფარდებისას იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დანაშაულში შეტანილ წვლილს.

ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, განსხვავება სტრუქტურულია. ნაკლებად წარმოსადგენია, რომ ანგლოამერიკული გაგებით, ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან, ბ., ც., ე. და ფ., როგორც დანაშაულის დამხმარეები (*aiding*), უფრო მსუბუქად დაისაჯონ, თანამონაწილეობის „სტატუსის“ გამო. საერთაშორისო პრაქტიკაში ამის კარგი მაგალითია *Prosecutor v. Taylor*-ის საქმე, რომელიც გასამართლდა, როგორც თანამონაწილე – დანაშაულში დახმარებისთვის, სასჯელის უმაღლესი ზომით.¹⁰¹⁸ აღნიშნულ შემთხვევას გერმანული *ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის* თეორია თანაამსრულებლობად დააკვალიფიცირებდა, თუ მათი დანაშაულში კონტრიბუციის ხარისხი ფუნქციურად გადასაწილდებოდა სხვადასხვა მონაწილეობაზე. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ გერმანული *ქმედებაზე ბატონობის* თეორიის ცნება არ გულისხმობს ყველა თანაამსრულებლის მიმართ სასჯელის ერთი ზომის შეფარდებას, ყველა ფუნქციური თანაამსრულებელი ერთნაირად არ ისჯება. აქაც სასჯელის შეფარდებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დანაშაულში შეტანილი წვლილი. აღნიშნული თეორიის მიზანია, რომ ამსრულებელი გაიმიჯნოს თანამონაწილისგან, იმის დასანახად, თუ ვინ არის უფრო მეტად პასუხისმგებელი დანაშაულის ჩადენაში.

საერთაშორისო სისხლის სამართალში ამსრულებლობა-თანამონაწილეობის „მკაცრ“ მოდელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, კერძოდ, *სამართლიანი პასუხისმგებლობის (fair labelling)* პრინციპის, ამსრულებლობა-თანამონაწილეობის „ბრალეულობის იერარქიისა“ (*hierarchy of blameworthiness*) და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მუხლის სტრუქტურის გამო.

4.1. სამართლიანი პასუხისმგებლობის პრინციპი

მთავარი არგუმენტი, რატომაც ვერ გავიზიარებთ ამსრულებლობა-თანამონაწილეობის ფორმების კატეგორიზაციის ანგლოამერიკულ „მსუბუქ“ მიდგომას საერთაშორისო სისხლის სამართალში, *სამართლიანი მარკირების (fair labelling)*, იგივე *სამართლიანი პასუხისმგებლობის*¹⁰¹⁹ პრინციპია და ასევე, თვითონ, 25(3)-ე მუხლის არქიტექტურა.

¹⁰¹⁸ SCSL, *Prosecutor v. Taylor*-ის საქმეზე დაწ. იხ. *Gell*, Trial of Charles Taylor, კრებულში: *Jalloh* (ed.), SCSL and its Legacy (2014), 642–659.

¹⁰¹⁹ თვით ტერმინი „*fair labelling*“ სიტყვასიტყვითი განმარტებით ითარგმნება როგორც „სამართლიანი მარკირება“. „*labelling*“ განმარტებულია, როგორც აღწერა (*describe*), დანიშვნა (*designate*), კატეგორიაში ჩასმა (*to set down in a category*). იხ. *Chalmers, Leverick*, Fair Labelling in Criminal Law, 72(2) *MLR* (2008), 220–221. „*fair labelling*“ ანგლოამერიკული ტერმინის მეორე ქართული შესატყვისი – „სამართლიანი პასუხისმგებლობა“ მორგებულია ამსრულებლობა-თანამონაწილეობის ურთიერთგამიჯვნის თემატიკას. სხვაობა მხოლოდ ტერმინოლოგიურია და არა შინაარსობრივი.

სამართლიანი პასუხისმგებლობის პრინციპი, პრაქტიკულად, *nullum crimen sine lege* პრინციპის ანალოგია.¹⁰²⁰

nullum crimen sine lege პრინციპის მეშვეობით, საზოგადოება სისხლის სამართლისგან „არსებითად ითხოვს“ *სუბსტანციურ სამართლიანობას* (*substantial fairness*).¹⁰²¹ ინდივიდმა უნდა იცოდეს თავიდანვე, რამდენად არის მისი ქმედება დასჯადი – ე.წ. „განსაზღვრულობის პრინციპი“ (*Principle of Certainty – nullum crimen sine lege certa*).¹⁰²²

აღნიშნულის გაგრძელებაა, სწორედ, *სამართლიანი პასუხისმგებლობის* პრინციპი, რომლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სამართლიანად (*fairly*) უნდა აღწერდეს კანონის დარღვევის „ბუნებას“ (*nature*) და განსაზღვრავდეს „ზომას“ (*magnitude*).¹⁰²³ იგი სისხლის სამართალში აღიარებულია როგორც პასუხისმგებლობის ერთ-ერთი „ნორმატიული პრინციპი“, რომელიც ანგლოამერიკულ სისხლის სამართალში თავის დროზე გამოიყენებოდა ისეთი დანაშაულების ურთიერთგასამიჯნავად, როგორცაა პირველი და მეორე ხარისხის მკვლელობა, გაუპატიურება და სხვა.¹⁰²⁴

შესაბამისად, *nullum crimen sine lege* პრინციპის (აბსტრაქტული) და *სამართლიანი პასუხისმგებლობის* პრინციპის (კონკრეტული, სიტყვასიტყვით) გაგებით, სამართალი რაც შეიძლება ზუსტად უნდა აღწერდეს პირის დანაშაულში მონაწილეობის ხარისხს სასჯელის შეფარდების პროპორციულობისათვის.¹⁰²⁵

მთავარი პრობლემა არა სასჯელის შეფარდებაში, არამედ *სამართლიანი პასუხისმგებლობის* პრინციპშია.¹⁰²⁶ ეს უკანასკნელი იწვევს სასჯელის შეფარდებისას დანაშაულში ძირითადი და დამატებითი მონაწილეობის გათვალისწინებით „მკაცრ“ დიფერენციაციას.

საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მთავარი მიზანი *საიდუმლო ლიდერების* (*mastermind*) ბრალეულობის ნათელი

¹⁰²⁰ შეად. Bohlander, German Criminal Law (2009), 25.

¹⁰²¹ შეად. Krefß, *Nulla poena nullum crimen sine lege*, კრებულში: Wolfrum (ed.), MPEPIL, Vol. VII (2013), პარ. 4.

¹⁰²² შეად. იქვე, პარ. 4, 29.

¹⁰²³ იხ. Sliedregt, Perpetration and Participation, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 503; იხ. ასევე: Sliedregt, Individual Responsibility (2012), 112–116.

¹⁰²⁴ იხ. Chalmers, Leverick, Fair Labelling in Criminal Law, 72(2) MLR (2008), 219–220. *fair labelling* პრინციპის შესახებ დაწ. იხ. იქვე, 217–246; იხ. ასევე: Werle, Burghardt, Establishing Degrees of Responsibility, კრებულში: Sliedregt, Vasiliev (ed.), Pluralism in ICL (2014), 305–306; Ohlin, Joint Intentions, 11 CJIL (2011), 751–752.

¹⁰²⁵ დანაშაულის პროპორციული სასჯელის პრინციპულ მნიშვნელობაზე იხ. *ცქიტიშვილი*, სასჯელის პროპორციულობა, კრებულში: თოდუა (რედ.), ლიბერალიზაციის ტენდენციები (2016), 602–605, რომელიც მკაცრ პროპორციულობას ყოველთვის საუკეთესო გამოსავლად არ მიიჩნევს. იხ. იქვე, 604.

¹⁰²⁶ შეად. Sliedregt, Perpetration and Participation, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 510–516.

წარმოჩენაა – რომ ისინი იყვნენ დანაშაულის ძირითადი მონაწილეები – ამსრულებლები და არა დამატებითი – (თანა)მონაწილეები. *საიდუმლო ლიდერის* პასუხისმგებლობის საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა მნიშვნელოვანია დაზარალებულებთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან ურთიერთობისათვის იმის გასარკვევად, თუ ვინ იყო „მთავარი დამნაშავე“.¹⁰²⁷

შესაბამისად, *სამართლიანი პასუხისმგებლობის* პრინციპი სასჯელის შეფარდების სისტემაზე უნდა ახდენდეს გავლენას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსხვავება, ერთი შეხედვით, სტრუქტურულია, მაგრამ სწორედ *სამართლიანი პასუხისმგებლობის* პრინციპის გააზრებით, ბრალდებულის დანაშაულში მონაწილეობის ფორმა და ხარისხი უნდა იყოს გათვალისწინებული სასჯელის შეფარდების პროცესში,¹⁰²⁸ დანაშაულის სიმძიმესა და სასჯელის სწორად განსაზღვრავად.¹⁰²⁹

დანაშაულებრივი სისტემის მაღალი დონის წარმომადგენლები, საიდუმლო ლიდერები, რთულად წარმოსადგენია, რომ იყვნენ „ფუნქციურად“ წამქეზებლები ან დამხმარეები, არამედ უფრო ამსრულებლები. *ორგანიზაციაზე კონტროლის* თეორია ამის კარგი მაგალითია.¹⁰³⁰

თანამსრულებლობასა და თანამონაწილეობას შორის მიჯნის გავლება არ უნდა მოხდეს ემპირიულ (*empirical*) საფუძვლებზე, არამედ იგი მოითხოვს ნორმატიულ (*normative*) გადაწყვეტილებას, რომელიც დაფუძნებულია *სამართლიანი შეფარდების (fair attribution)* პრინციპზე. ასეთი სტანდარტები ყველა ინდივიდუალური საქმიდან ვერ იქნება ამოღებული. მნიშვნელოვანია ცენტრალური მნიშვნელობის ფაქტორების განსაზღვრა, რომლებიც ინტერპრეტაციის პროცესს დააბალანსებს.¹⁰³¹ *როქსინის* თეორია ამის კარგი განმსაზღვრელია, რომელიც ითხოვს „მკაცრ“ კონკრეტიზაციას. მის ცენტრალურ (აბსტრაქტულ) ფაქტორს წარმოადგენს *დანაშაულზე კონტროლის* კონცეფცია, რისი კონკრეტული ინტერპრეტაციაც ინდივიდუალური საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ხდება.

ანგლოამერიკული დანაშაულის მონაწილეობის სამართალი კლასიკური მაგალითია „ნატურალისტური“ (*naturalistic*), ემპირიული (*empirical*) მიდგომის. ამსრულებელია ის, ვინც პირველად „იწვევს“ (სჩადის) დანაშაულის ობიექტურ ელემენტს, თანამონაწილე კი ეხმარება ამსრულებელს ობიექტური ელემენტის „გამოწვევაში“ (ჩადენაში),¹⁰³²

¹⁰²⁷ შეად. იქვე, 511; Weigend, Indirect Perpetration, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 539.
¹⁰²⁸ შეად. Burghardt, Modes of Participation, კრებულში: Burchard, Triffterer, Vogel, Future of ICC (2010), 93–94.
¹⁰²⁹ შეად. Weigend, Indirect Perpetration, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 552; იხ. ასევე: Ohlin, Joint Intentions, 11 CJIL (2011), 750–752.
¹⁰³⁰ შეად. იქვე.
¹⁰³¹ შეად. Ohlin, Sliedregt, Weigend, Control Theory, 26 LJIL (2013), 732.
¹⁰³² იხ. Sliedregt, Perpetration and Participation, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 503.

ჯარისკაცი, რომელიც იწევს მკვლელობის ობიექტური ელემენტის განხორციელებას, ამსრულებელია, ხოლო მეთაური, მაგალითად, მთავრობის მინისტრი, რომლის პოლიტიკითაც მოქმედებს ჯარისკაცი, თანამონაწილე.¹⁰³³ განსხვავებით გერმანული მოდელისგან, რომელშიც ამსრულებელი, დანაშაულზე კონტროლის გამო, ყველაზე უფრო პასუხისმგებელია, „ნორმატიული“ გაგებით.¹⁰³⁴ იმავე მაგალითის მიხედვით, მინისტრი ამსრულებელია, ჯარისკაცთან ერთად.¹⁰³⁵

4.2. ამსრულებლობა-თანამონაწილეობის „ბრალეულობის იერარქია“

ამსრულებლისა და თანამონაწილის ბრალეულობის ხარისხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა როგორც პრაქტიკაში, ისე ლიტერატურაში.

ერთი მხრივ, ICC-ის სასამართლო პალატა *Prosecutor v. Katanga*-ს გადაწყვეტილებაში ეწინააღმდეგება პრეცედენტული სამართლით ჩამოყალიბებულ 25-ე მუხლის იერარქიას და აღნიშნავს, რომ 25-ე მუხლი ეყრდნობა არა ბრალდებულთა ბრალის ხარისხს, არამედ მათს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას, დანაშაულის ჩადენის ფორმის კონკრეტიზაციით. დანაშაულში წამქეზებლობისათვის, 25(3)(b)-ე მუხლის მიხედვით, პირს შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს იმავე ფორმით, ან უფრო მეტით, იმ პირთან შედარებით, რომელმაც უშუალოდ განახორციელა იგივე დანაშაული.¹⁰³⁶ პალატის აზრით, 25(3)-ე მუხლი არ შეიცავს ბრალეულობის იერარქიას (*hierarchy of blameworthiness*).¹⁰³⁷ თუმცა, სასამართლო პალატა სუბიექტური, ობიექტური და დანაშაულზე კონტროლის ცნების განხილვის შემდეგ საბოლოოდ *ქმედებაზე ბატონობის* კონცეფციას მიჰყვება.¹⁰³⁸

მეორე მხრივ, აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ, სულ რამდენიმე თვეში, ისევ ძველ ნიშნულს უბრუნდება ICC-ის სააპელაციო პალატა *Prosecutor v. Lubanga*-ს საქმეზე, რომელიც ამბობს, რომ სხვაობა ინდივიდუალური პასუხისმგებლობისათვის დანაშაულში ამსრულებლობისათვის [25(3)(a)-ე მუხლი], ან ამსრულებლობაში

¹⁰³³ იხ. იქვე, 503.

¹⁰³⁴ იხ. იქვე, 508.

¹⁰³⁵ იხ. იქვე, 508–509.

¹⁰³⁶ იხ. *Prosecutor v. Katanga*, TC Judgment, 7.3.2014, პარ. 1386. სასამართლო პალატას მაგალითისთვის მოჰყავს *გერმანიისა* და *ესპანეთის* მოდელები, სადაც წამქეზებელს შეიძლება იგივე სასჯელი შეეფარდოს, რაც ამსრულებელს. იხ. იქვე, სქოლიო 3181.

¹⁰³⁷ იხ. იქვე, პარ. 1386–1387.

¹⁰³⁸ იხ. იქვე, პარ. 1386, 1394–1396.

კონტრიბუციისათვის [25(3)(b)(c)(d)-ე მუხლი] არა ტერმინოლოგიური, არამედ ბრალის ხარისხშია.¹⁰³⁹

ვაიგენდი არაპირდაპირი ამსრულებლისა და წამქეხებლის პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის პოლიტიკის საკითხს უკავშირებს. ეს გაველენას არ ახდენს ბრალის ხარისხზე,¹⁰⁴⁰ ამას მნიშვნელობა აქვს *სამართლიანი პასუხისმგებლობისთვის*, ძირითადი და დამატებითი პასუხისმგებლობის ურთიერთგასამიჯნად.¹⁰⁴¹ *ვერლე* და *ბურგარდტის* აზრით, ამსრულებელი *დანაშაულზე კონტროლის* ელემენტით უფრო მეტად გასაკიცხია, ვიდრე თანამონაწილე. მათი აზრით, პროპორციულობა უნდა იყოს დაცული პერსონალურ ბრალსა და სასჯელს შორის. დანაშაულში მონაწილეობის ფორმა უნდა იყოს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ინდიკატორი სასჯელის შეფარდებისას.¹⁰⁴² *სლიდრეგტი* ემხრობა ნორმატიულ მიდგომას 25(3)(a)-ე მუხლთან მიმართებით, მაგრამ არა მთლიანად 25(3)-ე მუხლზე. მისი აზრით, 25(3)(b)(c)(d)-ე მუხლში გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სახეები წარმოადგენს დანაშაულში მონაწილეობის წმინდა კლასიკურ/ემპირიულ სქემას, რომელსაც ეყრდნობოდა *ad hoc* ტრიბუნალები.¹⁰⁴³ იგი მთავარ განსხვავებას *ad hoc* ტრიბუნალებისა და ICC-ის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართალთან მხოლოდ *სამართლიანი პასუხისმგებლობის* პრინციპში ხედავს. მისი აზრით, კატეგორიკაზიამ გაველენა არ უნდა მოახდინოს სასჯელის ზომაზე.¹⁰⁴⁴

ამბოსი, 25(3)(d)-ე მუხლის ანალიზისას¹⁰⁴⁵, ICC-ის პრეცედენტული სამართლით დადგენილ 25(3)-ე მუხლის პასუხისმგებლობის სახეების სტანდარტებს, როგორცაა *არსებითი (essential)*, *სუბსტანციური (substantial)* და *მნიშვნელოვანი (significant)* კონტრიბუცია, ერთფეროვანს უწოდებს, რითაც არ ეთანხმება 25(3)-ე მუხლის იერარქიას.¹⁰⁴⁶ განსაკუთრებით, მისთვის *სუბსტანციური* და *მნიშვნელოვანი* სტანდარტია ერთფეროვანი¹⁰⁴⁷,

¹⁰³⁹ ვინც სწადის დანაშაულს (ამსრულებლობა), უფრო მეტად ბრალეულია, ვიდრე, ვინც სხვაგვარ კონტრიბუციას ახორციელებს დანაშაულში (თანამონაწილეობა). იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, AC Judgment, 1.12.2014, პარ. 462, 471.

¹⁰⁴⁰ იხ. *Weigend*, Indirect Perpetration, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 538.

¹⁰⁴¹ იხ. იქვე, 539.

¹⁰⁴² იხ. *Werle, Burghardt*, Establishing Degrees of Responsibility, კრებულში: *Sliedregt, Vasiliev* (ed.), *Pluralism in ICL* (2014), 303–306, 311–313, 318–319.

¹⁰⁴³ იხ. *Sliedregt*, Perpetration and Participation, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 513–514. იგი უთითებს *Prosecutor v. Taylor*-ის საქმეს, რომელიც კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება დახმარებისთვის პირს შეეფარდოს მაღალი სასჯელი (50 წლის ვადით). იხ. იქვე, 514.

¹⁰⁴⁴ იხ. იქვე, 515.

¹⁰⁴⁵ *ამბოსი*, 25(3)(d)-ე მუხლსა და *JCE*-ს შორის, ერთი მხრივ, ხედავს საერთოს *საერთო მიზნის* ცნებიდან გამომდინარე, მაგრამ *გავრცობილი JCE*-ის მენტალური ელემენტის გამო, მას განსხვავებულ პასუხისმგებლობის სახედ აღიარებს. იხ. *Ambos*, Common Purpose under Article 25(3)(D), კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 594.

¹⁰⁴⁶ იხ. იქვე, 598–599; იმავე აზრის შესახებ იხ. *Noto*, Secondary Liability (2013), 198–199.

¹⁰⁴⁷ იხ. იქვე, 600.

როდესაც პრეცედენტულ სამართალს ჯერჯერობით არ განუმარტავს დეტალურად ურთიერთგანმასხვავებელი ნიშნები.¹⁰⁴⁸ პრეცედენტული სამართლით ჩამოყალიბებული ნიშნები, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი¹⁰⁴⁹, მისთვის არ არის საკმარისი.

ამბოსი ადრე ემხრობოდა 25(3)(d)-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის იერარქიულად დაბალი რანგის სტანდარტს, ნორმატიულ მიდგომას,¹⁰⁵⁰ თუმცა პოზიცია შეიცვალა თვითონ 25(3)-ე მუხლის „c“ და „d“ აბზაცების შინაარსიდან გამომდინარე. კერძოდ, მისი აზრით, „d“ აბზაცის შესავალი – „ნებისმიერი სხვა სახით“ (*in any other way*)¹⁰⁵¹ არის „c“ აბზაცით გათვალისწინებული „სხვაგვარად ხელს უწყობს“ (*otherwise assists*)¹⁰⁵² მსგავსი კონსტრუქცია.¹⁰⁵³ ორივე დანაშაულში დახმარების (მეორეული პასუხისმგებლობის) სახეს წარმოადგენს.¹⁰⁵⁴

თანამსრულებლობის *ფულფორდ-უინგაერტისეულ* დეფინიციას, განსაკუთრებით პასუხისმგებლობის იერარქიასთან დაკავშირებით, ვერ დავეთანხმებით¹⁰⁵⁵ იმის გათვალისწინებით, რომ შეუძლებელია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისრო პირს ჯერ დახმარებისთვის და შემდეგში სხვა დააკავო იმავე ბრალდებით თანამსრულებლობისთვის და აღნიშნო, რომ არ აქვს მნიშვნელობა, იგი იყო დანაშაულის ამსრულებელი თუ თანამონაწილე.¹⁰⁵⁶ შეიძლება კანონმდებლობა არ შეიცავდეს დიფერენცირებულად სხვადასხვა სასჯელს ამსრულებლობისა და თანამონაწილეობისთვის, მაგრამ როდესაც თვითონ კანონის შინაარსი ადგენს დანაშაულში მონაწილეობის იერარქიულ ფორმებს, რაც ცალსახაა 25(3)-ე მუხლის სტრუქტურაში, მოსამართლე ვალდებულია მოახდინოს მათი როლის დიფერენციაცია.¹⁰⁵⁷

სისხლის სამართალში დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად – დაჯგუფების, „ორგანიზაციის“ მიერ. თუმცა ეს გავლენას ვერ ახდენს ბრალის ინდივიდუალური თუ კოლექტიური შერაცხვის ფორმის

¹⁰⁴⁸ იხ. იქვე, 599.

¹⁰⁴⁹ იხ. ნაშრომის IX და X თავები.

¹⁰⁵⁰ იხ. *Ambos*, Common Purpose under Article 25(3)(D), კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 601.

¹⁰⁵¹ „(d) ნებისმიერი სხვა სახით ხელს უწყობს საერთო მიზნით მოქმედ პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას ...”

¹⁰⁵² „(c) აღნიშნული დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით დახმარებას უწევს, აქეზებს ან სხვაგვარად ხელს უწყობს მის ჩადენას ...”

¹⁰⁵³ იხ. *Ambos*, Common Purpose under Article 25(3)(D), კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 601–602, 607.

¹⁰⁵⁴ იხ. იქვე, 607.

¹⁰⁵⁵ რომ სასჯელის დანიშნვისას აუცილებელი არაა იმის გათვალისწინება, ბრალდებული მოქმედებდა როგორც ამსრულებელი, თუ თანამონაწილე. იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, TC Judgment, Separate Opinion of *Fulford*, 14.3.2012, პარ. 9; *ICC, Prosecutor v. Chui*, TC Judgment, Concurring Opinion of *Wyngaert*, 18.12.2012, პარ. 6, 22–30.

¹⁰⁵⁶ იხ. *Ohlin, Sliedregt, Weigend*, Control Theory, 26 *LJIL* (2013), 729.

¹⁰⁵⁷ იხ. იქვე.

განსაზღვრაზე. სისხლისსამართლებრივი ბრალეული პასუხისმგებლობა ყოველთვის ინდივიდუალურია.¹⁰⁵⁸ შესაბამისად, დანაშაულში მონაწილეობის ფორმაზეა დამოკიდებული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის რომელი ფორმით იქნება ინდივიდი დასჯილი – როგორც დანაშაულის ამსრულებელი თუ თანამონაწილე.¹⁰⁵⁹

მაღალი თანამდებობის პირების მიერ საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისას, უმეტესწილად, მშვიდობიანი მოსახლეობის თვალში „შორიდან“ სახელმწიფო აპარატის ყველა მონაწილე დამნაშავე ჩანს. საერთაშორისო სისხლის სამართალმა კი ამ დროს უნდა დაადგინოს, თუ „ვინ იყო ყველაზე უფრო მეტად პასუხისმგებელი“.¹⁰⁶⁰

დანაშაულში მონაწილეობის „მკაცრ“ კონკრეტიზაციას მნიშვნელობა აქვს ორივე გაგებით, როგორც პასუხისმგებელი პირის გამოსავლენად, ასევე, ყველაზე უფრო მეტად, დამნაშავის ინდივიდუალური როლის დასადგენად,¹⁰⁶¹ რაც ნიშნავს იმას, რომ დანაშაულის ჩადენა (*commission*) და ამსრულებლობა (*perpetration*) უნდა განიმარტოს ერთმნიშვნელოვნად.¹⁰⁶² სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, ასეთი პირები შეიძლება დაისაჯონ როგორც თანამონაწილეები უფრო მძიმე სასჯელით, ვიდრე ამსრულებელი. ანალოგიურია *რომის სტატუტის* 77-ე და 78-ე მუხლები პირდაპირი წაკითხვით, რომლებიც არავითარ დათქმას არ აკეთებს იმაზე, თუ ვის უნდა შეეფარდოს უფრო მძიმე სასჯელი – ამსრულებელს თუ თანამონაწილეს.¹⁰⁶³

„ბრალეულობის იერარქია“ ნაკლებადაა ადეკვატურია *JCE*-ისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ, საერთო ჯამში, იგი უფრო ანგლოამერიკულია, მიუხედავად იმისა, რომ *JCE*-ის სამივე კატეგორია შეიცავს როგორც ანგლოამერიკული, ისე გერმანული მოდელის ელემენტებს.¹⁰⁶⁴

საერთაშორისო სისხლის სამართალში გერმანული დანაშაულში მონაწილეობის დოქტრინის იმპლემენტაცია მისაღებია იმ მხრივ, რომ მისი გამოყენებით დანაშაულში მონაწილეობისათვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა თეორიულად არგუმენტირებული და პრაგმატულად გამოყენებადია. მისი თეორიული არგუმენტირებულობისა და პრაგმატულობის გამო იგი სამაგალითოა სხვადასხვა ქვეყნის სისხლის

¹⁰⁵⁸ შეად. ტურავა, საფუძვლები (2015), 200.

¹⁰⁵⁹ შეად. Roxin, Organized Power Structures, 9 *JICJ* (2011), 194.

¹⁰⁶⁰ შეად. Ambos, 'Most Responsible', კრებულში: Nollkaemper, Wilt (ed.), System Criminality (2009), 127–157.

¹⁰⁶¹ იხ. Burghardt, Modes of Participation, კრებულში: Burchard, Triffterer, Vogel, Future of ICC (2010), 88.

¹⁰⁶² შეად. Cryer, Friman, Robinson, Wilmschurst, Introduction to ICL (2014), 354; Schabas, RS Commentary (2010), 427.

¹⁰⁶³ იხ. Weigend, Indirect Perpetration, კრებულში: Stahn (ed.), ICC (2015), 551–552.

¹⁰⁶⁴ შეად. Hamdorf, JCE and Domestic Modes of Liability, 5 *JICJ* (2007), 224; იხ. ასევე: Ohlin, Joint Intentions, 11 *CJIL* (2011), 750–752.

სამართლისათვის,¹⁰⁶⁵ რომელთა რიცხვს *საქართველოც* მიეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულში მონაწილეობის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გერმანული მოდელი ანგლოამერიკული სისხლის სამართლის სისტემის წარმომადგენელთათვის მისაღები არაა, ისინი აღიარებენ მის პრაგმატულობას.¹⁰⁶⁶

ზემოთ გამოკვლეული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სხვადასხვა საკითხი განსხვავებულადაა დარეგულირებული ეროვნულ სისხლის სამართალსა და საერთაშორისო სამართალში, რაც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაბუთების პროცესს ართულებს. ეს საკითხი წმინდა სისხლისსამართლებრივად უნდა გადაწყდეს, საერთაშორისო სამართლის ინტერვენციის გარეშე.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაბუთების ნაწილში არსებული განსხვავებული მიდგომების სისტემატიზაციისთვის, საერთაშორისო სისხლის სამართალში საჭიროა ზოგადი პრინციპების, ზოგადი ნაწილის შექმნა, რომელსაც დაეყრდნობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულება.¹⁰⁶⁷ მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ საერთაშორისო სისხლის სამართალი, ასევე, სისხლის სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილია.¹⁰⁶⁸ საერთაშორისო სისხლის სამართალი უნდა გათავისუფლდეს მხოლოდ საერთაშორისო საჯარო სამართლის სუბსიდიური ხასიათისგან, იმის აღიარებით, რომ საერთაშორისო მოსამართლეები არიან სისხლის სამართლის მოსამართლეები, რომლებიც წყვეტენ ქმედებათა მართლწინააღმდეგობასა და დანაშაულში მონაწილეთა ბრალეულობას. ეს საჭიროა *რომის სტატუტის* დოქტრინული განმარტებისთვის. არ უნდა კჭონდეს ადგილი მართლმსაჯულების ექსპერიმენტაციას.¹⁰⁶⁹ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა არ უნდა მოხდეს საერთაშორისო სამართლებრივ დოგმატიკაზე დაყრდნობით, რომელიც სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის გამოიყენება.

საერთაშორისო სისხლის სამართლის ეფექტიანობაზე საერთაშორისო სამართალია „პასუხისმგებელი“. საერთაშორისო სამართალმა, რომლის ერთ-ერთ მიმართულებასაც წარმოადგენს საერთაშორისო სისხლის სამართალი, უნდა აღასრულოს სისხლის სამართლის მიერ მიღებული ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გადაწყვეტილებები.

საერთაშორისო სისხლის სამართალში ისევე, როგორც ეროვნულსამართლებრივ სისტემებში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაფუძნებულია დანაშაულში კონკრეტული პირის,

¹⁰⁶⁵ იხ. *Ohlin, Co-Perpetration*, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 537.
¹⁰⁶⁶ იხ. იქვე, 517–537.
¹⁰⁶⁷ შეად. იქვე, 537; *Fletcher, Dogmatik*, 9 *JICJ* (2011), 179–180.
¹⁰⁶⁸ შეად. *Weigend, Problems of Attribution*, 12 *JICJ* (2014), 265.
¹⁰⁶⁹ შეად. *Ohlin, Co-Perpetration*, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 525–526.

ინდივიდის მონაწილეობაზე, წვლილზე, რაც ნიშნავს იმას, რომ არავინ შეიძლება იქნეს პასუხისმგებელი კონკრეტული ქმედების გამო, რომელშიც მას პერსონალურად ან სხვა რაიმე ფორმით არ მიუღია მონაწილეობა (*nulla poena sine culpa*)¹⁰⁷⁰. ასეთ მიდგომას უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულში მონაწილეობის როგორც „მკაცრი“, ისე „მსუბუქი“ მოდელი. დანაშაულში მონაწილეობის ფორმების კატეგორიზაციის მიზანია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრა.¹⁰⁷¹ აღნიშნული, გარკვეულწილად, დამოკიდებულია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ნორმის სტრუქტურაზე.

4.3. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ნორმის სტრუქტურა

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნებისას, იმის გადასაწყვეტად, თუ რომელი მოდელი უნდა იყოს გამოყენებული – გერმანული თუ ანგლოამერიკული, ზემოთ განხილულ საკითხებთან ერთად, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს თვითონ ნორმის აგებულებას, კერძოდ, თუ რამდენად არის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მუხლის შინაარსი ორიენტირებული დანაშაულში მონაწილეობის ფორმების კონკრეტიზაციისაკენ.

4.3.1. რომის სტატუტამდე არსებული სტრუქტურა

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის სამართლით, პირდაპირი ნორმატიული განსხვავება არ იყო დანაშაულში პირდაპირ და არაპირდაპირ მონაწილეობას შორის. შესაბამისად, არც ამსრულებლობათანამონაწილეობის „მკაცრი“ მიდგომა გამოიყენებოდა.¹⁰⁷²

ad hoc და *ჰიბრიდული* ტრიბუნალების სტატუტების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნებაში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის სამართლის მსგავსად, აშკარად იგრძნობოდა, რომ სასამართლოების იურისპრუდენციისთვის არ იყო მნიშვნელოვანი დანაშაულში მონაწილეობის ფორმების „მკაცრი“ კონკრეტიზაცია – არსებითი მნიშვნელობა¹⁰⁷³ არ ენიჭებოდა დანაშაულში მონაწილეობის ორხარისხოვან დაყოფას.

¹⁰⁷⁰ ბრალის გარეშე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არარსებობის პრინციპი პირდაპირ კავშირშია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. იგი, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის გარდა, კონკრეტული სასჯელის ზომის ბრალთან პროპორციულობის უზრუნველყოფასაც მოითხოვს. იხ. *ცქიტიშვილი*, სასჯელის პროპორციულობა, კრებულში: *თოდუა* (რედ.), ლიბერალიზაციის ტენდენციები (2016), 637–639.

¹⁰⁷¹ შეად. *Burghardt*, Modes of Participation, კრებულში: *Burchard, Triffterer, Vogel*, Future of ICC (2010), 91.

¹⁰⁷² იხ. *Sliedregt*, Perpetration and Participation, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 502–503.

¹⁰⁷³ გარკვეულწილად, *ad hoc* ტრიბუნალები „ნორმატიულ“ მიდგომასაც შეიცავდა. შეად. იქვე, 511. დახმარებასა და *JCE*-ს შორის იყო დადგენილი სტანდარტები, რაზეც ზემოთ გეჰქონდა საუბარი. იხ. ნაშრომის VIII თავი, §5 და §7. ამას ხაზს უსვამს ასევე: *ICC, Prosecutor v. Lubanga*, AC Judgment, 1.12.2014, პარ. 471.

„არსებითი კორელაცია“, თანაფარდობა არ არსებობდა პასუხისმგებლობის ფორმებსა და სასჯელის ხანგრძლივობას შორის.¹⁰⁷⁴ იგი უფრო ანგლოამერიკულ მოდელს ემსრობოდა. აღიარებული იყო ერთიანი ამსრულებლობის ინსტიტუტი (*Unitarian concept of Participation / Unified Perpetrator Model*). სასჯელის დანიშვნის დროსაც არ არსებობდა რაიმე დადგენილი წესი ამსრულებლობისა და თანამონაწილეობისათვის. ტრიბუნალი ყურადღებას ამახვილებდა დანაშაულის სიმძიმესა და მონაწილეობის ხარისხზე¹⁰⁷⁵, რამდენიმე გამონაკლისის გარდა.¹⁰⁷⁶

შესაბამისად, *ფულფორდის* ზემოაღნიშნული პოზიცია, „ბრალეულობის იერარქიისა“ და დანაშაულში მონაწილეობის „მსუბუქი“ კონკრეტიზაციის შესახებ, ადეკვატურია ICTY-ის სტატუტის მე-7(1) მუხლისთვის¹⁰⁷⁷, რომელიც ფუნდამენტურად განსხვავდება ამსრულებლობა-თანამონაწილეობის კონკრეტიზაციის ნაწილში *რომის სტატუტის* 25(3)-ე მუხლის სტრუქტურისგან.

4.3.2. რომის სტატუტის 25(3)-ე მუხლის სტრუქტურა

რომის სტატუტის 25(3)-ე მუხლში, ამსრულებლობა-თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის სახეების მკვეთრი გამოკვეთით, აშკარად იგრძნობა, რომ სასამართლოს იურისპრუდენცია ემსრობა დანაშაულში მონაწილეობის ფორმების „მკაცრ“ კონკრეტიზაციას. ICTY-ის სტატუტის მე-7(1) მუხლისგან განსხვავებით, აქ დანაშაულში მონაწილეობის ფორმები ისე „მარტივად არაა ჩამოთვლილი“.¹⁰⁷⁸ სტატუტის შემქმნელების მიზანი იყო, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნებისას, სასჯელის შეფარდება დანაშაულში მონაწილეობის ფორმების „სიმძიმით“ მომხდარიყო.

¹⁰⁷⁴ შეად. *D’Ascoli*, Sentencing in ICL (2011), 230. თანდართული სქემებით დაწ. იხ. იქვე, 226–243.
¹⁰⁷⁵ შეად. *Burghardt*, Modes of Participation, კრებულში: *Burchard, Triffterer, Vogel*, Future of ICC (2010), 88–89; თანდართული სქემებით შეად. ასევე: *D’Ascoli*, Sentencing in ICL (2011), 226–243.
¹⁰⁷⁶ *Prosecutor v. Vasiljevic*-ის საქმეზე განისაზღვრა, რომ დანაშაულის დახმარება-წაქეზება წარმოადგენდა პასუხისმგებლობის ისეთ ფორმას, რომელიც უფრო დაბალი სასჯელის შეფარდებას მოითხოვდა, ვიდრე თანამონაწილეობისათვის იყო განსაზღვრული. იხ. *ICTY, Prosecutor v. Vasiljevic*, AC Judgment, 25.2.2004, პარ. 192. ანალოგიური გაიმეორა *ICTR-მ Prosecutor v. Ndindabahizi*-ს საქმეზე, რომელშიც აღინიშნა, რომ ამსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს დანაშაულის დამძიმება და თანამონაწილეობამ, პირიქით. იხ. *ICTR, Prosecutor v. Ndindabahizi*, AC Judgment, 16.1.2007, პარ. 122. იგივე, *ICTR-მ* დანაშაულში მონაწილეობის კონკურენციის საკითხზე მსჯელობისას, *Prosecutor v. Semanza*-ს საქმეზე აღნიშნა, რომ თუ ქმედება აკმაყოფილებს როგორც ბრძანების გაცემის, ისე დახმარება/წაქეზების პასუხისმგებლობის ფორმას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფრო მძიმეს, ბრძანების გაცემას. იხ. *ICTR, Prosecutor v. Semanza*, AC Judgment, 20.5.2005, პარ. 355–364. სამივე საქმე განხილულია *Burghardt*, Modes of Participation, კრებულში: *Burchard, Triffterer, Vogel*, Future of ICC (2010), 90.
¹⁰⁷⁷ „ვინც დაგეგმა, წააქეზა, უბრძანა, ჩაიდინა ან სხვა სახით ეხმარებოდა ... დანაშაულის დაგეგმვაში, მომზადებასა და ასრულებაში.“
¹⁰⁷⁸ შეად. *Werle, Burghardt*, Establishing Degrees of Responsibility, კრებულში: *Sliedregt, Vasiliev* (ed.), Pluralism in ICL (2014), 303–304.

ფულფორდის პოზიციის მიხედვით, ერთი მხრივ, გასაგებია, რომ რომის სტატუტი და პროცედურისა და მტკიცების წესები პირდაპირ დათქმას არ აწესებს დანაშაულში ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის შემთხვევაში მიმე სასჯელის შეფარდების აუცილებლობაზე, თუმცა რომის სტატუტის 78-ე მუხლი და პროცედურისა და მტკიცების 145(1)(c)-ე წესი, *ad hoc* ტრიბუნალების პოზიტიური სამართლისგან განსხვავებით, არც ისე „დუმს“ დანაშაულში მონაწილეობის ხარისხზე, როგორც ფულფორდი მიუთითებს თავის განსხვავებულ აზრში.

პროცედურისა და მტკიცების წესების 145(1)(c)-ე წესი გამოყოფს დანაშაულში მონაწილეთა დონეებს¹⁰⁷⁹, გარკვეულ ფაქტორებზე ხაზგასმით, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს სასჯელის განსაზღვრისას. კერძოდ, სხვა ფაქტორებთან ერთად: მსჯავრდებული პირის მონაწილეობის ხარისხი; განზრახვის ხარისხი; დანაშაულის ჩადენის ხერხთან, დროსა და ადგილთან დაკავშირებული ფაქტორები.

შესაბამისად, სასჯელის დანიშვნისას ბრალდებულის დანაშაულში მონაწილეობის ფორმა და ხარისხი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაზღვრავს დანაშაულის სიმძიმესა და სასჯელის ზომას, რაც არ ეწინააღმდეგება *nulla poena, nullum crimen sine lege* პრინციპს.¹⁰⁸⁰

ფულფორდი, ქმედებაზე ბატონობის თეორიაზე განსხვავებული პოზიციის ჩამოყალიბებისას, თავისი პოზიციის გასამყარებლად უთითებს *Prosecutor v. Stakic*-ის საქმეს, რომელზეც ICTY-ის სასამართლო პალატამ უარყო *როქსობის* თეორია.¹⁰⁸¹ აღნიშნული შედარება შეუსაბამოა ICTY-ის ანგლოამერიკული ორიენტაციისა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მუხლის არქიტექტურის გამო, რომელიც განსხვავდება *რომის სტატუტის* 25(3)-ე მუხლისგან.¹⁰⁸² 25-ე მუხლი სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის კომბინაციის შედეგია, რომელიც ნაკლებად არის ორიენტირებული მხოლოდ ანგლოამერიკულ მოდელზე. ICC-ის განხილული იურისპრუდენციაც ამაზე მეტყველებს.

5. შეჯამება

საერთო ჯამში, ზემოთ განხილული საკითხებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, სისხლის სამართლის სხვა საერთაშორისო სასამართლოების იურისპრუდენციისგან განსხვავებით, *რომის სტატუტი* ეყრდნობა დანაშაულში მონაწილეობის „ბრალეულობის იერარქიას“,

¹⁰⁷⁹ შეად. Weigend, Perpetration through an Organization, 9 JICJ (2011), 101–102.

¹⁰⁸⁰ კანონიერების პრინციპზე დაწ. იხ. ტურავა, საფუძვლები (2015), 158–161; Kreß, *Nulla poena nullum crimen sine lege*, კრებულში: Wolfrum (ed.), MPEPIL, Vol. VII (2013), 889–898.

¹⁰⁸¹ იხ. ICC, *Prosecutor v. Lubanga*, TC Judgment, Separate Opinion of Fulford, 14.3.2012, პარ. 10.

¹⁰⁸² იმის გათვალისწინებით, რომ მასში დანაშაულში მონაწილეობის ფორმები დანაწევრებულია. შეად. Burghardt, Modes of Participation, კრებულში: Burchard, Triffterer, Vogel, Future of ICC (2010), 91

ნორმატიულ მიდგომას. დანაშაულში მონაწილეობის „ბრალეულობის იერარქიის“ განსაზღვრა სავალდებულოა¹⁰⁸³ – დასჯის სიმძიმე უნდა განისაზღვროს ბრალის ხარისხით, რომელიც სასჯელის აუცილებელი წინაპირობაა. სასჯელის შეფარდება ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის დადგენის გარეშე შეუძლებელია.¹⁰⁸⁴

უნივერსალური თეორიის შექმნა შეუძლებელია, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა მონაწილეს დააკმაყოფილებდა, საერთაშორისო სისხლის სამართლის სისტემის ბუნებიდან გამომდინარე.¹⁰⁸⁵ მნიშვნელოვანია, რომ იგი ჰარმონიაში იყოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ უმთავრეს პრინციპებთან.

¹⁰⁸³ განსაკუთრებით, საერთაშორისო სისხლის სამართალში. დაწ. იხ. *Kreß*, ICL, კრებულში: *Wolfrum* (ed.), MPEPIL, Vol. V (2013), 717–732.

¹⁰⁸⁴ შეად. *ტურავა*, მოძღვრება (2011), 46; *Werle, Burghardt*, Establishing Degrees of Responsibility, კრებულში: *Sliedregt, Vasiliev* (ed.), Pluralism in ICL (2014), 303–304, 318–319.

¹⁰⁸⁵ შეად. *Ohlin*, Co-Perpetration, კრებულში: *Stahn* (ed.), ICC (2015), 527.

XIV. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო სამართლის „კოდიფიკაცია“ და მისი იმპლემენტაცია ეროვნულ სისხლის სამართალში

საერთაშორისო სისხლის სამართალში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მატერიალური და მენტალური ელემენტების, დოქტრინებისა და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზის შემდეგ, შესაძლებელია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართლის „კოდიფიკაცია“ და იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს მისი იმპლემენტაცია ეროვნულ სისხლის სამართალში.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისათვის შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც კონკრეტულ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა „კოლექტიური ძალისხმევით“ ჩადენილი დანაშაულებისათვის.¹⁰⁸⁶ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნება უნდა განიმარტოს ფართოდ, როდესაც ბრალდებულს, თავისი „პოზიციიდან“ გამომდინარე, თავისუფლად შეეძლო დანაშაულის თავიდან აცილება,¹⁰⁸⁷ ჰქონდა მოვლენათა სხვაგვარად განვითარების შესაძლებლობა. ბრალდებულის „პოზიცია“ და გავლენა „კოლექტივზე“, ამსრულებლის ქმედებაზე ბატონობა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც *de jure* ისე *de facto* ფორმით.

ყველაფრის გათვალისწინებით, ფართომასშტაბიანი, სისტემატური და სისტემური საერთაშორისო დანაშაულების ბუნება კომპლექსურია. აქ ვერ იქნება გამოყენებული ის „მარტივი“ სტანდარტი, რომელიც ეროვნული სისხლის სამართლის მიხედვით „ჩვეულებრივ“ დანაშაულებთან მიმართებით კარგად აპრობირებულია. საერთაშორისო დანაშაულებისათვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაბუთება საჭიროებს განსხვავებულ მიდგომას, რომელსაც ადგენს საერთაშორისო სისხლის სამართალი. სწორედ ეს უკანასკნელია საერთაშორისო დანაშაულების შემადგენლობების „ავტორი“ და, ამის გათვალისწინებით, მათ დოგმატიკაზეც „პასუხისმგებელი“. შესაბამისად, ეროვნული სისხლის სამართალი, საერთაშორისო დანაშაულების შემადგენლობების გარდა, საჭიროებს მათი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპების იმპლემენტაციასაც, ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი ზომების გასატარებლად, რათა ეროვნულ სამართალში მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინების გამოყენება. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ზემოთ განხილული დოქტრინები პირდაპირ პასუხობს მთავარ კითხვას, თუ რომელი პირი არის სისხლისსამართლებრივად

¹⁰⁸⁶ დაწ. იხ. Boas, Individual Criminal Responsibility, კრებულში: Stahn, Herik (ed.), Future Perspectives (2010), 501–519.

¹⁰⁸⁷ შეად. Johnson, Peace Without Justice (2003), 71.

პასუხისმგებელი რამდენიმე ადამიანის ურთიერთქმედების შედეგად განხორციელებული დანაშაულის შემთხვევაში.¹⁰⁸⁸

ეროვნულ სისხლის სამართალში საერთაშორისო დანაშაულებისათვის განსხვავებული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართლის იმპლემენტაცია საერთაშორისო სისხლის სამართლის ინტერესებშიცაა. ამით ეროვნული მართლმსაჯულება საერთაშორისო დანაშაულების მიმართ უფრო მოქნილი გახდება, რაც მნიშვნელოვანია ე.წ. კომპლემენტარულობის პრინციპის ამოქმედების თავიდან ასაცილებლად. საერთაშორისო სისხლის სამართლის მიერ აღსრულების პირდაპირი მექანიზმის ამოქმედება, ეროვნულ მართლმსაჯულებაში პირდაპირი „ინტერვენცია“ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა მოხდეს, როდესაც საერთაშორისო დანაშაულის ფორმა კომპლექსურ ხასიათს იქნის.¹⁰⁸⁹

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, საერთაშორისო დანაშაულებისათვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართლის „კოდიფიკაცია“ და ამ ფორმით მისი იმპლემენტაცია მნიშვნელოვანია *საქართველოსთვისაც. რომის სტატუტის* რატიფიკაცია, დანაშაულის შემადგენლობათა იმპლემენტაციის გარდა, მისი სამართლის ჰარმონიზაციასაც გულისხმობს,¹⁰⁹⁰ მით უფრო, *საქართველომ* აირჩია ეროვნული კანონმდებლობის *რომის სტატუტთან* შესაბამისობაში მოყვანის ე.წ. იმპლემენტაციის მოდელი.¹⁰⁹¹

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის ეროვნულ სისხლის სამართალთან ჰარმონიზაციის აუცილებლობას განაპირობებს საერთაშორისო დანაშაულების განსაკუთრებული ხასიათი, რომელიც სპეციფიკურ მიდგომას, ერთიანი სტანდარტის არსებობას საჭიროებს. დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინების იმპლემენტაციისათვის აუცილებელია საკმარისი სამართლებრივი ბაზის არსებობა, *nullum crimen sine lege* და ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად. საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისათვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნება უნდა მოხდეს ადეკვატური ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კოდექსისეული ცნების საფუძველზე, რომლითაც მოხდება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინების იმპლემენტაცია. დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი უნდა განსაზღვრავდეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ფორმას, სასჯელის შეფარდების პროპორციულობისათვის.

¹⁰⁸⁸ შეად. Swart, Modes of Liability, კრებულში: Cassese (ed.), Oxford Companion (2009), 82.

¹⁰⁸⁹ იხ. *რომის სტატუტის* მე-17 მუხლი.

¹⁰⁹⁰ შეად. ტურავა, საფუძვლები (2015), 81.

¹⁰⁹¹ იხ. იქვე, 82, დაწ. 81–87.

1. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ეროვნული ნორმის პროექტი – *de lege ferenda*

საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისათვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხის საკანონმდებლო სრულყოფისათვის (*de lege ferenda*) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში უნდა შეიქმნას ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი ნორმა, რომელიც გამოყენებული იქნება განსაკუთრებული სიმძიმის საერთაშორისო დანაშაულებისათვის (*core crimes*):

ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულებისათვის

1. საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვინც:

- ა) ჩაიდინა დანაშაული პირადად, სხვა პირთან ერთად ან სხვა პირის მეშვეობით, მიუხედავად იმისა, ამ კოდექსის მიხედვით დაეკისრება თუ არა ამ სხვა პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;
- ბ) ხელმძღვანელობდა, აქეზებდა, ეხმარებოდა ან სხვაგვარად ხელს უწყობდა დანაშაულის ჩადენას ან მის მცდელობას;
- გ) ნებისმიერი ფორმით განზრახ ხელს უწყობდა საერთო მიზნით მოქმედ პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას ან მის მცდელობას.

2. საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისათვის დამატებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მეთაურს, თუ ეს დანაშაული ჩაიდინეს მის ეფექტიან კონტროლს დაქვემდებარებულმა ძალებმა, ან/და ცალკეულ შემთხვევაში, იმის შედეგად, რომ ეს პირი აღნიშნულ ხელქვეითებს არ უწევდა სათანადო კონტროლს, თუ მან:

- ა) იცოდა, უნდა სცოდნოდა ან შეგნებულად უგულებელყოფდა ინფორმაციას, რომელიც აშკარად მიუთითებდა, რომ ეს ძალები სწადიოდნენ ან განზრახული ჰქონდათ ამ დანაშაულთა ჩადენა;
- ბ) არ მიიღო ყველა საჭირო და გონივრული ზომა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რათა თავიდან აეცილებინა ან აღეკვეთა დანაშაულთა ჩადენა, ან გადაეცა აღნიშნული საკითხი კომპეტენტური ორგანოებისთვის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად.

შენიშვნა:

ამ მუხლის მიზნებისათვის საერთაშორისო დანაშაულად ითვლება ამ კოდექსის 404-ე, 405-ე, 407-ე–408-ე, 410-ე–413-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

„კოდიფიცირებული“ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მუხლი მოიცავს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ძირითად, დამატებით და მეთაურის პასუხისმგებლობის ფორმებს.

ძირითადი პასუხისმგებლობა: შემოთავაზებული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ეხება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ძირითად ფორმას – დანაშაულის ამსრულებლობის ინსტიტუტს. აღნიშნულ შემადგენლობაში შესაძლებელია თანაამსრულებლობის, არაპირდაპირი ამსრულებლობისა და არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინების იმპლემენტაცია, *რომის სტატუტის* 25(3)(a)-ე მუხლის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოგმატიკის შესაბამისად. არაპირდაპირი ამსრულებლობისა და არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინები ძირითადად გამოყენებული იქნება საერთაშორისო დანაშაულის ორგანიზატორის მიმართ.

დამატებითი პასუხისმგებლობა: შემოთავაზებული მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ეხება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამატებით ფორმებს. „ბ“ ქვეპუნქტში შესაძლებელია დანაშაულში თანამონაწილეობის (ხელმძღვანელობა-ბრძანების გაცემა, წაქეზება და დახმარება) ინსტიტუტის იმპლემენტაცია, *რომის სტატუტის* 25(3)(b)(c)-ე მუხლის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოგმატიკის მიხედვით, ხოლო „გ“ ქვეპუნქტში შესაძლებელია დანაშაულში თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის ე.წ. რეზიდუალური („სარეზერვო“) ფორმის, საერთო მიზნით მოქმედი დაჯგუფების დახმარების ინსტიტუტის იმპლემენტაცია, *რომის სტატუტის* 25(3)(d)-ე მუხლის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოგმატიკის შესაბამისად.

მეთაურის პასუხისმგებლობა: შემოთავაზებული მუხლის მეორე ნაწილი ეხება მეთაურის პასუხისმგებლობის ფორმას, უმოქმედობას, რომელშიც შესაძლებელია მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინის იმპლემენტაცია, *რომის სტატუტის* 28-ე მუხლის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოგმატიკის შესაბამისად. კერძოდ:

- „მეთაურის“ ცნებაში შესაძლებელია ვიგულისხმოთ როგორც *სამხედრო მეთაური, სამხედრო მეთაურის სახით ეფექტიანად მოქმედი პირი*, ისე *სამოქალაქო მეთაური*;
- „ეფექტიანი კონტროლის“ ცნებაში შესაძლებელია როგორც *ეფექტიანი ხელმძღვანელობისა და კონტროლის*, ისე *ეფექტიანი ძალაუფლებისა და კონტროლის* მატერიალური ელემენტების იმპლემენტაცია;
- მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში მოცემული ალტერნატივის სახით, შესაძლებელია მენტალური ელემენტების, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტში *პრევენციული, რეპრესიული და საჭირო და გონივრული* ზომების გატარების მოვალეობათა ელემენტების იმპლემენტაცია.

ყურადღება უნდა მიექცეს ამსრულებლობა-თანამონაწილეობის სახით დანაშაულში მონაწილეობის ფორმების „ბრალეულობის იერარქიას“. დანაშაულში მონაწილეობის ფორმა უნდა იყოს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ინდიკატორი სასჯელის შეფარდებისას. კერძოდ, პროპორციულობა უნდა იყოს დაცული პერსონალურ ბრალსა და სასჯელს შორის. ამსრულებელი, *დანაშაულზე კონტროლის* ელემენტით, უფრო მეტად უნდა გაიკიცხოს, ვიდრე თანამონაწილე ან საერთო მიზნით მოქმედი დაჯგუფების დამხმარე.¹⁰⁹² ასეთი მიდგომა დამატებით ახალი ნორმის შემუშავებას არ მოითხოვს, არამედ ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს *საქართველოს* სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც, ამსრულებელსა და თანამონაწილეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ დანაშაულში მათი „მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით“.¹⁰⁹³

რაც შეეხება *რომის სტატუტის* 25-ე მუხლის დანარჩენ შემადგენლობებს: გენოციდის დანაშაულის პირდაპირი და საჯარო მოწოდება [25(3)(e)-ე მუხლი] და დანაშაულის მცდელობა [25(3)(f)-ე მუხლის პირველი წინადადება], ორივე წარმოადგენს არა დანაშაულში მონაწილეობის ფორმებს, არამედ დაუსრულებელ დანაშაულებს (*Inchoate Crime/Offences*)¹⁰⁹⁴. შესაბამისად, მათი იმპლემენტაცია უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, პირველის, გენოციდის დანაშაულთან, ხოლო მეორის, საჭიროების მიხედვით, კონკრეტულ დანაშაულებთან კავშირში, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების [25(3)(f)-ე მუხლის მეორე წინადადების] იმპლემენტაცია უნდა მოხდეს *საქართველოს* სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის ფარგლებში. დაბოლოს, აგრესიის დანაშაულის ჩამდენ პირთა წრესთან დაკავშირებით ახალი რეგულაცია [25(3)(bis)-ე მუხლი] უკვე ასახულია *საქართველოს* სისხლის სამართლის კოდექსის 404-ე მუხლის შენიშვნაში, რაც დამატებით მოდიფიკაციას არ საჭიროებს.

¹⁰⁹² შეად. Werle, Burghardt, Establishing Degrees of Responsibility, კრებულში: Sliedregt, Vasiliev (ed.), Pluralism in ICL (2014), 303–306, 311–313, 318–319.

¹⁰⁹³ იხ. *საქართველოს* სისხლის სამართლის კოდექსის 25(1)-ე მუხლი: „1. ამსრულებელსა და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით.“

¹⁰⁹⁴ შეად. Werle, Burghardt, Establishing Degrees of Responsibility, კრებულში: Sliedregt, Vasiliev (ed.), Pluralism in ICL (2014), 307. დაუსრულებელი დანაშაულების (*Inchoate Crime/Offences*) შესახებ იხ. ნაშრომის XIII თავი, §2.2.2.

2. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო სამართლის იმპლემენტაციის მაგალითი ეროვნულ სისხლის სამართალში

საერთაშორისო სისხლის სამართლის დოგმატიკა, განსაკუთრებით ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ნაწილში, რა ფორმითაც იგი ზემოთ განვიხილეთ, უკვე სამაგალითოა ეროვნული სისხლის სამართლისთვისაც, მით უფრო, როდესაც საქმე გვაქვს მაღალი თანამდებობის პირების მიერ ფართომასშტაბიანი, სისტემატური და სისტემური დანაშაულების ჩადენასთან. ამ მხრივ ყურადსაღებია *გვატემალის* სიტუაცია, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ამ საკითხზე პირველი „სანდო“ ეროვნული სამართალწარმოებაა.¹⁰⁹⁵

2013 წლის 19 მარტს, *გვატემალის* ყოფილი პრეზიდენტი გენერალი *ხოსე ეფრაინ რიოს მონტი* (Jose Efraim Rios Montt) და მისი სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელი გენერალი *ხოსე მაურიციო როდრიგეს სანჩესი* (Jose Mauricio Rodriguez Sanchez) *გვატემალის* ეროვნული სასამართლოს წინაშე წარდგინეს გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული და ომის დანაშაულების ჩადენისათვის,¹⁰⁹⁶ რომლებიც მოხდა მემარცხენე შეიარაღებულ მემბოხეთა და სახელმწიფოს შეარაღებულ ძალებს შორის მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს¹⁰⁹⁷.

გვატემალაში დანაშაულების ჩადენა დაიწყო 1980 წლიდან და პიკი გამოვლინდა 1982–1983 წლებში. სამხედრო მოქმედებები ძირითადად მიმდინარეობდა მთიან ადგილებში, რომელიც *მაიას* (ეთნიკურად ინდოელი) ძირძველი ტომით იყო დასახლებული და მხარს უჭერდა მემბოხეთა ძალებს. სამოქალაქო ომის დროს 626-მდე სოფელი განადგურდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი აწამეს, გააუპატიურეს და მოკლეს. ათასობით ადგილობრივი იძულებული გახდა დაეტოვებინა სახლები, რა დროსაც ისინი საჰაერო იერიშის მსხვერპლი გახდნენ. საერთო ჯამში, იყო 200 000-მდე მოკლული და დაკარგული, 1 500 000-მდე ლტოლვილი. სამოქალაქო ომი, რომელიც 36 წლის განმავლობაში გრძელდებოდა, 1996 წელს სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერით დამთავრდა.¹⁰⁹⁸

მონტისა და *სანჩესის* ბრალი ედებოდათ უშუალოდ 1982–1983 წლებში ჩადენილი დანაშაულებისთვის. სწორედ, 1983 წლის 8 აგვისტოს დამთავრდა *მონტის* რეჟიმი. 2013 წლის 10 მაისს *რიოსი* დამნაშავედ ცნეს ყველა ბრალდებაში და სასჯელის სახით შეეფარდა 80 წლით თავისუფლების

¹⁰⁹⁵ იხ. Kemp, Guatemala Prosecutes former President Rios Montt, 12 *JICJ* (2014), 133–156.

¹⁰⁹⁶ *გვატემალის* სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები გაერთიანებულია ერთ ჰიბრიდულ ფორმაში – *delitos contra los deberes de humanidad*. იხ. იქვე, 134.

¹⁰⁹⁷ სამოქალაქო ომი *გვატემალაში* დაიწყო 1960 წელს, მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო. 1970 წელს *მაიას* მოსახლეობამ დაიწყო გამოსვლები მთავრობის წინააღმდეგ თანასწორობის, მათი ენისა და კულტურის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის მოთხოვნით. *გვატემალის* სამოქალაქო ომის შესახებ იხ. Guatemala Memory of Silence, <http://www.aaas.org/sites/default/files/migrate/uploads/mos_en.pdf>, [9.2.2016].

¹⁰⁹⁸ იხ. იქვე.

ადკვეთა, ხოლო *როდრიგესი* გაამართლეს.¹⁰⁹⁹ ეს იყო ეროვნული სასამართლოს მიერ განხილული პირველი საქმე, რომელშიც გამამტყუნებელი განაჩენი დადგა ქვეყნის ყოფილი მეთაურის მიმართ გენოციდის დანაშაულის ჩადენისთვის და არ იქნა საექვოდ მიჩნეული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ.¹¹⁰⁰

გენერალ *რიოსამდე* ეროვნული სასამართლოების მიერ გასამართლდა სახელმწიფოს ორი ყოფილი ლიდერი: 1993 წლის 21 აპრილს, *ბოლივიის* ყოფილი პრეზიდენტი – *ლუის გარსია მეცა (Luis Garcia Meza)* და 2006 წლის 12 დეკემბერს, *ეთიოპიის* ყოფილი პრეზიდენტი – *მენგისტუ ჰაილე მარიამი (Mengistu Haile Mariam)*. ორივე პროცესი *in absentia* წესით წარიმართა. საერთაშორისო დამკვირვებლები ორივე პროცესის მიმართ შეშფოთებას გამოხატავენ.¹¹⁰¹

გენერალ *რიოსის* საბრალდებო ოქმი შეიცავდა პასუხისმგებლობის სამ შესაძლებელ ფორმას: პირდაპირ ამსრულებლობას, წამქეზებლობასა და *არსებით კონტრიბუციას*.¹¹⁰² ტრიბუნალმა დაადგინა, რომ გენერალი *რიოსი*, როგორც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, თავისი ძალაუფლებით (სახელმწიფო აპარატის გამოყენებით), ფუნქციებითა და *დანაშაულზე კონტროლით*, რომელიც გამოიხატებოდა როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში, *არსებით კონტრიბუციას* ახორციელებდა დანაშაულში. ტრიბუნალმა პირდაპირ არ აღიარა არაპირდაპირი ამსრულებლობის (*ქმედებაზე ორგანიზაციული ბატონობის*) თეორია, ვინაიდან ეს უკანასკნელი თეორიული და პრაქტიკული გამოწვევების წინაშე იდგა. ამ შემთხვევაში, ტრიბუნალს უნდა დაემტკიცებინა *ამსრულებლის უკან მდგომი ამსრულებლების* მონაწილეობის ხარისხი, თუ როგორ იყენებდნენ პირდაპირ ამსრულებლებს როგორც ინსტრუმენტებს. *როდრიგესის* გამართლების გამო, არ იყო აუცილებელი პასუხისმგებლობის ჰიბრიდული სახის – არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის – გამოყენება. *არსებითი კონტრიბუციის* ფორმულა უფრო ხელსაყრელი იყო გამოძიებით მიღებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, რომლითაც ჩანდა სხვა მეთაურების *დანაშაულზე კონტროლი* – დანაშაულში თანაამსრულებლობა. ასევე უარი ითქვა მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენებაზეც. *რიოსის* დანაშაულში მონაწილეობის დონე სამხედრო მეთაურისთვის დადგენილ სტანდარტზე უფრო მეტი იყო, სცილდებოდა სამხედრო სფეროს. იგი მოქმედებდა *არსებითად*, დანაშაულში მკაფიოდ ჰქონდა უფრო აქტიური, ვიდრე პასიური როლი.¹¹⁰³

გვატემალის სიტუაცია კარგი მაგალითია სხვა ქვეყნებისთვის ფართომასშტაბიანი, სისტემატური და სისტემური საერთაშორისო

¹⁰⁹⁹ იხ. იქვე; იხ. ასევე: *Kemp, Guatemala Prosecutes former President Rios Montt*, 12 *JICJ* (2014), 133–134.

¹¹⁰⁰ იხ. იქვე, 134.

¹¹⁰¹ იხ. იქვე, 134, სქოლიო 1.

¹¹⁰² იხ. იქვე, 147.

¹¹⁰³ იხ. იქვე, 150–151.

დანაშაულების ჩადენისთვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად, თუ როგორ უნდა მოხდეს საერთაშორისო სისხლის სამართლის დოქტრინის გამოყენება ეროვნული მართლმსაჯულების სისტემის მიერ, საერთაშორისო თანამეგობრობის (საერთაშორისო სისხლის სამართლის) „უშუალო მონაწილეობის“ გარეშე.¹¹⁰⁴

¹¹⁰⁴ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინების მატერიალურ და მენტალურ ელემენტებთან, ასევე, ICC-ის ახლებურ განმარტებებთან მიმართებით იხ. *Ambos, Katanga Trial*, 2 *JICJ* (2014), 219–229; *Vest, Participation*, 2 *JICJ* (2014), 295–309.

დასკვნა

დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელისა და დოქტრინების სისხლისსამართლებრივი ანალიზის შემდეგ, შესაძლებელია კვლევის შედეგების შეჯამება და შესავალში დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა. დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართლის მთავარი ამოცანაა ფართომასშტაბიანი, სისტემატური და სისტემური საერთაშორისო დანაშაულების ჩადენაში ბრალდებული საიდუმლო ლიდერების სისხლისსამართლებრივი დევნა, პირველ რიგში, როგორც დანაშაულის ამსრულებლებისა და მეორე რიგში, თუ ეს ამსრულებლობის პასუხისმგებლობის ფორმით ვერ ხერხდება, როგორც (თანა)მონაწილეებისა.¹¹⁰⁵ სწორედ ამ ფუნქციას ემსახურება საერთაშორისო სისხლის სამართლის ფარგლებში საერთაშორისო სამართლის მიერ შექმნილი „მართლმსაჯულების ახალი არქიტექტურა“ ICC-ის სახით,¹¹⁰⁶ სისხლის სამართლის განსაკუთრებული მონაწილეობით.¹¹⁰⁷ იგი ასევე ეხმარება ეროვნულ სისხლის სამართალს, დამოუკიდებლად უზრუნველყოს საერთაშორისო დანაშაულზე ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის დაფუძნება.¹¹⁰⁸ კერძოდ, საერთაშორისო სისხლის სამართალი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის შექმნით ეროვნულ სისხლის სამართალს სთავაზობს პრაქტიკაში აპრობირებულ მიდგომას, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია ფართომასშტაბიანი, სისტემატური და სისტემური დანაშაულების დამოუკიდებელი გამოძიება და კონკრეტული პირების სისხლისსამართლებრივი დევნა. ასეთ შემთხვევაში, საერთაშორისო სისხლის სამართალი მხოლოდ ზედამხედველობის ფუნქციას ასრულებს.¹¹⁰⁹ არსებითი სისხლისსამართლებრივი ხარვეზის გამოვლენისას იგი პირდაპირ „ინტერვენციას“ ახორციელებს ეროვნულ სისხლის სამართალში, ე.წ. კომპლემენტარულობის პრინციპის ამოქმედებით.¹¹¹⁰

სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების პრევენციული საერთაშორისო „მექანიზმი“ საერთაშორისო სისხლის სამართლის, კერძოდ, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კონცეფციის სახით, ამართლებს მისი შექმნის უმთავრეს იდეას – აღსრულების პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმებით პოლიტიკური და სამხედრო ლიდერების სისხლისსამართლებრივ დევნას.¹¹¹¹ სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სწორ პოლიტიკაზე საერთაშორისო სისხლის სამართალია პასუხისმგებელი, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის ხარვეზიანი სამართლის პოლიტიკის პრევენციულ „მექანიზმს“ წარმოადგენს. ვინაიდან ინდივიდუალური პასუხისმგებლობის

¹¹⁰⁵ იხ. I, IX და X თავები.

¹¹⁰⁶ იხ. V თავი.

¹¹⁰⁷ იხ. I, II, VIII, IX, X, XI და XII თავები.

¹¹⁰⁸ იხ. XIII თავი.

¹¹⁰⁹ იხ. იქვე.

¹¹¹⁰ იხ. I, II, III, IV და V თავები.

¹¹¹¹ იხ. VIII, IX, X, XI და XII თავები.

დაფუძნება სისხლის სამართლის განსაკუთრებული მონაწილეობით ხდება, საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების „კანონიერებაზე“, უპირველეს ყოვლისა, სისხლის სამართალია პასუხისმგებელი. მხოლოდ კანონიერი, სისხლის სამართლის პრინციპებზე დამყარებული მართლმსაჯულება უზრუნველყოფს მშვიდობას, უშიშროებასა და კეთილდღეობას.¹¹¹²

სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების „კანონიერებაზე“, საერთო ჯამში, გავლენას ახდენს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართალში არსებული არსებითი ხარვეზები.¹¹¹³ არსებით ხარვეზებს, უმეტესწილად, წარმოშობს სისხლის სამართლის უმთავრესი პრინციპების უგულებელყოფა, მათი არასრულფასოვანი შესრულება, კერძოდ, ხარვეზიანი სისხლის სამართლის პოლიტიკა. ამის კარგი მაგალითია XX საუკუნე, *ვერსალის, ლაიფცივის, ნიურნბერგის, ტოკიოს, პოსტ-ნიურნბერგის*, ყოფილი *იუგოსლავიისა და რუანდის* მოვლენები,¹¹¹⁴ მათ შორის, სისხლის სამართლის ჰიბრიდული მართლმსაჯულების განხორციელების წინარე მოვლენები¹¹¹⁵ და აფრიკის სხვადასხვა სიტუაცია¹¹¹⁶. ეროვნული სისხლის სამართალი, „სუბიექტური მიზეზების“ გამო, თითქმის ყველა შემთხვევაში ადნიშნულ შემთხვევაში უძლური იყო სათანადო სისხლისსამართლებრივი ზომების გასატარებლად.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კონცეფცია, როგორც საერთაშორისო სისხლის სამართლის *sui generis* საკითხი, სისხლის სამართლის ეფექტურ მუშაობაზეა დამოკიდებული. კერძოდ, საერთაშორისო მართლმსაჯულების განსახორციელებლად ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სწორ პოლიტიკას სისხლის სამართლის პრევენციული და რეპრესიული ფუნქცია უზრუნველყოფს. ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი კონცეფციის შექმნით საერთაშორისო სისხლის სამართალი ქმნის დოგმატიკას, სისხლის სამართლის ზოგად ნაწილს, რომელსაც დაეყრდნობა სისხლის სამართალი საერთაშორისო მართლმსაჯულების განხორციელებისას. ვინაიდან სისხლის სამართალს ფართომასშტაბიან, სისტემატურ და სისტემურ დანაშაულებთან ბრძოლა საერთაშორისო დოგმატიკის გარეშე არ შეუძლია, ამ მხრივ, სწორედ, საერთაშორისო სამართალთან კომბინაცია ხდის მას უფრო მოქნილს.¹¹¹⁷

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კონცეფციის ერთ-ერთი უმთავრესი სისხლისსამართლებრივი პრინციპი, რომლის ირიბი უარყოფაც არსებით ბზარს უქმნის სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების „კანონიერებას“, ეს არის ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი. საერთაშორისო სისხლის სამართალში, ისევე

¹¹¹² იხ. I თავი.

¹¹¹³ იხ. I და II თავები.

¹¹¹⁴ იხ. III და IV თავები.

¹¹¹⁵ იხ. IV თავი.

¹¹¹⁶ იხ. V თავი.

¹¹¹⁷ იხ. შესავალი და XIII თავი, §4.2.

როგორც ეროვნულსამართლებრივ სისტემებში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაფუძნებულია კონკრეტული პირის, ინდივიდის დანაშაულში მონაწილეობაზე, წვლილზე. პირი ინდივიდუალურად უნდა იკიცხებოდეს. სისხლის სამართალში ინდივიდი არის ის, ვისაც ერა ცხება კონკრეტული დანაშაულებრივი შედეგი და ეკისრება სასჯელი. არავინ შეიძლება სისხლისსამართლებრივად იქნეს პასუხისმგებელი კონკრეტული ქმედების გამო, რომელშიც მას უშუალოდ ან სხვა რაიმე ფორმით არ მიუღია მონაწილეობა. დანაშაულში ინდივიდუალური ბრალეული მონაწილეობის მტკიცება მხოლოდ სისხლის სამართლის ექსკლუზიური ვალდებულებაა. მიიმე სანქციის შეფარდებისას უნდა დამტკიცდეს დანაშაულის კონკრეტული ინდივიდუალური ბრალეულობა, თუ რაში გამოიხატა მისი „სისხლისსამართლებრივი წვლილი“.¹¹¹⁸

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრეცედენტული სამართალი ცხადყოფს, რომ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების საკითხი წმინდა სისხლის სამართლის „თემაა“. ამაზე მეტყველებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მატერიალური და მენტალური ელემენტების შინაარსი.¹¹¹⁹

საერთაშორისო სისხლის სამართალი ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას *stricto sensu* აფუძნებს საერთაშორისო სამართალში, რაც ხელს არ უშლის საერთაშორისო სამართალს დამოუკიდებლად იმუშაოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე.¹¹²⁰ საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართლის ფარგლებში ავითარებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დეფინიციას, იმის ხაზგასმით, რომ მხოლოდ სახელმწიფო არაა პასუხისმგებელი საერთაშორისო მართლწესრიგისათვის.¹¹²¹

საერთაშორისო დანაშაულების დროს, უმეტესწილად, მისი კოლექტიური ბუნების გამო, შეუძლებელია ერთი კრიმინალური აქტის განსხვავება მეორისაგან. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნებამდე უნდა იყოს შესწავლილი დანაშაულის გამომწვევი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ფონი, ინდივიდის წვლილი დანაშაულის ჩადენაში, შედეგის დადგომაში. თუ რომელს ჰქონდა უფრო დიდი *de facto* თუ *de jure* გავლენა და ძალაუფლება დანაშაულის ჩასადენად, ვინ მოქმედებდა ჯგუფის სახელით, სხვა პირის მეშვეობით და ვინ იხენდა უმოქმედობას დანაშაულის ჩადენისას. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, დაეკისრება იმას,

¹¹¹⁸ იხ. I თავი.

¹¹¹⁹ იხ. VIII, IX, X, XI და XII თავები.

¹¹²⁰ იხ. *რომის სტატუტის* 25(4)-ე მუხლი.

¹¹²¹ იხ. I და II თავები.

ვინც იყო გადაწყვეტილების მიმღები დაჯგუფების, გაერთიანების, ორგანიზაციის ფარგლებში.¹¹²²

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ისტორია ცხადყოფს სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების, ზოგადად, საერთაშორისო სისხლის სამართლის მნიშვნელობას.¹¹²³ განსაკუთრებით, *ვერხალის* ხელშეკრულება, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ბოლო მოუღო ევროპაში ომის დანაშაულებისათვის დაუსჯელობის გრძელვადიან პრაქტიკას და ბოლომდე ვერ მიიყვანა I მსოფლიო ომის დანაშაულების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი. ასევე, *ლაიფციგის* პროცესი, საერთაშორისო თანამეგობრობის შემდგომი იმედგაცრუებაა, რა დროსაც ვერ მოხერხდა I მსოფლიო ომში ჩადენილი დანაშაულებისთვის გერმანელთა დასჯა.¹¹²⁴

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართლის განსაკუთრებულ წყაროს *ნიურნბერგისა* და *ტოკიოს* ტრიბუნალების სამართალი წარმოადგენს, საიდანაც დაიწყო საერთაშორისო სისხლის სამართლის საერთაშორისო სამართლისგან დამოუკიდებელი მოქმედება. სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის პარალელურად, პირველად, მკაფიოდ დამკვიდრდა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პოლიტიკა, რომ ბრალი – ეს არის პერსონალური – საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს სხადიან ადამიანები და მხოლოდ ინდივიდთა დასჯით არის შესაძლებელი საერთაშორისო მშვიდობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების მიღწევა. *ნიურნბერგის ტრიბუნალი* იყენებდა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ერთიანი ამსრულებლობის პრინციპს და ამსრულებლობა-თანამონაწილეობის პრინციპის ნაცვლად ეყრდნობოდა დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობისა და საერთო მიზნის განხორციელების ცნებებს. მიუხედავად იმისა, რომ *ნიურნბერგის ტრიბუნალის* იურისდიქცია ვრცელდებოდა დანაშაულებრივ ორგანიზაციებზეც, ეს არ გულისხმობდა კოლექტიურ პასუხისმგებლობას მხოლოდ წევრობისათვის – ისჯებოდა დანაშაულებრივ ორგანიზაციაში აქტიური მონაწილეობა. *ტოკიოს* სამართალმა გაამყარა *ნიურნბერგ* ში ჩამოყალიბებული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი, უმნიშვნელო მოდიფიკაციებით.¹¹²⁵

ნიურნბერგისა და *ტოკიოს* პროცესების შემდეგ ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა საკონტროლო საბჭოს №10 კანონით გამართულმა სასამართლო პროცესებმა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრეცედენტული სამართალი გაამდიდრა. კერძოდ, გამოკვეთა დანაშაულის შეთქმულების, „საერთო მიზნისა“ და დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობის ინდივიდუალური სისხლისსმართლებრივი პასუხისმგებლობის დოქტრინები,¹¹²⁶ რომლებზე დაყრდნობითაც შეიქმნა

¹¹²² იხ. II თავი.

¹¹²³ იხ. III, IV და V თავები.

¹¹²⁴ იხ. იქვე, §3.1. და §3.2.

¹¹²⁵ იხ. იქვე, §4 და §5.

¹¹²⁶ იხ. იქვე, §6 და §7.

ახალი კონცეფციები.¹¹²⁷ *პოსტ-ნიურნბერგისეულმა* ეტაპმა დაგვანახა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ორიენტირებული იყო არა მხოლოდ კონკრეტული პირების დასჯაზე, არამედ დასჯადობის პრეცედენტის შექმნაზე.

ნიურნბერგის პრინციპების კოდიფიკაციამ *jus cogens* სტატუსით საერთაშორისო სისხლის სამართალში კოლექტიურ ბრალთან დაკავშირებით ყველა კითხვას გასცა პასუხი. პირველივე პრინციპით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაფუძნდეს მხოლოდ ინდივიდების მიერ ჩადენილ ქმედებაზე.¹¹²⁸ ეს პრინციპი დღემდე „მკაცრად“ დაცულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების სტატუტებსა და პრეცედენტებში.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების უახლესი მოდელი სისხლის სამართლის საერთაშორისო *ad hoc* და *ჰიბრიდულმა* ტრიბუნალებმა შექმნეს. დროებითი ტრიბუნალების მოდელმა, რომელსაც გააჩნდა გადაწყვეტილების მიღების, იძულებითი ზომების გამოყენებისა და სადამსჯელო ზომების გატარების ძალაუფლება, გასაჩივრების უფლების (სააპელაციო პალატის) არსებობით, სამართლებრივი, პოლიტიკური და დიპლომატიური თვალსაზრისით გაამართლა. *ჰიბრიდული* ტრიბუნალების მეშვეობით საერთაშორისო სისხლის სამართალმა მოახდინა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის იმპლემენტაცია სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის სისტემაში, ეროვნულ სისხლის სამართალთან ერთად კომბინირებული მოქმედებით.¹¹²⁹

დღესდღეობით, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრეცედენტული სამართალი ვითარდება ICC-ის მიერ მისი რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მიზნით. სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების განვითარების ისტორიული ექსკურსი პირდაპირ მიანიშნებს ICC-ის მნიშვნელობას. კერძოდ, XXI საუკუნის საერთაშორისო თანამეგობრობის მდგომარეობა, განსაკუთრებით, აფრიკის კონტინენტის სხვადასხვა სიტუაცია, სადაც ეროვნული მართლმსაჯულება თითქმის ყველა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში უძლური იყო გაეტარებინა აუცილებელი სისხლისსამართლებრივი დონისძიებები ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად.¹¹³⁰

ICC ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრეცედენტული სამართლის რეკონსტრუქციას ახდენს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კონკრეტული დოქტრინების შექმნით, რა დროსაც, ერთი მხრივ, ეყრდნობა ICTY-ის მიერ ჩამოყალიბებულ ძირითად პრინციპებს და, მეორე მხრივ, ნოვაციური თეორიების მეშვეობით გერმანულ სისხლისსამართლებრივ

¹¹²⁷ იხ. VIII და XII თავები.

¹¹²⁸ იხ. იქვე, §8, §9, §10 და §11.

¹¹²⁹ იხ. IV თავი.

¹¹³⁰ იხ. V თავი.

დოგმატიკაზე დაყრდნობით, ახალ ინტერპრეტაციას აძლევს რომის სტატუტის ნორმებს.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული ცნება – *nullum crimen sine lege* პრინციპის – გათვალისწინებით, გაველენას ახდენს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის შინაარსზე. ორივე *ad hoc* ტრიბუნალის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული ცნება ანგლოამერიკულ სისხლის სამართალს, *ნიურნბერგის ტრიბუნალის* მსგავსად, ერთიანი ამსრულებლობის პრინციპს ეყრდნობოდა. შესაბამისად, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინაც ანგლოამერიკული ხასიათისაა, განსხვავებით ICC-ის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული ცნებისგან, რომელიც კონტინენტურეგროპულ სისხლის სამართალს ეყრდნობა. *რომის სტატუტის* 25-ე მუხლი, პოზიტიურად, ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის სახეებს გამოყოფს. მეთაურის პასუხისმგებლობა 28-ე მუხლში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამატებით ფორმას წარმოადგენს.¹¹³¹

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახეებს მოქნილს ხდის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის ცნება, რომელიც გულისხმობს კონკრეტული პასუხისმგებლობის სტატუტისეული ცნებისა და მასზე არსებული პრეცედენტული სამართლის ერთობლიობას. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართლის კვლევამ რამდენიმე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინა გამოკვეთა. კერძოდ, *JCE*-ის, თანამსრულებლობის, არაპირდაპირი ამსრულებლობის, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობისა და მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინები.¹¹³²

JCE-ის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კონცეფცია თავისი შინაარსით რეკოლუციური და პირდაპირ შედეგზე ორიენტირებულია. მისი მთავარი მაკვალიფიცირებელი ელემენტია სისტემური დანაშაულის საერთო გეგმა, მიზანი, რაც დაჯგუფების ყველა წევრს აკავშირებს.¹¹³³ ამ მხრივ, როგორც თანამსრულებლობის პასუხისმგებლობის ფორმა,¹¹³⁴ *JCE* ბრალდების მხარისთვის არის პირდაპირი გასასვლელი კონკრეტულ ინდივიდებზე¹¹³⁵, კერძოდ, ხელმძღვანელ პირთა დიდ და კომპლექსურ საქმეებზე,¹¹³⁶ რა დროსაც დანაშაულში არაპირდაპირი მონაწილეობაც საკმარისია¹¹³⁷. *JCE*, ფაქტობრივად, ნაკლები მტკიცებულებებით ასაბუთებს ინდივიდუალურ ბრალს – *JCE*-ის წევრობა გაიგივებულია დანაშაულის ჩადენასთან.¹¹³⁸

¹¹³¹ იხ. VI თავი.

¹¹³² იხ. VII თავი.

¹¹³³ იხ. VIII თავი.

¹¹³⁴ იხ. იქვე, §5 და §7.

¹¹³⁵ იხ. იქვე, §6.

¹¹³⁶ იხ. იქვე, §8.

¹¹³⁷ იხ. იქვე, §10.

¹¹³⁸ იხ. იქვე, §1, §2, §4 და §12.

ერთი შეხედვით, *JCE*-ის მაკვალიფიცირებელი ობიექტური ელემენტები ჰგავს ეროვნული სისხლის სამართლის ჯგუფური დანაშაულისა თუ თანამონაწილეობის ცნებას¹¹³⁹, თუმცა, მთელი განსხვავება მის სუბიექტურ ელემენტებშია, განსაკუთრებით, *გაერცობილ JCE*-ში¹¹⁴⁰. ამ მესამე კატეგორიის დროს ქმედება ხორციელდება დაჯგუფების მიზნის გარეთ, მაგრამ გამომდინარეობს შედეგიდან, რაც ეწინააღმდეგება სისხლის სამართალში თანაამსრულებლობის სისტემურ ცნებას.¹¹⁴¹

JCE სისხლის სამართალთან პრინციპულ წინააღმდეგობაშია მისი არასტატუტისეული წარმომავლობის – *nullum crimen sine lege* პრინციპთან შეუსაბამობის გამო. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ობიექტური და სუბიექტური გარემოებები საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში არაპირდაპირ იქნა მოძიებული ფართო ინტერპრეტაციის მეთოდის გამოყენებით.¹¹⁴² *JCE* ეწინააღმდეგება ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც, პირის ბრალეულობა უნდა იყოს დანაშაულში კონტრიბუციის ადეკვატური – პირდაპირი მნიშვნელობით, დანაშაულის დამხმარის ბრალის ხარისხი უნდა განსხვავდებოდეს დანაშაულის მთავარი შემოქმედის ბრალის ხარისხისგან. ასეთ მიდგომას მის შინაარსში ვერ ვხედავთ.¹¹⁴³ მიუხედავად იმისა, რომ იყო *JCE*-ის ფართო ბუნების შეზღუდვის მცდელობა¹¹⁴⁴, *ICC*-ის გადაწყვეტილებამდე ეს ვერ მოხერხდა.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ბირთვს ამსრულებლობის დოქტრინა წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს თანამონაწილეთა დასჯადობასაც. *ICC*-ის პრეცედენტულ სამართალში დაფუძნებული თანაამსრულებლობის, არაპირდაპირი ამსრულებლობისა და არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინებმა მაქსიმალურად გამოასწორა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართალში *JCE*-ის ხარვეზები. კერძოდ, *დანაშაულზე-ორგანიზაციაზე კონტროლის* კონცეფციის დაფუძნებითა და მენტალური ელემენტების ზუსტი ფორმულირებით, ახალმა დოქტრინებმა უფრო კარგად, სისხლის სამართლის პრინციპებთან პრაგმატულ კავშირში დაასაბუთა დანაშაულში მონაწილეობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. დანაშაულის მატერიალურ ელემენტებს ასრულებს არა მხოლოდ უშუალო ამსრულებელი, არამედ ვინც კონტროლს ან საიდუმლო ლიდერობას უწევს დანაშაულის მსვლელობას. *დანაშაულზე-ორგანიზაციაზე კონტროლის* მქონე პირს, შესაძლებელია, უფრო მეტი *de facto* ძალაუფლება ჰქონდეს, ვიდრე ქვეყნის პრეზიდენტს, რომელიც კრიმინალური დაჯგუფების აქტიური მონაწილეა.¹¹⁴⁵

¹¹³⁹ იხ. იქვე, §4.1.1.

¹¹⁴⁰ იხ. იქვე, §4.1.2.

¹¹⁴¹ იხ. იქვე, §4.1.2.3. და §12.

¹¹⁴² იხ. იქვე, §4.

¹¹⁴³ იხ. იქვე, §12.

¹¹⁴⁴ იხ. იქვე, §9.

¹¹⁴⁵ იხ. IX თავი.

დანაშაულზე-ორგანიზაციაზე კონტროლის კონცეფცია, JCE-ისთან შედარებით, არგუმენტირებულად მიჯნავს ამსრულებელს თანამონაწილისგან – თუ ვინ არის უფრო მეტად პასუხისმგებელი.¹¹⁴⁶ თუ თანაამსრულებლობის დოქტრინისას დანაშაულზე კონტროლის მქონე რამდენიმე ადამიანი მოქმედებს კოორდინირებულად მათზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად,¹¹⁴⁷ არაპირდაპირი ამსრულებლობის დოქტრინისას *ორგანიზაციაზე კონტროლის* მქონე პირი სხადის დანაშაულს ორგანიზებული აპარატის მეშვეობით, სადაც პირდაპირი და არაპირდაპირი ამსრულებლები მოქმედებენ, აპარატის წევრები კარგავენ დამოუკიდებელი ამსრულებლის როლს და მოიაზრებიან უბრალო წევრებად „ორგანიზაციაში“. პირდაპირი ამსრულებელი დანაშაულის მატერიალურ და მენტალურ ელემენტებს ასრულებს, ხოლო არაპირდაპირი ამსრულებელი ახორციელებს კონტროლს პირდაპირ ამსრულებელზე „ორგანიზაციის“ მეშვეობით.¹¹⁴⁸

არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა „ჰიბრიდულად“, ორი მიმართულებით მოქმედებს – ჰორიზონტალური (თანაამსრულებლობა) და „ვერტიკალური“ (არაპირდაპირი ამსრულებლობა).¹¹⁴⁹ მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ასეთი ფორმა „არაპირდაპირ“ არსებობდა *ad hoc* ტრიბუნალების პრეცედენტულ სამართალში¹¹⁵⁰, იგი ნოვატორულია საერთაშორისო სისხლის სამართალში, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი დოქტრინის სახით. არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა ჰგავს JCE-ის (კერძოდ, *გავრცობილ JCE-ს*) – არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინის მეშვეობით რამდენიმე მაღალი რანგის თანაამსრულებელი სხადის დანაშაულს „შუამავლების“ მეშვეობით, რომლებიც არ არიან საერთო გაერთიანების წევრები. მისი მიზანია დანაშაულის ჩადენის ადგილს და დანაშაულის მატერიალურ ელემენტებს მოშორებული მაღალი რანგის თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივი დევნა. ასევე, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა იძლევა *ვეენტუალური განზრახვის* დაშვების შესაძლებლობას. ბრალდებულს შეუძლია ვირტუალური ძალაუფლების აპარატის გამოყენებით დანაშაული ჩაიდინოს ერთ-ერთი თანაამსრულებლის მეშვეობით, კერძოდ, ბრალდებული ისჯება იმ ქმედების გამო, რომელსაც იგი პერსონალურად არ მართავდა, მას შეგნებული აქვს ის რისკი, რომ მის ქმედებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს დანაშაულის მატერიალური ელემენტების რეალიზაცია. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ICC-ის პრაქტიკა სხვა მიმართულებით წავიდა *ვეენტუალური განზრახვის* მენტალური ელემენტის გამორიცხვით, დღესდღეობით, ამ მხრივ, ორივე დოქტრინა განსხვავდება ერთმანეთისგან.¹¹⁵¹ არაა

¹¹⁴⁶ იხ. იქვე, §2.3.1., §2.3.2. და §3.4.1.

¹¹⁴⁷ იხ. იქვე, §2, §6.2. და §6.3.

¹¹⁴⁸ იხ. იქვე, §3, §6.4. და §6.5.

¹¹⁴⁹ იხ. იქვე, §4, §6.6. და §6.7.

¹¹⁵⁰ იხ. იქვე, §6.6.1.

¹¹⁵¹ იხ. იქვე, §5.2., §5.3., §6.7. და §6.9.

გამორიცხული მომავალში ICC-მ დახვეწოს არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მენტალური ელემენტის შინაარსი – *კვენტუალური განზრახვის* პირდაპირი აღიარებით ან *პირდაპირი განზრახვის* ფარგლებში *მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის* ცნების ფართო ინტერპრეტაციით. ეს მის სისხლის სამართლის პოლიტიკაზეა დამოკიდებული. პირდაპირ რთულია ფართო კრიტიკის შემცველი ცნების – JCE-ის „ლეგიტიმაცია“, რაც მის რეპუტაციას დიდ დარტყმას მიაყენებს, ვინაიდან ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართალი ისევ სისხლის სამართლის პრინციპებთან არსებით წინააღმდეგობაში მოვა. თანაამსრულებლობისა და არაპირდაპირი ამსრულებლობის დამოუკიდებლად არსებობისას აღსანიშნავია, რომ არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინის დამოუკიდებელი არსებობა ნაკლებად აუცილებელია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართალში.¹¹⁵²

რაც შეეხება, ზოგადად, ამსრულებლობის მენტალურ ელემენტებს,¹¹⁵³ ICC-ის მიერ *კვენტუალური განზრახვის* გამორიცხვა პირდაპირ წინააღმდეგობაშია საერთაშორისო სისხლის სამართლის მიზნებთან. ასეთი სტანდარტი პრეცედენტულ სამართალში დიდი წინააღმდეგობისა და ინტერპრეტაციის საგანი გახდება. საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართალი ჰარმონიულ კავშირში უნდა იყოს პროცესუალურ ნაწილთან, დამატებითი „სამართლებრივი“ წინააღმდეგობების თავიდან აცილების მიზნით. საერთაშორისო სისხლის სამართლის ზოგადმა ნაწილმა უნდა გაითვალისწინოს ბრალდების მტკიცების ტვირთი – ფართომასშტაბიანი, სისტემატური და სისტემური დანაშაულების დროს ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის დასაბუთება. ასეთი მკაცრი სტანდარტის დადგენას ეროვნული სისხლის სამართალიც „ერიდება“. *კვენტუალური განზრახვის* სტანდარტის არსებობა არ ნიშნავს მტკიცების სტანდარტის შემსუბუქებას. იგი *განზრახვის* სახეა. მნიშვნელოვანია, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაბუთება მოხდეს კანონიერებისა და ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპების მაქსიმალური დაცვითა და ამსრულებლობის დოქტრინების „ფრთხილი“ გამოყენებით. ორივე პრინციპის მოქმედება მკაცრად უნდა გაკონტროლდეს.

ICC-ის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუსისეული ცნებისა და პრეცედენტული სამართლის მიხედვით, თანამონაწილეობა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამატებით ფორმას წარმოადგენს ამსრულებლობის – პასუხისმგებლობის ძირითადი ფორმის შემდეგ. თანამონაწილეს, რომელიც დანაშაულში „მეორე ხარისხის“ მონაწილეა, არ გააჩნია *დანაშაულზე კონტროლის* შესაძლებლობა, ახორციელებს დანაშაულში არა არსებით კონტრიბუციას, არამედ *სუბსტანციურ კონტრიბუციას*.¹¹⁵⁴

¹¹⁵² იხ. იქვე, §6.8.
¹¹⁵³ იხ. იქვე, §5.
¹¹⁵⁴ იხ. X თავი.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების პრეცედენტულ სამართალში ბოლომდე გასაზიარებელი არაა ICC-მდე დანაშაულის დაგეგმვასთან დაკავშირებით დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც დანაშაულის დაგეგმვა თანამონაწილეობის ფორმად კვალიფიცირდებოდა. თუ დანაშაულის დაგეგმვა *სუბსტანციურ ეფექტს* იწვევს, საერთო ჯამში, დანაშაულებრივი შედეგის დადგომაში, ასეთი მონაწილე უკვე ამსრულებელია, კერძოდ, თანაამსრულებელი, რომელიც გულისხმობს *არსებით კონტრიბუციას* დანაშაულის ჩადენამდე.¹¹⁵⁵ *სუბსტანციურ კონტრიბუციას* კი ახორციელებს ძალაუფლების მქონე პირი, რომელიც ბრძანების ან ინსტრუქციების გაცემით არწმუნებს, აიძულებს ან იყოლიებს სხვას დანაშაულის ჩასადენად. ასეთი თანამონაწილე არის ორგანიზებული ძალაუფლების სტრუქტურის წევრი და არა ამ *ორგანიზაციაზე კონტროლის* მქონე პირი, რომელიც სხვას აქეზებს ან ეხმარება დანაშაულის მატერიალური ელემენტების შესრულებაში.¹¹⁵⁶

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ სახეს წარმოადგენს დანაშაულში საერთო მიზნით მოქმედი დაჯგუფების დახმარება, იგივე თანამონაწილეობის ე.წ. რეზიდუალური („სარეზერვო“) ფორმა. ასეთ დახმარებას ახორციელებს დანაშაულში *მნიშვნელოვანი კონტრიბუციის* მქონე პირი, რომელიც თავისი ქმედებით გავლენას ახდენს დანაშაულის გამომწვევ გარემოებებზე ან/და მისი ჩადენის საშუალებაზე. დანაშაულში თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის რეზიდუალურ ფორმაში იგულისხმება დანაშაულებრივ ორგანიზაციაში პატარა, თუმცა *მნიშვნელოვანი კონტრიბუცია*.¹¹⁵⁷

დანაშაულში კონტრიბუცია *არსებითია*, *სუბსტანციური* თუ *მნიშვნელოვანი* ეს დამოკიდებულია კონკრეტულ საქმეზე, თუ რამდენად ჰქონდა ინდივიდს დიდი თუ პატარა ეფექტის მოხდენის შესაძლებლობა დანაშაულის ჩადენაზე.

მეთაურის პასუხისმგებლობის კონცეფცია საერთაშორისო სისხლის სამართალში უმოქმედობისათვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ექსკლუზიურ – *sui generis* – დოქტრინას წარმოადგენს. იგი, JCE-ის მსგავსად, საერთაშორისო სისხლის სამართლის მიერ შექმნილი კონცეფციაა, რომლის ანალოგი ეროვნულსამართლებრივ სისტემაში არ მოიპოვება. აღნიშნული ცნება სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს მეთაურებზე – როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო პირებზე, საერთაშორისო დანაშაულების თავიდან აცილების განუხორციელებლობის, მათი არასათანადო კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მეთაურის პასუხისმგებლობა *რომის სტატუტის* 25-ე მუხლში მითითებული პასუხისმგებლობის სახეებისგან დამოუკიდებლად, 28-ე მუხლშია მოცემული, იგი ორგანულად 25-ე მუხლის ნაწილია – იგი ინდივიდუალური

¹¹⁵⁵ იხ. იქვე, §1.

¹¹⁵⁶ იხ. იქვე, §2, §3, §4 და §5.

¹¹⁵⁷ იხ. XI თავი.

პასუხისმგებლობის დამატებით სახეს წარმოადგენს.¹¹⁵⁸ ამსრულებლობისა და მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინებს შორის კონკურენციისას უპირატესობა პირველს ენიჭება. იგი აქცესორული ხასიათისაა.¹¹⁵⁹

მეთაურის პასუხისმგებლობისთვის დაწესებულია *ეფექტიანი კონტროლის* სტანდარტი, რომელიც გულისხმობს დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებისა და სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელების მატერიალურ შესაძლებლობას.¹¹⁶⁰ იგი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სხვა სახეებისგან განსხვავდება უმოქმედობის მატერიალური და *გულგრილობა-დაუდევრობის* მენტალური ელემენტებით. აღნიშნული დოქტრინის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ მეთაური.¹¹⁶¹ ასეთი ელემენტებით იგი ფუნდამენტურად განსხვავდება *JCE*-ისგან.¹¹⁶²

როდესაც სისხლის სამართალი უსვამს კითხვას მეთაურს – „რა მოხდა?“ და იღებს პასუხს – „არ ვიცოდი და საიდან უნდა მცოდნოდა, რა ხდებოდა“, მეთაურის პასუხისმგებლობის კონცეფცია ასეთი პასუხის (უმოქმედობის) შემოწმების იდეალური საშუალებაა.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამსრულებლობა-თანამონაწილეობის სახით დანაშაულში მონაწილეობის ფორმების კატეგორიზაციას სასჯელის სიმძიმის განსაზღვრავად. საქართაშორისო სისხლის სამართალში ამსრულებლობა-თანამონაწილეობის „მკაცრ“ მოდელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. კერძოდ, *სამართლიანი მარკირების*, იმავე *სამართლიანი პასუხისმგებლობის* პრინციპის, „ბრალებულობის იერარქიისა“ და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ნორმის სტრუქტურიდან გამომდინარე, ამსრულებელი უნდა გაიმიჯნოს თანამონაწილისგან, იმის დასადგენად, თუ ვინ იყო უფრო მეტად პასუხისმგებელი.¹¹⁶³ ამ მხრივ, *რომის სტატუტი* მყარად ეყრდნობა დანაშაულში მონაწილეობის გერმანულ „მკაცრ“ მოდელს, რომელიც გამოყოფს ძირითადი (ამსრულებლობა) და დამატებითი (თანამონაწილეობა) პასუხისმგებლობის სახეებს. აღნიშნული სახეების გასამიჯნავად გამოიყენება *ქმედებაზე ფუნქციონალურ-ორგანიზაციული ბატონობის* თეორია, იმის დასადგენად, თუ ვინ იყო მთავარი დამნაშავე.¹¹⁶⁴ ამ მოდელისგან განსხვავებით, ანგლოამერიკული მოდელი ემხრობა დანაშაულში მონაწილეობის „მსუბუქ“ მოდელს, რომლის მიხედვითაც, დანაშაულში მონაწილე ყველა პირი დანაშაულის (თანა)შემსრულებელია – ამსრულებელია მხოლოდ ის პირი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას, დანარჩენი – თანამონაწილეები.¹¹⁶⁵

¹¹⁵⁸ იხ. XII თავი.

¹¹⁵⁹ იხ. იქვე, §6.4.

¹¹⁶⁰ იხ. იქვე, §4.1.2., §4.1.3. და §4.1.4.

¹¹⁶¹ იხ. იქვე, §4.1., §4.2. და §6.

¹¹⁶² იხ. იქვე, §6.3.

¹¹⁶³ იხ. XIII თავი.

¹¹⁶⁴ იხ. იქვე, §2.1.

¹¹⁶⁵ იხ. იქვე, §2.2.

ანგლოამერიკული მოდელიც საერთაშორისო სისხლის სამართლისთვის კარგად ნაცნობია. იგი გამოიყენებოდა ICC-მდე, კერძოდ, *ad hoc* ტრიბუნალების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართალში.¹¹⁶⁶

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სამართლიანად უნდა პასუხობდეს კანონის დარღვევის სიმძიმეს. სამართალი რაც შეიძლება ზუსტად უნდა აღწერდეს პირის მონაწილეობის ხარისხს სასჯელის შეფარდების პროპორციულობისათვის.¹¹⁶⁷ ასეთი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისათვის, რომლის მთავარი მიზანი *საიდუმლო ლიდერების* ბრალეულობის ნათელი წარმოჩენაა. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი, უმეტესწილად, „პირველი დონის დამნაშავეა“, მაღალი პოლიტიკური ან სამხედრო თანამდებობის პირი, რომელიც სახელმწიფოს აპარატისა და ხელქვეითების მეშვეობით ახდენს მასშტაბური (საერთაშორისო) დანაშაულების „ლეგალიზაციას“.¹¹⁶⁸ ბრალდებულის დანაშაულში მონაწილეობის ფორმა და დონე უნდა იყოს გათვალისწინებული სასჯელის შეფარდების პროცესში დანაშაულის სიმძიმისა და სასჯელის განსასაზღვრავად.¹¹⁶⁹ *ორგანიზაციაზე კონტროლის* თეორია ამის ადეკვატური საშუალებაა. უნდა დადგინდეს დანაშაულში მონაწილეთა „ბრალეულობის იერარქია“, მით უფრო, როდესაც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მუხლის შინაარსი ორიენტირებულია დანაშაულში მონაწილეობის ფორმების კონკრეტიზაციისაკენ¹¹⁷⁰.

სისხლისსამართლებრივი ბრალეული პასუხისმგებლობა ყოველთვის ინდივიდუალურია. შესაბამისად, დანაშაულებრივი ქმედება განხორციელდება ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად (დაჯგუფების, „ორგანიზაციის“ მიერ), გავლენას ვერ მოახდენს ინდივიდუალური ბრალისა და კოლექტიური შერაცხვის ფორმაზე. დანაშაულში მონაწილეობის ფორმაზეა დამოკიდებული, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის რომელი სახით დაისჯება ინდივიდი – როგორც დანაშაულის ამსრულებელი თუ თანამონაწილე.¹¹⁷¹

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაბუთებისას, თუ პირს უფრო მეტი ბრალი მიუძღვის არაჰუმანურ სისასტიკეში, საერთაშორისო სისხლის სამართლისთვის პრინციპულად მიუღებელი უნდა იყოს ასეთი პირის თანამონაწილედ მიჩნევა. ერთი მხრივ, თუ პოზიტიური სამართალი დანაშაულში მონაწილეობის ფორმების მკაცრ კონკრეტიზაციას არ იძლევა, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ანგლოამერიკული მოდელის გამოყენება, როგორც ეს მოხდა უახლოეს წარსულში, მაგალითად, *ad hoc* და

¹¹⁶⁶ იხ. VIII თავი.

¹¹⁶⁷ იხ. XIII თავი, §4.1.

¹¹⁶⁸ იხ. VII თავი.

¹¹⁶⁹ იხ. იქვე, §6.

¹¹⁷⁰ იხ. იქვე, §7.

¹¹⁷¹ იხ. XIII თავი, §4.2.

პიბრიდული ტრიბუნალების შემთხვევაში. თუმცა, მეორე მხრივ, უფრო მეტად დამნაშავე პირის გამოვლენის მიზნით, როდესაც პოზიტიური სამართალი დანაშაულში მონაწილეობის ფორმებს მკაცრად მიჯნავს, საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისას გერმანული მოდელი ყველაზე ადეკვატური სასჯელის შეფარდების ფორმაა.¹¹⁷² გერმანული დოქტრინით, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნება თეორიულად არგუმენტირებული და პრაგმატულია. ეს საკითხი წმინდა სისხლისსამართლებრივად უნდა გადაწყდეს, საერთაშორისო სამართლის ინტერვენციის გარეშე. საერთაშორისო სისხლის სამართალი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნებისას უნდა გათავისუფლდეს საერთაშორისო საჯარო სამართლის სუბსიდიური ხასიათისაგან, იმის აღიარებით, რომ საერთაშორისო მოსამართლეები არიან სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი მოსამართლეები, რომლებიც წყვეტენ ქმედებათა მართლწინააღმდეგობასა და დანაშაულში მონაწილეთა ბრალეულობას – ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. მართლმსაჯულების განხორციელება, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა არ უნდა მოხდეს მხოლოდ საერთაშორისო სამართლებრივ დოგმატიკაზე დაყრდნობით, რომელიც სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის გამოიყენება.¹¹⁷³

თუ რამდენად ეფექტურია საერთაშორისო სისხლის სამართალი, ეს არის კითხვა, რომელიც უნდა დაისვას საერთაშორისო სამართლის მიმართ, ვინაიდან სწორედ საერთაშორისო სამართალია „პასუხისმგებელი“ სისხლის სამართლის მიერ მიღებული ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გადაწყვეტილების აღსრულებაზე.¹¹⁷⁴

საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესებში არ შედის „მთავარი დამნაშავის“ თანამონაწილედ, მეორე ხარისხის მონაწილედ გამოცხადება, როდესაც სისხლის სამართლის მთელი ახალი არქიტექტურა ასეთი მონაწილის პირველი ხარისხის დამნაშავედ დაფუძნების მიზნით შეიქმნა. სასჯელის შეფარდებისას განსაკუთრებული ყურადღებას უნდა მიექცეს დანაშაულში შეტანილ წვლილს.¹¹⁷⁵ დანაშაულის ჩადენა და ამსრულებლობა უნდა განიმარტოს ერთმნიშვნელოვნად.¹¹⁷⁶ დანაშაულის სიმძიმე არ უნდა შეფასდეს მხოლოდ ერთი მარტივი კონტრიბუციით, არამედ სხვადასხვა გარემოებით, რომელიც აღწერს „სიტუაციას“, არაპუმანურ სისასტიკეს.¹¹⁷⁷ მასშტაბურ დანაშაულებში რთულია მთავარი „შემოქმედის“ დადგენა. ამ შემთხვევაში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრებისას ვერ გამოვიყენებთ კონკრეტული ამსრულებლის ნებაზე ბატონობის თეორიას. როდესაც „ორგანიზებულ დანაშაულებრივ მანქანასთან“ გვაქვს საქმე, რომელსაც მართავს

¹¹⁷² იხ. იქვე, §4.

¹¹⁷³ იხ. იქვე, §6.

¹¹⁷⁴ იხ. იქვე.

¹¹⁷⁵ იხ. XIII თავი, §4.

¹¹⁷⁶ იხ. იქვე, §6.

¹¹⁷⁷ იხ. II თავი.

დანაშაულის ადგილზე არმყოფი „სავარძელში მჯდომი ამსრულებელი“, პირდაპირ ამსრულებელთა ნებაზე არაპირდაპირი ამსრულებლის ბატონობის მტკიცება თითქმის შეუძლებელია.¹¹⁷⁸ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ *ორგანიზაციაზე კონტროლის* მატერიალური ელემენტი არ უნდა იყოს გამოყენებული კანონიერებისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპების მოთხოვნის გასაქარწყლებლად, რომ ამით მოხდეს არასაკმარის მტკიცებულებათა გამოყენება ინდივიდუალური ბრალეულობის დასაფუძნებლად.

საერთაშორისო სისხლის სამართლის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ფორმულის გამოყენება, რომელიც უფრო და უფრო მოქნილი ხდება და ერგება თანამედროვე სტანდარტებს, სავსებით შესაძლებელია ეროვნული სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული საერთაშორისო დანაშაულის მიმართაც, როდესაც იგი კომპლექსურ ხასიათს იძენს, კერძოდ, მაღალი თანამდებობის პირების მიერ ფართომასშტაბიანი, სისტემატური და სისტემური საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისას. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინების იმპლემენტაცია ეროვნულ სისხლის სამართალში (საერთაშორისო დანაშაულების ნაწილში) შესაძლებელია სისხლის სამართლის ნებადართული ინტერპრეტაციის გზით, რაც თეორიულად და პრაგმატულად მისაღებია, თუ ამას მოითხოვს ეროვნული მართლმსაჯულების ინტერესები, იმის გათვალისწინებით, რომ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინები პრეცედენტული სამართლის მიერ შეიქმნა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის „აბსტრაქტულად განსაზღვრულ“ სტატუსისეულ ცნებაზე დაყრდნობით.¹¹⁷⁹

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო დოგმატიკის სფერო არანაკლებ ყურადსაღებია სისხლის სამართლის ქართული სისტემისათვის, რომელიც განიცდის გერმანული სისტემური აზროვნების ზეგავლენას და სტრუქტურულად განსხვავდება ანგლოამერიკული სისხლის სამართლის სისტემისაგან, რომ არაფერი ვთქვათ, ზოგადად ICC-ის, *რომის სტატუტის* განსაკუთრებულ როლზე ქართულ სისხლისსამართლებრივ სისტემაში.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კონცეფცია საერთაშორისო სისხლის სამართალში, გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, საერთო ჯამში, პროგრესულია. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართალი შეიცავს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილისთვის მნიშვნელოვან, ფუნდამენტურ ასპექტებს, რასაც წარმოდგენილი ნაშრომიც გვიჩვენებს. საერთაშორისო სისხლის სამართლის ფარგლებში საერთაშორისო სამართლის მიერ შექმნილი „მართლმსაჯულების ახალი ინფრასტრუქტურა“, სწორედ, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად არის შექმნილი. კვლევა გვიჩვენებს მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანოს არსებობის აუცილებლობას,

¹¹⁷⁸ იხ. IX თავი, §6.4.2.

¹¹⁷⁹ იხ. XIII თავი.

რომელიც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მოქნილი დოგმატიკის გარეშე შეუძლებელია.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისათვის გულისხმობს კონკრეტულ პირთა სისხლისსამართლებრივ დევნას „კოლექტიური ძალისხმევით“ ჩადენილი დანაშაულებისათვის. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნება უნდა განიმარტოს ფართოდ, როდესაც ბრალდებულს, თავისი *de facto* თუ *de jure* მდგომარეობიდან გამომდინარე, თავისუფლად შეეძლო გავლენა მოეხდინა დანაშაულებრივ შედეგზე. ორგანიზებული ძალაუფლების სტრუქტურის მიერ ჩადენილი დანაშაულები ერთიანად, ფართო მნიშვნელობით უნდა იყოს განხილული, როგორც ინდივიდუალური აქტი – სისხლის სამართლის უმთავრესი პრინციპების „ფრთხილი“ გამოყენებით.¹¹⁸⁰

საერთაშორისო სისხლის სამართლის სისტემიდან გამომდინარე, შეუძლებელია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის უნივერსალური თეორიის შექმნა, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა მონაწილეს დააკმაყოფილებდა.¹¹⁸¹ მნიშვნელოვანია, რომ იგი ჰარმონიულ კავშირში იყოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ უმთავრეს პრინციპებთან, გადამეტებულად ლოიალური სისხლის სამართლის პოლიტიკის გარეშე. ლიბერალიზაცია სისხლის სამართლის პოლიტიკაში უნდა მოხდეს იმ დონემდე, რომ ხელი არ შეეშალოს საერთაშორისო სისხლის სამართლის უმთავრეს მიზნებს.

ზემოთ განხილული ICC-ის ახალი გადაწყვეტილებები იმის მაჩვენებელია, რომ საერთაშორისო სისხლის სამართალი განვითარების ახალ ეტაპზეა. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მატერიალური და მენტალური ელემენტების იმპლემენტაცია არაა საბოლოო. იგი, შესაძლოა, მომავალში შეიცვალოს პრაქტიკასა და დოგმატიკაში არსებულ აზრთა სხვადასხვაობიდან გამომდინარე. ფაქტია, რომ დღევანდელ მსოფლიოში, სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, იგი არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. ICC ქმნის სისხლის სამართლის საერთო საერთაშორისო მართლმსაჯულებას, კონსოლიდირებულ პრაქტიკასა და დოგმატიკას. მისი ახლებური ფორმით ჩამოყალიბება მიმართულია ინოვაციური დოქტრინების შექმნის, საერთაშორისო სისხლის სამართლის თეორიებისა და პრეცედენტების განვითარებისაკენ. სწორი საერთაშორისო სისხლის სამართლის პოლიტიკა, რომელსაც სამართლის სწორი დოგმატიკა და სასამართლო პრაქტიკა ქმნის, საერთაშორისო დანაშაულებისა და, მათ შორის, მაღალი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების პრევენციის ერთადერთი საშუალებაა.

¹¹⁸⁰ იხ. XIV თავი.

¹¹⁸¹ იხ. იქვე, §7.2.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი წყაროები

წიგნები / კრებულები

- *ალექსიძე, ლევან*, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, იურისტების სამყარო, 2014 [*ალექსიძე, საერთაშორისო სამართალი* (2014)]
- *გამყრელიძე, ოთარ*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, მერიდიანი, თბილისი, 2013 [*გამყრელიძე, სისხლის სამართალი, III ტომი* (2013)]
- *გამყრელიძე, ოთარ*, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, საჩინო, თბილისი, 2011 [*გამყრელიძე, სისხლის სამართალი, I ტომი* (2011)]
- *თოდუა, ნონა* (რედ.), სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, მერიდიანი, თბილისი, 2016 [*თოდუა (რედ.), ლიბერალიზაციის ტენდენციები* (2016)]
- *ივანიძე, მაია* (რედ.), მზია ლეკვეიშვილი–85, საიუბილეო კრებული, იურისტების სამყარო, 2014 [*ივანიძე (რედ.), ლეკვეიშვილი–85* (2014)]
- *კორკელია, კონსტანტინე* (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, GIZ, თბილისი, 2014 [*კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა* (2014)]
- *მალაქელიძე, ლავრენტი*, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), მერიდიანი, თბილისი, 2013 [*მალაქელიძე, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება* (2013)]
- *მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, მერიდიანი, თბილისი, 2011 [*მჭედლიშვილი-ჰედრიხი, გამოვლინების ფორმები* (2011)]
- *ნაჭყებია, გურამ / თოდუა, ნონა* (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მერიდიანი, თბილისი, 2016 [*ნაჭყებია, თოდუა (რედ.), სისხლის სამართალი* (2016)]
- *ნაჭყებია, გურამ* (რედ.), ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, ფავორიტ პრინტი, თბილისი, 2012 [*ნაჭყებია, ორგანიზებული დანაშაული* (2012)]

- *ტურავა, მერაბ*, საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძვლები, მერიდიანი, თბილისი, 2015 [*ტურავა, საფუძვლები (2015)*]
- *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერიდიანი, თბილისი, მე-9 გამოცემა, 2013 [*ტურავა, სისხლის სამართალი (2013)*]
- *ტურავა, მერაბ* (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, მერიდიანი, თბილისი, 2013 [*ტურავა (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება (2013)*]
- *ტურავა, მერაბ*, დანაშაულის მოძღვრება, მერიდიანი, თბილისი, 2011 [*ტურავა, მოძღვრება (2011)*]
- *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, ბონა კაუზა, თბილისი, 2005 [*ტურავა, საერთაშორისო სასამართლო (2005)*]
- *წერეთელი, თინათინ*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, მერიდიანი, თბილისი, 2007 [*წერეთელი, სისხლის სამართალი, II ტომი (2007)*]
- *ხარანაული, ლევან*, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, მერიდიანი, თბილისი, 2014 [*ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაული (2014)*]
- *ხუციშვილი, ქეთევან*, გაეროს უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კონკურენტული და კომპლემენტარული კომპეტენციები, უნივერსალი, თბილისი, 2011 [*ხუციშვილი, გაერო და საერთაშორისო სასამართლო (2011)*]

სამეცნიერო ჟურნალები

- *დგებუაძე, გიორგი*, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა საერთაშორისო სისხლის სამართალში, 3/24 *მართლმსაჯულება და კანონი*, 2012 [*დგებუაძე, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობა, 3/24 მართლმსაჯულება და კანონი (2012)*]
- *დგებუაძე, გიორგი*, კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფების – Joint Criminal Enterprise დოქტრინის შექმნისა და გამოყენების აუცილებლობა საერთაშორისო სისხლის სამართალში, 1/28 *მართლმსაჯულება და კანონი*, 2011 [*დგებუაძე, კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფება, 1/28 მართლმსაჯულება და კანონი (2011)*]

- *კრესი, კლაუს / ჰოლტცენდორფი, ლეონი ფ.*, კამპალას კომპრომისი აგრესიის დანაშაულზე, 1 სამართლის ჟურნალი, 2011 [*კრესი, ჰოლტცენდორფი, კამპალას კომპრომისი, 1 სამართლის ჟურნალი* (2011)]
- *მდლაკელიძე, ლავრენტი*, დანაშაულის სისტემა საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლის მიხედვით, 2/3 მართლმსაჯულება და კანონი, 2007 [*მდლაკელიძე, დანაშაულის სისტემა, 2/3 მართლმსაჯულება და კანონი* (2007)]
- *ჯიშკარიანი, ბაჩანა*, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და კომპეტენცია, 1 თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, 2013 [*ჯიშკარიანი, სასამართლო და კომპეტენცია, 1 სამართლის მიმოხილვა* (2013)]

უცხოენოვანი წყაროები

წიგნები / კრებულები

- *Abdullah, Ibrahim* (ed.), *Between Democracy and Terror, The Sierra Leone Civil War*, Codesria, Dakar, 2004 [*Abdullah* (ed.), *Between Democracy and Terror* (2004)]
- *Allen, Michael*, *Textbook on Criminal Law*, Oxford University Press, Oxford, 13th ed., 2015 [*Allen*, *Criminal Law* (2015)]
- *Ambos, kai*, *Treatise on International Criminal Law, Vol. I*, Oxford University Press, Oxford, 2013 [*Ambos*, *Treatise on ICL, Vol. I* (2013)]
- *Ambos, Kai / Large, Judith / Wierda, Marieke* (ed.), *Building a Future on Peace and Justice, Studies on Transitional Justice, Peace and Development*, Springer, Berlin, 2009 [*Ambos, Large, Wierda* (ed.), *Building a Future on Peace and Justice* (2009)]
- *Badar, Mohamed E.*, *The Concept of Mens Rea in International Criminal Law, The Case for a Unified Approach*, Oxford and Portland, Oregon, 2013 [*Badar, Mens Rea in ICL* (2013)]
- *Bassiouni, Cherif M.*, *Introduction to International Criminal Law: Second Revised Edition*, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, 2013 [*Bassiouni*, *Introduction to ICL* (2013)]
- *Bassiouni, Cherif M.* (ed.), *The Pursuit of International Criminal Justice: A World Study on Conflicts, Victimization, and Post-Conflict Justice, Vol. I*, Intersentia, Antwerp, 2010 [*Bassiouni* (ed.), *The Pursuit of ICJ, Vol. I* (2010)]
- *Bassiouni, Cherif M.*, *International Criminal Law, Vol. III*, Martinus Nijhoff, Leiden, 3rd ed., 2008 [*Bassiouni*, *ICL, Vol. III* (2008)]

- **Bassiouni, Cherif M. / Manikas, Peter**, The Law of the International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia, Irvington-on-Hudson, New York, 1996 [*Bassiouni, Manikas, ICTY (1996)*]
- **Bellamy, Alex J. / Davies, Sara E. / Glanville, Luke**, The Responsibility to Protect and International Law, Nijhoff, Leiden, 2011 [*Bellamy, Davies, Glanville, Responsibility to Protect (2011)*]
- **Bellelli, Roberto** (ed.), International Criminal Justice, Ashgate, Farnham, 2011 [*Bellelli (ed.), ICJ (2011)*]
- **Bethlehem, Daniel / Weller, Marc**, The ‘Yugoslav’ Crisis in International Law: General Issues, Part I, Cambridge University Press, Cambridge, 1997 [*Bethlehem, Weller, ‘Yugoslav’ Crisis, Part I (1997)*]
- **Boas, Gideon / Bischoff, James L. / Reid, Natalie L.**, International Criminal Law Practitioner Library: Forms of Responsibility in International Criminal Law, Cambridge University Press, Cambridge, 2008 [*Boas, Bischoff, Reid, Forms of Responsibility (2008)*]
- **Bohlander, Michael** (ed.), Globalization of Criminal Justice, Ashgate, Burlington, 2010 [*Bohlander (ed.), Globalization (2010)*]
- **Bohlander, Michael**, Principles of German Criminal Law, Oxford and Portland, Oregon, 2009 [*Bohlander, German Criminal Law (2009)*]
- **Boister, Neil / Cryer, Robert** (ed.), Documents on the Tokyo International Military Tribunal, Charters, Indictment and Judgments, Oxford University Press, Oxford, 2008 [*Boister, Cryer (ed.), Documents on the Tokyo IMT (2008)*]
- **Bonafe, Beatrice I.**, The Relationship Between State and Individual Responsibility for International Crimes, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, 2009 [*Bonafe, State and Individual Responsibility (2009)*]
- **Burchard, Christoph / Triffterer, Otto / Vogel, Joachim** (ed.), The Review Conference and the Future of the International Criminal Court, Kluwer Law International, The Hague, 2010 [*Burchard, Triffterer, Vogel, Future of ICC (2010)*]
- **Cassese, Antonio**, International Criminal Law, Oxford University Press, Oxford, 3rd ed., 2013 [*Cassese, ICL (2013)*]
- **Cassese, Antonio / Acquaviva, Guido / Fan, Mary / Whiting, Alex**, International Criminal Law, Cases and Commentary, Oxford University Press, Oxford, 2011 [*Cassese, Acquaviva, Fan, Whiting, ICL (2011)*]
- **Cassese, Antonio** (ed.), The Oxford Companion to International Criminal Justice, Oxford University Press, Oxford, 2009 [*Cassese (ed.), Oxford Companion (2009)*]

- *Cryer, Robert / Friman, Hakan / Robinson, Darryl / Wilmshurst, Elizabeth*, An Introduction to International Criminal Law and Procedure, Cambridge University Press, Cambridge, 3rd ed., 2014 [*Cryer, Friman, Robinson, Wilmshurst*, Introduction to ICL (2014)]
- *Cryer, Robert*, Prosecuting International Crimes, Selectivity and the International Criminal Law Regime, Cambridge University Press, Cambridge, 2005 [*Cryer*, Prosecuting (2005)]
- *D'Ascoli, Silvia*, Sentencing in International Criminal Law, The UN ad hoc Tribunals and Future Perspectives for the ICC, Oxford and Portland, Oregon, 2011 [*D'Ascoli*, Sentencing in ICL (2011)]
- *Damgaard, Ciara*, Individual Criminal Responsibility for Core International Crimes, Springer, Berlin, 2008 [*Damgaard*, Individual Criminal Responsibility (2008)]
- *Darcy, Shane*, Collective Responsibility and Accountability under International Law, Transnational Publishers, Leiden, 2007 [*Darcy*, Collective Responsibility and Accountability (2007)]
- *DeNike, Howard J. / Quigley, John / Robinson, Kenneth J.* (ed.), Genocide in Cambodia, Documents from the Trial of Pol Pot and Leng Sary, University of Pennsylvania Press, Philadelphia, 2000 [*DeNike, Quigley, Robinson* (ed.), Genocide in Cambodia (2000)]
- *Finnin, Sarah*, Elements of Accessorial Modes of Liability, *Article 25(3)(b) and (c) of the Rome Statute of the International Criminal Court*, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, 2012 [*Finnin*, Accessorial Modes of Liability (2012)]
- *Fletcher, George P.*, The Grammar of Criminal Law, American, Comparative, and International, Vol. I, Oxford University Press, Oxford, 2007 [*Fletcher*, Grammar of CL (2007)]
- *Foakes, Joanne*, The Position of Heads of State and Senior Officials in International Law, Oxford University Press, Oxford, 2014 [*Foakes*, Position of Officials (2014)]
- *Gillespie, Alexander*, A History of the Laws of War, the Customs and Laws of War with Regards to Civilians in Times of Conflict, Vol. II, Oxford and Portland, Oregon, 2011 [*Gillespie*, History of the Laws, Vol. II (2011)]
- *Hagan, John*, Justice in the Balkans: Prosecuting War Crimes in the Hague Tribunal, University of Chicago Press, Chicago, 2003 [*Hagan*, Justice in the Balkans (2003)]
- *Heller, Kevin J. / Simpson, Gerry* (ed.), The Hidden Histories of War Crimes Trials, Oxford University Press, Oxford, 2013 [*Heller, Simpson* (ed.), Hidden Histories (2013)]

- **Heller, Kevin J. / Dubber, Markus D.**, The Handbook of Comparative Criminal Law, Stanford University Press, Stanford, 2011 [*Heller, Dubber, Comparative Criminal Law (2011)*]
- **Höhener, Andrea**, Collective Crimes – Individual Responsibility: Joint Criminal Enterprise Revisited, A Diversified Approach to Perpetration, Dike, Zurich, 2015 [*Höhener, Individual Responsibility: JCE (2015)*]
- **Jain, Neha**, Perpetrators and Accessories in International Criminal Law, Individual Modes of Responsibility for Collective Crimes, Hart, Oxford, 2014 [*Jain, Perpetrators and Accessories (2014)*]
- **Jalloh, Charles C.** (ed.), The Sierra Leone Special Court and its Legacy, The impact for Africa and International Criminal Law, Cambridge University Press, Cambridge, 2014 [*Jalloh (ed.), SCSL and its Legacy (2014)*]
- **Johnson, Sterling**, Peace Without Justice, Ashgate, Aldershot, 2003 [*Johnson, Peace Without Justice (2003)*]
- **Kelsall, Tim**, Culture under Cross-Examination, International Justice and the Special Court for Sierra Leone, Cambridge University Press, Cambridge, 2009 [*Kelsall, SCSL (2009)*]
- **Kerr, Rachel**, The International Criminal Tribunal for Former Yugoslavia, An Exercise in Law, Politics and Diplomacy, Oxford University Press, Oxford, 2004 [*Kerr, ICTY (2004)*]
- **Kotsalis, Leonidas / Courakis, Nestor / Mylonopoulos, Christos** (ed.), Essays in Honour of Agryrios Karras, Athen, 2010 [*Kotsalis, Courakis, Mylonopoulos (ed.), Agryrios Karras (2010)*]
- **Kreß, Claus / Barriga, Stefan** (ed.), The Travaux Preparatoires of the Crime of Aggression (Crime of Aggression Library), Cambridge University Press, Cambridge, 2012 [*Kreß, Barriga (ed.), Crime of Aggression (2012)*]
- **McCormack, Wayne**, International Criminal Law, Cases and Materials, West Academic Publishing, St. Paul, 2015 [*McCormack, ICL (2015)*]
- **McDonald, Gabrielle K. / Swaak-Goldman, Olivia**, Substantive and Procedural Aspects of International Criminal Law, Kluwer, The Hague, 2000 [*McDonald, Swaak-Goldman, ICL (2000)*]
- **Meloni, Chantal**, Command Responsibility in International Criminal Law, T.M.C. Asser Press, The Hague, 2010 [*Meloni, Command Responsibility (2010)*]
- **Mettraux, Guenaël**, The Law of Command Responsibility, Cambridge University Press, Cambridge, 2009 [*Mettraux, Command Responsibility (2009)*]

- *Nollkaemper, Andre / Van der Wilt, Harmen* (ed.), *System Criminality in International Law*, Cambridge University Press, Cambridge, 2009 [*Nollkaemper, Wilt* (ed.), *System Criminality* (2009)]
- *Noto, Flavio*, *Secondary Liability in International Criminal Law, A Study on Aiding and Abetting or otherwise Assisting the Commission of International Crimes*, Dike, Zurich, 2013 [*Noto, Secondary Liability* (2013)]
- *O’Keefe, Roger*, *International Criminal Law*, Oxford University Press, Oxford, 2015 [*O’Keefe, ICL* (2015)]
- *Olasolo, Hector*, *Essays on International Criminal Justice*, Hart, Oxford, 2012 [*Olasolo, Essays on ICJ* (2012)]
- *Olasolo, Hector*, *The Criminal Responsibility of Senior Political and Military Leaders as Principals to International Crimes*, Hart, Oxford and Portland, Oregon, 2009 [*Olasolo, Criminal Responsibility* (2009)]
- *Ormerod, David / Laird, Karl*, *Smith and Hogan’s Criminal Law*, Oxford University Press, Oxford, 14th ed., 2015 [*Ormerod, Laird, Smith and Hogan’s Criminal Law* (2015)]
- *Peskin, Viktor*, *International Justice in Rwanda and the Balkans, Virtual Trials and the Struggle for State Cooperation*, Cambridge University Press, Cambridge, 2008 [*Peskin, Justice in Rwanda and the Balkans* (2008)]
- *Piccigallo, Philip R.*, *The Japanese on Trial, Allied War Crimes Operations in the East, 1945–1951*, University of Texas Press, Austin, 1979 [*Piccigallo, The Japanese on Trial* (1979)]
- *Rae, James D.*, *Peace building and Transitional Justice in East Timor*, First Fórum Press, Colorado, 2009 [*Rae, Justice in East Timor* (2009)]
- *Röling, Bernard V. A.*, *The Tokyo Trial and beyond, Reflections of a Peacemonger*, Polity Press, Cambridge, 1993 [*Röling, The Tokyo Trial and beyond* (1993)]
- *Röling, Bernard V. A. / Rüter, Christiaan F.* (ed.), *The Tokyo Judgment, Vol. I*, APA-University Press Amsterdam, Amsterdam, 1977 [*Röling, Rüter* (ed.), *The Tokyo Judgment, Vol. I* (1977)]
- *Roxin, Claus*, *Täterschaft und Tatherrschaft*, de Grueter, Berlin, 8th ed, 2006 [*Roxin, Täterschaft und Tatherrschaft* (2006)]
- *Satzger, Helmut*, *International and European Criminal Law*, C.H.Beck.Hart.Nomos, München, 2012 [*Satzger, International and European CL* (2012)]
- *Schabas, William A.*, *Unimaginable Atrocities, Justice, Politics, and Rights at the War Crimes Tribunals*, Oxford University Press, Oxford, 2012 [*Schabas, Atrocities* (2012)]

- *Schabas, William A. / McDermott Y. / Hayes N.* (ed.), The Ashgate Research Companion to International Criminal Law, Ashgate, Farnham, 2012 [*Schabas, McDermott, Hayes, Ashgate to ICL (2012)*]
- *Schabas, William A.*, An Introduction to the International Criminal Court, Cambridge University Press, Cambridge, 4th ed., 2011 [*Schabas, Introduction to ICC (2011)*]
- *Schabas, William A. / Bernaz, Nadia* (ed.), Routledge Handbook of International Criminal Law, Routledge, London, 2011 [*Schabas, Bernaz (ed.), ICL (2011)*]
- *Schabas, William A.*, The International Criminal Court: A Commentary on the Rome Statute, Oxford University Press, Oxford, 2010 [*Schabas, RS Commentary (2010)*]
- *Schabas, William A.*, Genocide in International Law, *The Crime of Crimes*, Cambridge University Press, Cambridge, 2nd ed., 2008 [*Schabas, Genocide (2008)*]
- *Schabas, William A.*, The UN International Criminal Tribunals, The former Yugoslavia, Rwanda and Sierra Leone, Cambridge University Press, Cambridge, 2006 [*Shabas, The UN Tribunals (2006)*]
- *Scharf, Michael P. / Schabas, William A.*, Slobodan Milosevic on Trial: a companion, Continuum, New York, 2002 [*Scharf, Schabas, Milosevic (2002)*]
- *Scharf, Michael P.*, Balkan Justice: The Story Behind the First International War Crimes Trial Since Nuremberg, Carolina Academic Press, Durham, 1997 [*Scharf, Balkan Justice (1997)*]
- *Schwarzenberger, Georg*, International Law as Applied by International Courts and Tribunals, Vol. II, Stevens, London, 1968 [*Schwarzenberger, International Law, Vol. II (1968)*]
- *Schwarzenberger, Georg*, A Forerunner of Nuremberg: The Breisach War Crime Trial of 1474, The Manchester Guardian, London, 1946 [*Schwarzenberger, Forerunner of Nuremberg (1946)*]
- *Shahabuddeen, Mohamed*, International Criminal Justice at the Yugoslav Tribunal, *A Judge's Recollection*, Oxford University Press, Oxford, 2013 [*Shahabuddeen, ICJ at the ICTY (2013)*]
- *Simbeye, Yitiha*, Immunity and International Criminal Law, Ashgate, Aldershot, 2004 [*Simbeye, Immunity (2004)*]
- *Smeulers, Alette* (ed.), Collective Violence and International Criminal Justice, An Interdisciplinary Approach, Antwerp, Intersentia, 2010 [*Smeulers (ed.), Collective Violence and ICJ (2010)*]
- *Stahn, Carsten* (ed.), The Law and Practice of the International Criminal Court, Oxford University Press, Oxford, 2015 [*Stahn (ed.), ICC (2015)*]

- *Stahn, Carsten / Van den Herik, Larissa* (ed.), *Future Perspectives on International Criminal Justice*, T.M.C. Asser Press, The Hague, 2010 [*Stahn, Herik* (ed.), *Future Perspectives* (2010)]
- *Stahn, Carsten / Sluiter, Goran* (ed.), *The Emerging Practice of the International Criminal Court*, Martinus Nijhoff, Leiden, 2009 [*Stahn, Sluiter* (ed.), *Practice of the ICC* (2009)]
- *Sunga, Lyal S.*, *Individual Responsibility in International Criminal Law for Serious Human Rights Violations*, Nijhoff Publishers, Dordrecht, 1992 [*Sunga*, *Individual Responsibility* (1992)]
- *Swart, Bert / Zahar, Alexander / Sluiter, Goran* (ed.), *The Legacy of the ICTY*, Oxford University Press, Oxford, 2011 [*Swart, Zahar, Sluiter* (ed.), *ICTY* (2011)]
- *Tonry, Michael*, *The Oxford Handbook of Crime and Public Policy*, Oxford University Press, Oxford, 2009 [*Tonry*, *Crime and Policy* (2009)]
- *Taylor, Telford*, *The Anatomy of the Nuremberg Trials, A Personal Memoir*, Knopf, New York, 1992 [*Taylor*, *The Anatomy of the Nuremberg Trials* (1992)]
- *Triffterer, Otto* (ed.), *Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court*, C.H.Beck.hart.Nomos., München, 2nd ed., 2008 [*Triffterer*, *Commentary on the RS* (2008)]
- *Van Schaack, Beth / Slye, Ronald C.*, *International Criminal Law and Its Enforcement, Cases and Materials*, Foundation Press, New York, 2007 [*Schaack, Slye*, *ICL Enforcement* (2007)]
- *Van Sliedregt, Elies / Vasiliev, Sergey* (ed.), *Pluralism in International Criminal Law*, Oxford University Press, Oxford, 2014 [*Sliedregt, Vasiliev* (ed.), *Pluralism in ICL* (2014)]
- *Van Sliedregt, Elies*, *Individual Criminal Responsibility in International Law*, Oxford University Press, Oxford, 2012 [*Sliedregt*, *Individual Responsibility* (2012)]
- *Van Sliedregt, Elies*, *The Criminal Responsibility of Individuals for Violations of International Humanitarian Law*, T.M.C. Asser Press, The Hague, 2003 [*Sliedregt*, *Individual Responsibility* (2003)]
- *Waters, Timothy W.* (ed.), *The Milosevic Trial, An Autopsy*, Oxford University Press, Oxford, 2014 [*Waters* (ed.), *Milosevic Trial* (2014)]
- *Werle, Gerhard / Jessberger, Florian*, *Principles of International Criminal Law*, Oxford University Press, Oxford, 3rd ed., 2014 [*Werle, Jessberger*, *Principles of ICL* (2014)]

- **Williams, Sarah**, Hybrid and Internationalised Criminal Tribunals, Selected Jurisdictional Issues, Hart, Oxford, 2012 [*Williams, Hybrid Tribunals (2012)*]
- **Willis, James F.**, Prologue to Nuremberg, Greenwood Press, Westport, 1982 [*Willis, Prologue to Nuremberg (1982)*]
- **Wolfrum, Rudiger** (ed.) The Max Planck Encyclopedia of Public International Law, Vol. III, V, VII, Oxford University Press, Oxford, 2013 [*Wolfrum, MPEPIL (2013)*]
- **Zahar, Alexander / Sluiter, Goran**, International Criminal Law, Oxford University Press, Oxford, 2008 [*Zahar, Sluiter, ICL (2008)*]

სამეცნიერო ჟურნალები

- **Ambos, Kai**, A Workshop, a Symposium and the *Katanga* Trial Judgment of 7 March 2014, 2 *JICJ*, 2014 [*Ambos, Katanga Trial, 2 JICJ (2014)*]
- **Ambos, Kai**, Critical Issues in the *Bemba* Confirmation Decision, 22 *LJIL*, 2009 [*Ambos, Bemba Confirmation Decision, 22 LJIL (2009)*]
- **Ambos, Kai**, Joint Criminal Enterprise and Command Responsibility, 5 *JICJ*, 2007 [*Ambos, JCE and Command Responsibility, 5 JICJ (2007)*]
- **Ambos, Kai**, General Principles of Criminal Law in the Rome Statute, 10 *CLF*, 1999 [*Ambos, General Principles in RS, 10 CLF (1999)*]
- **Badar, Mohamed E.**, “Just Convict Everyone” – Joint Perpetration: From *Tadic* to *Stakic* and Back Again, 6 *ICLR*, 2006 [*Badar, “Just Convict Everyone”, 6 ICLR (2006)*]
- **Bassiouni, Cherif M. / Hanna, Michael W.**, Ceding the High Ground: The Iraqi High Criminal Court Statute and the Trial of Saddam Hussein, 39 *CWRJIL* (2007) [*Bassiouni, Hanna, IHCCS and Hussein, 39 CWRJIL (2007)*]
- **Bilsky, Leore**, The *Eichmann* Trial, Towards a Jurisprudence of Eyewitness Testimony of Atrocities, 12 *JICJ*, 2014 [*Bilsky, The Eichmann Trial, 12 JICJ (2014)*]
- **Blinderman, Eric H.**, The Conviction of Saddam Hussein for the Crime against Humanity of “Other Inhumane Acts”, 30 *UPJIL*, 2008–2009 [*Blinderman, Hussein, 30 UPJIL (2008–2009)*]
- **Cassese, Antonio and the Members of the JICJ**, Amicus Curiae Brief of Professor Antonio Cassese and Members of the Journal of International Criminal Justice on Joint Criminal Enterprise Doctrine, 20 *CLF*, 2009 [*Cassese and the Members of the JICJ, Amicus Curiae Brief on JCE, 20 CLF (2009)*]

- *Cassese, Antonio*, The Proper Limits of Individual Criminal Responsibility under the Doctrine of Joint Criminal Enterprise, 5 *JICJ*, 2007 [*Cassese*, Criminal Responsibility, 5 *JICJ* (2007)]
- *Chalmers, James / Leverick, Fiona*, Fair Labelling in Criminal Law, 72(2) *MLR*, 2008 [*Chalmers, Leverick*, Fair Labelling in Criminal Law, 72(2) *MLR* (2008)]
- *Clark, Roger S.*, Drafting a General Part to a Penal Code: Some Thoughts Inspired by the Negotiations on the Rome Statute of the International Criminal Court and by the Court's First Substantive Law Discussion in the *Lubanga Dyilo* Confirmation Proceedings, 19 *CLF*, 2008 [*Clark*, Drafting a General Part to a Penal Code, 19 *CLF* (2008)]
- *Danner, Allison M. / Martinez, Jenny S.*, Guilty Associations: Joint Criminal Enterprise, Command Responsibility, and the Development of International Criminal Law, 93 *CLR*, 2005 [*Danner, Martinez*, Guilty Associations, 93 *CLR* (2005)]
- *Eldar, Shachar*, Indirect Co-Perpetration, 8 *CLP*, 2014 [*Eldar*, Indirect Co-Perpetration, 8 *CLP* (2014)]
- *Fletcher, George P.*, New Court, Old Dogmatik, 9 *JICJ*, 2011 [*Fletcher*, Dogmatik, 9 *JICJ* (2011)]
- *Fletcher, George P.*, The Storrs Lectures: Liberals and Romantics at War: The Problem of Collective Guilt, 111 *YaleLJ*, 2002 [*Fletcher*, Collective Guilt, 111 *YaleLJ* (2002)]
- *Giamanco, Theresa*, The Perpetrator Behind the Perpetrator: A Critical Analysis of the Theory of Prosecution Against Omar Al-Bashir, 25 *TICLJ*, 2011 [*Giamanco*, The Perpetrator Behind the Perpetrator, 25 *TICLJ* (2011)]
- *Greppi, Edoardo*, The Evolution of Individual Criminal Responsibility under International law, 835 *International Review of the Red Cross*, 1999 [*Greppi*, Individual Criminal Responsibility, 835 *IRRC* (1999)]
- *Gustafson, Katrina*, The Requirement of an 'Express Agreement' for Joint Criminal Enterprise Liability, A Critique of *Brdanin*, 5 *JICJ*, 2007 [*Gustafson*, 'Express Agreement' for JCE, 5 *JICJ* (2007)]
- *Haan, Verena*, The Development of the Concept of Joint Criminal Enterprise at the International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia, 5 *ICLR*, 2005 [*Haan*, JCE at the ICTY, 5 *ICLR* (2005)]
- *Hamdorf, Kai*, The Concept of a Joint Criminal Enterprise and Domestic Modes of Liability for Parties to a Crime, A Comparison of German and English Law, 5 *JICJ*, 2007 [*Hamdorf*, JCE and Domestic Modes of Liability, 5 *JICJ* (2007)]

- **Jain, Neha**, The Control Theory of Perpetration in International Criminal Law, 12 *CJIL*, 2011 [*Jain*, The Control Theory, 12 *CJIL* (2011)]
- **Jessberger, Florian / Geneuss, Julia**, On the Application of a Theory of Indirect Perpetration in *Al Bashir*, German Doctrine at The Hague?, 6 *JICJ*, 2008 [*Jessberger, Geneuss*, Indirect Perpetration, 6 *JICJ* (2008)]
- **Kemp, Susan**, Guatemala Prosecutes former President Rios Montt. New Perspectives on Genocide and Domestic Criminal Justice, 12 *JICJ*, 2014 [*Kemp*, Guatemala Prosecutes former President Rios Montt, 12 *JICJ* (2014)]
- **Kreß, Claus / Von Holtendorff, Leonie**, The Kampala Compromise on the Crime of Aggression, 8 *JICJ*, 2010 [*Kreß, Holtendorff*, Kampala Compromise, 8 *JICJ* (2010)]
- **Kreß, Claus**, On the Outer Limits of Crimes against Humanity: The Concept of Organization within the Policy Requirement: Some Reflections on the March 2010 ICC *Kenya* Decision, 23 *LJIL*, 2010 [*Kreß*, The Concept of Organization, 23 *LJIL* (2010)]
- **Kreß, Claus**, The crime of Genocide and Contextual Elements. A Commentary on the Pre-Trial Chamber's Decision in the *Al Bashir* Case, 7 *JICJ*, 2009 [*Kreß*, Genocide, 7 *JICJ* (2009)]
- **Kreß, Claus**, Universal Jurisdiction over International Crimes and the *Institut de droit international*, 4 *JICJ*, 2006 [*kreß*, Universal Jurisdiction, 4 *JICJ* (2006)]
- **Kreß, Claus**, Versailles-Nuremberg-The Hague: Germany and International Criminal Law, 40 *IL*, 2006 [*Kreß*, Versailles-Nuremberg-The Hague, 40 *IL* (2006)]
- **Kreß, Claus**, Claus Roxins Lehre von der Organisationsherrschaft und das Völkerstrafrecht, 153 *GA*, 2006 [*Kreß*, Roxins Lehre, 153 *GA* (2006)]
- **Liefländer, Thomas R.**, The *Lubanga* Judgment of the ICC: More than just the Frist Step? 1(1) *CJICL*, 2012 [*Liefländer*, The *Lubanga* Judgment, 1(1) *CJICL* (2012)]
- **Manacorda, Stefano / Meloni, Chantal**, Indirect Perpetration *versus* Joint Criminal Enterprise, Concurring Approaches in the Practice of International Criminal Law?, 9 *JICJ*, 2011 [*Manacorda, Meloni*, Indirect Perpetration *versus* JCE, 9 *JICJ* (2011)]
- **Militello, Vincenzo**, The Personal Nature of Individual Criminal Responsibility and the ICC Statute, 5 *JICJ*, 2007 [*Militello*, Individual Criminal Responsibility, 5 *JICJ* (2007)]
- **Ohlin, Jens D.**, Targeting and the Concept of Intent, 35 *MJIL*, 2013 [*Ohlin*, Targeting, 35 *MJIL* (2013)]
- **Ohlin, Jens D. / Van Sliedregt, Elies / Weigend, Thomas**, Assessing the Control-Theory, 26 *LJIL*, 2013 [*Ohlin, Sliedregt, Weigend*, Control Theory, 26 *LJIL* (2013)]

- **Ohlin, Jens D.**, Second-Order Linking Principles: Combining Vertical and Horizontal Modes of Liability, 25 *LJIL*, 2012 [*Ohlin*, Modes of Liability, 25 *LJIL* (2012)]
- **Ohlin, Jens D.**, Joint Intentions to Commit International Crimes, 11 *CJIL*, 2011 [*Ohlin*, Joint Intentions, 11 *CJIL* (2011)]
- **Ohlin, Jens D.**, Three Conceptual Problems with the Doctrine of Joint Criminal Enterprise, 5 *JICJ*, 2007 [*Ohlin*, JCE, 5 *JICJ* (2007)]
- **Olasolo, Hector**, Reflections on the Treatment of the Notions of Control of the Crime and Joint Criminal Enterprise in the Stakic Appeal Judgment, 7 *ICLR*, 2007 [*Olasolo*, Stakic Appeal Judgment, 7 *ICLR* (2007)]
- **Peter Rowe**, Duress as a Defence to War Crimes after Erdemovic: A Laboratory for a Permanent Court?, *YIHL*, 1 *YIHL*, 1998 [*Rowe*, Duress, 1 *YIHL* (1998)]
- **Roxin, Claus**, Crimes as Part of Organized Power Structures, 9 *JICJ*, 2011 [*Roxin*, Organized Power Structures, 9 *JICJ* (2011)]
- **Roxin, Claus**, Straftaten im Rahmen organisatorischer Machtapparate, *Goltdammer's Archiv für Srafrecht*, 1963 [*Roxin*, Straftaten im Rahmen organisatorischer Machtapparate, *GA* (1963)]
- **Ryngaert, Cedric** (ed.), The Effectiveness of International Criminal Justice, Intersentia, Antwerpen, 2009 [*Ryngaert* (ed.), *ICJ* (2009)]
- **Shany, Yuval**, Does One Size Fit All? Reading the Jurisdictional Provisions of the New Iraqi Special Tribunal Statute in the Light of the Statutes of International Criminal Tribunals, 2 *JICJ*, 2004 [*Shany*, Does One Size Fit All?, 2 *JICJ* (2004)]
- **Triffterer, Otto**, Causality, a Separate Element of the Doctrine of Superior Responsibility as Expressed in Article 28 Rome Statute? , 15 *LJIL* 2002 [*Triffterer*, Superior Responsibility, 15 *LJIL* (2002)]
- **Van der Wilt, Harmen**, The Continuous Quest for Proper Modes of Criminal Responsibility, 7 *JICJ*, 2009 [*Wilt*, Modes of Criminal Responsibility, 7 *JICJ* (2009)]
- **Van Sliedregt, Elies**, The Curious Case of International Criminal Liability, 10 *JICJ*, 2012 [*Sliedregt*, Criminal Liability, 10 *JICJ* (2012)]
- **Van Sliedregt, Elies**, Article 28 of the ICC Statute: Mode of Liability and/or Separate Offence? 12 *NCLR*, 2009 [*Sliedregt*, Article 28, 12 *NCLR* (2009)]
- **Vest, Hans**, Problems of Participation — Unitarian, Differentiated Approach, or Something Else?, 2 *JICJ*, 2014 [*Vest*, Participation, 2 *JICJ* (2014)]
- **Weigend, Thomas**, Problems of Attribution in International Criminal Law: A German Perspective, 12 *JICJ*, 2014 [*Weigend*, Problems of Attribution, 12 *JICJ* (2014)]

- **Weigend, Thomas**, Perpetration through an Organization, The Unexpected Career of a German Legal Concept, 9 *JICJ*, 2011 [*Weigend*, Perpetration through an Organization, 9 *JICJ* (2011)]
- **Weigend, Thomas**, Intent, Mistake of Law, and Co-perpetration in the *Lubanga* Decision on Confirmation of Charges, 6 *JICJ*, 2008 [*Weigend*, Co-perpetration, 6 *JICJ* (2008)]
- **Werle, Gerhard / Burghardt, Boris**, Indirect Perpetration: A Perfect Fit for International Prosecution of Armchair Killers?, 9 *JICJ*, 2011 [*Werle, Burghardt*, Indirect Perpetration, 9 *JICJ* (2011)]
- **Werle, Gerhard / Jessberger, Florian**, Unless Otherwise Provided: Article 30 of the ICC and the Mental Elements of Crimes under International Criminal Law, 5 *JICJ*, 2005 [*Werle, Jessberger*, Unless Otherwise Provided, 5 *JICJ* (2005)]
- **Zahar, Alexander**, Command Responsibility of Civilian Superiors for Genocide, 14 *LJIL*, 2001 [*Zahar*, Command Responsibility, 14 *LJIL* (2001)]

საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებები

ICTY

- **Prosecutor v. Aleksovski**, Judgment (ICTY-IT-95-14/1-A), Appeals Chamber, 24 March 2000
- **Prosecutor v. Aleksovski**, Judgment (ICTY-IT-95-14/1-T), Trial Chamber, 25 June 1999
- **Prosecutor v. Blagojevic and Jokic**, Judgement (ICTY-IT-02-60-T), Trial Chamber, 17 January 2005
- **Prosecutor v. Blaskic**, Judgment (ICTY-IT-95-14-A), Appeals Chamber, 29 July 2004
- **Prosecutor v. Boskoski and Tarculovski**, Judgment (ICTY-IT-04-82-T), Trial Chamber, 10 July 2008
- **Prosecutor v. Brdanin**, Judgement (ICTY-IT-99-36-A), Appeals Chamber, 3 April 2007
- **Prosecutor v. Brdanin**, Judgement (ICTY-IT-99-36-T), Trial Chamber, 1 September 2004
- **Prosecutor v. Delalic, Mucic, Delic and Landzo**, Judgment (ICTY-96-21-A), Appeals Chamber, 20 February 2001

- *Prosecutor v. Delalic, Mucic, Delic and Landzo*, Judgment (ICTY-IT-96-21-T), Trial Chamber, 16 November 1998
- *Prosecutor v. Delic*, Judgment (ICTY-IT-04-83-T), Trial Chamber, 15 September 2008
- *Prosecutor v. Erdemovic*, Judgement (ICTY-96-22-T), Trial Chamber, 5 March 1998
- *Prosecutor v. Erdemovic*, Judgement (ICTY-96-22-A), Appeals Chamber, 7 October 1997
- *Prosecutor v. Erdemovic*, Judgement (ICTY-96-22-T), Trial Chamber, 29 November 1996
- *Prosecutor v. Hadzihasanovic and Kubura*, Judgment (ICTY-IT-01-47-A), Appeals Chamber, 22 April 2008
- *Prosecutor v. Hadzihasanovic and Kubura*, Judgment (ICTY-IT-01-47-T), Trial Chamber, 15 March 2006
- *Prosecutor v. Halilovic*, Judgment (ICTY-IT-01-48-A), Appeals Chamber, 16 October 2007
- *Prosecutor v. Halilovic*, Judgment (ICTY-IT-01-48-T), Trial Chamber, 16 November 2005
- *Prosecutor v. Kordic and Cerkez*, Judgment (ICTY-IT-95-14/2-T), Trial Chamber, 26 February 2001
- *Prosecutor v. Krajisnik*, Judgement (ICTY-IT-00-39-T), Trial Chamber, 27 September 2006
- *Prosecutor v. Krnojelac*, Judgement (ICTY-IT-97-25-A), Appeals Chamber, 17 September 2003
- *Prosecutor v. Kvocka*, Judgement (ICTY-IT-98-30/A-A), Appeals Chamber, 28 February 2005
- *Prosecutor v. Kvocka, Kos, Radic, Zigic and Prcac*, Judgement (ICTY-IT-98-30/1-T), Trial Chamber, 2 November 2001
- *Prosecutor v. Limaj*, Judgement (ICTY-IT-03-66-A), Appeals Chamber, 27 September 2007
- *Prosecutor v. Limaj, Bala and Musliu*, Judgement (ICTY-IT-03-66-T), Trial Chamber, 30 November 2005
- *Prosecutor v. Lukic and Lukic*, Judgement (ICTY-IT-98-32/1-T) Trial Chamber, 20 July 2009
- *Prosecutor v. Martić*, Judgement (ICTY-IT-95-11-T), Trial Chamber, 12 June 2007
- *Prosecutor v. Oric*, Judgement (ICTY-IT-03-68-A) Appeals Chamber, 3 July 2008

- *Prosecutor v. Oric*, Judgement (ICTY-IT-03-68-T), Trial Chamber, 30 June 2006
- *Prosecutor v. Sainovic, Milutinovic, Ojdanic, Pavkovic, Lazarevic and Lukic*, Judgement (ICTY-IT-05-87-T), Trial Chamber, 26 February 2009
- *Prosecutor v. Simic, Tadic and Zaric*, Judgement (ICTY-IT-95-9-T), Trial Chamber, 17 October 2003
- *Prosecutor v. Stakic*, Judgement (ICTY-IT-97-24-A), Appeals Chamber, 22 March 2006
- *Prosecutor v. Stakic*, Judgement (ICTY-IT-97-24-T), Trial Chamber, 31 July 2003
- *Prosecutor v. Strugar*, Judgment (ICTY-IT-01-42-A), Appeals Chamber, 17 July 2008
- *Prosecutor v. Tadic*, Judgement (ICTY-IT-94-1-A), Appeals Chamber, 15 July 1999
- *Prosecutor v. Tadic*, Judgement (ICTY-IT-94-1-T), Trial Chamber, 7 May 1997
- *Prosecutor v. Vasiljevic*, Judgement (ICTY-IT-98-32-A), Appeals Chamber, 25 February 2004

ICTR

- *Prosecutor v. Bagilishema*, Judgment (ICTR-95-1A-A), Appeals Chamber, 3 July 2002
- *Prosecutor v. Bagosora, Kabiligi, Ntabakuze and Nsengiyumva*, Judgment and Sentence (ICTR-98-41-T), Trial Chamber, 18 December 2008
- *Prosecutor v. E. and G. Ntakirutimana*, Judgement (ICTR-96-10-A and ICTR-96-17-A), Appeals Chamber, 13 December 2004
- *Prosecutor v. E. and G. Ntakirutimana*, Judgement (ICTR-96-10-T and ICTR-96-17-T), Trial Chamber, 21 February 2003
- *Prosecutor v. Gacumbitsi*, Judgement (ICTR-01-64-A) Appeals Chamber, 7 July 2006
- *Prosecutor v. Kajelijeli*, Judgment (ICTR-98-44A-A), Appeals Chamber, 23 May 2005
- *Prosecutor v. Kajelijeli*, Judgment (ICTR-98-44A-T), Trial Chamber, 1 December 2003
- *Prosecutor v. Karera*, Judgement (ICTR-01-74-T) Trial Chamber, 7 December 2007
- *Prosecutor v. Mpambara*, Judgement (ICTR-01-65-T), Trial Chamber, 11 September 2006
- *Prosecutor v. Musema*, Judgment (ICTR-96-13-A), Appeals Chamber, 27 January 2000

- *Prosecutor v. Nahimana, Barayagwiza and Ngeze*, Judgment (ICTR-99-52-A), Appeals Chamber, 28 November 2007
- *Prosecutor v. Ndindabahizi*, Judgement (ICTR-01-71-A) Appeals Chamber, 16 January 2007
- *Prosecutor v. Rwamakuba*, Judgement (ICTR-99-44-AR72.4), Decision on Interlocutory Appeal Regarding Application of Joint Criminal Enterprise to the Crime of Genocide, 22 October 2004
- *Prosecutor v. Semanza*, Judgement (ICTR-97-20-A) Appeals Chamber, 20 May 2005
- *Prosecutor v. Seromba*, Judgement (ICTR-01-66-A) Appeals Chamber, 12 March 2008
- *Prosecutor v. Simba*, Judgement (ICTR-01-76-T), Trial Chamber, 13 December 2005
- *Prosecutor v. Zigiranyirazo*, Judgement (ICTR-01-73-T), Trial Chamber, 18 December 2008

SCSL

- *Prosecutor v. Sesay, Kallon and Gbao*, Judgment (SCSL-04-15-T), Trial Chamber, 2 March 2009

ECHR

- *Koronov v. Latvia*, Judgment (ECHR-36376/04), Grand Chamber, 17 May 2010

ICC

- *Prosecutor v. Al Bashir*, Second Decision on the Prosecution's Application for a Warrant of Arrest (ICC-02/05-01/09), Pre-Trial Chamber, 12 July 2010
- *Prosecutor v. Al Bashir*, Decision on the Prosecution's Application for a Warrant of Arrest (ICC-01/05-01/09), Pre-Trial Chamber, 4 March 2009
- *Prosecutor v. Al Bashir*, Public Redacted Version of the Prosecutor's Application under Article 58 filed on 14 July 2008 (ICC-02/05), 12 September 2008
- *Prosecutor v. Bemba*, Judgment Pursuant to Article 74 of the Statute (ICC-01/05-01/08), Trial Chamber, 21 March 2016
- *Prosecutor v. Bemba*, Decision Pursuant to Article 61(7)(a) and (b) of the Rome Statute on the Charges (ICC-01/05-01/08), Pre-Trial Chamber, 15 June 2009
- *Prosecutor v. Bemba*, Adjourning the Hearing Pursuant to Article 61(7)(c)(ii) of the Rome Statute (ICC-01/05-01/08), Pre-Trial Chamber, 3 March 2009

- *Prosecutor v. Bemba, Kilolo, Mangenda, Babala and Arido*, Decision Pursuant to Article 61(7)(a) and (b) of the Rome Statute on the Charges (ICC-01/05-01/13), Pre-Trial Chamber, 11 November 2014
- *Prosecutor v. Chui*, Judgment Pursuant to Article 74 of the Statute (ICC-01/04-02/12), Trial Chamber, 18 December 2012
- *Prosecutor v. Katanga*, Judgment Pursuant to Article 74 of the Statute (ICC-01/04-01/07), Trial Chamber, 7 March 2014
- *Prosecutor v. Katanga and Chui*, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/07), Pre-Trial Chamber, 30 September 2008
- *Prosecutor v. Lubanga*, Judgment on the Appeal of Mr Thomas Lubanga Dyilo against his Conviction (ICC-01/04-01/06-A5), Appeals Chamber, 14 December 2012
- *Prosecutor v. Lubanga*, Judgment Pursuant to Article 74 of the Statute (ICC-01/04-01/06), Trial Chamber, 14 March 2012
- *Prosecutor v. Lubanga*, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/06), Pre-Trial Chamber, 29 January 2007
- *Prosecutor v. Lubanga*, Decision on the Prosecution's Application for a Warrant of Arrest (ICC-01/04-01/06), Pre-Trial Chamber, 10 February 2006
- *Prosecutor v. Mbarushimana*, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/10), Pre-Trial Chamber, 16 December 2011
- *Prosecutor v. Ntaganda*, Decision Pursuant to Article 61(7)(a) and (b) of the Rome Statute on the Charges (ICC-01/04-02/06), Pre-Trial Chamber, 9 June 2014
- *Prosecutor v. Ruto, Kosgey and Sang*, Decision on the Confirmation of Charges Pursuant to Article 61(7)(a) and (b) of the Rome Statute (ICC-01/09-01/11), Pre-Trial Chamber, 23 January 2012
- *Prosecutor v. Ruto, Kosgey and Sang*, Decision on the Prosecutor's Application for Summons to Appear for *William Samoei Ruto, Henry Kiprono Kosgey and Joshua Arap Sang* (ICC-01/09-01/11), Pre-Trial Chamber, 8 March 2011

ინტერნეტწყაროები

- Decision Pursuant to Article 15 of the Rome Statute on the Authorization of an Investigation into the Situation in the Republic of Kenya, (ICC-01/09), Pre-Trial Chamber, 31 March 2010, <<https://www.icc-cpi.int/iccdocs/doc/doc854287.pdf>>, [9.1.2016]

- Guatemala: Memory of Silence, Report of the Commission for Historical Clarification, Conclusions and Recommendations, <http://www.aaas.org/sites/default/files/migrate/uploads/mos_en.pdf>, [9.2.2016]
- *Human Rights Watch*, Ituri: “Covered in Blood”, 2003, <<https://www.hrw.org/reports/2003/ituri0703/DRC0703.pdf>>, [9.2.2016]
- ICC Annual Report to UNGA, 30 October 2014, <<https://www.icc-cpi.int/iccdocs/presidency/UNGA-PS-30-10-2014-Eng.pdf>>, [9.2.2016]
- Law Reports of Trials of War Criminals, Selected and Prepared by the UN War Crimes Commission, 1947–1949, Vol. I, II, XI, <<https://www.loc.gov/rr/frd/MilitaryLaw/law-reports-trials-war-criminals.html>>, [9.2.2016]
- OTP Opens Investigation in *Darfur*, 6 June 2005, <<http://www.icc-cpi.int/iccdocs/doc/doc251671.PDF>>, [12.12.2014]
- OTP Opens Investigation in the Central African Republic, 22 May 2007, <https://www.icc-cpi.int/en_menus/icc/situations%20and%20cases/situations/situation%20icc%200105/press%20releases/Pages/prosecutor%20opens%20investigation%20in%20the%20central%20african%20republic.aspx>, [9.2.2016]
- OTP Opens its First Investigation, 23 June 2004, <https://www.icc-cpi.int/en_menus/icc/press%20and%20media/press%20releases/2004/Pages/the%20off%20ice%20of%20the%20prosecutor%20of%20the%20international%20criminal%20court%20opens%20its%20first%20investigation.aspx>, [9.2.2016]
- OTP Receives Referral, 19 April 2004, <http://www.icc-cpi.int/en_menus/icc/situations%20and%20cases/situations/situation%20icc%200104/Pages/situation%20index.aspx>, [9. 2.2014]
- OTP, Background Situation in the Central African Republic, 22 May 2007, <https://www.icc-cpi.int/NR/rdonlyres/B64950CF-8370-4438-AD7C-0905079D747A/144037/ICCOTPNB20070522220_A_EN.pdf>, [9. 2.2016]
- OTP, *Bensouda* Statement on Opening a Second Investigation in the Central African Republic, Situation in the Central African Republic, Article 53(1) Report, 24 September 2014, <https://www.icc-cpi.int/en_menus/icc/press%20and%20media/press%20releases/Pages/pr1043.aspx>, [9.2.2016]
- Report of the International Commission of Inquiry on *Darfur* to the UNSG, Pursuant to UNSC Resolution 1564, 18 September 2004, <http://www.un.org/news/dh/sudan/com_inq_darfur.pdf>, [12.12. 2014]
- Review Conference of the RS of the ICC, Kampala, 31 May – 11 June, 2010, <https://www.icc-cpi.int/iccdocs/asp_docs/ASP9/OR/RC-11-ENG.pdf>, [9.1.2016]

- *Taylor, Telford*, Final Report to the Secretary of the Army on the Nuremberg War Crimes Trials under Control Council Law N. 10, 15 August 1949, <https://www.loc.gov/rr/frd/Military_Law/pdf/NT_final-report.pdf>, [9.2.2016]
- The Charter and Judgment of the Nürnberg Tribunal, History and Analysis, Memorandum Submitted by the Secretary-General, 1949, <http://legal.un.org/docs/?path=../ilc/documentation/english/a_cn4_5.pdf&lang=>, [9.2.2016]
- Trial of the Major War Criminals before the International Military Tribunal, 14 November 1945 – 1 October 1946, 1948, Vol. XXII, <http://www.loc.gov/rr/frd/Military_Law/NT_major-war-criminals.html>, [20.12.2014]
- *USIP*, Building the Iraqi Special Tribunal, Lessons from Experiences in International Criminal Justice, 2004, <<http://www.usip.org/sites/default/files/sr122.pdf>>, [9.1.2016]

ინტერნეტრესურსები

<http://avalon.law.yale.edu/>

<http://legal.un.org/>

<http://opil.ouplaw.com/home/epil>

<http://www.eccc.gov.kh/en/document/court>

<http://www.icls.de/>

<http://www.icty.org/>

http://www.iipsl.jura.uni-koeln.de/5546.html?&no_cache=1&L=1

<http://www.loc.gov/>

<http://www.rscsl.org/>

<http://www.stl-tsl.org/en/>

<http://www.unmict.org/>

<https://www.icc-cpi.int/Pages/default.aspx>

<https://www.icrc.org/en>

ნაშრომი შესრულებულია ჩემ მიერ, არ გამომიყენებია ლიტერატურა სათანადო მითითების გარეშე და ვაცნობიერებ სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში ჩემი შედეგის ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან ადღგენის უფლების გარეშე გარიცხვის რეალობას.

გიორგი დგებუაძე